

ს ქინწუჴუჴუჴილი

ტენწუჴოტე

მისი უღჴუჴეთის

ჴროსესი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი—1967

წიგნო წარმოადგენს ფიქსირებული განწყობის მოქმედების იმ კანონზომიერებათა საფუძვლიან ექსპერიმენტულ გამოკვლევას, რომელიც განწყობის აღკვეთის პროცესში ელინდება. ავტორი სუქცესიურსა და სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის აღკვეთის შესახებ მის მიერ მოპოვებული ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე კრიტიკულად მიმოიხილავს განწყობის ფსიქოლოგიაში რიგ სადავო საკითხებს და იძლევა მათი გადაწყვეტის ორიგინალურ ცდას. ამავე დროს თავის ექსპერიმენტულ მონაცემებს წარმოადგენს საკმაოდ ფართოდ.

წიგნში განიხილული საკითხებიდან შედარებით მნიშვნელოვანია შემდეგი: გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის საფუძველი და მისი როლი ფიქსირებული განწყობის კრიტიკულ ცდებში; განწყობის მოქმედების ფაზური და შინაფაზური დინამიკა; განწყობის შემობრუნებადობის ე. წ. „რეციდივული“ მოქმედება; განწყობის მოქმედების ტიპები, განსაკუთრებით, „იმედიატურ კონტრავერსიული“ მოქმედების ტიპები; სუქცესიურ და სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობათა მოქმედების სპეციფიკა. ამ განწყობათა ინტრაინდუვიდუალური კორელაცია და ცდის პიოსი, ტიპოლოგია; ფიქსირებული განწყობის მოქმედება კეთებითი აქტივობის პროცესში.

წიგნი გათვალისწინებულია ფსიქოლოგიისა და სხვა მოსაზღვრე დისციპლინათა სპეციალისტებისათვის.

თ ა ვ ი კ ი რ ვ ე ლ ი

შესავალი, პრობლემა და მეთოდი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. განწყობის ცნება

განწყობის ცნების დამუშავება ისე, როგორც იგი ამჟამად საბჭოთა ფსიქოლოგიაშია წარმოდგენილი, აკად. დ. უზნაძისა და მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.

განწყობის ცნების დამუშავების პრინციპულ საფუძვლები დ. უზნაძემ ჯერ კიდევ 1925 წელს დასახა¹.

მას შემდეგ დ. უზნაძე და ქართველ ფსიქოლოგთა კოლექტივი, სხვა ფსიქოლოგიური პრობლემების დამუშავებასთან ერთად, ინტენსიურ თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევას აწარმოებდნენ განწყობის ფენომენის შესასწავლად. უკვე 1940 წლისათვის დ. უზნაძეს შესაძლებლობა ჰქონდა განწყობის ფსიქოლოგიის მწყობრი და შედარებით გამართული კონცეფცია ჩამოეყალიბებინა. ამ დროისათვის დაგროვდა საკმაროდ მდიდარი ექსპერიმენტული მონაცემები განწყობის მოვლენის შესახებ და, მაშასადამე, განწყობის ცნებამაც შედარებით ზუსტი და გარკვეული სახე მიიღო. განწყობის ცნების

¹ იხ. დ. უზნაძე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. 1925, გვ. 163—184.

გამოყენების საფუძველზე ცალკეული ფსიქიკური პროცესების გაშუქებით დ. უზნაძემ მოგვცა ფსიქოლოგიის ახალი კურსის (სახელმძღვანელოს) შექმნის ნაყოფიერი ცდა¹. განწყობის ცნების მომარჯვებით ამ სახელმძღვანელოში პირველადაა ნაცადი ცალკეული ფსიქიკური პროცესების დამუშავება. კერძოდ, მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა განწყობის ცნების საფუძველზე ისეთი უაღრესად რთული მოვლენის გაშუქება, როგორცაა სპეციფიკურად აღაშიანური ფსიქიკური პროცესი—ნებისყოფა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან, როგორც შემდეგ დავინახავთ, განწყობა პიროვნების—სუბიექტის მთლიანი მდგომარეობაა, მისი მოდიფიკაციაა გარკვეულ სიტუაციაში განსაზღვრული აქტივობისადმი მიზანობის სახით, მზაობისა, რომელიც ყალიბდება გარკვეული კონკრეტი ობიექტური სიტუაციის მთლიანი პიროვნული ასახვის ნიადაგზე.

სათანადო ექსპერიმენტული და თეორიული კვლევის შედეგად დ. უზნაძემ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში დაწერილ ვრცელ მონოგრაფიაში ჩამოაყალიბა განწყობის ფსიქოლოგიის უკვე გამართული მოძღვრება², რომლიდანაც აშკარად ჩანს განწყობის შემდგომი კვლევის აუცილებლობა და პერსპექტივები.

რა არის განწყობის მოვლენა და როგორ ჩამოაყალიბდა განწყობის ცნება „საბოლოოდ“ იმ შემოქმედებითი მუშაობის შედეგად, რომელიც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დ. უზნაძის ხელმძღვანელობით?

განწყობის ცნების დამუშავებისას დ. უზნაძე ამოდიოდა მოთხოვნილების ფაქტიდან, რომელიც სინამდვილეში, საერთოდ, ცოცხალ ორგანიზმსა და, კერძოდ, ადამიანს ახასიათებს. ცოცხალი ორგანიზმი და, კერძოდ, ადამიანი სწორედ მოთხოვნილების გამო ამყარებს ურთიერთობას გარემოსთან, მიმართავს გარემოში გარკვეულ, მიზანშეწონილი ქცევის აქტებს. ამ მოთხოვნილების გარეშე ცოცხალ ორგანიზმსა და გარე

1 დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940.

2 მისივე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ტ. VI, 1949.

ბუნებას შორის, რა თქმა უნდა, არავითარ ურთიერთობაზე არ შეიძლება ლაპარაკი¹.

როგორც ცნობილია, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოთხოვნილებას ცოცხალი ორგანიზმის ქცევისა და, კერძოდ, ადამიანის მოქმედების გაგების საქმეში. დ. უზნაძე სწორედ მარქსიზმის ამ დებულებიდან ამოდის განწყობის ცნების დამუშავებისას.

„ისე, როგორც ცხოველის ქცევას, ბოლოს და ბოლოს, ადამიანის ქცევასაც მოთხოვნილება უდევს საფუძვლად. ეს უდავო ფაქტია; რომელიც ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. „ადამიანები, — ამბობს ენგელსი, — მიეჩვიენ თავის მოქმედების ახსნისას თავისი აზროვნებიდან გამოდიოდნენ და არა თავისი მოთხოვნილებებიდან; და ასე გაჩნდა დროთა მსვლელობაში ის იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც ანტიკური ქვეყნების დაცემის ეპოქიდან დაწყებული ადამიანის გონებას ფლობდა“. „იმისათვის, რომ“ ისტორია შექმნან, „ადამიანთ, უწინარეს ყოვლისა, სიცოცხლის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. მაგრამ სიცოცხლისათვის, პირველ რიგში, სასმელ-საკმელია საჭირო, ბინა, ტანსაცმელი და ზოგი რამ კიდევ სხვა. მასწავლებელმა, პირველი ისტორიული საქმე— ეს ამ მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელ საშუალებათა წარმოებაა“.—ამბობს მარქსი“².

აქედან დ. უზნაძე სამართლიანად ასკვნის: „ამრავად, სრულყოფილად უდავოა, რომ ადამიანის ქცევასაც მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, და ამ თვალსაზრისით ცხოველსა და ადამიანს შორის განსხვავება მართლაც არაფერია“³. მაგრამ დ. უზნაძე იქვე მიუთითებს, „მიუხედავად ამისა, ნამდვილად განსხვავება მათ შორის მაინც დიდია... ადამიანი ისტორიული არსებია, და მისი მოთხოვნილება სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ნიადაგზე განუწყვეტელი ქმნადობის პროცესში იმყოფება. ამის შედეგი ისაა, რომ არა მარტო ძველი

¹ დ. უზნაძე ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 65—66.

² იქვე, გვ. 70—71.

³ იქვე.

მოთხოვნილებები იცვლება, არამედ განუწყვეტლივ ახალ-ახალი მოთხოვნილებებიც ჩნდება, მოთხოვნილებები, რომლის მსგავსსაც კი ვერაფერს ვნახავთ ცხოველთა სამკვიდროში: ადამიანი შეუდარებლად უფრო მრავალფეროვანის დამრავალმხრივი მოთხოვნილებების პატრონია, ვიდრე ცხოველი“¹ (ხაზი ჩვენია. ა. კ.).

ეს დებულება სავსებით კანონზომიერად გამომდინარეობს მარქსისა და ენგელსის შემდეგი მოსაზრებიდან ადამიანთა მოთხოვნილების განვითარების ბუნების შესახებ:

„მეორე ცაქტი ისაა, რომ თვით დაკმაყოფილებული პირველი მოთხოვნილება, დაკმაყოფილების მოქმედება და დაკმაყოფილების უკვე შეძენილი იარაღი ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობს და ეს წარმოშობა ახალი მოთხოვნილებებისა არის პირველი ისტორიული საქმე“² (ხაზი ჩვენია. ა. კ.). აქედან აშკარაა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მარქსი და ენგელსი მოთხოვნილების ცნებას და, კერძოდ, ადამიანის მოთხოვნილებების განვითარებას, ამ მოთხოვნილებათა გამრავალფეროვნებასა და ახალ-ახალი მრავალმხრივი მოთხოვნილებების წარმოშობას.

ანალოგიური ციტატის მოტანა კიდევ შეიძლებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებიდან, მაგრამ წარმოდგენილი მოსაზრებანიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ პრინციპულად სწორ პოზიციასზე დგას მკვლევარი-ფსიქოლოგი, რომელიც ცოცხალი ორგანიზმისა და, კერძოდ, ადამიანის ქცევისა და მოქმედების შესწავლა-გაგების საქმეში მოთხოვნილების ცნებიდან ამოდის.

განწყობის ცნების დამუშავებისას დ. უზნაძისათვის სწორედ მოთხოვნილების ცნება შეადგენდა ერთ მთავარ ამოსავალ პრინციპულ წანამძღვარს. ამის მიხედვით ყოველი ცოცხალი

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 70—71.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიაიდან“, ქართული გამოცემა, 1948, გვ. 27.

ორგანიზმი და, კერძოდ, ადამიანიც ობიექტურ სინამდვილესთან ამყარებს ურთიერთობას როგორც გარკვეული მოთხოვნილების მატარებელი ინდივიდი — სუბიექტი. ობიექტური სინამდვილე მოქმედებს სწორედ ამ გარკვეული მოთხოვნილების მატარებელ არსებაზე — სუბიექტზე, როგორც გამლიზიანებელთა გარკვეული მთლიანობითი სისტემა განსაზღვრული სიტუაციის სახით. ეს უკანასკნელი, ე. ი. განსაზღვრული სიტუაცია, აისახება გარკვეული მოთხოვნილებების მატარებელ სუბიექტში. იგი მასში გარკვეული სახის მთლიანობითს ცდილობს, ამ სიტუაციის შესატყვის მოდიფიკაციას იწვევს განსაზღვრული ქცევისათვის მზადყოფნის სახით, ხანამ ეს ქცევა ამ სიტუაციაში აქტიურად გაიშლებოდა. ამრიგად, სუბიექტში განსაზღვრული სახის მთლიანობისთვის ცდილობს მოდიფიკაციის აღმოცენებისათვის არა მარტო მოთხოვნილებაა საჭირო, არამედ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესატყვისი სიტუაციაც, ე. ი. აუცილებელია ამ მოთხოვნილების მატარებელ სუბიექტზე ადექვატური ობიექტური ვითარების ზემოქმედებაც.

„გარესინამდვილე ცოცხალ არსებაზე, როგორც ინდივიდზე. მაშასადამე, როგორც მთელზე მოქმედებს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იგი ამ შემთხვევაში, როგორც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია მოქმედებს მასზე, როგორც სისტემა, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს. მაშასადამე, იმ ეფექტში, რომელსაც იგი სუბიექტში იწვევს, გარესინამდვილე შეიძლება მხოლოდ როგორც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია, და არა როგორც შემთხვევითი და ინდიფერენტული გარემო, იყოს ასახული... ეს ეფექტი თვითონ სუბიექტის მოდიფიკაციას, თვითონ სუბიექტის გადახალისებას, მის გადასტრუქტურებას წარმოადგენს, და არა რაიმე ნაწილობრივ ცვლილებას, რომელიც ცოცხალი არსების რომელიმე კერძო მხარეს ეწება. ეს კი, ცხადია, შეიძლება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ გარესინამდვილესთან ურთიერთობის პრო-

ცესში ქცევის სუბიექტი, რომელიც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას ესწრაფვის. ამ უკანასკნელის სიტუაციის შესატყვისად იცვლება“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.). სწორედ განსაზღვრული მოთხოვნების მატარებელი სუბიექტის მიერ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების სიტუაციის ასახვას, ამ სიტუაციის შესატყვისად სუბიექტის მთლიან მოდიფიკაციას. მის გადასვადგებას ამ ასახულ სიტუაციაში გარკვეული აქტივობისადმი მზაობის სახით. დ. უზნაძე განწყობას უწოდებს.

„მაშასადამე, იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნის დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება, განწყობა შეგვიძლია ვუწოდოთ“².

განწყობა მოთხოვნის მატარებელ სუბიექტში ობიექტური სიტუაციის ასახვის შედეგად წარმოშობილი ისეთი საეციფიკური მდგომარეობაა, ისეთი „დინამიკური სახის მოვლენა, რომელმაც თავისი გამოვლენა სუბიექტის გარკვეულ აქტივობაში უნდა პოვოს.

ამრიგად, ცოცხალი არსებისა და გარემოს ურთიერთობა, რამდენადაც ამ უკანასკნელს მოთხოვნის დაკმაყოფილების იმპულსი უდევს საფუძვლად, საბოლოოდ ასე უნდა წარმოდგინოთ: მოთხოვნის დაკმაყოფილების იმპულსით ამოქმედებულ ცოცხალ არსებაზე გარემოსიტუაცია იწყებს ზემოქმედებას და მასში სიტუაციის შესატყვისის გარკვეულ მთლიან ცვლილებას (ხაზი ჩვენია. ა. კ.). გარკვეულ განწყობას იწვევს. ამიერიდან ასე შეცვლილს, გარკვეული განწყობის მქონე სუბიექტს. რასაკვირველია, თავისი განწყობის შესაფერისი პროცესებისა და აქტების წარმოება შეუძლია. ამისდა მიხედვით, მისი ქცევა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ყოველ მონაცემ მონეტში მისი ამათუ იმ განწყობის რეა-

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 67—68.

² ი. კ., გვ. 62.

ლი აციად უნდა ჩაითვალოს“ (ხაზი ავტორისაა. ა. კ.).

ამრიგად, განწყობა მოთხოვნილების მატარებელ სუბიექტში ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის მთლიანობითი ასახვა, ინდივიდის — სუბიექტის მოდიფიკაცია და შეცვლა ამ სიტუაციის შესაფერისად.

განწყობა დინამიკური სახის მოვლენაა, რომელიც განსაზღვრულ სიტუაციაში სუბიექტის გარკვეული აქტივობისადმი მზაობის სახითაა მოცემული და, ამრიგად, გასაგებს ღდის სუბიექტის მიზანშეწონილი ქცევის — მოქმედების, აქტივობის ფაქტს გარემოში, რაც ასე დაუძლეველი იყო ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის როგორც მექანიცისტური. ისე ვიტალისტური კონცეფციებისათვის.

განწყობა არაა ნაწილობრივი ცალკეული პროცესი; იგი მთლიანობითი ცვლილებაა სუბიექტისა. რომელიც შემდეგ გარკვეული სახის ცალკეულ აქტებსა და ფსიქიკურ პროცესებში უნდა ვაიშალოს ამ მთლიანი ცვლილების საფუძველზე. ამ თვალსაზრისითაც დაძლეულია ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისათვის დამასასიათებელი ატომიზმი, რომელიც არა მთლიანის (სუბიექტის, პიროვნების, „ცოცხალი ინდივიდის“) შესწავლას, არამედ ცალკეული ფსიქიკური პროცესების შესწავლასა და შემდეგ მათს მექანიკურ კავშირებს ეძიებდა. ყოველივე ამას მექანიკურს ვუწოდებთ იმიტომ, რომ ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისათვის არ არსებობს ამ ცალკეული ფსიქიკური პროცესების მატარებელი, გარკვეული მოთხოვნილებების მქონე ცოცხალი ინდივიდი, პიროვნება, რომელიც ობიექტურ სინამდვილესთან უშუალო მიმართებაში იმყოფება.

დასმული პრობლემის დიალექტიკურ-მატერიალისტურად განხილვისას, როგორც მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავენ, „გამოდინ თვით ნამდვილი ცოცხალი ინდივიდებიდან და განიხილავენ ცნობიერებას, როგორც მათს ცნობიერებას“².

1 დ. უ. ხ. ა. ქ. ზოვადი ფსიქოლოგია, გვ. 69.

2 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. „ვერმანული იდეოლოგია“¹. ქართული გამოცემა. 1912. გვ. 25.

განწყობის მოვლენის უზნაძისეული გაგებით, განწყობა სწორედ ცოცხალი ინდივიდის — პიროვნების მთლიანობითი მდგომარეობაა, რომლის საფუძველზედაც იშლება ქცევის ცალკეული აქტები, ცნობიერების მოვლენები — ცალკეული განცდადი ფსიქიკური ფენომენების სახით.

განწყობის მოვლენის აღმოჩენით და განწყობის ცნების დამუშავებით დაძლეულია ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ის არსებითი მანკი, რომელიც ე. წ. უშუალობის ჰიპოთეზაში მდგომარეობს.

ბურჟუაზიულ-იდეალისტური ფსიქოლოგიის ძირითადი და არსებითი სასიათის მანკი იმაშია, რომ იგი „მთლიანად წინასწარ შეუმოწმებელს, კრიტიკულად გაუზარებელს, დოგმატურ წარმამძღვარს ეყრდნობა, რომლის აზრიც იმანი მდგომარეობს, რომ ვითომ ობიექტური სინამდვილე, უშუალო ზევავლენას ახდენდეს ფსიქიკაზე და თავის მოქმედებას ამ უშუალო კავშირით განსაზღვრავდეს. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ წარმამძღვარის საფუძველზე დაუსაბუთებელის, ყალბი პრობლემებისა და მათი გადაჭრის უნაყოფო ცდების მთელი რიგი უნდა აღმოცენებულიყო“¹.

დ. უზნაძის მოსაზრებით, ობიექტური სინამდვილე უშუალოდ ცალკეულ ფსიქიკურ პროცესზე კი არ ახდენს გავლენას, არამედ მთლიან ცოცხალ ინდივიდზე, სუბიექტზე, პიროვნებაზე და მასში იწვევს სათანადო მთლიანობითს ცვლილებას განწყობის სახით. განწყობა ობიექტური სინამდვილის ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი მთლიანობითი ხასიათის უშუალო ცვლილებაა მოთხოვნილებას მატარებელ სუბიექტში, ხოლო ამის შემდეგ სუბიექტის ქცევის ცალკეული აქტები და ფსიქიკური პროცესები მხოლოდ ასე განწყობილი მთლიანი სუბიექტის აქტივობაში გაშლას წარმოადგენენ².

ამრიგად, ამ მოსაზრების მიხედვით, ობიექტური სინამდვილე უშუალოდ ცალკეულ ფსიქიკურ პროცესებზე კი არ მოქმედებს, არამედ კონკრეტული მოთხოვნილების მატარე-

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, ტ. VI, გვ. 37.

² იქვე, გვ. 43.

ბელ „ცოცხალ ინდივიდზე“, სუბიექტზე, პიროვნებაზე. ზემოქმედი სიტუაციის ასახვის შედეგად ჯერ უშუალოდ ამ სიტუაციის შესატყვისი მთლიანობითი ცვლილება ხდება სუბიექტში (სუბიექტის გადახალისება, გადასხვაფერება) გარკვეული განწყობის სახით და შემდეგ, ცალკეული ქცევის აქტები, ცალკეული ფსიქიკური პროცესები ჯაიშლება როგორც სიტუაციის შესატყვისად შეცვლილი „ცოცხალი ინდივიდის“ — სუბიექტის მოქმედება.

* *

ფსიქიკურის სამკვიდროში განწყობის მოვლენის ადგილის პრობლემა სანგრძლივი ძიებისა და კვლევის საგანი იყო დ. უზნაძისა და მისი თანამშრომლებისათვის. თავის უკანასკნელ გამოკვლევაში დ. უზნაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიუღებელია ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში გაბატონებულ მოსაზრება — თითქოს „ფსიქიკა და ცნობიერება ერთმანეთს ფარავენ: ფსიქიკური ყველაფერი ცნობიერია და ის, რაც ცნობიერია. — ფსიქიკურია!“. ვინაიდან ამის მიხედვით „უნდა ვიფიქროთ, რომ ფსიქიკა მოლიანად ჩვეთრად გამოეყოფა ყველაფერს, რაც მოკლებულია ცნობიერებას — ყველაფერს მატერიალურს — და სინამდვილის თავისთავადს, დამოუკიდებელს, სრულიად დახშულ არეს ჰქმნის. ამ შემთხვევაში ფსიქიკურსა და მატერიალურს შორის ძირითადი შეუთანხმებელი წინააღმდეგობა უნდა ვიგულოთ და, ბუნებრივია, იფიქროს კაცმა, რომ შეუძლებელია მათ შორის რაიმე კავშირი არსებობდეს, შეუძლებელია ისინი რაიმე გავლენას ახდენდნენ ურთიერთზე“¹.

„ეს კონცეფცია ფსიქიკურის განვითარების პრობლემას მთლიანად განზე ტოვებს: რამდენადაც ფსიქიკურად მას მხოლოდ ცნობიერი მიაჩნია, იგი იძულებული ხდება დაასკვნას, რომ ფსიქიკის ისტორია შესაძლებელია მხოლოდ ცნობიერების

1 დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, გვ. 3.

2 იქვე, გვ. 3—4.

აღმოცენებით იწყებოდეს, რომ ცნობიერების გარეთ მისი ბიება სრულიად ფუქად უნდა ჩაითვალოს“¹.

უარყოფს რა ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ამ მცდარ წინამძღვარს, დ. უზნაძე, განვითარების დიალექტიკურ-მატერიალისტური კონცეფციის ნიადაგზე, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფსიქიკური განვითარების პროცესში ჩართული რეალობაა და ცნობიერ განცდად ფსიქიკურ მოვლენებს უდავოდ წინ უნდა უსწრებდეს ისეთი მდგომარეობა, რომელიც ცნობიერ ფსიქიკურ მოვლენას არ წარმოადგენს, მაგრამ „ვერავითარ შემთხვევაში არაფსიქიკურ, მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოვლენად ვერ ჩაითვლება“².

ამ შემთხვევაში დ. უზნაძე ეყრდნობა ვ. ი. ლენინის შემდეგ ფილოსოფიურ დებულებას: „მატერიალიზმი სრულიად ეთანხმება ბუნებისმეტყველებას და პირველად მოცემულად მატერიას თვლის, ხოლო მეორადად — ცნობიერებას, აზროვნებას, შეგრძნებას... ნათლად გამოხატული ფორმით — შეგრძნება მხოლოდ მატერიის უმაღლეს ფორმებთან (ორგანულ მატერიასთან) არის დაკავშირებული, და „თვით მატერიის შენობის საძირკველში“ შეიძლება მხოლოდ ვიგულისხმოთ უნარის არსებობა, რომელიც შეგრძნებას ჰგავს“³.

ამ ფილოსოფიური თეზისიდან დ. უზნაძე სამართლიანად ასკვნის:

„ლენინი ამ შემთხვევაში პირდაპირ მიუთითებს, რომ ფსიქიკა არა მარტო ცნობიერ პროცესებს („ცნობიერებას, აზროვნებას, შეგრძნებას“) შეიცავს, არამედ განვითარების უფრო მარტივს წინასაფხურებსაც“⁴.

ამრიგად, ფსიქიკურის ეს წინა საფეხური ცნობიერი ფსიქიკური პროცესების მსგავსია. მაგრამ, რა თქმა უნდა, იგივე არაა. ამ ცნობიერი ფსიქიკურის მსგავსი რამ მატერიის განვითარების წინა საფეხურზედაც არის მოცემული, რაც იმას ნიშ-

1 დ. უზნაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.

2 იქვე, გვ. 88.

3 ვ. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 43.

4 დ. უზნაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

ნავს, რომ ცნობიერი ფსიქიკური პროცესები მოწყვეტილნი კი არ არიან მატერიის განვითარების წინა საფეხურს, არამედ უშუალოდ დაკავშირებული არიან მასთან და მისი განვითარების ახალ საფეხურს წარმოადგენენ.

დ. უზნაძის აზრით, განწყობა სწორედ ცნობიერი ფსიქიკური პროცესების განვითარების წინა საფეხურს წარმოადგენს, ფსიქიკურის განვითარების პირველ „პლანს“, რომელიც უშუალო კავშირშია მატერიის განვითარების ფიზიოლოგიურ ფორმასთან, მაგრამ იგი არაა „მხოლოდ ფიზიოლოგიური“ მდგომარეობა, იგი ამავე დროს ფსიქიკურიცაა, რომელიც მოკლებულია ცნობიერებას, მაგრამ „ცნობიერი ფსიქიკური პროცესების აღმოცენებას უდავოდ წინ უსწრებს“ და „რომელიც ვერავითარ შემთხვევაში არაფსიქიკურ, მხოლოდ ფიზიოლოგიურ მდგომარეობად ვერ ჩაითვლება!“. მაშასადამე, განწყობის შესწავლა უდავოდ ფსიქოლოგიის ამოცანას წარმოადგენს, ფსიქოლოგიისა. რომელიც ფსიქიკურ მოვლენებს განიხილავს როგორც მატერიის განვითარების განსაზღვრული საფეხურისთვის დამახასიათებელ თვისებას.

ამრიგად, განწყობა ფსიქიკის განვითარების ადრეული საფეხურია. რომელსაც ჯერ ცნობიერების ნიშანი არა აქვს, მაგრამ იგი ისეთი საფეხურია, რომელიც წინ უსწრებს ცნობიერ-განცლად ფსიქიკურ პროცესების აღმოცენებას, როგორც გენეტურად, ისე ყოველ კონკრეტულ ვითარებაში, „ცოცხალი ინდივიდის“ — პიროვნებისა და გარემოს უშუალო ურთიერთობის პროცესში.

ფსიქიკის ამ ადრეული საფეხურის შესწავლა, „რომელიც ცნობიერებას აღმოცენებას უსწრებს წინ და განწყობის სახელწოდებითაა“ ცნობილი. კონკრეტული ფსიქოლოგიური კვლევის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს², რის გარკვევასაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მარქსისტული ფსიქოლოგიის განვითარების საქმეში.

1 დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, გვ. 88.

2 იქვე, გვ. 8.

§ 2. განწყობის ექსპერიმენტული კვლევა

განწყობის ისეთ-ცნების გამომუშავებაში, რომლის შესახებ ახლახან გვქონდა საუბარი, საკმაო როლი ითამაშა შარპანტიეს ილუზიის ანალოგიური ფაქტების ახსნისას უცხოურ ფსიქოლოგიაში გამოყენებული მცდარი თეორიების ზუსტი ექსპერიმენტული ფაქტებით უარყოფამ. როგორც ცნობილია, ადამიანმა ხშირი განმეორებით რომ წყვილი არათანაბარი სიმძიმე შეადაროს ურთიერთს სიმულტანურად (ორივე ხელით ერთდროული აწევით) და ამის შემდეგ წყვილი თანაბარი სიმძიმის საგნები ასწიოს ასევე ერთდროულად, მაშინ იმ ხელში, რომელშიც წინათ მსუბუქი საგანი ჰქონდა, ახლა ეს საგანი შედარებით მძიმე მოეჩვენება, ხოლო იმ ხელში, რომელშიც მძიმე საგანი ჰქონდა, შედარებით მსუბუქად. შარპანტიეს ილუზიის შემთხვევაში ადამიანი ორი თანაბარი სიმძიმისა და სიდიდით მკვეთრად განსხვავებული საგნის აწევის დროს პატარა მოცულობის საგანს უფრო მძიმედ განიცდის, ხოლო დიდი მოცულობისას — უფრო მსუბუქად.

ამ ფაქტების ასახსნელად უცხოურ ფსიქოლოგიაში ორი თეორია ჩამოყალიბდა: პირველი მიულერ-შუმანის მოტორული განწყობის თეორია და მეორე ე. წ. „გაცრუებული მოლოდინის“ თეორია. პირველი თეორიის არსი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც ცდის პირი ხშირი განმეორებით ერთი ხელით მძიმესა და მეორეთი მსუბუქ საგანს სწევს, იმ ხელში, რომლითაც იგი მძიმეს სწევს, ძლიერი იმპულსის მობილიზაციას ეჩვევა, ხოლო იმ ხელში, რომლითაც მსუბუქს სწევს, შედარებით მცირე იმპულსის მობილიზაციას; ამით მასში მუშავდება ე. წ. „მოტორული განწყობა“ სხვადასხვა საგნის ასაწევად სხვადასხვა ძალის იმპულსების მობილიზაციის სახით. ამის შემდეგ ცდის პირი თანაბარი სიმძიმის საგნების აწევას იწყებს. იმ ხელით აწევისას, რომელშიც მას დიდი იმპულსის მობილიზაცია აქვს, საგანი სწრაფად მოწყდება ზედაპირს, თითქოს „ზევით მიფრინავს“ — ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს; ხოლო იმ ხელით, რომელშიც მცირე იმპულსია მობილიზებული, საგანი ძნელად იწევა მაღლა, თითქოს „დასაყრდენზე“

ეწებება“. ამ თეორიის მინედვით კორესპონდულ ორგანოებში (ამ შემთხვევაში მარჯვენა-მარცხენა ხელში) ცდებით მეტნაკლები იმპულსის მობილიზაციის საფუძველზე (მოტორული განწყობის საფუძველზე), ერთი საგანი „ზევით აფრენის“, ხოლო მეორე კი „დასაყრდენზე მიწებების“ შთაბეჭდილებას რომ ქმნის, ესაა ის, რაც ამ შემთხვევაში თანაბარი სიმძიმის საკნებას ილუზიურად განცდას აპირობებს.

დ. უზნაძის აზრით, თუ ეს თეორია სწორია, მაშინ ილუზიამ იქ არ უნდა იჩინოს თავი, სადაც ადგილი არა აქვს „მოტორულ განწყობას“, ე. ი. სხვადასხვა ხელში სხვადასხვა ძალის იმპულსით აწევის ჩვევას წინასწარი მობილიზაციის სახით. მაშასადამე, ტოლი სიმძიმის თუ ტოლი სიდიდის შედარებისას ადგილი არა აქვს არც „ზევით აფრენისა“ და არც „დასაყრდენზე მიწებების“ განცდებს.

ა. ბოჭორიშვილის გამოკვლევით, შარპანტიეს ილუზიის ანალოგიური რამ პასიური წოლის არეშიც დადასტურდა. ე. ი. იქაც კი, სადაც არავითარ მოტორულ განწყობას, „ზევით აფრენის“ და „დასაყრდენზე მიწებების“ განცდებს ადგილი არა აქვს. „წინეთი შეგარძნებებში აბსოლუტურად გამორიცხულია ის წინააღმდეგობა, რომელნიც მიუღერისა და შეუძნის თეორიის თანამედ ქმნიან „ილუზიას“: მაგრამ, ამას მიუხედავად, ილუზია მაინც არსებობს. „აფრენისა და დაწებების“ მოვლენებს ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს და, თუ ფაქტი „შეცდომისა“ მაინც არის, იგი სხვანაირად უნდა აიხსნას“, და არა ის, როგორც ამას უცხოურ ფსიქოლოგიაში გავრცელებულ თეორიები „ხსნიან“.

ანალოგიური ილუზიები წოლის არეშიც დადასტურდა სხვადასხვა ინტენსიობის გამღიზიანებლის სუქცესიურად შედარებისას. ცდის პირს თანმიყოლებით ეძლეოდა ჯერ ძლიერი გამღიზიანებელი და შემდეგ სუსტი. 10—15 განმეორების შემდეგ (სავანწყობო ცდები) კი, აგრეთვე თანმიყოლებით.

1 დ. უზნაძე. განწყობას ფსიქოლოგიას ექსპერიმენტული საფუძველი, გვ. 10.
ა. ბოჭორიშვილი. სიმძიმის ილუზიის ანალოგი წინააღმდეგობის არეში, უნივერსიტეტის მოამბე, 1927, გვ. 283.

ეძლეოდა თანაბარი ინტენსიობის წყვილი გამლიზიანებელი (კრიტიკული ცდები). ცდის პირს ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირველი (ძლიერის ადგილზე) უფრო სუსტი ეჩვენა. მეორე კი — შედარებით ძლიერი (სუსტის ადგილზე).

მსგავსი ილუზია დადასტურდა სმენის არეშიც. ცდის პირს საკანწყობო ცდებში 10—15-ჯერ სუქცესიურად ფალაპარატიით თანმიყოლებით ეძლეოდა პირველი საკმაოდ ძლიერი გამლიზიანებელი და მეორე აშკარად სუსტი გამლიზიანებელი. კრიტიკულ ცდებში კი ეძლეოდა თანაბარი სიძლიერის გამლიზიანებელი აგრეთვე სუქცესიურად (სამულტანურად გამლიზიანებლის მიწოდება ამ შემთხვევაში განსხვავებულობის განცდას ვერ მოგვეცემს). აქაც იგივე შედეგი აღმოჩნდა: ცდის პირს პირველი გამლიზიანებელი უფრო სუსტი ინტენსიობისა ეჩვენებოდა, მეორე კი — უფრო ძლიერი.

გრ. ხმალაძემ სისტემატური კვლევის შედეგად ანალოგიური ილუზიები დაადასტურა ოპტიკურ, პაატურსა და კუნთურ არეებში¹, როგორც სიმულტანურა შედარებისას, ისე სუქცესიურა შედარების ცდებში. საგანწყობო ცდებში ცდის პირს 10—15-ჯერ შესადარებლად ეძლეოდა სიმულტანურად ან სუქცესიურად მკვეთრად განსხვავებული სიდიდეები (ოპტიკურად-დახაზული წრეები, პაატურად-მრგვალი ხის ბურთები, თვალდასუჭულად და კუნთურად-თანაბარი მოცულ ბურთები და სხვადასხვა სიმძიმის მრგვალი ხის ბურთები); ხოლო კრიტიკულ ცდებში — სამივე შემთხვევაში თანაბარი სიდიდეები. შედეგი აქაც ანალოგიური აღმოჩნდა: კრიტიკულ ცდებში უმრავლეს შემთხვევაში ცდის პირს ტოლი სიდიდეები იმ მხარეს (ან მიმართულებით სუქცესიურ ცდებში) ეჩვენებოდა უფრო დიდი. სადაც საგანწყობო ცდებში პატარა სიდიდეები ეძლეოდა; ხოლო უფრო პატარად — იმ მხარეზე, საითაც საგანწყობო ცდებში უფრო დიდი სიდიდეები ეძლეოდა. ასეთი ილუზიები შემდგომში კონტრასტულ ილუზიებად იქნა წოდებული და იგი „+“ ნიშნით აღინიშნება.

¹ გრ. ხმალაძე, მოცულობის ილუზია, კრებული, მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის, ტ. I, 1938, გვ. 63—96.

მართალია, მცირე მაჩვენებლებით, მაგრამ ყველა ზემოაღნიშნულ ცდაში დასტურდებოდა ისეთი ილუზიებიც, რომლებიც გადაფასებაში იმ მხარეზე იჩენდა თავს, რომელზედაც საგანწყობო ცდებში უფრო დიდი სიდიდით ეძლეოდა. ასეთი ილუზიები ასიმილაციურ ილუზიად იქნა წოდებული და აღინიშნება „—“ ნიშნით. კრიტიკულ ცდებში ტოლ ობიექტთა ტოლად შეფასება კი, ბუნებრივია, ადექვატურ აღქმად ითვლება და აღინიშნება „=“ ნიშნით.

განსაკუთრებით საინტერესოა გრ. ხმალადის მიერ დადასტურებული წონა — მოცულობის ილუზია. „როდესაც ცდის პირი აღარებს ერთმანეთს (საგანწყობო ცდების გარეშე. ა. კ.) ორი თანაბარი მოცულობის, მაგრამ განსხვავებული სიმძიმის ხაგანს, მოცულობის მხრივ ჩნდება მოცულობის ილუზია, სახელდობრ, მეტი სიმძიმის მქონე საგანი ჩანს ნაკლები მოცულობის მქონედ და, პირიქით, უფრო მსუბუქი საგანი ცდის პირს ეჩვენება მეტი მოცულობის მქონედ“¹.

ეს ფაქტიც კონტრასტული ილუზიის გამოვლენაა და, როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს², შარპანტიეს ილუზიის პირდაპირ შემბრუნებული მდგომარეობაა, სადაც არავითარ შემთხვევაში „ზევით აფრენისა“ და „დასაყრდენზე მიწებების“ განცდის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება.

შემდეგში ანალოგიური ილუზიები დადასტურდა სინათლის აღქმისა და სხვა არეშიც³.

ექსპერიმენტულად დადასტურებულმა ამ უდავო ფაქტებმა აშკარა გახადეს, რომ ცნობილ ილუზიათა ანალოგონს იქაც აქვს ადვილი, სადაც მოტორულ განწყობაზე და ამის საფუძველზე წარმოშობილ „ზევით აფრენისა“ და „დასაყრდენზე მიწებების“ განცდებზე მსჯელობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამრიგად, დ. უზნაძის აზრით, ილუზიის საფუძველი არა მოტორული განწყობის ნიადაგზე წარმოშობილი „აფრენისა“ და „დასაყრდენზე მიწებების“ განცდაში უნდა ვეძებოთ,

¹ გრ. ხ მ ა ლ ა დ ე, მოცულობის ილუზია, გვ. 77.

² დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიისათვის, კრებ. მასალები, ტ. I, გვ. 8.

³ მისივე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპ. საფუძვლები, გვ. 13.

როგორც ეს უცხოურ ფსიქოლოგიაშია მიღებული, არამედ ზოგადში — პიროვნების მთლიან მდგომარეობაში, რომელსაც სუბიექტზე მოქმედი გამლიზიანებელი (ამ შემთხვევაში წინასწარ ცდებში მიწოდებული უტოლო სიდიდეები) იწვევს მასში. რადგან ილუზიები არა მარტო კუნთურ არეში (სიმძიმის შედარებისას), არამედ ჰაბტურ, ოპტიკურ, სმენითსა და წნევის არეშიც ერთნაირი კანონზომიერებით იჩენს თავს, მას არა მოტორული ან სხვა პერიფერიული ცვლილება, არამედ სუბიექტში რაღაც ცენტრალური წარმოშობის მთლიან-პიროვნული ცვლილება უნდა განაპირობებდეს და ამ ერთიანი ცენტრალური ცვლილების საფუძველზე ყოველ კერძო შემთხვევაში ერთნაირი კანონზომიერებით განსაზღვრავდეს ცალკეულ ილუზიას. ამ მთლიან-პიროვნულ ცვლილებას შეიძლება განწყობა ეწოდოს, მაგრამ განწყობა არა მოტორული, ან რაიმე სხვა სენსორული ორგანოსი, არამედ როგორც მთლიანი სუბიექტის განწყობა გარკვეულ აქტივობისადმი მზაობის სახით, რაც, როგორც ფაქტებიდან ჩანს, ყოველ კონკრეტულ ილუზიას ერთნაირი კანონზომიერებით განსაზღვრავს.

განწყობის, როგორც ცენტრალურის, ზოგადსუბიექტური მოვლენის დასაბუთებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ირადირებულობის ექსპერიმენტულად დადასტურებულ ფაქტს. ჯერ კიდევ ბ. ხაჰაურიძის ცდებით დადასტურდა შემდეგი: საგანწყობო ცდებით ცდის პირს ერთ ხელში რომ უტოლობის განწყობა შეეუქმნათ და შემდეგ კრიტიკული ცდები მეორე ხელზე ჩავეუტაროთ ტოლი ობიექტებით, ილუზიები აქაც იჩენს თავს (უპირატესად კონტრასტული ილუზიები). ამ ცდებით დადასტურდა, რომ მარჯვენა ხელის მეშვეობით ფიქსირებული უტოლობის განწყობა მარცხენა ხელით ტოლ სიდიდეთა ილუზიურ განცდაში ელინდება და, პირიქით¹. უფრო მეტიც, ნ. ადამაშვილის გამოკვლევით² ისიც დადასტურდა, რომ ჰაბტურის გზით შემუშავებული უტოლობის განწყობა ოპტი-

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. გვ. 27—28.

² ნ. ადამაშვილი, განწყობის ილუზიის ინტერმოდალური ტრანსპოზიცია. თსუ „შრომები“, ტ. XVII, 1940, გვ. 173, 183.

კურსა და კუნთურ არეში იჩენს თავს, ოპტიკურის გზით შემუშავებული განწყობა ჰაპტურსა და კუნთურ არეში. ხოლო კუნთურის გზით შემუშავებული განწყობა კი ჰაპტურსა და ოპტიკურ არეში ელინდება, ამავე დროს, ყველგან უპირატესად კონტრასტული ილუზიების სახით.

აქ. ავალიშვილის გამოკვლევით დადასტურდა განწყობის მოქმედების ინტერმოდალური ერთიანობისა და კონსტანტობის ფაქტიც¹,—რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთსა და იმავე სუბიექტში სხვადასხვა სენსორული არეების მეშვეობით შექმნილი უტოლობის განწყობა ილუზიების გამოვლენის დაახლოებით ერთნაირ კანონზომიერებას ავლენს.

ამრიგად, ზუსტი და უდავო ექსპერიმენტული ფაქტების ნიადაგზე. უარყოფილ იქნა უცხოურ ფსიქოლოგიაში გავრცელებული ე. წ. მოტორული განწყობისა და აგრეთვე სენსორული განწყობის მცდარი თეორიები და დასაბუთებულ იქნა აზრი იმის შესახებ, რომ ამ ილუზიებს ერთიანი საფუძველი მოეძებნება, საფუძველი, რომლის მიხედვითაც შარპანტიეს ილუზიის ყველა ცნობილ ანალოგს და ქართველ ფსიქოლოგთა მიერ დადასტურებულ ილუზიებს განწყობა უდევს საფუძველად. ეს განწყობა სუბიექტის ცენტრალური მთლიანპიროვნული მდგომარეობაა და არა პერიფერიული, ცალკე ლოკალური ან სენსორული ფაქტი, როგორც ეს იდეალისტური და მექანიკური თეორიების მიხედვით იგულისხმებოდა.

ცნობილია, რომ ადამიანი მრავალფეროვანი მოთხოვნების მატარებელია და მათ შორის კულტურულ-თეორიული სახის მოთხოვნილებებისაც. როცა ცდის პირის საგანწყობო ცდებში ორი სიდიდის შედარებას ავალევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მას „ქვეშარიტების წვდომის“ მოთხოვნილება უჩნდება, ე. ი. სურს ამ სიდიდეთა შორის ობიექტურად არსებულ მიმართებას წვდეს. როცა ამ მოთხოვნილების მატარებელ სუბიექტზე ორი უტოლო სიდიდე მოქმედებს, ისინი მასში აისახება როგორც ობიექტური უტოლო სიტუაცია და გარკვეული უტო-

¹ აქ. ავალიშვილი, განწყობის ტიპის ინტერმოდალური კონსტანტობის საკითხისათვის. თსუ „შრომები“, ტ. XVII, გვ. 155.

ლობის განწყობას იწვევს. ხანგრძლივი განმეორების შემდეგ ეს განწყობა ფიქსირდება, ე. ი. ხელახალ, ადვილად აქტუალიზაციის ძალას იძენს. ამის შემდეგ კრიტიკულ ცდებში, როცა სუბიექტზე ამ უტოლობის განწყობის მკვეთრად შეუფერებელი ტოლი ობიექტები მოქმედებენ, ეს განწყობა ირღვევა და საწინააღმდეგო განწყობას წარმოშობს. ვთქვათ, თუ საგანწყობო ცდებში სუბიექტს მარჯვნივ დიდის განწყობა გაუფიქსირდა, მისი რღვევის შედეგად წარმოიშობა საწინააღმდეგო განწყობა — მარცხნივ დიდის განწყობა. სწორედ ეს საწინააღმდეგო განწყობაა, რომ კრიტიკულ ცდებში ტოლ სიდიდეთა ილუზიურად განცდას — ამ ახალი განწყობის მიმართულებით ასიმილაციის სახით — განაპირობებს. ამრიგად, როცა კონტრასტული ილუზიის შესახებაა მსჯელობა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი წინამორბედი განწყობის მიმართ არის კონტრასტული ილუზია. თორემ ნამდვილად. მოცემულ მოენტში, იგი წინამორბედი განწყობის რღვევის შედეგად წარმოშობილი ახალი საწინააღმდეგო განწყობის ასიმილაციური მოქმედების შედეგს წარმოადგენს. აქტუალური განწყობა ყოველთვის ასიმილაციურად მოქმედებს. განწყობის მოქმედებისა და ურთიერთშეცვლისას ეს კანონი დ. უზნაძის მიერ ჯერ კიდევ 1930 წლისათვის იყო ჩამოყალიბებული¹. ამ გამოკვლევაში სათანადო ექსპერიმენტებით ისიცაა დადასტურებული, რომ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული უტოლობის განწყობა იმ შემთხვევაში, როცა საგანწყობო ცდებში სიდიდეთა შორის დიდი სხვაობა არ არის, კრიტიკულ ცდებში ტოლ სიდიდეთა ილუზიურ აღქმას პირდაპირ ასიმილაციურის მიმართულებით განაპირობებს. იმის კვალობაზე კი, თუ რამდენად მატულობს სიდიდეთა სხვაობა საგანწყობო ცდებში, რამდენად გამოკვეთილი და გარკვეულია უტოლობის განწყობა, კონტრასტული ილუზიებიც, ე. ი. კრიტიკულ ცდებში საწინააღმდეგო განწყობის მიმართულებით გადახრა, მეტადაა წარმოდგენილი. ამრიგად, განწყობის ცვლის კანონი შემდეგში მდგომარეობს: „რო-

¹ Д. Узнaдзe, К вопросу об основном законе смены установки, журн. „Психология“, 1930, вып. III, т. III, стр. 316—335.

დესაც ჩვენზე აქტუალური განწყობის (საგანწყობო ცდებში ფიქსირებული უტოლობის განწყობის — ა. კ.) შეუფერებელი გაპლიზიანებული მოქმედებს, განწყობა ირღვევა და მის ადგილს გარდამავალი მდგომარეობა იკავებს, როშელიც გამლიზიანებლის ასიმილაციას საწინააღმდეგო განწყობის მიმართულებით ახდენს და შემდეგ თავის ადგილს „ინდიფერენტულ“ მდგომარეობას უთმობს, რომლის ნიადაგზეც გამლიზიანებლის ადექვატური აღქმა ხდება. არსებული განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით გადახრა მით უფრო თვალსაჩინო და აქტუალურია, რაც მტკიცე და გარკვეულია თვით ის განწყობა, რომელიც ირღვევა¹. მაშასადამე, მტკიცე და გარკვეული უტოლობის ფიქსირებული განწყობის რღვევის შედეგად წარმოიშობა საწინააღმდეგო მიმართულების განწყობა და გამლიზიანებლის ამ განწყობის მიმართულებით ასიმილაცია რომ ხდება, ეს ისაა, რაც კონტრასტული ილუზიის ფაქტად იწოდება. ვიმეორებთ, ეს ილუზია კონტრასტულია წინამორბედი დარღვეული განწყობის მიმართ, მაგრამ ასიმილაციურია რღვევის შედეგად წარმოშობილი ახალი განწყობის მიმართ. ერთი სიტყვით, ილუზიის კონტრასტულობა პირობითი ცნებაა ამ შემთხვევაში; განწყობა ყოველთვის ასიმილაციურად მოქმედებს.

როგორც აღვნიშნეთ, წონის ილუზიის, შარპანტიეს ილუზიისა და მისი ანალოგების ასახსნელად უცხოურ ფსიქოლოგიაში წამოყენებული იყო ე. წ. „გაცრუებული მოლოდინის“ თეორია. ამ თეორიის არსი შემდეგში მდგომარეობს: შარპანტიეს ილუზიის შემთხვევაში ცდის პირი ორ მკვეთრად განსხვავებულ სიდიდეს რომ ხედავს, სანამ მას აწევდეს, განსხვავებული სიმძიმის განცდის მოლოდინი უჩნდება, სახელდობრ, რომ დიდი უფრო მძიმე უნდა იყოს, ვიდრე პატარა. ანალოგიურად ამისა, თანაბარი სიდიდეებისა და მკვეთრად განსხვავებული სიმძიმეების ხშირი აწევის შემთხვევაში (საგანწყობო ცდებში) ცდის პირი ელოდება მსგავსი სიდიდეების

¹ დ. უზნაძე, განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი, მასალე-ბი... ტ. 1. გვ. 57—58.

აწვევისას ერთი (ვთქვათ, მარჯვენა) უფრო მძიმე იქნება და მეორე (ვთქვათ, მარცხენა) უფრო მსუბუქი. ხოლო ამის შემდეგ მის ხელში რომ ტოლი სიმძიმეები აღმოჩნდება, ცდის პირი მოლოდინის გაცრუების ნიადაგზე სიმძიმეებს ილუზიურად გადაათვასებს. იმ ხელში, რომელშიც უფრო მსუბუქის მოლოდინი ჰქონდა, მოლოდინის გაცრუების ნიადაგზე სიმძიმეს საწინააღმდეგო მიმართულებით — უფრო მძიმედ გადაათვასებს. ხოლო იმ ხელში, რომელშიც უფრო მძიმეს მოლოდინი ჰქონდა, ამავე საფუძველზე საწინააღმდეგო მიმართულებით — უფრო მსუბუქად შეათვასებს.

ერთი შეხედვით ეს თეორია შედარებით დამაჯერებელია და კონტრასტული ილუზიის ფაქტს ყველა სენსორულ არეში. იგი სადაც არ უნდა დადასტურდეს, გასაგებს გახდის. მაგრამ ასიმბალანსური ილუზია მისთვის გაუგებარი იქნებოდა. ამ თეორიის ძირითადი მანკი ისიცაა, რომ ილუზიის — როგორც ცალკეული ფსიქიკური ფენომენის ახსნას, ისე ცალკეული ფსიქიკური პროცესით — მოლოდინის განცდის ფაქტით ცდილობს და არა „ცოცხალი ინდივიდით“, მთლიანი პიროვნების — სუბიექტის მდგომარეობით, სუბიექტისა, რომელიც ორივე ამ ცალკეული პროცესების მატარებელია.

ამოდიოდა რა იმ პრინციპული დებულებიდან, რომ ყოველი ცალკეული ფსიქიკური ფენომენი ამ ფენომენების მატარებელი „ცოცხალი ინდივიდის“, სუბიექტის მდგომარეობით უნდა აიხსნას, დ. უზნაძემ სამართლიანად შეიტანა ექვი ამ თეორიის სისწორეში და განწყობის ფსიქოლოგიაში კლასიკურად აღიარებული მარტივი ექსპერიმენტის ნიადაგზე დაასაბუთა აღნიშნული თეორიის მცდარობა. ამ ექსპერიმენტის არსი შემდეგში მდგომარეობს: ჰიპნოზური ძილის მდგომარეობაში ცდის პირზე ტარდება საგანწყობო ცდები, მას აწვდიან ერთ ხელში დიდსა და მეორეში — პატარა ბურთს დავალებით, შეადაროს ისინი ერთმანეთს. ასეთი ცდების საკმაოდ რაოდენობით განმეორების შემდეგ ცდის პირს შთააგონებენ დაივიწყოს ყველაფერი ის, რაც მან განიცადა და შემდეგ იგი გაჰყავთ მეორე ოთახში. აქ მას აღვიძებენ და გამოკითხვის შედეგად დასტურდება, რომ მას მართლაც არაფერი ახსოვს

ჰიპნოზურ ძილში მასზე ჩატარებული საგანწყობო ცდების შესახებ და, მაშასადამე, არაერთი მოლოდინის განცდა აქ არ არის შესაძლებელი „უტოლო“ ბურთების მიწოდების შესახებაც.

ამის შემდეგ მასზე ატარებენ კრიტიკულ ცდებს ორივე ხელში ტოლი ბურთების მიწოდებით. შედეგი აქაც იგივე აღმოჩნდა., როგორც სხვა შემთხვევაში. იმ ხელში, რომელშიც ცდის პირს ჰიპნოზურ ძილში დიდი ბურთი ეძლეოდა, ბურთი უფრო პატარად ეჩვენება, ხოლო იმ ხელში, რომელშიც პატარა ეძლეოდა, უფრო დიდად¹.

ამ ფაქტიდან აშკარად ჩანს, რომ ილუზია იქაც ანალოგიური ენაობრივებით ენს თავს, სადაც მოლოდინზე ლაპარაკი არ შეიძლება და, ამრიგად, მოლოდინისა და საერთოდ ცალკეული განცდადი ფსიქიკური ფენომენების აღიარება შემთავსებელი ილუზიების საფუძვლად, ფაქტიურად მცდარია და ყველაფერი ფსიქოლოგიის ყალბი წანამძღვრიდან მომდინარეობს, სპეკულაციურ, იმ წანამძღვრიდან, რომლის მიხედვითაც

თქვან ცალკეული განცდადი ფსიქიკური პროცესები უშუალოდ გავლენას ახდენენ ურთიერთზე და უშუალოდ განაპირობებენ ურთიერთს, პიროვნების — სუბიექტის მთლიანი მდგომარეობის რაგვიარობის გარეშე.

ამრიგად, ამ ექსპერიმენტებით უარყოფილ იქნა „გაცრუებული მოლოდინის“, ერთის შეხედვით, შედარებით დამაჯერებელი თეორიაც და ილუზიების საფუძვლად განწყობა, როგორც პიროვნების მთლიანი მდგომარეობა, იქნა აღიარებული. ამ ცდების მნიშვნელობა შემდეგ გარემოებაშიაც მდგომარეობს: უდავოდ დამტკიცდა, რომ განწყობა არ წარმოადგენს ჩვეულებრივ განცდად — ცნობიერ, ცალკეულ ფსიქიკურ მოვლენას — ფსიქიკის ჩვეულებრივ შინაარსს. განწყობა ფსიქიკის განვითარების ცნობიერებამდელი საფეხურია, რომელიც განცდადობას — ცნობიერებას მოკლებულია: მაგრამ ეს ცნობიერებამოკლებულობა მას ხელს არ უშლის გადამწყვე-

¹ დ. უ ზ ა ძ ე. პოსტ-ჰიპნოზური შთაგონების თეორიისათვის, ფუნქციონალური ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები. ტ. 1, 1936.

ტი გავლენა იქონიოს პიროვნების ცალკეული განცდადი ფსიქური ფენომენების მიმდინარეობის რაგვარობაზე.

რაკი დადასტურდა, რომ ზემოთ აღწერილი ილუზიების საფუძველი განწყობაა — როგორც სუბიექტის ზოგადი, მთლიანპიროვნული მდგომარეობა, ამის შემდეგ ეს მეცნიერული მონაპოვარი განწყობის კვლევის ნაყოფიერ მეთოდურ გასაღებად იქნა გამოყენებული; განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ილუზიების მიმდინარეობის რაგვარობა ამ ილუზიების ქვემდებარე განწყობის რაგვარობის ექსპერიმენტული შესწავლის ნაყოფიერ საშუალებად იქნა გამოყენებული¹.

ამ მეთოდით განწყობის შესწავლის საფუძველზე პირველად ბ. სპანაურიძის გამოკვლევით (სიმულტანური შედარებითი ცდებით) ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების ფაზური ხასიათი დადასტურდა². განწყობის მოქმედების ფაზური ხასიათის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განწყობის კვლევის ისტორიაში. განსაკუთრებით კი ოდენობით მიმართებაზე განწყობის კვლევის საქმეში. ამის შემდეგ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის სხვადასხვა მიმართულებით და პირობებში (მათ შორის ქარაქტეროლოგიური, ფსიქოპათოლოგიური კვლევის პროცესში) განწყობის ფაზური მოქმედების რაგვარობის დადგენას.

განწყობის ფაზური მოქმედების მიხედვით იმთავითვე დადგინდა განწყობის მოქმედების ნაირსახეობანი, კერძოდ სტატიკური და დინამიკური განწყობის, პლასტიკური და ტლანქი განწყობის ნაირსახეობანი: სტატიკურობა და დინამიკურობა. პლასტიკურობა და სიტლანქე ამა თუ იმ პირობებში და სხვადასხვა სუბიექტში მოქმედი განწყობის ნიშნებად იქნა აღიარებული.

ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის კვლე-

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიისათვის, მასალები, ტ. I, გვ. 15.

² ბ. სპანაურიძე, განწყობათა ურთიერთშეცვლის ფაზური ხასიათი, მასალები, ტ. I, გვ. 97.

ვის პროცესში ზ. ხოჯავას გამოკვლევით¹ ის უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტიც დადასტურდა, რომ განწყობა არა მარტო ცალკეული უტოლო ფიგურების მიმართებაზე იქმნება, არამედ საზოგადოდ მიმართებაზე, ე. ი. კონკრეტული ფიგურალური მასალის მიმართების აბსტრაქციის ნიადაგზეც. ზ. ხოჯავას გამოკვლევით ისიც დადგინდა, რომ აბსტრაქტულ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა, საერთოდ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების ზოგად კანონზომიერებას ემორჩილება; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას შედარებით დაბალი აღზნებადობა და სიმტკიცე ახასიათებს. მისივე გამოკვლევით ფიქსირებულ განწყობას გენერალისაციის ახასიათებს და ეს გენერალისაციის ფაქტია ის, რაც კონკრეტულ ფიგურათა შედარების დროს მიმართების აბსტრაქციასა და ამ აბსტრაქტულ მიმართებაზე განწყობის ფიქსირებას ედება საფუძვლად.

რ. ნათაძემ შეისწავლა წარმოდგენის საშუალებით (სიტყვის მეშვეობით) ოდენობით მიმართებაზე განწყობის შემუშავებისა და მისი რაგვარობის საკითხი² და დაადასტურა უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტი; ამ ფაქტის მიხედვითაც განწყობა წარმოდგენის — სიტყვის მეშვეობითაც ფიქსირდება და, რაც მთავარია, ამ შემთხვევაშიც გარკვეულ ზოგად კანონზომიერებას ემორჩილება, რომელიც, საერთოდ, ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ამ კონკრეტულ ვითარებაში განწყობას სპეციფიკური თავისებურებაც აღმოაჩნდა. კერძოდ, იგი ამ შემთხვევაშიც ნაკლები აღზნებადობითა და სიმტკიცით ხასიათდება. ამ გამოკვლევამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა. საერთოდ, ადამიანის განწყობის სპეციფიკის დადგენის საქმეში და, განსაკუთრებით, ობიექტივაციის ცნების ჩამოყალიბებაში, ობი-

¹ ზ. ხოჯავა, ფიგურის ფაქტორი განწყობის მოქმედებაში, თ. ს. უ. შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ. 51; მისივე, განწყობის მოქმედება მასალის აბსტრაქციის პირობებში, იქვე, ტ. IX, გვ. 187.

² რ. ნათაძე, წარმოდგენით გამოწვეული ფიქსირებული განწყობის საკითხისათვის. ფსიქოლოგია, 1942. ტ. I, გვ. 1.

ექტივაციის ცნებისა, რომელიც დ. უზნაძემ განწყობის კვლევის უკანასკნელ ეტაპზე განავითარა.

რ. ნათაძემ წარმოდგენით ფიქსირებული განწყობის საფუძველზე სასცენო გარდასახვის უნარის ტიპოლოგიური განსხვავების ნაყოფიერი კვლევაც სცადა და ამ მხრივ, საზოგადოდ განწყობის ცნების გამოყენების საფუძველზე, მსახიობ-შემოქმედთა პიროვნული ტიპოლოგიური თავისებურების დადგენის უდავო და შორამწვდომი შესაძლებლობა დაადასტურა¹. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ შემოქმედების სხვა სფეროში ანალოგიური კვლევა უდავოდ საინტერესო და ნაყოფიერი შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი რამ ჯერ არ ჩატარებულა.

როგორც ვიცი, განწყობა საერთოდ ასიმილაციურად მოქმედებს და ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა რომ კონტრასტულ ილუზიებში ვლინდება, ეს წინამორბედი განწყობის, რღვევის შედეგად წარმოშობილი საწინააღმდეგო განწყობის ასიმილაციური მოქმედების შედეგია. კონტრასტული ილუზიის განწყობის ასიმილაციით განპირობებულობა ამ შემთხვევაში საკმაოდ საფუძველიანი, მაგრამ მარცხ თეორიული მოსაზრებაა, რომელიც ექსპერიმენტულად აქ ნათლად არ ჩანს.

განწყობის კვლევის ახალ, დიდმნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს რომელობით მასალაზე მისი კვლევა, რაც განსაკუთრებით ცხადად ზ. ხოჯავას მიერ გამოყენებული ე. წ. „ნეიტრალური შრიფტის“ ორიგინალური მეთოდით განწყობის შესწავლაში დადასტურდა². კერძოდ, დადგინდა, რომ განწყობა ამ შემთხვევაში უდავოდ ასიმილაციურად მოქმედებს, რომელობით მასალაზე განწყობამ სხვა მოქმედება არ იცის. დადგინდა ისიც, რომ განწყობის მოქმედება ამ შემთხვევაში არაა ყოველთვის ფაზური ხასიათისა. განწყობის ფაზური მოქმე-

¹ რ. ნათაძე, წარმოდგენით შექმნილი ფიქსირებული განწყობა და სასცენო გარდასახვის უნარი, ფსიქოლოგია, ტ. III, 1945, გვ. 319.

² ზ. ხოჯავა, განწყობის როლი ჩვევის შეუშავებლობა და გამოვლენის საქმეში, ფსიქოლოგია, ტ. I, გვ. 13; მისივე, განწყობის სიმტკიცე და ფაზური ხასიათი კითხვის ჩვევის მოქმედებაში, ფსიქოლოგია, ტ. III, 1945, გვ. 509.

დება რომელობით მასალაზე მისი მოქმედების არსს არ წარმოადგენს, თუმცა გარკვეულ პირობებში იგი ამ შემთხვევაშიც დასტურდება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზ. ხოჯავას მიერ გამოყენებული ე. წ. „ნეიტრალური შრიფტის“ მეთოდი, საყოველთაო აღიარებით, განწყობის კვლევის უდიდეს მეთოდურ მონაპოვარს წარმოადგენს¹. ჩვენი აზრით, ეს მეთოდი გასცდა განწყობის კვლევის ჩვეულებრივ „განწყობის ილუზიის“ მეთოდს და განწყობის კვლევას არა ილუზიურს, არამედ ადექვატური აღქმის სფეროში ასორციელებს. ამასთანავე იგი იმ უპირატესობასაც ინარჩუნებს, რომ კრიტიკულ ცდებში განწყობის, როგორც სუბიექტის მდგომარეობის, აშკარა მოცემულობასთან გვაქვს საქმე.

რომელობით მასალაზე განწყობის კვლევის ეს ორიგინალური მეთოდი, როგორც ცნობილია, დიდი წარმატებით იქნა გამოყენებული უაღრესად რთული საკითხის — ჩვევის პრობლემის — გადაწყვეტისა და, აგრეთვე, განწყობის ფიზიოლოგიური სადოქტორო ძიების საქმეში².

რომელობით მასალაზე განწყობის კვლევას აწარმოებდნენ აგრეთვე ნ. ელიავა და შ. ჩაარტიშვილი; ამ შემთხვევაში განწყობის კვლევა თუმცა რომელობით მასალაზე იყო აგებული, მაგრამ მაინც ილუზიებას მეთოდით მიმდინარეობდა; მიუხედავად ამისა, განწყობის ასიმბლაციური მოქმედების ფაქტი და თავისებური ფაზური მოქმედების ხასიათი ამ გამოკვლევებითაც დადასტურდა.

• •

განწყობის ხანგრძლივი ექსპერიმენტული შესწავლის ნიადაგზე დადასტურდა, რომ განწყობის როგორც მთლიანპიროვ-

¹ იხ. დ. უზნაძის, ა. ბოქორიშვილის, რ. ნათაძისა და ი. ბეალავას რეცენზიები ზ. ხოჯავას სადოქტორო დისერტაციაზე „ჩვევის პრობლემა ფსიქოლოგიაში“, 1952 (ხელნაწერი).

² З. Ходжава, Проблема навыка в психологии. (Автореферат докторской диссертации, 1952).

წული ცვლილების „ბუნება და შიშდინარეობა იმდენად სპეციფიკურია, რომ მის შესასწავლად არც ფსიქიკურის ჩვეულებრივი ცნებები და კანონზომიერებანი გამოდგება და არც ფიზიოლოგიურის“¹.

მართლაც, ცნებები და კანონზომიერებანი, რომლებიც განწყობის ექსპერიმენტული კვლევის შედეგადაა დადგენილი (დინამიკურობა, სტატიკურობა, პლასტიკურობა, სიტლანქე, ფაზური მოქმედება, ირადიაცია, კონსტატობა და სტაბილობა, გენერალიზაცია და დიფერენციაცია, ფიქსირებულობა, აგზნებადობის სისუსტე და სიძლიერე, ინტერმოდალური კონსტანტობა, ლაბილობა, ვარიაბილობა და სხვა), ისეთი ცნებებია, რომლებიც ტრადიციულ ფსიქოლოგიაში არ გვხვდება და არც შეიძლება შეგვხვდეს ცალკეული ფსიქიკური პროცესების შესწავლისას; მაგრამ ამ ცნებებს, როგორც ეს ცალკეული ფსიქიკური პროცესების კვლევის პრაქტიკამ დაადასტურა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ამ ცალკეული განცდადი ფსიქიკური პროცესების გაგების საქმეში, რომლებიც კონკრეტული პიროვნების გარკვეული განწყობის ნიადაგზე გამოვლინდებიან. აღნიშნული ცნებები „ფსიქიკურის ჩვეულებრივი“ ცნებები არ არის, მაგრამ ისეთი ცნებებია, რომელნიც (ყოველ შემთხვევაში ზოგი მათგანი) ხშირ შემთხვევაში ფიზიოლოგიურის დასახასიათებლადაც გამოიყენებიან (ირადიაცია, გენერალიზაცია, დიფერენციაცია, აგზნებადობა და სხვ.). ეს გასაგებიცაა, ვინაიდან განწყობა სუბიექტის მთლიანი მდგომარეობაა და, მაშასადამე, ამავე დროს მისი ორგანიზმის — ნერვული სისტემის მდგომარეობაც. განწყობის ფსიქოლოგიური დახასიათებისას რიგ შემთხვევებში სწორედ ის ცნებებიც იქნა გამოყენებული. რომლებიც ფიზიოლოგიურის — ცენტრალური ნერვული სისტემის — დასახასიათებლად გამოიყენება. ისიც ბუნებრივია, რომ განწყობის ობიექტური მეთოდით კვლევის შედეგად დადგენილი ცნებანი და დადასტურებული კანონზომიერებანი ხშირ შემთხვევაში ემთხვევა და „ეფარება იმ ფიზიო-

¹ დ. უზნაძე, განწყობის თეორიის ძირითდი დებულებები, თ. ს. უ. შრომები, ტ. XIX, 1941, გვ. 24.

ლოგიურ ქარგას“, რომელიც ცენტრალური ნერვული მოქმედების შესახებ აკადემიკოს ი. პავლოვის თბიქტური მეთოდით კვლევის შედეგადაა დადასტურებული.

უფრო მეტიც. როგორც ი. ხოჯავასა და ი. ბჟალავას გამოკვლევებით დასტურდება (განსაკუთრებით ი. ბჟალავას ფსიქოფიზიოლოგიური კვლევით), არც ის მდგომარეობაა შემთხვევითი, როცა განწყობის „კონკრეტული“ ფიზიოლოგიური საფუძველი ტვინის ქერქის სისტემურ მოქმედებაში, ე. წ. დინამიკურ სტერეოტიპში, უნდა ვეძიოთ, რომელიც დიდი რუსი ფიზიოლოგის აკადემიკოს ი. პავლოვის მოძღვრების ერთ-ერთ ფუძემდებლურ ცნებას წარმოადგენს¹.

განწყობის ფაქტის აღმოჩენა, განწყობის ცნების დამუშავება იმთავითვე გათვალისწინებული იყო როგორც ცალკეული განცდადი ფსიქიკური ფენომენების ქვემდებარე საფუძველი და, მაშასადამე. განწყობის ცნება ამხსნელ ცნებადაა ნავარაუდევი; ამ ცნების მომარჯვებით გასაგები უნდა გახდეს განცდადი ფსიქიკური ფენომენების მიმდინარეობის რაგვა-რობა.

საქართველოში დღემდე ამ მიმართულებით საკმაო კვლევა ჩატარებული: თანამიმდევარი კვალის—ოპტიკური ხატის შესწავლა ი. ბჟალავას მიერ, ხასიათის პრობლემის დამუშავება ვ. ნორაკიძის მიერ, აზროვნებისა და მეტყველების ზოგიერთი საკითხის კვლევა დ. რამიშვილის მიერ, ყურადღებისა და განსაკუთრებით პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხების დამუშავება ა. მოსიავეას და აკ. ავალიშვილის მიერ, მესხიერებისა— ა. ფრანგიშვილისა და ე. კეცერაძის მიერ, ბავშვის ფსიქოლოგიის ცალკეული საკითხების დამუშავება ფ. ხუნდაძის მიერ და სხვა.

კერძოდ, უნდა აღინიშნოს განწყობის ცნების უდავოდ ნაყოფიერი გამოყენება ურთულესი ფსიქოლოგიური პრობლემის—ხასიათისა და დიფერენციალური ფსიქოლოგიური პრობ-

¹ ი. ბ. ხ. ჯ. ა. ფიქსირებული განწყობა და დროებითი კავშირების შექანინში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. XIV, № 6, 1953, გვ. 375. მისივე, ფიქსირებული განწყობა და ტვინის დიდი ჰემისტერების სისტემურობა, „მოამბე“, 1953, № 10, გვ. 635.

ლემების კვლევის საქმეში, რაც ვლ. ნორაკიდის გამოკვლევებით დასტურდება.

ნაყოფიერი აღმოჩნდა, აგრეთვე როგორც ი. ბეალავას, ისე მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული მუშაობა ფსიქოპათოლოგიურ კვლევა-ძიებაში განწყობის ცნების გამოყენების მიმართულებით. უფრო მეტიც: ამ კვლევა-ძიებით დასტურდება, რომ განწყობის კვლევის მეთოდს რიგ ფსიქიკურ დაავადებათა მიმართ დიაგნოსტიკური მნიშვნელობაც კი აღმოაჩნდა¹. ჩვენ მიზანს არ შეადგენს ამ გამოკვლევათა განხილვა. ისინი სათანადოდ განხილული და შეფასებულია აკად. დ. უზნაძის ვრცელ მონოგრაფიაში². აღსანიშნავია მხოლოდ ის ფაქტი, რომ განწყობის, როგორც ამხსნელი ცნების, საფუძველზე ცალკეული განცდადი—ფსიქიკური ფენომენების შესწავლამ უდავოდ დაადასტურა კვლევის ნაყოფიერება ამ ცნების გამოყენებით, ხოლო ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული ფაქტები და დადგენილი კანონზომიერებანი ახალი მიმართულებით კვლევის წარმართვის ნაყოფიერ პერსპექტივას შლიან და განწყობის დღემდე უცნობი ნიშნებისა და კანონზომიერებების ძიების აუცილებლობაზე მიგვითითებენ, რათა კონკრეტული კვლევის ნიადაგზე დაზუსტდეს და კრიტიკულად განვითარდეს ყოველივე ის, რაც დღემდე დადგენილი განწყობის პრობლემატიკის კვლევაში.

როგორც ვიცით, განწყობა არა მხოლოდ ადამიანის, არამედ, საერთოდ, ცოცხალი ორგანიზმის მდგომარეობას წარმოადგენს. იგი ფსიქიკის განვითარების ის საფეხურია, რომელიც ცხოველისათვისაც არის დამახასიათებელი. პროფ. ნ. ვოიტონისის, ნ. ადამაშვილისა და ნ. ჭრელაშვილის ცნობილი ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ განწყობა ადამიანისმაგვარ მაიმუნებსა და უფრო დაბალ ცხოველებშიც წარმოიშობა და მოქმედებს. ამ მოქმედებაში საერთო კანონ-

1 ი. ბეალავა, ფიქსირებული განწყობის დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ისტერიისა და ეპილეფსიის გამოყენებისათვის, ფსიქოლოგ. ტ. III, 1945, გვ. 63.

2 დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, ტ. VI, 1949, გვ. 172.

ზომიერებაც დასტურდება, სასელდობრ, ის, რაც ცხოველს ადამიანთან ერთად ახასიათებს და ისიც, რაც მხოლოდ ცხოველისათვის და, კერძოდ, მეტყველებისა და აზროვნების უნარ-მოკლებული არსებისათვისაა დამახასიათებელი.

ადამიანის განწყობა, ისევე როგორც ცხოველისა, მოთხოვნილების კონკრეტული სიტუაციის ასახვის ნიადაგზე წარმოიშობა. მაგრამ, როგორც ვიცით, ადამიანის მოთხოვნილებანი უფრო მრავალფეროვანია. ადამიანს კულტურულ-თეორიული, მორალური და სხვა სოციალური მოთხოვნილებანი გააჩნია, რაც უცხოა არასოციალური არსებისათვის, ცხოველისათვის. ადამიანის შემთხვევაში ბიოლოგიურ-ვიტალური მოთხოვნილებანიც კი სოციალიზირებულია და, მაშასადამე, ადამიანის საფეხურზე საკმაოდ სხვაგვარია ვიტალური მოთხოვნილებანი, ვიდრე ცხოველებთან. ამიტომ განწყობის მოქმედების ის საფეხური, რომელიც ადამიანს ცხოველთან საერთო აქვს, სხვაგვარი უნდა იყოს ადამიანის შემთხვევაში; იგი უდავოდ ადამიანის. როგორც სოციალური არსების. დაღს უნდა ატარებდეს. მაგრამ ამასთან ერთად ადამიანის განწყობისათვის ისეთი სპეციფიკური მომენტიც არსებობს, რომელსაც ცხოველთა სამკვიდროში ვერ შევხვდებით.

როგორც დ. უზნაძე მიუთითებს (ამ საკითხზე არსებულ ყველა გამოკვლევაში), ცხოველი აქტუალური მოთხოვნილებებით ცხოვრობს. საკმარისია ცხოველს რაიმე აქტუალური მოთხოვნილება გაუჩნდეს და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციაში მოხდეს, მას უთუოდ სათანადო განწყობა შეექმნება და ეს განწყობა, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, უშუალოდ ქცევაში რეალიზირდება. ადამიანის შემთხვევაში კი ასე არ ხდება. ადამიანი აქტუალურ მოთხოვნილებებს თავის მრავალფეროვან მოთხოვნილებებს უპირისპირებს და აქტუალური მოთხოვნილების სატუაცია მასში უშუალოდ გარკვეულ ქცევისადმი მზაობის განწყობას არ იწვევს: სანამ ადამიანს აქტუალურ სიტუაციაში ქცევისადმი მზაობის განწყობა შეექმნებოდეს, იგი ჯერ გაიზრდება—წარმოისახავს იმ შედეგს, რაც ასეთ ქცევას შეიძლება მოჰყვეს,— ხომ არ ეწინააღმდეგება იგი მის სხვა უფრო მაღალ მოთხოვ-

ნილებებს, მის ზოგადადამიანურ იდეებს, მოსალოდნელი სომ არ არის დაბალი ღირებულების ქცევა და სხვ. ასეთი გააზრება-გაცნობიერების შემდეგ შეიძლება მასში ამა თუ იმ მოთხოვნილების სიტუაციის ან წარმოსახული სიტუაციის საფუძველზე გარკვეული ქცევისადმი მზაობის განწყობა წარმოიშვას; ანდა ადამიანი აქტუალური მოთხოვნილებისა და ამ მოთხოვნილების სიტუაციის საფუძველზე წარმოშობილი გარკვეული განწყობით მოქმედებს და ამ მოქმედების პროცესში განწყობის რეალიზაცია რაიმე დაბრკოლებას აწყდება. ადამიანი, იმის მაგიერ, რომ დაბრკოლებას გვერდი აუაროს, ან უგუნურად განაგრძოს მოქმედება, შეჩერდება დამაბრკოლებელი სიტუაციის წინაშე, მის ხელასლა განმეორებით აღქმას იწყებს; აქცევს ამ სიტუაციას დაკვირვების და გააზრების ობიექტად, აცნობიერებს სიტუაციას, იკვლევს დაბრკოლების საფუძველს ამ სიტუაციაში. ერთი სიტყვით, სანამ ადამიანი აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციაში ამ სიტუაციის შესატყვის ქცევას მიმართავდეს, იგი თავისი მრავალფეროვანი მოთხოვნილებებისა და ობიექტურ სიტუაციაში არსებული დაბრკოლების ნიადაგზე ამ მოთხოვნილებებისა და დამაბრკოლებელი სიტუაციის ობიექტივაციას ახდენს. ქცევის რეალიზაციის ნაცვლად ჩერდება, გაიზარებს სიტუაციას. ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლო შედეგების მიზანშეწონილებას და ყოველივე ამის საფუძველზე ახალი ქცევის განწყობის განვითარებას უწყობს ხელს. ამრიგად, ადამიანის განწყობა, როგორც სპეციფიკურ-ადამიანური ქცევის განწყობა, გაცნობიერებული მოთხოვნილებებისა და სიტუაციის ობიექტივაციისა და გააზრების ნიადაგზე წარმოიშობა¹.

ცხოველის განწყობა კი აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციის ნიადაგზე წარმოიშობა უშუალოდ, ობიექტივაციისა

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, თავი III, „განწყობა ადამიანთან“. მისივე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 72—73, თავი „ნებელობა“.

და გაცნობიერება-გააზრების გარეშე. ამრიგად, არსებობს ფსიქიკური განვითარების ორი დონე: განწყობის დონე ან პლანი, რომელიც ადამიანთან ერთად ცხოველსაც (თუმცა სხვარიგად) ახასიათებს და მაღალი. თვისობრივად განსხვავებული ობიექტივაციის დონე (ობიექტივაციის საფუძველზე განწყობის გაშლის დონე). რომელიც მხოლოდ მეტყველი, მოაზროვნე და ნებელობით აღჭურვილი არსებისათვის—ადამიანისათვისაა დამახასიათებელი.

ადამიანის შემთხვევაში განწყობის დონე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ქცევის მიმდინარეობისათვისაა დამახასიათებელი; ობიექტივაციის დონეზე კი მხოლოდ მაშინ გვიხდება ავიდეთ, როცა ჩვენს წინაშე რაიმე მეტად თუ ნაკლებად რთული ახალი ამოცანა დგება. რომელიც შესაბამისად ახალ გადაწყვეტას მოითხოვს. ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვხდებით ობიექტივაციასა და აზროვნებას მივმართოთ და ჩვენ ამ გზით მიგნებული განწყობა მოქმედ, აქტუალურ განწყობად ვაქციით (ნებელობა).

ასეთია ადამიანის ფსიქიკის თავისებურება. ესაა, რომ მას ესოღენ მკვეთრად გამოყოფს ცხოველთა სამყაროდან¹.

3. ფიქსირებული განწყობის ცნება

გარკვეული მოთხოვნილების სიტუაციის ასახვის შედეგად წარმოშობილი განწყობა—როგორც ამ სიტუაციაში მიზანშეწონილი ქცევისადმი გარკვეული მზაობა—ყოველთვის აქტუალური მდგომარეობის სახითაა მოკემული. როდესაც ეს აქტუალური განწყობა გარკვეულ ქცევაში რეალიზირდება, ამით განწყობის მოქმედებაც სრულდება და იგი ახალი განწყობით იცვლება.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ერთხელ შექმნილი განწყობა დასრულების შემდეგ აავსებით უკვალოდ ქრება და შემდგომში მას სუბიექტის ქცევაზე არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. რა თქმა უნდა, არა. როგორც ვიცით, განწყობა სუ-

¹ დ. უზნაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 137.

ბიექტის. როგორც მთელის „მოდულიზაცია“, გადასხვაფერება-გადასახლისებაა გარკვეული სიტუაციის შესაფერისად. ასე გადასხვაფერებული სუბიექტის განწყობა გარკვეულ ქცევაში: რეალიზაციით ასრულებს, თავის მოქმედებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე განწყობილი, გადასხვაფერებული სუბიექტი მაინც რჩება როგორც გარკვეულად შეცვლილი სუბიექტი. ასე შეცვლილი სუბიექტი შემდგომ რომ იმავე ან ანალოგიურ სიტუაციაში მოსვდეს. ამ სიტუაციის შესაფერისი განწყობა. ბუნებრივია, შედარებით ადვილად წარმოიშობა. ვიდრე პირველ შემთხვევაში. ამრიგად, ერთხელ წარმოშობილი განწყობა რაღაცნაირად მაინც „რჩება“ სუბიექტში, ასე ვთქვათ. „გაიბჯნება“ პიროვნებაში. სუბიექტში. გარკვეული განწყობის ხელახალი წარმოშობის მომენტში ამ განწყობის მეტ-ნაკლები „გაბჯნა“-ფიქსირება ხდება. რაც იგივე ან მსგავს სიტუაციაში ხელახლა შედარებით ადვილად აქტუალიზირდება. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს: „ერთხელ აქტივირებული განწყობა, საერთოდ რომ ვთქვათ, უკვალოდ არ ქრება — იგი ინარჩუნებს მზაობას ხელახალი აქტუალიზაციისათვის და მაშინვე იჩენს თავს, რა წამს ამის შესაფერი პირობები აღმოცენდება.

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს მზაობა ყოველთვის თანაბარი არაა, უნდა ვიფიქროთ. რომ იგი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სიმტკიცეზე, რომელიც, როგორც წესი, სავანწყობო ექსპოზიციათა რიცხვით გაიზომება. რაც უფრო ხშირად ჰეორდება ეს ექსპოზიციები თვითთელი ცდის პირისათვის მისი ოპტიმუმის ფარგლებში. მით უფრო მტკიცედ ფიქსირდება განწყობა და აქტუალიზაციის მით უფრო ძლიერი უნარი გამომჟღავნდება მასში“¹.

ამრიგად, ფიქსირებული განწყობა. სუბიექტში ხელახალი აქტუალიზაციისადმი მზაობის სახით, მეტ-ნაკლებად განმტკიცებულ განწყობას ეწოდება. განწყობის სიმტკიცე, მაშასადამე, ფიქსირებულობის ხარისხი საერთოდ განწყობის გამეორებაზე—სავანწყობო ცდების გამეორების რაოდენობაზეა დამოკიდებული. გამეორების შედეგად განწყობა იმდენად „აღგზნებული ხდება“, რომ შესაფერ პირობებში შედარებით ადვილად

¹ უზნაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 50.

წარმოიშობა და განწყობის ჩვეულებრივ ცდებში კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობის წარმოშობას უშლის ხელს, სანამ მას მოქმედების ძალა გააჩნია და ამით ილუზიურ აღქმას განაპირობებს.

განმტკიცებელი და, მასასადაამე. ფიქსირებული განწყობა სოც. შემთხვევაში პიროვნებისათვის „დიდი წონის“ სიტუაციის ერთჯერადი ზემოქმედების შედეგადაც შეიძლება გამოვლენად და შემდეგ იმდენად „აღზნებადი“ გახდეს“. რომ წესაფერის პირობებში ადვილად წარმოიშვას. ან ახალი განწყობის წარმოშობას შეუშალოს ხელი.

ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტულ კვლევაში. სწორედ საგანწყობო ცდებში (უტოლო სიდიდეების განმეორებითი ექსპოზიციით). უტოლობის განწყობის განმტკიცება-ფიქსაცია ხდება და შემდეგ ეს უტოლობის განწყობა იმდენად ფიქსირებული, „ადვილად აღზნებადი“ ხდება, რომ მსგავსი და ტოლი სიდიდეების ზემოქმედების დროსაც აქტუალიზირდება, ამ ტოლი სიდიდეების ადექვატური აღქმის განწყობის წარმოშობას ელოდება წინ; იგი განაპირობებს მათ ილუზიურ აღქმას, ვიდრე მას მოქმედებისა და ხელახალი აქტუალიზაციის ძალა გააჩნია. სანამ იგი არ ჩაქრება და ახალს. ტოლობის მიმართების კრიტიკულ სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობას არ დაუთმობს ადგილს.

სწორედ ასეთ, ექსპერიმენტულ პირობებში შექმნილს. ერთხელ ან რამდენიმეჯერ განმეორებით აქტივაციის გამო განმტკიცებულს, „ადვილად აღზნებად“ განწყობას—გარკვეულ სიტუაციაში ხელახალი. ადვილად აქტუალიზაციის ძალით მის მოცემულობას სუბიექტში დ. უზნაძე ფიქსირებულ განწყობას უწოდებს.

* * *

ჩვენ ძალზე მოკლედ, სქემატურად გადმოვეციტ განწყობის ცნების შინაარსი და განწყობის ფენომენის შესწავლის ექსპერიმენტული შედეგები, რაც დ. უზნაძისა და მისი მოწაღეების ხანგრძლივი მუშაობის მონაპოვარს წარმოადგენს.

განწყობის ფაქტისა და განწყობის ცნების საფუძველზე ცალკეული ფსიქიკური პროცესების შესწავლის შესახებ დღეისათვის საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა მოიპოვება, მაგრამ მისი განხილვა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს. განწყობის ბუნების რაგვარობის შესახებ ამ შესავალში მოკლედ და სქემატურად წარმოდგენილი მასალის დანიშნულება ისაა, რომ მიუთითოს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობის ფაქტთან გვაქვს საქმე განწყობის სახით, რომელსაც უდავოდ დიდი (ამხსნელი) ღირებულება აქვს ცალკეული ფსიქიკური პროცესების შესწავლა-გაგების საქმეში, ფაქტთან, რომელიც კონკრეტული. „ცოცხალი ინდივიდის“, სუბიექტის მთლიანობით მდგომარეობის. გარკვეული აქტივობისადმი მისი მზაობის სახითაა მოცემული და რომლის მოქმედებისა და სხვადასხვა პირობებში გამოვლენის ზედმიწევნით შესწავლას დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ჰემარიტად მეცნიერული საბჭოთა ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის.

განწყობის კვლევის პირველ ეტაპზე და შემდგომშიაც განწყობის ფსიქოლოგიის მთელი რიგი საკითხები საკმაოდ დიდი დავისა და კრიტიკის საგანი იყო. მართალია, ჩვენ შესავალში განწყობის ფსიქოლოგიის არც ერთი სადავო საკითხის კრიტიკული განხილვა არ გვიცდია, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც მიუყვარებელი მკითხველი დაინახავს, შრომის ძირითად ნაწილში იმ საკითხის გარკვევისას, რომლის ექსპერიმენტული შესწავლა ჩვენს უშუალო მიზანს შეადგენს, საკმაოდ კრიტიკულად ვეპყრობით განწყობის ფსიქოლოგიაში დადგენილ ცალკეულ დებულებებს, ოღონდ, რა თქმა უნდა, მსოფლიოდ ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებისა და დასმული საკითხის ფარგლებში.

უეჭველია, ვეთანხმებით და ვცდილობთ განვამტკიცოთ განწყობის თეორიის ყველა დებულება, რომელთაც ჩვენი ახალი ექსპერიმენტული მონაცემებით უდავოდ მოეპოვებათ სათანადო საფუძველი. ჩვენი აზრით, რამდენად მეტ ექსპერიმენტული ხასიათის ფაქტიურ მასალას მოვიპოვებთ ფსიქიკური მოვლენებისა და განწყობის მოქმედების ბუნების შესახებ, მით უფრო მეტად გაადვილდება იმ სადავო საკითხების გადაჭ-

რა, რაც ამჟამად ფსიქოლოგიაში და, კერძოდ, განწყობის მოქმედების ბუნების შესახებ არსებობს.

ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „რანი არიან ხალხის მეგობრები...“ აკრიტიკებდა რა მიხაილოვსკის ყალბ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ მეცნიერმა ყველა ცნობილი თეორია უნდა გადასინჯოს და გაარკვიოს ზანამ ფაქტის შესწავლას დაიწყებდესო, მიუთითებდა: „დაწყება საკითხებით—რა არის საზოგადოება, რა არის პროგრესი? — ეს ხომ ბოლოდან დაწყებას ნიშნავს. საიდან მიიღებთ წარმოდგენას საზოგადოებასა და პროგრესზე საზოგადოდ, როცა თქვენ ჯერ კიდევ არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ შეგიქმნიათ, კერძოდ, თვით ეს ცნებაც კი ვერ დაგიდგინიათ, ვერც კი შესდგომიხართ რომელიმე საზოგადოებრივ ურთიერთობათა სერიოზულ ფაქტიურ შესწავლას, ობიექტურ ანალიზს“¹ (საზი ჩვენია. ა. კ.).

აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიური მეცნიერების უპირველესი ამოცანაა არა ზოგადი მსჯელობა—თუ რა არის ფსიქიკა საზოგადოდ ან, ამ შემთხვევაში, განწყობა საზოგადოდ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ფაქტების შესწავლა, ამ ფაქტების ობიექტური ანალიზი და ამის საფუძველზე ფსიქიკურისა და განწყობის ზოგადი ბუნების სადავო საკითხების გადაწყვეტა. ლენინი ამ შემთხვევაში სხვა მეცნიერებათა შორის (სოციოლოგია—ქიმიკა, ბიოლოგია) ფაქტების შესწავლას უპირატესობასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიაზეც მიუთითებს და აღნიშნავს: „პროგრესი აქ სწორედ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ უკუაადრო ზოგადი თეორიები და ფილოსოფიური მსჯელობანი იმის შესახებ თუ რა არის სული, და შეძლო მეცნიერულ ნიადაგზე დააყენო ფაქტების შესწავლა. რომელიც ამა თუ იმ ფსიქიკურ პროცესებს ახასიათებენ“².

ჩვენც იმ ფაქტების შესწავლასა და ობიექტურ ანალიზს ვისახავთ მიზნად, რომლებიც განწყობას როგორც რეალურ

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. I, გვ. 155.

² იქვე, გვ. 156.

მოვლენას გარკვეულ კონკრეტულ პირობებში. კერძოდ, სუქ-
ცესიურსა და სიმულტანური მიმართების სიტუაციაში. შეაქ-
ლება ასასიათებლეს.

პრობლემა და მეთოდი

§ 4. საკითხის დაყენება

ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტული კვლევა გარკ-
ვეულ პერიოდში უპირატესად რომელობით მასალაზე მიმდინ-
არეობდა. მაგრამ, როგორც შემდგომში გაირკვა, ოდენობით
მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის კვლევა ამოწურულად
ვერ ჩაივლდება და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მიმართულე-
ბით კვლევის გაგრძელებას უთუოდ შეუძლია განწყობის ბუ-
ნების ახალი და დღემდე უცნობი ასპექტი გამოავლინოს.

დღემდე ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყო-
ბის კვლევა ძირითადად სიმულტანური მიმართების სიტუაცია-
ში წარმოებდა, სუქცესიური მიმართების სიტუაციაში კი მისი
სისტემატური კვლევა არავის უწარმოებია. ამ უკანასკნელს,
მხოლოდ, როგორც დამხმარე საშუალებას, იყენებდნენ ზო-
გიერთი დებულების შესამოწმებლად ისეთ შემთხვევაში, რო-
ცა სხვა გზა არ არსებობდა. — ე. ი. იქ, სადაც გამლიზიანებელ-
თა სიმულტანურად განცდა არ ხერხდებოდა. ასე, მაგალითად:
დ. უზნაძე მას იყენებდა სმენისა და წნევის არეში განწყობის
კვლევისას¹, დ. უზნაძე და ბ. ხაჭაპურიძე — ერთი კორესპონ-
დულზე ორგანოდან მეორე კორესპონდულ ორგანოში განწყო-
ბის ირადირებულობის კვლევისას², გ. ხმალაძე — მოცულობის
ილუზიის კვლევისას³, პროფ. ა. ზაპოროჟეცი ერთ-ერთი ზედა
კიდურის პერიფერიული ტრავმის შემთხვევაში განწყობის
კვლევისას⁴ და ა. შ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სიდიდეთა სუქცე-

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიისათვის, მასალები... ტ. I, გვ. 8—9.

² იქვე, გვ. 16—17.

³ გ. ხმალაძე, მოცულობის ილუზია, მასალები... ტ. I, გვ. 69—92.

⁴ А. В. Запорожца, „Изменение установок при периферических травмах верхней конечности.“ ფსიქოლოგია, ტ. III, გვ. 141—154.

სიური შედარება და მათი ოდენობითი მიმართების სუბტესიურად განცდა აღმომჩინათვის არანაკლებ დამახასიათებელი და ჩვეული უნდა იყოს. ვიდრე ამ მიმართების სიმულტანურად განცდა და ასეთ მიმართებაზე განწყობის ფიქსირება.

სავარაუდოა, რომ სუბტესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა გარკვეულ ზოგად კანონზომიერებას უნდა შეიცავდეს, რაც, საერთოდ, ფიქსირებულ განწყობას და კერძოდ, ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას შეიძლება ახასიათებდეს. მაგრამ სავარაუდოა ისიც, რომ სუბტესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას, როგორც ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის ცალკე კერძო შემთხვევას, ოდენობითი მიმართების სიტუაციაში ისეთი თავისებურებანიც უნდა ახასიათებდეს, რომელიც განწყობის, როგორც „ზოგადი“ ფსიქიკური ფაქტის ქმნადობაში, ამ სპეციფიკური ობიექტური სიტუაციის (პირობების) ნიადაგზე იქნება აღმოცენებული. ასეთი მოსაზრების უდავო საფუძველს გვაძლევს ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმული აზრი ცალკეულის (კერძოს) და ზოგადის ურთიერთობის შესახებ.

„მაშასადამე, დაპირისპირებულნი (ცალკეული უპირისპირდება ზოგადს) იგივენი არიან: ცალკეული მხოლოდ იმ ურთიერთობაში არსებობს, რომელსაც ზოგადისაკენ მიყვარათ, ზოგადი მხოლოდ ცალკეულში, მხოლოდ ცალკეულის შემწყობით არსებობს. ყოველი ცალკეული (ასე თუ ისე) ზოგადია... ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს. ყოველი ცალკეული არასრულად შედის ზოგადში და სხვა და სხვა. ყოველი ცალკეული ათასობით გარდამავალი საფეხურითაა დაკავშირებული სხვაგვარ ცალკეულებთან (საგნებთან, მოვლენებთან, პროცესებთან) და სხვა“¹.

ცალკეულ მეცნიერებებში და კერძოდ, ფსიქოლოგიურ კვლევაში ამ დებულების გამოყენება, ჩვენი აზრით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ყოველი ფსიქიკური მოვლენა მის ყველა შესაძლებელ ცალკეულ პირობებში უნდა შევისწავლოთ და ყველგან ვეძიოთ ის ზოგადი და სპეციფიკური, რაც შესასწავლ

¹ ვ. ი. ლენინი. „დიალექტიკის საკონსტატაციის“, კრებული—მარქსი—ენგელსი,—მარქსიზმი. თბ., 1948. გვ. 357.

მოვლენას შეიძლება ახასიათებდეს. ცალკეულ პირობებში ამა თუ იმ მოვლენის შესწავლისას უდავოდ გამოვლიხდება ის ზოგადი, რაც სხვა შემთხვევაში შეუმჩნეველი რჩება, და ის სპეციფიკური თავისებურებაც. რაც მხოლოდ ამ პირობებისათვისაა დამახასიათებელი.

როგორც განწყობის ექსპერიმენტული კვლევის პრაქტიკიდან ვიცით, ფიქსირებული განწყობის ახალ სპეციფიკურ პირობებში შესწავლისას ყოველთვის დასტურდებოდა, გარდა ზოგადი კანონზომიერებისა, ის სპეციფიკური თავისებურებანიც. რაც ფიქსირებულ განწყობას მხოლოდ ამ პირობებში ახასიათებს, ე. ი. დასტურდებოდა განწყობის აღმოცენებისა და ქმნალობის ისეთი სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც მხოლოდ ამ სპეციფიკურ სიტუაციასთან (პირობებთან) იყო დაკავშირებული.

სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების არასისტემატური კვლევის შედეგადაც დადასტურებული ფაქტები უდავოდ მიუთითებენ იმაზე. რომ ამ პირობებში ფიქსირებულ განწყობას, სიმულტანურ პირობებთან შედარებით. არა მარტო სპეციფიკური თავისებურება უნდა ახასიათებდეს. არამედ ის ზოგადიც, რაც მას, როგორც ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას. სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობასთან ერთად გააჩნია.

არ არის გამორიცხული ისიც, რომ ამ მიმართულებით განწყობის კვლევამ შეიძლება ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის ისეთი ზოგადი მომენტებიც დაადასტუროს, რაც სხვა შემთხვევაში შეუმჩნეველი და გამოუვლენელი დარჩენილა, ამასთანავე ზოგი საკითხის ახალი ასპექტით კვლევაც უახადოს საჭირო ისევ სიმულტანურ პირობებში.

ოდენობით მიმართებაზე სიმულტანურ პირობებში სხვადასხვა მიმართულებითა და ხერხით ფიქსირებული განწყობის კვლევის შედეგად დღემდე განწყობის მოქმედების მრავალი ნიშანთვისებაა დადასტურებული.

რა მიმართულებით უნდა დაიწყოს სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის სისტემატური კვლევა, რომ ამ შემთხვევაში განწყობის მოქმედებ-ს არსებას ვწვდეთ?

როცა ბ. საჭაპურიძე პირველად სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის ძირითადი თავისებურების კვლევას იწყებდა, მან იგი შეისწავლა მისი აღკვეთის პროცესში. სახელდობრ, ერთი განწყობის მეორე საპირისპირო განწყობით შეცვლის პროცესში და ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების ისეთი კანონზომიერება დაადასტურა (ფაზობრივი ხასიათი), რომელიც შემდგომში ყველა გამოკვლევას დაედო საფუძვლად¹. ამყამად, რა პირობებშიც არ უნდა ვაწარმოოთ განწყობის შესწავლა და რა მიმართულებით არ უნდა გვექონდეს მისი კვლევა გათვალისწინებული (ეთქვათ: განწყობის ირაღიაციის, ინტერმოდალური ერთიანობის, ქარაქტეროლოგიური თუ პათოფსიქოლოგიური საკითხების და სხვა მიმართულებით), ყოველთვის გარკვეულ სიტუაციაში განწყობის მოქმედების ფაქტის დადასტურების შემდეგ უნდა გაირკვეს განწყობის მოქმედების ბუნება მისი აღკვეთის პროცესში (ერთი განწყობის მეორეთი შეცვლის პროცესში). ე. ი. უნდა დადგინდეს მისი ფაზური მოქმედების რაგვარობა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მისი სხვა მიმართულებით კვლევა.

სიმულტანურ მიმართებაზე კვლევის შედეგად დადასტურებული ფიქსირებული განწყობის არსებით თავისებურებათა ძირითადი მომენტები უმთავრესად მისი აღკვეთის პროცესში იკვლეოდ².

ჩვენ ამ შემთხვევაში ვერ გამოვუღებთ სუქციენტურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის, კვლევის ყველა საკითხს. ეს არა მარტო ჩვენს ძალებს აღემატება, არამედ შეუძლებელიც არის, სანამ პირველი, ძირითადი საკითხი არ გარკვეულა: საკითხი განწყობის ფაზური მოქმედების რაგვარობის, განწყობის ფიქსირებულობის, ავზნებადობისა და სიმტკიცის დონის, აგრეთვე მისი დინამიკურობისა თუ სტატიკურობის, პლასტიკურობისა თუ სიტლანჭის შესახებ. რაც განწყობის

1 ბ. საჭაპურიძე, განწყობათა ერთიერთშეცვლის ფაზური ხასიათი, მასალები... ტ. I, გვ. 97—135.

2 იხ. დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიისათვის... მასალები, ტ. I, გვ. 40—41.

აღკვეთის პროცესში (ერთი განწყობის პეტრეოი მეცვლის პროცესში) ვლინდება.

ჩვენი პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: ვინაი-
დან წყობა მოთხოვნების მატარებელ სუბიექტში გარკ-
ვეული კონკრეტული სიტუაციის ასახვას წარმოადგენს, ამი-
ტომ უნდა შევიხსნავოთ და დავადგინოთ
ფიქსირებული განწყობის ის თავისებუ-
რებანი, რაც ოდენობით მიმართებაზე
ფიქსირებულ განწყობას ამ კონკრეტულ-
გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება ახასი-
ათებდეს. სახელდობრ, სუქცესიურ მიმარ-
თებაზე ფიქსირებისა და აღკვეთის პრო-
ცესში; ამასთანავე, სიმულტანურ მიმართებაზე ექსპერი-
მენტული კვლევის მონაცემებთან შედარებით ახალით გა-
მოვავლინოთ ორთავე მიმართებაზე (სუქცესიური, სიმულტა-
ნური) განწყობის სპეციფიკური თავისებურებანი ჩისი გამოვ-
ლენის ზოვადი კანონზომიერების ფონზე.

წინასწარ იგულისხმება, რომ განცდადი ფსიქიკური ფენო-
მენების რაგვარობის გაგების მიზნით განწყობის ყოველმხრივ
და ყველა პირობაში შესწავლას, როგორც ამ განცდადი ფსი-
ქიკური პროცესების განმსაზღვრელი პირობისა, უდიდესი მნი-
შენელობა აქვს ქეშმარიტად მეცნიერული მარქსისტულ-ლენი-
ნური ფსიქოლოგიის განვითარებისათვის.

ჩვენი შრომის მიზანია შესაძლო წვლილი შეიტანოს ამ
ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის — განწყობის ბუნების
შესწავლის საქმეში.

§ 5. ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტული კვლევის მეთოდი საერთოდ და ჩვენი ექსპერიმენტუ- ლი მეთოდიკის თავისებურება

განწყობის, კერძოდ კი, ფიქსირებული განწყობის სისტე-
მატურ კვლევას დ. უზნაძის მეთაურობით, და მის შემდეგაც,
საკმაო ისტორია აქვს. დ. უზნაძემ არა მარტო აღმოაჩინა

განწყობის ზოგადი ფენომენი. აჩვენებს მისი შესწავლის დი-
დად ეფექტური ექსპერიმენტული მეთოდები შექმნა და ამით
განწყობის შესწავლის სავსაოდ პერსპექტიული გზა
წალა.

დ. უზნაძის ხელმძღვანელობით წარმოებული განწყობის
თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლის პირველ ეტაპ-
ზევე დადასტურდა, რომ ოდენობითი მიმართების აღქმის შე-
დეგად წარმოშობად ყოველგვარ ილუზიას, რაც აღრე მიუ-
ღერ-შეშინა. შარპანტიყაა და სხვათა, ხოლო შემდგომში
ქართველ ფსიქოლოგთა მიერ—ა. ბოჭორიშვილი, გ. ხმალაძე,
ბ. სპეკტრიძე და სხვ. იქნა დაოსტურებული, ერთი ზოგადი
ფენომენი—განწყობა უღვეს სათუქვლად. განწყობა, რომლის
შესწავლა ძირითადად „აალიან მარტივი მეთოდოკური ხერ-
ხით“—ოდენობით მიმართებაზე ხელოვნურად ფიქსირებული
„განწყობის ილუზიის“ მიმდინარეობის რაგვარობის, განწყო-
ბის მოქმედების ინდიკატორად გამოყენების მეშვეობით მი-
დინარეობს. განწყობა, როგორც სუბიექტის მთლიანობითი მო-
ლაფიკაცია (და არა მოტორიკია ან ცალკე რომელიმე ფუნქ-
ციისა), ყოველი კონკრეტული სიტუაციის ამ სუბიექტზე ზე-
მოქმედების შედეგად წარმოიშობა და ამ სიტუაციის თავისე-
ბის ასახვას წარმოადგენს. როგორც დადასტურდა, განწყობა
შეხატყვის სიტუაციაში სუბიექტში ხელახალი აქტუალიზა-
ციის სახითაა მოცემულა და შეიძლება იგი ექსპერიმენტულად
შეიქმნეს და დაფიქსირდეს იმგვარად, რომ ანალოგიურ, მაგ-
რამ მეტად თუ ნაკლებად გასხვავებულ. სიტუაციაში სუბიექ-
ტზე ზემოქმედების შედეგად ამ სიტუაციის თავისებურ ილუ-
ზიურ აღქმაში იჩინოს თავი (ასიმილაციის თუ კონტრასტუ-
ლის გზით). ამ ახალი სიტუაციის ილუზიური აღქმა გრძელ-
დება მანამ, ვიდრე წინამორბედ განწყობას აქტუალიზაციის
ძალა აქვს, ხოლო შემდეგ თანდათან ამ სიტუაციის ადექვატუ-
რი აღქმა იკაფავს გზას და. მაშასადამე, წინამორბედი განწყო-
ბით განპარობებული ილუზიური აღქმა ქრება. ამრიგად, გა-
მოიჩკვა, რომ ახალი სიტუაციის ილუზიური აღქმის მიმდინა-
რეობისა და ჩაქრობის რაგვარობა უდავოდ წინამორბედი,
ჩვენ მიერ ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის რაგვარო-

გითავა განპირობებული ისე, რომ მისი ობიექტური აღწერა და ზუსტი აღრიცხვაც კია შესაძლებელი ექსპერიმენტატორის მიერ.

დ. უზნაძე ამ მიმართულებით თავის პირველ განმაზოვადებელ შრომაში საკმაოდ დასაბუთებულად შენიშნავდა: „მაგრამ რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? თუ პრობლემა ჩვენი ილუზიების საფუძვლის შესახებ საბოლოოდ გადაჭრილია, თუ უდავოა, რომ ამ ილუზიების შემთხვევაში ყოველთვის განწყობასთან გვაქვს საქმე და მათი ასეთი თუ ისეთი მიმდინარეობა განწყობის მოქმედების გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს, რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ამ გარემოებით და ეს ილუზიები თვითონ განწყობის საკვლევ იარაღად გამოვიყენოთ! ამ შემთხვევაში ჩვენს განკარგულებაში ძალიან მარტივი მეთოდოლოგიური ხერხი იქნებოდა, რომელიც ჩვენს წინაშე პიროვნების ნამდვილი სიღრმის ექსპერიმენტული შესწავლის წარმტაც პერსპექტივებს გადაშლიდა“¹.

ეს დასკვნა უდიდესი პრინციპული მნიშვნელობის მეთოდური მონაპოვარია განწყობის ექსპერიმენტული შესწავლის ისტორიაში. რადგან დღემდე განწყობის ექსპერიმენტული შესწავლა ამ მეთოდის გამოყენების მეშვეობით მიმდინარეობს.

ამრიგად, დ. უზნაძის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან არა მარტო აღმოაჩინა სუბიექტის (პიროვნების) ისეთი მთლიანობითი მდგომარეობა-განწყობა, რომელიც ცალკეული ფსიქიკური ფენომენების მიმდინარეობის რაგვარობას ედება საფუძვლად, არამედ ამ მდგომარეობის—განწყობის შესწავლის „ძალიან მარტივი“, რიგითი მკვლევარისათვის ადვილად ხელმისაწვდომი მეთოდოლოგიური ხერხიც დაამუშავა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად და ამით განწყობის ექსპერიმენტული შესწავლის მართლაც „წარმტაცი პერსპექტივა გადაშალა“ ფსიქოლოგიური მეცნიერების წინაშე.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ „განწყო-

¹ დ. უზნაძე — განწყობის ფსიქოლოგიისათვის, კრებული „მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, ტ. I, თბ., 1938, გვ. 15.

ბის ილუზიის“ მეთოდის უდიდესი ღირებულება სწორედ მის სიმარტივეშია; ამ ცდების ჩატარება შეუძლია ყოველ მეტად თუ ნაკლებად განსწავლულ მკვლევარს. მაგრამ სწორედ ამ სიმარტივეშია მისი ნაკლიც. თუ ეს ნაკლი გაცნობიერებული არ იქნა, მაშინ იგი შეიძლება ძალიან დიდი შეცდომების წყაროდ იქცეს. ამის ნიშნები უკვე ჩანს. ეს სიმარტივე, ერთი შეხედვით, საშუალებას იძლევა ცდების უბრალოდ და სწრაფად ჩატარებისათვის. მკვლევარის ტენდენციურობა-სუბიექტურობის (ყოველი მკვლევარი არის სუბიექტი გარკვეული იდეებითა და განწყობით) შემთხვევაში, თუ მკვლევარის მიზანსწრაფვას, რაღაც წარმავალი მიზეზების გამო, სინამდვილის ისე დანახვის იდეა არ ასულდგმულებს, როგორც იგი შეიძლება იყოს მოცემული ამ მომენტში, მაშინ გამორიცხული არ არის, სწორედ ამ სიმარტივის გამო, მან ის „აღმოაჩინოს“, რის „აღმოჩენის“ ტენდენცია ან განწყობა მას ცნობიერად თუ არაცნობიერად აქვს.

მიუხედავად ამ პოტენციურად შესაძლო ნაკლისა, ამ მეთოდით კვლევაში, განსაკუთრებით დ. უზნაძის ხელმძღვანელობის პერიოდში და შემდგომაც, ცხადყო განწყობის ბუნებისა და მოქმედების ისეთი ზოგად კანონზომიერებათა დადასტურება, რომლებიც განცდადი ფსიქიკური ფენომენების მიმდინარეობის რაგვარობის მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებს ფენენ ნათელს (განსაკუთრებით აღქმის, თანმიმდევარი ხატის, ჩვევის, აზროვნების, მეტყველების, წარმოსახვის, სასიათის, ტიპების და სხვა დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ საკითხებს).

დ. უზნაძე თავის უკანასკნელ გამოკვლევაში აღნიშნავდა, რომ „განწყობის გარეშე, საერთოდ, არავითარი დაარულებული კონკრეტული ფსიქიკური პროცესი არ უნდა არსებობდეს“¹. რაოდენ სადავოდ არ უნდა მივიჩნიოთ ეს დებულება, ერთი მაინც ცხადია, რომ განწყობა არა მხოლოდ ილუზიურ აღქმებს, არამედ ობიექტური სინამდვილის აღქვატურ ასახ-

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია“, ტ. VI, გვ. 37.

ვას. ანაილუზიურ ფსიქიკურ ფენომენებსაც ედება საფუძვლად; ილუზიისათვის ამ შემოსტევაში საეციფიურ მიჯნობა არ არსებობს. იგი ისევე არის შეპირობებული სვემდებარე წინამორბედი განწყობა, რავეარობით, როგორც სხვა განცდადი ფსიქიკური ფენომენება.

დცება საკითხი, იუ რა არის ილუზიაში ისეთი, რომელიც იძლევა უპირატესობას განწყობის სოგადი არსის გამოვლენისა. რაც სხვა ფსიქიკურ ფენომენებსაც ერთნაირად ედება საფუძვლად? ან კიდევ, რა სპეციფიკური ნიშანთვისება ახასიათებს ილუზიას ისეთი, რომლის გამო ივა განწყობის გამოვლენისა და „დანახვის“ უპირატესობაა შეიკავს და ესოდენ უივი მეთოდური გასაღების. „ინდიკატორის“ როლს ასრულებს?

როგორც ვიცით, განწყობა სუბიექტის მთლიანი მდგომარეობაა, მისი „მოდიფიკაცია“—მზაობა გარკვეული მიმართულებით აქტივობისადმი. ანუ მისი ისეთი მდგომარეობა, რომელშიც კონკრეტული მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესატყვისი სიტუაცია—ობიექტური გარემოა ასახული, რაც შემდეგ ამ ობიექტურ სიტუაციაში სუბიექტის ადექვატურ განცდებსა და მიზანშეწონილ ქცევას ედება საფუძვლად. მაშასადამე, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სუბიექტის ისეთ მდგომარეობასთან, სადაც არც სუბიექტურა ცალკე გამოყოფილი და არც ობიექტური.

ამრიგად, გასაგებია, რომ სიტუაციის ადექვატურ განცდას განწყობა, როგორც სუბიექტის გარკვეული მდგომარეობა, უდევს საფუძვლად; მაგრამ ადექვატურ განცდაში სუბიექტი არაა ისე ხელშესახებად მოცემული, როგორც ილუზიურ აღქმაში. უკანასკნელ შემთხვევაში სიტუაციის არაადექვატურ, გადასხვაფერებულ, „გამრუდებულ“ განცდასთან გვაქვს საქმე და აქ არავისათვის სადავოდ არ შეიძლება გახდეს ის ფაქტი, რომ საგნის ანუ სიტუაციის „გადასხვაფერება“ აღქმაში, მისი არაადექვატური განცდა მხოლოდ სუბიექტურიდან მომდინარე მოვლენაა; ილუზია რომ ჩვენია. სუბიექტურია, რომ მასში ჩვენ ვართ მოცემული და არა ობიექტის თვისება, ეს უდავო შემზარითებად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ეს „ჩვენობა“, ეს სუბიექტურობა, ობიექტის განცდაში ჩვენ მიერ შეტა-

ნილი. და მისი რაგვარობა იწვევს გაკვირვებას ადამიანში და არა ის, რომ საუნი იმაღვე განიცდება, რაც არის, მასში თითქოს საკვირველი და საძიებელი არა არის რა.

ერთი სიტყვით. ილუზიაში სუბიექტია მოცემული მისი თავსებულებით. ადექვატურ განცდაში კი --ობიექტი მისი სპეციფიკურობით. აქ ვერ გავმიჯნავთ, თუ რა არის განცდაში სუბიექტისეული ან ობიექტისეული. ვინაიდან ფსიქოლოგიას ყოველთვის სუბიექტი და მისი ნიშანთვისებანი აინტერესებს, ამიტომ გახდა კვლევისა და დავის საგნად. ერთის შეხედვით. ის „უპრალო“ ფაქტი. რაც თანაბარი სიძიმის მქონე საგნების არათანაბრად - ილუზიურად განცდის საბით გვეძლევა.

ამრიგად, სანამ ილუზია ილუზიად რჩება და სუბიექტი სიტუაციის ადექვატურ განცდას ვერ ასერხებს, მასში სუბიექტის მდგომარეობაა მოცემული. მისი რაგვარობაა მოცემულ მომენტში. ხოლო რაკი განწყობაც სუბიექტის მდგომარეობაა გარკვეული ობიექტური სიტუაციის შემოქმედების ნიუდავზე წარმოშობილი, მაგრამ ამჟამად მაინც სუბიექტის მდგომარეობა, რომელიც სხვა ფსიქიკურ ფენომენტა შორის ილუზიასაც უდევს საფუძვლად. ეწვეს გარეშეა. რომ ამ შემთხვევაშიც იგი უდავოდ ამ ილუზიაშია გამოვლენილი. როგორც სუბიექტის მდგომარეობა, ილუზიაში იგი მოცემულია ისე. რომ მისი „დანახვა“. მასზე ობიექტური დაკვირვება და მისი აღწერა შესაძლებელია. ეს უადრესად ხელსაყრელ მეოთხეურ პირობებს ქმნის განწყობის შესწავლისათვის.

დ. ნ. უხნაძის დასაბუთებული მოსახრების მიხედვით. ანწყობა არ არის ცალკეული ფუნქციონალური ბუნების მოვლენა, იგი სუბიექტის მთლიანპიროვნული ზოგადი მდგომარეობაა, რაც სხვა ფსიქიკურ ფენომენტებთან ერთად ილუზიებსაც თანაბრად ედება საფუძვლად. ამიტომ ცალკეული კონკრეტული ილუზიის ქვემდებარე განწყობაში უცილობლად მისი ზოგადი ბუნებაც იჩენს თავს. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს „ყოველი ცალკეული (ასე თუ ისე) ზოგადია“ და, როგორც ვიცით, კონკრეტულ ილუზიაში განწყობის ზოგადობის გამოვლენა მრავალი ექსპერიმენტითაც არის დასაბუთებული.

მეორე პრინციპული მნიშვნელობის მომენტი, რომელიც

„განწყობის ილუზიების მეთოდით“ კვლევა-ძიების ნაყოფიერებას განსაზღვრავს, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ილუზიების შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვენ მიერ ხელოვნურ პირობებში. შექმნილ, სუბიექტის მდგომარეობის საფუძველზე აღმოცენებულ ილუზიებთან. აქ ილუზიების ქვემდებარე სუბიექტის მდგომარეობა-განწყობა ჩვენ მიერ იქმნება და ქმნადობის ეს პროცესი ჩვენივე კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს და ამ ილუზიების რაგვარობა და მიმდინარეობა. მათი აღკვეთის პროცესი და ადექვატურ აღქმაზე გადასვლის საბოლოო მდგომარეობა ჩვენ მიერ შექმნილი წინამორბედი მდგომარეობით, სუბიექტის განწყობით განისაზღვრება. მთელი ამ პროცესის—ილუზიის წარმოშობისა და ჩაქრობის—დაახლოებით ზუსტი აღრიცხვაა შესაძლებელი. სწორედ ეს წარმოადგენს განწყობის ბუნების მრავალმხრივი ექსპერიმენტული შესწავლის ძარტივსა და კლასიკურ ხერხს.

დიდმა რუსმა ფიზიოლოგმა აკადემიკოსმა ი. პავლოვმა ხელოვნურად შექმნილ პირობით რეფლექსში—ცხოველის ნერწყვიში, ამ „უბრალო“ ფაქტში, ნახა პირველი მორგებული მეთოდური გასაღები საერთოდ რეფლექსების ბუნების შესასწავლად და ამით ცენტრალური ნერვული სისტემის ურთულესი პრობლემის შესწავლის ამოუწურავი პერსპექტივა გადაშალა კაცობრიობის წინაშე. პავლოვმა შექმნა ობიექტურ მეთოდზე დამყარებული ქვეშარითად მეცნიერული მატერიალისტური ფიზიოლოგიური სისტემა.

ანალოგიურად ამისა. გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა-ფსიქოლოგმა აკად. დ. უზნაძემ „განწყობის ილუზიებში“, ამ „უბრალო“ ფაქტში, მოიხსნა ურთულესი და უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე ფსიქიკური ფენომენი—განწყობის ბუნების შესწავლის მორგებული მეთოდური გასაღები და ამით გზა გაკაფა შემდგომი ნაყოფიერი კვლევა-ძიებისა და ქვეშარითად მეცნიერული ფსიქოლოგიის განვითარებისათვის.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი ნერვული მოქმედების ობიექტური კვლევის (აკადემიკოს ი. პავლოვის მიერ შემოღებულ) მეთოდსა და ფიქსირებული განწყობის კვლევის (დ. უზნაძის) მეთოდს შორის, კვლევის საგნის ბუნე-

პიდან გამომდინარე სხვაობის მიუხედავად. პრინციპული მსგავსება არსებობს!

პირველ შემთხვევაში, თუ გამოიზიანებელზე არაადექვატური რეაქცია, პირობითი რეფლექსი, არის ფიზიოლოგიური პროცესის ინდიკატორი. მეორე შემთხვევაში, ასევე ობიექტური სიტუაციის არაადექვატური განცდა, ილუზია, წარმოადგენს ფსიქიკური პროცესის—განწყობის ინდიკატორს. ამიტომ შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ განწყობის ბუნების ობიექტური კვლევის პროცესში დადასტურებული კანონზომიერებანი, ხშირ შემთხვევაში საგულისხმოდ „ფარება ფიზიოლოგიურ ქარგას“, რაც პავლოვის მიერ იყო დადგენილი.

აქედან, შემთხვევითი არაა ის გარემოებაც, რომ საქართველოში დ. უზნაძის მოწაფეთა მიერ დღემდე წარმოებული გამოკვლევები (ი. ბეალავა, ზ. ხოჯავა, ვლ. ნორაკიძე) საკმაო საფუძველს იძლევიან იმის დასადასტურებლად, რომ ობიექტური მეთოდით კვლევის შედეგად დადგენილი განწყობის კანონზომიერებათა მტკიცე საფუძველი უმაღლესი ნერვული მოქმედების პავლოვის მიერ დადასტურებულ ცენტრალურ მოქმედებაში დინამიკური სტერეოტიპის სახითაა მოცემული.

განწყობის მოვლენის უკვე დადგენილი კანონზომიერებანი და ამ ასპექტით განცდადი ცალკეული ფსიქიკური პროცესების შესწავლის შედეგები უფლებას იძლევიან ვაღიაროთ, რომ განწყობის ილუზიის მეთოდის გამოყენებით სისტემატურ კვლევა-ძიებაში შესაძლებელია ამ ფენომენის ბუნების მრავალი დღემდე უცნობი კანონზომიერების გამოვლენა და, ამრიგად, ფსიქოლოგიაში ამჟამად ბურუსით მოცული რიგი პრობლემების გაშუქება. უფრო მეტი, ამ მეთოდით მუშაობა შესაძლებელს გახდის განწყობის რთული ბუნების წვდომის ახალი

1 ამჟამად ამის დეტალური დასაბუთება ჩვენს უშუალო მიზანს არ შეადგენს: იგი შეიძლება სპეციალური კვლევის საგანი გახდეს.

2 აკინწურაშვილი—ფიქსირებული განწყობის მოქმედების ზოგიერთი ფაქტი აკად. ი. პ. პავლოვის მოძღვრების შექვზ. ფსიქოლოგია. ტ. IX, თბ., 1954, გვ. 237—259.

მეთოდების მიგნებასაც, რომლის ერთ-ერთი ნიმუშიც უკვე აღსებობს ნეიტრალური შრიფტის მეთოდის სახით¹.

ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის კვლევა მთლიანად, თუ შეიძლება ასე ითქვას, „წმინდა“ განწყობის ილუზიების მეთოდით მიმდინარეობს. მრავალრიცხოვანმა და ხანგრძლივმა ექსპერიმენტულმა კვლევა-ძიებამ ცხადყო ამ მეთოდის უდიდესი მნიშვნელობა და გასაქანი.

ამიტომ ჩვენი მეთოდიც, რომელიც სუქცესიურ (მასთან ერთად სიმულტანურ) მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შესწავლას ემსახურება, პრინციპულად არაფერს ახალს არ შეიცავს და ისევე ამ ნაცადი „განწყობის ილუზიის მეთოდის“ გამოყენებას წარმოადგენს, მაგრამ არის ზოგიერთი დეტალი და სპეციფიკური თავისებურება, რომელიც ჩვენს ამ მეთოდს ანასიათებს საკვლევი საკითხის სპეციფიკისა და კვლევის ამოცანასთან დაკავშირებით. ამიტომ არ შეგვიძლია მასზე საგანგებოდ არ შევჩერდეთ.

როგორც ცნობილია, სიმულტანურ მიმართებაზე განწყობის აღკვეთის პროცესის კვლევა ორი სხვადასხვა გზით ხდება:

1. უტოლობაზე განწყობის ფიქსაციის შემდეგ კრიტიკულ ცდებში ცდის პირს თ ა ნ მ ი ყ ო ლ ე ბ ი თ წ ყ ვ ე ტ ი ლ ა დ ეძლევა ტოლი ობიექტები მანამ, სანამ ცდის პირი ამ ტოლი ობიექტების ილუზიურ აღქმას თავს დააღწევდეს და კრიტიკული სიტუაციის აღქვატურად აღქმის განწყობის გაბატონებულ მდგომარეობაზე გადავიდოდეს².

2. უტოლობაზე განწყობის ფიქსაციის შემდეგ ტოლი კრიტიკული ობიექტები ცდის პირებს ეძლევათ უ წ ყ ვ ე ტ ა დ მ ა ნ ა მ, ვიდრე აქაც ილუზია არ ჩაქრება, ე. ი. სანამ სუბიექტი არ გადავა ობიექტების აღქვატური აღქმის განწყობაზე³. ცდე-

1 ს. ხოჭავაძე, განწყობის როლი ჩვევის შემუშავებისა და გამოცდის სექტორში, ფსიქოლოგია, ტ. I, გვ. 14—15, 16. თბ., 1954, გვ. 237—259.

2 ბ. ს ა კ ა პ უ რ ი ძ ე, განწყობათა ურთიერთშეცვლის ფაზური ხასიათი, მასალები... ტ. I, გვ. 97.

3 ქ. მ დ ი ე ა ნ ი, ილუზიის ჩაქრობის პროცესი ხანგრძლივი ექსპონიციის პირობებში, თსუ „შრომები“, ტ. XVII, გვ. 297.

ზის ამ წესით ჩატარების უპირატესობა იმაშია, რომ აქ არა მარტო ილუზიური აღქმის დადასტურება და მისი ხანგრძლიობის შესწავლა ხერხდება, არამედ შესაძლებელია ე. წ. „გარდასვლის განცდების“ დადასტურებაც; ცდის პირი უშუალოდ განიცდის გამლიზიანებლების თანდათანობით დაპატარავებას ან გადიდებას და ადასტურებს მათ მეტ-ნაკლებ განსხვავებას მატების თუ კლების მიმდინარე უწყვეტი პროცესის სახით და არა უბრალოდ განსხვავებულობას, როგორც პირველ შემთხვევაში. ეს მომენტი უპირატეს პირობას ქმნის განწყობის აღკვეთის პროცესში ისეთი მოვლენის ცხადსაყოფად, რაც პირველ შემთხვევაში თითქმის მოუხერხებელია. მაგრამ ჩვენს სუქციური ცდებში ამ უკანასკნელი ხერხის გამოყენების შესაძლებლობა გამოირიცხებულია, ვინაიდან აქ საქმე გვაქვს გამლიზიანებელთა თანმიყოლებით მიწოდებასთან (ჯერ პირველი, შემდეგ მეორე): განწყობა უნდა შემუშავდეს ორი თანმიმდევრულად მოქმედი გამლიზიანებლის მიმართებაზე და ისე, რომ ეს პირველი და მეორე გამლიზიანებელი ხანმოკლე ინტერვალით წყვილ-წყვილად მიჰყვეს ერთმანეთს როგორც საგანწყობო, ისე კრიტიკულ ცდებში. მაშასადამე, ცდის პირი აქ რომ მიმართებას წვდეს. ამისათვის საჭიროა ერთი სიდიდე მეორის თანმიყოლებით (სუქციურიად) განიცდებოდეს, ხოლო ეს გარემოება კი ორი გამლიზიანებლის განხანგრძლივებულ ექსპოზიციას შეუძლებელს ხდის. ამიტომ ჩვენთვის რჩება მხოლოდ ერთადერთი (პირველი) გზა საგანწყობო და კრიტიკულ ობიექტთა ხანგრძლივად, მაგრამ წყვეტილად მიწოდებისა, მეორე გზა კი ფაქტიურად გამოირიცხა, თუმცა ამ გზითაც კვლევა ზოგ უპირატესობას უთუოდ შეიცავს¹.

ამრიგად, ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის კვლევისას ჩვენ უპირატესად გავრცელებულ ხერხს მივმართეთ: მკვეთრად განსხვავებული სიდიდეების წყვეტილად მოწოდებით ვუქმნიდით ცდის პირებს ფიქსირებულ განწყობას

¹ ე. წ. „გარდასვლის განცდების“ გამოსაყენად, როგორც შემდეგ დაკინახავთ, ინსტრუქციაში შევიტანეთ ზოგი მომენტი, რომელიც ასეთის შესაძლებელ გამოვლენას უზრუნველყოფდა სპონტანურად—ჩვენი ჩარევის გარეშე (კრიტიკულ ცდებში).

ობტიკურს, ჰაპტურსა და კუნთურ არეებში. (სხვადასხვა არე-ში სხვადასხვა ცდის პირები იყო აყვანილი) და შემდეგ კრიტიკულ ცდებში წყვეტილად ვაწვდომით ტოლ სიდიდეებს მანამ, ვიდრე ცდის პირი ილუზიურ აღქმას თავს არ დააწვევდა, ე. ი. სანამ მკვეთრად ჩამოყალიბებულ ადექვატურ აღქმის განწყობაზე არ გადავიდოდა.

როგორც ცნობილია, განწყობის ფიქსირების ხარისხი საგანწყობო ცდების გამეორების რაოდენობაზეც არის დამოკიდებული, რადგან რაც მეტია ეს გამეორება, მით უფრო მტკიცეა ფიქსირებული განწყობა.

ზანგძლივი კვლევის შედეგად თითქოს დადგენილია, რომ სიმულტანურ პირობებში საგანწყობო ცდების ერთგვარი ოპტიმუმი 10—15 განმეორებას არ აღემატება; მაგრამ ვინაიდან ჯერ კიდევ გრ. ხმალაძის ცდებიდან ჩანდა, რომ 10—15 გამეორებით სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შესამჩნევად დაბალ სიმტკიცესთან გვაქვს საქმე¹, ამიტომ ჩვენს წინაშე დადგა საკითხი საგანწყობო ცდებში ექსპოზიციითა რაოდენობის გაზრდის შესახებ, რათა ამით განწყობის ფიქსირებულ მდგომარეობას მაღალი დონე მიგვეღწია. ამ მიზნით წინასწარი ცდები ჩავატარეთ 50 ცდის პირზე ობტიკურ არეში საგანწყობო ცდების 25—30 ექსპოზიციამდე გადიდებით და, გრ. ხმალაძის მონაცემებთან შედარებით, დადასტურდა, რომ ცდების 25—30 ექსპოზიციამდე გაზრდა კრიტიკულ ცდებში საერთოდ ილუზიური აღქმის რაოდენობას 44%-დან 56%-მდე (ე. ი. 12%-ით) ზრდის. როგორც ვხედავთ, ზრდის ეს 12% შესამჩნევია, 44%-თან შედარებით იგი ერთი მეოთხედით მეტია.

როგორც ქ. მდივნის გამოკვლევიდან ვიცით², საგანწყობო ექსპოზიციების ზრდა არ შეიძლება ყოველთვის განწყობის ფიქსირებულობის გაზრდას მოასწავებდეს შეურჩეველ ცდის პირთა დიდ მასაში. ამიტომ შევჩერდით, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევისათვის საკმარის ოპტიმალურ რაოდენობაზე—25—30 საგანწყობო ექსპოზიციასზე, რომელიც თითქმის ორჯერ მეტია

1 გრ. ხმალაძე. მოცულობის ილუზია. იხ. „მასალები“. ტ. 1. გვ. 63.

2 ქ. მდივანი, განწყობის ფიქსაცია, 1942 (ხელნაწერი).

იმაზე, რასაც სხვა მკვლევარები სიმულტანურ ცდებში მიმართავენ.

წინასწარმა ცდებმა დაგვანახა, რომ ილუზიათა საერთო რაოდენობა ამ შემთხვევაში იზრდება, მაგრამ არც ისეთი რაოდენობით, რომ საგანწყობო ექსპოზიციათა რაოდენობის შემდგომი გაზრდის საჭიროებაც ჩანდეს.

აღძრულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე ცნობილი, ე. წ. „მოყირქების ფენომენის“ ფაქტი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ცდის პირს ბეზრდება ერთი და იგივე ცდის განმეორება და ვერ ინარჩუნებს სათანადო აქტივობას ხანგრძლივად ცდების განმეორებისას. ჩვენც ვამჩნევდით სშირად ამას და ამიტომ საგანგებო ზომებს მივმართავდით, რომ ცდის პირი მაქსიმალურად ყურადღებული და აქტიური ყოფილიყო ცდის მსვლელობაში (ვეუბნებოდით: „ააა. ხელასლა დააკვირდით“. „აბა ყურადღებით“, „ამას დიდო მნიშვნელობა აქვს ცდისათვის“ და სხვ.).

მსგავსებაში მივიღეთ. აგრეთვე. ის ფაქტიც, რომ სექსუალური მიმართებაზე ჩატარებულ ცდებში პროფ. ვ. ზაპოროჟევი განწყობის ფიქსაციისათვის კენტურ არეში 20—25 ექსპოზიციას მიმართავდა¹.

შეორე საკითხი, რომელიც ჩვენ წინაშე დადგა, ესაა საკითხი, თუ როდის ჩავთვალოთ უტოლობისადმი ფიქსირებული განწყობა ალკვეთილად, ანუ რამდენი თანმიყოლებითი ადექვატური ალქმის შემდეგ უნდა შეწყდეს კრიტიკული ცდები.

განწყობის ალკვეთის პროცესის პირველი მკვლევარი ბ. ხაჰპურიძე განწყობას ძირითადად ალკვეთილად თვლიდა 3—4 თანმიყოლებითი ადექვატური ალქმის დადასტურების შემდეგ; მაგრამ იმავე ავტორს ნათქვამი აქვს შემდეგიც: „ილუზიური ალქმები ამის შემდეგ თუ კიდევ იჩენს თავს, მათი პასუხთა განაწილება ისეთია, რომ აბსოლუტური დომინანტობა ადექვატურ შეფასებას ეკუთვნის, ამიტომ შეიძლება განწყობის შეცვლის პროცესი დასრულებულად ჩაითვალოს „ახალი“ გან-

¹ А. В. Запорожен, „Изменение установок при периферических травмах верхней конечности,“ ფსიქოლოგია, ტ. III, გვ. 147—149.

წყობის კაბატონების თვალსაზრისით“¹. მაშასადამე, ავტორი უკვე გამოორიხხავს 3—4 ადექვატური აღქმის შემდეგ ილუზიების არსებობის შესაძლებლობას; იგი მხოლოდ იმ აზრისაა, რომ ამ შემთხვევაში „აბსოლუტური დომინანტობა ადექვატურ აღქმებს ეკუთვნის“ და ამიტომ თითქოს აზრი არა აქვს ცდების შემდგომ გაგრძელებას. მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ 3—4 ადექვატური აღქმა ძალზე მცირე რიცხვია და განწყობა მხოლოდ მომენტალური შესუსტების გამო უთმობს ადგილს ადექვატურ აღქმას, თორემ შემდეგაც რომ გაგვეგრძელებინა ცდები, ალბათ განწყობის ხელახალ გარკვეული კანონზომიერებით შემობრუნებასაც ექნებოდა ადგილი, სანამ იგი მოცემული მომენტისათვის მაინც საბოლოოდ აღიკვეთებოდა. საკითხის ასე დაყენების შესაძლებლობას თვით ბ. ხაჰაპურიძის გამოკვლევებიც იძლევა (ფიქსირებული განწყობის ხანგრძლიობის საკითხზე), რომელთა მიხედვით განწყობა მოცემულ მომენტშიაც საბოლოოდ არ ქრება. ის ინარჩუნებს, თითქოს ფარულად, რაღაც აქტუალიზაციის ძალას, რომლის გამოც, თუ კრიტიკულ ცდებს გავიმეორებთ იმავე დღეს, კვირებისა და თვეების შემდეგაც კი, იგი მაინც იჩენს თავს².

აღნიშნული საკითხი ნ. ელიავამ ექსპერიმენტულად შეისწავლა განყენებულ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შემუშავებისას და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სავსებით საკმარისია კრიტიკული ცდები შევწყვიტოთ თანმიყოლებითი ტოლობის 5-ჯერ დადასტურების შემდეგ. ნ. ელიავას მონაცემების მიხედვით, განწყობას, რომელიც კრიტიკული სიტუაციის 5-ჯერ თანმიყოლებითი ადექვატური აღქმის შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს, სუსტი რეციდივის ხასიათი აქვს. განყენებულ მიმართებაზე ეს „რეციდივი“ 16%-ს აღწევს, ხოლო არაგანყენებულ მიმართებაზე ჰაბატურ არეში 24%-ს³. ამასთან დაკავშირებით, ამჟამად განწყობას აღკვეთილად

1 ბ. ხაჰაპურიძე, განწყობის ურთიერთშეცვლის ფაზური ხასიათი. „მასალები“, ტ. I, გვ. 99—100.

2 მისივე. ხელოვნურად შექმნილი განწყობის ხანგრძლივობის საკითხისათვის. „მასალები“, ტ. I, 1938, გვ. 141—144—146.

3 ნ. ელიავა, განყენებულ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის აღკვეთის პროცესი, თ. ს. უ. შრომები, 1941 წ., ტ. XV11, გვ. 204.

თვლიან კრიტიკული სიტუაციის 5-ჯერ თანმიყოლებითი ადექვატური აღქმის შემდეგ, ხოლო შემდგომ მის გამოვლენას „სუსტ რეციდივად“ აღიარებენ, თვლიან რა მას ისეთ მოვლენად, რომელშიც განწყობის შემდგომი მოქმედების რაიმე არსებითი ნიშნის დაქერა არ შეიძლება.

როგორც ზ. ხოჯავას გამოკვლევებიდან ვიცით, განყენებულ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა სუსტი და ნაკლებ მტკიცეა¹. მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევაშიც კი რეციდივის 16% დასტურდება. რაც შეეხება არაგანყენებულ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას, იქ „რეციდივის“ საკმაოდ დიდი -- 24% მივიღეთ. ჩვენი აზრით, ეს არც ისე მცირე რიცხვია. რომელსაც ყურადღება არ უნდა მიექცეს. ამ შემთხვევაში განწყობა აღკვეთილად უნდა ჩავთვალოთ და მის შემდგომ „რეციდივულ“ მოქმედებაში რაიმე კანონზომიერების დადასტურების შესაძლებლობა უგულვებელვყოთ. რაც მთავარია, ჩვენ ვვარაუდობთ უკვე არსებული გამოკვლევების მიხედვით, რომ განწყობის ამ შემდგომ „რეციდივულ“ მოქმედებას შეიძლება უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს საერთოდ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების არსის გაგებაში და ამიტომ ვეჭვობთ, რომ კრიტიკული სიტუაციის თანმიყოლებით 5-ჯერ ადექვატური აღქმის შემდეგ ცდების შეწყვეტა საფუძვლიანი იყოს და მეთოდურად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდეს განწყობის არსის ყოველმხრივი გამოვლენის თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით საინტერესოა აგრეთვე ა. ავალიშვილის გამოკვლევა (თუმცა იგი სხვა საკითხისათვისაა გამიზნული), რომელიც სათანადო ზუსტი ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე, სხვათა შორის, შემდეგ დასკვნასაც იძლევა: „ფიქსირებული განწყობა ჩვენი ცდების პირობებში (ე. ი. როდესაც 5 ადექვატური აღქმის შემდეგ ცდის პირებს ახალი ობიექტები ეძლევა) ხელახლა აქტუალური ხდება და კონტ-

¹ ზ. ხოჯავა, განწყობის მოქმედება მასალის აბსტრაქციის პირობებში. თსუ შრომები. 1939 წ., ტ. IX. გვ. 187—190.

რასტული ილუზიების აღსვრას იწყებს...! ისმის საკითხი. რატომ მხოლოდ ასალი ობიექტების მიწოდებისას შეიძლება გახდეს „ხელახლა აქტიური“ ფიქსირებული განწყობა; ამავე გამოკვლევის საფუძველზე, რატომ არ უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ მას აქტუალიზაციის ძალა არა მარტო ასალი ობიექტების, არამედ ჩვეულებრივი კრიტიკული ობიექტების მიმართაც არ დაუკარგავს. ერთი სიტყვით, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ გარკვეული კანონზომიერებით ფიქსირებული განწყობა თავს უნდა იჩინდეს 5 ადექვატური აღქმის დადასტურების შემდეგაც.

წინასწარი ცდები, რომლებიც ჩვენ ოპტიკურ არეში ჩავატარეთ (ეპიდიასკოპიური ცდები). მართლაც იძლევა საბუთს, რომ 5 თანმიყოლებითი ადექვატური აღქმის შემდეგ უტოლობის ვანწყობა აღკვეთილად ვერ ჩაითვლება.

ცხრილი № 1

ილუზიამ. ე. ი. განწყობის მოქმედებამ თავი იჩინა 10 ადექვატურ

აღქმამდე ცდების გაგრძელების შემთხვევაში.

(ეპიდიასკოპიური ცდები 50 ცდის პირზე)

ც. პ. რაოდ. სულ	თანმიყოლებითი ადექვატური აღქმის შემდეგ	საერთოდ				აქედან სკეპოდ ძლიერი			
		ცალ-ცალკე		სულ		ცალ-ცალკე		სულ	
		აბ. რ.	%	აბ. რ.	%	აბ. რ.	%	აბ. რ.	%
31*	3-ის შემდეგ	3	9,7	31	100	3	9,7	18	58,0
	4-ის "	7	22,6	10	32,3	3	9,7	15	48,3
	5-ის	3	9,7	21	67,7	2	6,4	12	38,6
	6-ის	8	25,8	18	58,0	3	9,7	10	32,2
	7-ის	4	12,9	10	32,2	1	3,2	7	22,5
	8-ის	1	3,2	6	19,3	1	3,2	6	19,3
	9-ის	5	16,1	5	16,1	5	16,1	5	16,1
	სულ	31	100				100		

* ა. ა. ავალიშვილი, კრიტიკულ ექსპონიციოთა განწყობებელი როლი განწყობის ცდებში, ფსიქოლოგია, ტ. I, 1942, გვ. 56.

დანარჩენი 19 ცდის პირი ისეთია, რომელიც ან თავიდანვე 10 ადექვატურ აღქმას ადასტურებს, ანდა განწყობის სუსტი გამოვლენის შემდეგ (მცირერიცხოვანი ილუზიებისა და ადექვატური აღქმების მონაცვლეობის შემდეგ) ერთბაშად 10 ადექვატურ აღქმამდე გადადის.

№ 1 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ შესამჩნევი რაოდენობით არა მარტო 3-აღექვატური აღქმის შემდეგ დასტურდება განწყობის ილუზიის შემთხვევები. არამედ შემდეგაც, თუ ცდებს გავაგრძელებთ 5- 6—7—8 და 9 თანმიყოლებით აღექვატურ აღქმამდე.

50 ცდის პირიდან, ვისაც საკმაო სიძლიერის განწყობა შეუძუშავდა (31 ცდ. პირი—62%), 3 აღექვატური აღქმის შემდეგ ცდების გაგრძელების შემთხვევაში ყველას უდასტურდება ილუზია: აქედან საკმაოდ ძლიერი—58%-ს, 5 აღექვატური აღქმის შემდეგ კი ილუზია უდასტურდება 21 ცდის პირს, ე. ი. 67%-ს და აქედან საკმაოდ ძლიერი—38%-ს (საკმაოდ ძლიერ განწყობად ჩვენ ჩავთვალეთ 4—5 თანმიყოლებითი ილუზიური აღქმა და აგრეთვე 2—3 თანმიყოლებითი ილუზია აღექვატურ აღქმებთან რამდენიმეჯერ მონაცვლებით).

ამ ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ 5-დან 10 აღექვატურ აღქმამდე ცდებს გაგრძელებისას, ყოველ ცალკე შემთხვევაში, პროპორციულად მატულობს ილუზიის გამოვლენის სიხშირე. მაგრამ მატულობს დროს ნაბტომი ჩანს 6 აღექვატური აღქმის შემდგომი გაგრძელებისას: 25%. ხოლო ასევე 9 აღექვატური აღქმის შემდეგაც 10%. ანალოგიური მდგომარეობაა საკმაოდ ძლიერი განწყობის გამოვლენის შემთხვევაშიც: 6 აღექვატური აღქმის შემდეგ—9% და 9 აღექვატური აღქმის შემდეგ—16%.

თუ 5 და მეტ აღექვატურ აღქმამდე გახანგრძლივებულ ცაებში ილუზიური გამოვლენის ყველა შემთხვევას აღვრიცხავთ, მაშინ იმ 31 ცდის პირთა მონაცემებიდან, რომელთაც განწყობა უფიქსირდებათ, შემდეგ სურათს მივიღებთ (იხ. ცხრილი № 2): 5 აღექვატური აღქმის შემდეგ 31 ცდის პირის შემთხვევაში საერთოდ განწყობის გამოვლენის 31 შემთხვევა დასტურდება და აქედან საკმაოდ ძლიერი—14 (რაც 31 ცდის პირის მიმართ საკმაოდ დიდ რაოდენობას წარმოადგენს), 6 აღექვატური აღქმის შემდეგ დასტურდება 25 შემთხვევა. 7-ის შემდეგ—11, 8-ის შემდეგ—6 და 9-ის შემდეგ—5. აქედან აშკარად ჩანს, რომ 8—9 აღექვატური აღქმის შემდეგაც კი კრიტიკული ცდების გაგრძელება საკმაო რაოდენობისა და ძლიერი ილუზიების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

10 ადეკვატურ აღქმამდე გახანგრძლივებულ ცდებში განწყობის
გამოვლენის ყველა შემთხვევა

ც. პ. რაოდ.	თანწყობებითი ადექვატური აღქმის შემდეგ	შემთხვევათა რაოდენობა	
		საერთოდ	აქედან საკმაოდ ძლიერი
31	5-ის შემდეგ	31	14
	6-ის	25	10
	7-ის	11	6
	8-ის	6	5
	9-ის	5	5

ამრიგად, მოიპოვება ექსპერიმენტული საბუთი იმისათვის, რომ განწყობა აღკვეთილად არ ჩავთვალოთ არა მარტო 5—6 ადეკვატური აღქმის შემდეგ, არამედ 8—9 ადეკვატური აღქმის შემდეგაც. როცა იგი საკმაოდ ძლიერიც კი ჩანს.

არ იქნება ინტერესს მოკლებული მოვიტანოთ ორიოდ მაგალითი ამ შემთხვევებისა: 30 საგანწყობო ექსპოზიციის შემდეგ ადასტურებენ ილუზიებს:

ა / ც. პ. №1 „ბეშ. ლავრ.“ $+3, = 2, +1, = 5, +1, = 2, +1, = 1, +1, = 2, +11, = 1, +3, = 3, +3, = 2, +2, = 3, +3, = 2, +2, = 2, +1, = 6, +5, = 3, +2, = 1, +4, = 1, +2, = 3, +1, = 3, +9, = 3.$

კრიტიკულ ცდათა რაოდენობა ასს აღწევს და ამით ცდაც წყდება.

ბ / ც. პ. №14 „კეპ. ვალ.“ $+3, = 1, +2, = 4, +16, = 2, +5, = 8, +8, = 10.$

გ / ც. პ. №18 „სვ. ვ.“ $+8, = 1, +1, = 1, +4, = 9, +1, = 6, +6, = 1, +4, = 10.$

პირველი მაგალითიდან ჩანს, რომ განწყობის პირველი გამოვლენა სუსტია (+3), შემდეგ მოდის „რხევა“ და 5 ადეკვატური აღქმა. აქ რომ ცდა შეგვეწყვიტა და მოცემულ მომენტში განწყობა აღკვეთილად ჩავვეთვალა, აშკარაა, ეს წეც-

დომა იქნებოდა, ვინაიდან ცდის პირი ამის შემდეგაც საკმაო „რხევასა“ და ერთბაშად 11 კონტრასტულ ილუზიას ადასტურებს, რაც სამჯერ აჭარბებს განწყობის პირველ გამოვლენას. შემდეგ კიდევ უფრო ხანგრძლივად გრძელდება განწყობის მეორეფაზოვანი მოქმედება, რასაც ისევ 6 ადექვატური აღქმა მოჰყვება და კვლავ მეორეფაზოვანი ილუზიური და ადექვატური აღქმის მონაცვლეობის გრძელი რიგი იწყება, რომელშიაც თანმიყოლებით +5 და +9 ილუზიებიც დასტურდება, რაც, აგრეთვე. ორჯერ და სამჯერ აჭარბებს ილუზიების პირველ გამოვლენას. აშკარაა. რომ ასეთი შემთხვევების ანალიზიდან შეიძლება განწყობის მოქმედების თავისებურ კანონზომიერებას ვწვდეთ, რომელსაც ვერ დავიკვირდით, თუ კრიტიკულ ცდებს პირველი 5 ან 6 ადექვატური აღქმის შემდეგ შევწყვეტდით. დაახლოებით იგივე ითქმის მეორე და მესამე მაგალითზე. თუმცა აქ ოდნავ განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე.

განწყობის პირველი გამოვლენა აქაც სუსტია (+3), შემდეგ ორი მონაცვლეობა =4 და ერთბაშად განწყობის ძლიერი გამოვლენა (+16). შემდეგ კიდევ ორი მონაცვლეობა (=2, +5) და 8 ადექვატური აღქმა. მაგრამ ამის შემდეგ განწყობა კვლავ შემობრუნდება საკმაო სიძლიერით (+8).

ანალოგიური, მაგრამ სპეციფიკურია მესამე მაგალითი: აქ განწყობა თავიდანვე საკმაო სიძლიერით ვლინდება (+8), რომლის გადამეტება და გამეორება შემდგომში არ ხდება და ისე აღწევს აღკვეთას. თუმცა აღკვეთის გზაზე 9 ადექვატური აღქმის შემდეგ, რამდენიმეჯერ არა პირველი სიძლიერით, მაგრამ შესამჩნევად „შემოუტევს“—„გაიბრძოლებს“, სანამ კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ აღქმას დაუთმობდეს ადგილს.

უდავოა, რომ ანალოგიური შემთხვევების დადასტურება მხოლოდ მაშინ შეიძლება. თუ კრიტიკულ ცდებს 5—6 ადექვატური აღქმის მიღწევის შემდეგაც განვაგრძობთ—თანმიყოლებით 10 ადექვატურ აღქმამდე მაინც.

როგორც ჩანს. არა მარტო 3—4, არამედ 5—6 და 8-9 თანმიყოლებითი ადექვატური აღქმის შემდეგაც გამოვლინე-

ბულ ილუზიებს არც ისე „სუსტი რეციდივის“ ხასიათი უნდა ჰქონდეთ; ყოველ შემთხვევაში, სუქცესიური პირობების მიმართ ეს არ ითქმის და ასეთი შემთხვევის დადასტურება ექსპირებული განწყობის ბუნების შესწავლისათვის იხტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შემდგომ კრიტიკულ ცდებს, როგორც ოპტიკურს, ისე ჰაპტურსა და კუნთურ არეში. მანამ ვაგრძელებდით, სანამ ცდის პირი თანმიყოლებით 10 და მეტ აღქვატურ აღქმას არ დაადასტურებდა. თუ ასეთს ცდის პირი დიდხანს ვერ მიაღწევდა. ცდებს 100 კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგ ვწყვეტდით (აქ მიღებული შედეგების კანონზომიერი ხასიათი ჰაპტურსა და კუნთურ არეშიც დადასტურდა. მათი მოტანა ზედმეტად მიგვაჩნია).

სუქცესიურ პირობებში ცდების ჩატარება ზოგ ტექნიკურ სიძნელესთან არის დაკავშირებული და შეიძლება, ერთი მხრით, ამითაც აიხსნებოდეს ის ფაქტი. რომ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის სისტემატურ კვლევას უპირატესად სიმულტანური შედარების ცდებით აწარმოებენ. განსაკუთრებით ეს სიძნელე ოპტიკურ არეში იჩენს თავს. ჩვეულებრივი ტაქსოსკოპით ასეთი ცდების წარმოება ძალზე ძნელია და არაზუსტი, ვინაიდან გამლიზიანებელთა პერიოდული ცვლა („პირველი და მეორე“) ხანგრძლივ საგანწყობო ცდებში თვითეული წყვილის მიწოდებისას ხანგრძლივ შუალედს მოგვცემდა და პირველისა და მეორის მიმართ უტოლობის მიმართების განწყობის ფიქსირებას გააძნელებდა. ამიტომ ჩვენ პირველად ეპიდიასკოპურ ცდებს მივმართეთ.

ორ ეპიდიასკოპში ცალ-ცალკე ვათავსებდით მკვეთრად განსხვავებული სიდიდის მრგვალ ფიგურებს (26 მმ დიამეტრისას და 14 მმ დიამეტრისას) და ბნელ ოთახში ეკრანზე ვახდენთ მათ ექსპოზიციას განსაზღვრული შუალედებით: პირველად — დიდსა და მეორედ — პატარას. პროექციათა შორის

შუალედი ზუსტად განსაზღვრული იყო ცდაში ჩართული მეტრონომის რიტმული მოძრაობის საშუალებით: ელდენის გაშვებით თვითეულ წყვილ ექსპოზიციაში მეტრონომით ჯერ პირველი ეპიდიასკოპი ჩაირთვებოდა მექანიკურად და შემდეგ — მეორე.

დენის გამორთვის შემდეგ მეტრონომის ორი მოძრობა ცდებს შორის შუალედად იყო მიღებული და ასე მეორდებოდა ცდა 25--30 საგანწყობო ექსპოზიციის გასწვრივ. კრიტიკული ცდებიც ანალოგიურად მიმდინარებოდა. მაგრამ აქ ერთი ეპიდიასკოპის ორჯერ განათებით პროეცირდებოდა ეკრანზე ერთი და იგივე მრგვალი ფიგურა (18 მმ დიამეტრით). როგორც საგანწყობო, ისე კრიტიკულ ცდებში, აქაც და სხვა შემთხვევაშიც, ყოველთვის ვუთვლიდით ცდის პირს სიტყვიერად: „პირველი“, „მეორე“. ეკრანსა და ეპიდიასკოპს შორის მანძილი 2,5 მეტრი იყო. ცდის პირი ეპიდიასკოპის მაღალი მაგიდის წინ ჯდებოდა.

ამგვარი ცდების ნაკლი ისაა, რომ, ჯერ ერთი, ცდის პირს ეკრანზე შთაბეჭდილების ხანმოკლე ექსპოზიციის გამო სასწიმიდევარი კვალი უჩნდება და ეს ზოგჯერ ხელისშეშლელ პირობად შეიძლება გამოვლინდეს. განსაკუთრებით კრიტიკულ ცდებში; მეორეც ინსტრუქციის გაცნობის შედეგ. ოთახი უნდა დაბნელდეს, მაგრამ მდივნისათვის ოქმის საწერად სპეციალური განათება უნდა დარჩეს. მეტრონომის რიტმული ხმაური, ოთახის დაბნელება და სხვ. ცდის პირზე თავისებურად მოქმედებს და ცდის პროცესი მას რაღაც უჩვეულო, „ფარცავი“ რამ ჰგონია. ამიტომ ჩვენ ვარჩიეთ ოპტიკურ არეში ცდის მეორე სერიაც ჩაგვეტარებინა ტაქისტოსკოპურად (სადაც ეს ნაკლი ასე თუ ისე მოიხსნებოდა). ამისათვის გავაკეთებინეთ ნეჩაევის სისტემის ისეთი ტაქისტოსკოპი, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა მოკლე შუალედებით შთაბეჭდილებათა სუქცესიურად მიწოდება როგორც საგანწყობო, ისე კრიტიკულ ცდებში. „პირველი-მეორეს“ შორის შუალედი აქ ნებისმიერი (არამექანიკური) იყო; ჩვენ შთაბეჭდილებას ვცვლიდით მომენტალურად, ჩარჩოს ხელით გადაწევით, მაგრამ სპეციალური ჩვევის გამო-

გეგმვების შემდეგ შუალედები „პირველ-მეორეს“ შორის ყოველი წყვილის მიწოდებისას დაახლოებით მაინც თანაბარი რჩებოდა. აქ მასალად გამოყენებული იყო ტუშით დახაზული წრეები: საგანწყობო ცდებში მკვეთრად განსხვავებული სიდიდის (პირველი 30 მმ დიამეტრისა და მეორე 16 მმ დიამეტრისა), ხოლო კრიტიკულ ცდებში თანაბარი სიდიდისა (20 მმ დიამეტრისა).

ტაქისტოსკოპის ფრთებს შორის შუალედი 5 სანტიმეტრი იყო. ეპიდისკოპური და ტაქისტოსკოპური ცდების შედეგების შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ილუზიების გამოვლენის თვალსაზრისით, უკანასკნელში თითქმის ვერავითარ უპირატესობას ვერ დანახავთ (იხ. ცხრილი № 3), მაგრამ, რაც მთავარია, სიმულტანურ პირობებში უკვე დადგენილი ზოგადი კანონზომიერება აქაც ვლინდება, სახელდობრ: ორივე შემთხვევაში კონტრასტული ილუზიების რაოდენობა აშკარად დომინანტობს ასიმულაციურთან შედარებით. ამიტომ შრომაში ამ მონაცემების განხილვისას ორივე სერიის ცდების შედეგები ჩვენ ერთობლივად გვაქვს წარმოდგენილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი დაკვირვებით ტაქისტოსკოპურ ცდებს ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი უპირატესობა მაინც აქვს.

ც ხ რ ი ლ ი № 3

ეპიდისკოპური და ტაქისტოსკოპური ცდების შედეგები %-ში.
1 კრიტიკული ექსპოზიციისა და პირველი 5 კრიტიკული ექსპოზიციის სუმარული მონაცემები

ცდები	ც. პ. რაოდ.	1 კრიტიკული ექსპოზიციით				პირველი 5 კრიტიკული ექსპოზიციით ერთად			
		+	-	±	=	+	-	±	=
ეპიდისკოპით ტაქისტოსკოპით	50	44	12	56	44	34,8	6,8	41,6	58,4
კოპით	50	46	8	54	46	35,2	9,6	44,8	55,2

სუქცესიურ პირობებში, განწყობის პროცესის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, ცდები ჩატარებული იქნა, აგრეთვე: ჰაპტურსა და კუნთურ არეებში.

ჰაპტურ არეში თვალდახუჭულ ცდის პირს ხელში ვაწვდიდით თანაბარი სიმძიმისა და მკვეთრად განსხვავებული სიდიდის ბურთებს 25—30-ჯერ (პირველი ბურთი—70 მმ დიამეტრით, მეორე—50 მმ დიამეტრით, სიმძიმე თვითულისა 115 გრამი). მიუხედავად იმისა, რომ ბურთები თანაბარი სიმძიმისა იყო, მოცულობის განცდის „იზოლაციის“ მიზნით ჩვენ ხის ბურთებს ტარის საშუალებით ვაწვდიდით დაბლიდან ხელში ისე, რომ მათი სიმძიმე ჩვენზე იყო დაყრდნობილი. ცდის პირი მხოლოდ ხელის მოვლებით სინჯავდა და აღარებდა მათს მოცულობას, ისე რომ სიმძიმეს არ განიცდიდა. კრიტიკულ ცდებში ანალოგიურად ეძლეოდათ თანაბარი სიმძიმისა და თანაბარი მოცულობის ხის ბურთები „პირველი“ — „მეორეს“ სახით (მოცულობა: 60 მმ დიამეტრით, სიმძიმე 138 გრამი). აქაც ცდა ჩატარებულია 50 ცდის პირზე.

კუნთურ არეში აგრეთვე თვალდახუჭულ ცდის პირს საგანწყობო ცდებში ეძლეოდა თანაბარი მოცულობის, მაგრამ განსხვავებული სიმძიმის, ხის ბურთები (პირველი—202 გრამი, მეორე — 88 გრამი; მოცულობა თვითულისა 60 მმ დიამეტრი). ბურთს ვაწვდიდით აქაც გადმობრუნებულ ხელში და ცდის პირს ვვალეობოდა უცბად. ერთი იმპულსით, აწევით შეედარებინა პირველი დიდი ბურთი მეორე პატარა ბურთისათვის.

კრიტიკულ ცდებში აქაც ეძლეოდათ თანაბარი მოცულობისა და თანაბარი სიმძიმის ბურთები (მოცულობა 60 მმ დიამეტრისა, სიმძიმე 138 გრამი). რა თქმა უნდა, ორივე ცდაში — ჰაპტურსა და კუნთურ არეებში—ვუთვლიდით: „პირველი“ — „მეორე“, და ვცდილობდით სათანადო ჩვევის შემუშავების შემდეგ შუალედი „პირველ-მეორე“ მიწოდებასა და ცალკეულ ცდათა შორის თანაბარი ყოფილიყო.

აქაც ცდა 50 ცდის პირზე იქნა ჩატარებული.

ჰაპტურსა და კუნთურს არეებში ყველა ცდა ჩატარებულა მარჯვენა ხელში. საგანწყობო ცდები როგორც ოპტიკურ არეში (ტაქისტოსკოპურად), ისე ჰაპტურსა და კუნთურშიც ჩატარებულა 25 ცდის პირზე „პირველი დიდისა“ და „მეორე პატარას“ მოწოდებით, ხოლო დანარჩენ 25 ცდის პირზე კი შებრუნებით: „პირველი პატარასა“ და „მეორე დიდის“ ექსპოზიციით; ეპიდიასკოპით კი ყველა ცდა ჩატარებულა „პირველი დიდისა“ და „მეორე პატარას“ ექსპოზიციით.

ამგვარად. ქვემოთ განხილული ცდები სუქცესიურ მიმართებაზე ხელოვნურად ფიქსირებული განწყობისა და მისი აღკვეთის პროცესის შესასწავლად სულ 200 ცდის პირზე ჩატარებული ექსპერიმენტის მასალაზეა აგებული: 100 ცდის პირზე ოპტიკურ არეში, ხოლო 50—50 ცდის პირზე—ჰაპტურსა და კუნთურს არეებში.

ამავე ცდის პირებზე იმავე დღეს, ცოტაოდენი შესვენების შემდეგ, ტარდებოდა სიმულტანური შედარების ცდები (15 საგანწყობო ექსპოზიციით, კრიტიკული ცდები კი აქაც თანმიყოლებით 10 ადექვატურ აღქმამდე გრძელდებოდა) იმ მიზნით, რომ გვეჩვენა ერთნაირ პირობებში მოპოვებული შესადარებელი მასალა სუქცესიურსა და სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების ერთნაირობისა და სხვაობის დასადგენად. როგორც ვთქვით, ჩვენი ცდები საკმაოდ განსხვავებული ხერხით ტარდებოდა (განწყობის აღკვეთის კრიტერიუმისა და ინსტრუქციის მხრივ), ვიდრე ბ. ხაჰაპურიძისა და ქ. მდივანის ცდები ანალოგიური საკითხის შესასწავლად.

ოპტიკურ არეში ასეთი ცდები ჩატარებულა ტაქისტოსკოპიურად 40 ცდის პირზე, ჰაპტურ არეში 25 ცდის პირზე და კუნთურ არეში 40 ცდის პირზე.

ოღენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის კვლევის ექსპერიმენტებში წინათ ცდის პირს დაახლოებით ასეთ ინსტრუქციას აძლევდნენ: „უცქირე ამ ფანჯარაში (იგულისხმება ტაქისტოსკოპური ცდები, ა. კ.), წრეები გამოჩნდება,

შეადარე ერთმანეთს სიდიდით და მითხარი როგორია¹. ანალოგიურად ტარდება ცდები ჰაპტურ არესა და კუნთურ არეში: „...შეადარე ერთმანეთს სიდიდით (ან სიმძიმით) და მითხარი როგორები იყოს“.

ასეთი ინსტრუქციით მოსალოდნელი არაა, რომ ყველა ცდის პირი იმთავითვე სწორ პასუხს მოგვცემს. ამიტომ შეიძლება გზადაგზა საჭირო გასდეს ექსპერიმენტატორის ჩარევად. მაგრამ ამ ჩარევამ შეიძლება ბიძგი მისცეს ცდის პირს რომელიმე მიმართულებით გადაფასებისაკენ. რამდენადაც ჩვენ ამგვარი ცდების ჩატარების საქმის კურსში ვართ, „ჩარევის“ საჭიროება საკმაოდ ხშირია, ხოლო ამ „ჩარევის“ აღრიცხვა კი შეუძლებელია; იგი შესაძლებელიც რომ იყოს, ეს მაინც არასასურველია, რადგანაც ამ შემთხვევაში ცდის პირებს განსხვავებული პირობები შეექმნებოდათ, რაც ექსპერიმენტული მონაცემების სიზუსტეს დაქვეითებდა.

ამიტომ ჩვენ ვარჩიეთ ინსტრუქციის იაე შეცვლა. რომ ცდის პირისათვის თავიდანვე გაცნობიერებული ყოფილიყო ყოველი შესაძლო ვანცლა და პასუხი როგორც საგანწყობო, ისე კრიტიკულ ცდებში. ყოველ ცდის პირს ასეთ ინსტრუქციას ვაძღვებთ: „დააკვირდით, არ ამ დაწვარაში მე თქვენ გაჩვენებთ ორ წრეს (ვალ-ცალივე: ჯერ ერთს. შემდეგ მეორეს, და ასეთს ხშირად გავიმეორებ. თქვენ ყოველთვის ყურადღებით შეადარეთ პირველი წრე მეორეს და მითხარით როგორც განიცადოთ, მოგეჩვენოთ ისინი: თუ ისინი განსხვავებულად განიცადეთ, მითხარით რომელია დიდი; თუ ტოლად,—მითხარით, რომ ტოლებია. თუ დიდი სხვაობა შენიშნოთ, ისიც მითხარით და თუ ცოტა სხვაობა შენიშნოთ,— ისიც. იცოდეთ განგებ არც სხვაობა ექვებით და არც ტოლობა. როგორც განიცადოთ და მოგეჩვენოთ, „თვალმა რაც გითხრათ“, ყოველთვის ის მითხარით. ასეთს ბევრჯერ გავიმეორებ, არ მოგწყინდეთ; ყოველთვის ხელახლა დააკვირდით“. ანალოგიურად ტარდებოდა ცდა ჰაპტურსა და კუნთურს არე-

¹ ბ. ხ ა კ ა პ უ რ ი ძ ე, განწყობათა ურთიერთ შეცვლის ფაზური ხასიათი, მასალები... ტ. I, გვ. 100.

ებში: „ბურთებს მოკაწვდით მარჯვენა სელში... ხელმა რაც გოხრას, ის მითხარით“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, აქ ყოველი შესაძლო განცდა და შესაძლო პასუხი წინასწარაა გაცნობიერებული: თუ განსხვავებულიობაა, რომელია დიდი, სოლო თუ ტოლობაა—მისი დაღასტურება, „დიდი სხვაობა“ და „ცოტა სხვაობა“. ეს უკანასკნელი „დიდი სხვაობა“ და „ცოტა სხვაობა“ შემდეგი მოსაზრებით შევიტანეთ: როგორც ცნობილია, და თვითდაკვირვებიდანაც ვიცით, კრიტიკულ ცდებში ილუზიური უტოლობის განცდა არც ისეთი დიდი სხვაობითაა მოცემული, როგორც საგანაწყობო ცდებში. საგულისხმოა ისიც, რომ სხვადასხვა ცდის პირის შემთხვევაში ეს მცირე სხვაობა შეიძლება ზოგჯერ მეტ-ნაკლები სიმცირითაც იყოს წარმოდგენილი, და ზოგმა ცდის პირმა არც კი მიაქციოს ყურადღება „ოდნავ სხვაობას“ და პირდაპირ თქვას ტოლიაო¹. შემდეგ გვსურდა კიდევ შეძლებისდაგვარად ამ შემთხვევაშიც გამოგვევლინა ე. წ. „გარდასვლის განცდები“, რადგან შენიშნულია, რომ კრიტიკულ ცდებში უტოლობის ილუზია პირველ ხანებში და შემდგომ ერთნაირი სხვაობით არ გვეძლევა².

სანამ ჩვენ ექსპერიმენტულად ფიქსირებული უტოლობის განწყობის კვლევას შევეუდგებოდით, იძულებული გავხდით შეგვესწავლა ბუნებრივი გადაფასების ტენდენცია—ტოლ სიდიდეთა უტოლოდ (ილუზიურად) განცდის ტენდენცია, ე. წ. ასიმეტრიის საკითხი ტოლ სიდიდეთა სუქცესიურ შედარებისას და მისი ადგილის საკითხი უტოლობის განწყობის კრიტიკულ ცდებში.

ამ მიზნით ჩვენ ჩავატარეთ ცდები როგორც ოპტიკურ, ისე ჰაბტურსა და კუნთურ არეებში, ორივე თვალზე ერთდროულად, მარჯვენა და მარცხენა თვალზე ცალ-ცალკე და მარჯვენა და მარცხენა ხელზე. ცდის მასალა იყო ზემოაღწე-

¹ იშვიათად, მაგრამ ასეთი რამ ჩვენს წინასწარ ცდებშიც შევამჩნიეთ.

² როგორც ვიცით, გახანგრძლივებული კრიტიკული ექსპოზიციის ცდებში (ქ. მლივანი) აშკარად იჩინა თავი ასეთმა მოვლენამ, იხ. ქ. მლივნის დასახელებული შრომა.

რილ კრიტიკულ ცდებში გამოყენებული წრეები და ბურთები ცდა ტარდებოდა იმავე ინსტრუქციით: ცდის პირს ყოველ ცალკეულ ცდაში შესადარებლად ეძლეოდა ტოლი სიდიდეები სუქსეციურად 20-ჯერ და თვითეული პასუხი აღირიცხებოდა ცალ-ცალკე; ძირითადი ცდები ოპტიკურ არეში ჩატარებული იყო 50 ცდის პირზე, ასევე ჰაპტურ არეში 50 ცდის პირზე და კუნთურ არეშიც 50 ცდის პირზე; დამატებით სხვადასხვა საკითხის შემოწმებისათვის ცდა საერთოდ ჩატარდა 145 ცდის პირზე.

ამრიგად, ზემოთ მოხსენებულ უტოლობის ფექსირებული განწყობის ცდებთან ერთად (200 ც. პ.) წინამდებარე შრომაში საერთოდ წარმოდგენილია 595 ცდის პირზე ჩატარებული ცდის მასალები. ყოველი ცალკეული სახის ცდებში ქალ-ვაჟთა რაოდენობა დაახლოებით თანაბარია.

გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია და მისი აღზიდვის საკითხი სუბცენსიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედებაში

I

§ 1. გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია და მისი საფუძველი

ცნობილია, როცა ადამიანი წყვილ ტოლ სიდიდეს სიმულტანურად (ერთდროულად) ურთიერთს ადარებს, ხშირ შემთხვევაში ამ ტოლობის მიმართების ადექვატურ აღქმას ვერ ახერხებს და ამის გამო წყვილის რომელიმე წევრი უფრო მეტი სიდიდის, სიმძიმის თუ ინტენსიობის მქონეთ ეჩვენება. ამ მოვლენას წყვილულ კორესპონდულ ორგანოთა ასიმეტრიული (არათანაბარი) განვითარების ფაქტთან აკავშირებენ და მას ხელმარჯვენობისა და მსარმარცხენობის გამოვლენად თვლიან.

საქართველოში ამ საკითხის ინტენსიურ კვლევას (სიმულტანური შედარების ცდებით) თავიდანვე ბ. ხაჭაპურიძე აწარმოებდა. მან მრავალი საგულისხმო ფაქტი და სათანადო კანონზომიერება დაადგინა¹ (იხ. ცხრილი № 4), სახელდობრ:

ტოლ სიდიდეთა სიმულტანურად აღქმისას, როგორც ოპტიკურად, ისე ჰაპტურად, კუნთურის შემთხვევაში კი სიმძიმის განცდისას, არსებობს ტოლობის მიმართების

¹ ბ. ხაჭაპურიძე, ასიმეტრია სიდიდეთა სიმულტანური შედარების ცდებში. ფსიქოლოგია, ტ. I, 1942, გვ. 115—134.

ილუზიურად განცდის საკმაოდ ჩამოყალიბებული ბუნებრივი ცალმხრივი გადაფასებას, ე. წ. ასიმეტრიის ტენდენცია. ასიმეტრიის ტენდენცია სხვადასხვა ადამიანებში უპირატესად რომელიმე მხარას (მარჯვენა, მარცხენა) გადაფასების გაბატონებული ტენდენციის სახითაა მოცემული. ოპტიკურსა და ჰაპტურ არეში, გაბატონებული ტენდენციის მიხედვით გავრცელებულია უპირატესად მარცხნივ გადაფასების ტენდენცია, ხოლო კუნთურ არეში კი (სიმძიმეთა სიმულტანური შედარება), გამონაკლისის სახით. უპირატესად მარჯვნივ გადაფასების ზებუნებრივი ტენდენცია.

ტოლობის მიმართების ადექვატური აღქმის თვალსაზრისით ოპტიკური არე შედარებით მეტი ადექვატური აღქმის შესაძლებლობით ხასიათდება, ვიდრე ჰაპტური და კუნთური, ხოლო ეს უკანასკნელი კი ყველა არესთან შედარებით, დაბალის და, საერთოდ, ძალზე დაბალი ადექვატური აღქმის შესაძლებლობით (12,8%).

ოპტიკურ არეში მონოკულარული (ერთი თვალით) მხედველობისას, მარჯვენა თვალი მარცხნივ გადაფასების ბუნებრივი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო მარცხენა კი მარჯვნივ გადაფასების ტენდენციით. აქედან, როგორც ბ. ხაჭავაძე აღნიშნავს, ბინოკულარული (ორი თვალით) მხედველობისას ტოლი სიდიდეების შედარებისას „მარჯვენა თვალი ასრულებს წამყვან როლს და ილუზიური აღქმის ხვედრს ძირითადად იგი განსაზღვრავს“¹. ოპტიკური არესათვის საერთოდ მარცხნივ გადაფასების უპირატესი ტენდენცია შეიმჩნევა, რაც შეეხება ადექვატურ აღქმას, ამ მხრივ მარცხენა თვალი უფრო მეტი ადექვატური აღქმის შესაძლებლობით ხასიათდება (61%), ვიდრე მარჯვენა თვალი (49%).

ვინაიდან განწყობის კვლევას მეთოდოლოგიით კრიტიკულ ცდებში ტოლი ობიექტების ილუზიური თუ ადექვატური აღქმის რაგვარობაში მისი წინამორბედი ფიქსირებული განწყობის მოქმედების რაგვარობაა ნაგულისხმევი, ბ. ხაჭავა-

¹ ბ. ხაჭავაძე, ასიმეტრია სიდიდეთა სიმულტანური შედარების ცდებში, ვ. 132.

რიძის გამოკვლევის შემდეგ ეს ისედაც საინტერესო საკითხ-
განსაკუთრებული აქტუალობით დაისვა.

ცხრილი № 4

ბუნებრივი გადაფასების ტენდენცია სიმულტანურ პირობებში
(ნაყრები მარჯვენა-მარცხენა ბ. ხაჯაპურიძის მონაცემებიდან)¹
(ცალკე პასუხების სტატისტიკა)

	ც. პ. რაოდ.	სულ შეფასება- თა რაოდენობა	მარცხენი გადაფა- სება		მარჯვნივ გადაფა- სება		სულ ოლუზიური აღქმა		აღქმა- ტური აღქმა	
			აბს. რაოდ.	%	აბს. რაოდ.	%	აბს. რაოდ.	%	აბს. რაოდ.	%
ორი თვლით .	20	200	61	30,5	32	16	93	46,5	107	53,5
მარჯვენა თვ. .	20	201	77	38	46	23	123	61	78	39
მარცხენა თვ. .	20	200	18	9	80	40	98	49	102	51
პაპტურად .		288	147	51	72	25	219	76	69	24
კუნთურად (სიმძიმე)		183	67	35,6	92	51,6	159	87,2	24	12,8

კერძოდ, საკითხი დადგა ამ ბუნებრივი გადაფასების ტენ-
დენციის აქტუალიზაციის შესაძლებლობის შესახებ ხელოვ-
ნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის შემდგომ კრი-
ტიკულ ცდებში — ტოლი ობიექტების ექსპოზიციის დროს.

რაკი ჩვენ სუბიექსიურ მიმართებაზე ფიქსირებული
განწყობის პრობლემაზე ვმუშაობდით, ეს საკითხი ჩვენთვის
საც აქტუალური გახდა. მაგრამ, ვიდრე ჩვენ ამ უკანასკნელ სა-
კითხს გავარკვევდით, წინასწარ უნდა გვეკვლია შემდეგი
საკითხი: ხომ არაა ეს ბუნებრივი „ცალმხრივი“ გადაფასების
ტენდენცია აგრეთვე დამახასიათებელი ტოლ სიდიდეთა
სუბიექსიურად შედარების შემთხვევისათვისაც და, ამრი-
გად, ზოგადი მოვლენა და არა სპეციფიკური მხოლოდ სი-
მულტანური შედარებისათვის? მხოლოდ ამის შემდეგ შეი-

¹ ბ. ხაჯაპურიძე, დახელებული ნაშრომი, ცხრილი № 3,
გვ. 6, 13, 119, 122, 131.

ძლებოდა დაგვევა საკითხი მ-სი ადგილის თუ უადგილობის შესახებ სუქცესიურ პირობებში ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის რიტყულ ცდებში.

ჩვენ დეტალურად და სისტემატურად შევისწავლეთ საკითხი ტოლ სიდიდეთა შეფასებისა სუქცესიურად „ბუნებრივ“ პირობებში¹. როგორც ოპტიკურს, ისე პაპტურსა და კუნთურ არეში. რომელშიაც საერთოდ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის კვლევა მიმდინარეობს.

ჩვენ ცდის პირებს ვაწვდიდით შესადარებლად წყვილ ტოლ სიდიდეებს 20-ჯერ. ყოველ მიწოდებისას ვუთვლიდით: „პირველი, მეორე“; მათ ევალეობოდათ ყოველი წყვილის შედარების დროს ეპასუხნათ—ტოლად განიცადებს ისინი თუ არატოლად, და თუ არატოლად, — რომელი განიცადებს უფრო მეტად. ცალკეული პასუხები და სპონტანური გამოთქმები შეგვეკონდა ოქმში. ოპტიკურ არეში ცდები ტარდებოდა ეპიდიასკოპურად მრგვალი ტოლი ფიგურების ეკრანზე ექსპოზიციით, ხოლო პაპტურსა და კუნთურ არეში — ტოლი მოცულობისა და სიმძიმის ბურთების შედარებით, თვალდახუჭულად.

მოვიტანთ მოკლედ იმ შედეგებს, რაც ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებით სუქცესიურ პირობებში დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს და რასაც მნაშვნელობა აქვს ჩვენი ძირითადი საკითხისათვის.

დადასტურდა, რომ ტოლ სიდიდეთა სუქცესიურად განცდის დროსაც არსებობს ტოლობის მიმართების უტოლოდ—ილუზიურად აღქმის საკმაოდ ჩაპოყალიბებული. ბუნებრივი ტენდენცია, რომელიც დამახასიათებელია ყველა კვლევულ ოპტიკური, პაპტურ-კუნთური არეებისათვის. ილუზიური აღქმის ეს ტენდენცია შედარებით ნაკლებია ოპტიკურ არეში, საშუალოა პაპტურში და შედარებით მეტია კუნთურ არეში (იხ. ცხრილი № 5).

ილუზიური თუ ადექვატური აღქმის განსაზღვრაში კო-

¹ ა. კინწურაშვილი, სიდიდეთა შეფასება სუქცესიურად შედარების დროს. 1948 (ხელნაწერი).

ბუნებრივი გადაფარვის ტენდენცია სუქციის სურათებში
(ცალკე კატეგორიების სტატისტიკა)

ა რ ე	კარესპონდენტი ორგანო	ც. კ. რაოდ.	სულ შეფას. რაოდ.	პირველის გადფარ.		მორავს გადფარ.		სულ ილუზიური ილუზია		აღმკატური ილუზია	
				აბ. რ.	პ. რ.	აბ. რ.	პ. რ.	აბ. რ.	პ. რ.		
ობტექური	ორი თეალით	25	500	59	11,8	150	30,0	209	41,8	291	58,2
ეიდიას-ობიური	მარჯვენა თე.	25	500	66	13,2	127	25,4	193	38,6	307	61,2
ცდები	მარცხენა თე.	25	500	59	11,8	93	18,6	152	30,4	348	69,6
ტაქსისოკობიური	ორი თეალით	25	500	107	21,4	140	28,0	247	49,4	253	50,6
ცდები	მარჯვენა სელი	25	500	144	28,8	116	23,2	260	52,0	240	48,0
კაბტური	მარცხენა სელი	25	500	128	25,6	86	17,2	214	42,8	286	57,2
კუნთური	მარჯვენა სელი	25	500	130	26,0	183	36,6	313	62,6	187	37,4
	მარცხენა სელი	25	500	129	25,8	135	27,0 ₂	264	52,8	236	47,2

რესპონდულ ორგანოთა არათანაბარი ღირებულება აქაც ფაქტია, როგორც წესი, მარჯვენა უფრო მეტ ილუზიურ აღქმას იძლევა, ვიდრე მარცხენა და, ამრიგად, თუ განცდაში მხარმარჯვეობის საკითხი დაისმის. ადექვატური აღქმის თვალსაზრისით მარცხენა კორესპონდული ორგანო მეტი „მარჯვეობით“ სასიათდება (ადექვატური აღქმის მეტი მაჩვენებლებით), ვიდრე მარჯვენა და. პირიქით, ილუზიურ აღქმაში „მარჯვეობა“ მარჯვენა კორესპონდულ ორგანოს ეკუთვნის (ილუზიური აღქმის მეტი მაჩვენებლებით). აქედან, საერთოდ, თუ ვილაპარაკებთ მხარმარჯვეობაზე აღქმაში, მასზე არა რომელიმე მხარეზე თუ მიმართულებით სიდიდის გადაფასების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, არამედ სხვადასხვა მხარის კორესპონდულ ორგანოში ილუზიური თუ ადექვატური აღქმის—მეტნა ლეობის მიხედვით.

სუქცესიურ პირობებში ტოლობის მიმართების ილუზიური აღქმის ბუნებრივი ტენდენცია პირველ თუ მეორე მიმართულებით გადაფასების სახით ვლინდება და ეს გადაფასება უპირატესად რომელიმე მიმართებით გადაფასების ტენდენციურობის სახით დასტურდება სხვადასხვა მოდალობაში და სხვადასხვა ცდის პირში. ობიექტურ და კუნთურ არეში იგი უპირატესად მეორის მიმართულებით გადაფასების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო პაპტურ არეში, პირიქით, გამონაკლისის სახით უპირატესად პირველის მიმართულებით გადაფასების ტენდენციით. ცალკეულ სუბიექტებში, გაბატონებული ტენდენციის მიხედვით, ყველა არეში გვხვდება როგორც პირველი, ისე მეორის მიმართულებით გადაფასების გაბატონებული ტენდენცია. ობიექტურა და კუნთურ არეში მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი მეორის მიმართულებით გადაფასების ტენდენციის მატარებელი სუბიექტები, ვიდრე პირველია: პაპტურში კი, პირიქით, მეტი რაოდენობით წარმოდგენილია უპირატესად პირველის მიმართულებით გადაფასების გაბატონებული ტენდენციის მატარებელი სუბიექტები. რაც საკვებით განონზომიერად გამომდინარეობს ცალკე პასუხთა სტატისტიკის მონაცემებიდან. იშვიათია ისეთი ცდის პირი, რომელსაც

არე	ცვლი- პირთა რაოდ.	სუარბობს ან დომინანტობს ილუზიური აღქმის ტენ- დენცია		სუარბობს ან დომინანტობს ადექვატური აღქმის ტენ- დენცია		ტოლფარდო- ვანია ილუსი- ური და ადე- ქვატური აღქ- მის ტენდენცია	
		აბს. რ.		აბს. რ.		აბს. რ.	
ობტიკური	25	17	44	8	32	6	24
ჰაპტური	25	16	64	7	28	2	8
აუნთური	25	17	68	7	28	1	4

აბსოლუტურად პირველის მიმართულებით ან მეორის მიმართულებით გადაფასების ან ადექვატური აღქმის ტენდენცია ახასიათებდეს. უფრო ტიპიური ისაა, რომ 20 კრიტიკული ექსპოზიციის გააწვრივ შეფასების დროს სამივე შემთხვევის მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე. ამასთანავე მათში რომელიმე აუცილებლად დომინანტობს (იხ. ცხრილი № 6).

სუქცესიურ პირობებში გადაფასების ტენდენციის უპირატესობა სხვადასხვა მხარის კორესპონდულ ორგანოში ერთი და იგივე მიმართულებისაა, მათ შორის ობტიკურ არეშიც, იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში მონოკულარული მხედველობისას მარცხენა და მარჯვენა თვალში გადაფასების ტენდენციის დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე. სუქცესიურ პირობებში გადაფასების ტენდენციები ყველა კორესპონდულ ორგანოში ერთმანეთს და, მაშასადამე, ტენდენციის განსაზღვრაში (ობტიკური არე), რომელიმე მხარის კორესპონდულ ორგანოს წამყვანობაზე აქ საკითხი არ დაისმება.

ერთ გარემოებას უნდა გაეღვას ხაზი: ილუზიური აღქმის ტენდენცია სუქცესიურ პირობებში უფრო ნაკლებია, ვიდრე სიმულტანურ პირობებში. განსაკუთრებით ეს სხვაობა ჩანს

ღეთა სუქცესიური შედარებისას

სუარბობს ან დომინანტონს პირველის გადა- ფასების ტენდენ- ცია		სუარბობს ან დომინანტონს მეორის გადაფა- სების ტენდენ- ცია		ტოლფარდოვან- ია გადაფასების ტენდენცია		„უტენდენ- ციონი“	
აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	
11	41	13	52	—	—	1	4
14	56	7	28	3	12	1	4
5	20	19	76	1	4	—	—

კუნთურ არეში, სადაც სიმულტანურ პირობებში ილუზიური აღქმის ძალაზე დიდი მაჩვენებლებია წარმოდგენილი. ჰაპტურ არეში — შედარებით ნაკლები, ხოლო ოპტიკურ არეში იგი თითქმის ტოლფარდოვანია.

აქ ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება: ჩვენი და ბ. ხაჯაპურიძის მონაცემების შედარებისას, ადექვატური აღქმის ტენდენციის თვალსაზრისით, ოპტიკურ არეში ორივე თვალზე. ჩვენი ეპიდასკოპიური ცდების მონაცემებით, სუქცესიურ პირობებში ადექვატური აღქმის მაჩვენებლები ცოტაა, მაგრამ მაინც მეტია (58%), ვიდრე სიმულტანურ პირობებში ტაქისტოსკოპიური ცდების მონაცემებით (53,5%); ჩვენი ტაქისტოსკოპიური ცდების მონაცემებით კი, პირიქით, პირველში ოდნავ ნაკლებია (50%), ვიდრე მეორეში (53,5).

ვინაიდან ჰაპტურისა და კუნთური არეების მონაცემებით და აგრეთვე მარცხენა და მარჯვენა თვალის მონაცემებითაც სუქცესიურ პირობებში ადექვატური აღქმის ტენდენციის აშკარა სიჭარბესთან გვექონდა საქმე (შეად. ცხრილი № 4 და № 5). ჩვენ სპეციალურად შევამოწმეთ ეს ფაქტი ერთსა და იმავე ცდის პირებზე.

ცდა ჩატარდა 50 ცდ. პირზე — ტოლი წრეების 20-20 კრიტიკული ექსპოზიციით თვითეულზე, — ცალკე სიმულტანუ-

რი და ცალკე სუქცესიური შედარებებით: 25 ც. პ. ჩატარდა ჯერ სიმულტანური და შემდეგ სუქცესიური შედარების ცდებში. ხოლო დანარჩენ 25 ცდ. პირზე კი ჯერ სუქცესიური და შემდეგ სიმულტანური ცდები.

ც ს რ ი ლ ი № 7

სიმულტანური და სუქცესიური შედარების ცდები
ტაქისტოსკოპიურად ერთი და იგივე ცდის პირზე

	ც. პ. რაოდ.	სულ შეფას. რაოდ.	სიმულტანურად				სუქცესიურად			
			ილუზიური აღქმა		ადექვატური აღქმა		ილუზიური აღქმა		ადექვატური აღქმა	
			აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
ორივე თვალით	50	1000	498	49,3	502	50,2	376	37,6	624	26,4

როგორც № 7 ცხრილიდან ჩანს, ჩვენს ტაქისტოსკოპურ ცდებში დაღასტურებული ადექვატური აღქმის მონაცემები თითქმის ემთხვევა ბ. ხაჭაპურიძის ტაქისტოსკოპური ცდების მონაცემებს (ჩვენი 50.2%, ბ. ხაჭაპურიძის 53,5%) სიმულტანურ პირობებში და ამიტომ შესაძლებელია ამ მონაცემების კანონზომიერი ხასიათი საერთოდ უდავოდ მივიჩნიოთ. მეორე, — რასაც ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობა აქვს, — ეს ისაა, რომ ორივე პირობებში ერთი და იგივე ცდის პირზე ჩატარებული ცდებით აშკარად ჩანს, რომ ბინოკულარული მსედველობის შემთხვევაშიაც ტოლ სიდიდეთა სუქცესიურად შედარებისას ადექვატური აღქმის აშკარად მეტი ტენდენცია დასტურდება (62,4%), ვიდრე სიმულტანურად შედარებისას (50,2%).

ამრიგად, შეიძლება უდავოდ მივიღოთ, რომ ტოლ სიდიდეთა სუქცესიური შედარებისას, როგორც ოპტიკურ, ისე ჰაპტურსა და კუნთურ არეში, საერთოდ მეტი ადექვატური აღქმის ტენდენცია დასტურდება, ვიდრე სიმულტანური შედარებისას, მიუხედავად იმისა, სუქცესიურ პირობებში საერთოდ ტოლ სიდიდეთა შორის მიმართების ბუნებრივი ილუზიური აღქმის ტენდენცია საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები-

თაა წარმოდგენილი და გარკვეული კანონზომიერების მქონე მოვლენას წარმოადგენს. ამრიგად, ტოლ სიდიდეთა გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია ზოგადი მოვლენაა და არა სპეციფიკური, ე. ი. არა მხოლოდ სიმულტანური შედარებისათვის დამახასიათებელი (ისეთი ცდის პირი, რომელსაც აბსოლუტურად ადეკვატური აღქმის ტენდენცია აქასიათებს, ჩვენი მასალების მიხედვით, ორივე შემთხვევაში იშვიათობას წარმოადგენს).

სუქცესიურ პირობებში ტოლ სიდიდეთა შორის მიმართების — ილუზიური აღქმის — რომელიმე წევრის გადაფასების ტენდენციის საკმარის გავრცელებული ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ბუნებრივი „ცალმბრივი“ გადაფასების ტენდენციას არა მარტო იქ აქვს ადგილი, სადაც მისი მორფოლოგიური საფუძველი შეიძლება გვეჯულისხმებია (მაგ., სიმულტანურ პირობებში მოცულობისა და სიმძიმის ხელით შედარებისას), არამედ, როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს. „იქაც, სადაც ამ მოვლენის მორფოლოგიური საფუძველი, როგორც ჩანს, არ არსებობს (სუქცესიურ პირობებში კ.). მაშასადამე, აუცილებელი ხდება ვილაპარაკოთ ფუნქციონალური ასიმეტრიის შესახებაც“¹, ე. ი. ფუნქციონალური ბუნებრივი გადაფასების ტენდენციის შესახებ.

გარკვეული ასრით, სუქცესიური პირობებისათვის ბუნებრივი ასიმეტრიის ცნებასთან შედარებით, ჩვენ უმჯობესად მიგვაჩნია გამოვიყენოთ „გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის“ ცნება.

როგორ უნდა გავიგოთ და ავხსნათ ტოლ სიდიდეთა უტოლოდ (ილუზიურად) აღქმის ესოდენ გავრცელებული, გარკვეული კანონზომიერების მატარებელი ბუნებრივი ტენდენცია როგორც სიმულტანურად, ისე სუქცესიურად შედარებისას, რომელიც ათა მარტო ბ. ხაჭაპურიძისა და ჩვენი ცდებით დასტურდება, არამედ, როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, ფსიქოფიზიკური ექსპერიმენტებითაც.

„სპეციალური გამოკვლევა — განსაკუთრებით ფსიქო-

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპ. საფუძვლები, „ფსიქოლოგია“, ტ. VI, 1949, გვ. 74.

ფიზიკურ ექსპერიმენტულ ძიებათა სფეროში—ამოწმებენ, თუ რაოდენ იშვიათია სხვადასხვა სენსორული წყაროებიდან მომდინარე შთაბეჭდილებების ტოლობის ადეკვატური შეფასების შემთხვევა. ექსპერიმენტულად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადამიანი საერთოდ უტოლობის მოვლენებს უფრო ადვილად ამჩნევს და სწორად აფასებს. ვიდრე ტოლობის მოვლენებს. ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ადამიანი მოწყობილია აღიქვას გარემო უფრო ასიმეტრიულად, ვიდრე, პირიქით, სიმეტრიულად, რომ საერთოდ, მას ფსიქიკურად უფრო ასიმეტრიის მოვლენებისადმი აქვს მიდრეკილება, ვიდრე სიმეტრიის მოვლენებისადმი¹. ისმის საკითხი: რატომაა ადამიანი ისე მოწყობილი, რომ იგი უტოლობის მოვლენებს უფრო ადვილად ამჩნევს, ვიდრე ტოლობისას (ტოლობაც კი უპირატესად უტოლობათ ეჩვენება) და, ამრიგად, ტოლობის მიმართების უტოლოდ აღქმის საკმაოდ გამოკვეთილი ბუნებრივი მიდრეკილებით ხასიათდება?

როგორც ცნობილია, შესაძლებელია ადამიანს ხელოვნურადაც შევუქმნათ უტოლობის მკვეთრად ჩამოყალიბებული ფიქსირებული განწყობა არატოლი ობიექტების ხანგრძლივი ზემოქმედების გზით; ხოლო ამ უტოლობის განწყობის მქონე ადამიანს რომ შესაძარებლად ტოლი ობიექტები მივაწოდოთ, საკმაო ხანს იგი (სანამ ქვემდებარე განწყობა ძალაშია) ამ ტოლ ობიექტებსაც ილუზიურად (უტოლოდ), ასე ვთქვათ, ასიმეტრიულად განიცდის. მაშასადამე, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, „რომ ექსპერიმენტულ ასიმეტრიას საფუძვლად განწყობა უდევს, რომელიც ჩვენი საგანწყობო ექსპოზიციების ზემოქმედების შედეგად არის ფიქსირებული“....

„უნდა ვიფიქროთ, რომ „ბუნებრივი“ ასიმეტრიის შემთხვევაშიც ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე“², რომ ბუნებრივი გადაფასების ტენდენციასაც ფიქსირებული განწყობა უდევს საფუძვლად. ოღონდ ის განწყობა, რომელიც გარკვეული გარეპირობების მოქმედების შედეგადაა ფიქსირებული.

¹ დ. უზნაძე. „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, ფსიქოლოგია, ტ. VI, გვ. 74.

² იქვე.

მართლაცდა, როგორი ტოლობა-უტოლობის მიმართების მიხედვით ჩვენზე ბუნებრივად მოქმედი გარემო? შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ ბუნებაში აბსოლუტურად ტოლი არაფერია, ყოველ შემთხვევაში, ისე ტოლი, როგორც ამას ჩვენს ექსპერიმენტებში აქვს აღგვილი. ობიექტურ სინამდვილეში ტოლობა მხოლოდ ადამიანის შემონაქმედის სახით შეიძლება ვნახოთ¹, და ისიც იშვიათად. მაგრამ ადამიანის ხელთქმნილი ტოლობაც კი ბუნებრივად იშვიათად თუ მოქმედებს ჩვენზე ტოლობის სახით.

აი, ჩემს წინ ამყამალ ადამიანის ხელთქმნილი ორი ტოლი სამეღნე ან ორი ტოლი ფანჯარაა. ისინი ჩემზე (ჩემს თვალში გამოხატულების სახით) როგორც აბსოლუტურად ტოლი გამლიზიანებელნი ვერ იმოქმედებენ: მე ფანჯრებს გვერდიდან ვჭკრეტ და გასაგებია, რომ შორს მდებარე ფანჯრის გამოხატულება ჩემი თვალის ბაღურაზე უფრო პატარა იქნება, ვიდრე ახლოს მდებარესი; ანალოგიურად იგივე ითქმის საშელნეებზეც: ერთი მათგანი მეტადაა განათებული და მეორე ნაკლებად, ამასთანავე მე არც ისე პირდაპირ ვხივარ, რომ მათგან მომდინარე სხივები ერთნაარად მეცემოფეს თვალის ბადურაზე. ადამიანებიც ხომ ასეთ პირობებში არიან ყოველ ხელთქმნილ ტოლ სიდიდეთა სიმულტანურად თუ სუქცესიურად აღქმის დროს?

შეიძლება აქ აღქმის კონსტანტობა კნობილ ფენომენზე მიეუთითოთ, მაგრამ აღნიშნული დებულები საწინააღმდეგოდ კონსტანტობის ფენომენის განოქმენება არ შეიძლება ვერ ერთი იმიტომ, რომ კონსტანტობაც შეფარებულია. კარკვეულ ფარგლებს იქით ირღვევა და თავი ირღვევა, ამ რღვევის მოსამზადებელი მომეპტი უოველ ახლო მანძილზე და კუთხიდან ჭკრეტაშიცაა მოცემული; მეორეც, აღქმის ფიზიოლოგიური ფაქტორი, რომელიც მოცემულ მომენტში განცდაში არ ჩანს, გენეტურად, რა თქმა უნდა, კარკვეულ როლს უნდა ასრულებდეს როგორც განცდადო ფენომენი: აკრეთვე განწყობის ფენომენის ჩამოყალიბების პროცესშიც. ანრიგად,

¹ დ. უ. ხ. ა. ძ. ე. დასახელებული მანოობი.

ადამიანის ხელთქმნილი ტოლობის ობიექტური მიმართებაც კი იშვიათად ან არასოდეს არ მოქმედებს ჩვენზე როგორც ტოლობა. ობიექტურად არსებული ტოლობის მიმართების ზემოქმედება ჩვეულებრივად ჩვენს მიერ მოწყობილ ხელოვნურ პირობებშია (ტაქსტოსკოპიურად და სხვა) შესაძლებელი. როცა ჩვენ მას საგანგებოდ გარკვეული მანძილიდან და პირდაპირ ვამოქმედებთ ადამიანზე.

მაშასადამე, ბუნებრივ პირობებში ობიექტური სინამდვილე ჩვენზე მოქმედებს უპირატესად როგორც უტოლობის მიმართება; ამიტომ გასაგებია, რომ განწყობა.—როგორც ეს დ. უზნაძის მოქმედებიდან ვიცით,—ობიექტურის სინამდვილის უბიექტუო გადატანით მისი (ე. ი. სუბიექტის) შესაფერის მოდიფიკაციას (ცვლილებას) უნდა წარმოადგენდეს, ადამიანისა და გარესინამდვილის (უპირატესად უტოლო სინამდვილის) ხანგრძლივი ურთიერთობის პროცესში მან უფრო უტოლობის განწყობის ფიქსაცია უნდა მოასდინოს. ვიდრე ტოლობის განწყობისა. ამრიგად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია ისტორიულად-გენეტიკურად ფიქსირებული უტოლობის განწყობა საკმაოდ გამოკვეთილი და დიფერენცირებული სახით.

ამიტომ, როგორც ჩიჩინი ცდებითაც ირკვევა, იშვიათია ისეთი ცდის პირი, რომელსაც 20 კრიტიკულ ცდაში რამდენიმე უტოლობის განცდა მაინც არ დაედასტურებოდა. ადამიანს რომ უპირატესად უტოლობის განწყობა აქვს მკვეთრად დიფერენცირებული და გამოკვეთილი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ. როგორც ცნობილია, საკმაოდ ძლიერი უტოლობის განწყობის ფიქსაცია 15 კრიტიკული ექსპოზიციითაც ადვილად ხერხდება სიმულტანურ პირობებში, იმ დროს როცა, როგორც რ. ნათაძის გამოკვლევით ჩანს¹, ტოლობის განწყობის

¹ რ. ნათაძე, ტოლობის განწყობის შემუშავების საკითხისათვის, თსუ. შრომები, ტ. XVII, 1940, გვ. 42.

მხარეს ან მიმართულებით გადაფასების სახით უნდა ვლინდებოდეს. მაშასადამე, დგება საკითხი: რა გასაღებზეა იმ ფაქტს, რომ სიმულტანურ პირობებში გადაფასება ზოგჯერ მარჯვნივ ხდება და ზოგჯერ მარცხნივ, როლო სექსუალურში კი პირველი გამლიზიანების გადაფასების ან მეორის გადაფასების სახით?

როგორც ვიცი, ხელოვნურ პირობებში განწყობას ფიქსაცია უტოლობის მიმართების მრავალჯერადი აღქმის აიადგზე ხდება. მაგრამ ექსპერიმენტულად დამტკიცებულად ითვლება, რომ განწყობის ფიქსაციისათვის ეს სერხი აუცილებლობას არ წარმოადგენს: არსებობს ხომ ისეთი შემთხვევებიც, როცა განწყობის ფიქსაციისათვის სიტუაციის ერთჯერადი შემოქმედებაც საკმარისი ხდება? მაშასადამე, უნდა ვეფიქროთ, რომ ცხოვრებაში არა ერთგზის გვხვდება შემთხვევა, როცა ესა თუ ის განწყობა განმეორებითი შემოქმედების ვარეშე გვიმტკიცდება! ერთი სიტყვით, ტოლ სიდიდეთა გარკვეულ მხარეს თუ მიმართულებით გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია მოციმულო ცდის პირის ცხოვრებაში ერთგვაროვანი უტოლო სიტუაციის მრავალჯერადი ან ერთჯერადი შემოქმედების შედეგად ფიქსირებულ „უტოლობისადმი განწყობითა“ შეპირობებული.

ერთ გარემოებას უნდა გაეგვას ხაზი: ჩვეულებრივი ცხოვრების ბუნებრივ პირობებში ყოვლად შეუძლებელია, რომ ადამიანზე მოქმედი უტოლო სინამდვილე ერთგვაროვანი უტოლობის სახით მოქმედებდეს სხვადასხვა დროს. მაგრამ არც ის შეიძლება დავუშვათ, რომ უტოლობა სხვადასხვაგვარი უტოლო სიტუაციის სახით თანმიყოლებითა და სხვადასხვა დროს თანაბარი სიხშირით (პროპორციულად) მოქმედებდეს ადამიანზე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ადამიანში ორივე მხარეს თუ მიმართულებით გადაფასების აიქსირებული განწყობა მოციმულო უნდა იყოს სხვადასხვა სიძლიერით აქტუალიზაციის შესაძლებლობის სახით; ვასაგებია ისიც, რომ, როგორც სიმულტანურ, ისე სუქციესურ პირობებში, იშვიათია

ისეთი ცდის პირი, რომელსაც აბსოლუტურად ერთის მხრით თუ ერთი მიმართულებით გადაფასების ტენდენცია გააჩნდეს: უფრო დამახასიათებელი ისაა, რომ აქაც ორივე ტენდენციის „ბრძოლასთან“, ურთიერთ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე და სწორედ ისე, როგორც ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობის შესუსტებული მდგომარეობის (მეორე-მესამე) ფაზებში ანასიათებს ხოლმე ცდის პირებს. ამ ბუნებრივად ფიქსირებულ განწყობათა „ბრძოლაში“ ერთ-ერთ მათგანს გაბატონებული ადგილი უკავია. გასაგებია ისიც, რომ იმის კვალობაზე, თუ ცდის პირს რაგვაროვანი უტოლობის სიტუაცია განუცდია უპირატესად თავისი ცხოვრების ბუნებრივ პირობებში, მას ერთ რომელიმე მხარეს თუ მიმართულებით გადაფასებაში მეტი აქტუალიზაციის ძალის მქონე განწყობა ექნება ფიქსირებული და ტოლ სიდადეგბსაც ამ ავე მიმართულებით გადაფასებს. ვფიქრობთ, ასეთის დაშვება უფრო ახლო შეიძლება იყოს ჭეშმარიტებასთან, ვიდრე საწინააღმდეგოსი.

კაიოვ ერთ საკითხს ვერ აჯუჯლით გვირდს: რაცორც ბ. ხაქაურის გამოკვლევით და ჩვენი ცდებიდანაც ჩანს, მარჯვენა კორესპონდული ორგანოს გზით განცდისას მეტი ილუზიურ (ტოლობის მიმართების უტოლოდ) აღქმასთან გვაქვს საქმე, ვიდრე მარცხენა ორგანოს შემთხვევაში. ხოლო აღექვატურ აღქმაში წამყვანი როლი მარცხენას ეკუთვნის. რაკი დავეშვით, რომ ამ მოვლენას ფიქსირებული განწყობა უდევს საფუძვლად, ამიტომ ისე გამოდის, რომ მარჯვენა ორგანოს (თვალს—მოცულობისას, ხელს—მოცულობისა და სიმძიმის განცდისას) უფრო მეტი აქტუალიზაციის მქონე უტოლობის ფიქსირებული განწყობა შეესატყვისება. ვიდრე მარცხენას, ე. ი. მარცხენა „მარჯვეობს“ აღექვატურ აღქმაში. ისმის კითხვა: როგორ უნდა გავიგოთ ეს ფაქტა? გერჯერობით ერთი მოსაზრება შეიძლება დავეშვათ.

როგორც ცნობილია, ადამიანი უპირატესად მარჯვენა მხრით ამყარებს ურთიერთობას გარემოსთან; განსაკუთრებით ეს ითქმის ხელზე. ხელმარჯვეობა უდავო ფაქტია. მარჯვენა ხელით „განვიცდით“ ჩვენ სინამდვილეს (შეხებით, სიმძიმის

აწევით და სხვ.) უპირატესად. მარცხენა კი შედარებით პასიური და უმოქმედოა. მაგრამ რაკი ეს სინამდვილე. როგორც უტოლობის მიმართება, უმთავრესად მარჯვენა ხელის გზით მოქმედებს ჩვენზე. ამიტომ მარჯვენა ხელი უფრო ადვილად და ხშირად უნდა ახერხებდეს უტოლობის ფიქსირებული განწყობის აქტუალიზაციას, ვიდრე მარცხენა ხელი. თუ ამ მოსაზრებიდან ამოვალთ, მაშინ გასაგებია, რომ მარჯვენა ხელი უფრო მეტ „მარჯვეობას“ უნდა იჩენდეს ილუზიურ აღქმაში, ვიდრე მარცხენა. ხოლო მარცხენა ხელი კი „მარჯვეობას“ უნდა იჩენდეს სწორედ ადექვატურ აღქმაში და არა ილუზიურში: მარცხენა ხელი, როგორც თითქოს განწყობის გარეშე მყოფი. პირდაპირ ადექვატორად აღიქვამს იმ მიმართებას რომელიც ობიექტურად მოქმედება მასზე!

როგორც ცნობილია, ხელის განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ ადამიანის ისტორიული განვითარების პროცესში. ხელების განვითარების რაგვიარობას (მარცხენა-მარჯვენას ფუნქციონის სხვადასხვაობას ამ შემთხვევაში!) გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა სხვადასხვა კორესპონდულ ორგანოთა და კერძოდ თვალების განვითარების რაგვიარობაზე. ფ. ენგელსის სიტყვით „ხელი განმარტობით როდი იდგა; იგი მთლიანის, უაღრესად რთული ორგანიზმის მხოლოდ ერთ-ერთი წევრი იყო. და ის, რაც ხელისათვის სასარგებლო იყო, სასარგებლო იყო აგრეთვე მთელი სხეულისათვის, რომელსაც ის ემსახურებოდა“. ბუნებრივია. რაც ხელში სასარგებლო სახით ვითარდებოდა, იგი განვითარდებოდა ანალოგიურად ორგანიზმის სხვა ნაწილებში, ვინაიდან სხეულის ნაწილთა „გარკვეული ფორმების ცვლილებანი სხეულის სხვადასხვა ნაწილთა ფორმების ცვლილებებს იწვევენ“². მაგრამ ხელს ამ ცვლილებების გამოწვევაში განსაკუთრებული ადგილი უკავია: „გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია დანარჩენ ორგანოებზე ხელის განვითარების პირდაპირი უკუხემოქმედება, რაც უფრო ადვილად დასამტკიცებ-

¹ ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტია — ჭართული გამოცემა, 1950. გვ. 158.

² იქვე.

ლია¹.— აღნიშნავს ფრ. ენგელსი. აქედან, ჩვენი მასალების მიხედვით. მარჯვენა თვალს რომ მეტი აქტუალიზაციის ძალის მქონე უტოლობის ფიქსირებული განწყობა ახასიათებს (მარჯვენა ხელთან ერთად). ეს გარემოება უდავოდ მარჯვენა ხელის ამ მიმართულებით ხანგრძლივი ისტორიული განვითარებისა და ამ განვითარების რაგვარობის თვალზე ზეგავლენის შედეგი უნდა იყოს.

ვ. ენგელსის ამ დებულებით სავსებით გასაგებია ჩვენი მონაცემები, სახელობრ, ის, რომ მარცხენა-მარჯვენა თვალთ სიდიდეთა სუქცესიურად შედარება მარჯვენა-მარცხენა ხელთ სიდიდეთა და სიმძიმეთა შედარების ანალოგიურ კანონზომიერებას ავლენს; ფიქსირებული განწყობის ირადიაციის ექსპერიმენტულად დადგენილი ფაქტიც² (ამ შემთხვევაში ხელიდან თვალზე) გვაფიქრებინებს, რომ მარჯვენა თვალის და საერთოდ მარჯვენა მხარის კორესპონდულ ორგანოთა შორის ბუნებრივი უტოლობის ფიქსირებული განწყობის მაღალი დონე ამავე კანონზომიერებას უნდა ავლენდეს. აქედან გასაგებია ისიც, რომ მარჯვენა თვალს ხელთან ერთად მეტი აქტუალიზაციის ძალის მქონე უტოლობის ფიქსირებული განწყობა შეესატყვისება და ამიტომ იგი „ცალმხრივი ილუზიური აღქმის“ ანუ მარჯვნივ გადაფასების მეტ ტენდენციასაც განსაზღვრავს. ამ შემთხვევაშიც ნაკლები აქტუალიზაციის ძალის მქონე უტოლობის განწყობის „მატარებელი“ მარცხენა თვალი „მარჯვეობს“ ტოლ კრიტიკულ ობიექტთა ადექვატურ აღქმაში.

§ 2. გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის ადგილის საკითხი სუქცესიურ მიმართებაზე ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობის მოქმედებაში

როგორც ირკვევა. ტოლ სიდიდეთა უტოლოდ განცდის „ანსიმეტრიულობის“ მოვლენები არა მარტო სიდიდეთა სი-

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 174.

² ნ. ადამაშვილი, განწყობის ილუზიის ინტერმოდალური ტრანსპოზიციის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVII, 1940, გვ. 169.

ბულტანურის, არამედ სუქცესიური შედარების დროსაც საკმაოდ გავრცელებულსა და გარკვეული კანონზომიერების მატარებელ მოვლენას წარმოადგენს, რომელსაც ბუნებრივ პირობებში ფიქსირებული უტოლობის გახწყობა უდევს საფუძვლად. ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის კვლევის პროცესში, როგორც ვიცით, ცდის პირს ხელოვნურად ექმნება უტოლობის ფიქსირებული განწყობა და მისი მოქმედების რაგვარობა შემდგომ კრიტიკულ ცდებში ტოლსიდიდეთა უტოლოდ (ილუზიურად) და, მაშასადამე, ასიმეტრიულად განცდის მიმდინარეობის რაგვარობით განისაზღვრება. რაკი არსებობს ტოლსიდიდეთა განცდის ბუნებრივი „ასიმეტრიის“ ესოდენ გავრცელებული მოვლენები. ბუნებრივად დგება საკითხი მისი აქტუალიზაციის შესახებ ფიქსირებული განწყობის შემდგომ კრიტიკულ ცდებში. მისი მოქმედება როგორმე უნდა გამოირიცხოს ამ შემთხვევაში. ან თუ არა და, მაშინ „არ შეიძლება დარწმუნებული იყო. თუ რით განისაზღვრება თითოეულ ცალკე შემთხვევაში ცდის პირის ჩვენება: საქმის ვითარების ობიექტური შეფასებით თუ თვით სუბიექტის თვისებით, მისი ასიმეტრიულობით“¹. ამიტომ დღემდე ოდენობით მიმართებაზე სიმულტანურ პირობებში ფიქსირებული განწყობის კვლევის დროს ჩვეულებრივად ზოგნი ასეთ ხერხს მიმართავენ: წინასწარ ირკვევენ ცალკეულ ცდის პირთა ბუნებრივი გადაფასების ტენდენციის მიმართულებას და საგანწყობო ცდებში დიდ გამლიზიანებელს (მაგალ. ბურთს) იმ მხარეზე აწვდიან, რომელზედაც ცდის პირს ბუნებრივი გადაფასების ტენდენცია აღმოაჩნდება. როცა ცდის პირი შემდგომ კრიტიკულ ცდებში კონტრასტულ ილუზიებს ადასტურებს, ეს ამავე დროს ბუნებრივი ტენდენციის საწინააღმდეგოა და უდავოა, რომ იგი ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის შედეგი უნდა იყოს. მაგარამ, როგორც ცნობილია, არის შემთხვევები, როცა ცდის პირი თავიდანვე ასიმულიაციურ ილუზიებსაც ადასტურებს და შემდგომ, მეორე-მესამე ფაზაში კი ასეთი თითქმის საერა.

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. 1949, გვ. 73.

თო მოვლენაა. ამ შემთხვევაში არ შეიძლება დარწმუნებული იყო, ეს ასიმეტრიული ილუზიები ხელოვნურად ფიქსირებულ შესუსტებული განწყობის შედეგია. თუ ბუნებრივი გადაფასების ტენდენციისა.

საგანწყობო ცდებში დიდი სიდიდის ბუნებრივი გადაფასების ტენდენციის საპირისპიროდ მიწოდების შემთხვევაში ასიმეტრიული ილუზიები გასაგები ფაქტი იქნება. კონტრასტული კი ბუნებრივი ტენდენციისა და ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის კონტრასტული გამოვლენის ერთდროული მოქმედების შედეგად უნდა გვეგულისხმებია და შეუძლებელი იქნებოდა გაგვირკვია. თუ რა ადგილი უჭირავს ამ შემთხვევაში ერთსა თუ მეორეს ცალ-ცალკე. ერთი სიტყვით, თუ კრიტიკულ ცდებში ბუნებრივი გადაფასების ტენდენციის მონაწილეობასაც დაუშვებთ პრინციპულად. მაშინ მრავალი გაუაღებრობისა და მეთოდურა სიძნელის წინაშე ვდგებით.

მაგრამ, როგორც ირკვევა დ. უზნაძის საფუძვლიანი მოსაზრებით და ჩვენი ექსპერიმენტული მასალებით. საქმის ეთარება არც ისე რთული ყოფილა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

როგორც ცნობილია. ხელოვნურ პირობებში განწყობის კვლევის დროს ადამიანს უტოლო სიდიდეთა ხშირი ექსპოზიციის შედეგად მკვეთრად ჩამოყალიბებული უტოლობის ფიქსირებული განწყობა ექმნება. შემდგომ კრიტიკულ ცდებში ცდის პირს ეძლევა შესადარებლად ტოლი ობიექტები და, როგორც ვიცით, ერთხანს ისინი ქვემდებარე უტოლობის ფიქსირებულ განწყობის საფუძველზე ილუზიურად (არა ტოლად), ასიმეტრიულად განიცდებიან. შემდეგ კი ამ ტოლი სიდიდეების კრიტიკული ექსპოზიციათა საკმაო სიხშირით შემოქმედების შედეგად ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობა „ბოლოს და ბოლოს განზე დგება, და ეს გარემოება სიტუაციის ადექვატურ განწყობას შესაძლებლობას ანიჭებს ძალაში შევიდეს. ამიერიდან სუბიექტის განცდები ამ უკანასკნელით განისაზღვრება და მისი ჩვენებანი სკესებით არსებულ სიტუაციას ეთანხმებიან. ასე ზდება სოლმე ჩვენს ჩვეულებრივ საგანწყობო ცდებში: რამდენ-

ნიმე კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგ ძალაში შედის მოცემული სიტუაციის ადეკვატური განწყობა. ხოლო ის განწყობა, რომელიც ექსპერიმენტულ პირობებში იყო ფიქსირებული, მოცემულ მომენტში სრულიად აღიკვეთება¹. მაშ, მკვეთრად ჩამოყალიბებული უტოლობის განწყობის შემდეგ კრიტიკულ ცდებში ტოლ ობიექტთა ხშირი მიწოდება (მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივად მას, როგორც ეს რ. ნათაძის გამოკვლევის მიხედვით ვიცით, ნაკლები მაფიქსირებელი ძალა გააჩნია) წინამორბედი უტოლობის ფიქსირებული განწყობის განდევნას. დაჩრდილვას ახერხებს და მოცემულ მომენტში ტოლობის სიტუაციის ადეკვატურ აღქმის განწყობას განამტკიცებს.

როგორც შევთანხმდით, ბუნებრივი გადაფასების ტენდენციები ასიქეტრიის მოვლენები—იგივე ფიქსირებული განწყობის გამოვლენას უნდა წარმოადგენდეს: აქ „ფიქსირებული განწყობები შეუმოწმებელია და ამიტომ ჩვენთვის უცნობი წარმოშობისა არიან. მაგრამ უდავოა, რომ, მიუხედავად ამ გარემოებისა, ისინი მაინც ჩვეულებრივ ფიქსირებულ განწყობად რჩებიან, და მაშასადამე, შესაფერის პირობებში მათ ამ განწყობის ბედი უნდა გაიზიარონ.

ეს იმას ნიშნავს, რომ არავითარი საბუთი არაა, ბუნებრივად ფიქსირებულ განწყობისათვის სხვა ბედი ვიგულოთ, ვიდრე ექსპერიმენტულად მოქმედთათვის; თუ ტოლ კრიტიკულ ობიექტთა საკმარისად ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად ექსპერიმენტულ პირობებში ფიქსირებული განწყობა იჩქმალება და ძალაში აქტუალური განწყობა შედის, უდავოა, იგივე უნდა მოხდეს ბუნებრივად ფიქსირებულ განწყობის შემთხვევაშიც.—ამ პირობებში ისიც უნდა გამოვიდეს მწყობრიდან და ადგილი დაუთმოს მოცემული სიტუაციის ადეკვატურ განწყობას².

ამრიგად დ. უზნაძის მოსაზრების მიხედვით, როგორც კრიტიკულ ცდებში ტოლ ობიექტთა ხშირი მიწოდება ბოლოს

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, გვ.75.

² იქვე, გვ. 76.

და პოლოს მოცემული მომენტისათვის შეასუსტებს და გახფევნის ხელოვნურად ფიქსირებულ უტოლობის განწყობას. ისე-ბუნებრივ პირობებშიაც ფიქსირებული უტოლობის (ასიმეტრიულობის) განწყობაც საგანწყობო ცდებში მკვეთრად განსხვავებულ უტოლო სიდიდეთა ზემოქმედების შედეგად განიდევენება მოცემული მომენტისათვის და ადგილს დაუთმობს ჯერ ექსპერიმენტულად შექმნილ გარკვეულ უტოლო სიტუაციის ადექვატურ განწყობას, ხოლო სათანადო ილუზიური აღქმის შემდეგ კი ამ განწყობის საპირისპირო ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ განწყობას. ეს დებულება მით უმეტეს მისაღები გახდება მაშინ, თუ ზემოთ წამოყენებულ ჩვენს მოსაზრებას გავიზიარებთ. საბედობრ. იმას, რომ ბუნებრივ პირობებში ფიქსირებულ უტოლობის განწყობა შედარებით სუსტი და გაურკვეველია. პუნებრივია, რომ ისედაც სუსტი და ნაკლებ დიფერენცირებული ბუნებრივად ფიქსირებული უტოლობის განწყობა დაიჩრდილოს ამ პირობებში და, ამრიგად, ცდის პირის ჩვენებანი შედარებით ძლიერისა და უკვე გარკვეულად უტოლობის განწყობის საფუძველზე გაიშალოს.

დ. უზნაძის მოსაზრების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ექსპერიმენტულად ფიქსირებული უტოლობის განწყობის ადექვითის შემდგომ მდგომარეობაშიც ცდის პირთა დიდ მასაში სიდიდეთა შორის ტოლობის მიმართების განცდა უფრო ადექვატური უნდა იყოს. ვიდრე „ბუნებრივ“ პირობებში. ასევე ცალკე ცდის პირის შემთხვევაშიც ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობამდე მოქმედი გადათასების ბუნებრივი ტენდენცია უნდა განიდევენოს კრიტიკულ ცდებში და ტოლი კრიტიკული ობიექტების გარკვეული ილუზიური აღქმის შემდეგ უნდა მოხდეს სრულიად ახალი (მთავი ბუნებრივ პირობებისათვის უჩვეულო) ტოლობის მიმართების სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონება. ჩვენი მასალები სუბტექსტურ მიმართებაზე ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობასა და ბუნებრივ პირობებში ფიქსირებული განწყობის საფუძველზე მოქმედი ბუნებრივი გადათასების ტენდენციის შესახებ. რომელიც ტოლ ობიექტ-

თა 20—20 კრიტიკულ ექსპოზიციის შედეგადაა მიღებული (სხვადასხვა არეში), დ. უზნაძის ზემოთ წამოყენებული მოსაზრების უდავო ექსპერიმენტულ დასაბუთებას იძლევიან.

როგორც ვიცით, სუქცესიურ მიმართებაზე უტოლობის განწყობის ფიქსაციისათვის ცდის პირებს ჩვენ ვაწვდიდით მკვეთრად განსხვავებულ სიდიდეებს ხშირი თანმიყოლებით 30 ექსპოზიციამდე. შემდეგ კრიტიკულ ცდებში კი ტოლ ობიექტთა მოწოდებას ვაგრძელებდით მანამ, ვიდრე ცდის პირი თანმიყოლებით 10 ადექვატურ აღქმას დაადასტურებდა. რადგან ჩვენს კრიტიკულ ცდებში ცდის პირებს 10 ადექვატური აღქმის წინ 3—5 თანმიყოლებითი ადექვატური აღქმაც ჰქონდათ, ამიტომ ჩვენ მეტი მასალა მივიღეთ ბუნებრივ პირობებსა და საგანწყობო ცდების შემდგომ კრიტიკულ ცდებში ტოლ სიდიდეთა შეფასების გაბატონებული ადექვატური აღქმის ტენდენციის ყველა ხარისხის ურთიერთ შედარებისათვის (თანმიყოლებით 3 და მეტი, 5 და მეტი, 10 და მეტი ადექვატური აღქმა).

ჩვენ მიერ ჩატარებული ეპიდიასკოპური ცდების (ოპტიკური არე) შედეგების ამ თვალსაზრისით დამუშავების შემდეგ, როგორც № 8 ცხრილიდან ჩანს, დასტურდება შემდეგი:

ბუნებრივ პირობებში 20 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ ადექვატური აღქმის განწყობის სავსებით გაბატონებული მდგომარეობა შედარებით ნაკლებია, ვიდრე ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის შემდგომ პერიოდში; ასე, მაგალითად, ბუნებრივ პირობებში 20 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ 3 და მეტი ადექვატურ აღქმას თანმიყოლებით 66% ადასტურებს, 34% კი ასეთს ვერ აღწევს; 5 და მეტი ადექვატურ აღქმას თანმიყოლებით 32% ადასტურებს, 68 კი ასეთს ვერ აღწევს; ხოლო 10 და მეტი ადექვატური აღქმა თანმიყოლებით (ე. ი. ადექვატური აღქმის განწყობის უდავოდ გაბატონებული მდგომარეობა ბუნებრივ პირობებში) მხოლოდ ცდის პირთა 14% უდასტურდება. უტოლობის მკვეთრად ჩამოყალიბებული ფიქსირებული განწყობის შემდგომ კრიტიკულ ცდებში კი ასეთ მდგომარეობას ცდის პირთა თითქმის მთელი მასა აღწევს: 3 და

თანხყოლებითი აღქვითური აღქმის გამოყენება სუქცესიურ მიმართებაზე
ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის შემდგომ კრიტიკულ ცდებში
და „ბუნებრივ“ პირობებში (კონტრაქტი ექსპლემენტული ცდები)

წ. რ. ტ.	3 და მეტ თან. აღქმ. აღქმის			5 და მეტ თან. აღქმ. აღქმის			10 და მეტ თან. აღქმ. აღქმის					
	აღწევს		პერ აღწევს	აღწევს		პერ აღწევს	აღწევს		პერ აღწევს			
	აბს. რ.	პ. რ.	აბს. რ.	აბს. რ.	პ. რ.	აბს. რ.	აბს. რ.	პ. რ.				
<p>„ბუნებრივ“ პირობებში</p> <p>1. თავიდან ბირველ ექსპლემენტში 50</p> <p>2. 20 კრიტიკული ექსპლემენტის გასწვრივ 50</p> <p>3. 30 კრიტიკული ექსპლემენტით ხელფესურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის შემდეგ 50</p>												
	16	32	24	68	9	18	41	82	6	12	44	88
	33	66	17	34	16	32	34	68	7	14	43	86
	50	100			49	98	1	2	44	88	6	12

ნეტ თანმიყოლებით ადექვატურ აღქმას აღწევს 100%, 5-ს და მეტს — 98%, ხოლო თანმიყოლებით 10-ს და მეტ ადექვატურ აღქმას 88%. მხოლოდ 6 ცდის პირი აღმოჩნდა (12%) ისეთი, რომელნიც ამ მდგომარეობას ვერ აღწევდნენ. ესენი ის ცნობილი სტატისტიკური განწყობის ცდის პირებია, რომელნიც ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის აღკვეთას მოცემულ მომენტისათვის ვერ ახერხებენ.

როგორც ვხედავთ, ბუნებრივ პირობებში ადექვატურა აღქმის გარკვევით ჩამოყალიბებული განწყობა 20 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივაც კი იშვიათია. გაბატონებული მდგომარეობა ტოლ სიდიდეთა არაადექვატურ აღქმის განწყობას აქვს. ხელოვნურ პირობებში ფიქსირებული, მკვეთრად ჩამოყალიბებული უტოლობის განწყობა დევნის ამ მდგომარეობას.

განწყობის შემდგომი მდგომარეობა (ტოლობის მიმართების კრიტიკულ სიტუაციაში) აშკარად გაბატონებული ადექვატური აღქმის განწყობით ხასიათდება, განსხვავებით მის გარეშე ბუნებრივ პირობებში არსებული მდგომარეობისაგან. ეს განსხვავება უფრო აშკარად გამოჩნდება, თუ განწყობის აღკვეთის შემდგომ მდგომარეობას და ბუნებრივ პირობებში პირველ კრიტიკულ ექსპოზიციიდანვე თანმიყოლებით ადექვატური აღქმის მონაცემებს ურთიერთს შევადარებთ. პრინციპული მნიშვნელობა კი ამ უკანასკნელთან შედარებას უნდა ჰქონდეს, იმ დროს, როცა ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობის შემდგომ 3 და მეტ ადექვატურ აღქმას 100% აღწევს, ბუნებრივ პირობებში ასეთს მხოლოდ 32% აღწევს; 5 და მეტ ადექვატურ აღქმას ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობის შემდეგ ცდის პირთა 96% იძლევა, ბუნებრივ პირობებში კი 18%; 10 და მეტ ადექვატურ აღქმას ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობის შემდეგ 86% იძლევა, ბუნებრივ პირობებში კი მხოლოდ 12%. როგორც ვხედავთ, სხვაობა ადექვატური აღქმის განწყობის თვალსაზრისით ამ უკანასკნელ შემთხვევაში ძალზე დიდია როგორც ათის, ისე ხუთის და სამი თანმიყოლებითი ადექვატური აღქმის მიხედვით. ბუნებრივ პირობებში გაბატონებული არაადექვატური

აღქმის განწყობის „განსაღვენი“ ტენდენცია დიდის მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი, ხოლო ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის შემდეგ ანალოგიურ სიტუაციაში ეს ტენდენცია თითქმის სავსებით განდევნილია და სულ სხვაგვარ (ბუნებრივ პირობებისათვის უჩვეულო) ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. განსაკუთრებით ეს ჩანს ათი თანმიყოლებითი ადექვატური აღქმის (რაც უდავოდ ადექვატური აღქმის გაბატონებულ მდგომარეობას ნიშნავს) ორივე შემთხვევაში (მონაცემების ურთიერთშედარებისას როგორც 20 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ, ისე თავიდანვე, პირველი კრიტიკული ექსპოზიციიდან).

აღწერილი კანონზომიერება დადასტურდა აგრეთვე ტაქსისკოპური კვებით (მედიანები ისილ. ცხრ. № 9). ერთი სიტყვით, ოპტიკური არის მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებული მდგომარეობის ყველა ხარისხი შესამჩნევად მაღალია ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობის ადექვითის შემდგომ პერიოდში. ვიდრე „ბუნებრივ“ პირობებში როგორც ტოლ სიდიდითა 20 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ, ისე თავიდანვე—პირველ ექსპოზიციიდანვე გამოვლენილი ადექვატური აღქმის მაჩვენებლების მიხედვით.

დ. უზნაძის მოსაზრების მიხედვით, აღნიშნული კანონზომიერება განწყობის მოქმედების ზოგად კანონზომიერებას წარმოადგენს, ამიტომ იგი უცხო არ უნდა იყოს არც ჰაბტურისა და არც კუნთურის გზით ფიქსირებულ განწყობისათვის ბუნებრივსა და ხელოვნურ პირობებში.

ჩვენ აღნიშნულ არეებშიც ვიკვლიეთ ეს საკითხი და: როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც ანალოგიური კანონზომიერება დადასტურდა.

№ 10 ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ ჰაბტურისა და კუნთურ არეებშიც ბუნებრივ პირობებში ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებული მდგომარეობის ყოველი ხარისხი ანალოგიურად ოპტიკური არისა, შესამჩნევად დაბალია, ვიდრე განწყობის ადექვითის შემდგომ პერიოდში: იმ დროს, რო-

თანმყოფებით აღქვამური აღქმის გამოვლენა, სუპრესიურ მიმართებაზე ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის შემდგომ კრიტიკულ ცდებში და

„ბუნებრივ“ პირობებში

(ოპტიკური არე, ტექსტოსკოპური ცდები)

ც. პ.	3 და მეტ თანმ. აღქმე. აღქმას				5 და მეტ თანმ. აღქმე. აღქმას				10 და მეტ. თანმ. აღქმე. აღქმას			
	აღწევენ		ვერ აღწ. ვენ		აღწევენ		ვერ აღწევენ		აღწევენ		ვერ აღწევენ	
	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
1. თვიდან პირველი ექსპერიმენტიდანვე	4	16	21	84	2	8	23	92	1	4	24	96
2. 20 კრიტიკული ექსპერიმენტის განმავლობაში	15	60	10	40	5	20	20	80	1	4	24	96
3. კრიტიკული ექსპერიმენტი ხელოვნურად ფიქსირებულ უტოლობის განწყობის შემთხვევაში	48	96	2	4	47	94	3	6	1	84	8	16

„ბუნებრივ“ პირობებში:

1. თვიდან პირველი ექსპერიმენტიდანვე
2. 20 კრიტიკული ექსპერიმენტის განმავლობაში
3. კრიტიკული ექსპერიმენტი ხელოვნურად ფიქსირებულ უტოლობის განწყობის შემთხვევაში

ამგაორდებული ადვკატური აოქმის გამოყენენა სუქესიურ მიმართებულზე ხელიდუნარად ფიქსირებული
განკოზის უმრდომ კრიტკულ ცდებში და „ბუნებრივი“ პირობებში (კაბტური და კუნთური არ.)

ცხრილი № 11

ც. ს.	3 და მეტ. თან. აღმ. აღმას				5 და მეტ. თან. აღმ. აღმას				10 და მეტ. თან. აღმ. აღმას			
	აღმკეუნი		კერ აღმკე.		აღმკეუნი		კერ აღმკე.		აღმკეუნი		კერ აღმკე.	
	აბს. რაოდ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
25	2	8	32	2	8	92	—	—	25	100	—	—
25	11	44	14	56	4	16	24	84	2	8	23	92
50	50	100	—	—	46	92	4	8	45	90	5	10
კ უ ნ თ უ რ რ უ												
25	3	12	22	88	1	4	96	—	—	25	100	—
25	11	44	14	56	2	8	92	—	—	25	100	—
50	49	98	1	2	44	88	6	12	48	82	9	18

„ბუნებრივი“ პირობებში
1. თავიდან, პირველი ეტს-კოზიციდაა
2. 20 კრიტ. ეტსკოზიციის განკოზიკი. კსკოლიკითი სკოლიფურბ ფიქსირებული უტკოზიის განკოზიის უმრდომ

„ბუნებრივი“ პირობებში
1. თავიდან, პირველი ეტს-კოზიციდაა
2. 20 კრიტ. ეტსკოზიის განკოზიკი კსკოლიკითი სკოლიფურბად ეტსირებული უტკოზიის განკოზიის უმრდომ

ცა ასეთი მდგომარეობის უმდაბლესი ხარისხი (3 და მეტი თანმიყოლებით აღქვატური აღქმა პირველი ექსპონიცი- იდანვე) ბუნებრივ პირობებში 8—12 პროცენტს არ აღემა- ტება. განწყობის შემდგომ პერიოდში იგი ცდის პირთა მთე- ლი მასის 150%-ისთვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება აღქვატური აღქმის განწყობის მაღალი ხარისხით გაბა- ტონებულ მდგომარეობას (10 და მეტი თანმიყოლებითი აღქვატური აღქმა); ბუნებრივ პირობებში პირველი კრიტი- კული ექსპონიციიდანვე იგი არავის არ ახასიათებს, 20 კრიტიკული ექსპონიციის გასწვრივ კი მხოლოდ 2 ცდის პირს—8%. ისიც მარტოოდენ პაპტურ არეში; საგანწყობო ცდების შემდგომ პერიოდში კი ეს მდგომარეობა ცდის პირ- თა დიდი მასისათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი; პაპტურ არეში 90%-სათვის და კუნთურ არეში 82%-ისათვის. ამ შემ- თხვევაშიც ის მცირე რიცხვი ცდის პირებისა, რომელნიც 10 და მეტი აღქვატურ აღქმას ვერ აღწევენ თანმიყოლებით. ჩვე- ულებრივ ცნობილი „იშვიათი“ ცდის პირები უნდა იყვნენ, რომელნიც მოცემულ პირობებში უტოლობის ფიქსირებულ განწყობას თავს ვერ აღწევენ და უსასრულო ილუზიური აღქმა „მსხვერპლად რჩებიან“. მაშასადამე, პაპტურსა და კუნთურ არეშიც „განსაღვენი“ ბუნებრივი გადაფასების ტენდენცია ცდის პირებს დიდი მაჩვენებლებით აქვთ წარ- მოდგენილი და იგი სავსებით განდევნილია ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის შემდგომ პერიოდში.

ჩვენი მონაცემებიდან, რომელნიც (საგანწყობო ცდები და „ბუნებრივ“ პირობებში ჩატარებული შესადარებელი ცდები) ცდის პირთა საკმაო რაოდენობაზე ჩატარებული ცდების შედეგების ურთიერთ შედარებითაა მოპოვებული, ასევე დ. უზნაძის მოსაზრებიდან ლოგიკური აუცილებლობ- ით გამომდინარეობს შემდეგი: ცალკეულ ცდის პირებში რომ ჯერ სიდიდეთა გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია გამოვა- რკვიოთ ხანგრძლივი კრიტიკული ექსპონიციებით და შემდეგ იმ ცდის პირებს, ვისაც ასეთი აღმოაჩნდება. უტოლობის ფიქსირებული განწყობა შეეუქმნათ ხელოვნურად, ამ უკა- ნასკნელის შემდგომ პერიოდში. ბუნებრივი პირობებისათვის

უჩვეულო, ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის აღქვადური აღქმის განწყობის გაბატონებულმა მდგომარეობამ უნდა დაიკავოს ადგილი. ამასთანავე ილუზიებში: მოქმედი ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის გამოვლენის კანონზომიერება სხვაგვარი უნდა იყოს, ვიდრე ბუნებრივ პირობებში მოქმედი გადაფასების ტენდენციის კანონზომიერებაა. ჩვენ ასეთი ცდაც ჩავატარეთ: ცდის პირს ეძლეოდა ტოლი სიდიდეები 20 კრიტიკული ექსპოზიციით და წინასწარ ვადგენდით მისთვის დამახასიათებელ გადაფასების ბუნებრივ ტენდენციას, შემდეგ კი მეორე დღესვე 30 ექსპოზიციით ვუქმნიდით უტოლობის განწყობას და ვიკვლევდით მის აღკვეთის პროცესს. აღკვეთის კრიტერიუმად ამ შემთხვევაშიც 10 თანმიყოლებული აღქვადური აღქმა იყო მიიღებულა. თუ ცდის პირი ასეთს ადრე ვერ დაადასტურებდა, კრიტიკული ცდა 100 ექსპოზიციამდე გრძელდებოდა. ცდები ჩატარებული იყო 10 ცდის პირზე ოპტიკურ არეში და ზუსტხუთ ცდის პირზე ჰაპტურსა და კუნთურ არეებში. უტოლობის საგანწყობო ცდები ცდის პირთა ნახევარზე ჩატარებული იყო გადაფასების ბუნებრივი ტენდენციაზე დამთხვევით, ხოლო მეორე ნახევარზე გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის საპირისპიროდ.

როგორც № 11 ცხრილიდან ჩანს. ამ ცდის პირებში (ოპტიკურ არეში) 20 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივაც კი 3 და მეტ აღქვადურ აღქმას მხოლოდ 6 ცდის პირი (60%) აღწევს, 5 და მეტ აღქვადურ აღქმას 1 ცდის პირი (10%); ხოლო 10 და მეტ აღქვადურ აღქმას კი ვერცერთი ცდის პირი ვერ აღწევს. რაც შეეხება თავიდანვე ანუ პირველ ექსპოზიციიდანვე შეფასებას, ბუნებრივ პირობებში ვერცერთი ცდის პირი 3 აღქვადურ აღქმასაც ვერ აღწევდა და, ამრიგად, მოცემულ ცდის პირებში გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია საკმაოდ ძლიერი სახით იყო წარმოდგენილი. ცხრილიდან ჩანს, რომ საგანწყობო ცდების შემდეგ 3 და მეტ, ასევე 5 და მეტ თანმიყოლებით აღქვადურ აღქმას ამ სპეციალურად შერჩეულ ძლიერი გადაფასების ტენდენციის მქონე ცდის პირებიდანაც 9 ცდის პირი (90%) აღწევს. ეს იმას

ნიშნავს. რომ სპეციალურად შერჩეულ ცდის პირებშიც. სადაც „განსაღვენი“ ტენდენცია განსაკუთრებით ჭარბადაა წარმოდგენილი, თუ 5 თანმიყოლებით ადექვატურ აღქმას ასეთი განწყობის საკმაოდ გაბატონებულ მდგომარეობად ჩავთვლით, თითქმის სავსებით განდევნილად უნდა ჩაითვალოს ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის წინამორბედი საკმაოდ გარკვეული ბუნებრივი არაადექვატური აღქმა. რაც შეეხება 10 და მეტს თანმიყოლებით ადექვატურ აღქმას (ჩვენ ამ შემთხვევაში 20 ადექვატურ აღქმამდეც ვაგრძელებდით ცდებს), ე. ი. ადექვატური აღქმის განწყობის სავსებით გაბატონებულ მდგომარეობას, აქ მას 7 ცდის პირი (70%) ააწვეს; ცხადია, ესეც საკმაოდ რაოდენობაა შემოაღნიშნული მოსაზრების დასასაბუთებლად; ხოლო ის 3 ცდის პირი კი, რომელნიც ასეთს ვერ ადასტურებენ, როგორც სხვა შემთხვევაში აღგვინიშნავს, ისეთი ცდის პირებია, რომელნიც მოცემულ პირობებში ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობას თავს ვერ აღწვივენ. თუმცა, როგორც დავინახაეთ, ილუზიებში მოქმედი მათი ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობა სულ სხვა კანონზომიერებით მიმდინარეობს, ვიდრე ბუნებრივ პირობებში ფიქსირებული განწყობა.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ცალკეულ ცდის პირებში სელივენურად ფიქსირებულ უტოლობის განწყობის მოქმედებით გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია განდევნილია, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს ცალკეული ოქმების სახით ოპტიკურ არედან.

ოქმი № 2 „აკ. გელ“. 21. XI. 49 წ.

ბუნებრივ გადაფასების ტენდენცია.

ცდის რიგი 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15

შეფასება +2 = = +2 +2 +2 +1 +2 +2 2 = +2 = +2 +2

15	17	18	19	20	სუო		
					+1	+2	=
+2 +2 +2 +2 =					1	14	5

თანამყოლეებით აღქვითი აღქვითი აღქვის გამოვლენა სუკცესიურ მიმართებაზე
ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობის უმცლგომ და ბუნებრივ პირობებში
(ყოლი და ივივე ცდის პირებში) ოპტიურ არეში

ს. პ.	3 და მეტ. აღქვით.				5 და მეტ. აღქვითი				10 და მეტ. აღქვითი			
	აღქვით		ვერ აღქვით		აღქვით		ვერ აღქვით		აღქვით		ვერ აღქვით	
	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
10	—	—	10	100	—	—	10	100	—	—	10	100
10	6	60	4	40	1	10	9	90	—	—	10	100
19	9	90	1	10	9	90	1	10	7	70	3	30

- „ბუნებრივ“ პირობებში
1. თავიდან, პირველი ექსპოზიციის შემდეგ
 2. 20 კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგ
 3. 30 კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგ

ცდის პირს ეძლევა შესაღარებლად ტაქისტოსკოპურად ტოლი წრეები სუქცესიურად 20-ჯერ („+1“ აღინიშნება პირველის გადაფასება, „+2“ მეორის გადაფასება, „=“ ადექვატური აღქმა). როგორც ვხედავთ, 20 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ იგი ვერც ერთხელ ვერ ადასტურებს 3 ადექვატურ აღქმას თანმიყოლებით და სრულიად გარკვევით მეორის მიმართულებით გადაფასების ტენდენციას იჩენს.

იმავე დღეს, შესვენების შემდეგ, ტარდება საგანწყობო ცდები: 30 ექსპოზიციით ცდის პირს ეძლევა მკვეთრად განსხვავებული უტოლო წრეები: პირველი პატარა, მეორე დიდი, ე. ი. ბუნებრივ ტენდენციასე დაძახებული. კრიტიკულ ცდებში კი ტოლი წრეები ეძლევა აგრეთვე სუქცესიურად¹.

პასუხები: $+5=2, +1,-1,+1,-1.=1,-5,+1-2,+1=2-3,+2,-2.=2,-3.=25.$

საგანწყობო ცდების შემდეგ ცდის პირი ჯერ ეძლევა საკმაო ხანგრძლივობის პირველ ფაზიან მოქმედებას (5 კონტრასტულ ილუზიას ბუნებრივი ტენდენციის საწინააღმდეგოდ), ადექვატური აღქმის კონტრასტულ და ასიმილატური ილუზიების მონაცვლეობის ხანგრძლივად (განწყობის მოქმედების III ფაზა) და, ბოლოს, 36 კრიტიკული ცდის შემდეგ, ადასტურებს 25 ადექვატურ აღქმას თანმიყოლებით (განწყობის აღკვეთა). აქედან პირველ 20 კრიტიკულ ცდაში ცდის პირის რეაქცია ბუნებრივი ტენდენციის საპირისპიროა, 8—კონტრასტული ილუზიაა, რომელთაგან 7 შემთხვევა პირველ ათეულ ცდაზე მოდის; ამ ტენდენციის შესატყვისია 9 ასიმილატური ილუზია (მეორის გადაფასება), რომელთაგან 8 შემთხვევა მეორე ათეულ ცდას უწევს, ხოლო ადექვატურია აღქმა მხოლოდ სამ შემთხვევაში. განწყობის საბოლოო აღკვეთამდე, შემდეგ თხუთმეტ ცდაში ადგილი აქვს 3 კონტრასტულ ილუზიას, განწყობის შესუსტების მაჩვენებელ მ ასიმილატურ ილუზიას და 4 ადექვატურ აღქმას, ხოლო ოცდა-

1 „+“ ნიშნით აღინიშნება კონტრასტული ილუზიები, „—“ — ასიმილატური ილუზიები, „=“ — ადექვატური აღქმა, ხოლო ციფრით კი — თანმიყოლებით ერთნაირი პასუხების რაოდენობა.

მეტეჟესმეტე ცდიდან კი—თანმიყოლებით 25 ადექვატურ აღქმას. თავი რომ დავანებოთ ილუზიებში მოქმედი განწყობის აღკვეთას და მის შემდეგ ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონების ისეთ მდგომარეობას, რაც სავსებით გამორიცხულია ამ ცდის პირისათვის ბუნებრივ პირობებში, თვით განწყობის მოქმედების ილუზიათა პერიოდული გამოვლენა და მათი რიცხობრივი მაჩვენებლებიც კი სულ სხვა კანონზომიერების მატარებელია, ვიდრე ამ ბუნებრივ პირობებში მოქმედი განწყობა.

ოქცნი № 3, 21, XI, 49, წ. ც. 3. რთ. ჟიწ.

გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია

ცლის რიგი 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

შეფასება +2 = = +2 = +2 +1 = = = = +1

სულ

13	14	15	16	17	18	19	20	+1	+2	=
+1	=	+1	+1	+1	=	+1		7	3	10

20 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ ერთხელ დასტურდება თანმიყოლებით 4 ადექვატური აღქმა, გადაფასებისა და ადექვატური აღქმის ტენდენციები ტოლფარდოვანია, მაგრამ დომინანტობს პირველის გადაფასების ტენდენცია.

საგანწყობო ცდები ტარდება მეორე დღეს 30 ექსპოზიციით—პირველი პატარა და მეორე დიდი წრით, გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის საწინააღმდეგოდ.

პასუხი: +2, =2, +2, =1, +1 =1, +3, =2, +2, =4 +1, =1, +1, =2, +2, =3, +2, =1, +2, =1+2, =17. საგანწყობო ცდებში ცდის პირი იძლევა უსუსტეს პირველ ფაზიან მოქმედებას და შემდეგ ხანგრძლივად მეორე ფაზას, 39-ე კრიტიკული ცდიდან იგი გადადის ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებულ მდგომარეობაზე (=17), რაც ამ შემთხვევაშიც უჩვეულოა ბუნებრივ პირობებისათვის. როგორც ვხედავთ, ილუზიებში მოქმედი განწყობის გამოვლენაც სულ სხვა კანონზომიერებისაა, ვიდრე ბუნებრივ პირობებში მოქმედი ტენდენცია.

ცდის პირი № 6 ტოლ სიდიდეთა 20 კრიტიკული ექსპო-

ზიციას გასწვრივ მონაცვლეობით პირველს გადააფასებს 8-ჯერ, მეორეს 5-ჯერ და ადექვატურ აღქმას ადასტურებს 7-ჯერ სხვადასხვა დროს; თანმიყოლებით მხოლოდ 2 ადექვატურ აღქმას ახერხებს ორჯერ, ახასიათებს გადააფასებლად გაბატონებული ტენდენცია. უმთავრესად, პირველის გადააფასების სახით. მეორე დღეს ტარდება საგანწყობო ცდები აგრეთვე 30 ექსპოზიციით (პირველი პატარა, მეორე დიდი) ბუნებრივი ტენდენციის საწინააღმდეგოდ. კრიტიკულ ცდებში სუბიექტი ადასტურებს სუსტ პირველფაზიან მოქმედებას (+3) და შემდეგ პირდაპირ გადადის ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებულ მდგომარეობაზე (=17). ამ შემთხვევაშიც ბუნებრივი ტენდენცია სავსებით განდევნილია.

ცდის პირი № 7 ტოლ სიდიდეთა 20 კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ გადააფასებს მეორეს 11-ჯერ, პირველს 1-ჯერ და 8-ჯერ, ადასტურებს (სხვადასხვა დროს) ადექვატურ აღქმას; თანმიყოლებით სამ ადექვატურ აღქმას ახერხებს ერთხელ. ახასიათებს საკმაოდ გაბატონებული გადააფასების ტენდენცია მ ე ო რ ი ს მიმართულებით.

მეორე დღეს ტარდება საგანწყობო ცდები ანალოგიურად. მხოლოდ ბუნებრივ ტენდენციაზე დამთხვევით (პ ი რ ვ ე ლ ი პ ა ტ ა რ ა . მ ე ო რ ე დ ი დ ი). კრიტიკულ ცდებში ილუზიების გამოვლენის გარეშე დასტურდება თანმიყოლებით 20 ადექვატური აღქმა. ჩვენს გაკვირვებაზე ცდის პირი პასუხობს დაბეჭიტებით: „აშკარად ტოლები მეჩვენებოდა ყოველთვის“. ეს დარწმუნებულობის განცდა, რაც ჩვეულებრივია უტოლობის განწყობის აღკვეთის შემდგომ კრიტიკულ ცდებში ადექვატური აღქმისათვის, იშვიათია ბუნებრივ პირობებში ტოლ სიდიდეთა ადექვატური აღქმის შემთხვევებისათვის. როგორც ვხედავთ, აქაც გადააფასების ბუნებრივი ტენდენციის სავსებით დაჩრდილვასთან—განდევნასთან გვაქვს საქმე.

ოპტიკური არის მასალებიდან მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს იმ სამი ცდის პირის ოქმებიდან, რომელნიც მოცემულ მომენტისათვის უტოლობის განწყობის აღკვეთას ვერ ახერხებენ და უსასრულოდ ილუზიურ აღქმას იძლევიან. 20 კრი-

ცდოს რიგი — 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

შეფასება - 2 = = +2 +2 +2 +1 +2 +2 = =

სულ

12	13	14	15	16	17	18	19	20				+1		+2		=	
-----												1		13		6	
2+2									2=			-2		-2		-2	

ტიკული ექსპოზიციის გასწვრივ ცდის პირი ადასტურებს პირველის გადაფასებას მხოლოდ ერთხელ. მეორის გადაფასებას 13-ჯერ. და დროგამოშვებით იძლევა 6 ადექვატურ აღქმას. თანმიყოლებით ადექვატური აღქმა არ აღემატება 2-ს. თანმიყოლებით ერთსახოვანი გადაფასება კი არ აღემატება 4-ს: ახასიათებს მეორის მიმართულებით ძალზე გამოკვეთილი გადაფასების ტენდენცია.

მეორე დღეს ვატარებთ საგანწყობო ცდებს 30 ექსპოზიციით (პირველი დიდი. მეორე პატარა) ბუნებრივი ტენდენციის საწინააღმდეგოდ.

პასუხი +6, =1, +1, =1, +10, =2, +5, +1, +6, -1, + -5, -2, =2, +8, =2, +1, =2, +2, =1, +9, =2, +7, = =1, +15, =2, +16,

როგორც ჩანს, განწყობა არ აღიკვეთება მოცემულ მომენტისათვის და სულ უფრო ძლიერად მოქმედებს. უკანასკნელად იგი თანმიყოლებით 15—16 კონტრასტულ ილუზიას იძლევა, უჩვეულოს პირველი ხანისა და, საერთოდ, განწყობის წინანდელ მდგომარეობისათვის. პირველად სუბიექტი ავლენს სუქცესიური პირობებისათვის საშუალო სიძლიერის პირველფაზოვან მოქმედებას (+6). სულ პირველ 20 კრიტიკულ ცდაში კონტრასტული ილუზიის 17 შემთხვევა გვაქვს. ასიმულაციური ილუზია არ გვხვდება, ადექვატური აღქმის კი სამი შემთხვევაა. შემდეგ 20 კრიტიკულ ცდაში კონტრასტულ ილუზიების 16 შემთხვევაა. მაგრამ ჩნდება განწყობის ოდნავ დასუსტების მაჩვენებელი ასიმულაციური ილუზიების 3 შემთხვევა და ა. შ.

ამ ოქმიდან აშკარად ჩანს განწყობის ძლიერი და უსასრულო მოქმედება. მაგრამ ვინაიდან საგანწყობო ცდები ბუნებრივი ტენდენციის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობდა, შეიძლება ვაჩნდეს მოსაზრება, რომ კრიტიკულ ცდებში გამოვლენილი კონტრასტული ილუზიები (მეორის გადაფასებით) მეორის ბუნებრივი გადაფასების ძლიერი ტენდენციის გამოვლენად ჩაითვალოს და არა უტოლობის ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობის გამოვლენად. ეს მოსაზრება მხოლოდ იმ საფუძველზე შეიძლებოდა დაგვეშვა, თუ ვიგულისხმებდით, რომ ამ ცდის პირს უტოლობის ფიქსირებული განწყობა საერთოდ არც შეუმუშავებია და ასიმულატურ ილუზიებსაც მხოლოდ ბუნებრივი გადაფასების ტენდენციის იშვიათ გაელვებად ჩავთვლიდით.

ამგვარი მოსაზრებისათვის უეჭველად დარჩებოდა საკმაო საფუძველი, თუ ამავე ცდის პირზე გადაფასების ბუნებრივ ტენდენციაზე დამთხვევით ჩავატარებდით ცდებს და მაშინ ეს ცდის პირი, წინააღმდეგ კონტრასტული ილუზიებისა, ასიმულატურ ილუზიებს დაადასტურებდა მეორის გადაფასების ბუნებრივ ტენდენციაზე დამთხვევით. მაგრამ ვინაიდან ჩვენ ვთვლით, რომ ასეთი რამ გამორიცხულია და 'სუქცესიურ პირობებში უკვე გარკვეული უტოლობის ფიქსირებული განწყობა არ აღკვეთილა, შებრუნებული ცდის ჩატარება ამავე ცდის პირზე დამაჯერებელ საბუთს ვერ მოგვცემდა ვერც ერთი და ვერც მეორე მოსაზრების სასარგებლოდ. ამიტომ ამ შესაძლებლობის შესამოწმებელი ცდები ამავე ცდის პირზე ჩავატარეთ სიმულტანურ პირობებში, აღნიშნული ცდიდან მეოთხე დღეს. ანალოგიურად, ჯერ გამოკარკვეთ სიმულტანურად შედარების ცდებში გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია და შემდეგ შევუქმენით სიმულტანურ მიმართებაზე უტოლობის ფიქსირებული განწყობა გადაფასების ბუნებრივ ტენდენციაზე დამთხვევით. მოვიტანთ ამ ოქმსაც.

ამ ცდის პირს ახასიათებს გადაფასების ძლიერი ბუნებრივი ტენდენცია—უფრო მეტად მარჯვნივ გადაფასებისა:

იქმნი № 10, ბ. 26, XI, 49 წ. ც. პ. „ნოდ“- „სხიბი“ ოპტიკური არე

კლის რიგი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
	+მც +მჯ. +მც +მც +მჯ +მჯ +მც +მც +მჯ +მჯ +მჯ											
	სულ											
13	14	15	16	17	18	19	20	: მარც.		+მარჯ. =		
4-მჯ	+მჯ	+მჯ	+მჯ	+მც	+მჯ	+მჯ	+მჯ	8		12 —		

მარცხნივ გადაფასებს 8-ჯერ, მარჯვნივ — 12-ჯერ, ხოლო არც ერთ ადექვატურ აღქმას არ ადასტურებს.

იმავე დღეს ტარდება საგანწყობო ცდები სიმულტანურ მიმართებაზე უკვე დადგენილი ოპტიკურით — 15 საგანწყობო ექსპოზიციით (მარჯვნივ დიდი. მარცხნივ პატარა წრით) ბუნებრივ ტენდენციაზე დამთხვევით. პასუხი: +22, =1, +1, =1, +24. —1. +47, —1, +5). ცდა წყდება 104-ე კრიტიკულ ექსპოზიციასზე. განწყობა არ აღიკვეთება.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს. ცდის პირი ავლენს საკმაოდ ძლიერ პირველფაზიან მოქმედებას (+22) ანალოგიურად სუქცესიური პირობებისა. თანმიყოლებით კონტრასტული ილუზიური აღქმები მეორე ფაზაში მატულობს (+24) და, ბოლოს. უფრო მეტის ძალით ვლინდება (+47). 104-კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ ასიმულტანური ილუზიის მხოლოდ 2 შემთხვევა გვხვდება და ისიც თითოჯერ ცალ-ცალკე.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ცდის პირი, საგანწყობო ცდების ბუნებრივ ტენდენციაზე დამთხვევის შემთხვევაშიც, სიმულტანურ პირობებში განწყობის მოქმედების ისეთივე კანონზომიერებას ავლენს, როგორც სუქცესიურს პირობებში საგანწყობო ცდების ბუნებრივი ტენდენციის საპირისპიროდ ჩატარებისას. თუ ამ ცდის პირისათვის განწყობის ფიქსირებულობის შეუძლებლობას ვაღიარებთ პირველ შემთხვევაში, მაშინ მეორე შემთხვევაშიც — ე. ი. სიმულტანურს პირობებშიც, — როცა საგანწყობო ცდები ბუნებრივ ტენდენციაზე დამთხვევით ტარდებოდა — ასიმულტანური ილუზიები უნდა მიგველო უპირატესად მარჯვნივ გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის გამოვლენით. მაგრამ ასეთი რამ, რო-

გორც დავინახეთ, თითქმის სულ არ გვხვდება. ამრიგად, ჩანს, ამ ცდის პირს როგორც სუქცესიურ, ისე სიმულტანურ პირობებში ერთნაირად აღგზნებადი, მტკიცე, ძლიერი და ამასთანავე ხანგრძლივი „უსასრულოდ“ მოქმედი განწყობა ახასიათებს. ამიტომ ზემოთ წამოყენებული მოსაზრების დაშვებისათვის არც სუქცესიურს პირობებში რჩება ადგილი, აშკარაა, რომ ისეთი ცდის პირების შემთხვევაში, რომელნიც განწყობის უსასრულო მოქმედებას ამჟღავნებენ, საგანწყობო ცდების შემდგომ ილუზიებში მოქმედი განწყობის შემთხვევაშიც ბუნებრივი ტენდენცია მოცემულ მომენტისათვის სავსებით განდევნილია.

როგორც აღნიშნული იყო, ანალოგიური ცდები ჩვენ ჩავატარეთ ჰაპტურსა და კუნთურ არეშიც ხუთ-ხუთ ცდის პირზე. კანონზომიერება იქაც ზუსტად ანალოგიური დადასტურდა და ამიტომ ამ მასალების მოტანა ზედმეტად მიგვაჩნია. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ არც ერთ არეში არ შეგვხვედრია ისეთი ცდის პირი, რომელიც, მიუხედავად გადაფასების ბუნებრივი საკმაოდ გაბატონებული ტენდენციისა, უტოლობის ფიქსირებული განწყობის შემდეგ სავსებით გაბატონებული ადექვატური აღქმის განწყობაზე არ გადასულიყო. ეს მით უმეტეს საგულისხმობაა, რომ, როგორც ვიცით, ტოლ სიდიდეთა შორის მიმართების არაადექვატური აღქმისა და გადაფასების ტენდენცია ბუნებრივ პირობებში ჰაპტურსა და კუნთურ არეში მეტადაა წარმოდგენილი, ვიდრე ოპტიკურ არეში. ამ შემთხვევაშიც გადაფასების ეს მეტი ტენდენცია სავსებით განიდევნება უტოლობის ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის შემდგომ ჩატარებულ კრიტიკულ ცდებში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რაც დამახასიათებელია სუქცესიურ პირობებში ფიქსირებულ განწყობისათვის: ცდის პირთა გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით ოპტიკურ არეში (21%) და შემდეგ ჰაპტურ არეში (16%), თავიდანვე ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებულ მდგომარეობაზე გადადის. ეს ეკრეთოლოგებულ „უგანწყობო“ ცდის პირებია. ბუნებრივ პირობებში იშვია-

თად გვხვდება ისეთი ცდის პირი, რომელიც თუნდაც 20 კრიტიკულ ექსპოზიციის პროცესში თანმიყოლებით 10 ადექვატურ აღქმას დაადასტურებდეს. ეს გარემოება სპეციალურ ცდებშიც დადასტურდა: ოპტიკურ არეში 10 ცდის პირიდან 3 ცდის პირი (30%), რომელთაც ბუნებრივ პირობებში საკმაოდ ჩამოყალიბებული გადაფასების ტენდენცია გააჩნდათ, ხელოვნურად ფიქსირებულ უტოლობის შემდეგ პირდაპირ ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებულ მდგომარეობაზე გადადის კრიტიკული ცდების დასაწყისშივე. ჰაპტურსა და კუნთურ ცდებშიც აღმოჩნდა ასეთი თითო ცდის პირი (20%). მაშ, ეს ცდის პირები ხელოვნურად ფიქსირებულად განწყობის შემდეგ თუ განწყობის ილუზიაში მოქმედებას არ ავლენენ მოცემულ მომენტისათვის, მის პირველ მდგომარეობას მაინც არ უბრუნდებიან. განწყობის მოქმედება ამ შემთხვევაში იმაში გამოიხატება, რომ პირველადი ტენდენცია გადაფასებისა ბუნებრივად იღვევება და დადგინდება ახალი, ბუნებრივ პირობებისათვის უჩვეულო. ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებული მდგომარეობა.

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, სუქცესიურ მიმართებაზე ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის მოქმედებაში ტოლ კრიტიკულ ობიექტთა როგორც ილუზიურ აღქმის პროცესში, ისე შემდგომ პერიოდში ამ ილუზიების ჩაქრობისას, განწყობის წინააღმდეგი ბუნებრივი გადაფასების, ე.წ. „ასიმეტრიის“ ტენდენცია, სავსებით განდევნილია, როგორც ოპტიკური. ისე ჰაპტური და კუნთური გზით ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობაში.

ჩვენი ექსპერიმენტული მასალების მიხედვით, სუქცესიურ პირობებისათვის უდავო ქვეშარტებად შეიძლება ჩაითვალოს დ. უზნაძის დებულება, რომ ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის შემდგომ ტოლ სიდიდეთა შეფასებისას „კრიტიკულ ცდებში ასიმეტრიის აღარაფერი რჩება, — ასიმეტრიისა, რომელიც მანამდე ესოდენ მძლავრად გვაგრძნობინებდა თავს: აქ არა აქვს მნიშვნელობა. როგორ

ედან პირთან გვაქვს საქმე, ისეთთან, რომელიც გარკვეულ ასიმეტრიას გვიჩვენებს, თუ ისეთთან, რომელიც სრულიად სიმეტრიული გვგონია.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს ცდებში ასიმეტრიულობის მოვლენები სრულიადაც არ უნდა თამაშობდნენ ისეთ როლს, რომ მათთვის სპეციალური ანგარიშის გაწევა იყოს საჭირო¹.

დ. უზნაძის ხსენებული მოსაზრება არა მხოლოდ სუქცესიურ პირობებში დადასტურებული გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის განდევნას ეხება. არამედ, უწინარეს ყოვლისა, სიმულტანურ პირობებში დადასტურებული ბუნებრივი ასიმეტრიის მოვლენების განდევნასაც ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის შემდგომ კრიტიკულს ცდებში. სუქცესიურს პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტული მასალებით აშკარაა, რომ რაკი ამ შემთხვევაში ზუსტად მართლდება აღნიშნული მოსაზრება, იგი სიმულტანურ პირობებში ჩატარებულ ანალოგიურ ცდებითაც დადასტურდება, როგორც უდავო ფაქტი. ჩვენ ასეთი მასალებიც მოგვეპოვება, მაგრამ მასზე არ შევჩერდებით, ვინაიდან ჩვენს უშუალო მიზანს ამჟამად სუქცესიურ პირობებში ფიქსირებული განწყობის კვლევა შეადგენს. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის „ასიმეტრიის“ მოვლენები საერთოდ ოდენობით მიმართებაზე ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის შემდგომ კრიტიკულ ცდებში მოცემული ცდის მომენტისათვის არავითარ როლს არ უნდა ასრულებდნენ. იგი განდევნილია და კრიტიკულ ცდებში დადასტურებული ილუზიური თუ ადექვატური აღქმები წარმოადგენენ მხოლოდ მათს ქვემდებარე უტოლობის განწყობის გაშლას, აქტუალიზაციას. ჩვენი ცდებიდან ერთი დასკვნაც გამომდინარეობს: ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის ილუზიებში მოქმედების აღკვეთის შემდეგ, ცდის პირთა თითქმის ასი პროცენტი აღწევს მკვეთრად ჩამოყალიბებულ ტოლ სიდიდეთა ადექვატური აღქმის განწყობის განვითარებას (10 დან 20-მდე ადე-

¹ დ. უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლობა“, გვ. 76.

ქვატური აღქმის თანმიყოლებით), რაც ბუნებრივ პირობებისათვის იშვიათობას წარმოადგენს. აქედან გამოდის, რომ აღიკვეთება რა ილუზიებში მოქმედი ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობა სუბიექტი შემდეგ ბუნებრივ პირობებს კი არ უბრუნდება, არამედ ბუნებრივი პირობებისათვის უჩვეულოს, ახალს, თავის საპირისპირო ტოლობის განწყობას, ტოლ სიდიდეთა ადექვატური აღქმის განწყობას, ანეითარებს, რომელიც ამ უტოლობის განწყობითაა შეპირობებული და მის საპირისპიროდაა წარმოშობილი მოცემულ მომენტში.

ამრიგად, როცა უტოლობის ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის აღკვეთასა და მისი მოქმედების ფაზებზე ვლავრაკობთ, იგულისხმება, რომ კრიტიკულ ცდებში ილუზიური აღქმის შეწყვეტის შემდეგ თანმიყოლებით ადექვატური აღქმების რიგი ამ განწყობის აღკვეთის კი არა, არამედ ამავე განწყობის მოქმედების გაგრძელებას, მის ახალ ფაზას, ბუნებრივი პირობებისათვის უჩვეულო ფაზას წარმოადგენს.

აქედან გასაგებია ის ფაქტი, რომ კრიტიკულ ცდებში ტოლ სიდიდეთა ადექვატური აღქმის ფაზას ამ საკითხის პირველი მკვლევარი ხაქაპურიძე და მის შემდეგ სხვებიც, განწყობის მოქმედების ფაზად თვლიან.

თუ კრიტიკულ ცდებში თანმიყოლებითი ადექვატური აღქმების რიგი იმავე უტოლობის განწყობის საპირისპირო ახალ განწყობას და მისი მოქმედების გაგრძელებას წარმოადგენს, მაშინ, გასაგებია, რომ კრიტიკულ სიტუაციაში მისი მოქმედება სავსებით არ წყდება. იგი, როგორც უტოლობის განწყობა, დროებით (შეიძლება მხოლოდ მოცემული მომენტისათვის) წყვეტს მოქმედებას, მაგრამ აღკვეთილად მაინც არ ჩაითვლება, იგი მხოლოდ დროებით დადგა განზე და გასაგებია, რომ იგი დღეების, კვირებისა და თვეების შემდეგაც იჩენს თავს ხშირად, როგორც ეს ბ. ხაქაპურიძის გამოკვლევებმა დაადასტურეს.¹

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებიდან და მასალებიდან ის დას-

¹ ბ. ხაქაპურიძე — ექსპერიმენტულად შექმნილი განწყობის ზანგრძლივობის საკითხისათვის. „ქასალები“, ტ. I, 1938, გვ. 136—151.

უნაც შეიძლება გავაკეთოთ, რომ თუ ერთ დღეს ჩატარებულ
კვლევებში ბუნებრივი ტენდენცია განდევნილია და ადგილი მხო-
ლოდ ხელოვნურად ფიქსირებულ უტოლობის განწყობის მო-
ქმედებას აქვს დათმობილი, მაშინ, როცა განწყობის საერთოდ
დროში გამძლეობას (სტაბილობას) ვიკვლევთ, ხელოვნურ-
რად ფიქსირებულ განწყობის საბოლოო აღკვეთის დასადგე-
ნად, რა თქმა უნდა. არ კმარა იმის დადგენა, რომ ცდის პირს
ადექვატური აღქმის განწყობა განუვითარდა უტოლობის გან-
წყობის საპირისპიროდ. ამისათვის აუცილებლად საჭირო იქ-
ნება ცდის პირების დეტალური შესწავლა მათთვის დამახა-
სიათებელი გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის დადგენით
(რომლის დასადგენად სხვათაშორის არ კმარა 4—5 ან 10
კრიტიკული ექსპოზიციაც კი), ხოლო შემდეგ სტაბილობის
კვლევებში ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობას აღკვეთილად
მხოლოდ მაშინ ჩავთვლით, როცა ცდის პირი დაუბრუნდება მის
პირვანდელ ბუნებრივად ფიქსირებული განწყობის მდგომარე-
ობას (თუ ასეთის მიღწევა მოხერხდა).

თ ა შ ი მ ე ს ა მ ე

ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის მოქმედების ზოგიერთი საკითხი

§ 1. განწყობის პირველი გამოვლენა

როგორც ვიცით, ჩვენი ძირითადი პრობლემა სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედებისა და მისი აღკვეთის პროცესის გარკვევაა. აღკვეთის პროცესში ვლინდება, უწინარეს, ყოვლისა. განწყობის მოქმედების ძირითადი კანონზომიერებანი, რისი დადასტურებაზეც დამოკიდებულია შემდგომი კვლევაძიება განწყობის მოქმედების სხვა კანონზომიერებათა და ნიშანთვისებათა დასადგენად.

მაგრამ, სანამ განწყობის მოქმედებისა და მისი აღკვეთის პროცესის საერთო საკითხებს გავარჩევდეთ. ინტერესმოკლებული არ იქნება (პირდაპირ საჭიროებასაც კი წარმოადგენს), გავარკვიოთ საკითხი, თუ როგორია სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის პირველი გამოვლენა (პირველი კრიტიკული ექსპოზიციების მონაცემების მიხედვით) და შევადაროთ იგი სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის პირველ გამოვლენას.

ვნახოთ ჯერ ოპტიკური არის მონაცემები. როგორც № 12 ცარილიდან ჩანს, ილუზიებში გამოვლენილი განწყობის მოქმედება სუქცესიურ მიმართებაზე მხოლოდ 55% აღწევს. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ განაწილება ილუზიათა შორის ისეთია, რაც სიმულტანურ პირობებში უკვე დადასტურებულ კანონზომიერებას ემთხვევა. სახელდობრ, აქაც, განწყობის პირველ გამოვლენაში, კონტრასტული ილუზიები დომინან-

ტობს (45%), ხოლო ასიმილაციური ილუზიები, მათთან შედარებით. ძალზე მცირე მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი (10%).

ცხრილი № 12

განწყობის პირველი გამოვლენა ოპტიკურ არეში (კრიტიკული ექსპოზიციით)

პირობები	ც. პ. რ.	+		--		+ -		-	
		აბ. რ.	%	აბ. რ.	%	აბ. რ.	%	აბ. რ.	%
სუქცესიური	100	45	45	10	10	55	55	45	45
სიმულტანური	40	38	95	—	—	38	95	2	5

თუ ამ ცხრილში მოტანილ სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის იმავე პირველი გამოვლენის ჩვენს მონაცემებს შევადარებთ, ერთი აშკარა კანონზომიერება გვეცემა თვალში: ორივე შემთხვევაში, როგორც ზოგადი კანონზომიერება, კონტრასტული ილუზიები დომინანტობს, მაგრამ სიმულტანურ მიმართებაზე ეს კონტრასტული ილუზიები ორჯერ მეტია (95%—45%-თან), ასიმილაციური ილუზიები კი აქ სულ არ გვეძლევა (0%—10%-თან). აქედან გამომდინარე, ამ პირველ გამოვლენიდანაც შეიძლება დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში განწყობის გამოვლენის ერთ ზოგად კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე, მაინც აშკარაა, რომ ოპტიკურ არეში სუქცესიურ მიმართებაზე შექმნილი განწყობის აგზნებადობის უფრო დაბალ დონესთან (განწყობის სისუსტესთან) გვაქვს საქმე, ვიდრე სიმულტანურს შემთხვევაში. ეს სისუსტე, — აგზნებადობის დაბალი დონე, — მეტად აშკარა გახდება მაშინ, თუ მოვიგონებთ, რომ ჩვენ განწყობის ფიქსაციას სიმულტანურ მიმართებაზე 15 ექსპოზიციით (როგორც დადგენილია საერთოდ) ვახდენთ, ხოლო სუქცესიურ მიმართებაზე 25—30 ექსპოზიციით.

დ. უზნაძე, თავის გამოკვლევაში — „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი“ მიუთითებს, რომ სუსტი განწყობა ასიმილატურად მოქმედებს, ხოლო თუ ჩვენს შემთხვევაში ასიმილატური ილუზიების გამოვლენის დონეს განწყობის სისუსტის მაჩვენებლად მივიჩნევთ, მაშინ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას ოპტიკურ არეში ეს მაჩვენებელიც გააჩნია ($-10\% + 45\%$ -თან), ხოლო სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას შემთხვევაში ასეთი სულ არ გვხვდება ($-0\% + 95\%$ -თან).

ამრიგად, ყველა მაჩვენებლით აშკარაა, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას პირველი გასოვლენის მისეფვით ახასიათებს ფიქსირებულობის შედარებით დაბალი დონე — ნაკლები ადგენიანობა — სისუსტე, მიუხედავად იმისა, რომ იგი მაინც განწყობის გამოვლენის იმ ზოგად კანონზომიერებას გვაძლევს, რომელიც ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისათვისაა დამახასიათებელი. რაც უკვე დადგენილია სიმულტანურ პირობებში და რაც ამავე პირობებში ჩვენ მიერ ჩატარებული ცდებითაც ზუსტად დასტურდება.

როგორც ცნობილია, განწყობის მოქმედების კანონზომიერებათა სისტემატური კვლევა-ძიება თავიდანვე არა მარტო ოპტიკურ, არამედ ჰაბტურსა და კუნთურ არეშიც წარმოებდა და ყველგან ძირითადად ერთ ზოგად კანონზომიერებას ავლენდა — ენახოთ. თუ რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ჩვენს შემთხვევაში ჰაბტურსა და კუნთურ არეებში.

როგორც № 13 ცხრილიდან ჩანს, თუმცა აქაც, ჰაბტურ არეში, ოპტიკურთან შედარებით მეტი შემთხვევა შეინიშნება, მაგრამ მაინც ილუზიების დაბალ დონესთან გვაქვს საქმე (62%). ასევე კუნთურ არეში ილუზიების კიდევ უფრო მეტი შემთხვევაა, მაგრამ დონე მაინც დაბალია (68%). ამასთანავე საინტერესო ისაა, რომ როგორც ოპტიკურ არეში, აქაც — ჰაბტურსა და კუნთურშიც — ილუზიათა განაწილება ისეთია, რომ კონტრასტული ილუზიების მონაცემები დომინანტობს. ორივე შემთხვევაში კონტრასტული ილუზიები თით-

ქმის ოთხჯერ მეტია ასიმილატურზე (ჰაპტური + 48%, -- 14%,
კუნთური + 54%, -- 14%).

ც ს რ ი ლ ი № 13

განწყობის პირველი გამოვლენა ჰაპტურსა და კუნთურ არეში
(1 ექსპოზიცია)

	პ. ნ. ც.	+		-		+ -		=	
		აბს. რ.	%	აბს. რ.		აბს. რ.		აბს. რ.	%
ჰ ა პ ტ უ რ ი ა რ ე									
სუქცესიური	50	24	48	7	14	31	62	19	38
სიმულტანური	25	25	100	—	—	25	100	—	—
კ უ ნ თ უ რ ი ა რ ე									
სუქცესიური	50	27	54	7	14	34	63	16	32
სიმულტანური	40	34	85	1	2,5	35	87,5	5	12,5

თუ აქაც ახლა სუქცესიურსა და სიმულტანურ მიმართებაზე ფაქსირებული განწყობის ილუზიებში გამოვლენის საერთო მონაცემებს ურთიერთს შევადარებთ, ორივე შემთხვევაში სიმულტანურ პირობებში ილუზიების საერთო მაჩვენებლები მეტადაა წარმოდგენილი, ვიდრე სუქცესიურში, მაგრამ ეს მეტობა (განსხვავება) ჰაპტურში მეტია (62% — 100%-თან), ვიდრე კუნთურში (68% — 87%-თან). ამასთანავე საინტერესო ისაა, რომ კონტრასტულ და ასიმილატურ ილუზიათა განაწილება ჰაპტურსა და კუნთურ არეში, ანალოგიურად ოპტიკურისა, ორივე სუქცესიურ და სიმულტანურ შედარების ცდებშიც ერთნაირი კანონზომიერებით გვეძლევა: სახელდობრ, ორივე შემთხვევაში კონტრასტული ილუზიების აშკარად დომინანტობის სახით. მაგრამ თუ სიმულტანურ პირობებში ასიმილატური ილუზიები თითქმის გამორიცხულია საერთოდ (მხოლოდ ეს ერთი შემთხვევა — 2,5% კუნთურ არეში), სუქცესიურ პირობებში, თუმცა მცირე პროცენტით, მაგრამ მაინც საკმაოდ რაოდენობით გვეძლევა. ასე, მაგალითად, ჰაპტური

არე: სუქცესიურ პირობებში—14% + 48%-თან, სიმულტანურ პირობებში—0% + 100%-თან; კუნთური არე: სუქცესიურ პირობებში—14% + 54%-თან, სიმულტანურ პირობებში კი—2,5% + 85%-თან.

ამრიგად, ჩვენი მონაცემების მიხედვით, თუ კონტრასტული და ასიმილატური ილუზიების განაწილებას ურთიეროს შევადარებთ სუქცესიურსა და სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობის პირველი გამოვლენის მიხედვით, აქაც, ჰაპტურსა და კუნთურ არეში, ის ზოგადი კანონზომიერება ვლინდება, რაც საერთოდ ფიქსირებული განწყობის პირველად კონტრასტული ილუზიების გამოვლენაში მდგომარეობს. მაგრამ, ჯერ ერთი, სუქცესიური პირობებისათვის სპეციფიკური აქაც ისაა, რომ ჰაპტურსა და კუნთურ არეებში, სიმულტანურთან შედარებით, კონტრასტული ილუზიების დაბალი მაჩვენებლები გვაქვს; მეორეც, ის, რომ სიმულტანურ პირობებში ასიმილატური ილუზიები თითქმის სულ არ გვხვდება, სუქცესიურში კი იგი საკმაოდაა წარმოდგენილი. ეს მაჩვენებლები როგორც ოპტიკურ, ისე ჰაპტურისა და კუნთური არეებისათვის განწყობის ფიქსირებულობის დაბალი დონის—ნაკლები აგზნებადობისა და სისუსტის მაჩვენებელია.

როგორც დავინახეთ, აღნიშნული ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებანი ორივე პირობებში საძირე არეში პირველი კრიტიკული ექსპოზიციის მასალებიდან გამომდინარეობს, ცდის პირთა დიდ მასალაზეა მოპოვებული და შეიძლება ამიტომ დამაჯერებელიც იყოს; მაგრამ, რადგანაც მხოლოდ პირველ კრიტიკულ ექსპოზიციაზე დაყრდნობით (განწყობის კვლევის დღევანდელ ეტაპზე) საბოლოო დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება საეჭვო გახდეს, ამიტომ ჩვენ აქ წარმოვადგენთ ცალკე არეების მიხედვით შედარებით სუმარულ ცხრილს პირველი ხუთი ექსპოზიციისა სუქცესიურსა და სიმულტანურ პირობებში (იხ. ცხრილი № 14).

წარმოდგენილი ცხრილითაც აშკარად დასტურდება ზემოთ აღწერილი კანონზომიერება, სახელდობრ ის, რომ ორივე—სიმულტანურსა და სუქცესიურს—პირობებში კონტრასტული ილუზიების აშკარად გამოკვეთილ დომინანტობასთან გვაქვს

საქმე. მაგრამ ამ 12 და 13 ცხრილების მიხედვითაც დამახასიათებელი ისაა, რომ როგორც კონტრასტულის, ისე საერთო ილუზიების მაჩვენებლები ყოველ არეში სუქცესიურ პირობებში შედარებით დაბალია, ვიდრე სიმულტანურში. ეს ის სპეციფიკური მომენტია, რაც პირველი კრიტიკული ექსპოზიციების მონაცემებითაც დასტურდება.

ყურადსაღებია ისიც, რომ ამ შემთხვევაში ერთმა გარემოებამ იჩინა თავი, რაც პირველი კრიტიკული ექსპოზიციების შედეგებში არ ჩანდა. სახელდობრ, სიმულტანურ პირობებში ოპტიკურსა და კუნთურ არეებში ასიმულატური ილუზიების თუმცა მცირე. მაგრამ შესამჩნევი პროცენტი გამოვლინდა: ოპტიკურში 3.5%, კუნთურში—4.0%⁰/₀. პაპტურში კი სულ არა, მაგრამ ასიმულატური ილუზიების ეს მაჩვენებლები მაინც ძალზე მცირეა სუქცესიურის მაჩვენებლებთან შედარებით. ამ მონაცემებით ძალაში რჩება პირველი კრიტიკული ექსპოზიციების მიხედვით დადასტურებული კანონზომიერება, რომლის თანახმადაც სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა. მიუხედავად განწყობის მოქმედების ზოგად რეალში მოქცევისა, სიმულტანურთან შედარებით ფიქსირებულობის დაბალი დონით — ნაკლები ავზნებადობითა და სისუსტით ხასიათდება.

ამრიგად, სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის პირველი გამოვლენის მიხედვით (პირველი და პირველი 5 კრიტიკული ექსპოზიციის სუძარული მონაცემებით) სამრვე არეში დასტურდება განწყობის შეცვლის ის ძირითადი კანონი, რაც დ. უზნაძემ სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობის მასალებზე დაყრდნობით საერთოდ განწყობის შეცვლის ზოგადი კანონის სახით ჩამოაყალიბა ჟერ კიდევ 1930 წელს და რაც, როგორც ვიცით, იმაში მდგომარეობს, რომ „როდესაც ჩვენზე აქტუალური განწყობის შეუფერებელი გამლიზიანებელი მოქმედებს, განწყობა ირღვევა და მის ადგილს გარდამავალი მდგომარეობა იკავებს, რომელიც გამლიზიანებლის ასიზილაციას საწინააღმდეგო განწყობის მიმართულებით ახდენს (ე. წ. კონტრასტული ილუზიების სახით), ხოლო არსებული განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით გადახრა

მით უფრო თვალსაჩინო და აქტუალურია, რაც მტკიცე და გარკვეულია თვით ის ვანწყობა. რომელიც ირღვევა¹. როგორც ჩვენი მასალებიდან ჩანს, „არსებული ვანწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით გადახრა“ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული ვანწყობის შემთხვევაში საკმაოდაა წარმოდგენილი და იგი ვანწყობის შეცვლის ზოგად კანონს ემორჩილება, მაგრამ ნაკლებ „თვალსაჩინოდ“, ვიდრე სიმულტანურ პირობებში და ამიტომ აღნიშნული კანონის ძალითვე იგი ნაკლებ მტკიცე და გარკვეულია. ე. ი., როგორც აღინიშნა, ფიქსირებულობის დაბალი დონის, ნაკლები აღგზნებადობისა და სისუსტის მატარებელია.

სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული ვანწყობის კვლევისას ბ. ხაჭაპურიძე, რიცხობრივი და სხვა მონაცემების საფუძველზე, სხვადასხვა არეში ვანწყობის ფიქსირებულობის სიადვილისა და სიმყარე-სიმტკიცის შესახებ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ადვილად იქმნება და ვლინდება ვანწყობა პირველ რიგში მოცულობის ჰაბტური აღქმის გზით, მეორე რიგში სიმძიმეების ზემოქმედების გზით და ყველაზე უძნელესად იქმნება სიდიდეთა ოპტიკური აღქმის გზით²“. ამრიგად, ვანწყობის ფიქსირებულობისა და მისი გამოვლენის ხარისხით რომ დავალაგოთ სხვადასხვა არეები, მივიღებთ შემდეგ განრიგს: პირველი—ჰაბტური, მეორე—კუნთური და მესამე—ოპტიკური არე.

როგორც № 14 ცხრილიდან ჩანს, სიმულტანური პირობებისათვის ეს განრიგი ჩვენი მასალებით პირველი 5 კრიტიკული ექსპოზიციის სუმარული მონაცემების მიხედვითაც დასტურდება, როგორც ილუზიების საერთო მონაცემების (ჰაბტური—93,6%, კუნთური—86,0%, ოპტიკური—83,0%), ისე კონტრასტული ილუზიების მონაცემების მიხედვით (ჰაბტური—93,6%, კუნთური—82,0%, ოპტიკური—79,5%). აღსანიშნავია

1 დ. უზნაძე, „ვანწყობის შეცვლის ძირითადი კანონი“. „მასალები ვანწყობის ფსიქოლოგიისათვის“, გვ. 58. ტ. I, 1938,—გამოქვეყნებული იყო ადრე 1930 წ. რუსულად.

2 ბ. ხაჭაპურიძე, „ვანწყობათა ურთიერთ შეცვლის ფაზური ხასიათი, „მასალები“, ტ. I, გვ. 130.

რსიც, რომ პაპტურ არეში ასიმილაციური ილუზიების არც ერთი შემთხვევა არ გვხვდება. ამ მხრივაც მისი უპირატესობა აშკარაა სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის გამოვლენაში.

რა მდგომარეობა ევაქვს ამ მხრივ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის პირველი გამოვლენის მიხედვით? როგორც № 14 ცხრილიდან ჩანს, ოპტიკური არე როგორც ილუზიების საერთო მაჩვენებლებით, ისე კონტრასტული და ასიმილაციური ილუზიების ცალ-ცალკე მაჩვენებლებითაც მესამე რიგში დგას ანალოგიურად სიმულტანურისა. ამასთანავე, ისე როგორც სიმულტანურ პირობებში, პაპტური და კუნთური არეები. ცალ-ცალკე. ყველა მაჩვენებლის მიხედვით, უპირატესობით ხასიათდება განწყობის პირველი გამოვლენის მიხედვით. მაგრამ თუ სიმულტანურ პირობებში პირველი ადგილი პაპტურ არეს ევადა, სუქცესიურში ასეთი კუნთურს ეკუთვნის.

ამრიგად, აქაც რომ ცალკე არეები დავალაგოთ პირველი გამოვლენის. განწყობის ფიქსირებულობისა და მისი გამოვლენის სარისკს მიხედვით. შემდეგ თანამდევრობას მივღებთ:

I კუნთური არე + 52,4% — 14,4%₀. სულ 66,8%₀.

II პაპტური არე + 40,8% — 10,3%₀. სულ 51,6%₀.

III ოპტიკური არე + 35,0% — 8,2%₀. სულ 43,2%₀.

§ 2. განწყობის ილუზიების ხანგრძლივობის საკითხი

რაკი გარკვეულია განწყობის პირველი გამოვლენის ძირითადი კანონზომიერებანი სხვადასხვა არესა და პირობებში. ბუნებრივად დგება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია განწყობის მოქმედებისა და გამოვლენის შემდგომი გზა და საცეხურები საერთოდ, სანამ იგი საბოლოოდ აღიკვეთებოდეს და ახალი სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობას დაუთმობდეს ადგილს. მაგრამ ვიდრე განწყობის მოქმედების ამ რთულსა და ვრცელ გზაზე მისი გამოვლენის რაგვარობის გარკვევას შევეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გაეარკვაოთ, თუ როგორია ილუზიებში გამოვლენილი განწყობის მოქმედების ხანგრძლი-

ვობა სსვადასხვა პირობებსა და არეში, რომელშიც ჩვენ მიერ და საერთოდ, განწყობის კვლევა წარმოებს.

როგორც ვიცით, ჩვენ განწყობას აღკვეთილად მხოლოდ ათი თანმიყოლებითი ადექვატური აღქმის შემდეგ ვთვლით და, ამრიგად, როცა განწყობის საერთო ხანგრძლივობას ვანგარიშობთ. იგულისხმება, რომ ამ ხანგრძლივობაში შედის კრიტიკული ექსპოზიციების გრძელი რიგი როგორც ილუზიების, ისე ადექვატური აღქმების ყველა გამოვლენა, რაც გზადაგზა 1-დან ზოგ შემთხვევაში 9 ექსპოზიციამდე გვხვდება. ერთი სიტყვით, განწყობის ხანგრძლივობა ჩვენს ცდებში გამოიანგარიშება ათი თანმიყოლებითი ადექვატური აღქმის წინ გამოვლენილი ილუზიური აღქმის კრიტიკული ექსპოზიციების რიგით (მერამდენეობით) ყოველ ცალკე შემთხვევაში. იმ ცდის პირებზე, რომელნიც დიდხანს 10 თანმიყოლებით ადექვატურ აღქმას არ დაადასტურებდნენ, ცდა გრძელდებოდა 100 კრიტიკულ ექსპოზიციამდე და სუმარულ შედეგებში მათი განწყობის ხანგრძლივობა შესულია როგორც „100“. ასეთი ცდის პირები როგორც სუქცესიურ, ისე სიმულტანურ პირობებში, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ცოტანი იყვნენ და ამიტომ სუმარულ შედეგებში ზოგად კანონზომიერებას ვერ დაარღვევდნენ.

№ 15 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები აშკარად მიუთითებენ იმაზე, თუ რაოდენ ხანგრძლივი მოქმედების ძალა გააჩნია სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობასაც, რომელიც მისი პირველი გამოვლენის მიხედვით ძალზე დაბალ მაჩვენებლებს იძლევა და, როგორც ითქვა, საერთოდ ყველა არეში შედარებით ფიქსირებულობის დაბალ დონესა და აღგზნებადობის სისუსტეს ამჟღავნებს.

ცალკეულ არეთაგან ყველაზე მეტი ხანგრძლივობა კუნთური არისათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი (საშუალო 41,08 კრ. ექსპ.), შემდეგ ოპტიკური არისათვის (29,54 კრ. ექსპ.) დაბოლოს. შედარებით დაბალი, მაგრამ მაინც საკმაოდ ხანგრძლივი მოქმედების უნარი ჰაპტურის გზით ფიქსირებული განწყობისათვის (21,08 კრ. ექსპ.). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ყველა არენი განწყობის მოქმედების საკ-

მაოდ ხანგრძლივ გამოვლინებასთან გვაქვს საქმე და ამ პროცესის ეს ხანგრძლივობა საკმაოდ დიფერენცირებულია სხვადასხვა გზით ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში.

რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში?

მოსალოდნელი იყო, რომ სიმულტანურ პირობებში ყველა ცალკეული არის გზით ფიქსირებული განწყობა მეტი ხანგრძლივობისა აღმოჩნდებოდა; ეს მოლოდინი მსოლოდ ოპტიკურსა და ჰაბტურ არეში გამართლდა. რაც შეეხება კუნთურ არეს, აქ რატომღაც სუქცესიურ პირობებში ფიქსირებულ განწყობას შედარებით მეტი ხანგრძლივობა აღმოაჩნდა, ვიდრე სიმულტანურ პირობებში (საშუალოდ 41,08 კრიტიკ. ექსპ.—29,3 კრიტიკულ ექსპოზიციასთან). საერთო მაჩვენებლების მიხედვით კი ორივე პირობებში საკმაოდ მაღალსა და თითქმის ერთნაირ ხანგრძლივობასთან გვაქვს საქმე, თუმცა იგი სიმულტანურ პირობებში მაინც ოდნავ მეტია (32,36 კრიტიკული ექსპოზიცია). ვიდრე სუქცესიურ პირობებში (30,31 კრიტ. ექსპ.).

სუქცესიური პირობების საერთო საშუალო ხანგრძლივობის გათანაბრება სიმულტანურ პირობებთან. ამ შემთხვევაში კუნთური არის, როგორც გამონაკლისის, ხანგრძლივობის დიდმა სიჭარბემ განსაზღვრა.

როგორც ჩანს, სუქცესიურ პირობებში კუნთური არის გზით ფიქსირებულ განწყობას განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ შემთხვევაში. იგი საერთოდ არა მარტო მაღალი აღზნებადობით, არამედ მეტი ხანგრძლივობითაც ხასიათდება.

თუკი სიმულტანურ პირობებში აგზნებადობით პირველი ადგილი ჰაბტურ არეს ეკუთვნოდა, ხანგრძლივობით ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით ოპტიკური არე ხასიათდება (საშუალო 39,1 კრიტიკული ექსპოზიციით), დაახლოებით ისევე, როგორც სუქცესიურ პირობებში კუნთური არე.

რაც შეეხება ჰაბტურსა და კუნთურ არეს, მათ შორის აქ სხვაობა თუმცა არის, მაგრამ ისეთი მცირე, რომ შეიძლება ისინი თანაბარი ხანგრძლივობის მქონე არეებად ჩაითვალოს. ამიტომ ისინი მეორე რიგში თავსდებიან ოპტიკურ არესთან შედარებით. როგორც ცხრილიდან ჩანს, მათი ხანგრძლივობა შე-

დარებით დაბალია: კუნთურ არეში--29.3 კრიტ. ექსპ. და ჰაპტურ არეში--26,48 კრიტ. ექსპოზიციით.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სუქცესიურ პირობებში კუნთურის გზით ფიქსირებული განწყობა, მისი პირველი გამოვლენის მიხედვით, შედარებით ძლიერია. ამ ცხრილით ისიც დასტურდება, რომ ის, ამავე დროს, შედარებით ხანგრძლივიც არის, მაგრამ თუ ოპტიკური გზით ფიქსირებული განწყობა ამ შემთხვევაში შედარებით სუსტი იყო ხანგრძლივობის მიხედვით, იგი მეორე ადგილს იკავებს და უკანასკნელს ჰაპტურ არეს უთმობს.

ამრიგად. ამ შემთხვევაში კუნთური არე შედარებით ძლიერიცაა და ხანგრძლივიც, ოპტიკური—შედარებით სუსტი და საშუალო ხანგრძლივობისაა, ჰაპტური კი, პირველი გამოვლენით, საშუალო სიძლიერისა და უდაბლესი ხანგრძლივობის მატარებელია.

სიმულტანურ პირობებში კი. როგორც ვიცით. პირველი გამოვლენის მიხედვით უპირატესობა ჯერ ჰაპტურსა და შემდეგ კუნთურ არეს ეკუთვნოდა, უკანასკნელი კი—ოპტიკურს. ხანგრძლივობის მიხედვით, როგორც ცხრილიდან ჩანს, ოპტიკურის გზით ფიქსირებული განწყობა პირველ ადგილს იკავებს. ის შედარებით ხანგრძლივია. ამრიგად. ამ უკანასკნელ პირობებში ოპტიკური არე სუსტია პირველი გამოვლენის მიხედვით, მაგრამ შედარებით ხანგრძლივი. ჰაპტური და კუნთური არეები შედარებით ძლიერნი არიან პირველი გამოვლენის მიხედვით და საშუალონი ხანგრძლივობის მიხედვით.

* * *

განწყობის ხანგრძლივობაზე სრული წარმოდგენის მისაღებად საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვადგინოთ განწყობის ხანგრძლივობის გავრცელებულობის ვარიაციული განრიგი 0-დან 100 კრიტ. ექსპოზიციის გასწვრივ, ათ-ათი კრიტიკული ექსპოზიციის ხანგრძლივობის ვარიანტთა კლასებად დაყოფით (იხ. ცხრ. № 16). ცხრილში წარმოდგენილია აგრეთვე ცალკე არესა და პირობებში ხანგრძლივობის ცალკეულ ვარიანტთა

საერთო რაოდენობა და ვარიაციულობის ინდექსები, რაც გაანგარიშებულია ცდის პირთა რაოდენობის ვარიანტთა რაოდენობაზე გაყოფით. ეს ინდექსები საშუალებას იძლევა დავადგინოთ ცალკეულ არესა და პირობებში განწყობის ხანგრძლივობის ინტერინდივიდუალური ვარიაციულობის დონე.

ვარიანტთა რაოდენობის სიჭარბე ცდის პირთა გარკვეული რაოდენობის მიმართ ინდექსის დონეს ამცირებს და, ამრიგად, რამდენად მცირეა ინდექსი, იმდენად მეტია ინტერინდივიდუალური ვარიაციულობის დონე ამა თუ იმ შემთხვევაში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სუქცესიურ პირობებში განწყობის ხანგრძლივობას ნაკლები ინტერინდივიდუალური ვარიაცია ახასიათებს — ინდექსი 3,3, ვიდრე სიმულტანურ პირობებში — ინდექსი 2,3. ანალოგიური შეფარდებაა ცალკეული არეების მიხედვით. სუქცესური პირობების ცალკეული არე სიმულტანური პირობების ამავე არეებთან შედარებით ნაკლები ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება (შეადარეთ ინდექსები). საინტერესო ისაა, რომ ცალკეული არეები ორთავე პირობებში ერთნაირი კანონზომიერებით ლაგდება, ხანგრძლივობის ინტერინდივიდუალური ვარიაციულობის მიხედვით.

შედარებით მეტი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით კუნთური არე ხასიათდება, ინდექსით: სუქცესიურ პირობებში—1,7, სიმულტანურ პირობებში—1,4 საშუალო ვარიაციულობით; ჰაპტური არე: ინდექსით სუქც. პ-ში—2,3, სიმულტ. პ-ში—1,5; ყველაზე ნაკლები ვარიაციულობით კი ოპტიკური არე — ინდექსით სუქც. პ-ში—2,6, სიმულტ. პ-ში—1,7 (სუქცესიურსა და სიმულტანურ პირობებში კანონზომიერების ასე ნათლად გამოკვეთა და ერთიანობა შეიძლება შედეგების საფუძვლიანობის საბუთსაც წარმოადგენდეს).

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ყველა არეში, როგორც სუქცესიურ, ისე სიმულტანურ პირობებში, ხანგრძლივობის მიხედვით საკმაოდ შორსმწვდომი ინტერინდივიდუალური ვარიაციაა დამახასიათებელი და ამ მხრივაც ცდის პირთა დიფერენციაციის შესაძლებლობაა მოცემული.

ამ ვარიანტთა სიხშირეში სუქცესიურ პირობებში საკმაო-

და წარმოდგენილი ხანგრძლივობის ნულოვანი (0) ვარიანტი—15%. იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში ასეთი თითქმის სულ არ გვხვდება—0.9% (ისიც მხოლოდ კუნთური არედან 1 ცდის პირი—2.5%). ეს ის ცდის პირებია, რომელნიც კრიტიკულ ცდებში. უტოლობის ფიქსირებული განწყობის საპირისპიროდ, თავიდანვე ადექვატური აღქმის განწყობას ავითარებენ უშუალოდ და ილუზიებში მისი გამოვლენის გზას ან გვივლიან.

ასეთი სიჭარბე ერთეულ კიდევ მიუთითებს სუქცესიურ პირობებში ფიქსირებული განწყობის ნაკლებ აგზნებადობასა და სიმტკიცეზე.

ცალკეული არეებს მიხედვით ასეთი, ყველაზე ქარბად, ოპტიკურ არეში გვხვდებოდა—21%, შემდეგ შედარებით ნაკლები პაპტურ არეში—16%, დაბოლოს, ძალზე მცირედ კუნთურ არეში 2%: ეს გარემოებაც სუქცესიურ პირობებში კუნთურის გზით ფიქსირებული განწყობის მეტ აგზნებადობასა და სიმტკიცეზე მიუთითებს.

ცხრილში საკმაო რაოდენობითაა აგრეთვე წარმოდგენილი ხანგრძლივობის უკიდურესი ვარიანტები (91—100 კრიტ. ექსპ.). სუქცესიურ პირობებში ასეთი შედარებით ქარბადაა წარმოდგენილი—15%, ვიდრე სიმულტანურ პირობებში—10.5%. ესენი ძირითადად ის ცდის პირებია, რომელნიც მოცემულ მომენტში განწყობის აღკვეთას ვერ ასწრებენ და უსასრულო ილუზიას იძლევიან. როგორც ცხრილიდან ჩანს, ასეთნი მეტნაკლები რაოდენობით ყველა არეში გვხვდება.

ხანგრძლივობის ვარიანტთა სხვა კლასებიდან ცდის პირთა შედარებით დიდი უმრავლესობა პირველ კლასში თავსდება (1—10) — სუქცესიურ პირობებში — 27,5%, ხოლო სიმულტანურ პირობებში — 25.7%; უფრო მეტი ხანგრძლივობისა ხვდება II კლასში (11—20). აქ სიმულტანურ პირობებში ისევ დიდი მაჩვენებლები გვაქვს—24,8%. სუქცესიურ პირობებში კი ასეთი ძალზე მცირდება—13%; ასევე III კლასში (21—30) პირველში კიდევ საკმაოდ მაჩვენებელია—17,1%, მეორეში კი ერთბაშად—70%-მდე ეცემა. შემდეგ IV, V, VI კლასებში სიმულტანურ პირობებში დაბალი, მაგრამ საყ-

მაო მაჩვენებლები გვაქვს, რომელიც ერთბაშად ეცემა VIII კლასიდან, ხოლო სუქცესიურ პირობებში კლასში საკმაო მაჩვენებლებია, მაგრამ აქ უფრო ადრე — VI კლასიდან გვაქვს ხანგრძლივობის მაჩვენებლების დაცემა.

ცხრილიდან აშკარად ჩანს აგრეთვე ერთი გარემოება, სახელობრივ ის, რომ ცალკე არეების მიხედვითაც ხანგრძლივობის მთავარი მაჩვენებლები ძირითადად პირველ სუთ კლასშია წარმოდგენილი (0 — 50 კრიტიკულ ექსპონიციონდე) და 50-ე კრიტიკული ექსპონიციიდან ცდის პირთა დიდ უმრავლესობას განწყობა აღეკვეთება. აქედან სუქცესიურ პირობებში 70%-დან, ხოლო სიმულტანურ პირობებში 76.2%-დან, დანარჩენი მცირე ნაწილი გაზნეულია 51—100 კრიტ. ექსპონიციის ხანგრძლივობის ვარიანტებში. ხოლო ამათვან ძირითადი უმრავლესობა ისეთია, რომელიც მოცემულ მომენტში უტოლობის განწყობას თავს ვერ აღწევს.

ამრიგად, ჩვენი მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 50 კრიტიკული ექსპონიციის შემდეგ განწყობა საერთოდ აღიკვეთება. ხოლო ვისაც ამის შემდეგ ისევ აქვს ილუზიები, ისინი საერთოდ მოცემულ პირობებში განწყობას თავს ვერ აღწევენ. რაგინდ დიდხანს უნდა გავაგრძელოთ ცდები, და, მაშასადამე, პრაქტიკაში უკვე 50 კრიტიკული ექსპონიციის შემდეგ ცდის შეწყვეტის გავრცელებული აერაი მეთოდურად გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს.

დასასრულ, ოდენობით მიმართებაზე დეტალურად განწყობის ხანგრძლივობაზე შეიძლება ზოგადად შევხედო დასკვნები გაკეთდეს:

ოდენობით მიმართებაზე დეტალური განწყობის მოქმედება საკმაო ხანგრძლივობის შემდეგ პროცესს წარმოადგენს. ეს ხანგრძლივობა საშუალოდ 20-დან 40 კრიტიკულ ექსპონიციის ფარგლებშია მოთავსებული და იგი სხვადასხვა არესა და პირობებში, ხანგრძლივობის მიყვდნით, ცდის პართა შორსმწვდომში დიფერენციაციის შესაძლებლობას იძლევა.

სუქცესიურ პირობებში მეტი ხანგრძლივობისა კუნთური არე აღმოჩნდა. საშუალოდ — ინტეგრირი და შედავებით მცირე ხანგრძლივობისა — პანტური აოე. სიმულტანურ პირობებში

კი მეტი ხანგრძლივობისაა ოპტიკური არე. საშუალოსი—კუნთური არე და შედარებით მცირე—ჰაბტური არე. საერთოდ კი სიმულტანურ პირობებში ფიქსირებული განწყობა ოდნავ მეტი ხანგრძლივობისაა. ვიდრე სუქცესიურში.

განწყობის ხანგრძლივობა პირობებისა და არის მიხედვით საკმაოდ დიდი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება. სუქცესიურ პირობებში იგი კანონზომიერად შედარებით ნაკლებია, ვიდრე სიმულტანურ პირობებში, და ეს როგორც საერთოდ, ისე ერთსახოვანი არეების ცალ-ცალკე შედარებისას.

როგორც სუქცესიურ, ისე სიმულტანურ პირობებში მაღალი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობა კუნთურ არეს ასახვითებს. საშუალო—ჰაბტურსა და შედარებით დაბალი-ოპტიკურ არეს.

სწლოვანი ხანგრძლივობის, ე. ი. ისეთები, რომელნიც კრიტიკულ ცდებში თავიდანვე აღექვატური აღქმის განწყობას ავითარებენ, სუქცესიურ პირობებში შედარებით ჭარბად დასტურდება ოპტიკურ არეში, საკმაოდ—ჰაბტურ არესა და ცოტაოდენი—კუნთურ არეში. ეს გარემოება შედარებით ნაკლები აგზნებადობისა და სიძლიერის სუქცესიურ პირობებში კუნთურის გზით ფიქსირებული განწყობის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, მის მაღალ აღგზნებადობასა და სიძლიერეზე მიუთითებს. სიმულტანურ პირობებში ასეთი რამ თითქმის არ გვხვდება. რაც აგრეთვე ამ შემოსვენებაში, საერთოდ სუქცესიურ პირობებთან შედარებით, განწყობის შედარებით მაღალ აგზნებადობასა და სიძლიერეზე მიუთითებს.

ცდის პირთა დიდ უმრავლესობას (75—80%-მდე) ორივე პირობებში უტოლობის განწყობა 50 კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგ აღეკვეთებათ, მათ კი, რომელთაც შემდეგ ასეთი გაკყვება. როგორც წესი, მათი ძირითადი უმრავლესობა, მოცემულ მომენტში, განწყობას თავს ვერ აღწევს და „უსასრულოდ“ ილუზიებს ადასტურებს. აქედან ის მეთოდური დასკვნა გამოდის, რომ საერთოდ განწყობის აღკვეთის კრიტერიუმად 50—60 კრიტ. ექსპოზიცია შეიძლება მივიღოთ (სიმულტანურ

პირობებში სწორედ ასეთი პრაქტიკაა გავრცელებული, თუმცა იგი დასაბუთებული არ ყოფილა).

წ. 3. განწყობათა მონაცვლეობა ადექვატური აღქმის განწყობაზე გადასვლამდე

როგორც ცნობილია, უტოლობის მიმართებაზე ხელოვნურად ფიქსირებული განწყობა მისი მოქმედების ამ ხანგრძლივ პროცესში გამოვლენის არა ერთი, არამედ რამდენიმე შესაძლებლობით ხასიათდება. ეს გამოვლენანი ხშირად ცვლიან ურთიერთს ამ ხანგრძლივ მოქმედებაში, სანამ ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებულ მდგომარეობას დაუთმობდნენ ადგილს.

განწყობის მოქმედების ეს ცვლილება ფაზობრივ ხასიათს ატარებს და მეორე და მესამე ფაზაში იგი კონტრასტული, ასიმეტრიული და ადექვატური აღქმის განწყობის ხშირ ურთიერთმონაცვლეობაში ვლინდება. ეს ხშირი ურთიერთმონაცვლეობა განსაკუთრებით გამოვლინდა ჩვენს ცდებში. ვინაიდან, როგორც ვიცით, ჩვენ ადექვატური აღქმის განწყობაზე გადასვლის გაბატონებულ მდგომარეობად მხოლოდ იმ მომენტს ვთვლიდით, როცა ცდის პირი თანმიყოლებით 10 ადექვატურ აღქმას დაადასტურებდა.

საინტერესო იქნება ჩვენი მასალების საფუძველზე გავარკვიოთ, თუ როგორია განწყობათა მონაცვლეობა, სანამ იგი მკვეთრად ჩამოყალიბებულ ადექვატური აღქმის განწყობას დაუთმობდეს ადგილს.

№ 17 ცხრილში ცალკეული არეების მიხედვით მოცემულია განწყობის მთელ ხანგრძლივობაში მონაცვლეობის სუმარული მაჩვენებლები სიმულტანურსა და სუქცესიურ პირობებში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, უტოლობის მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა ორივე პირობებში და ყველა არეში საკმაოდ ხშირ მონაცვლეობას განიცდის და, ამრიგად, იგი არა მარტო ხანგრძლივს, არამედ მოქმედების საკმაოდ რთულსა და წინააღმდეგობით აღსავსე გზას გაივლის.

მონაცვლეობათა მაჩვენებლების შედარებიდან ჩანს, რომ

განწყობათა მონაცვლეობა 1929-ში

პირობები	არე	ც. პ. რ.	სულ მონაცვ.	საშუალო	მონაცვლეობის გარეშე	3 წერიანი	2 წერიანი (+ =), (- =), (- + -)			
							სულ	+		+
სუქცესიური	ოპტ.	100	1191	11,9	28	40	32	29	2	1
	ჰაპტ.	50	491	9,8	26	44	30	20	4	6
	კუნთ.	50	939	18,7	6	61	30	18	10	2
	სულ	200	2621	13,2	22	47	31	24	4,5	2,5
სიმულტანური	ოპტ.	40	659	16,5	20	37,5	42,5	42,5	—	—
	ჰაპტ.	25	167	6,7	16	16	68	6,3	—	—
	კუნთ.	40	365	9,1	20	40	40	37,5	—	2,5
	სულ	105	1189	11,3	19,0	33,3	47,6	46,7	—	0,9

საერთოდ სუქცესიურ პირობებში ფიქსირებულ განწყობას შედარებით მეტი მონაცვლეობა ახასიათებს (საშუალოდ—13.2). ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულს (საშუალოდ 11.3); ცალკე არეების შედარების მიხედვითაც. კუნთური და ჰაპტური არეები სუქცესიურ პირობებში აშკარად მეტი მონაცვლეობით ხასიათდებიან, ვიდრე სიმულტანურ პირობებში.

კუნთური არე—18,7 საშუალოთი—9,1 საშუალოსთან.

ჰაპტური არე 9,8 საშუალოთი—6.7 საშუალოსთან; რაც შეეხება ოპტიკურ არეს, აქ მეტის მონაცვლეობით იგი სიმულტანურ პირობებში ხასიათდება. საშუალოდ 16.5, ვიდრე სუქცესიურში — საშუალოდ 11,9. მართალია, ერთი არის ამ მეტმა მონაცვლეობამ სიმულტანური პირობების მონაცვლეობათა საერთო მაჩვენებლები სუქცესიური პირობებისას დაუახლოვა. მაგრამ ეს უკანასკნელი საერთოდ მაინც მეტი მონაცვლეობისა აღმოაჩინდა.

სუქცესიურ პირობებში შედარებით დაბალი მონაცვლეობა აღმოაჩნდა ჰაბტურ არეს—9,8 მეტი ოპტიკურს—11,9 და საკმაოდ მაღალი კი კუნთურ არეს—18,7. სიმულტანურ პირობებში უდაბლესი მონაცვლეობა აგრეთვე ჰაბტურ არეს აღმოაჩნდა—6,7. ხოლო საშუალო (ოპტიკურის ნაცვლად) კუნთურს—9,1. უმაღლესი მონაცვლეობა კი (კუნთურის ნაცვლად) ოპტიკურ არეს—16,5.

ამრიგად, ჰაბტური და კუნთური არეები როგორც ცალკეულ პირობებში, ისე სხვადასხვა პირობებში ურთიერთთან ერთნაირი კანონზომიერებით დამოკიდებულებაში არიან, ხოლო ოპტიკური არე, რატომღაც, გამონაკლისს წარმოადგენს ამ საერთო კანონზომიერებიდან.

ცხრილში წარმოდგენილია ამასთანავე „მონაცვლეობის გარეშენი“-ს რუბრიკა, სადაც მოცემულნი არიან ის ცდის პირები, რომელნიც თავიდანვე ადექვატურ აღქმაზე გადადიან მონაცვლეობის გარეშე ან, აგრეთვე მონაცვლეობის გარეშე. უშუალოდ კონტრასტული ილუზიების პირველი ფაზით ამთავრებენ განწყობის მოქმედებას. სუქცესიურ პირობებში ასეთები შედარებით მეტია. უმათერესად მასში წარმოდგენილნი არიან ისინი, რომლებიც თავიდანვე ადექვატური აღქმის განწყობაზე გადადიან (იხ. ცხრილი № 16); ხოლო სიმულტანურ პირობებში, გარდა ერთი ცდის პირისა (კუნთურ არედან 2,5%), ყველა ისეთია, რომელნიც პირველი კონტრასტული ილუზიების ფაზიდან უშუალოდ ადექვატური აღქმის განწყობაზე გადადიან. ამიტომ აქ აზრი არა აქვს მათს განხილვას ცალკე არგებისა და პირობების მიხედვით.

როგორც ვიცით, სიტუაციის ადექვატურ აღქმათა მონაცვლეობის სახით განწყობის ამ მონაცვლეობაში მისი გამოვლენის სამი შესაძლებლობა არსებობს: კონტრასტული, ასიმილაციური და კრიტიკული. ამრიგად არსებობს როგორც სამწევრიანი (ე. წ. ტრიფლექსური) ისე ორწევრიანი (ე. წ. ბიფლექსური) მონაცვლეობა. ეს უკანასკნელი სამი სახით შეიძლება გამოვლინდეს: 1. ადექვატურ აღქმათა და კონტრასტული ილუზიების მონაცვლეობა (+ =), 2. ასიმილაციური ილუზიებისა და ადექვატურ აღქმათა მონაცვლეობა (1 =) და 3. კონტრა-

სტული და ასიმილაციური ილუზიების მონაცვლეობა (+ =). № 17 ცხრილში წარმოდგენილია ასეთ შესაძლებელ მონაცვლეობათა გავრცელებულობის სურათი.

ცხრილიდან ჩანს, რომ სუქცესიურ პირობებში მეტნაკლები რაოდენობით მონაცვლეობის ყველა შესაძლო გამოვლენის სახეობებია წარმოდგენილი სამივე არეში. აქ უფრო ჭარბად წარმოდგენილია სამწევრიანი მონაცვლეობის (+ — =) სახე — 47%. ორწევრიანი მონაცვლეობა კი ნაკლებად — 31%⁰; სიმულტანურ პირობებში კი, პირიქით. ორწევრიანი მონაცვლეობის სახეა შედარებით ჭარბად წარმოდგენილი — 47,6%, ხოლო სამწევრიანი ნაკლებად — 33,3%. ანალოგიური შეფარდებაა ორივე შემთხვევაში ყველა ცალკეული არის მიხედვით. სიმულტანურ პირობებში მხოლოდ კუნთური არის მონაცემებია თანაბარი. მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ აქ კანონზომიერებიდან მისი გამონაკლისობას რომ მიექცეს ყურადღება. სამწევრიანი მონაცვლეობის სიჭარბესთან მაინც არა გვაქვს საქმე.

სუქცესიურ პირობებში როგორც საერთოდ, ასევე ერთსახოვან არეთა სამწევრიანი მონაცვლეობის მონაცემები ცალკე ჭარბობენ სიმულტანური პირობების როგორც საერთო, ისე ცალ-ცალკე არეების მონაცემებს; ორწევრიანი მონაცვლეობის მონაცემები კი როგორც საერთო, ისე ცალკე არეების მიხედვით ნაკლებია.

ამასთან დაკავშირებით განწყობის სახეცვლილების მეტნაკლებობის მიხედვით განწყობის დინამიკურობის ხარისხზე რომ გვემსჯელა, მაშინ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა მეტი დინამიკურობით (3 ნაირსახეობაში უფრო ჭარბად მონაცვლეობის გამო) უნდა დაგვესახიათებინა, ვიდრე სიმულტანურ პირობებში შექმნილი ფიქსირებული განწყობა.

როგორც შემდეგ დავინახავთ, ანალოგიური მონაცემებით ეს ასეც არის; მაგრამ ვინაიდან განწყობის დინამიკურობისა და სტატიკურობის ცნება ფაზათა ურთიერთშეცვლის მდგომარეობის დახასიათებისათვისაა დადგენილი, ამიტომ ჩვენ ასეთ შემთხვევაში და აგრეთვე საერთოდ მონაცვლეობისა და ხანგრძლივობის ურთიერთშეფარდების დახასია-

თებისას, შინაფაზური დინამიკურობისათვის სტატისტიკური ცნების გამოყენებას ვფიქრობთ. ეს ცნება, ჩვენი აზრით, მოვლენის არსსაც გამოხატავს, ვინაიდან მონაცვლეობის ეს სახეობანი (მათი რაოდენობა საერთოდ) ხანგრძლივობასთან შეფარდებით სწორედ ცალკეულ ფაზათა შიგნით ხდება (II—III ფაზა) და ამიტომ შინაფაზური დინამიკურობის ცნებით მისი დახასიათება სწორედ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ნიშნების მიხედვით (სამწვევრიანი მონაცვლეობის სიჭარბე) სუქცესიურ პირობებში განწყობა მეტი შინაფაზური დინამიკურობით ხასიათდება, ვიდრე სიმულტანურ პირობებში.

ორწვევრიანი მონაცვლეობის შესაძლებლობით სუქცესიურ პირობებში სამივე სახეობაა წარმოდგენილი ყველა არეში, მაგრამ საერთოდ აშკარად დომინანტობს $+$ = მონაცვლეობის სახეობა — 24%, — = მონაცვლეობის სახეობა მცირეა — 4.5% და $+$ — მონაცვლეობის სახეობა კი სულ მცირე — 2.5%. დაახლოებით ანალოგიური შეფარდებაა ცალკე არეების მიხედვით. სიმულტანურ პირობებში კი სავესებით დომინანტურია $+$ = მონაცვლეობის სახეობა — 46,7%. დანარჩენი ორი სახეობა, როგორც ჩანს, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს — 0,9% (1 ცდის პირი — 2.5% კუნთური არიდან).

ამრიგად, ორწვევრიან მონაცვლეობათაგან, რომელიც საერთოდ ნაკლებად ახასიათებს განწყობას სუქცესიურ პირობებში, იგი მაინც ყველა სახეობებითაა აქ წარმოდგენილი; ხოლო სიმულტანურ პირობებში, სადაც განწყობას მონაცვლეობათა ორწვევრიანი სახეობა მეტად ახასიათებს, იგი სამი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთი სახეობითაა წარმოდგენილი.

საერთოდ ჩანს, რომ სუქცესიურ პირობებში განწყობათა შინაფაზური მონაცვლეობა მეტი ნაირსახეობით ხასიათდება (4 ნაირსახეობა), ვიდრე სიმულტანურ პირობებში (2 ნაირსახეობა). შესაძლებელია ეს გარემოება მისი მეტი შინაფაზური დინამიკურობიდან გამომდინარეობდეს.

შინაფაზურ დინამიკურობაზე ნათელი წარმოდგენისათ-

ვის აქ ეუროთავი ცხრილს (№ 18). სადაც მოცემულია განწყობის საერთო ხანგრძლივობისა და მონაცვლეობათა შეფარდების ინდექსი (ხანგრძლივობის მაჩვენებლების მონაცვლეობათა მაჩვენებლებზე გაყოფით) და 3-წევრიანისა და 2-წევრიანი მონაცვლეობის გავრცელებულობა.

ხანგრძლივობისა და მონაცვლეობის შეფარდებათა ინდექსის სიდიდე-სიპატარავე განწყობის მეტ თუ ნაკლებ შინაფაზურ დინამიკურობაზე უნდა მიუთითებდეს; კერძოდ, რამდენად მცირეა ინდექსი, მით უფრო მეტი შინაფაზური დინამიკურობა უნდა ახასიათებდეს განწყობას. ვინაიდან გარკვეულ ხანგრძლივობაში მონაცვლეობის სიდიდე ამცირებს ინდექსს და, ამრიგად, მის მეტ შინაფაზურ დინამიკურობაზე ლაპარაკობს, ხოლო პირიქით შემთხვევაში ინდექსის სიდიდე ნაკლებ შინაფაზურ დინამიკურობაზე მიუთითებს.

როგორც აღინიშნა. სამწევრიანი მონაცვლეობის სიდიდე და ორწევრიანის სიმცირე განწყობის მეტ შინაფაზურ დინამიკურობისა და ნაკლები შინაფაზური სტატიკურობის (სიმყარის) მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს და ამ ორი მომენტის ერთობლიობის საფუძველზე სხვადასხვა პირობებსა და არეებში განწყობის მეტ თუ ნაკლებ შინაფაზურ დინამიკურობასა და სტატიკურობის ხარისხზე შეიძლება ვიმსჯელოთ.

როგორც № 18 ცხრილიდან ჩანს, განწყობა სუქცესიურ პირობებში ამ მხრივ მეტი შინაფაზური დინამიკურობით და ნაკლები შინაფაზური სტატიკურობით ხასიათდება. ხანგრძლივობისა და მონაცვლეობის ინდექსი—2,5, სამწევრიანი მონაცვლეობა—47%, ორწევრიანი—31%, სხვაობა—16% (მეტი).

სიმულტანურ პირობებში კი განწყობა ნაკლები შინაფაზური დინამიკურობით ხასიათდება—ინდექსი 2,9, მონაცვლეობა: სამწევრიანი—33,3% ორწევრიანი—47,6%, სხვაობა—14,3 (ნაკლები). სუქცესიურ პირობებში სხვადასხვა არეებში ხანგრძლივობისა და მონაცვლეობის ინდექსები თითქმის თანაბარია (ობტიკურ არეში—2,5; ჰაპტურ არეში—2,2 და კუნთურში იგივე 2,2). მაგრამ შესამჩნევი სხვაობა მაინც ჩანს ობტი-

განწყობის საერთო ხანგრძლივობა და მონაცვლეობათა ინდექსები და მონაცვლეობათა სახეები (% „ში“)

პირობები	არე	საერთოდ		ხანგრძლ. და მონაცვლეობ. ინდექსი	მონაცვლ. ს. სეზბა	
		ხანგრძლ.	მონაცვლ.		3-წევრიანი	2-წევრიანი
სუქცესიური	ოპტ.	2951	1191	2.5	40	32
	ჰაპტ.	1054	491	2,2	44	30
	კუბი.	2054	939	2,2	04	30
	სულ . .	6062	1109	2.5	47	31
სიმულტანური	ოპტ.	1564	629	2.4	37,5	42,5
	ჰაპტ.	622	167	4.0	16	68
	კუბი.	1.72	363	3.2	40	41
	სულ . .	3399	1.09	2.9	33,3	47,5

კურ არესა და დანარჩენ ორ არეს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები ცდის პირთა საკმაო რაოდენობისა და შემთხვევათა დიდი რაოდენობის მიხედვითაა მოპოვებული, ცალკეულ არეთა შორის შინაფაზური დინამიკურობის სხვაობაზე აქ ვერ დავასკვნიდიტ, მაგრამ არც ის შეიძლება დავუშვათ, რომ სხვადასხვა არეში ფიქსირებულ განწყობას ამ მხრივ თითქოს ერთნაირი ხარისხი ახასიათებდეს. ეს რომ ასეა, მეორე გარემოებიდან ჩანს: კერძოდ, სხვადასხვა არეში სამწევრიანი და ორწევრიანი მონაცვლეობის გავრცელებულობის აშკარა სხვაობიდან.

ამის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ სუქცესიური პირობებში კუნთურის გზით ფიქსირებული განწყობა ნაკლები შინაფაზური სტატიკურობით და ყველაზე მეტი შინაფაზური დინამიკურობით ხასიათდება; სამწევრიანი მონაცვლეობა=64%, ორწევრიანი=30%; სხვაობა=34% (მეტე). შემდეგ ჰაპტური არე—საშუალო შინაფაზური დინამიკურობითა და სტატიკურობით — სამწევრიანი მონაცვლეობა --44%, ორწევრიანი

—30%, სხვაობა=14% (მეტი), დაბოლოს, ყველა არესთან შედარებით ნაკლები შინაფაზური დინამიკურობითა და მეტის სტატიკურობით ოპტიკური არე ხასიათდება; მონაცვლეობაა: სამწვერიანი = 40%, ორნახევრიანი = 32%, სხვაობა = 8% (მეტი).

ამავე ცხრილიდან იხილ ჩანს, რომ ხანგრძლივობისა და მონაცვლეობის ინდექსები სუქცესიურ პირობებში საერთოდ ნაკლებია. ვიდრე სიმულტანურ პირობებში, ხოლო სამწვერიანი მონაცვლეობის პროცენტული მაჩვენებლები კი ყველა არეში ცალ-ცალკე მეტია. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც საზოგადოდ, ისე ყველა ცალკეული არის მიხედვით სუქცესიურ პირობებში ფიქსირებული განწყობა საერთოდ მეტი შინაფაზური დინამიკურობით და ნაკლები სტატიკურობით ხასიათდება, ვიდრე სიმულტანურ პირობებში ხაზი უნდა გაესვას იმ ვარაუდებს. რომ ოპტიკური არის ხანგრძლივობისა და მონაცვლეობის ინდექსი სუქცესიურ პირობებში თითქმის თანაბარია სიმულტანურის ოპტიკური არის ინდექსთან ($2,48 = 2,37$). მაგრამ სამწვერიანი მონაცვლეობის მეტი მაჩვენებლები ($40\% = 37,5\%$) და ორწვერიანი მონაცვლეობის ნაკლები მაჩვენებლები ($32\% = 42,5\%$ -თან) იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქაც მეტი შინაფაზური დინამიკურობასთან უნდა გვქონდეს საქმე სუქცესიურ პირობებში, ვიდრე სიმულტანურში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში შინაფაზური დინამიკურობის ისე აშკარა უპირატესობასთან არა გვაქვს საქმე, როგორც დანარჩენ ორ-ვაკტურსა და კუნთურ არეებში, მაგრამ ორ უკანასკნელ არეში სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის აშკარად გამოკვეთილი შინაფაზური დინამიკურობის მეტი მაჩვენებლები ამ შემთხვევაში ოპტიკური არისთვისაც მეტი დინამიკურობის დამახასია-

თეზელ კანონზომიერებაზე უნდა მიუთითებდეს.

აქედან გამომდინარე, სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისათვის როგორც საერთოდ, ისე კანონზომიერად ყველა ცალკე არისათვის დამახასიათებელია ნაკლება შინაფაზური დინამიკურობა და მეტი შინაფაზური სტატიკურობა. აქაც კანონზომიერება ისეთია, რომ არეთა შორისაც ამ მხრივ საკმაოდ განსხვავებულობასთან გვაქვს საქმე. სპეციფიკური ისაა, რომ თუ სუქციესიურ პირობებში დინამიკურობის სხვაობა არეთა შორის არც ისე გამოკვეთილია. აქ ცალკეული არე ამ ნიშნის საკმაოდ განსხვავებულსა და გამოკვეთილ მაჩვენებლებს იძლევა.

კერძოდ, ყველაზე მეტი შინაფაზური დინამიკურობითა და ნაკლები სტატიკურობით ოპტიკური არე ხასიათდება: ხანგრძლივობისა და მონაცვლეობის ინდექსი 2,4, ხოლო სამწვევრიანი და ორწვევრიანი მონაცვლეობა თანაბარია კუნთურ არესთან შედარებით. შემდეგ, საშუალო შინაფაზური დინამიკურობა და სტატიკურობა კუნთურ არეს ახასიათებს: ხანგრძლივობისა და მონაცვლეობის ინდექსი—3,2, ხოლო შედარებით ნაკლები შინაფაზური დინამიკურობა და მეტი სტატიკურობა პაპტური არისთვისაა დამახასიათებელი: ხანგრძლივობისა და მონაცვლეობის ინდექსი—4,0. სამწვევრიანი მონაცვლეობა იწვევს—16%. ორწვევრიანი მონაცვლეობის მაჩვენებლები კი საკმაოდ დიდი—62%.

დასასრულ, ერთ გარემოებასაც უნდა გასვას ხაზი. როგორც № 17 ცხრილიდან ჩანს, სუქციესიურ პირობებში უშთავრესად და საერთოდ სამწვევრიანი მონაცვლეობა ჭარბობს. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ განწყობის სისუსტის მაჩვენებელი—ასიმინილატური ილუზია-ნარევი მონაცვლეობით ჭარბადაა წარმოდგენილი, ვიდრე სიმულტანურ პირობებში. ამასთანავე აქ ორწვევრიან მონაცვლეობათა სახეები ცოტა, მაგრამ მაინც საკმაოდ გვხვდება. აგრეთვე ასიმინილაციური ილუზია-ნარევი მონაცვ-

ვლები (---= და + — სამივე არეში). სიმულტანურ პირობებში კი ასეთი რამ სულ არ ვხვდებთ: იქ რომ საერთოდ ორწევრიანი მონაცვლეობის სახეობაა წარმოდგენილი ჰარბად, ასეთი მხოლოდ კონტრასტული ილუზიებისა და ადექვატური აღქმის მონაცვლეობის სახით გვხვდება (+ =). აქედან შეიძლება ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ სუქცესიურ პირობებში ფიქსირებულ განწყობას საკმაოდ დიდი ხანგრძლივობა და მონაცვლეობა ახასიათებს სიმულტანურთან ერთად, მაგრამ იგი მაინც შედარებითი სისუსტით ხასიათდება (ასინილატური ილუზიების მონაცვლეობის სახეობათა სიჭარბით).

მეორეც ის, რომ მისი მეტი შინაფაზური დინამიკურობაც ამ ასინილატური ილუზიების სიჭარბითაა გამოწვეული (ეს უთუოდ ზრდის სამწევრიან მონაცვლეობასა და საერთოდ მონაცვლებას) და, ამრიგად, ეს შედარებითი მაღალი შინაფაზური დინამიკურობა სუქცესიურ პირობებში მისი სისუსტით გამოწვეულ დინამიკურობად შეიძლება ჩაითვალოს.

განწყობის მონაცვლეობაზე სრული წარმოდგენის მისაღებად შრომას თან ერთვის ამ მონაცვლეობის გავრცელებულობის განრიგი (იხ. ცხრილი № 19), სადაც წარმოდგენილია ვარიანტთა ცალკე კლასები (10 კლასი) ხუთეულების მიხედვით, აგრეთვე მონაცვლეობის გავრცელებულობა ერთი შემთხვევიდან 50 მონაცვლეობის ჩათვლით და ცალკე 50-ზე მეტი მონაცვლეობის შემთხვევები ერთობლივად.

წარმოდგენილი ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ განწყობის მონაცვლეობაც საერთოდ საკმაოდ ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება. მაგრამ ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ სუქცესიურ პირობებში ვარიანტების მეტი გაფანტულობაა მოცემული, ვიდრე სიმულტანურ პირობებში. ამ შემთხვევაში საზოგადოდ და ყველა არის ვარიანტთა სიხშირის საერთო მაჩვენებლები სუქცესიურ პირობებში მეტია ცალ-ცალკე, ვიდრე სიმულტანურ პირობებში. მაგრამ თუ აქაც ცდის პირთა რაოდენობისა და მონაცვლეობის ვარიანტთა სიხშირის

განყოფილება მონაცემების კარიბიული განრიგი

სტატისტიკური მონაცემი	გარიბიული კლასები სუბსტო მონაცემების მიხედვით									
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
0	1-5	6-10	11-15	16-20	21-25	26-30	31-35	36-40	41-45	46-50
სტატ.	100	34	11	7	8	1	3	—	5	1
პაპტ.	50	46	10	8	8	2	—	—	2	—
კუნი.	50	24	22	10	8	4	1	2	2	4
სულ.	200	34,5	13,5	8	8	3	3,5	0,5	3,5	1,5
სტატ.	40	19	2,1	—	7,5	2,5	7,5	10	2,5	—
პაპტ.	25	72	12	—	—	—	—	—	4	—
კუნი.	40	19	2,1	2,5	2,5	5	—	2,5	5	—
სულ.	105	30	3,5	0,9	3,8	2,3	2,3	4,8	3,8	—

შეფარდებით ინდექსს გამოვიანგარიშებთ (ინდექსის სიმცირე აქაც ვარიაციულობის მაღალ დონეს ნიშნავს), მაშინ სუქცესიური პირობები შედარებით დაბალი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება (ინდექსი—4, 1), ვიდრე სიმულტანური პირობები (ინდექსი—3, 5). არეების მიხედვით სუქცესიურ პირობებში შედარებით მეტი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით კუნთური არე ხასიათდება (ინდექსი—1, 6), საშუალოთი—ჰაპტური არე (ინდექსი—2, 3) და შედარებით ნაკლებით ოპტიკური არე (ინდექსი—2, 9).

სიმულტანურ პირობებში კი შედარებით მეტი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით კუნთური და ოპტიკური არე ხასიათდება ერთნაირი ინდექსით (—2, 1), ხოლო შედარებით ნაკლებით—ჰაპტური არე (ინდექსი—3, 6).

ცხრილიდან ისიც აშკარად ჩანს, რომ სუქცესიურ პირობებში მონაცვლეობათა მაღალი დონის კლასების (IX—X) მაჩვენებლები შედარებით მეტია საერთოდ, ვიდრე სიმულტანური პირობების ამავე მაღალი მონაცვლეობის ვარიანტთა კლასების მაჩვენებლები. ამასთანავე, პირველი ორი მცირე მონაცვლეობის ვარიანტთა კლასების მაჩვენებლები შედარებით მცირეა, ვიდრე სიმულტანურ პირობებში. დანარჩენი შემთხვევების დიდი რაოდენობა სუქცესიურ პირობებში გაფანტულია შუალედ ვარიანტთა კლასებში მეტი რაოდენობით, ვიდრე სიმულტანურს პირობებში. ამ მხრივ, როგორც ცხრილიდან ჩანს, არეთა შორისაც საკმაო განსხვავებულობა დასტურდება. მაგრამ ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით და მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს, რაც ცხრილიდან ძირითადი კანონზომიერების სახით გამომდინარეობს.

განწყობის მონაცვლეობა ინტერინდივიდუალურად საკმაოდ ვარიაციულია ორივე შემთხვევაში. სუქცესიურ პირობებში იგი ნაკლები ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება, ვიდრე სიმულტანურში. ორივე შემთხვევაში მონაცვლეობის გავრცელებულობა მეტია პირველ და მეორე ვარიანტთა კლასებში, ვიდრე შემდეგ საშუალო მონაცვლეობის კლასებში. მაგრამ სუქცესიურ პირობებში ასეთი (I—II კლასი) ნაკლებია საერთოდ, ვიდრე სიმულტანურ პირობებში.

მაღალი მონაცვლეობის მაჩვენებლები კი, პირიქით. სუქცესიურ პირობებში მეტია, ვიდრე სიმულტანურში. ყველა აღნიშნული მომენტი აგრეთვე უნდა მიუთითებდეს სუქცესიურ პირობებში ფიქსირებული განწყობის მეტ შინაფაზურ დინამიკურობაზე.

ორივე პირობებში და ყველა არეში არსებობს მონაცვლეობის მიხედვით ცდის პირთა დიფერენციაციის საკმაოდ დიდი შესაძლებლობა.

ფიქსირებული განწყობის აღკვეთის პროცესი

§ 1. ფაზების თანმიყოლების საკითხი უტოლობის განწყობიდან ტოლობის განწყობაზე გადასვლისას

ბ. ხაჭაპურიძემ ფიქსირებული განწყობის აღკვეთის პროცესის შესწავლისას სიმულტანური მიმართების ცდებში პირველმა დაადგინა, რომ უტოლობის მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა, სანამ იგი ტოლობის მიმართების აღქვატური აღქმის განწყობას დაუთმობდეს ადგილს, საკმაოდ რთულ გზას გაივლის და ფაზურ ხასიათს ატარებს¹. იგი ორ ფაზას შეიცავს: პირველს—თანმიყოლებითი კონტრასტული ილუზიების დადასტურების ფაზასა და მეორეს,—სადაც კონტრასტული ილუზიების გვერდით აღქვატური აღქმის ტენდენციაც იჩენს თავს და, ზოგ შემთხვევაში, ასიმულატური ილუზიებიც. ერთი სიტყვით, მეორე ფაზაში აღქვატური და არააღქვატური აღქმის ტენდენციის მონაცვლეობის ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე. არააღქვატური აღქმის ტენდენცია თანდათან ადგილს უთმობს აღქვატური აღქმის ტენდენციას, დაბოლოს, ცდის პირი გადადის მესამე ფაზაში ტოლობის დადასტურების—აღქვატური აღქმის განწყობის—ფაზაში, რის შემდეგ განწყობა აღკვეთილად ითვლება მოცემული მომენტისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბ. ხაჭაპურიძე მეორე ფაზის გამოვლენაში—აღქვატურისა და არააღქვატური აღქმის მონაცვლეობაში—ტიპიურად და არსებითად თვლის იმ საფეხურს,

¹ ბ. ხაჭაპურიძე, განწყობათა ურთიერთ შეცვლის ფაზური ხასიათი. „მასალები“, ტ. 1, გვ. 101—102—103.

როცა კონტრასტული ილუზიების გვერდით ადექვატური აღქმის ტენდენცია იჩენს თავს! ამ გამოკვლევის მიხედვით ისეთი ცდის პირებიც გვხვდება, რომელთაც მეორე ფაზაში ასიმილაციური და კონტრასტული ილუზიების მონაცვლეობა ან კიდევ კონტრასტული, ასიმილაციური ილუზიებისა და ადექვატური აღქმის ტენდენციის მონაცვლეობა (სამწვევრიანი რსების ტიპები) ახასიათებთ.

ბ. ზაქაპურიძის აღნიშნული გამოკვლევის შემდეგ გახწყობის მოქმედების ფაზური ხასიათი მრავალი მკვლევარის მიერ იქნა დადასტურებული სხვადასხვა პირობებისა და ცდების განსხვავებულ ვარიანტებში (ზ. ხოჯავა—აბსტრაქტულ მიმართებაზე, რ. ნათაძე — წარმოდგენით ფიქსირებულ განწყობაზე, ი. ბეალავა — პათოლოგიურ მასალაზე; ვლ. ნორაკიძის, ნ. ელიავას, აკ. ავალიშვილის, ქ. მდივნის და ნ. ადამაშვილის გამოკვლევებში).

დ. უზნაძე, ამ გამოკვლევებზე დაყრდნობით. იმ დასკვნაძღე მივიდა, რომ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული უტოლობის განწყობის მოქმედება სამ ძირითად ფაზას გაივლის. სანამ იგი ტოლობის მიმართების ადექვატური აღქმის ფაზაზე (IV ფაზაზე) გადავიდოდეს.

„1. კონტრასტული ილუზიების ფაზა.

2. ასიმილაციური ილუზიების მონაწილეობის ფაზა.

3. ტოლობის მონაწილეობის ფაზა“².

ამავე აზრს იმეორებს იგი თავის უკანასკნელ გამოკვლევაში განწყობის მოქმედების ფაზების შესახებ და იქაც მიუთითებს იმაზე, რომ, „რა თქმა უნდა, თეორიულად განწყობის რეგრესიული მსვლელობის ფაზათა გაცილებით მეტი რიცხვის დაშვება შეგვეძლო, მაგრამ ფაქტიურად, ჩვეულებრივ ჩვენ ამ სამი ფაზის გამოვლენის მოწმენი ვართ“³.

ჩვენც ამ შემთხვევაში, ჩვენი მასალების მიხედვით. ფაქტიური მდგომარეობის არსი გვაინტერესებს, განსაკუთრებით

¹ იხ. „მასალები“, ტიპური სქემა. გვ. 101.

² დ. უზნაძე, „ზოგადი ფსიქოლოგია“, თბილისი. 1940. გვ. 84.

³ დ. უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“. გვ. 59—60.

კი პირველი კონტრასტული ილუზიების მომდევნო-- მეორე ფაზის რაგვარობის საკითხი.

დ. უზნაძის აზრით, თანმიყოლებითი კონტრასტული ილუზიების I ფაზის მომყოლ ფაზაში-- „ასიმულატური ილუზიების მონაწილეობის ფაზა“-ში ასიმულატური ილუზიები მონაწილეობენ მხოლოდ კონტრასტულ ილუზიებთან, ადექვატური აღქმის მონაწილეობას კი ამ ფაზაში ადგილი არ აქვს: ამავე ფაზაში ასიმულატური ილუზიები თანდათან გაბატონდებიან, დაბოლოს, მესამე ფაზაში ასიმულატური ილუზიების გვერდით გაჩნდება ადექვატური აღქმის ტენდენცია, უკანასკნელის თანდათან გაბატონებით ასიმულატური ილუზიები ქრებიან და გზას უთმობენ კრიტიკული სიტუაციის (ტოლობის სიტუაციის) ადექვატური აღქმის ტენდენციას, უტოლობის განწყობა აღკვეთილია მოცემული მომენტისათვის (IV ფაზა).

რა მდგომარეობაა ჩვენი მასალების მიხედვით?

ჩვენი მასალების გულდასმითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფაქტიურად ფაზების სხვაგვარ თანმიმდევრობასთან უნდა გვექონდეს საქმე როგორც სუბიექსიურ მიმართებაზე, ისე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედებაში.

ამ შემთხვევაში მეორე ფაზისათვის (ტიპიურად გავრცელებული) არსებითი ნიშანი ისაა, რომ კონტრასტული ილუზიების გვერდით გზადაგზა ადექვატური აღქმის ტენდენცია იჩენს თავს. თანდათან ეს ტენდენცია მატულობს და, ბოლოს, იწყება მესამე ფაზა, სადაც კონტრასტული ილუზიისა და ადექვატური აღქმის ტენდენციის გვერდით ასიმულატური ილუზიებიც ჩნდება (ზოგ შემთხვევაში ასიმულატური ილუზიები მატულობს, მაგრამ სრულ გაბატონებაზე იგი იშვიათად გადადის). დაბოლოს, უშუალოდ ადექვატური აღქმის ტენდენცია დადგინდება, უტოლობის განწყობა აღიკვეთება (IV ფაზა). ამრიგად, ჩვენი მასალების მიხედვით მეორე ფაზაში კონტრასტული ილუზიების გვერდით ასიმულაციურის ნაცვლად

1 ფაზის მომდევნო ფაზების რაგვარობა რ. ი.

ა რ ე	კ	დ	ე	ფ	ქ	ღ	ყ	+ = ნარევი ფაზა (II)		+ - = ნარევი (III) ფაზა						აქედან სულ	აქედან სულ	AI რეგულაციის	AI რეგულაციის				
								დენდრეცხვა	დენდრეცხვა	მოკვება 1 ფაზის ნაირსახეობით		იწყება თაქვლანე ნაირსახეობით		მდე	მდე					მდე	მდე	მდე	მდე
										+ =	- =	+ =	- =										
								კვანძები	კვანძები	კვანძები	კვანძები	კვანძები	კვანძები	კვანძები	კვანძები					კვანძები	კვანძები	კვანძები	კვანძები
ობტ.	100	18	29	47	4	4	1	9	13	6	1	20	29	2	3	21							
კაბტ.	50	14	22	36	6	4	12	22	8	6	8	22	44	20	4	16							
კუნთ.	50	22	20	42	10	6	4	20	14	14	2	30	50	6	6	2							
სულ.	200	18	25	43	6	4,5	4,5	15	12	8	3	23	38	7,5	4	15							
ობტ.	40	50	12,5	62,5	10	—	5	15	2,5	—	—	2,5	17,5	5	20	—							
კაბტ.	25	60	—	60	4	8	—	12	4	—	—	4	16	—	24	—							
კუნთ.	40	35	5	40	10	10	10	30	2,5	—	5	7,5	37,5	15	20	2,5							
სულ	105	46,6	6,7	53,3	8,6	5,7	5,7	20	2,8	—	1,9	4,8	24,8	7,6	20,9	0,9							

ადექვატური აღქმის ტენდენცია იჩენს თავს (+ = ნარევი ფაზა).

ბ. ხაჭაპურიძის აღნიშნულ გამოკვლევაში არ არის დასმული საკითხი + = ნარევი ფაზის, + — ნარევი ფაზის თუ სხვათა ურთიერთისგან ზუსტი დიფერენცირების შესახებ, ვინაიდან იგი თანმიყოლებითი კონტრასტული ილუზიების შეწყვეტის შემდეგ ყოველგვარ გამოვლინებას მეორე ფაზის ნაირსახეობად თვლის.

აწლა ვნახთა ჩვენი მასალები. როგორც № 20 ცხრილიდან ჩანს, სუბკვსიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში 1 თანმიყოლებითი კონტრასტული ილუზიების ფაზის უშუალოდ მოსდევს (ან თავიდანვე ჩნდება) ისეთი ფაზა, როცა კონტრასტულ ილუზიებთან გზადაგზა ადექვატური აღქმა გამოერევა (+ =). ეს ახასიათებს ცდის პირთა 43%-ს.

ისეთი ფაზა კი, როცა I ფაზის შემდეგ ან თავიდანვე კონტრასტული ილუზიების გვირგვინით მარტოოდენ ასიმულაციური ილუზიები მონაცვლეობენ, ცდის პირთა მხოლოდ 7,5%-ს ახასიათებს (დაახლოებით 6-ჯერ ნაკლები).

თუ ვალკე არეების გზით ფიქსირებული განწყობის მონაცვლებს დავაკვირდებით, ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: აქ მაგალითად ოპტიკურ არეში + = ფაზა წარმოდგენილია 47%-ით, + — 2%-ით (23-ჯერ ნაკლები), პაპტურ არეში + = ფაზა წარმოდგენილია — 36%-ით, + — 20%-ით (2-ჯერ ნაკლები), კუნთურ არეში კი + = ფაზა წარმოდგენილია — 42%-ით, + — 5%-ით (7-ჯერ ნაკლები).

ცხრილში წარმოდგენილია დანარჩენი ვარიანტებიც: ასიმულაციური ილუზია ნარევი მოქმედების სამი ვარიანტიდან (+ =, — = და + — ვარიანტები). ამ შემთხვევაში სვენიანის მხოლოდ უკანასკნელ + — ნარევი ვარიანტს აქვს მნიშვნელობა. აღნიშნულიდან აშკარად ჩანს, რომ, ჩვენი მონაცემების მიხედვით, ცდის პირთა საკმაოდ დიდ უმრავლესობას თანმიყოლებითი კონტრასტული ილუზიების I ფაზის შემდეგ, ან თავიდანვე პირველი ფაზის გავლის გარეშე, — უფრო მეტად კონტრასტულ ილუზიებთან ადექვატური აღ-

ქმის ნარევი ფაზა (+ =) ახასიათებს, ვიდრე კონტრასტულ ილუზიებთან ასიმბლაციური ილუზიების ნარევი (+ —) ფაზა. ამიტომ უდავოდ უნდა მივიღოთ, რომ ამ შემთხვევაში წინამორბედ აღრეულ II ფაზად + = ნარევი ფაზა უნდა ჩაითვალოს და არა + — ნარევი ფაზა.

როგორც ამავე ცხრილიდან ჩანს, ფაზების ასეთი თანმი-
ყოლება არაა სპეციფიკური მხოლოდ სუქცესიურ მიმართე-
ბაზე ფიქსირებული განწყობისათვის (ეს რომ ასე ყოფილი-
ყო, ეს ფაქტი ძნელად გასაგები იქნებოდა), არამედ, პირი-
ქით, ფაზების ასეთი თანმიმდევრობა უფრო აშკარად და
გამოკვეთილად სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული
განწყობის შემთხვევაში ჩანს. ყველა არის სუპარული მაჩვე-
ნებლებით პირველ ფაზას უშუალოდ მოსდევს ან თავიდანვე
ადექვატური აღქმანარევი კონტრასტული ილუზიების (+ =)
ფაზა ჩნდება 53%-ით, ხოლო ასიმბლაციური ილუზიისა და
კონტრასტული ილუზიების ნარევი ფაზა (+ —) კი 7,6%-ით
დასტუროება (დაახლოებით 10-ჯერ ნაკლები). თუ აქაც ამ
მხრივ ცალკეულ არეთა მონაცემებს შევადარებთ, ეს კანონ-
ზომიერება უფრო გამოკვეთილად გამოჩნდება: ოპტიკურ
არეში პირველ ფაზას უშუალოდ მოსდევს ან თავიდანვე
+ = ნარევი ფაზა ჩნდება 62,5%-ით, + — ფაზა კი
5%-ით (13-ჯერ ნაკლები); ჰაპტურ არეში პირველი ვარიანტი
ახასიათებს ცდის პირთა 60%-ს, მეორე ვარიანტი კი სულ არ
გვხვდება; კუნთურ არეში კი პირველი ვარიანტი ახასიათებს
40%-ს, მეორე ვარიანტი კი 5%-ს (დაახლოებით 10-ჯერ ნაკ-
ლები).

პირველი ფაზის შემდეგ მომდევნო ან თავიდანვე მოქმედი
ასიმბლაციანარევი მოქმედების ისეთი ვარიანტები, როცა
კონტრასტულ ილუზიასთან ასიმბლაციური ილუზიები და
ადექვატური აღქმებიც მონაცვლეობენ ერთდროულად
(+ — =) და ისეთი, როცა მხოლოდ ასიმბლაციური ილუზი-
ებისა და ადექვატური აღქმების მონაცვლეობა ხდება (— =),
როგორც ცხრილიდან ჩანს. ესოდენ მცირე მაჩვენებლები
გვხვდება (+ = ნარევი ვარიანტთან შედარებით), რომ მისი

წინა (II) ფაზაში გადმოტანის საკითხის დაყენებაც კი უოვლად გაუმართლებელი იქნებოდა.

ჩვენი მასალები მიხედვით უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ თანმიყოლებითი კონტრასტული ილუზიების (I) ფაზას უშუალოდ მოჰყვება ან თავიდანვე იწყება უპირატესად განწყობის მოქმედების ისეთი ფაზა, როცა კონტრასტული ილუზიების გვერდით გზად აგზა ადექვატური ალქმის ტენდენცია მონაცვლეობს ($+ =$); ამიტომ აშკარაა, რომ ეს უკანასკნელი უნდა ჩაითვალოს პირველი ფაზის შემდეგ მომდევნო პირველ—წინამორბედ ფაზად (და მაშასადამე II ფაზად) და არა, პირიქით, $+ -$ ნარევი ფაზა, რომელიც იშვიათად გვხვდება პირველი ფაზის შემდეგ ან თავიდანვე განწყობის დასაწყისში.

როგორც აღვნიშნეთ, $+ -$ ნარევი ვარიანტი ძალზე დაბალი $\% \%$ მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი, როგორც პირველი ფაზის შემდეგ, ისე დასაწყისში. ასეთივე დაბალი $\% \%$ მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი $+ - =$ ნარევი და $- =$ ნარევი ვარიანტებიც. ამიტომ შესაძლებელია ეს ვარიანტები, ე. ი. საერთოდ ასიმულაციური ილუზია ნარევი განწყობის მოქმედების ყველა ვარიანტი (ნაირსახეობა) მომდევნო მესამე ფაზად ჩავთვალოთ და მას დავუმატოთ განწყობის მოქმედების ის ვარიანტი, როცა მეორე $+ =$ ნარევი ფაზას უშუალოდ მოჰყვება ასიმულაციური ილუზია ნარევი განწყობის მოქმედების ყველა ნაირსახეობა. ეს შესაძლებელი და აუცილებელიც არის იმიტომ, რომ უმრავლეს შემთხვევაში და ძირითადად ისეთი ფაზა, რომელშიც ასიმულაციური ილუზიები გამოერევა კონტრასტულ ან ადექვატურ ალქმასთან, ბოლო IV ფაზას (ადექვატური ალქმის სავსებით გაბატონებულ ფაზას) უსწრებს წინ და კონტრასტულ ილუზიასთან ნარევი ადექვატური ალქმას მოჰყვება.

ფაზების ასეთი დალაგების შემთხვევაში ცდის პირთა შემ-

დღე განაწილებას ვხვდებით: როგორც № 21 ცხრილიდან ჩანს, მეორე და მესამე ფაზა ყველა შემთხვევაში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი და გეგმაზომიერად არის განაწილებული. სუმარული მაჩვენებლებით, სუქცესიურ პირობებში, II ფაზიანები საერთოდ 43,5%-ითაა წარმოდგენილი, მესამე ფაზიანები კი მეტად 56,5%-ით. იგივე კანონზომიერებაა ცალკე არეების მონაცემთა შედარებისას.

აქედან ორივე — მეორე და მესამე ფაზის მქონე ცდის პირები, ერთდროულად მცირე, მაგრამ შესამჩნევი რაოდენობით გვხვდება — 15%. ცალკეულ არეებშიც დაახლოებით ასეთივე შეფარდებაა მოცემული.

მხოლოდ მეორე ფაზის გამომვლენი და მესამე ფაზის არმქონე ცდის პირები 28,5%-ია; პირიქით, ცდის პირები, რომელთაც მესამე ფაზა აქვთ მხოლოდ და მეორე კი არა, შედარებით მეტია. ამ შემთხვევაში — 38%. კუნთურსა და პაპტურ არეში კანონზომიერება ანალოგიურია, ოპტიკურ არეში კი მხოლოდ მეორე ფაზიანთა რაოდენობაა მეტი, მესამე ფაზიანებთან შედარებით (34% — 29^{0/0}-თან). ამ არის კანონზომიერებიდან გასვლა შეიძლება იმას მიეწეროს, რომ აქ ორი სერიის ცდების სუმარული მაჩვენებლებია წარმოდგენილი ეპიდიასკოპიურისა და ტაქისტოსკოპიურის გზით.

ცალკე ტაქისტოსკოპიური ცდების შედეგები (50 ც.პ.) ამავე წესით რომ დავაღაგოთ, მაშინ სამივე არეში ანალოგიური კანონზომიერება გვექნება. სახელდობრ: მესამე ფაზიანები ყველგან აშკარად ჭარბი იქნება მეორე ფაზიანთა რაოდენობაზე (ტაქისტოსკოპიური ცდებით 50% — 38%-თან). ასევე მხოლოდ მესამე ფაზიანთა რაოდენობა შესამჩნევად მეტია მხოლოდ მეორე ფაზიანთა რაოდენობასთან შედარებით (34% — 22%-თან). მაშასადამე, კანონზომიერება აქაც ანალოგიურია ამავე პირობების კუნთური და პაპტური არეებისა (იხ. ცხრილი № 21 ბ). ხოლო ამ შემთხვევაში ოპტიკური არის საერთო კანონზომიერებიდან გასვლის საკითხი შეიძლება მოხსნილად ჩაითვალოს.

იმავე № 21 ცხრილში წარმოდგენილი სიმულტანური მიმართების ცდებში შედარებით გამოკვეთილად და აშკა-

რად ჩანს ფაზების ასეთი დალაგების უპირატესობა. ამ შემთხვევაში მეორე ფაზიანთა რაოდენობა 54,3% უდრის, ხოლო მესამე ფაზიანთა რაოდენობა კი საკმაოდ ნაკლებს — 36,2%-ს. ცალ-ცალკე ოპტიკურსა და ჰაპტურ არეში კანონზომიერება ანალოგიურია, მხოლოდ კუნთურ არეში გამონაკლისის სახით მესამე ფაზიანთა რაოდენობა სჭარბობს ამ შემთხვევაში მეორე ფაზიანთა რაოდენობას. ერთდროულ-

ცხრილი № 21

მეორე და მესამე ფაზების განაწილება ფაზების ჩვენი განლაგების შემთხვევაში (% %)

პირობები	ს უ ქ ე ს ი უ რ ი				ს ი მ უ ლ ტ ა ნ უ რ ი			
	ობტ.	ჰაპტ.	კუნთ.	ს უ ლ	ობტ.	ჰაპტ.	კუნთ.	ს უ ლ
ა რ ე								
ც. პ. რ.	100	50	50	200	40	25	40	105
ფ ა ზ ე ბ ი								
II ფაზიანი	47	36	42	43,0	62,5	60	40	54,3
III ფაზიანი	49	54	74	56,5	37,5	12	50	36,2
აქედან								
II და III ფაზ. ერთად	13	12	24	15,0	20	4	12,5	13,5
მხ. II ფ-ნი	34	24	18	28,5	42,5	60	27,5	41,0
მხ. III ფ-ნი	29	44	50	38,0	17,5	12	37,5	23,8
არა აქვთ								
II და III ფაზა	24	20	8	18,5	20	24	22,5	21,9

ლად II და III ფაზა რომ ახასიათებთ, ასეთები აქაც მცირეა, მაგრამ საკმაოდ რაოდენობითაა წარმოდგენილი — 13,3%. ასევე მცირე, მაგრამ საკმაოდ რაოდენობითაა იგი წარმოდგენილი ცალკე არეებში (20—4—12,5%/ით). რაც შეეხება მხოლოდ მეორე და მხოლოდ მესამე ფაზიანთა რაოდენობას, აქ სუქცესიურ პირობებთან განსხვავებით მხოლოდ მეორე ფაზიანები სჭარბობს საერთოდ მხოლოდ მესამე ფაზიანთა რაოდენობას (41%—23,8%/თან). ოპტიკურსა და ჰაპტურ არეებში კანონზომიერება ანალოგიურია, კუნთურში კი გამონაკლისის სახით მხოლოდ მესამე ფაზიანთა რაოდენობა მეტი.

მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი. ეს ფაქტი (საერთო კანონ-ზომიერებიდან ამ შემთხვევაში კუნთური არის გასვლა), ჩვენი აზრით. შეიძლება იმით იყოს შეპირობებული, რომ კუნთური გზით შედარებისას (სიმძიმის შედარება) სიმულტანური შედარების კრიტიკულ ცდებში ცდის პირებს მეტი მერყეობის შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე ჰაპტურსა და ოპტიკური შედ-

ცხრილი № 21ბ

მეორე და მესამე ფაზიანთა განაწილება ოპტიკურ არეში ტაქისტოსკოპიური ცდების მიხედვით (სუქცესიურ პირობებში)

ც. რ.	II ფაზიანები		III ფაზიანები		აქედან ერთად II - III ფაზიანები		მხოლოდ II ფაზიანები		მხოლოდ III ფაზიანები		არა აქვთ II და III ფაზიანები	
	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
50	19	38	25	50	8	16	11	22	17	34	14	28

რების ცდებში და მერყეობის ეს მეტი შესაძლებლობა ზრდის სამწევრიან რხევას (+ — =), რაც წარმოდგენილია ჩვენი დალაგებით მესამე ფაზაში და რაც აღიღებს მხოლოდ მესამე ფაზიანთა რაოდენობას მხოლოდ მეორე ფაზიანთა რაოდენობასთან შედარებით. სამწევრიანი რხევა რომ მეტადაა წარმოდგენილი კუნთურ არეში, ვიდრე ჰაპტურსა და ოპტიკურში, ეს ჩანს № 20 ცხრილიდან.

ცხრილში კიდევ ერთი გარემოება იქცევის ყურადღებას. სახელდობრ ის, რომ როგორც საერთოდ ისე ცალკეულ არეებში სიმულტანურ პირობებში მესამე ფაზიანთა რაოდენობა შედარებით ნაკლებია (მხოლოდ მესამე და მხოლოდ მეორე ფაზიანთა შედარებისას). ვიდრე მეორე ფაზიანთა რაოდენობა. ჩვენი ცდებითაც აშკარად დასტურდება (აღრე ეს შემჩნეული იყო გრ. ხმალაძის მიერაც), რომ სუქცესიურ ნიშანობაზე ნაკლები აგზნებადობისა და ნაკლები სიმ-

ტვიცის განწყობა მუშავდება. აქედან გამომდის, რომ სიმულტანურ მიმართებაზე — იქ, სადაც განწყობა. მეტი აგზნებადობისა და სიმტკიცისაა, მეორე ფაზა (+ = ფაზა) უფრო კარბადაა წარმოდგენილი, ვირდე ნაკლებად მტკიცე და ჩამოყალიბებულ (სუქტესიური მიმართება) განწყობის შემთხვევაში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მტკიცე და გარკვეული განწყობის შემთხვევისათვის მეორე ფაზის (+ =) გავლა სპეციფიკურ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს და მისი გამოტოვება საქმის ნამდვილ ვითარებას ვერ გამოხატავს. + = ფაზა რომ ცალკე ფაზად არ მიგვეჩნია, ძალზე დიდი შემთხვევები განწყობის ნაირსახეობიდან ყურადღების გარეშე დაგვრჩებოდა.

თუ ასიმულაციური და კონტრასტული ილუზიანარევი შემთხვევებს მკორე ფაზად ჩავთვლიდით და შემდეგ კონტრასტული ილუზიების თანდათან გამორიცხვით ასიმულაციური ილუზიის გახშირებას და შემდეგ მასთან ადექვატური აღქმის მონაცვლეობის გახშირებისა და გაბატონების ფაზით IV ფაზაზე გადავიდოდით, + = შემთხვევებისათვის ფაზათა განრიგში ადგილი არ დაგვრჩებოდა. ეს არც ხდება, და ხომ არ შეიძლება ბოლო ფაზაში ასიმულაციური ილუზიების გაბატონების შემდეგ აღკვეთამდე მისულ განწყობაში ისევ კონტრასტული ილუზიებისა და ადექვატური აღქმის ნარევი ფაზა დაგვეშვა. ადექვატური აღქმისა და კონტრასტული ილუზიების ნარევი ფაზა, განწყობის მოქმედებაში უდავო ფაქტია და იგი ცალკე ფაზად უნდა ჩაითვალოს. ნორმალური ცდის პირების შემთხვევაში, ფაზათა თანმიმდევრობაში, მას ადგილი აქვს ფაქტიურად და უნდა მიეჩინოს ასეთი რამ კიდევ მასალის დამუშავებისას.

როგორც ჩვენი მასალებიდან ჩანს, მისი ადგილი მეორეა. ფაზათა სხვანაირი განლაგების შემთხვევაში, — რომ მეორე ფაზად + — ფაზა ჩაგვეთვალა — მეორე ფაზიანთა რაოდენობა იშვიათობა იქნებოდა საერთოდ III ფაზიანებთან შედარებით და განსაკუთრებით, ფაზათა ჩვენი დალაგების მიხედვით, II ფაზიანებთან შედარებით. სახელდობრ, სუქტესიურ მიმართებაზე მეორე ფაზიანები აღმოჩნდებოდა—7,5%,

სიმულტანურ მიმართებაზე კი — 7.6. რაც საქმის ნამდვილ ვითარებას ვერ გამოხატავდა. ვიმეორებთ. ასეთ შემთხვევაში $+ =$ ნარევი ფაზის უამრავი შემთხვევებისათვის პრინციპულად ადგილი არც დაგვრჩებოდა და ფაქტურად ფაზათარიგში მისი სადმე მოთაესება მოუხერხებელი იქნებოდა. ამიტომ, ალბათ. რომ ნორმალურ ცდის პირებზე ჩატარებულ ყველა სხვა გამოკვლევის მიხედვით მეორე ფაზიან ცდის პირების რაოდენობა იშვიათობას წარმოადგენს (4 ფაზიან კლასიფიკაციაში), გარდა ბ. ხაჭაპურიძის გამოკვლევისა (3 ფაზიანი კლასიფიკაციით).

ამ საკითხის უფრო ნათელსაყოფად მოვიტანოთ სქემების სახით ცალკეულ ცდის პირთა განწყობის მოქმედების ნიმუშები § № 1—2—3—4—5 --6 და № 7 სქემებს.

ს ქ ე მ ა № 1.

ც. პ. № 14/19 „კე. ქს“. ოპტიკური არე

სიმულტანური პირობები: $+14. = 2, +2. = 2, +2. = 1+i, = 3, +2, = 2. -1. +1, = 1, +2, = 1, -1. = 3. -1. +1, = 4, +2, -1, = 3, +1, = 2, -1, = 5. +1, = 5. +1, = 3, -1, +1, = 1, -1, = 2, +2, = 10.$

(I ფაზა—14 ექსპ., II ფაზა—17 ექსპ., III ფაზა—49 ექსპ.; საერთო ხანგრძლივობა—80 ექსპ.)

სუქცესიური პირობები: $+9, -1, +1, = 2, -1, = 10.$

(I ფაზა—9 ექსპ., II ფაზა—0. III ფაზა—5 ექსპ., საერთო ხანგრძლივობა -14 ექსპ.)

№1 სქემის ანალიზი რომ მოვახდინოთ. შემდეგ სურათს მივიღებთ: ცდის პირი სიმულტანურ პირობებში ავლენს შედარებით მეტი აღზნებადობისა და სიმტკიცის განწყობას. პირველი მტკიცე (+14) და ხანგრძლივი პირველფაზიანი მოქმედების შემდეგ განვლის ორივე—მეორე და მესამე—ფაზას. სანამ განწყობა საბოლოოდ აღიკვეთებოდეს. განწყობა ამ შემთხვევაში შედარებით დიდი ხანგრძლივობისაა (80—ექსპოზიცია). ცდის პირს აქვს საკმაო ხანგრძლივობის (17 ექსპოზიცია) მეორე ფაზიანი მოქმედება. სადაც თანმიმდევრობით $+ =$ ცვლის ურთიერთს, მაგრამ ტოლობის გაბატონე-

ბასთან ჯერ კიდევ არა გვაქვს საქმე და არც ასიმილაციური ილუზიები ჩანს. ამ ფაზაში საერთოდ ილუზია გვხვდება 7-ჯერ. = კი 10-ჯერ. უნდა გვეფიქრა, რომ განწყობა ალკვეთი-საკენ მიდის, მაგრამ იწყება მესამე ფაზა, ჩნდება განწყობის დასუსტების ახალი ნიშანი—ილუზია, სადაც + ილუზიები მაინც არ იკარგება და განწყობა ხელახლა განაგრძობს ხანგრძლივ მოქმედებას. ამ მესამე ფაზის ხანგრძლივობა სულ 49 კრიტიკულ ექსპოზიციას უდრის; მასში სამწვევრიან (+—=) რხევასთან გვაქვს საქმე განწყობის მთელი მოქმედების გასწვრივ და—ილუზიები ადექვატური ალქმის გამოვლენაში გზადაგზა კანონზომიერი თანმიყოლებით ჩაენაცვლებიან კონტრასტულ ილუზიებს. ასეთი რამ განწყობის მოქმედების მთელ მანძილზე 7-ჯერ მეორდება, მაგრამ არა თანმიყოლებით, არამედ წყვეტილად. აქ ილუზიები, ამ მესამე ფაზაშიც, საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი (12). ამასთანავე მათი რიცხვი კანონზომიერად იზრდება და აღწევს 30-ს. თუ მეორე ფაზაში თანმიყოლებით ორ ადექვატურ ალქმაზე მეტი არ გვხვდება. მესამე ფაზაში, პირიქით, მათი რიცხვი საგრძნობლად მეტია. აქ თანმიყოლებით ჯერ სამი ადექვატური ალქმა გამოჩნდება. შემდეგ მას მოჰყვება რხევა და ოთხი ადექვატური ალქმა, ისევ საკმაო რხევა და ორჯერადი თანმიყოლებითი ხუთი ადექვატური ალქმა. შემდეგ ისევ საკმაო ხნის სამწვევრიანი რხევა, დაბოლოს დგება ადექვატური ალქმის გაბატონების IV ფაზა. მეორე და მესამე ფაზიანთა შემთხვევაში განწყობის ასეთი მოქმედება ტიპიურად შეიძლება მივიჩნიათ ჩვენი მასალების მიხედვით.

ამავე ცდის პირს სუქცესიურ პირობებში უვითარდება ამ პირობებისათვის საკმაოდ ძლიერი, მაგრამ სიმულტანურ პირობებთან შედარებით დაბალი ალგზნებადობისა და ნაკლები სიმტკიცის განწყობა. იგი ავითარებს 1 ფაზიდან მოქმედებას თანმიყოლებით + 9 ილუზიით და უშუალოდ გადადის მესამე ფაზაზე, მისი მესამე ფაზაც მცირე ხანგრძლივობისაა (5 ექსპოზიციას), სადაც იგი სამწვევრიან რხევას იძლევა —1. +1, = 2.—1 ერთხელობრივად და თანმიყოლებით 10 ადექვატური ალქმის დადასტურებით გადადის მეოთხე ფაზაში.

ამ ცდის პირის შემთხვევაში გამოდის, რომ იქ, სადაც მას

შედარებით ძლიერი აღზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა უვითარდება, იგი მეორე (+ =) ფაზასაც განვლის, ხოლო სადაც სუსტი აზნებისა და სიმტკიცის განწყობა უვითარდება (და საერთოდ ვითარდება ასეთი), მეორე (+ =) ფაზის გარეშე აღწევს განწყობის აღკვეთას. როგორც დავინახავთ, ასეთი რამ, სიმულტანურთან შედარებით, მეტად ახასიათებს საერთოდ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას.

№ 2-სქემაში წარმოდგენილია ისეთი ცდის პირის ნიმუში, რომელსაც მხოლოდ მეორე ფაზა ახასიათებს და მესამე ფაზის გარეშე გადადის მეოთხე ფაზაზე. იგი, როგორც დავინახეთ, შედარებით ჭარბად გავრცელებულსა და ტიპურ ნიმუშა წარმოდგენს სიმულტანური პირობებისათვის სუქცესიურთან შედარებით.

ს ქ ე მ ა № 2

ც.პ. № 24/41 „-მიკ.ვახ“. პაპტური არე.

სიმულტანური პირობები: +18, =5. +1. =2. +2. =18.

(I ფაზა 18 ექსპ., II ფაზა —10ექსპ., III ფაზა —0; საერთო ხანგრძლივობა — 28 ექსპოზიცია).

სუქცესიური პირობები: +4, =2. +8. =1. +3. =10.

(I ფაზა—4 ექსპ., II ფაზა—14 ექსპ., III ფაზა—0; საერთო ხანგრძლივობა — 18 ექსპ.).

წარმოდგენილი ცდის პირი სიმულტანურ პირობებში ავითარებს ჩვეულებრივ და შედარებით მტკიცე I ფაზიან განწყობას (+18 ხანგრძლივობით), საერთო ხანგრძლივობა 28 ექსპოზიცია. შემდეგ განწყობა თითქოს ერთბაშად უნდა აღკვეთოს, ხუთი ადექვატური აღქმა, მაგრამ შემდეგ ისევ განწყობის სუსტი მოქმედება (ე.წ. „რეციდივი“) ორჯერ ზედიზედ კონტრასტული ილუზიები ადექვატურ აღქმასთან ერთად. მცირე (10 ექსპოზიცია) ხანგრძლივობის მეორე ფაზა და ერთბაშად მტკიცედ გაბატონებული (=18) ადექვატური აღქმის ტენდენცია, — IV ფაზა.

აქ ჩვენ გვაქვს აშკარად მტკიცე განწყობა-ასიმილაციური ილუზიანარევე მესამე ფაზის გარეშე.

სუქცესიურ პირობებში ამავე ცდის პირს უვითარდება იმავე ტიპის განწყობა, მხოლოდ შედარებით სუსტი პირველფაზ-

ანი მოქმედებით +4 (საერთოდ 18 ექსპოზიციის ხანგრძლივობათ); შემდეგ შედარებით დიდი ხანგრძლივობის მეორეფაზიანი მოქმედება (+ =), სადაც თავში გამოჩნდება თანმიყოლებით =2 და შემდეგ ერთბაშად თანმიყოლებით +8 ილუზია, ასე ვთქვათ, ძლიერი ბიძგი განწყობის ჩაქრობის გზაზე, შემდეგ ისევ ადექვატური აღქმა, ისევ +3 ილუზია და ადექვატური აღქმის გაბატონებული ტენდენცია =10. (—IV ფაზა). არც ერთ შემთხვევაში აქ არ გვხვდება ასიმულატური ილუზიის ნარევი ფაზა.

კონტრასტული ილუზიების პირველ ფაზას ამ შემთხვევაში უშუალოდ მისდევს კანონზომიერად + =ნარევი II ფაზა, რაც საერთოდ მეტად დამახასიათებელია განწყობის მოქმედებისათვის.

სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში საკმაოდაა წარმოდგენილი ისეთი ცდის პირები, რომლებიც პირველი ფაზის გარეშე უშუალოდ მეორე ან მესამე ფაზიანი მოქმედებით იწყებენ.

ასეთი ნიმუშები წარმოდგენილია № 3—4 და 5 სქემებში.

ს ქ ე მ ა № 3

ცდის პირი № 24 „ბლ. გრ“. კუნთური არე.

სუქცესიური პირობები: =2, +4, =1, +7, =1, +3 — —2, +1, —1, =1, +1, +6. —1, =1. —1, +5, =4, + +3, =6, +2. =10.

(I ფაზა—0. II ფაზა—18 ექსპ., III ფაზა—35 ექსპ., საერთოდ ხანგრძ. —53 ექსპ.).

ს ქ ე მ ა № 4

ცდის პირი № 25/42 „მალ.ილ“. პაპტური არე.

სუქცესიური პირობები: +1. =1. +1. =2. +1. =13.

(I ფაზა 0. II ფაზა—6 ექსპ., III ფაზა—0., საერთოდ ხანგრძლივობა—5 ექსპოზიცია).

სიმულტანური პირობები: +13, =2, +14, =7, +4, =13.

(I ფაზა—13 ექსპ., II ფაზა—27 ექსპ., III ფაზა—0, საერთოდ ხანგრძლივობა —40 ექსპ.).

ს ქ ე მ ა № 5

ც. პირი. № 33/39 „კენ. ოთ“. კუნთ. არე.

სუქცესიური პირობები: $=2, -3, =1, -1, =i, +1, =1, +2, =8, -1, =14$.

(I ფაზა -0 , II ფაზა -0 , III ფაზა -21 ; ექსპ. საერთო ხანგრძლ. -21 ექსპ.).

სიმულტანური პირობები: $+6, =1, +1, =1, +1, =1, +1, =14$.

(I ფაზა -6 ექსპ., II ფაზა -4 ექსპ., III ფაზა $+0$. საერთო ხანგრძლივობა -10 ექსპ.).

№ 3 სქემაში წარმოდგენილია ისეთი ცდის პირი, რომელიც უშუალოდ იწყებს მეორე ფაზიანი მოქმედებით და მესამე ფაზის გავლით თანდათან გადადის მეოთხე ფაზაზე. მისი მეორე—ფაზიანი მოქმედება ($=$) საკმაო (18 ექსპოზიცია) ხანგრძლივობისაა. დამახასიათებელია ის, რომ ამ ფაზაში იგი პირველად ტოლობის 2-ჯერ დადასტურების შემდეგ ერთბაშად თანმიყოლებით $+4$ ილუზიას ადასტურებს და შემდეგ 1 ტოლობას, და ისევ მომეტებით თანმიყოლებით $7 +$ ილუზიას. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, განწყობა თითქოს უფრო და უფრო მეტი სიძლიერით ვლინდება. ვერ მოახერხა რა პირველად საკმაო სიძლიერით გამოვლენა, იგი იქვე სუსტდება, ეცემა დაბლა. ერთი $=$ შემდეგ $3 +$ ილუზია და იწყება მესამე, უფრო სუსტი, ფაზა. ერთბაშად გამოერევა $2 -$ ილუზია, 5-ჯერ მომენტალურად სცელიან ურთიერთს $- + =$ და განწყობის მოქმედება ისევ მოძალდება, ზედიზედ $6 +$ ილუზია, შემდეგ ისევ მონაცვლეობა $- =$ შორის და ისევ თანმიყოლებით $5 +$ ილუზია, განწყობის, ასე ვთქვათ, ძლიერი, უკანასკნელი გაბრძოლება და ერთბაშად თანმიყოლებით 4 ადექვატური აღქმა, კიდევ ოდნავი გაბრძოლება, მაგრამ არა ისეთი ძალით, შემდეგ თანმიყოლებით $6 =$, კიდევ განწყობის საგრძნობი ბიძგი და განწყობა აღიკვეთა. 10 ადექვატური აღქმა.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ აქ ცდის პირს პირველფაზიანი მოქმედება არ გააჩნია და ამ შემთხვევაში მას ნაკლებ მტკიცე განწყობა ახასიათებს, განწყობის აღკვეთა საკმაოდ რთულ გზას გაივლის. საგულისხმო ისაა, რომ მისი რეგრესიული განვითარების პროცესი სწორხაზობრივად არ მიდის 18 ექსპოზიციის ხანგრძლივობის მეორე ფა-

ზაში. პირველი სუსტი გაზოვლების შემდეგ იგი ორჯერ უფრო ნეტი ძალით შემობრუნდება და საკმაო დასუსტებით გადადის მესამე ფაზაში. 35 ექსპოზიციის ხანგრძლივობის შედარებით სუსტ—მესამე ფაზაში იგი 5 სუსტი მონაცვლეობის შემდეგ პირველად ისევ ძლიერად შემობრუნდება (6 +), მაგრამ არა ისეთი ძალით, როგორც მეორე ფაზაში (7 +), შემდეგ შესუსტდება ამავე ფაზაში და კიდევ შემობრუნდება საკმაო ძალით, მაგრამ კიდევ ნაკლები სიძლიერით (5 +). ამის შემდეგ თავს იჩენს 4 ადექვატური აღქმა, შემდეგ განწყობის ოდნავი გაბრძოლება და ზედიზედ 6 ადექვატური აღქმა, განწყობა ერთ სუსტ ბიძგს კვლავ მისცემს და 54 ექსპოზიციიდან ერთბაშად აღიკვეთება.

№ 4 სქემის მიხედვით, სუქცესიურ პირობებში ცდის პირი უსუსტეს მეორე ფაზიან მოქმედებას ავლენს, 4-ჯერ + = მონაცვლეობით, განწყობა ერთბაშად აღიკვეთება მესამე ფაზის გავლის გარეშე. აქაც განწყობა, როგორც ჩანს, არ ვითარდება სწორხაზობრივად: იგი მისამე ფაზის (ილუზიებიანი ფაზის) გამოტოვებით ერთბაშად გადადის მეოთხე ფაზაზე.

ამავე ცდის პირს სიმულტანურ პირობებში ასახიათებს ძლიერი აღზნებადობის მტკიცე განწყობა. იგი ავლენს 13 ექსპოზიციის ხანგრძლივობის პირველფაზიან მოქმედებას, მეორე ფაზა იწყება 2 = დადასტურებით და მას შემდეგ განწყობა პირველადვე ისეთი ძალით შემობრუნდება (+14), რომ პირველ ფაზას აჭარბებს ოდნავ, ერთბაშად ეცემა და თანმიყოლებით 7 = ადასტურებს; განწყობა თითქოს გაქრა, მაგრამ უკანასკნელად იძლევა საკმაო სიძლიერის ბიძგს. ასე ვთქვათ, ერთს გაიბრძოლებს, მაგრამ არა პირველი შემობრუნების სიძლიერით, და აქაც ერთბაშად აღიკვეთება. აქაც მესამე ფაზა არა გვაქვს და, მაშ, აქაც განწყობის რეგრესიული განვითარება სწორხაზობრივი არ არის (მეორე ფაზის მოქმედების მიხედვითაც იგი სწორხაზობრივად არ ვითარდება).

№ 5 სქემაში ისეთი ცდის პირია წარმოდგენილი, რომელიც სუქცესიურ პირობებში უშუალოდ მესამე ფაზიანი მოქმედებით

იწყება. 21 ექსპოზიციის ხანგრძლივობის მესამე ფაზიანი მოქმედება $2 =$ ს დადასტურებით იწყება და შემდეგ—3 ილუზიას დადასტურებს თანმიყოლებით. შეიძლება ითქვას, რომ განწყობის შემობრუნების ნიშანი თუმცა სუსტი, მაგრამ აქაც გვაქვს, საერთოდ სუსტი საძწევრიანი რხევით. უკანასკნელ ხანებში ცდის პირი ზედიზედ $8 =$ დადასტურებს, განწყობა ოდნავ გაივლებს (ერთი ასიმილაციური ილუზია) და აღიკვეთება (12 ადექვატური აღქმა).

ამავე ცდის პირს სიმულტანურ პირობებში ახასიათებს საშუალო სიმტკიცის განწყობა—6 ექსპოზიციის ხანგრძლივობის 1 ფაზიანი მოქმედება, შემდეგ ხანმოკლე, 4 ექსპოზიციის ხანგრძლივობის მეორე ფაზიანი მოქმედება და განწყობა აღიკვეთება.

წარმოდგენილი სქემიდან ნათლად ჩანს, რომ ადექვატური აღქმანარევი კონტრასტული ილუზიების ფაზა, სადაც იგი არის, ყოველთვის წინამორბედი ფაზა ასიმილაციური ილუზიების ნარევი ფაზისა. ასეთი მესამე ფაზა კი ან შეიძლება გასას მოჰყვება უშუალოდ და მეოთხე—ბოლო ფაზის წინ გვხვდება, ან თუ ასეთით იწყება განწყობა (უპირატესად სუქციესიურ პირობებში გვხვდება ასეთი), ეს ის ბოლო ფაზაა იმთავითვე აღკვეთის პირას მისულ განწყობისა და მას უშუალოდ მეოთხე—თანმიყოლებითი ადექვატური აღქმების ფაზა მისდევს.

წარმოდგენილი სქემებიდან ისიც ჩანს, რომ განწყობის აღკვეთის, მისი რეგრესიული განვითარების, პროცესი არ მიმდინარეობს სწორხაზობრივად, თანდათანობითი შესუსტების გზით, არამედ იგი პირველი შესუსტების შემდეგ ხშირად მძლავრად შემობრუნდება, შემდეგ ისევ შესუსტდება და ისევ შემობრუნდება. ასე ვთქვათ, გაიბრძოლებს უკანასკნელად, და ერთბაშად ეცემა და მოცემული მომენტისათვის გზას უთმობს ბუნებრივი პირობებისათვის უჩვეულო ადექვატური აღქმის მტკიცედ ჩამოყალიბებული ტოლობის მიმართების განწყობას, ხელოვნურ პირობებში ფიქსირებული უტოლობის განწყობის საპირისპიროდ.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალების

ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განწყობის მოქმედება მისი რეგრესიული განვითარების გზაზე ცნობილ სამი ფაზის განვლისას ფაზების თანმიმდევრობის შემდეგ სურათს იძლევა:

I. თანმიყოლებით კონტრასტული ილუზიების დადასტურების ფაზა,

II. კონტრასტული ილუზიების გვერდით გზადაგზა აღექვატური აღქმის დადასტურების (+ =) ფაზა,

III. კონტრასტული ილუზიებისა და აღექვატური აღქმის გვერდით ასიმილატური ილუზიების მონაწილეობის (+ =) ფაზა. ეს უკანასკნელი თავის თავში 3 ნაირსახეობას შეიცავს;

ა. სამწევრიან რხევას — კონტრასტული, ასიმილატური ილუზიების და აღექვატური აღქმის მონაცვლეობა (ჭარბად გავრცელებული);

ბ. კონტრასტული და ასიმილატური ილუზიებებს მონაცვლეობა (ორწევრიანი რხევა);

გ. ასიმილატური ილუზიებისა და აღექვატური აღქმის მონაცვლეობა. ეს უკანასკნელი — ორწევრიანი რხევის ნაირსახეობა — იშვიათობას წარმოადგენს, განსაკუთრებით იშვიათია იგი სიმულტანუო პირობებში;

ფაზების ასე დალაგება, ჩვენი აზრით, შედარებით ზუსტად გამოხატავს საქმის ფაქტიურ ვითარებას არა მარტო ჩვენი და ბ. ხაქაპურიძის მასალების მიხედვით (იგი მხოლოდ მეორე ფაზის საკითხში ეძხვება ნაწილობრივ ჩვენს დალაგებას). არამედ საერთოდ სხვა მკვლევართა მიერ ნორმალურ ცდის პირებზე მოპოებული მასალების მიხედვითაც.

რამდენად გასაგებია ფაქტი განწყობის რეგრესიული განვითარების პროცესში I ფაზის შემდეგ და, საერთოდ, წინა-

მორბედ ფაზად კონტრასტული ილუზიების გვერდით ადექვატური აღქმის და არა ასიმეტრიული ილუზიების გამორევისა?

1. ფაქტიურად რომ ასე სდება, ეს გარემოება თავის თავად ბევრს ლაპარაკობს მასზე, რომ ეს ფაქტი გასაგები უნდა იყოს.

2. განწყობის რეგრესიული განვითარება რომ წმინდა სწორხაზობრივი გზით მიდიოდეს — მისი თანდათანობითი დასუსტებით, მაშინ, მართლაც და, ისე უნდა მომხდარიყო, რომ სუსტი განწყობის დამახასიათებელი ნიშანი (ასიმეტრიული ილუზია) კონტრასტული ილუზიის შემდეგ უნდა გაჩენილიყო და არა ადექვატური აღქმის შემდეგ (განწყობის აღკვეთის მაჩვენებელი ნიშანი).

ღიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიის თვალსაზრისით განვითარება სწორხაზობრივად არსოდეს ან იშვიათად მიმდინარეობს და ეტყობა არც განწყობა წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. ამიტომ შეიძლება დავუშვათ თეორიულადაც, რომ განწყობა პირველ შესუსტებას ავლენს მეორე ფაზაში; სანამ ეს განწყობა ჯერ კიდევ საკმაო სიძლიერისაა და მას მოქმედების ძალა გააჩნია. ის ან ირღვევა და ახალ საწინააღმდეგო განწყობას უთმობს ადვილს, და მაშასადამე, კონტრასტულ ილუზიებში ვლინდება ანდა მომენტიურად ინდიფერენტულ მდგომარეობაში გადავა. „განზე გადგება“ (ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ მისი საკმაო სიძლიერით გამოწვეული სიტლანქის გამო) და შესაძლებლობას აძლევს კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის გაელვებას, მისი სტალურად (ის. სქემები). ეს რომ ასე უნდა იყოს, იქიდან ჩანს, რომ ასეთი მომენტი უპირატესად ძლიერი აგზნებადობისა და სიმტკიცის სიმულტანურ პირობებში მოქმედ განწყობას ახასიათებს.

შემდეგ, განწყობის ასე ხშირად განზე გადგომა, ინდიფერენტულ მდგომარეობაში მისი გადასვლა და კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობის მოქმედება სუბიექტზე შედარებით უფრო ასუსტებს განწყობას და დგება

ახალი მომენტი, სადაც განწყობა ისე დასუსტებულია, რომ იგი ძალზე სუსტი განწყობის ნიშანთვისებას, ასიმილატურ ილუზიასაც იძლევა, კონტრასტულისა და ადექვატური აღქმის გვერდით.

იწყება მესამე ფაზა, მაგრამ განწყობის განვითარება არც ამ ფაზაში მიდის სწორსაზოობრივად, ასიმილატური ილუზიების თანდათანობით გაბატონების გზით, არამედ განწყობა ვლინდება სელახლა მძლავრი შემობრუნებით საკმაო ხანგრძლივობის კონტრასტულ ილუზიებში, უფრო ხშირად გადგება განზე და გზას უთმობს მომეტებით,—უფრო მეტი და მეტი რაოდენობით. — თანმიყოლებით ადექვატური აღქმის ტენდენციას, ასიმილატური ილუზიის გზადაგზა მონაცვლეობით და შემდეგ ერთბაშად გადადის კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობაში.

3. დიდი ხანია შემჩნეული იყო და ჩვენს მასალებშიც საკმაოდ დადასტურდა შემთხვევები (განსაკუთრებით, სუქცესიურ პირობებში), როცა განწყობა ისეთი სახის სისუსტეს ანვითარებს, რომ პირველ ფაზას არ იძლევა და კრიტიკული ცდების დასაწყისში თავიდანვე იძლევა რამდენიმე ადექვატურ აღქმას და შემდეგ გვიჩვენებს მძლავრ კონტრასტულ მოქმედებას. განწყობის პირველი შესუსტების მაჩვენებლად რომ მისი განზე გადგომა არ ვალიაროთ, მაშინ კრიტიკული სიტუაციის მიმართ მისი ხანმოკლე „ინდიფერენტობა“ სავსებით გაუგებარი იქნებოდა.

ვინაიდან ცდებს ჩვენ მანამ ვაგრძელებდით, ვიდრე ცდის პირი თანმიყოლებით კრიტიკული სიტუაციის 10 ადექვატურ აღქმას არ დაადასტურებდა, ამიტომ ჩვენ ასეთი შემთხვევების საკმაო მაგალითები მოგვიგროვდა.

არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ცდის პირი 6 ადექვატურ აღქმას ადასტურებს პირველად და შემდეგ განწყობის საბოლოო აღკვეთამდე გზადაგზა საკმაოდ ძლიერ კონტრასტულ მოქმედებას ავლენს (იხ. სქ. № 6 — № 7). გზადაგზა კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობის ჩანაცვლებით, ვიდრე იგი ასიმილატური ილუზიების გამოვლენას დაიწყებდეს.

სქემა № 6

ც. პ. № 10 „აფრ. შ“. ოპტიკური არე ეპილ-
ცდები.

სუქცესიური პირობები: =6, +3, =4, +2, =2, +1,
=6, +8, =2, +1, =3, +3, =1, +6, -2, =1,
-2, =2 +4, =1, +2, =3 +1, =1, -1, +1,
=1, +1, =2, +2, =2, -1, =10.

(I ფაზა—0. II ფაზა—48 ექსპ., III ფაზა—29 ექსპ.. საე-
რთო ხანგრძლ. —78 ექსპ.).

სქემა № 7

ც.პ. № 13 „ხაბ.—ივ.“ ოპტიკური არე, ტაქ. ცდები.

სუქცესიური პირობები: =8, +3, =1, +3, =1, +8,
-1, +1, =1, -1, +2, +3, -2, +5, -1, +1, =10.

(I ფაზა—0. II ფაზა—24 ექსპ., III ფაზა—19 ექსპ.. სა-
ერთო ხანგრძლივობა—43 ექსპ.).

ეს და მსგავსი ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ განწყო-
ბის პირველი დასუსტება ჯერ კიდევ, თუ შეიძლება ასე ითქ-
ვას, საკმაო სიძლიერის მქონე სისუსტეა, რომელსაც სიტლან-
ქე ახასიათებს და უკიდურეს პოლუსებში ქანაობს, კერძოდ—
მძლავრ გამოვლინებასა (კონტრასტული ილუზიები) და „სავ-
სებით აღკვეთას“ შორის (განზე გადგომა — კრიტიკული სი-
ტუაციის ადექვატური აღქმის განწყობისათვის ადგილის დათ-
მობა).

4. როგორც ვიცით, სუქცესიურ პირობებში საერთოდ სუს-
ტი ავზნებადობისა და სიმტკიცის განწყობით ქარბადაა წარ-
მოდგენილი ისეთი ცდის პირები (15% ე. წ. „უგანწყობონი“):
რომლებიც ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყო-
ბის შემდეგ არავითარ ილუზიას არ იძლევიან და პირდაპირ
კრიტიკულ სიტუაციის 10 და მეტ ადექვატურ აღქმას ადას-
ტურებენ; ისინი ავლენენ ტოლობის მიმართების ადექვატური
აღქმის ისეთ მტკიცე განწყობას, რომელიც უჩვეულოა ბუნე-
ბრივ პირობებში წინასწარი საგანწყობო ცდების გარეშე. ეს
ფაქტი მაშინ ჩვენ შემდეგნაირად ავხსენით; აქ საქმე გვაქვს
არა ისეთ ცდის პირებთან, რომელთაც საერთოდ განწყობა არ
ექმნებათ, არამედ ისეთებთან, რომელთაც ისეთი სუსტი უტო-
ლობის განწყობა ექმნებათ, რომელსაც თუმცა კრიტიკული სი-

ტუაციის ილუზიურ აღქმის უზრუნველყოფის ძალა არ შესწევს, მაგრამ ისეთი ძალა მაინც აქვს, რომ ტოლობის მიმართების უტოლოდ განცდის ძალზე გავრცელებული ტენდენცია მაინც განდევნოს და, მკვეთრად ჩამოყალიბებული უტოლობის განწყობის საპირისპიროდ, ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობის — ტოლობის განწყობის წარმოშობა უზრუნველჰყოს (იხ. თავი II, §2).

რად არ უნდა ვიფიქროთ, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული სუსტი განწყობის ამ სახის მსგავსად საერთოდ პირველი ფაზის მომდევნო დასუსტებაში, ერთი მხრივ, ანალოგიურ მდგომარეობასთანაც გვაქვს საქმე, — მდგომარეობასთან, როცა განწყობა კონტრასტული ილუზიების გვერდით, ასიმილაციური ილუზიების ნაცვლად, თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული უტოლობის განწყობის საპირისპიროდ, ერთბაშად ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმას განავითარებს გზადაგზა, სანამ ისე დასუსტდებოდეს, რომ ასიმილაციური ილუზიების დადასტურებასაც უზრუნველჰყოფდეს, ანდა პირდაპირ გადავიდოდეს IV ფაზაში? ისიც ფაქტია, რომ სიმულტანურ პირობებში, იქ. სადაც შედარებით დიდი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა ვითარდება, აღნიშნული ტიპის ცდის პირები იშვიათობას წარმოადგენენ, მაგრამ უკარბად გვხვდებიან ისეთი ცდის პირები (— 20, 9% ე. წ. ტლანქი დინამიკური განწყობა — იხ. ცსრ. № 34), რომლებიც I ფაზიდან ერთბაშად IV ფაზას — კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ აღქმას ავითარებენ, თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული უტოლობის განწყობის საპირისპიროდ (სამაგიეროდ ასეთი ცდის პირები სუქცესიურ პირობებში იშვიათობაა — 4%). ეს ფაქტიც შემდეგზე უნდა მიუთითებდეს: განწყობის ტიპის საერთო პლასტიკურობის შემთხვევაში I ფაზის შემდეგ ცდის პირი გზადაგზა რომ ჯერ ადექვატურ აღქმებს იძლევა, კონტრასტული ილუზიების გვერდით, გაუგებარს და უჩვეულოს არაფერს არ უნდა წარმოადგენდეს.

5. თვით დ. უზნაძე ფაზების თანმიმდევრობის გარკვევისას მიუთითებს: „უნდა აღინიშნოს, რომ განწყობის რეგრესიული განვითარების ეს ფაზა (კონტრასტული ილუზიების გვერდით

ასიმილატური ილუზიების გამოვლენის ფაზა. ა. კ.) მისი ჩაქრობის ყველა შემთხვევაში როდი იჩენს თავს, უფრო ხშირად იგი განწყობის დაავადებისას გვაქვს, მაგრამ ზოგჯერ სრულიად განმართელ ინდივიდებშიც გვხვდება“¹ (ხაზი ჩვენი, ა. კ.).

როგორც ჩანს, დ. უზნაძე ფაზების თანმიმდევრობით დალაგებისას საერთოდ განწყობის მოქმედების რაგვარობიდან ამოდიოდა და არა მხოლოდ ჯანმრთელი—ნორმალური სუბიექტის განწყობის მდგომარეობიდან. რომელიც, როგორც ჩვენი მასალებიდან ჩანს, იშვიათად, მხოლოდ „ზოგჯერ“ გვხვდება.

პირველი ფაზის შემდეგ ასეთის გავლა რაკი „უფრო ხშირად განწყობის დაავადებისას“ გვხვდება, ეს მომენტი, სავარაუდოა, მის (განწყობის დაავადების) სპეციფიკურ ნიშანს შეიძლება წარმოადგენდეს.

ჯანმრთელ სუბიექტთა მასისათვის კი არსებითად და ტიპიურად სწორედ ფაზების ისეთი თანმიმდევრობა უნდა ჩაითვალოს, რომელიც ჩვენ ახლახან წარმოვადგინეთ: როგორც დავინახეთ, ფაზების თანმიმდევრობა ნორმალურ სუბიექტში ფაქტიურად უპირატესად ასეთი სახისაა და თეორიულადაც ეს გარემოება გაუგებარს არას წარმოადგენს რას. რაც განწყობის ფაზური მოქმედების გაგებაში პრინციპული წინააღმდეგობის საკითხს აყენებდეს.

§ 2. ცალკეული ფაზების რაგვარობა

ა. I ფაზა

როგორც ცნობილია, ფიქსირებული განწყობის მოქმედების პირველ ფაზად საერთოდ თავიდანვე კრიტიკულ სიტუაციაში თანმიყოლებით კონტრასტული ილუზიების გამოვლენას თვლიან. ბ. ხაჭაპურიძე პირველი ფაზის დადგენის კრიტერიუმად თავიდანვე 2 და მეტ კონტრასტულ ილუზიის და-

¹ დ. უზნაძე „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, გვ. 59.

დასტურებას თვლის სიმულტანურ შედარების ცდებში. როგორც ჩვენი მასალებითაც დავინახეთ, სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა პირველი გამოვლენის მიხედვით განწყობის მოქმედების ზოგად რეალში თავსდება და უპირატესად კონტრასტულ მოქმედებაში იჩენს თავს, თუმცა ისეთი სიძლიერის კონტრასტული მოქმედება, როგორც ეს სიმულტანურ პირობებშია, აქ არ გვაქვს. აქ თავიდანვე საკმაოდ იჩენს თავს. კრიტიკული სიტუაციის აღქვატური აღქმის ტენდენცია.

ჩვენც თავიდანვე 2 და მეტ კონტრასტული ილუზიების დადასტურებას ვთვლით I ფაზიან მოქმედებად, ვინაიდან ჩვენს ცდებშიც, განსაკუთრებით სუქცესიურ პირობებში, შედარებით „ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როცა პირველი ორი-სამი ექსპოზიცია სრულიად არ გვაძლევს ილუზიას, ხოლო კონტრასტული ილუზიათა მწკრივი და ამასთან საკმაოდ გრძელიც. მხოლოდ მესამე-მეოთხე ექსპოზიციიდან იწყება“¹. ასეთ შემთხვევებს პირველ ფაზიან მოქმედებად არ თვლიან და ვერც ჩვენ ჩავთვლით.

თავიდანვე ორი და მეტი კონტრასტული ილუზიის დადასტურება ჩვენს შემთხვევაშიც რომ კანონიერად ჩაითვლება, ეს იქიდან ჩანს, რომ სუქცესიურ მიმართებაზე სიდიდეთა შედარებისას, ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის გარეშე, ერთის მიმართულებით 2 და მეტი გადაფასება შედარებით იშვიათობას წარმოადგენს. №23 ცხრილიდან ჩანს, რომ ტოლ სიდიდეთა „ბუნებრივ“ შედარებისას სუქცესიურ პირობებში თავიდან ერთსახელიან ილუზიას ორჯერ და მეტად ადასტურებს ცდის პირთა 16%: აქედან 6,7% პირველის (+1) მიმართულებით და 9,3% მეორეს (II) მიმართულებით. უტოლობის განწყობის შემდეგ 2 და მეტ ერთსახელიან—კონტრასტულ ილუზიას ადასტურებს 37%. ეს საკმაოდ დიდი სხვაობაა, რათა უკანასკნელი შემთხვევა I ფაზიან გამოვლენად ჩავთვალოთ და არა ბუნებრივი ტენდენციის განმეორებად ჩვენს ცდებში.

¹ დ. უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, გვ. 59.

თავიდანვე ერთსახელიანი გადაფასება ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის შემდეგ და მის გარეშე ბუნებრივი შედარების ცდებში (სუქცესიურ პირობებში)

პირობები	თავიდანვე თანმიმდევრული ერთსახელიანი გადაფასება 2 და მეტი									
	„ბუნებრივი“ შედარების ცდები							ხელ. ფაქს. უტოლ. განწყ. შემდეგ		
	არე	1		2		სულ		ილუზია		
ც.		ბ.	ც.	%	ც.	%	ც. პ. რ.	ბ. პ. რ.	%	
ოპტ.	25	--		1 4	1 4	1 4	100	30	30	
ჰაბტ.	25	2	8	1 4	3 12	50	20	40		
კუნთ.	25	3	12	5 20	8 32	50	24	48		
სულ	75	5	6,7	7 9,3	12 16	200	74	37		

თუ მხოლოდ ოპტიკური არის მონაცემებს შევადარებთ ურთიერთს, სხვაობა აქ უფრო გამოკვეთილად ჩანს. გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის მიხედვით შემოწმებული 25 ცდის პირიდან მხოლოდ ერთს (4%) აღმოაჩნდა თანმიყოლებით ერთის ნიშართულებით 2 და მეტი გადაფასება. უტოლობის განწყობის შემდეგ კი -30%-ს.

ეს გადაფასება ჰაბტურ არეშიც მცირეა (3 ცდის პირი—12%. იმ დროს, როცა აქაც აღნიშნული მოვლენა განწყობის შემდგომ პერიოდში 40%-ს ახასიათებს. ამას თუ დავუმატებთ ჩვენს მიერ ექსპერიმენტული მასალით საკმაოდ დასაბუთებულ იმ დებულებასაც, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული უტოლობის განწყობის შემდგომ კრიტიკულ ცდებში გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია მოცემულ მომენტისათვის განდევნილია და კრიტიკულ სიტუაციაში დადასტურებული ყოველგვარი ილუზია საგანწყობო ცდებითაა შეპირობებული, მაშინ თავიდანვე 2 და მეტი კონტრასტული ილუზიის დადასტურების შედეგებით (სიმულტანურ პირობებთან) მცირე შემთხვევები უდავოდ პირველი ფაზის არსე-

ბაზის კრიტერიუმად შეიძლება ჩავთვალოთ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაშიც.

* * *

№ 24 ცხრილიდან, რომელშიაც წარმოდგენილია პირველფაზიანთა გავრცელებულობა სუქცესიურსა და სიმულტანურ პირობებში, გამოკვეთილად ჩანს, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში პირველფაზიანთა რაოდენობა შესამჩნევად მცირეა—37%, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში—87,6%.

პირველფაზიანების ეს შესამჩნევი სიმცირე ყოველ ცალკეულ არეში ანალოგიური კანონზომიერებითაა წარმოდგენილი. აქე მაგ ლითაო:

ობტკურ არეში 30% — 85%-თან
 კაპტურ არეში 40% — 96%-თან
 კუნთურ არეში 48% — 85%-თან

ცხრილი № 24

I ფაზიანთა გავრცელებულობა სუქცესიურსა და სიმულტანურ პირობებში

პირობები	სუქცესიური						სიმულტანური			
	არე	I ფაზიანები		I ფ-ზის გარეშენი		პ.წ.	I ფაზიანები		I ფაზის გარეშენი	
		აბ. რ.	%	აბ. რ.	%		აბ. რ.	%	აბ. რ.	%
ობტ.	100	30	30	70	70	40	34	85	6	15
კაპტ.	50	20	40	30	60	25	24	96	1	4
კუნთ.	50	24	48	26	52	40	34	85	6	15
სულ	200	74	37	126	63	105	92	87,6	13	12,4

თუ პირველი ფაზის გავრცელებულობის მიხედვით განწყობის აგზნებადობისა და სიმტკიცის ხარისხზე ვიმსჯელებთ, მაშინ ამ შემთხვევაშიც აშკარად ჩანს, რომ სუქცესიური მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა შედარებით დაბალი აგზნებადობითა და სიმტკიცით ხასიათდება, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა.

ამ მხრივ არეთა შორის განსხვავებულობაზე თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ სუქცესიურ პირობებში ყველაზე მაღალი აგზნებადობითა და სიმტკიცით კუნთური არე ხასიათდება, შემდეგ საშუალო ადვილზე მოდის ჰაპტური არე და, ბოლოს, ყველაზე დაბალი აგზნებადობა და სიმტკიცე ოპტიკურ არეს ახასიათებს, იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში ყველაზე მაღალი აგზნებადობითა და სიმტკიცით ჰაპტური არე ხასიათდება (იგივე იყო დადგენილი ბ. ხაქაბურძის გამოკვლევით), ხოლო კუნთური და ოპტიკური არეები შედარებით დაბალი აგზნებადობითა და სიმტკიცით ხასიათდებიან.

№ 25 ცხრილში წარმოდგენილია I ფაზის საშუალო ხანგრძლივობა ცალკე პირობებისა და არეების მიხედვით. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ცდის პირთა საერთო რაოდენობიდან ყველა აღებული მაჩვენებლებით სუქცესიურ პირობებში I ფაზის საშუალო ხანგრძლივობა ძალზე დაბალია — 2,01 ექსპოზიცია. იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში ასეთი 8,15 ექსპოზიციას უდრის (დაახლოებით 4-ჯერ მეტი ხანგრძლივობა).

თუ პირველი ფაზის საშუალო ხანგრძლივობას მხოლოდ იმ ცდის პირთა მასიდან გამოვიანგარიშებთ. რომელთაც ასეთი ახასიათებთ, მაშინ სუქცესიურ პირობებში I ფაზის საშუალო ხანგრძლივობა შესამჩნევი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი — 5.64 ექსპოზიცია, მაგრამ სიმულტანურ პირობებში მაინც გარკვევით მეტი მაჩვენებლებია ამ შემთხვევაშიც

1 ფაზის საშუალო ხანგრძლივობა

პირობები	ცდ. პირთა სკრინი რაოდენობა						იმ ცდ. პირთაგან, რომელთაც აქვთ I ფაზა			
	სუქცესიური			სიმულტანური			სუქცესიური		სიმულტანური	
წვე	საერთო ხანგრძ.	ტ. პ. რ.	საშუალო	საერთო ხანგრძ.	ტ. პ. რ.	საშუალო	ტ. პ. რ.	საშუალო	ტ. პ. რ.	საშუალო
ობტ	201	100	2,01	190	40	4,75	30	6,7	34	05,6
პაპტ	84	50	1,68	283	25	11,32	20	4,2	24	11,8
აქნთ	135	50		353	40	9,57	24	5,6	34	11,3
სულ	420	200	2,01	856	105	8,15	74	5,64	92	9,4

—9,4 ექსპოზიცია (დაახლოებით ორჯერ მეტი ხანგრძლივობა). აქ სუქცესიურ პირობებში I ფაზის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი შესამჩნევად გადიდდა. ვინაიდან ცდის პირთა საერთო მასიდან პირველი ფაზა მცირე—37%-ს ახასიათებს საერთოდ; ამიტომ შედარებისათვის მნიშვნელობა აქვს ცდის პირთა საერთო მასის, საერთო რაოდენობიდან გამოანგარიშებულ I ფაზის საშუალო ხანგრძლივობას. I ფაზის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლებითაც უდავოდ მტკიცდება, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ ზედა ზღვრულ საზღვრებს შორის შესამჩნევად დაბალი ავზნებადობითა და სიმტკიცით ხასიათდება სიმულტანური მიმართებაზე ფიქსირებულ ზედა ზღვრულ საზღვრებს შორის შედარებით.

I ფაზის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით სუქცესიურ პირობებში არედა შორის, როგორც ცხრილიდან ჩანს, დიდ

1 ბ. ხაჭაპურიძის მასალებითაც ასეთ პირობებში I ფაზის საშუალო ხანგრძლივობა ანალოგიურია—8.7 ექსპოზიცია (იხ. ბ. ხაჭაპურიძე, განწყობათა ურთიერთ შეცვლას ფაზური ხასიათი, — მასალები, ტ. 1, 1938, გვ. 110.

სხვაობასთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ სხვაობა მაინც არსებობს. ასე, მაგალითად, კუნთური არის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მეტია—2,7 ექსპოზიცია, შემდეგ მოდის ოპტიკური არე—2.01 ექსპოზიცია, დაბოლოს. ჰაპტური არე—1.68 ექსპოზიცია. როგორც ვხედავთ, აგზნებადობისა და სიმტკიცის მიხედვით ამ მონაცემებითაც პირველი ადგილი კუნთურ არეს ეკუთვნის. ოპტიკურმა არემ კი ამ შემთხვევაში ერთი შეხედვით მესამედან მეორე ადგილზე გადმოინაცვლა. მაგრამ. ვიცით, ოპტიკურ არეში ჰაპტურთან შედარებით I ფაზიანები ნაკლები პროცენტული მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი (30%—40%-თან; იხ. ცხრ. №24). განწყობის პირველი გამოვლენის მაჩვენებლებითაც იგი აგზნებადობის მიხედვით მესამე ადგილზე დგას (იხ. ცხრ. № 14). ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოპტიკური არე აგზნებადობისა და სიმტკიცის მიხედვით, საერთო მაჩვენებლების ერთობლივად შეფასების საფუძველზე, მაინც უკანასკნელ—მესამე ადგილზე უხდა მოთავსდეს და მეორე ადგილი კი ჰაპტურ არეს მიეკუთვნოს.

რაც შეეხება სიმულტანურ პირობებს, აქ არეთა შორის განსხვავება საკმაო გამოკვეთილობით ჩანს. ამ პირობების მიხედვით შედარებით მალალი აგზნებადობა და სიმტკიცე ჰაპტურის გზით ფიქსირებულ განწყობას გააჩნია—I ფაზის საშუალო ხანგრძლივობა—11.32 ექსპოზიცია; მეორე.—საშუალო ადგილზე გამოდის კუნთური არე—საშუალო ხანგრძლივობა—9,57 ექსპოზიცია; და ბოლო ადგილზე კი ოპტიკური არე—საშუალო ხანგრძლივობა—4,75 ექსპოზიცია. სიმულტანურ პირობებში არეთა შორის ასეთი განაწილება ზუსტად ემთხვევა ბ. ხაჭაპურიძის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც სიმულტანურ პირობებში „ადვილად იქმნება და ვლინდება განწყობა პირველ რიგში მოცულობის ჰაპტური აღქმის გზით, მეორე რიგში სიმძიმეების ზემოქმედების გზით (კუნთურის გზით, ა.კ.) და ყველაზე უძნელესად იქმნება სილიდეთა ოპტიკური აღქმის გზით“¹.

1 ბ. ხაჭაპურიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 130.

ჩვენი აზრით. წარმოდგენილი მასალების თანახმად, თავი-
სი სინტეზის მიხედვით, ამავე თანმიმდევრობით ლაგდება
ცალკეული არეების გზით ფიქსირებული განწყობაც.

პირველი ფაზის ხანგრძლივობაში ცდის პირთა განჯგუფე-
ბა რომ მოვასდინოთ, საკმაოდ ინტერინდივიდუალურ ვარია-
ციას დავადასტურებთ. № 26 და 26 ბ ცხრილიდან ჩანს,
რომ საერთოდ სუქცესიურსა და სიმულტანურ პირობებში
განწყობის პირველი ფაზის ხანგრძლივობის საკმაოდ მრავალი
ვარიანტი გვხვდება 0 და 1 ექსპოზიციის ხანგრძლივობიდან
(I ფაზის გარეშენი) დაწყებული 52 ექსპოზიციის ხანგრძლი-
ვობის ვარიანტით დამთავრებული (ეს უკანასკნელი მხოლოდ
სიმულტანურ პირობებში გვხვდება). 200 ცდის პირიდან არ
შეგვხვდებოდა არც ერთი, რომელსაც უსასრულო პირველფაზი-
ანი მოქმედება ჰქონდეს (ჩვეულებისამებრ 50 კრიტიკულ
ექსპოზიციასზე ცდება რომ შეგვეწყვიტა, ეს უკანასკნელი
უსასრულო პირველფაზიანი მოქმედების ვარიანტში მოხვ-
დებოდა).

№ 26 ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ სუქცესიურ პირობებში
ძალზე ნაკლებ ინტერინდივიდუალურ ვარიაციასთან გვაქვს
საქმე,—ვარიაციულობის ინდექსით—12,5, ვიდრე სიმულტა-
ნურ პირობებში,—ინდექსით—3,9.¹ ეს იმით უნდა აიხსნას,
რომ სუქცესიურ პირობებში პირველფაზიანები საერთოდ
მცირეა და მისი ხანგრძლივობის ვარიაციულობაც კლებუ-
ლობს. ანალოგიური შეფარდებაა ცალკე არეების მიმართაც.
სუქცესიურ პირობებში ყოველ ცალკე არეს შესამჩნევად
ნაკლები ინტერინდივიდუალური ვარიაციულობა ახასიათებს
I ფაზის ხანგრძლივობის მიხედვით, ვიდრე სიმულტანურ პი-
რობებში.

ვარიაციულობის ინდექსების მიხედვით რომ ცალკეული
არეები შევადაროთ ურთიერთს ერთსა და იმავე პირობებში,
შემდეგ სურათს მივიღებთ: სუქცესიურ პირობებში შედარე-
ბით მეტი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობა მაღალი
აგზნებადობისა და სიმტკიცის კუნთურ არეს ახასიათებს, ინ-

1 ინდექსის სიმცირე ინტერინდივიდუალური ვარიაციულობის მა-
ღალ დონეზე მიუთითებს და პირიქით.

მ.წ.	ვარიაციები																												
	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	27	29	30	32	33	47	52
ობ.	100	55	15	7	8	2	2	2	1	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
კატ.	50	52	8	12	6	10	4	2	2	—	4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
კონ.	50	40	12	8	8	4	2	6	8	4	4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სულ.	200	50,5	12,5	8,5	7,5	4,5	2,5	3	3,5	1,5	2	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

სუქცესიური პირობები

ობ.	100	55	15	7	8	2	2	2	1	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
კატ.	50	52	8	12	6	10	4	2	2	—	4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
კონ.	50	40	12	8	8	4	2	6	8	4	4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სულ.	200	50,5	12,5	8,5	7,5	4,5	2,5	3	3,5	1,5	2	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

სიმულტანური პირობები

ობ.	40	2,5	1,2,5	15	1	7,5	10	15	2,5	5	2,5	5	2,5	2,5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
კატ.	25	—	4	—	8	12	8	4	12	12	8	—	—	8	—	4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
კონ.	40	10	5	2,5	12,5	7,5	5	5	2,5	10	2,5	2,5	2,5	5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
სულ.	105	4,8	7,6	6,7	13,3	9,5	3,8	6,7	4,8	7,6	1,9	1,9	0,9	1,9	1,9	0,9	1,9	0,9	1,9	0,9	1,9	0,9	1,9	0,9	1,9	0,9	1,9	0,9	0,9

განუყოფილი პირველი ფაზის ხანგრძლივობის ვარიანტთა კლასები % 9-ში

ტბრილი № 26ბ

სტრუქტურული ერთეული	მანძილი	მანძილის სიგრძე	მანძილის სიგანე	მანძილის ფართობი	ვარიანტთა კლასები										
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI
სტრუქტურული ერთეული	2	0-1	3-5	6-10	11-15	16-20	21-25	26-30	31-35	36-40	41-45	46-50	51-55		
სტრუქტურული ერთეული	7	12	7	1	—	1	1	1	1	—	—	—	—		
სტრუქტურული ერთეული	12	20	8	—	—	—	—	—	—	—	—	—	—		
სტრუქტურული ერთეული	8	14	22	4	—	—	—	—	—	—	—	—	—		
სულ...	200	16	12,5	63	8,5	14,5	11	1,5	—	0,5	0,5	—	—		
სტრუქტურული ერთეული	40	15	2,7	15	15	42,5	17,5	7,5	2,5	—	—	—	—		
სტრუქტურული ერთეული	25	15	1,7	4	—	28	26	12	8	4	4	—	—		
სტრუქტურული ერთეული	40	22	1,8	15	2,5	25	25	12,5	12,5	—	5	—	2,5		
სულ...	105	27	3,9	12,4	6,7	32,4	24,3	10,5	7,6	0,9	1,9	—	0,9		
სტრუქტურული ერთეული	53	—	—	20,3	9,3	25,9	17	11,1	9,3	5,6	—	—	1,9		

ბ. ხაკაბაძის მონაცემებით

სტრუქტურული ერთეული

სტრუქტურული ერთეული

სტრუქტურული ერთეული

დექსი—4,5; საშუალო ადგილზე გ.ნოდის კაპტური არე.—ინდექსი—5,5 (შედარებით ახლოსაა კუნთურ არესთან თავისი მაჩვენებლებით); ხოლო ძალზე დაბალი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობა ოპტიკურ არეს ახასიათებს, ინდექსი—7,1. სიმულტანურ პირობებში კი აქაც შედარებით მეტი აგზნებისა და სიმტკიცის მქონე ჰაპტური არე (კუნთურის მაგირ) ხასიათდება ყველაზე მეტი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით, ინდექსი—1,7: საშუალოთი კი კუნთური არე (ჰაპტურის მაგირ), ინდექსი—1,8 (ე.ეც ახლოსაა და უფრო ახლოს—კუნთური არის მაჩვენებლებთან, და ყველაზე დაბალი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობა აქაც ოპტიკურ არეს ახასიათებს, ინდექსი—2,7. ამრიგად, გამოდის, რომ იმ პირობებში და იმ გზით, რომლითაც მეტი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა ვითარდება პირველი ფაზის ხანგრძლივობის მიხედვით, ცდის პირთა ტიპოლოგიის დადგენის გაცილებით მეტი შესაძლებლობაა მოცემული, ვიდრე იმ პირობებში და იმ გზით, სადაც ნაკლები აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა ვითარდება. მაშასადამე, ინტერინდივიდუალური ვარიაციულობის მეტნაკლებობაც სხვადასხვა პირობებსა და არეებში ფიქსირებული განწყობის აგზნებებში და სიმტკიცის ხარისხზე უფრო დასაზღვევებული.

ისიც აღსანიშნავია, რომ სუქცესიურ პირობებში პირველი ფაზის ხანგრძლივობის უმაღლესი ვარიანტი შეესაბამებოდ დაბალია—32 ექსპოზიცია (1% ოპტიკურ არიდან. სადაც შედარებით მრავალი ცდის პირის მონაცემებია აღრატული) იმ ჯროს, როდესაც სიმულტანურ პირობებში უმაღლესი ვარიანტი 52 ექსპოზიციას აღწევს—2,5% მხოლოდ კუნთურ არიდან: ამ უკანასკნელთან შედარებით მაღალი ვარიანტები გვხვდება აგრეთვე ჰაპტურ არეშიც: 38 ექსპოზიციით 4% და 47 ექსპოზიციით—4% (მიუხედავად იმისა, რომ აქ 25 ცდის პირის მა-

სალიდანაა იგი გაანგარიშებული), იმ დროს, როცა სმავე არეში სუქცესიურ პირობებში 10 ექსპოზიციის მეტი ხანგრძლივობის ვაოიანტი იშვიათად გვხვდება.

ცხრილიდან ისიც შეინიშნება, რომ სუქცესიურ პირობებში ხანმოკლე ვარიანტები და პირველი ფაზის გარეშენი (0—1 ექსპ.) უფრო მეტი პროცენტული მაჩვენებლითაა წარმოდგენილი როგორც საერთოდ. ისე ცალკეულ არეების მიხედვით, ვიდრე სიმულტანურ პირობებში. შედარებით ხანგრძლივი ვარიანტების პროცენტული მაჩვენებლები კი სიმულტანურ პირობებში შედარებით მეტია, ვიდრე სუქცესიურ პირობებში.

აღნიშნული კანონზომიერება უფრო ნათლად ჩანს. № 26 ბ ცხრილიდან, სადაც წარმოდგენილია ვარიანტთა კლასები 0 — და 1 ექსპოზიციის მოქმედებით — 1 ფაზის გარეშენი, 2 ექსპოზიციის ხანგრძლივობით—უსუსტესი პირველი ფაზიანი მოქმედება და 5—5 ვარიანტი ერთად 2—5-დე ექსპოზიციის ხანგრძლივობით, 6-დან 10-მდე და ა. შ.

ცხრილიდან ჩანს, რომ 0—და 1—ექსპოზიციის ხანგრძლივობის ვარიანტები ძალზე დიდი პროცენტული მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი, სუქცესიურ პირობებში—63%, სიმულტანურ პირობებში კი ძალზე დაბალი მაჩვენებლებით—12,4%. ანალოგიური შეფარდებაა ცალკე არეების შედარების შემთხვევაშიც. უსუსტესი პირველფაზიანი მოქმედების ვარიანტიც (2 ექსპოზიციის ხანგრძლივობით) საერთოდ მეტი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი სუქცესიურ პირობებში — 8,5%. ვიდრე სიმულტანურ პირობებში. შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად იცვლება: შედარებით ძლიერი I ფაზიანი მოქმედების ვარიანტთა კლასები (2—5-მდე ექსპოზიციის ხანგრძლივობით) როგორც ცალკეულ არეების მიხედვით. ისე საერთოდ სუქცესიურ პირობებში შესამჩნევად დაბალი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი, ვიდრე სიმულტანურ პირობებში 14,5% — 32,4%-თან (ნახევარზე კიდევ ნაკლები). ანალოგიური შეფარდება გრძელდება შემდეგ 6—10-მდე ექსპოზიციის ხანგრძლივობის ვარიანტთა კლასში—11%—24%-თან. მხოლოდ აღსანიშნავია ერთი გარემოება: ორთავე პირობებში ამ კლასში, წი-

ნა კლასთან შედარებით, ნაკლები პროცენტული მაჩვენებლები გვეძლევა. შემდეგ 11—15-მდე ექსპოზიციის ხანგრძლივობის კლასში სუქცესიურ პირობების მაჩვენებლები მინიმუმამდე დადის—1,5% (ასევე სიმულტანურ პირობებში 26—30 ექსპოზიციის ხანგრძლივობის ვარიანტთა კლასში გვაქვს—1,9%), სიმულტანურ პირობებში კი ეს კლასი ისევ საკმაო მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი. 16-დან 20 ექსპოზიციის ხანგრძლივობის კლასში სუქცესიური პირობები სულ არაა წარმოდგენილი, იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში აქ ისევ საკმაო შეღწხვებთან გვაქვს საქმე—7,6%.

ამრიგად ცხრილიდან ჩანს, რომ იმ დროს, როცა სუქცესიურ პირობებში პირველფაზიანთა ძირითადი შასა პირველ სამ კლასში ნაწილდება (2,3-დან—5-მდე, და 6—10-მდე), სიმულტანურ პირობებში ასეთი არა მარტო საერთოდ ძალზე მეტია. არამედ ამ სამ პირველ კლასთან ერთად მეტი ხანგრძლივობის 2 შემდგომ კლასში (10—15-მდე და 15-დან—20-მდე) შესამჩნევი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი და ყოველ მომდევნო მეტი ხანგრძლივობის კლასში სიმულტანურ პირობების მაჩვენებლები სჭარბობს სუქცესიური პირობების მაჩვენებლებს.

ეს გარემოება მეტყველებს იმ დებულების სასარგებლოდ, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობა, სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობასთან შედარებით, შესამჩნევად დაბალი აგზნებადობითა და სიმტკიცით ხასიათდება.

წარმოდგენილი მასალებიდან ისიც ჩანს, რომ პირველი ფაზის ხანგრძლივობის მიხედვით სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობა შესამჩნევად ნაკ-

ლები ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა, იმდროს, როცა განწყობის საერთო ხანგრძლივობის მიხედვით მას ცოტათი მაინც მეტი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობა ახასიათებს.

ბ. II ფაზა

ფაზების ჩვენი თვალსაზრისით დალაგების მიხედვით, მეორე ფაზის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ფაზაში მსოლოდ ორწევრიან რხევასთან გვაქვს საქმე—კონტრასტული ილუზიებისა და ადექვატური აღქმის ტენდენციის მონაცვლეობასთან. ამიტომ, მეორე ფაზის მიხედვით, ცდის პირთა ტიპოლოგიური დიფერენცია ამ ფაზის მოქმედების ნაირსახეობის მიხედვით, ამ შემთხვევაში გამოირიცხვლია.

როგორც პირველი, ასევე მეორე ფაზის ხანგრძლივობის მიხედვით ცდის პირთა შორის შესამჩნევი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობა დასტურდება და ამ მხრივ ორთავე პირობებში ცდის პირთა მეტნაკლები ტიპოლოგიური დიფერენციაცია ხერხდება. მაგრამ ჯერ განვიხილოთ მეორე ფაზის საერთო გავრცელებულობა და ხანგრძლივობის საერთო მონაცემები.

№ 27 ცხრილიდან ჩანს, რომ მეორე ფაზიანთა რაოდენობა სუქცესიურ პირობებში შედარებით მცირეა—43%, ვიდრე სიმულტანურ პირობებში—54%; საერთოდ კი ორივე შემთხვევაში საკმაო რაოდენობითაა ასეთი წარმოდგენილი. ანალოგიური შეფარდებაა ცალ-ცალკე ოპტიკურსა და ჰაპტური არეების შედარებისას. კუნთურ არეში კი თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი მეორე ფაზიანთა რაოდენობა (ოდნავ მეტიცაა სუქცესიურ პირობებში 42%—40%-თან). ეს ის არეა, რომელშიაც, როგორც ვიცით, სუქცესიურ პირობებში შედარებით მაღალი ავზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა

ვითარდება. ამ მხრივ იგი უთანაბრდება და ოდნავ აჭარბებს სიმულტანური პირობების მაჩვენებლებს. მაგრამ აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ მეორე ფაზიან ცდის პირთაგან ამ შემთხვევაში თითქმის ნახევარი (42%-დან 20%) ისეთია, რომელიც პირველ ფაზის გარეშე უშუალოდ იწყებს II ფაზიან მოქმედებას. სიმულტანურ პირობებში კი ამავე არეში ძალზე მცირეა ასეთი (40%-დან 5%,—8-ჯერ ნაკლები). ამ მხრივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საერთოდ სუქცესიურ პირობებში მეორე ფაზიანთა ნახევარი (43%-დან 25%) პირველი ფაზის გარეშე უშუალოდ მეორე ფაზიანი მოქმედებით იწყებს, იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში ასეთი მცირე მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი (54%-თან 7,6%,—თითქმის 8-ჯერ ნაკლები); ანალოგიური კანონზომიერებაა ცალკ-ცალკე არეებზე მინდვით სხვადასხვა პირობებში. (იხ. ცხრ. № 27).

ცხრილი № 27

II ფაზიანთა გავრცელების უაღრესობა

პირობები	არე	ცდის პ. რ.	II ფაზის გარეშე		II ფაზიანები		აქედან I ფაზის გარეშე	
			აბს. რ.	%	აბს. რ.		აბს. რ.	%
სუქცესიური	ობტ.	100	53	53	47	47	29	29
	პაპტ.	50	32	64	18	36	11	22
	კუნთ.	50	29	58	21	42	10	20
	სულ .	200	114	57	86	43	50	25
სიმულტანური	ობტ.	40	15	37,5	25	62,5	5	12,5
	პაპტ.	25	9	36	16	64	1	4
	კუნთ.	40	24	60	16	40	2	5
	სულ .	105	48	46	57	54	8	7,6

ამრიგად, გამოდის, რომ სიმულტანურ პირობებში საერთოდ შედარებით მეტადაა წარმოდგენილი მეორე ფაზიანთა რაოდენობა და ისეთი მეორე ფაზიანები, რომლებიც I ფაზის გავლის შემდეგ ანვითარებენ ასეთს; ხოლო სუქცესიურ პირობებში შედარებით ნაკლებია მეორე ფაზიანთა რაოდენობა და ამ ნაკლებშიაც საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ისეთი ცდის პირები, რომელნიც I ფაზის გარეშე უშუალოდ მეორე ფაზით იწყებენ განწყობის მოქმედებას.

№ 28 ცხრილში წარმოდგენილია მეორე ფაზის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლები, რაც გაანგარიშებულია როგორც ცდის პირთა საერთო რაოდენობიდან, ისე ცალკე იმ ცდის პირთა რაოდენობიდან, რომელთაც აქვთ მეორე ფაზა.

ცხრილი № 28

II ფაზის საშუალო ხანგრძლივობა

პირობები	ცდის პირთა საერთო რაოდენობა					იმ ცდის პირთაგან, რომელთაც აქვთ II ფაზა				
	სუქცესიური			სიმულტანური		სუქცესიური			სიმულტანური	
	საერთო ხანგრძ.	ც. პ. ნ.	საშუალო	საერთო ხანგრძ.	ც. პ. ნ.	საშუალო	ც. პ. ნ.	საშუალო	ც. პ. ნ.	საშუალო
ოპტ.	1195	100	11,9	586	40	14,7	47	25,4	25	23,4
ჰაპტ.	213	50	4,3	240	25	9,6	18	11,8	16	15,0
ქენტ.	518	50	10,4	277	40	6,9	21	24,7	16	17,2
სულ . .	1926	200	9,6	1103	105	11,0	86	22,4	57	19,3

პირველ შემთხვევაში ჩანს, რომ ხანგრძლივობის საშუალო ორთავე პირობებში თითქმის ერთნაირია: სუქცესიურ პირობებში—9,6 ექსპოზიცია, სიმულტანურ პირობებში—11,0 ექსპოზიცია, მეორე შემთხვევაში კი სუქცესიურ პირობებში საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი შესამჩნევად მეტია—

22, 4 ექსპოზიცია, ვიდრე სიმულტანურ პირობებში — 19, 3 ექსპოზიცია.

როგორც ვიცით, სუქცესიურ პირობებში I ფაზის-საშუალო ხანგრძლივობა, სიმულტანურ პირობებთან შედარებით, შესამჩნევად ნაკლებია; აქ კი თითქმის გაუთანასწორდა. ეს ფაქტი უთუოდ იმით უნდა აიხსნას, რომ სუქცესიურ პირობებში, რაკი პირველფაზიანი მოქმედება საერთოდ ნაკლებად ვითარდება, ამ უკანასკნელ შემთხვევაში II ფაზიან ცდის პირთა ნახევარი ისეთია, რომელთაც პირველი ფაზა არ გაუვლიათ და ასეთით იწყებენ თავის მოქმედებას. გასაგებია, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა თავისი ძალით პირველად მეორე ფაზიან მოქმედებაში იწყებს გამოვლენას (უმეტეს შემთხვევებში მისთვის საწყის ფაზაში, ე. ი. I ფაზაში) და ამით აღიღებს II ფაზის ხანგრძლივობას, იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში „მოქანცული“ მოქმედი განწყობა პირველ ფაზაში, მეორე ფაზიანი მოქმედების „დაბალი“ ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლებს იძლევა.

ამრიგად, სუქცესიურ პირობებში II ფაზის საშუალო მაჩვენებლების მაღალი დონე, I ფაზიანი მოქმედების II ფაზიანი კონპენსაციის ფაქტით შეიძლება აიხსნას.

როგორც № 29 ცხრილიდან ჩანს, მეორე ფაზიანი მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვითაც ცდის პირთა შორის საკმაოდ ფართო ინტერინდივიდუალური ვარიაციულობა დასტურდება საეროდ, 0-დან 100 ექსპოზიციის ხანგრძლივობის ფარგლებში ვარიანტთა საკმაოდ ხშირი რაოდენობა გვხვდება სხვადასხვა არეში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიმულტანურ პირობებში მაღალი ხანგრძლივობის ვარიანტები შედარებით იშვიათობას წარმოადგენენ, ვიდრე სუქცესიურ პირობებში.

№ 29 ცხრილში წარმოდგენილია ვარიანტთა სიხშირისა და ამ სიხშირის ცდის პირთა რაოდენობასთან შეფარდების ინდექსი, საიდანაც ჩანს, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა II ფაზის ხანგრძლივობის მიხედვით შედარებით დაბალი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასი-

ათდება (ინდექსი — 5, 4), ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა (ინდექსი — 3, 2). ანალოგიური შეფარდებაა ცალ-ცალკე ოპტიკურ და ჰაპტურ არეებშიც. ოპტიკური არე სუქცესიურ პირობებში ინდექსით—3,7; სიმულტანურ პირობებში ინდექსით—2,2. ჰაპტური არე სუქცესიურ პირობებში ინდექსით—3,1; სიმულტანურ პირობებში ინდექსით—1,9. რაც შეეხება კუნთურ არეს, აქ სიმულტანურ პირობებში ნაკლები ინტერინდივიდუალური ვარიაციულობა გვაქვს (ინდექსი—3,1), ვიდრე სუქცესიურ პირობებში (ინდექსი—2,8). ეს გადანაცვლება შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ სუქცესიურ პირობებში შედარებით მაღალი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა კუნთურის გზით ვითარდება, სიმულტანურ პირობებში კი ჰაპტურის გზით.

მეორე ფაზის ხანგრძლივობით ინტერინდივიდუალური ვარიაციულობის ხარისხის მიხედვით რომ ცალკეული არეები დავალაგოთ სუქცესიურ პირობებში, პ ი რ ვ ე ლ ა დ გ ი ლ ზ ე მ ო ხ ვ დ ე ბ ა ს წ ო რ ე დ კ უ ნ თ უ რ ი ა რ ე (ინდექსი—2,8%), მ ე ო რ ე ა დ გ ი ლ ზ ე ჰ ა პ ტ უ რ ი (ინდექსი—3,1) და მ ე ს ა მ ე ა დ გ ი ლ ზ ე ო პ ტ ი კ უ რ ი (ინდექსი—3,7). ს ი მ უ ლ ტ ა ნ უ რ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი კ ი პ ი რ ვ ე ლ ა დ გ ი ლ ზ ე, რ ო გ ო რ ც ს ხ ვ ა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, ა ქ ა ც ჰ ა პ ტ უ რ ი ა რ ე გ ა მ ო დ ი ს, ინდექსით—1,9; მეორე ადგილზე ოპტიკური არე, ინდექსით—2,2; ხოლო მ ე ს ა მ ე ა დ გ ი ლ ზ ე კ უ ნ თ უ რ ი ა რ ე, ინდექსით —+3,1. ამ შემთხვევაში კუნთური არე იჭერს ოპტიკური არისათვის ჩვეულებრივ მესამე ადგილს, ოპტიკური კი კუნთურისათვის ჩვეულებრივ II ადგილს, რაც შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევითი გარემოებით აიხსნას. თუ ამ გარემოებას ყურადღებას არ მივაქცევთ, მაშინ წარმოდგენილი მასალებიდან გამოდის, რომ მეორე ფაზის ხანგრძლივობის მიხედვითაც (ისე, როგორც პირველი ფაზის ხანგრძლივობის მიხედვით) იმ პირობებში და იმ არეების მიხედვით, რომელთა საშუალებითა და გზით მეტი აგზნებისა და სიმტკიცის განწყობა ვითარდება, ცდის პირთა მეტი დიფერენციაციის შესა-

ქ ლ ე ბ ლ ო ბ ა ა მ ო ც ე მ უ ლ ი, ვ ი დ რ ე ი მ პ ი რ ო ბ ე ბ-
ში და იმ ვ ზ ი თ, რომ ლ ი თ ა ც ნ ა კ ლ ე ბ ი ა გ ზ-
ნ ე ბ ა დ ო ბ ი ს ა და ს ი მ ტ კ ი ც ი ს გ ა ნ წ ყ ო ბ ა
ვ ი თ ა რ დ ე ბ ა

ეს მომენტი, როგორც დავინახეთ, უფრო გამოკვეთილ კანონზო-პიერების სახით I ფაზის ხანგრძლივობის მიხედვით ჩანს და, ამრიგად, მისი კანონზომიერი ხასიათი უეჭველია. ორთავე პირობებში I და II ფაზის კანონზომიერებათა შედარებით ერთიანობის ეს მომენტი სწორედ ამგვარი (+ = ნარევი) მეორე ფაზისა, ამ შემთხვევაში, კანონიერ ადგილზე მოთავსების ერთ-ერთ საბუთადაც შეიძლება გამოდგეს.

№ 29 ცხრილში წარმოდგენილია მეორე ფაზის ხანგრძლივობის ვარიანტთა კლასები 5—5 ექსპოზიციის მიხედვით 60 ექსპოზიციამდე, სოლო 61 - დან 100 ექსპოზიციამდე ყველა ვარიანტი ცალ-ცალკე, რომელნიც, როგორც ცხრილიდან ჩანს, იშვიათობას წარმოადგენენ და უფრო სუქცესიურ პირობებში გვხვდებიან. ჩვენ ამ ცხრილის დეტალურ ანალიზს არ შევუდგებით, იგი მხოლოდ მასალის სისრულით წარმოდგენისთვისაა დართული. მაგრამ ერთს აღვნიშნავთ, რომ ვარიანტთა კლასებიდან ყველაზე დიდი მაჩვენებლები სუქცესიურ პირობებში 6 — 10 ექსპოზიციის ხანგრძლივობის ვარიანტთა კლასშია წარმოდგენილი 12%. სიმულტანურ პირობებში, თუმცა საკმაო მაჩვენებლებია წარმოდგენილი — 10, 5 %, მაგრამ ამ შემთხვევის მაქსიმუმი კი არაა. მაქსიმალური მაჩვენებლები სიმულტანურ პირობებში მომდევნო მეტი 11—15-დე ექსპოზიციის ხანგრძლივობას კლასშია წარმოდგენილი—13, 3%. იმ დროს, როცა სუქცესიურ პირობებში ამ კლასში უკვე ძალზე მცირე მაჩვენებლები გვაქვს—5,5%. მომდევნო 16—20 ექსპოზიციის ხანგრძლივობის კლასში სუქცესიურ პირობებში სულ მცირე მაჩვენებლები გვაქვს—2,5%, იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში აქაც დიდ მაჩვენებლებთან გვაქვს საქმე — 8,6%.

ეს მომენტიც იმავეს უნდა მიუთითებდეს, რომ ამ მეორე ფაზაში, განწყობის ჯერ კიდევ საკმაო ძალის მქონე ფაზაში, პირველი ფაზის ანალოგიურად, სიმულტანურ პირობებში მეტი სიმტკიცე ჩანს, ვიდრე სუქცესიურ პირობებში.

ჩვენს მიერ დალაგებული ფაზების მიხედვით, როგორც ვიცით, მესამე ფაზისათვის დამახასიათებელია ის, რომ აქ უკვე უპირატესად თავს იჩენს სამწვერიანი რხევა, ე. ი. კონტრასტული ილუზიებისა და ადექვატური აღქმის ტენდენციის მონაცვლეობასთან ერთად ჩნდება ასიმულატური ილუზიებიც. როგორც იშვიათობა, გვხვდება ორწვერიანი რხევის შემთხვევებიც: ა) ისეთი, როცა კონტრასტული ილუზიის გვერდით ასიმულატური ილუზიის მონაცვლეობასთან ვვაქვს საქმე (+ —) და ბ) ისეთიც, როცა ადექვატური აღქმის გვერდით ასიმულატური ილუზიების მონაცვლეობა გვხვდება. (— =). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორწვერიანი მონაცვლეობის ასეთი შემთხვევები (საერთოდ იშვიათი) უპირატესად სუქცესიურ პირობებში გვხვდება. ცდისპირთა საერთო რაოდენობიდან 2,5% + — რხევა და 4,5% — = რხევა, სიმულტანურ პირობებში კი ასეთი რამ თითქმის სულ არ გვხვდება. 105 ცდის პირიდან მხოლოდ ერთი შემთხვევა — 0,9% კუნთურ არეში (იხ. ცხრილი №17). ამრიგად, მესამე ფაზისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს სამწვერიანი რხევა + — =, სწორედ ისეთი მონაცვლეობა, რაც საერთო ცდის პირთა მასიდან სუქცესიურ პირობებში ახასიათებს — 47%-ს, ხოლო სიმულტანურ პირობებში 33,3%-ს (იხ. იქვე).

ცდის პირთა დანარჩენ მასას. ორი ან სამწვერიანი მონაცვლეობით. მეორე ან მესამე ფაზა არ ახასიათებს. მოიპოვება თითო-ორთა ისეთი ცდის პირი, რომელნიც საწყისში ერთ ასიმულატურ ილუზიას ან ერთ კონტრასტულ ილუზიას იძლევიან და უშუალოდ გადადიან ადექვატური აღქმის გაბატონებულ ტენდენციაზე. ასეთნი ამ ცხრილში მონაცვლეობის გარემონის რუბრიკაში მოხვდნენ, ხოლო ცალკე ფაზების დაანგარიშებისას პირველნი მესამე ფაზიანებში მოხვდნენ, ხოლო მეორენი მეორე ფაზიანებში. ვიმეორებთ, ასეთი მეორე ან მესამე ფაზიანები თითო-ორთა იშვიათობას წარმოადგენენ და მათზე არ შევჩერდებით.

აქვე წარმოდგენილი № 30 ცხრილიდან ჩანს, რომ ისეთი ცდის პირები, რომელთაც მესამე ფაზა ახასიათებთ, სუქცესიურ პირობებში მეტი გვხვდება --53,5%, ვიდრე სიმულტანურ პირობებში — 37,1%. ანალოგიური შეფარდებაა ცალკე არეების შედარების მიხედვითაც. ცალკეული არეების მიხედვით სუქცესიურ პირობებში მესამე ფაზიანთა რაოდენობა მეტადაა წარმოდგენილი: კუნთურ არეში — 74%, შემდეგ ჰაპტურ არეში — 56% და, ბოლოს, შედარებით მცირე, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი რაოდენობით ოპტიკურ არეში — 42%. სიმულტანურ პირობებში მესამე ფაზიანთა რაოდენობა მეტი მაჩვენებლებით ისევ კუნთურ არეშია წარმოდგენილი — 50%, მაგრამ მეორე ადგილზე აქ ოპტიკური არე გამოდის — 37,5%, ჰაპტური არე კი შედარებით მცირე და, საერთოდ, ძალზე მცირე მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი — 16%. ისე, როგორც II ფაზის განხილვისას ვთქვით, აქაც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სუქცესიურ პირობებში მესამე ფაზიანთა დიდი რაოდენობა. (თითქმის ნახევარი) I—II ფაზის გავლის გარეშე უშუალოდ მესამე ფაზიანი ზოქმედებით იწყებს (საერთოდ 23% —53,5%-დან), იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში, ვისაც ახასიათებს მესამე ფაზა, დიდი უმრავლესობა I—II ფაზის შემდეგ ავითარებს მას. ისეთნი კი, რომელნიც I — II ფაზის გავლის გარეშე უშუალოდ იწყებდნენ III ფაზიანი ზოქმედებით, ძალზე მცირედაა წარმოდგენილი (საერთოდ 3,8% —37,1%-დან).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჰაპტურ არეში, რომელშიაც სიმულტანურ პირობებში მეტი აგზნებისა და სიმტკიცის განწყობა ვითარდება, ასეთი სულ არ გვხვდება. აქ ისედაც მცირე — 16%-ს რომ მესამე ფაზა ახასიათებს, ეს ფაზა მათ მხოლოდ + = II ფაზის გავლის შემდეგ უვითარდებათ.

საერთოდ, აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მესამე ფაზის გავლასუსტი აგზნებადობისა და სიმტკიცის სუქცესიურ მიმართებაზე დიქსირებული განწყობისათვის ყოფილა უპირატესად დამახასიათებელი, ვიდრე შედარებით მეტი აგზნებადობისა და სიმტკიცის

სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისათვის.

ამ დებულების სასარგებლოდ განსაკუთრებული სიცხადით მეტყველებს ის ფაქტი, რომ სიმულტანურ პირობებში სწორედ პაპტურის გზით (საიდანაც მეტი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა ვითარდება ბ. ხაჭაპურიძისა და ჩვენი მონაცემებითაც) ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში მესამე ფაზიანები ძალზე მცირე მაჩვენებლებით გვხვდება — 16%.

ცხრილი № 30

III ფაზიანთა გავრცელებულობა

პირობები	სუქცესიური				სიმულტანურა			
	კ.პ.რ.	III ფაზის გარეშე	III ფაზიანები	აქედან I—II ფაზის გარეშე	კ.პ.რ.	III ფაზის გარეშე	III ფაზიანები	აქედან I—II ფაზის გარეშე
ოპტ.	100	58	42	20	40	62,5	37,5	1
პაპტ.	50	44	56	22	25	84	16	—
კუნთ.	50	26	74	30	40	50	50	7,5
სულ.	200	46,5	53,5	23	105	62,9	37,1	3,8

№ 31 ცხრილში მოცემულია III ფაზის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლები. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ცდის პირთა საერთო რაოდენობიდან თუ მესამე ფაზის საშუალო მაჩვენებლებს გამოვიყვანთ, მაშინ სუქცესიურ პირობებში მესამე ფაზა შედარებით მეტი ხანგრძლივობისაა — 18.6 ექსპოზიცია, ვიდრე სიმულტანურ პირობებში — 13.7 ექსპოზიცია. აღსანიშნავია ის, რომ კუნთურსა და პაპტურ არეებში შეფარდება ანალოგიურია, ხოლო ოპტიკურ არეს, გამონაკლისის სახით, სიმულტანურ პირობებში მეტი ხანგრძლივობა ახასიათებს III ფაზას — 19,5 ექსპოზიცია, ვიდრე სუქცესიურ პირობებში — 15,6 ექსპოზიცია. ზოგადად კი ჩანს, რომ მესამე ფაზის საშუა-

ლო ხანგრძლივობის მიხედვით სუქცესიური პირობები თუ არ აქარბებს დიდად, საერთოდ უტოლდება მაინც სიმულტანურ პირობებს, იმ დროს, როცა I ფაზის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით იგი ძალზე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სუსტი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა სუქცესიური პირობების უკანასკნელ სუსტ ფაზაში უტოლდება და აასწრებს მხოლოდ სიმულტანურ პირობებში ფიქსირებულ განწყობას.

ცხრილი № 31

მესამე ფაზის საშუალო ხანგრძლივობა

პირობები	ც. პ-თა საერთო რაოდენობა						იმ ცდის პირთაგან, რომელთაც აქვთ III ფაზა			
	სუქცესიური			სიმულტანური			სუქცესიური		სიმულტანური	
	საერთო ხანგრძ.	ც. პ. რ.	საშუალო	საერთო ხანგრძ.	ც. პ. რ.	საშუალო	ც. პ. რ.	საშუალო	ც. პ. რ.	საშუალო
ოპტ.	1558	100	15,6	788	40	19,5	42	37,1	15	52,53
ჰაპტ.	757	50	15,1	139	25	5,6	28	27,4	4	34,75
კუნთ.	1401	50	28,0	512	40	12,8	37	37,9	20	25,6
სულ .	3716	200	18,6	1439	105	13,7	107	34,7	39	36,9

თუ მესამე ფაზის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლებს მხოლოდ იმ ცდის პირთაგან გამოვიყვანთ, რომელთაც ასეთი ანასიათებს. მაშინ სიმულტანურ პირობებში III ფაზის საშუალო ხანგრძლივობა ოდნავ მეტი გამოდის—36,9 ექსპ., ვიდრე სუქცესიური პირობებში—34,7 ექსპ.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ოპტიკურსა და ჰაპტურ არეებში შეფარდება ანალოგიურია და III ფაზის საშუალო ხანგრძლივობის მეტობა აქ უფრო გამოკვეთილიადაა მოცემული

(დაახლოვებით 1/4-ით მეტია სიმულტანურ პირობებში); კუნთურ არეში კი აქ გამონაკლისის სახით სუქცესური პირობები მეტი საშუალო ხანგრძლივობით ხასიათდება—37,9 ექსპ., ვიდრე სიმულტანურ პირობებში—25,6 ექსპ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ სუქცესური პირობებში კუნთურის გზით ფიქსირებულ განწყობას შედარებით მეტი ხანგრძლივობა ახასიათებს; ეს გარემოება ნაწილობრივ მეორე ფაზისა და უპირატესად მესამე ფაზის დიდი ხანგრძლივობითაა შეპირობებული.

ის გარემოება, რომ (ძლიერი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობის შემთხვევაში) III ფაზის საშუალო ხანგრძლივობა საერთოდ ოდნავ მეტიცაა სიმულტანურ პირობებში, ალბათ იმით აიხსნება, რომ ცდის პირები რომლებიც ასეთ ფაზას ავითარებენ (რაკი ასეთი ფაზა მათ აქვთ), სხვა ფაზების ანალოგიურად აქაც საკმაო სიძლიერეს ამჟღავნებენ შედარებით სუქცესური პირობებში ფიქსირებულ განწყობასთან, რითაც ახანგრძლივებენ ამ უკანასკნელს—განწყობის მესამე ფაზას.

არეების მიხედვით შეფარდება ამ შემთხვევაში ასეთია: სუქცესური პირობებში კუნთურსა და ოპტიკურ არეებში III ფაზის საშუალო ხანგრძლივობა თითქმის ერთნაირია—37,9 ექსპ. და 37,1 ექსპ., ჰაპტურ არეში შედარებით მცირე 27,4 ექსპ.; სიმულტანურ პირობებში კი III ფაზის საშუალო ხანგრძლივობა შედარებით დიდია ოპტიკურ არეში—52,5 ექსპ., შემდეგ მოდის ჰაპტური არე—34,7 ექსპ.. დაბოლოს, შედარებით მცირე ხანგრძლივობა ახასიათებს კუნთურ არეს—25,6 ექსპ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჰაპტურ არეში სიმულტანურ პირობებში III ფაზიანები შედარებით და, საერთოდ, ძალზე მცირეა 25-დან მხოლოდ 4 ცდის პირი—16%. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ცდის პირები, რაკი მესამე ფაზას—როგორც განწყობის „რეგრესიული განვითარების“ თავისთვის ამ აუცილებელ გზას განვლიან, საკმაოდ დიდი ხანგრძლივობით ანვითარებენ მას.

№ 32 ცხრილში წარმოდგენილია III ფაზის ხანგრძლივობის ვარიანტთა კლასები ხუთ-ხუთი ექსპოზიციით თითოეულ კლასში: 0—ხანგრძლივობისა, შემდეგ 1—5 ექსპ., 6—10-მდე და ა.შ. 100 ექსპოზიციის ჩათვლით. ჩვენ არ შეუვადგებით

არც ამ ცხრილის დეტალურ განხილვას. იგი დართულია მასა-
ლის სრულად წარმოდგენის მიზნით. მხოლოდ აღვნიშნავთ
შემდეგს: როგორც ცხრილიდან ჩანს, მესამე ფაზის ხანგრძ-
ლივობის მიხედვითაც ცდის პირთა განაწილება საკმაოდ დიდი
ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება. სხვადა-
სხვა არეში და პირობებში ფიქსირებული განწყობის მოქმე-
დებისას გვხვდება ხანგრძლივობის ვარიანტები 0—ხანგრ-
ძლივობით დაწყებული 100 ექსპოზიციამდე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 0—ხანგრძლივობა, ე. ი.
მესამე ფაზის გარეშენი, სიმულტანურ პირობებში მეტია საე-
რთოდ და ცალკეულ არეების მიხედვითაც, ვიდრე სუქცესიურ
პირობებში. ხანგრძლივობის მაქსიმუმი ორივე პირობებში
მოდის 1—5-მდე ექსპ. ხანგრძლივობის კლასში, მაგრამ აქ სუ-
ქცესიურ პირობებში მაინც მეტი მაჩვენებლები გვაქვს (10%),
ვიდრე სიმულტანურ პირობებში (5,7%). შემდეგ სამ მაღალ
კლასშიც სუქცესიური პირობები მეტი მაჩვენებლებითაა წა-
რმოლდენილი, ვიდრე სიმულტანური, ბოლოს, 96—100 ექსპ.
ხანგრძლივობის კლასშიც სუქცესიურ ცდებში მეტი მაჩვენე-
ბლები გვაქვს (5%), ვიდრე სიმულტანურში (0,9%). მოცემულ
შემთხვევაში ესენი ის ცდის პირებია, რომლებიც მოცემულ
პირობებში განწყობის აღკვეთას ვერ ახერხებენ. ხოლო რაკი
ასეთები სუქცესიურ პირობებში მეტადაა წარმოდგენილი,
ცხადია, რომ ამ პირობებში III ფაზის საშუალო ხანგრძლი-
ვობის მაღალ დონეზე ამ გარემოებამ გარკვეული როლი ითა-
მაშა. როგორც ცხრილიდან ჩანს, საქმის ასეთი ვითარება უპი-
რატესად: სუქცესიურ პირობებში, ოპტიკურ და კუნთურ არე-
ებზე ითქმის, სადაც არა მარტო მესამე ფაზის, არამედ საე-
რთოდ განწყობის ხანგრძლივობის მეტი მაჩვენებლები გვაქვს.

ცხრილში წარმოდგენილია ინტერინდივიდუალური ვარია-
ციულობის ინდექსები, საიდანაც ჩანს, რომ საერთოდ სიმუ-
ლტანურ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ აქ მესამე ფაზი-
ანთა ნაკლები რაოდენობა გვხვდება. მეტი ინტერინდივიდუა-
ლური ვარიაციაა წარმოდგენილი (ინდექსი—2,9), ვიდრე
სუქცესიურ პირობებში (ინდექსი 3,8). აღსანიშნავია, რომ არე-
თა შორის ყველაზე დაბალ ინტერინდივიდუალურ ვარიაციას

III ფაზის ხანგრძლივობის ვარიაციული მუხრივი

იხე	ფაზის ხანგრძლივობის ვარიაციული მუხრივი	ფაზის ხანგრძლივობის ვარიაციული მუხრივი	ვარიაციული მუხრივის ხანგრძლივობები																				
			1-5	6-10	11-15	16-20	21-25	26-30	31-35	36-40	41-45	46-50	51-55	56-60	61-65	66-70	71-75	76-80	81-86	86-90	91-95	96-100	
ობტ.	100	29	3,4	6	11	1	3	1	2	2	1	2	1	1	1	1	1	2	1	2	1	2	5
კაბტ.	50	20	2,5	24	2	2	4	2	6	6	1	6	1	2	1	1	1	1	2	2	4	2	2
კუნთ.	50	27	1,8	26	4	12	6	6	6	12	6	2	2	1	1	2	1	1	4	2	2	8	8
სულ	200	52	3,8	46,5	10	7	4	4	2,5	4	2	3	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	1	2	2,5	5	5	5
ობტ.	40	14	2,8	67,5	2,5	5	—	—	—	2,5	—	2,5	5	2,5	—	2,5	2,5	2,5	5	—	—	—	2,5
კაბტ.	25	5	5,0	84	4	4	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	4	—	—
კუნთ.	40	20	2,0	50	10	5	17,5	5	2,5	—	—	—	2,5	5	2,5	—	2,5	—	2,5	—	—	—	—
სულ	105	36	2,9	62,9	5,7	4,8	4,8	1,9	0,9	0,9	—	0,9	2,8	2,8	0,9	0,9	1,9	0,9	0,9	2,8	—	—	0,9

იძლევა პაპტური არე სიმულტანურ პირობებში (ინდექსი—5,0). მაგრამ, როგორც ვიცით, აქ მესამე ფაზა მხოლოდ 4 ცდის პირს ახასიათებს 25 ცდის პირიდან და, როგორც ცხრილიდან ჩანს, ეს 4 ცდის პირი 4 სხვადასხვა კლასში თავსდება. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. საერთოდ მესამე ფაზისათვის დამახასიათებელია უპირატესად სამწევრიანი რხევა; იგი ბოლო ფაზაა ადექვატური აღქმის განწყობაზე გადასვლამდე და მისი გავლა დამახასიათებელია ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისათვის როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესიურ პირობებში.

2. განწყობის აღკვეთის გზაზე მესამე ფაზის განვლა უფრო სუქცესიური პირობებისათვისაა დამახასიათებელი, ვიდრე სიმულტანურისათვის და, ამრიგად, მესამე ფაზიანობა სუსტი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობისათვისაა უპირატესად დამახასიათებელი.

3. მიუხედავად ამისა, მესამე ფაზის საშუალო ხანგრძლივობა სიმულტანურ პირობებში, ვისაც ასეთი ახასიათებს, არ ჩამოუვარდება სუქცესიურ პირობებში ფიქსირებულ განწყობის მესამე ფაზის საშუალო ხანგრძლივობას, პირიქით, ოდნავ აჭარბებს კიდევ. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სიმულტანურ პირობებში მაღალი აგზნებისა და სიმტკიცის განწყობა, როცა ამ გზას, როგორც თავისთვის უცილობელს, განვლის, ამ შემთხვევაშიც მისთვის დამახასიათებელ საკმაო სიძლიერესაც ავლენს.

4. მესამე ფაზის ხანგრძლივობის მიხედვითაც საერთოდ ცდის პირთათვის საკმაო ინტერინდივიდუალური ვარიაციაა დამახასიათებელი, მაგრამ აქაც მეტი ინტერინდივიდუალური ვარიაცია სიმულტანურ პირობებში დასტურდება.

5. სუქცესიურ პირობებში მესამე ფაზიანთა შედარებით დიდი რაოდენობა რომ არის საერთოდ წარმოდგენილი, ამათგან საკმაოდ დიდი ნაწილი (თითქმის ნახევარი) ისეთია, რომელიც I—II ფაზის გარეშე უშუალოდ მესამე ფაზიანი მოქმედებით იწყებენ. სიმულტანურ პირობებში კი აღნიშნული ცდის პირები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ეს გარემოებაც

სუქცესიურ პირობებში ფიქსირებული განწყობის საერთო სისუსტეზე უნდა მიუთითებდეს.

დ. IV ფ ა ზ ა

უტოლობის ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის აღკვეთის კრიტერიუმად ჩვენს ცდებში ის მომენტი ითვლებოდა, როცა ცდის პირს თანმიყოლებით 10 და მეტი აღექვატური აღქმა უნდა დაედასტურებინა, უკიდურეს შემთხვევაში ცდებს 100 კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგ ვწყვეტდით. მაგრამ, როგორც განწყობის საერთო ხანგრძლივობის შესწავლისას გაირკვა, ცდის პირთა დიდი უმრავლესობა 50.—60 კრიტიკული ექსპოზიციამდე აღწევს ასეთს (იხ. თავი განწყობის ხანგრძლივობის შესახებ. ცხრ. № 16) როგორც სუქცესიურ, ისე სიმულტანურ პირობებში. ის ცდის პირები კი, რომელნიც ამ ფარგლებს სცილდებიან, ძირითადად, ისეთებია, რომელნიც მოცემულ მომენტისათვის ხელოვნურად ფიქსირებულ უტოლობის განწყობას თავს ვერ აღწევენ და ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის აღექვატური აღქმის განწყობაზე გადასვლას ვერ ახერხებენ.

ცხრილი № 33

IV ფაზიანთა გავრცელებულობა

პირობები	ს უ ქ ც ე ს ი უ რ ი				ს ი მ უ ლ ტ ა ნ უ რ ი			
	ც. პ.	IV ფაზ. გარეშე	IV ფაზი-ანები	აქედან თავიღ. IV ფაზა	ც. პ.	IV ფაზის გარეშე	IV ფაზი-ანები	აქედან თავიღანე IV ფაზა
ოპტ.	100	13	87	21	40	20	80	—
პაპტ.	50	10	90	16	25	4	95	—
კუნთ.	50	18	82	2	40	5	95	2,5
სულ .	200	13,5	86,5	15	105	10,5	89,5	0,9

როგორც № 33 ცხრილიდან ჩანს. ცდის პირთა დიდ უმრავლესობას უტოლობის განწყობა აღეკვეთება და კრიტიკული სიტუაციის აღქმადი განწყობა უვითარდება—სუქტესურ პირობებში—86,5%-ს და სიმულტანურ პირობებში კი ოდნავ მეტს—89,5%-ს. ანალოგიური შეფარდებაა ცალცალკე პირობებში ჰაპტურსა და კუნთურ არეებში; ხოლო ოპტიკურ არეში. სუქტესიურ პირობებში, შედარებით მეტი აღწევს ასეთს 87%, ვიდრე სიმულტანურ პირობებში—80%. ამრიგად, სუქტესურსა და სიმულტანურ პირობებში როგორც საერთოდ, ისე ცალკეულ არეთა შედარებისას, ამ მხრივ ისეთი სხვაობა არ დასტურდება, რომ რაიმე სპეციფიკურობაზე მიუთითებდეს. ჩანს, რომ მეოთხე ფაზის მიღწევა (ასეთი დიდი კრიტერიუმითაც) ორივე პირობებში ყველა არისათვის დაახლოებით ერთნაირად ყოფილა დამახასიათებელი.

ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ სუქტესიურ პირობებში მეოთხე ფაზიანთა საკმაო რაოდენობიდან (15%—86,5%-დან) დაახლოებით ერთ მეექვსედზე მეტი ისეთია, რომ თავიდანვე ილუზიების გამოვლენის გარეშე უტოლობის განწყობის საპირისპიროდ ტოლობის აღქმადი აღქმის განწყობის IV ფაზას ავითარებენ, იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში ასეთი რამ თითქმის არ დასტურდება (105 ცდის პირიდან მხოლოდ—1—0,9%).

აღსანიშნავია, რომ ასეთი შემთხვევა ყველაზე მეტად ოპტიკურ არეში გვხვდება—21% (დაახლოებით ერთი მეხუთედი). ჩანს, რომ სუქტესურ პირობებში ოპტიკურის ვხით ფიქსირებულ განწყობას მეტი მეოთხეფაზიანობა ახასიათებს, ვიდრე სიმულტანურ პირობებში.

ანალოგიური მდგომარეობაა სუქტესიურ პირობებში ოპტიკური და კუნთური არეების შედარების შემთხვევაშიც. აქაც IV ფაზიანების მონაცემები სჭარბობს ამავე პირობების კუნთური არის მონაცემებს. ეს სიჭარბე მთლიანად თავიდანვე მეოთხე ფაზიანთა ხარჯზეა უზრუნველყოფილი (87%-დან 21%), კუნთურ არეში კი ასეთი მხოლოდ 1 ცდის პირის შემთხვევაში ვხვდება (82-დან 2%).

ჰაპტურ არეში, ოპტიკურ არესთან შედარებით, ნაკლები.

მაგრამ საკმაო რაოდენობით გვხვდება თავიდანვე IV ფაზიანი ცდის პირები (ერთი მეექვსედი 16%—90%-დან).

როგორც ვიცით, სუქცესიურ პირობებში შედარებით მაღალი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა ვითარდება კუნთური არის გზით, შემდეგ ჰაპტურ არესა და, ბოლოს. შედარებით სუსტი აგზნებადობისა და სიმტკიცისა—ოპტიკურის გზით. ამოიკავ. გასაგებია, რომ ოპტიკურ არეში ყველაზე მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი თავიდანვე IV ფაზიანი ე. წ. „უგანწყობო“ ცდის პირები. ერთი სიტყვით, თუ. სიმულტანურ პირობებთან შედარებით, სუქცესიურ პირობებში ფიქსირებულ განწყობას დაბალი აგზნებადობა და სიმტკიცე ახასიათებს. მაშინ გასაგებია. რომ ასეთი—თავიდანვე IV ფაზიანები. ე. წ. „უგანწყობო“ ცდის პირები საერთოდ საკმაო რაოდენობით მხოლოდ სუქცესიურ პირობებში გვხვდება და არა პირიქით.

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში, განწყობის აღკვეთის ასეთი მაღალი კრიტერიუმის დროს, ცდის პირები ახერხებენ თავი დააღწიონ უტოლობის ფიქსირებულ განწყობის ილუზიას და შემდეგ ტოლობის მიმართების კრიტიკულ სიტუაციის ესოდენ თვალსაჩინო ადექვატური აღქმის განწყობაზე—IV ფაზაზე გადავიდნენ. როგორც სხვა ადგილას ადგვინიშნავს (მესანე თავის მეორე ნაწილში), ადამიანს ბუნებრივ ვითარებაში, როგორც სიმულტანურ. ისე სუქცესიურ პირობებში ახასიათებს საკმაოდ ჩამოყალიბებული ტენდენცია ტოლ სიდიდეთა უტოლოდ. ილუზიურად აღქმისა და იშვიათია ისეთი ცდის პირი, რომელიც ზედიზედ თანმიყოლებით ტოლი სიდიდეების 10 და მეტ ადექვატურ აღქმას ავითარებდეს. აქედან გამოდის შემდეგი: ცდის პირებს ჩვენ რომ ხელოვნურად უტოლობის ფიქსირებულ განწყობას ვუქმნით, როგორც სიმულტანურად, ისე სუქცესიურად, ამის შემდეგ ისინი, ამ განწყობის საფუძველზე, გარკვეული კანონზომიერების დაცვით, ერთხანს ტოლ სიდიდეებს ილუზიურად აღიქვამენ: მაგრამ დგება დრო. როცა ეს ილუზიური აღქმა

ქრება და ცდის პირები ტოლობის მიმართების ისეთ ადექვატურ აღქმას ავითარებენ (IV ფაზა), რომელიც მათ ჩვეულებრივ (უტოლობის ფიქსირებული განწყობის გარეშე) არ შეიძლება აქონოდათ. ამრიგად, ჩვენი მასალების მიხედვით აწკარაა, რომ აღიკვეთება რა უტოლობის ფიქსირებული განწყობა, ცდის პირი შემდეგ ბუნებრივ ტენდენციას კი არ უბრუნდება. არამედ მეოთხე ფაზაში მისთვის უჩვეულო ახალ, ტოლობის კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ აღქმას ავითარებს. მაშასადამე, მეოთხე ფაზა ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის სახეებით აღკვეთა კი არაა, არამედ იგი ჩვენ მიერ ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის, როგორც უტოლობის განწყობის, აღკვეთის შემდეგ მისი საპირისპიროდ ტოლობის სიტუაციის მკვეთრად ჩამოყალიბებული ადექვატური აღქმის განწყობაში გადასვლაა, — იმ ადექვატური აღქმის განწყობაში, რომელიც მხოლოდ მანამდე იყო უჩვეულო ცდის პირისათვის, სანამ მას მკვეთრად ჩამოყალიბებულ უტოლობის ფიქსირებულ განწყობას განუვითარებდით; იგი ვითარდება უტოლობის განწყობის საფუძველზე, რომელიც, ერთი მხრივ, ამ უტოლობის განწყობის საწინააღმდეგოა და სხვაა, მაგრამ, მეორე მხრივ, მისითვე შეპირობებულია მოცემულ მომენტში და ნაწილობრივ მისივე გაგრძელებას წარმოადგენს, იფუნცა თავის საპირისპირო სხვაგვარობაში.

თუ ზემოაღნიშნული ფაქტების უდავობასა და ამ ფაქტების აქ წარმოდგენილ გაგებას გავიზიარებთ, დგება საკითხი: როგორ გავიგოთ ის ფაქტი, რომ ადამიანები ჩვეულებრივ ძნელად ახერხებენ ტოლობის მიმართების ადექვატურ აღქმას, მაგრამ უტოლობის ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის შემდეგ, ე. ი. გარკვეული კანონზომიერებით ილუზიურ აღქმათა რიგის შემდეგ ტოლობის მიმართების ესოდენ უჩვეულო ადექვატური აღქმის განწყობაზე გადადიან? რა ძალა აქვს ისეთი უტოლო სიდიდეების ზედღიზედ 15 ექსპოზიციით ზემოქმედებას სიმულტანურ პირობებში და 25 ექსპოზიციით სუქცესურ პირობებში, რომ მის საპირისპიროდ ესოდენ უჩვეულო ტოლობის მიმართების ადექვატური აღქმის განწყობა ვითარდება?

ვფიქრობთ, რომ საკითხის მატერიალისტური დიალექტიკის თვალთახედვით განხილვისას აქ გაუგებარი და საკვირველი არა უნდა იყოს რა. პირუკუ მდგომარეობა რომ „აღმოჩენილიყო“, სწორედ ის იქნებოდა გაუგებარი.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „მხოლოდ წინააღმდეგობის მწვერვალზე აყვანიტ, სხვადასხვაგვარობანი ხდებიან მოძრავი და ცოცხალი ერთი მეორის მიმართ, — იძენენ იმ ნეგატივობას, რომელიც არის თ ვ ი თ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა და ც ხ ო ვ ე ლ მ ყ ო ფ ე ლ ო ბ ი ს შ ო ნ ა გ ა ნ ი პ უ ლ ს ა ც ი ა“.¹ — ეს დებულება, ვფიქრობთ, გასაგებს ხდის ზემოაღნიშნულ მოვლენას. როგორც ცნობილია და ეს ჩვენს ექსპერიმენტებშიაც დადასტურდა, ადამიანი უფრო ადვილად ამჩნევს უტოლობას, ვიდრე ტოლობას. მას უფრო უტოლობის განწყობა ახასიათებს, ვიდრე ტოლობისა. ფიქსირებულ განწყობის ცდებში ხომ სწორედ ასე ხდება: პირველად ცდის პირებს, რომელთაც ისედაც უტოლობის განწყობა ახასიათებთ, ჩვეულებრივ ჩვენ კიდევ ვუვითარებთ, ვუფიქსირებთ ამ გარკვეული მიმართულების უტოლობის განწყობას, ვაწვდით რა ზშირი ექსპოზიციით და ზედიზედ მკვეთრად განსხვავებულ სიდიდეებს; ადამიანში ისედაც მოცემული ნაკლებ დიფერენცირებული უტოლობის განწყობა, შეიძლება, ითქვას, „მწვერვალზე აგვყავს“ (საგანწყობო ცდების ოპტიმუმით); სუბიექტს ვუფიქსირებთ მკვეთრად ჩამოყალიბებულ—გარკვეულის მიმართულებით დიფერენცირებული უტოლობის განწყობას ისედაც ტოლობის სუსტი განწყობის საპირისპიროდ, და რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს „მწვერვალზე აყვანილი“ უტოლობის ფიქსირებული განწყობა ამ შემთხვევაში იძენს ისეთ „თვითმოდრაობისა და ცხოველმყოფელობის შინაგანი პულსაციის“ ძალას, რომ ჯერ ტოლობის კრიტიკული სიტუაციის სავსებით „ნეგაციას“ ახდენს და ილუზიურად (უტოლოდ) მის აღქმას ანვითარებს, ხოლო შემდეგ კი ამ „თვითმოდრაობისა და ცხოველმყოფელობის შინაგანი პულსა-

¹ ვ. ი. ლენინი. კრებული IX. საქ. კ. პ. (ბ) ც.კ.-ის გამოცემლობა, 1935. გვ. 63.

ციისაკე“ წყალობით მისი საპირისპირო „სხვაგვაროვანი“, ტოლობის მიმართების ადექვატური აღქმის განწყობაში გადადის.

„არა მხოლოდ წინააღმდეგობათა ერთიანობა, არამედ გადასვლები თ ვ ი თ ე უ ლ ი განსაზღვრისა. თვისობრიობისა, ნიშნისა. მხარისა თვისებისა თითოეულ სხვაში (თავის დაპირისპირებულობაში)“.¹—აღნიშნავს ვლ. ლენინი. და თუ ამ დებულებასაც მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გასაგებია, რომ „თვითეულ თვისების თვითეულ სხვაში გადასვლებს“ მსგავსად ჩვენ აქ საქმე უნდა გვქონდეს „მწვერვალზე აყვანილ“, მკვეთრად ჩამოყალიბებულ უტოლობის ფიქსირებული განწყობიდან მისი საპირისპირო ტოლობის მიმართების ტოლად აღქმის (ადექვატური აღქმის) განწყობაში შედარებით ადვილად გადასვლის შემთხვევასთან.

ამრიგად, მატერიალისტური დიალექტიკის თვალთახედვით სავსებით გასაგებია, რომ უტოლობის მიმართ ისედაც განწყობილ ადამიანს ჩვენ რომ საგანწყობო ცდებში მკვეთრად განსხვავებული სიდიდეების ექსპოზიციით „მწვერვალზე აყვანილ“ გარკვეული ნიშნითულების უტოლობის განწყობას ვუფიქსირებთ, უტოლობის ეს განწყობა, ვიდრე მას საკმაო ძალა გააჩნია, ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის (უტოლოდ) ილუზიურ აღქმას განაპირობებს თავისი ცხოველმყოფელობით. მაგრამ შემდეგი მისი მოქმედება იმით გამოიხატება, რომ მისი საპირისპიროდ ამ სიტუაციის ისეთი ადექვატური აღქმის განწყობის წარმოშობას უზრუნველყოფს, რომელიც ამ დაპირისპირების გარეშე ჩვეულებრივ არ გვხვდება.

აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ ე. წ. „უგანწყობო“ ცდის პირები ისეთი ცდის პირებია, რომელთაც ჩვენს საგანწყობო ცდებში თავისებური განწყობა ექმნებათ,—უტოლობის განწყობა, რომელიც მისი საპირისპირო ტოლობის განწყობის ადვილად წარმოშობაში ვლინდება მხოლოდ. როცა განწყობის მოქმედების სახესხვაობაზე ვლაპარაკობთ, ეს სახე ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი.

¹ ვ. ი. ლენინი, კრებული, IX, გვ. 134.

§ 3. ფიქსირებული განწყობის მოქმედების სახესხვაობანი და მისი გავრცელებულობა სუქცესურსა და სიმულტანურ პირობებში

(ცალკელ ინდივიდებში ფაზრა მოქმედების მიხედვით)

როგორც დაეინახეთ. ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობა, მანამ იგი აღიკვეთებოდეს და მის საპირისპირო ტოლობის მიმართების ადექვატური აღქმის განწყობაში გადავიდოდეს. სამს—მკვეთრად განსხვავებულს ეტაბს (ფაზას) განვლის:

I—თანმიყოლებით კონტრასტული ილუზიების ფაზას;

II—ფაზას, სადაც კონტრასტული ილუზიების გვერდით ადექვატური აღქმებაც მონაცვლეობენ; და III ფაზას, სადაც კონტრასტული ილუზიებისა და ადექვატური აღქმის მონაცვლეობაში ასიმილატური ილუზიებიც იწყებენ გამორევეას, რომლებიც თანდათან მატულობენ. მაგრამ გაბატონებულ მდგომარეობას შაინც ვერ აღწევენ. ამ ფაზაში როგორც კონტრასტული, ისე ასიმილატური ილუზიები თანდათან იკარგება და, ბოლოს. უტოლობის ფიქსირებული განწყობა გადადის მის საპირისპირო ტოლობის მიმართების ადექვატური აღქმის განწყობაში (IV ფაზა).

ასეთია საზოგადოთ ჩვენი მასალების მიხედვით ის გზა, რომელსაც ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული უტოლობის განწყობა განვლის. სანამ იგი აღიკვეთებოდეს, როგორც ასეთი. და ტოლობის შინაბრთების კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ აღქმის განწყობაში გადავიდოდეს. მაგრამ, როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, „ეს. რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას. რომ ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ყველა ამ სამი ფაზის განვლის შედეგად. არის არა ერთი შემთხვევა. რომ ფიქსირებული განწყობის ლიკვიდაცია მხოლოდ ერთი ან ორი ფაზის განვლითაც სრულდება“.¹ ჩვენი მასალებითაც დასტურდება,

¹ დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. 1949. ფსიქოლოგია, ტ. VI. გვ. 60.

რომ როგორც სუქცესურ. ისე სიმულტანურ პირობებში ძალზე მცირე პროცენტით გვხვდება ისეთი ცდის პირები, რომლებიც ყველა სამივე ფაზას განვლიან განწყობის აღკვეთის პროცესში. დამახასიათებელი ისაა, განწყობა რომ ასეთ საშუალებას გაივლის, ფაზათა ურთიერთშეცვლა — ფაზათა თანმიმდევრობა—ცალკეულ ინდივიდებში საკმაოდ განსხვავებული ნაირსახეობით გვეძლევა.

როგორც ცნობილია, განწყობის ფაზური მოქმედების შედეგად, შემდეგ ძირითად ნაირსახეობას განარჩევენ:

1. სტატიკურ განწყობას სახეებით: ა) მყარი, მტკიცე ანუ ტლანქი სტატიკური განწყობა და ბ) სუსტი — არამტკიცე პლასტიკურ სტატიკური განწყობა.

2. დინამიკურ განწყობას სახეებით: ა) პლასტიკურ-დინამიკური და ბ) ტლანქ-დინამიკური (აღნიშნული სახეობანი დღივალური ანალიზისას რამდენიმე ქვესახეობას შეიცავენ) დაბოლოს.

3. განწყობის ფიქსაციის უნარმოკლებულობას, ე. წ. „უგანწყობო სუბიექტებს“ ანუ განწყობის ექსტრავერტულობას.¹

როგორც № 34 ცხრილიდან ჩანს, ჩვენი მასალებითაც განწყობის მოქმედების ყველა აღნიშნული ნაირსახეობა საკმაოდ დიდი მრავალფეროვნებით დასტურდება როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესურ პირობებში.

სანამ განწყობის მოქმედების ცალკე სახეობათა და მათს კავრცელებულობის განხილვაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ სუქცესურ პირობებში 200 ცდის პირი განწყობის მოქმედების 13 ნაირსახეობას იძლევა, სიმულტანურ პირობებში კი 105 ცდის პირი 11 ნაირსახეობას. თუ ნაირსახეობათა და ცდის პირთა რაოდენობის ინდექსებს გამოვიყვანთ, გამოდის, რომ სიმულტანურ პირობებში განწყობის მეტი ნაირსახეობა დასტურდება (ინდექსით—3,5), ვიდრე სუქცესიურ პირობებში (ინდექსით 7,7). ე. ი. განწყობის მოქმედება სიმულტანურ

¹ დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საუბუძოებო. გვ. 61—63; აგრეთვე, ბ. ხუბუპურიძე, განწყობათა ურთიერთშეცვლის ფაზური ხასიათი.

პირობებში მეტი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება, ვიდრე სუქცესურ პირობებში.

ანალოგიური შეფარდებაა ცალ-ცალკე ოპტიკური და ჰაპტური არეების შედარებისას. ორივე შემთხვევაში სიმულტანური პირობები ამ მხრივ მეტი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება (— დაბალი ინდექსით), ვიდრე სუქცესური პირობები (შედარებით მაღალი ინდექსით). რაც შეეხება კუნთურ არეს, აქ სუქცესური პირობები ოდნავ მეტი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება, ვიდრე სიმულტანური პირობები. მაგრამ, როგორც ვიცით, კუნთური არე სუქცესურ პირობებში სწორედ ის არეა, სადაც შედარებით მაღალი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა ვითარდება. ამით შეიძლება გასაგები იყოს მისი ამ მხრივ ერთგვარი გამონაკლისობა და სიმულტანურ პირობებთან მისი საერთოდ „გათანასწორება“.

როგორც დადგენილია, განწყობის ფაზური მოქმედების ორი პევეტორად განსხვავებული სახესხვაობა გვხვდება.

1. სტატისტიკური განწყობა. — ეს ისეთი სახეა განწყობისა, როცა ცდის პირი ერთხელ შექმნილი უტოლობის განწყობას თავს ვერ აღწევს და კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ განწყობაზე გადასვლას ვერ ახერხებს. ასეთები საერთოდ მცირეა და ჩვენი მასალებითაც (იხ. ცხრილი № 34) იგი შედარებით ცდის პირთა მცირე პროცენტს ახასიათებს: სუქცესურ პირობებში 13,5%-ს და სიმულტანურ პირობებში 10,5%-ს. ამრიგად, თუ სტატისტიკური განწყობის საერთო მონაცემებით ვიმსჯელებთ, შედარებით მეტი სტატისტიკურობა მაინც სუქცესურ პირობებისათვის ჩანს დამახასიათებელი. ანალოგიური მდგომარეობაა ცალ-ცალკე ჰაპტური და კუნთური არეების შედარების შემთხვევაში. ჰაპტურ არეში სუქცესურ პირობებში სტატისტიკური განწყობა ახასიათებს 10%-ს, სიმულტანურ პირობებში კი—4%-ს; კუნთურ არეში სუქცესურ პირობებში—18%-ს. სიმულტანურ პირობებში კი—5%-ს; რაც შეეხება ოპტიკურ არეს. აქ, ერთი შეხედვით, გამონაკლისის სახით საერთო კანონზომიერებიდან, სიმულტანურ პირობებს-(20%) მეტი სტატისტიკური განწყობა ახასიათებს,

ვიდრე სუქცესურს (13%). მაგრამ ეს განმარტებისობა საერთო კანონზომიერებიდან შეიძლება ორი მომენტით იყოს შეპირობებული. აქ ურთიერთს ეღარება ცდის პირთა მკვეთრად განსხვავებული რაოდენობის მონაცემები სუქცესურ პირობებში—100 ცდის პირისა. ხოლო სიმულტანურ პირობებში კი—40 ცდის პირისა; და ეს იმ დროს, როდესაც სიმულტანურ პირობებში მხოლოდ ტაქისტოსკოპიური ცდების მონაცემებია წარმოდგენილი, ხოლო სუქცესიურში კი 50 ცდის პირზე ერთდროულად მოცემულია 50 ეპიდოსკოპიური და 50 ტაქისტოსკოპიური ცდების შედეგები.

ჩვენ გამოვიანგარიშეთ ამ მხრივ იმ 40 ცდის პირის მონაცემი, რომლებზეც ერთდროულად ჩატარებულია ტაქისტოსკოპიური ცდები როგორც სიმულტანურად, ისე სუქცესიურად. ამ ცდებით შემდეგი დადასტურდა: სუქცესიურ პირობებში სტატიკური განწყობა 17.5%-ს აღმოაჩნდა, დინამიკური კი—50%-ს; სიმულტანურ პირობებში სტატიკური განწყობა—17.5%-ს. დინამიკური კი—82.5%-ს. დანარჩენი 32,5% სუქცესურ პირობებში — ე.წ. „უგანწყობონია“, რომელთაც ვერ მოვაქვევთ ვერც სტატიკური და ვერც დინამიკური განწყობის სახეობაში. ამრიგად, ზუსტად ერთნაირ პირობებში ერთსა და იმავე ცდის პირებზე ჩატარებული ცდების მიხედვით, სიმულტანურ პირობებში სტატიკური განწყობის სახეობა როგორც გამონაკლისი (სუქცესურთან შედარებით) ნაკლები მაჩვენებლებით არაა წარმოდგენილი; ისინი ზუსტად ერთნაირი მაჩვენებლებით ხასიათდებიან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, ამ მონაცემებით, დინამიკური განწყობის სახეობა სიმულტანურ პირობებში შესამჩნევად დიდი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი (—82,5%), ვიდრე სუქცესურ პირობებში (—50%), რითაც ოპტიკურ არეების მონაცემები ამ მხრივ ზოგად კანონზომიერების რკალში თავსდება სხვა არეებთან ერთად (იხ. ცხრილი № 34—განწყობის დინამიკური სახის სუქცესიური მაჩვენებლები). ამრიგად, რაკი ოპტიკური არე დინამიკურობის მიხედვით ზოგად კანონზომიერებიდან არც საერთოდ და არც ტაქისტოსკოპიური ცდების მაჩვენებლებით გამონაკლისს არ წარმოადგენს, ამიტომ არ

ცხრილი № 31

განწყობის ფაზური მოქმედების სახეობანი (% %-ში)

№№	არე ფაზების თანმიმდევრობა	ოპტიკური		ვაკუური		აქუსტური		სეროთო	
		სუტტ.	სიბ.	სუტტ.	სიბ.	სუტტ.	სიბ.	სუტტ.	სიბ.
1	I	—	—	—	—	—	—	—	—
2	I-II-III	4	7,5	2	—	4	2,5	3,5	3,8
3	I-II	2	5	—	—	—	—	1	1,9
4	I-III	—	2,5	4	4	6	2,5	2,5	2,8
სულ		6	15	6	4	10	5	7	8,6
5	II	2	—	—	—	2	—	1,5	—
6	III	4	—	—	—	2	—	2,5	—
7	II-III	1	5	4	—	4	—	2,5	1,9
სულ		7	5	4	—	8	—	6,5	1,7
1	სულ სტატისტიკური	13	20	10	4	18	5	13,5	10,5
8	I-II-III-IV	2	7,5	2	4	10	10	4	7,6
9	I-II-IV	10	30	10	56	8	22,5	9,5	33,3
10	I-III-IV	9	12,5	18	8	14	27,5	12,5	17,1
11	I-IV	3	2	4	24	6	20	4	21
სულ		24	70	34	92	38	80	30	79,0
12	II-III-IV	6	—	4	—	6	—	5,5	—
13	II-IV	20	7,5	14	4	8	5	15,5	5,7
14	III-IV	16	2,5	22	—	28	7,5	20,5	3,8
სულ		42	10	40	4	42	12,5	41,5	9,5
II	სულ დინამ.	66	80	74	96	80	92,5	71,5	88,5
III	— IV	21	—	16	—	2	2,5	15	0,9
ნაირსახეობა . . .		13	11	11	6	13	9	14	11
ნაირსახ. ინდექსი		7,7	3,6	4,5	4,2	3,8	4,4	14,2	9,5

არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ სიმულტანურ პირობებში ოპტიკურის გზით ფიქსირებულ განწყობას გამონაკლისის სახით მეტი სტატიკურობა მივაწეროთ. ეს მით უმეტეს იმით, რომ სტატიკურობის საპირისპირო — დინამიკურობის ზანგუნებლებით იგი ძალზე სკარბობს სუქცესურ პირობებს. ხოლო რაკი განწყობის სტატიკურობის საერთო მაჩვენებლები სუქცესურ პირობებში მეტია, ცალ-ცალკე კაპტური და კუნთური არეების ჩათვლით, ამიტომ შეიძლება სუქცესურ პირობებში ფიქსირებული განწყობის მეტ სტატიკურობაზე ვილაპარაკოთ.

სტატიკური განწყობა რამდენიმე სახით შეიძლება გამოვლინდეს:

1. მტკიცე სტატიკური, რომელიც თავის მხრივ ორ სახეობას მოიცავს: — 1. მტკიცე და ტლანქი სტატიკური განწყობა, რომელიც თავიდანვე კონტრასტულ ილუზიებს ავითარებს. უსასრულოდ მასზე ჩერდება და კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობის ნიშნებს არასოდეს არ იძლევა. ჩვენი მასალების მისედვით, ასეთი განწყობა არც სუქცესურ და არც სიმულტანურ პირობებში არ დადასტურდა.

დ. უზნაძის აზრით, ასეთი რამ ნორმალურ ცდის პირებში იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ განწყობის კვლევის პრაქტიკაში ყოველთვის გვხვდება და იგი მაინც ცალკე „დამოუკიდებელ ერთეულად უნდა ჩაითვალოს, რაც ქარაქტეროლოგიურად ადამიანთა სრულიად თავისებურ ჯგუფს ახასიათებს“.1 ჩვენს მასალებში ასეთნი რომ არ აღმოჩნდნენ, ეს გარემოება ორი მოძენით უნდა აიხსნას: ერთი იმით, რომ ჩვენ ცდებს 100 კრიტიკულ ექსპოზიციამდე ვაგრძელებდით განწყობის არ-ალკვეთის შემთხვევაში და ამ ხანგრძლივ ცდებში ცდის პირები I ფაზიდან II—III ფაზაზე გადასვლას ყოველთვის ახერხებდნენ, — და მეორეც, იმით, რომ ცდის პირებად ჩვენ ნორმალური სუბიექტები გვყავდა შერჩეული.

1 დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია“, ტ. VI, 1949 წ., გვ. 60.

2. მტკიცე პლასტიკურ-სტატიკური განწყობა, რომელიც სუქცესურ პირობებში 7%-სა და სიმულტანურში -- 8.6%-ს (ოდნავ მეტ რაოდენობას) ახასიათებს. ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი თავიდანვე ავითარებენ მტკიცე განწყობას I ფაზიანი მოქმედებით, შედეგ ერთგვარ ძვრას-პლასტიკურობას ამჟღავნებენ და მეორემესამე ფაზაში გადადიან, მაგრამ უტოლობის განწყობას საბოლოოდ თავს ვერ აღწევენ და კრიტიკული სიტუაციის აღქვატური აღქმის განწყობაზე ვერ გადადიან. ამრიგად, ეს სუბიექტები მტკიცე და პლასტიკური განწყობისა არიან, რადგან პირველი ფაზიდან იწყებენ და მეორე-მესამე ფაზასაც ავითარებენ ტოლობის გზადაგზა შემჩნევით; მაგრამ მათი ეს განწყობა სტატიკურია, რადგან ერთხელ შექმნილ განწყობას როცემულ მომენტში თავს ვეღარ აღწევენ. ეს ჯგუფი, როგორც ცხრილიდან ჩანს, სამ ქვესახეობას მოიცავს:

ა. არიან სუბიექტები, რომელნიც I ფაზიანი მოქმედებით იწყებენ და მეორე ფაზის გავლით საბოლოოდ (უსასრულოდ) მესამე ფაზაზე ჩერდებიან. ეს მტკიცე სტატიკური განწყობის შედარებით სრული პლასტიკურობის სახეა, რომელიც სუქცესიურ პირობებში ცდის პირთა 3,5%-ს უდასტურდება, ხოლო სიმულტანურ პირობებში კი ოდნავ მეტს—3.8%-ს.

ბ. ისეთნი, რომელნიც I ფაზით იწყებენ და მეორე ფაზაზე ჩერდებიან. ესეც მტკიცე სტატიკური განწყობაა, რომელსაც პლასტიკურობა კი ახასიათებს, მაგრამ არასრულის სახით. ასეთი გვხვდება ძალზე მცირე მაჩვენებლებით: სუქცესურ პირობებში მხოლოდ 1%, სიმულტანურ პირობებში კი—1,9% (ისიც ორივე შემთხვევაში ოპტიკურ არედან).

გ. გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც აგრეთვე I ფაზიანი მოქმედებით იწყებენ და, მეორე ფაზის გამოტოვებით, მესამე ფაზაზე გადადიან და აქ ჩერდებიან. ცხადია, ესეც მტკიცე სტატიკური განწყობაა, მაგრამ არასრული პლასტიკურობის მეორე სახისა, რომელიც სუქცესურ პირობებში მხოლოდ 2,5%-ს ახასიათებს,

ბოლო სიმულტანურ პირობებში ოდნავ მეტს—(2,8%-ს). ამრიგად, როგორც სუქცესურ, ისე სიმულტანურ პირობებში მტკიცე სტატიკური პლასტიკური განწყობის სამი ნაირსახეობა გვხვდება. როგორც ამ ნაირსახეობების, ისე საერთოდ ასეთი სახის განწყობის მონაცემთა კანონზომიერება ისეთია, რომ, თუმცა მცირე სხვაობით, მაგრამ ყოველთვის, სიმულტანურ პირობებს მტკიცე სტატიკურ-პლასტიკური განწყობის სახეობა მეტად ახასიათებს. ვიდრე სუქცესურ პირობებს

3. არსებობს სტატიკური განწყობის მეორე ჯგუფიც, რომელსაც ასეთი სიმტკიცე არ გააჩნია. აქ პირველფაზიან მოქმედებას არ ვხვდებით; ამ შემთხვევაში ცდის პირები თავიდანვე განწყობის ისეთ არამტკიცე მოქმედებას ავითარებენ, სადაც ილუზიური აღქმის გვერდით ყოველთვის ტოლობის შემჩნევასაც ახერხებენ, იწყებენ მეორე ან მესამე ფაზით და ბოლოს ამაზევე ჩერდებიან. თუმცა არამტკიცე, სუსტს, მაგრამ უტოლობის განწყობის მოქმედებას აქაც თავს ვერ აღწევენ და კრიტიკული სიტუაციის აღქვატურ განწყობაზე გადასვლას ვერ ახერხებენ. ასეთები შესამჩნევად მეტი რაოდენობით გვხვდება სუქცესურ პირობებში—6,5%, სიმულტანურ პირობებში კი ძალზე მცირე—1,9% (ისიც მხოლოდ ოპტიკურ არიდან). ამრიგად, გამოსდის, რომ სუქცესურ პირობებს შეიღარებით მეტად ახასიათებს სტატიკური განწყობა. ეს არამტკიცე—სუსტი სტატიკური განწყობაა, იმდროს, როცა სიმულტანურ პირობებს ნაკლებად ახასიათებს სტატიკური განწყობა; მაგრამ ეს ნაკლებობა ყოველთვის მტკიცე სტატიკური განწყობის სახითაა წარმოდგენილი.

ეს არამტკიცე — სუსტი სტატიკური განწყობა სამი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი:

ა. არამტკიცე—სუსტი სტატიკური, ტლანქი განწყობა გვხვდება ძალზე მცირედ, მხოლოდ სუქცესურ პირობებში—1,5%, და ისიც მარტო ოპტიკურ და კუნთურ

არეში, პაპტურ არეში ეთი არ დასტურდება. აქ განწყობა შედარებით ძლიერი და ტლანქი II ფაზით (+ =) იწყება. ცდის პირი კონტრასტული ილუმინების გვერდით ტოლობის შემჩნევასაც ახერხებს და ასე ვრქელდება უსასრულოდ. ცდის პირი განწყობას თავს ვერ აღწევს. იგი სტატიკურია, მაგრამ რა ფაზითაც იწყებს, იმაზევე ჩერდება,—ტლანქია.

ბ. ასევეა არამტკიცე —სუსტი. ტლანქი განწყობის მეორე ნაირსახეობა. მისი სპეციფიკა ისაა, რომ იგი მეორე ფაზიანი მოქმედების გარეშე უშუალოდ მესამე ფაზიანი მოქმედებით (+ — =) იწყებს და მასზევე ჩერდება უსასრულოდ. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს უკრავ ტლანქ სტატიკურ. მაგრამ შედარებით სუსტ. არამტკიცე განწყობასთან. ასეთიც მხოლოდ სუქცესურ პირობებში და ისიც მხოლოდ ოპტიკურ და კუნთურ არეში გვხვდება საერთოდ 2.5%⁰ რაოდენობით.

გ. არამტკიცე —სუსტი სტატიკური. მაგრამ პლასტიკური განწყობა. ეს ისეთი განწყობაა, რომელიც მეორე ფაზიანი (+ =) მოქმედებით იწყება და ერთგვარ ძვრას ავითარებს აღკვეთისაკენ. გადადის მესამე. უფრო სუსტ ფაზაზე (+ — =) და, ამრიგად, გარკვეულ პლასტიკურობას ამტკიცებს, მაგრამ ამ არამტკიცე განწყობას თავს ვერ აღწევს და კრიტიკული სიტუაციის აღექვატურ აღქმაზე გადასვლას ვერ ახერხებს. ამრიგად, იგი არა მტკიცე—სუსტი განწყობის პლასტიკური სახეობაა. რომელიც სუქცესურ პირობებში საერთოდ 2.5%⁰-ით გვხვდება და სამივე—ოპტიკურს (1%⁰), პაპტურს (4%⁰) და კუნთურს (4%⁰) არეში დასტურდება, სიმულტანურ პირობებში კი საერთოდ— 1.9%⁰-ით მხოლოდ ოპტიკურ არეში (5%⁰) გვხვდება.

არამტკიცე სტატიკური განწყობა სიმულტანურ პირობებში იშვიათობაა წარმოადგენს. მაგრამ თუ გვხვდება, ისიც მხოლოდ პლასტიკურის სახით. სუქცესურში იგი მეტია. მისი პლასტიკური სახე 2.5%-ს შეადგენს. არამტკიცე-ტლანქი სტატიკური განწყობის ნაირსახეობა კი 4%. მაშასადამე, სიმულტანურ პირობებთან შედარებით სუქცესური პირობებში ფიქსირებულ განწყობას მეტად ახასიათებს არამტკიცე—სუსტი სტატიკური

განწყობა და იგი ამავ ე დროს უფრო მეტ სიტლანქითაა წარმოდგენილი.

აძრივად, ჩვენი მასალებითაც, დასტურდება შემდეგი:

1. ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობაში ცდის პირთა შიგნით, მაგრამ გარკვეულ ჯგუფს განწყობის სტატიკურობა ახასიათებს; მტკიცე—ტლანქი სტატიკური განწყობის სახეობა ამ ჯგუფში არც სუქცესიურსა და არც სიმულტანურ პირობებში არ გვხვდება.

2. სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობისათვის ოდნავ—მეტად დამახასიათებელი აღმოჩნდა განწყობის სტატიკური სახე, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე. მაგრამ ამ უკანასკნელში სტატიკური განწყობა მეტი სიმტკიცითაა წარმოდგენილი, ვიდრე პირველში. აქ სტატიკური განწყობის სიქარბე არამტკიცე, სუსტი სტატიკური განწყობის სახეობითაა უპირატესად წარმოდგენილი.

3. სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობის მეტი სტატიკურობის თვალსაზრისით უფრო მეტად ტლანქი სტატიკური განწყობის სახეობაა წარმოდგენილი; ვიდრე პლასტიკური სტატიკური განწყობის სახეობა. ეს უკანასკნელი ნაკლები სტატიკურობის მატარებელ სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობისათვისაა დამახასიათებელი.

სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას მეტად ახასიათებს სტატიკურობა, მაგრამ აქ სტატიკურობის ნაკლები სიმტკიცისა და მეტი სიტლანქის სახით; სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას კინაკლები სტატიკურობა ახასიათებს, ამ სტატიკურობის მეტი სიმტკიცითა და მეტი პლასტიკურობით.

II — დინამიკური განწყობა. დინამიკური განწყობის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობა ჯერ ტოლობის კრიტიკული სიტუაციის ილუზიურ აღქმაში ვლინდება გარკვეულ კანონზომიერებით ცალკეულ შემთხვევაში, დაბოლოს, იგი აღიკვეთება და ამ კრიტიკული სიტუაციის აღქვატურ

აღქმას უთმობს ადგილს, მასში გადადის. ერთი სიტყვით, მისი დინამიკურობა იმაში გამოიხატება, რომ იგი არ არის სტატიკური -- უცვლელი — ინერტული ახალი სიტუაციის მიმართ; უტოლობის ფიქსირებული განწყობა ბოლოს კრიტიკული ტოლობის სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობაში გადადის.

ცდის პირთა დიდ უმრავლესობას, როგორც ცნობილია, ეს ჩვენი მონაცემებითაც ჩანს, დინამიკური განწყობა ახასიათებს. იგი შემდეგ ნაირსახეობებს შეიცავს:

1. მტკიცე დინამიკური განწყობა — ტლანქისა და პლასტიკურის ნაირსახეობით.

2. არამტკიცე — სუსტი დინამიკური განწყობა. აგრეთვე პლასტიკურისა და სიტლანქის ნაირსახეობით.

ვნახოთ, — როგორაა იგი წარმოდგენილი ჩვენი მონაცემების მიხედვით სუქცესურსა და სიმულტანურ პირობებში.

№ 34 ცხრილიდან ჩანს, რომ დინამიკური განწყობა ორივე შემთხვევაში საკმაოდ დიდი მაჩვენებლებითაა (71,5%—88,5%) წარმოდგენილი. ამრიგად, ფიქსირებული განწყობის ეს სახე ცდის პირთა დიდ უმრავლესობას ახასიათებს და, საერთოდ, განწყობის მოქმედების ძირითად ტიპს—სახეს წარმოადგენს: მაგრამ განწყობის მოქმედების ეს სახე შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი სუქცესურ პირობებში—71,5%, ხოლო მეტად სიმულტანურ პირობებში—88,5%. გამომდინარე აქედან, სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა შედარებით ნაკლები დინამიკურობით ხასიათდება, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა.

ანალოგიური კანონზომიერება დასტურდება ცალ-ცალკე არეების შედარების დროსაც; ყველგან განწყობის დინამიკური სახის მაჩვენებლები შესამჩნევად მეტია სიმულტანურ პირობებში, ვიდრე სუქცესურში.

დინამიკური განწყობის ორი სახიდან მტკიცე დინამიკურ განწყობას ახასიათებს ის, რომ იგი უცილობლად პირველ ფაზიან მოქმედებითაც ხასიათდება და მისი პლასტიკურობის შემთხვევაში II—III ფაზის ან ერთ-ერთი ამათგანის გავლით

ვადადის მეოთხე ფაზაზე. სიტლანქის შემთხვევაში კი იგი პირდაპირ პირველ ფაზიანი მოქმედებიდან თანდათან დასუსტებით, გარკვეული გზის გავლის გარეშე, ერთბაშად აკეთებს ნაბტომს მეოთხე ფაზაში. იგი ტლანქია, მოუქნელი, სანამ არის; ვლინდება როგორც მტკიცე; ჩაქრება და აღიკვეთება, როგორც ასეთი; უტოლობის განწყობის სხვაგვარობაში გადასვლის გარეშე; იგი პირდაპირ აკეთებს ნაბტომს ტოლობის განწყობის კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობაში; საპირისპირო სხვაგვარობაში.

როგორც № 34 ცხრილიდან ჩანს, მტკიცე დინამიკური განწყობის მქონე ცდის პირთა რაოდენობა როგორც ცალკე არეების მიხედვით, ისე საერთო მონაცემებით შესაძინევად ნაკლებია სუქცესიურ პირობებში—30%, ვიდრე სიმულტანურ პირობებში—79%. ამის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა არა მარტო ნაკლები დინამიკურობით ხასიათდება, არამედ ამ დინამიკურობის ნაკლები სიმტკიცითაც, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა.

მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობის სამი ნაირსახეობა გვხვდება:

ა. ისეთი მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობა, რომელიც პირველი მტკიცე ფაზით იწყება და შესაძლებელ ორთავე,—მორე (+ =) და მესამე (+ — =) —ფაზის გავლის შემდეგ ვადადის მეოთხე ფაზაში. ესაა ექსპერიმენტულ პირობებში დადასტურებული დინამიკურ-პლასტიკური განწყობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეალურ-სრულქმნილი სახეობა. ასეთი რამ სუქცესიურ პირობებში ნაკლებად—4% გვხვდება, ვიდრე სიმულტანურ პირობებში—7,6%; ეს გასაგებიცაა. იქ, სადაც ძლიერი აგზნებადობისა და სიმტკიცის, ასე ვთქვათ, შედარებით სრულქმნილი ფიქსირებული განწყობა ვითარდება,—სიმულტანურ პირობებში—მეტადაა შესაძლებელი განწყობის ამ „იდეალური“ სახის განვითარება, ვიდრე საპირისპირო მდგომარეობის შემთხვევაში— სუქცესიურ პირობებში.

ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ოპტიკურსა და ჰაპტურ არეებში ორივე შემთხვევაში ასეთი განწყობის სახეობა სუქცესურ პირობებში შესამჩნევად ნაკლებადაა წარმოდგენილი, ხოლო კუნთურ არეში კი, იქ. სადაც სუქცესიურ პირობებში, სხვა არეებთან შედარებით, მაღალი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა ვითარდება, განწყობის ეს „იდეალური“ სახე სიმულტანურ პირობებში შედარებით ტოლფარდოვნადაა წარმოდგენილი (-10% — 4% — $7,5\%$ -თან); აგრეთვე ამავე სუქცესური პირობების ოპტიკურ და ჰაპტურ არეებთან შედარებით საკმაოდ დიდი მაჩვენებლებით (10% — 2% — 2% -თან).

ბ. მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური, მაგრამ. ასე ვთქვათ, მტკიცე არასრული პლასტიკურ-დინამიკური განწყობა, რომელიც პირველი ფაზის შემდეგ მხოლოდ მეორე ფაზას (+ =) გაივლის და მესამე საბოლოოდ დასუსტებული ფაზის (+ - =) გამოტოვებით გადადის მეოთხე ფაზაში. ასეთივე შედარებით მეტი გიხვდება სიმულტანურ პირობებში— $33,3\%$, ვიდრე სუქცესურ პირობებში— $9,5\%$ (სამჯერ ნაკლები). ეს გასაგები მოვლენაა, ვინაიდან, როგორც ვიცით, მეორე ფაზიანობა შედარებით მეტად ახასიათებს სიმულტანურ პირობებს (იხ. ცხრ. ქმ 27) და ამ შემთხვევაში ისეთი მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობა, რომელიც I ფაზის შემდეგ მხოლოდ მეორე, ამ შედარებით ძლიერი მოქმედების, ფაზის გავლით ასრულებს გამოვლენას, ბუნებრივია. აქ შესამჩნევად მეტი უნდა იყოს.

ცალ-ცალკე. ოპტიკური და კუნთური არეების შედარებისას. სიმულტანურ პირობებში ასეთი განწყობა ერთნაირად—დაახლოებით სამჯერ მეტად დაატურდება. მხოლოდ ამავე პირობების ჰაპტურ არეში, რომელშიაც შედარებით მაღალი აგზნებისა და სიმტკიცის განწყობა ვითარდება (სადაც თითქმის მხოლოდ მეორე ფაზის გავლით, მესამეს გარეშე, ხდება განწყობის აღკვეთა), ასეთი განწყობა სუქცესურ პირობებში, ამავე არესთან შედარებით, კიდევ მეტი სიჭარბით,—დაახლოებით ექვსჯერ მეტია წარმოდგენილი. ამრიგად, გამოდის, რომ მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ეს ნაირსახეობა

მაღალი აგზნებადობისა და სიმტკიცის ფიქსირებული განწყობისათვის ყოფილა დამახასიათებელი. საერთოდ, დინამიკური განწყობის მოქმედების ეს ნაირსახეობა, სიმულტანურ პირობებში სხვა ნაირსახეობასთან შედარებით, საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი და, მაშასადამე, მტკიცე დინამიკური არასრული (III ფაზის გარეშე) პლასტიკური განწყობის ნაირსახეობა საერთოდ სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის ძირითად სახეს—ტიპს წარმოადგენს.

გ. მტკიცე არასრული პლასტიკურ-დინამიკური განწყობის მეორე სახეობაც გვხვდება: მისი თავისებურება ისაა. რომ იგი მტკიცე I ფაზიანი მოქმედების შემდეგ, მეორე ფაზის გარეშე, უშუალოდ მესამე (+—=), უკანასკნელ სუსტ სამწვერიანი მონაცვლეობის ფაზაზე აკეთებს ნახტომს და აქედან გადადის მეოთხე ფაზაში; ასეთი შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი სუქცესიურ პირობებში—12,5% და მეტად სიმულტანურ პირობებში—17,1%. მაგრამ მტკიცე დინამიკური განწყობის სახეობა სუქცესიურ პირობებში რომ საერთოდ შედარებით მცირეადაა წარმოდგენილი, ამ სიმცირეში, აქ განწყობის ეს ნაირსახეობა, სხვა ნაირსახეობასთან შედარებით, მეტის მაჩვენებლებით დასტურდება. სიმულტანურ პირობებში კი იგი ამ სახეობაში შესამჩნევად მცირეა, მტკიცე, დინამიკური არასრული პლასტიკური განწყობის პირველ სახეობასთან შედარებით (17,1%—33,3%-თან). ესეც გასაგები უნდა იყოს, ვინაიდან III ფაზიანობა უპირატესად სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობისათვისაა დამახასიათებელი და ამ სახეობაშიც (ეს № 34 ცხრილიდან ჩანს) განწყობის მოქმედების ისეთი ნაირსახეობა, სადაც მესამე ფაზიანი მოქმედება მონაწილეობს, შედარებით მეტადაა წარმოდგენილი; სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში კი ისეთი ნაირსახეობა სჭარბობს ყველგან, სადაც მეორე ფაზიანი მოქმედებაა წარმოდგენილი.

ამრიგად, მტკიცე დინამიკური განწყობის ამ შედარებით სიმცირეში (სიმულტანურთან შედარებით), რომელიც სუქცესურ პირობებში გვხვდება, შედარებით მეტად წარმოდგენილია მტკიცე დინამიკური არა-

სრული (მეორე ფაზის გარეშე) პლასტიკური განწყობის ნაირსახეობა და იგი სუქცესურ მიმართებაზე ფიქსირებულ, მტკიცე დინამიკური განწყობის ძირითად ნაირსახეობას—ტიპს წარმოადგენს.

დ. მტკიცე დინამიკური განწყობის სახეობაში პლასტიკურის ნაირსახეობათა გვერდით მტკიცე ტლანქი დინამიკური განწყობის მეორე სახეობაც გვხვდება. მისთვის დამახასიათებელი ისაა, რომ მტკიცე პირველფაზიანი მოქმედების შემდეგ მეორე და მესამე ფაზის ან ცალკე ერთ-ერთის გავლის გარეშე, მტკიცე-ძლიერი უტოლობის განწყობის მოქმედებდან ერთბაშად აკეთებს ნახტომს ტოლობის მიმართების სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობაში. განწყობის მოქმედება აქ მტკიცეა. მაგრამ ამავე დროს ისე ტლანქი-მოუქნელი, რომ სანამ არის, იგი ვლინდება როგორც ასეთი, არა და ისევე გაქრება, როგორც გაჩნდა; სხვაგვარად ყოფნა, როგორც უტოლობის განწყობას, მას არ შეუძლია. ამაშია მისი სიტლანქე. ასეთი განწყობა სიმულტანურ პირობებში შედარებით ჭარბად დასტურდება—21%. იმ დროს, როცა სუქცესურ პირობებში, ასეთი მტკიცე ტლანქი დინამიკური განწყობის სახეობა ძალზე მცირე მაჩვენებლებით გვხვდება—4%. ანალოგიური შეფარდებაა ცალკეულ არეების შედარებისას. ამ რიგად, გამომდინის, რომ მტკიცე დინამიკური განწყობის ტლანქი სახეობა უფრო მეტად სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისათვის ყოფილა დამახასიათებელი. და ეს მართლაც ასეა, ვინაიდან სიმულტანურ პირობებისათვის საერთოდ მტკიცე დინამიკური განწყობის სახეობაა ძირითადად დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში ყველა შესაძლებელი სახიდან, მტკიცე, დინამიკურ-პლასტიკურ განწყობის ნაირსახეობებთან ერთად, ამ პირობებში დომინანტური ერთი მთავარი სახეობაც—ტლანქი დინამიკური განწყობა—საკმაოდ დიდი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი, შესამჩნევად მეტად, ვიდრე სუქცესურ პირობებში. ამიტომ ამ მო-

ნაცემებით სხვადასხვა პირობებში სიტლანქე-პლასტიკურობის მეტნაკლებობაზე საერთოდ ვერ ვიმსჯელებთ ვერც დინამიკური განწყობის სახეობის შემთხვევაში. როგორც ქვემოთ დავინახავთ, სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის ძირითად სახეს საერთოდ და, კერძოდ, დინამიკურის სახეობას არამტკიცე დინამიკური განწყობის სახეობა წარმოადგენს, სადაც იგი სიტლანქის მეტი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი (41,5%—9,5%-თან).

მტკიცე დინამიკური განწყობის სახე ცალკე პირობებში, არეების მიხედვით შემდეგი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი: სუქცესურ პირობებში ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ოპტიკურ არეს ახასიათებს—24%. შემდეგ, შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვს ჰაპტურ არეს—34%. დაბოლოს, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დინამიკურობის სიმტკიცისა კუნთურ არეს ახასიათებს—38%. ამრიგად, ჰაპტური და კუნთური არეები სუქცესურ პირობებში შესამჩნევად მეტი სიმტკიცითაა წარმოდგენილი, მაგრამ ამათგან კუნთური არე მაინც საერთოდ მეტის სიმტკიცით ხასიათდება, ვიდრე დანარჩენი ორი.

სიმულტანურ პირობებში კი ჰაპტური არე ხასიათდება მეტის სიმტკიცით—92%, შემდეგ მოდის კუნთური არე—80%, დაბოლოს, ყველაზე დაბალი სიმტკიცით ამ შემთხვევაშიც ოპტიკური არე ხასიათდება—70%.

2. დინამიკური განწყობის მეორე სახეობას არამტკიცე-სუსტი დინამიკური განწყობა წარმოადგენს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ იგი, პირველი მტკიცე ფაზიანი მოქმედების გარეშე, მეორე ან მესამე ფაზით იწყებს თავის მოქმედებას. დაბოლოს, ასეთის აღკვეთას ახერხებს და მეოთხე ფაზაზე გადადის. ასეთი შესამჩნევად ჭარბად სუქცესურ პირობებში გვხვდება—41,5%, სიმულტანურ პირობებში კი შედარებით მცირედ—9,5% (ოთხჯერ ნაკლები). მაშასადამე, ორივე პი-

რობებისათვის დინამიკური განწყობის სახეა უპირატესად დამახასიათებელი. ამ დინამიკური განწყობის სახიდან სიმულტანურ პირობებს მტკიცე დინამიკური განწყობის სახეობა ახასიათებს უპირატესად, ხოლო სუქცესურ პირობებს არამტკიცესუსტი დინამიკური განწყობის სახეობა

ანალოგიური კანონზომიერება დასტურდება აგრეთვე ცალკეულ არეთა შედარებისას. სუქცესიურ პირობებში ყოველი ცალკეული არე არამტკიცე დინამიკური განწყობის სახეობის შესამჩნევად ჭარბი მაჩვენებლებით ხასიათდება. ვიდრე სიმულტანურ პირობებში.

არამტკიცე დინამიკური განწყობის სახეობათა შემდეგი ნაირსახეობანი გვხვდება:

ა. არამტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობა, რომელიც მეორე ფაზიანი მოქმედებით იწყება და მესამე ფაზის გავლის შემდეგ გადადის მეოთხე ფაზაზე. მხოლოდ სუქცესიურ პირობებში დადასტურდა ასეთი: ოპტიკურ არეში—6%; ჰაბტურში—4% და კუნთურში—6%; საერთოდ კი—5.5%.

ბ. არამტკიცე ტლანქი დინამიკური განწყობის პირველი ნაირსახეობა, რომელიც II ფაზიანი მოქმედებით იწყებს და, მესამე ფაზის გავლის გარეშე, ერთბაშად აკეთებს ნახტომს მეოთხე ფაზაში. ასეთი შედარებით ჭარბად სუქცესიურ პირობებში გვხვდება—15,5%, სიმულტანურ პირობებში კი სამჯერ ნაკლები—5,7%.

გ. არამტკიცე, ტლანქი დინამიკური განწყობის მეორე ნაირსახეობა უკანასკნელი მესამე სუსტი ფაზით იწყება და აღიკვეთება მეოთხე ფაზაში გადასვლით. განწყობის ამ ნაირსახეობის სიტლანქეზე შეიძლება პირობითად ვილაპარაკოთ, რამდენადაც მას არ გააჩნია სხვადასხვაგვარად გამოვლენის შესაძლებელი გზა, —სანამ იგი მეოთხე ფაზაში გადავიდოდეს; მაგრამ იგი ტლანქი იმდენად, რამდენადაც სანამ არის ისეა, როგორც გაჩნდა, და ჩაქრება სწორედ როგორც ასეთი, სხვაგვარად ყოფნის გარეშე. ამიტომ

იგი მაინც უფრო სიტლანქის ნიშნებს შეიცავს თავის თავში, ვიდრე პლასტიკურობისას.

ასეთი არამტკიცე, ასე ვთქვათ, უსუსტესი დინამიკური განწყობა სწორედ დინამიკური განწყობის ის ნაირსახეობაა, რომელიც საერთოდ სუქცესურ პირობებში ყველა დანარჩენ ნაირსახეობათა შორის მეტი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი — 20.5%. იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში დინამიკური განწყობის ეს ნაირსახეობა ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით გვხვდება — 3,8%. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთი განწყობა სიმულტანურ პირობებში შედარებით მაღალი აგზნებადობისა და სიმტკიცის კაპტურ არეში სულ არ გვხვდება, ხოლო სუქცესიურ პირობებში კი შედარებით მაღალი აგზნებადობისა და სიმტკიცის კუნთურ არეში შედარებით მეტი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი, ვიდრე დაბალი აგზნებადობისა და სიმტკიცის დანარჩენ ორ — ოპტიკურსა და კაპტურ არეში.

ამრიგად, ბუნებრივია, რომ დინამიკური განწყობის ეს ნაირსახეობა (არამტკიცე სუსტი, ტლანქი, დინამიკური განწყობა) უფრო მეტად სუსტი აგზნებადობისა და სიმტკიცის მქონე სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისათვისაა დამახასიათებელი და მეტად გავრცელებული ტიპიური ნაირსახეობაა.

ამასთანავე, ერთ გარემოებასაც უნდა გაეხვას ხაზი: თუ სიმულტანურ პირობებში დინამიკური განწყობის ნაირსახეობათა შორის ერთი მკვეთრად გამოკვეთილი დინამიკური განწყობის ნაირსახეობა გვხვდება, მტკიცე არასრული (III ფაზის გარეშე) პლასტიკური დინამიკური განწყობის სახით — 33,3%, ხოლო დანარჩენი ნაირსახეობანი შედარებით მცირეა. აქ სუქცესიურ პირობებში განწყობის ნაირსახეობის ასეთი ერთსახეოვანი, გამოკვეთილი დომინანტობა არ დასტურდება.

სუქცესიურ პირობებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოდნავი

განსაუვავებით, დინამიკური განწყობის 4 ნაირსახეობაა დომინანტური:

1. არამტკიცე ტლანქი დინამიკური განწყობის ის ნაირსახეობა, რომელიც III ფაზით იწყება და გადადის IV ფაზაში—20,5%;

2. არამტკიცე ტლანქი დინამიკური განწყობის ის ნაირსახეობა, რომელიც II ფაზით იწყება და გადადის IV ფაზაში—15,5%;

3. მტკიცე არასრული პლასტიკური (II ფაზის გარეშე) დინამიკური განწყობის ნაირსახეობა—12,5% დაბოლოს;

4. მტკიცე არასრული პლასტიკური (III ფაზის გარეშე) დინამიკური განწყობის ნაირსახეობა—9,5%.

III. განწყობის მოქმედების შესამე სახე, რომელიც ჩვენი მასალების მიხედვით (სიმულტანურ პირობებში ეს სახე თითქმის არ გვხვდება —0,9%, ხოლო კუნაჟურ არეში ეს სახე მხოლოდ ერთი ცდის პირს ახასიათებს—2.5%) მარტოოდენ სუქცესიურ პირობებისათვისაა დამახასიათებელი, ისეთია, როცა ცდის პირი თავიდანვე ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობას ავითარებს უტოლობის განწყობის საპირისპიროდ. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ უტოლო სიდიდეთა ხანგრძლივი ექსპოზიცია საგანწყობო ცდებში, ერთი შეხედვით, ამ უტოლობის განწყობის ფიქსაციას ვერ ახდენს და ამის გამო კრიტიკულ ცდებში ამ განწყობის მოქმედებით ტოლ სიდიდეთა ილუზიურად—უტოლოდ აღქმა არ ხდება. ამრიგად, აქ ფიქსირებული განწყობის მოქმედება არ ჩანს. ცდის პირი პირდაპირ ტოლ სიდიდეებს აღიქვამს ადექვატურად. ე.ი. უშუალოდ გვეჩვენა კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობა. რომელშიც თითქოს უტოლობის ფიქსირებული განწყობის ზეგავლენა სრულებით არ ჩანს.

დღემდე ასეთ შემთხვევებს „ფიქსაციის უნარმოკლებულობას“ უწოდებდნენ და ცდის პირნი, რომლებიც ასეთს ავითარებდნენ, ისეთებად ითვლებოდნენ „რომლებიც მოკლებული არიან შინაგან წარმმართველ ძალას, თითქოს გარე-

დან მომდინარე შთაბეჭდილებათა სრულ განკარგულებაში იმყოფებოდნენ (ხაზი ჩვენია, ა.კ.) და, ამრიგად უკიდურესი ექსტრავერტულობით ხასიათდებიან.¹ მაგრამ ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია, რომ მხოლოდ საგანწყობო ცდების საერთოდ მიღებული ოპტიმუმის შემთხვევაში არიან ცდის პირები „ფიქსაციას უნარმოკლებულნი“—„ექსტრავერტულნი“. თორემ საგანწყობო ცდების რიცხვის გაზრდის შემთხვევაში იშვიათია ისეთი ცდის პირი, რომელსაც საზოგადოთ განწყობა არ უფიქსირდებოდეს.² „საგანწყობო ცდების ჩვეულებრივი რაოდენობა არაა ამ პირებისათვის საკმარისი, რათა მათში განწყობის ფიქსაცია მოხდეს“.³ ამრიგად გამოდის, რომ „ფიქსაციის უნარმოკლებულობა“ საზოგადოდ შეუძლებელია, მაგრამ ჩვეულებრივ საგანწყობო ცდებში კი ასეთი დასტურდება.

ჩვენი მასალების მიხედვით, არც ჩვეულებრივი საგანწყობო ცდების ოპტიმუმის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ფიქსაციის უნარმოკლებულობაზე ან განწყობის შეუმუშავებულობაზე იმ ცდის პირების მიმართ, რომელნიც ილუზიური ფაზის გარეშე, უშუალოდ ტოლ სიდიდეთა შედარებისას, ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის შემდგომ კრიტიკულ ცდებში აღქვატურა აღქმის ისეთ განწყობას ავითარებენ, რაც იშვიათობას წარმოადგენს.

როგორც აღნიშნული იყო, ჩვენი გაგებით მეოთხე ფაზა უბრალოდ უტოლობის ფიქსირებული განწყობის აღკვეთას კი არ წარმოადგენს, არამედ, თუმცა მისი საპირისპირო სხვაგვარობას, მაგრამ ამ მომენტში მისითვე შეპირობებულ განწყობას, ე.ი. ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის აღქვატური აღქმის ისეთ განწყობას, რომელიც ამ სახით არასოდეს არ გვექნებოდა, რომ მის წინ უტოლობის განწყობის ფიქსაცია არ მოგეხდინა.

1 დ. უზნაძე, განწყობის ფსიქ. ექსპ. სათუქმლები, გვ. 63.

2 ბ. ხაჭაპურიძე, განწყობათა ურთიერთშეცვლის ფაზური ხასიათი, „მასალები“ ტ. I, გვ. 121.

3 დ. უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული სათუქმლები, იქვე.

ჩვენი აზრით, იმ შემთხვევაში, როცა ცდის პირი საგან-
წყობო ცდების შემდეგ უშუალოდ IV ფაზაზე გადადის (10
ადექვატური აღქმის დადასტურებით), ეს იმას როდი უნდა
ნიშნავდეს, რომ ამ შემთხვევაში უტოლობის განწყობის
ფიქსაცია არ მომხდარა საზოგადოთ, არამედ იმას, რომ ისეთი
ძალის ფიქსაცია არ მოხდა, რომ შემდგომ კრიტიკული
ტოლი ობიექტების ილუზიურად აღქმა განაპირობოს. მაგრამ,
როგორც ვიცით, ადამიანს ისედაც აქვს ბუნებრივად ფიქსი-
რებული განწყობა უტოლობისა, ვიდრე ტოლობისა, და ამ
შემთხვევაში ჩვენი საგანწყობო ცდები (მკვეთრად განსხვავე-
ბული უტოლო სიდიდეებით) იმას ახერხებენ, რომ ამ უტო-
ლობის „ბუნებრივ“ განწყობას „აძლიერებენ“, ან შედარებით
დიფუზური ბუნებრივ უტოლობის განწყობას ჩრდილავენ და
ახალ გარკვეულ მიმართულებების უტოლობის განწყობას
ავითარებენ მოცემულ მომენტში. და როცა ეს ახალი და
„ძლიერი“ განწყობა ტოლობის მიმართების კრიტიკულ სი-
ტუაციას უპირისპირდება, იგი ერთბაშად მთელი ძალით
თავის საპირისპირო სიტუაციის ადექვატური აღქმის გან-
წყობაში გადადის და მისი ადვილად წარმოშობას განაპირო-
ბებს. ამასთანავე გადადის ისეთ განწყობაში. რომელიც
ცდის პირს სხვა შემთხვევაში არ ექნებოდა. თუ არა ჩვენი
საგანწყობო ცდების შედეგად.

ფრ. ენგელსის აზრი რომ გამოვიყენოთ. ამ კონკრეტულ
ვითარებაში ჩვენ გვაქვს „პოლარულ დაპირისპირებათა
ურთიერთ გამსკვალვა და ურთიერთში გადასვლა“.¹

ამრიგად, ცდის პირები, რომელნიც თავიდანვე IV ფაზას
ავითარებენ, ისეთი ცდის პირები კი არ არიან, რომელთაც ამ
შემთხვევაში საზოგადოდ არავითარი განწყობა არ შეუმუშავ-
დათ, არამედ ისეთნი, რომელთაც ისეთი სახისა და ძალის
უტოლობის განწყობა გაუფიქსირდათ, რამაც ყოველგვარი სა-
ფეხურის გავლის გარეშე ერთბაშად საპირისპირო განწყობის
(ცდის პირისათვის მანამ უჩვეულო ტოლობის განწყობის)
წარმოშობა განაპირობა.

¹ ფრ. ენგელსის ბუნების დიალექტიკა, გვ. 3.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ განწყობის ფაზური მოქმედების კვლევისას საკითხის ასე დაყენების აუცილებლობა ბ. ხაქაპურიძეს უდავოდ ნაგრძნობი აქვს. იგი ასეთ ცდის პირებს, აუწყა ისეთებად ახასიათებს, „რომლებშიც განწყობის შემუშავება არ მოხდა“. მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ „გარკვეული აზრით განწყობის „არშემუშავება“ შეიძლება ახალი განწყობის უსწრაფესად წარმოშობას ნიშნავდეს, მათი „ელვისებური სისწრაფით ცვლას“¹.

ბ. ხაქაპურიძე ასეთ ცდის პირებს ახასიათებს მყისთანადი ანუ სუბიტალური განწყობის ტიპებად და გულისხმობს, რომ განწყობა, რომელიც ცდის პირს უდავოდ ჰქონდა უტოლო ობიექტების აღქმისას, როგორც ამ სიტუაციის განწყობა, ელვის სისწრაფით იცვლება მხოლოდ ახალი სიტუაციის შესაფერისი განწყობით. ამგვარი გაგებით მაინც ისე გამოდის, რომ პირველსა და მეორე შემთხვევაში სიტუაციის შესაფერ განწყობასთან გვექონდა საქმე, ე. ი. შეიცვალა სიტუაცია, მყისვე შეიცვალა განწყობაც, მაგრამ პირველით შეპირობებული თითქოს არაფერია მაინც მეორეში; ჩვენი გაგებით კი, პირველითაა შეპირობებული მეორე, საპირისპირო სიტუაციის აღქვატური აღქმის განწყობა. ეს პირველის მეორეში — საპირისპიროში გადასვლაა — მყისთანადი. ამიტომ საპირისპიროში გადასვლის ეს მომენტი, ამ საპირისპირო განწყობის პირველით განსაზღვრულობის მომენტი რომ ჩანდეს, ჩვენი აზრით, განწყობის ასეთი მოქმედების სახე — ტიპი ისეთი ტერმინით უნდა დაგვეხასიათებია, რომელშიაც ეს მყისთანადობაც იქნებოდა ნაგულისხმევი და საპირისპიროში გადასვლის (და არა ცვლის მხოლოდ) მომენტიც. აქედან გაომდინარე, ჩვენი აზრით, განწყობის მოქმედების ასეთ სახეს პირობითად იმედია ტურ-კონტრავერსიული განწყობის სახე შეიძლება ვუწოდოთ (მყისთანადად, შუამავლის გარეშე საპირისპირო განწყობაში გადასვლის სახე), რომელიც განწყობათა ნაირსახეობაში სიმტკიცის ნიშანწყალს მოკლებულ უსუსტეს განწყობას წარმოადგენს.

¹ ბ. ხაქაპურიძე. განწყობათა ურთიერთშეცვლის ფაზური ხასიათი, „მასალები“, გვ. 125.

ასეთი იმედიატურ კონტრავერსიული განწყობის სახე ჩვენს ცდების მიხედვით სიმულტანურ პირობებში თითქმის სულ არ დასტურდება (1 ცდის პირი 105-დან—0,9%)¹; ხოლო ის ერთი ცდის პირი, რომელიც აქ გვხვდება, ასეთ განწყობას მხოლოდ კუნთურ არეში ავლენს, რაც ბუნებრივია, რადგან ამავე არეში სუქცესურ პირობებში მხოლოდ მას აღმოაჩნდა განწყობის ეს სახე. საერთოდ კი, არ გვქონია შემთხვევა, რომ სიმულტანურ პირობებში ცდის პირი თავიდანვე IV ფაზას ავითარებდეს და ამავე დროს მას სუქცესიურ პირობებში წინა ფაზები ჰქონდეს.

სუქცესურ პირობებში თავიდანვე მეოთხე ფაზიანობა საერთოდ 15%-ით დასტურდება და უპირატესად სუსტი აგზნებადობისა და სიმტკიცის ოპტიკურ (21%) და ჰაპტურ არეებში (16%) გვხვდება.

გასაგებია, რომ განწყობის ეს უსუსტესი სახე სუქცესიურ პირობებში გვხვდება. ეს გარემოება უპირატესად მისი არა-სიმტკიცის, სისუსტის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია. ამასთანავე ისიც გასაგებია, რომ ამ პირობებში იგი შედარებით მაღალი სიმტკიცისა და ძლიერი აგზნებადობის კუნთურ არეში იშვიათად (მხოლოდ—2%) დასტურდება.

ბ. ხაჭაპურიძის მონაცემებით, სიმულტანურ პირობებში ასეთი განწყობა 6%-ით დასტურდება¹; იგივე ჩანს სხვა მკვლევართა მონაცემებითაც, თუმცა მაინც მეტი რაოდენობით: ვიდრე ჩვენ სიმულტანურ ცდებში. მაგრამ ეს ფაქტი აიხსნება მხოლოდ ჩვენი კრიტიკული ცდების ხანგრძლივობით (კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობის დადგენის კრიტერიუმი—10).

როგორც ვიცით, ბ. ხაჭაპურიძე უტოლობის განწყობის აღკვეთის კრიტერიუმად 3 თანმიყოლებით ადექვატურ აღქმას თვლიდა, სხვები 5 ადექვატურ აღქმას. ცდის პირები, რომლებიც ასეთს თავიდანვე დაადასტურებდნენ, მხოლოდ მეოთხე ფაზიანთა (ბ. ხაჭაპურიძისათვის III ფაზა იყო უკანასკნელი) კატეგორიაში თავსდებოდნენ. ცხადია, ჩვენც რომ ასე შეგვეწყვიტა ცდები, მაშინ ცდის პირთა საკმაო რაოდენობა

¹ ბ. ხაჭაპურიძე, დასახელებული ნაშრომი, ცხრილი №8, გვ. 126.

უნობა სიმულტანურ პირობებში განწყობის ასეთ სახეს მოგვეცემდა და კიდევ უფრო გაიზრდებოდა იგი სუქცესიურ პირობებში; მაგრამ ის ცდის პირები. როდელნიც ჩვენს ცდებში თავიდანვე თანმიყოლებით 3—5 ადექვატურ ალქმას ან კიდევ 10-ზე ნაკლებ ადექვატურ ალქმას ადასტურებდნენ და შემდეგ საკმაო ხანგრძლივობით ილუზიურ ($\pm =$ ნარევე ან $+ - =$ ნარევე) ალქმებს იძლეოდნენ. ჩვენთან იმთავითვე მეორე ან მესამე ფაზიანთა სახეობაში მოხვდნენ და სწორედ ამის შედეგად აღნიშნული ტიპის განწყობა იშვიათია სიმულტანურ პირობებში.

№ 35 ცხრილში წარმოდგენილია განწყობის ნაირსახეობათა სუბარული მაჩვენებლები პლასტიკურობა-სიტლანქისა და სიმტკიცე-სისუსტის მიხედვით. ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ პლასტიკური განწყობა საერთოდ მეტადაა წარმოდგენილი სიმულტანურ პირობებში—68.5%, ხოლო სუქცესიურ პირობებში იგი ნაკლები მაჩვენებლებით გვხვდება—41%. ანალოგიური შეფარდებაა ცალკე არეების მიხედვითაც: ყველგან სიმულტანურ პირობებში ფიქსირებული განწყობის პლასტიკურობის მაჩვენებლები შესაძინებლად სჭარბობს სუქცესიურ პირობებში ფიქსირებული განწყობის პლასტიკურობის მონაცემებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სიმულტანურ პირობებში უპირატესად პლასტიკური განწყობა გვაქვს: იგი მტკიცე პლასტიკურია. არამტკიცე, სუსტი პლასტიკური განწყობა კი, როგორც იშვიათობა. გვხვდება მხოლოდ ოპტიკურ არეში (5%), საერთოდ კი—1.9%.

რაც შეეხება სუქცესიურ პირობებს, აქაც არამტკიცე-სუსტ პლასტიკურ განწყობას ძალზე სჭარბობს მტკიცე პლასტიკური განწყობა (5-ჯერ და მეტადაც) როგორც საერთოდ, ისე ცალკეულ არეებში. მიუხედავად ამისა, არამტკიცე პლასტიკური განწყობა მინც ყველა არეში გვხვდება: ოპტიკურ არეში 7%—27%-თან, ჰაპტურ არეში 8%—36%-თან, კუნთურ არეში 10%-42%-თან, საერთოდ კი 8%—33%-თან.

ამრიგად ჩანს, რომ სუქცესიურ პირობებს სიმულტანურ პირობებთან შედარებით ნაკლები პლასტიკურობა ახასიათებს. მიუხედავად ამისა, აქაც აშკარად სჭარბობს მტკიცე პლასტიკური განწყობის სახეობა, თუმცა, სიმულტანური

პირობებისაგან განსხვავებით, საკმაოდ გვხვდება არამტკიცე პლასტიკური განწყობის სახეობაც.

რაც შეეხება ტლანქი განწყობის ნაირსახეობას, როგორც ამავე ცხრილიდან ჩანს, შედარებით ჭარბად იგი სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობაშია წარმოდგენილი (44% საერთოდ, სიმულტანურ პირობებში კი 30,5%). ანალოგიურად, ცალკე არეების მიხედვით, ტლანქი განწყობის ნაირსახეობანი ყველა არეებში შედარებით მეტი მაჩვენებლებით სუქცესიურ პირობებშია წარმოდგენილი. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: სიმულტანურ პირობებში ამ შემთხვევაში ტლანქი განწყობის არამტკიცე ნაირსახეობის მაჩვენებლები, თუმცა სუქცესიურ პირობებთან შედარებით მცირე, მაგრამ მაინც საკმაოდ გვხვდება როგორც საერთოდ, ისე ყველა არეში ცალ-ცალკე. მაგრამ სიმულტანურ პირობებში ამ შემთხვევაშიც ტლანქი, მტკიცე განწყობის მაჩვენებლები შედარებით მეტია საერთოდ და ცალ-ცალკე არეებში, ვიდრე ტლანქი არამტკიცე განწყობის ნაირსახეობათა მაჩვენებლები. განსაკუთრებითაა დიდი სხვაობა პატურ არეში (24% ტლანქი მტკიცე განწყობის ნაირსახეობა, — 4% არამტკიცე განწყობის ნაირსახეობასთან შედარებით).

რაც შეეხება სუქცესიურ პირობებს, აქ სიმულტანურ პირობებთან შედარებით, ტლანქი განწყობის ნაირსახეობა ჭარბადაა წარმოდგენილი. ამ ტლანქი განწყობის სახეობაში, როგორც საერთოდ, ისე ცალკეულ არეებში ყველგან არამტკიცე, ტლანქი განწყობის ნაირსახეობათა მაჩვენებლები სჭარბობს მტკიცე, ტლანქი განწყობის მაჩვენებლებს: ასე მაგალითად: ობტიკურ არეში არამტკიცე ტლანქი განწყობა — 42%, მტკიცე, ტლანქი განწყობა — 3%/ო-ი; პატურ არეში შესატყვისად; 36% — 4%/ო-ი და კუნთურ არეში — 40% და 6%/ო-ი, საერთოდ კი — 40%/ო და 4% -ი.

ამრიგად, სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას მეტი სიტლანქე ახასიათებს, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას. ამ მეტი სიტლანქის სახეობათაგან არამტკიცე სუსტი-ტლანქი განწყობის ნაირსახეობანია უპირატესად წარმოდგენილი.

განწყობის პლასტიკურობა და სიტლანქე (% %-ში)

არე	ობტიკური		პაპტური		კუნთური		საერთო	
	სუქს.	სიბ.	სუქს.	სიბ.	სუქს.	სიბ.	სუქს.	სიბ.
პირობები სახე								
პლასტ. მტკიცე .	27	65	36	72	42	65	33	66,6
პლასტ. სუსტი	7	5	8	—	10	—	8	1,9
სულ. პლასტ.	34	70	44	72	52	65	41	66,5
ტლანქი მტკიცე .	3	20	4	24	6	20	4	21
ტლანქი სუსტი	42	10	36	4	40	12,5	40	9,5
სულ ტლანქი	45	30	40	28	46	32,5	44	30,5
„უგანწყობონი“ .	21	—	16	—	2	2,5	15	0,9

მაშასადამე, ჩვენი მაჩვენებლებით დასტურდება (თუ განწყობის სახეობათა მაჩვენებლების მიხედვით ვიმსჯელებთ), რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისათვის ნაკლები პლასტიკურობა და მეტი სიტლანქე ყოფილა დამახასიათებელი და ამ სიტლანქესთან ერთად ნაკლები სიმტკიცეც, ხოლო სიმულტანურ პირობებში ფიქსირებული განწყობისათვის კი მეტი პლასტიკურობა, ნაკლები სიტლანქე და მეტი სიმტკიცე.

ჩვენი მასალების მიხედვით, განწყობის მოქმედების შესაძლებელ 15 ნაირსახეობათაგან სუქცესიურ პირობებში 14 ნაირსახეობა—ტიპი გვხვდება; ხოლო სიმულტანურ პირობებში კი 11 ნაირსახეობა, ხოლო არცერთ პირობებში არ გვხვდება მტკიცე ტლანქი სტატიკური განწყობის ნაირსახეობა.

ფიქსირებული განწყობის მოქმედების ძირითად სახეს

ცდის ორივე პირობებში დინამიკური განწყობა წარმოადგენს, მაგრამ სიმულტანურ პირობებთან შედარებით დინამიკური განწყობის ნაირსახეობანი სუქცესიურ პირობებში წესისამებრ უფრო ნაკლები %⁰-ითაა წარმოდგენილი, თუმცა აქაც იგი ცდის პირთა დიდ მასას ახასიათებს (71,5%).

დინამიკური განწყობის შესაძლებელ 7 ნაირსახეობათაგან სუქცესიურ პირობებში მეტ-ნაკლებად ყველა ნაირსახეობა ვვხვდება, ხოლო სიმულტანურ პირობებში კი 6 ნაირსახეობა, კერძოდ, ერთი სახეობა—არამტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ნაირსახეობა სიმულტანურ პირობებში არ დასტურდება.

სუქცესიურ პირობებში დინამიკური განწყობის ნაირსახეობათაგან ერთი რომელიმეს განსაკუთრებით, დომინანტური სახით, გამოკვეთა არ დასტურდება. აქ არამტკიცე ტლანქი დინამიკური განწყობის 2 ნაირსახეობაა შედარებით ჭარბად წარმოდგენილი და შემდეგ მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობის 2 ნაირსახეობა საკმაო რაოდენობით (I—III—IV ფაზიანები და I—II—IV ფაზიანები). სიმულტანურ პირობებში კი აშკარად დომინანტობს მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ერთი ნაირსახეობა (I—II—IV ფაზიანები) და მასთან საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი მტკიცე-ტლანქი დინამიკური განწყობის ნაირსახეობა. დაბოლოს, მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ერთი ნაირსახეობათაგანი (I—III—IV ფაზიანები).

საერთოდ, სუქცესიურ პირობებში მტკიცე დინამიკური განწყობის ნაირსახეობანი შედარებით იშვიათია (ორჯერ ნაკლები); ვიდრე სიმულტანურ პირობებში; ხოლო არამტკიცე დინამიკური განწყობის ნაირსახეობანი შედარებით ჭარბად (ოთხჯერ მეტ) არის წარმოდგენილი; მათ შორის ამ ნაირსახეობათაგან აქ დიდი რაოდენობით ვხვდება არამტკიცე ტლანქი დინამიკური განწყობის ნაირსახეობანი (II—IV და III—IV ფაზიანები); დაბოლოს, იმედიატურ კონტრავერსული განწყობის ნაირსახეობა (უსუსტესი მოქმედების სახე—თავიდანვე IV ფაზიანები) მხოლოდ სუქცესიურ პირობებში დას-

ტვრდება საკმაოდ დადებითად; სიმულტანურ პირობებში იგი იშვიათობას წარმოადგენს.

სიმტკიცის მიხედვით, სუქცესიურ პირობებში უფრო გავრცელებულია არამტკიცე განწყობას ნაირსახეობანი. ხოლო სიმულტანურ პირობებში კი მტკიცე განწყობის ნაირსახეობანი.

პლასტიკურობა-სიტლანქის მიხედვით, სუქცესიურ პირობებში უფრო გავრცელებულია არამტკიცე ტლანქი განწყობის ნაირსახეობანი. სიმულტანურ პირობებში კი პლასტიკური განწყობის ნაირსახეობანი (განწყობას ნაირსახეობათა გავრცელებულობის ნათლად წარმოსადგენად იხ. თანდართული გრაფიკი № 1,2).

აქედან, ამ ნაირსახეობათა გავრცელებულობის მიხედვით, საერთოდ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის თავისებურებაზე რომ ვიმსჯელოთ, შეიძლება ვთქვათ, რომ სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობასთან შედარებით, სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას ოდნავ მეტი სტატიკურობა, შესამჩნევად დაბალი დინამიკურობა (თუმცა დინამიკურობა ორივესათვის უფრო დამახასიათებელია, ვიდრე სტატიკურობა), საკმაოდ მეტი სიტლანქე და ნაკლები პლასტიკურობა, შესამჩნევად დაბალი სიმტკიცე და სუსტი აგზნებადობა ახასიათებს; სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას კი ახასიათებს ოდნავ ნაკლები სტატიკურობა, შესამჩნევად მაღალი დინამიკურობა, ნაკლები სიტლანქე და საკმაოდ მეტი პლასტიკურობა, შედარებით მაღალი, დიდი სიმტკიცე და, მათასადამე, ძლიერი აგზნებადობა.

აქვე ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. საბუნდობრო შემდეგს: სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას რომ შედარებით ნაკლები დინამიკურობა ახასიათებს, ეს მხოლოდ ფაზათა ურთიერთშეცვლის მიხედვით მიღებული და უკვე დადგენილი განწყობის დინამიკურობის ცნების მიხედვითაა ასე, თორემ ფაზათა შიგნით (II III ფაზები) განწყობათა მიმართულების ცვლის მიხედვით რომ შინაფაზური დინამიკის შესახებ ვიმსჯელოთ (იხ. თავი III—განწყობათა

მონაცვლეობის შესახებ), მაშინ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას მეტი შინაფაზური დინამიკურობა ახასიათებს, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულს.

ამრიგად, პირველის მეტი სტატიკურობა გაგებულ იქნება არა როგორც საერთოდ ნაკლებ მოძრაობა, ნაკლებ დინამიკური განწყობის სტატიკურობა, არამედ როგორც მეტად მოძრაობის ცვალებადი, მეტი შინაფაზური დინამიკის მქონე განწყობის სტატიკურობა-უცვლელობა.

§ 4. განწყობის შემობრუნებადობის, ე. წ. „რეციდივის“ საკითხი

როგორც ვიცით, განწყობა თავის მტკიცე მოქმედებას თანმიყოლებით კონტრასტულ ილუზიებში ავლენს (ი ფაზა) და შემდეგ იგი მეორე ფაზაში გადასვლისას კონტრასტული ილუზიების გვერდით ადექვატურ აღქმის მონაცვლეობაში ვლინდება. ჩვენი მასალების მიხედვითაც, ამ ფაზაში და საერთოდ განწყობის მთელი მოქმედების გასწვრივ კონტრასტული ილუზიების გამოვლენა „მეტი „შეჯგუფებულობით“ და მეტი თანმიმდევრობითი სიხშირით“¹ ხასიათდება. ვიდრე ასომილატური ილუზიები, რომლებიც არათანმიყოლებითი ჩანაცვლების სახით, ფაზების ჩვენი განლაგების მიხედვით, ადექვატური აღქმისა და კონტრასტული ილუზიების გვერდით დასტურდება.

კონტრასტული ილუზიები კი ხშირ შემთხვევაში განწყობის აღკვეთის პროცესში თითქმის ხელახალის ძალით (ანდა პირველი ფაზიანი მოქმედების გარეშე, განწყობის თითქმის ჩაქრობის გზაზე, მოულოდნელად, ერთბაშად) შეიძლება წარმოიშვან და ზოგ შემთხვევაში ისინი უახლოვდებიან განწყობის პირველ ფაზიან მოქმედებას და ზოგჯერ კი (არა იშვიათად) აჭარბებენ კიდევ მას. ერთი შეხედვით, ეს მისუსტებული, აღკვეთის პირზე მისული განწყობა მეტისმეტი სიძლიერ-

¹ ზ. ხოჯაევა—ფიგურის ფაქტორი განწყობის მოქმედებაში, თ. ს. უ. შრომები, ტ. XVII, გვ. 66.

რით გვაგრძნობინებს თავის ძალას (თანმიყოლებით კონტრასტული ილუზიებით), სანამ საბოლოოდ დაუთმობდეს ადგილს ახალს—ტოლობის კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ აღქმის განწყობას.

„ერთი ცდის პირი თავიდანვე მხოლოდ ორ კონტრასტულ ილუზიას იძლევა (I ფაზა), შემდეგ ორ ადექვატურ აღქმას, და იმის მაგივრად, რომ შეფასების ამ ორის განსხვავებული საფეხურის შემდეგ განწყობა სრულიად გამქრალიყო, განსაკუთრებული სიძლიერით იგი სწორედ ახლა იჩენს თავს და ზედიზედ 12 კონტრასტულ ილუზიას წარმოშობს; ან კიდევ: სუთი კონტრასტული ილუზიის შემდეგ რხევა იწყება „ტოლობებსა“, ასიმილაციებსა და რამდენიმე კონტრასტულ ილუზიას შორის, და უკვე ამ ურთიერთ მონაცვლეობის მექესე საფეხურზე — ორჯერ ზედიზედ ტოლობის შემდეგ — 7 კონტრასტული ილუზია ჩნდება, ე. ი. განწყობის ისეთი მტკიცე მოქმედება, რომელიც მის პირველ ეტაპსაც კი სჯობნის; ისე გამოდის, თითქოს ერთხელ შექმნილი განწყობა რეციდივისტულად მოქმედებდეს: როცა გგონია, რომ მრავალჯერ რხევის შემდეგ იგი შესუსტდა და სადაც არის უნდა აღიკვეთოს, კვლავ ისევ პირვანდელ სიმტკიცეს ანახლებს ან უახლოვდება მას. განწყობის მოქმედების ასეთი რეციდივი, და ისიც რამოდენიმეჯერ, მომდევნო ეტაპისათვის ჩვეულებრივია და კონტრასტული ილუზიების სიჭარბესაც ეს „რეციდივიები“ ქმნიან“¹—ამბობს ზ. ხოჯავა.

ჩვენ ამ შემთხვევაში I ფაზის მომდევნო ეტაპზე კონტრასტული ილუზიების სიჭარბის საკითხი არ გვაინტერესებს. ზ. ხოჯავას შრომიდან ეს ამონაწერი იმისათვის მოვიტანეთ, რომ, ვფიქრობთ, აღკვეთის პროცესში განწყობის მოქმედების არსი სწორედ მის ასეთ „რეციდივისტულ“ მოქმედებაში შეიძლება მდგომარეობდეს, რაც აქ ზედმიწევნით სიზუსტითაა გადმოცემული.

განწყობის მოქმედებაში და მისი აღკვეთის გზაზე ეს „რეციდივი“ კანონზომიერი მოვლენა გვგონია. აღკვეთის პრო-

¹ ზ. ხოჯავა. ფიგურის ფაქტორი განწყობის მოქმედებაში. გვ. 66.

ცესის არასწორხაზობრივი მსვლელობისა გამო გზადაგზა მისი შემობრუნება ჩვენ მიგვაჩნია გაქრობის გზაზე შემდგარი მოვლენის ერთგვარ „გაბრძოლებად“, სანამ იგი ღის შემცვლელ საპირისპირო განწყობას დაუთმობდეს ადგილს და მასში გადავიდოდეს.

ვინაიდან უტოლობის განწყობის აღკვეთის კრიტერიუმად ჩვენ საკმაოდ დიდი რიცხვი (თანმიყოლებით 10 ადექვატური აღქმა) გქვონდა მიღებული, ამიტომ ღან როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესურ პირობებში ასეთი „რეციდივის“ თუ განწყობის ხელახალი შემობრუნების საკმაო ფაქტები დაგვიდასტურა.

განწყობის შემობრუნების, ე. წ. „რეციდივის“ ჩაქრობის გზაზე ერთი ან რამდენიმე „გაბრძოლების“ ფაქტი იქაც დასტურდება, სადაც I ფაზიან მოქმედებასთან არა გვაქვს საქმე და სადაც ერთი შეხედვით განწყობა თითქოს არც გაფიქსირებულა. წინათ წარმოდგენილი სქემები № 6 და № 8 ამ ფაქტზე მიუთითებენ. № 6 სქემის მიხედვით, ცდის პირი № 10 „აფრ. შ“. კრიტიკული ცდების დასაწყისში თანმიყოლებით 6 ტოლობას ადასტურებს. მას, თითქოს, კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმა განუვითარდა; ღაგრამ შემდეგი ცდების გასწვრივ თანმიმდევარი კონტრასტული ილუზიებისა და ადექვატური აღქმების მონაცვლეობას ვხვდებით. ამ მონაცვლეობის მეექვსე • საფეხურზე თავს იჩენს 8 + ილუზია, შემდეგ + = მონაცვლეობა და ისევ თანმიყოლებითი კონტრასტული ილუზიების შემობრუნება, მაგრამ არა ისეთის სიხშირით (+ 6). ამით მთავრდება მეორე ფაზა და იწყება მესამე ფაზა, სადაც ადექვატური აღქმებისა და კონსტრასტულ ილუზიების გვერდით გზადაგზა ასიმულატური ილუზიების ჩანაცვლებაც ხდება. მაგრამ ამ პერიოდშიც თანმყოლებითი კონტრასტული ილუზიების რიგი ერთხელ კიდევ შემობრუნდება საკმაო ძალით (+ 4), დაბოლოს, განწყობა თანდათან საკმაო ხნის რხევის შედეგად აღიკვეთება.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს № 7-სქემის მიხედვითაც. სადაც I ფაზიანი მოქმედება არ დასტურდება და იწყება = + ილუზიების მონაცვლეობა. ამ მონაცვლეობის

მეცხვსე საფეხურზე კი 3 + ილუზია გვხვდება და შემდეგ იწყება + = მონაცვლეობის უკანასკნელი ფაზა. სადაც მონაცვლეობის მეცხრე საფეხურზე კიდევ 5 + ილუზია დასტურდება. შემდეგ ისევ 2 მონაცვლეობა და, დასასრულ, განწყობა ქრება.

ს ქ ე მ ა № 8:

ცდ. პ. № 3 „ფხ. მედ.“; ოპტიკური არე:

სუქც. პირობები: = 2, + 3, = 1, + 5, = 8, + 3, = 11.

აქ წარმოდგენილი № 8 სქემა აშკარად მიუთითებს განწყობის ასეთ გზადაგზა შემობრუნების ფაქტზე: აქაც პირველი ფაზის გარეშე 2 = ის დადასტურებით იწყება განწყობის მოქმედება (11 ფაზით), + = მონაცვლეობის მეოთხე საფეხურზე საკმაო რაოდენობის კონტრასტული ილუზიებიც გვხვდება (+ 5). შემდეგ ერთბაშად 8 = ჩნდება და თითქოს განწყობა ჩაქრავს. მაგრამ ისევ სუსტი შემობრუნება (+ 3) და განწყობა აღიკვეთა (= 11.)

ეს მაგალითები სუქცესიური პირობების ოპტიკურ არიდანაა მოტანილი, მაგრამ, როგორც შემდეგ წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, იგივე დასტურდება ჰაპტურ და კუნთურ არეებშიც.

ს ქ ე მ ა № 9:

ცდ. პ. № 30 „სახ. ბორ.“ ჰაპტური არე:

სუქცესიური პირობები: = 2, + 3, = 2, - 1, + 2, = 3, + 4, - 4, = 1, + 2, - 1, + 1, - 1, + 1, = 1, - 3, = 7, + 5, - 2, = 13,

ამ მაგალითით განწყობა სამი მიმართულებით ცვალებადობს და თავიდანვე ორჯერ საკმაო სიძლიერით შემობრუნდება: ჯერ + 3 და შემდეგ + 4, დაბოლოს, 7 ტოლობის დადასტურების შემდეგ ერთს კიდევ ოდნავ მეტი სიძლიერით გაიბრძოლებს (+ 5) და ადგილს უთმობს ახალ განწყობას.

კუნთური არიდან ანალოგიური მაგალითი წარმოდგენილია სქემაში № 3, სადაც I ფაზიანი მოქმედების გარეშე განწყობის ხანგრძლივ მოქმედებასთან გვაქვს საქმე და ამ ხანგრძლივ მოქმედებაში განწყობა თანდათან კლებადი სიძლიერით (+ 7... + 6... + 5) 3-ჯერ მაინც შემობრუნდება, ვიდრე კრიტიკული სიტუაციის აღექვამდე განწყობას დაუთმობდეს ადგილს.

როგორც ვიცით, სიმულტანურ პირობებში პირველი ფაზ-

ის არმქონე ცდი პირები შედარებით იშვიათობას წარმოადგენენ. მაგრამ ამ პირთა შორის ამ შემთხვევაშიც გვხვდება განწყობის შემოპარუნების ფაქტები, რაც, მაგალითად, წარმოდგენილი მხ 10 სქემაში: ცდის პირს პირველი ფაზა არა აქვს, მაგრამ კონტრასტული ილუზიისა და ადექვატური აღქმის მონაცვლეობის შედეგად საფეხურზე იგი იძლევა თანმიყოლებით 5 + ილუზიას.

ს ქ ე მ ა № 10:

ცდ. პ. № 13. „მას. მურ.“ კუნთური არე:

სიმეტრიული პირობები: $= 1, +1, = 2, +1, -1, +5, = 6, -1, = 1, +1, = 3, +1, = 10.$

ამრიგად გამოდის, რომ განწყობის შემოპარუნების ფაქტი, აღკვეთის პროცესში გზადაგზა მისი სელახალი აქტუალიზაცია საკმაოდ დიდი სიძლიერით ამ შემთხვევაშიაც დასტურდება, როცა განწყობას პირველი-მტკიცე მოქმედების ფაზა არ გააჩნია.

რაც შეეხება განწყობის 1 ფაზიანი მოქმედების შემდგომ პერიოდს. განწყობის ასეთი შემოპარუნება ე. წ. „რეციდივი“ ჩვენი მაგალითებითაც საკმაოდ დასტურდება როგორც სუქცესიურ, ისე სიმულტანურ პირობებში. თვალსაჩინოებისათვის აქვე მოვიტანთ რამდენიმე სქემას სხვადასხვა არედან.

ს ქ ე მ ა № 11

ცდ. პ. № 3 „კლ. გ.“ ოპტიკური არე:

სუქცესიური პირობები: $+3, = 2, +1, = 2, +10, = 1, +9 = 4, +8, = 5, +54, = 1.$

აქ განწყობა თანდათან მეტი და მეტი სიძლიერით ვლინდება და 100 კრიტიკულ ცდამდეც არ აღიკვეთება.

ს ქ ე მ ა № 12

ცდ. პ. № 8 „ბორ. ვლ.“ ოპტიკური არე:

სუქცესიური პირობები: $+32, = 2, +3, = 1, +8, = 3, +7, = 1, +4, = 1, +5, = 4, +2, = 3, +2, = 5, +1, = 4, +5, = 10.$

ს ქ ე მ ა № 13

ცდ. პ. № 15 „ბედ. დუს.“ ოპტიკური არე:

სიმ. პირობები: $+7, = 1, +7, = 4, +3, = 2, +1, = 11.$

ს ქ ე მ ა № 14

ცდ. პ. № 3 „გუგ. იოს.“ ჰაპტური არე:

სუქცესიური პირობები: $+3, =2, +1, =1, +6, =3, -1, +9,$
 $=1, +3, =1, +1, =10.$

ს ქ ე მ ა № 15

ცდ. პ. № 18 „ნას. სულ.“ ჰაპტური არე:

სიმულტანური პირობები: $+13, =5, +1, =1, +8, =15.$

ს ქ ე მ ა № 16

ცდ. პ. № 25 „მალ. ილ.“ ჰაპტ. არე:

სიმულტანური პირობები: $+13, =2, +14, =7, +4, =13.$

ს ქ ე მ ა № 17

ცდ. პ. № 21 „ფოცხ. ცის.“ კუნთური არე:

სუქცესიური პირობები: $+8, =8, +7, -1, +2, -2, +4,$
 $=2, +4, =11.$

ს ქ ე მ ა № 18

ცდ. პ. № 22 „ლომ. ოთ.“ კუნთური არე:

სუქცესიური პირობები: $+2, =1, -1, =2, +2, =3, +3,$
 $=1, +1, =1, -1, =3, +3, =1, +10, =4, +2, =10.$

ს ქ ე მ ა № 19

ცდ. პ. № 4 „გრ. თ.“ კუნთური არე:

სიმულტანური პირობები: $+3, =1, +1, =2, +4, =5, +$
 $+6, =12.$

წარმოდგენილი სქემებიდან აშკარად ჩანს, თუ რაოდენ დამასახიათებელია ამ ცდის პირებისთვის პირველფაზიანი მოქმედების შემდეგ განწყობის ძლიერი ძალით შემობრუნების ფაქტი არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე და, ზოგ შემთხვევაში, ისეთი ძალითაც, რომ აჭარბებს კიდევ განწყობის პირველ გამოვლენას. სქემებიდან ისიც ჩანს, რომ ასეთი შემობრუნება ხდება ხშირად საკმაო სიძლიერით იმის შემდეგაც კი, როცა ცდის პირი კრიტიკული სიტუაციის 5 და მეტ თანმიყოლებით ადექვატურ აღქმას ადასტურებს.

ამრიგად გამოდის, რომ სანამ განწყობა საბოლოოდ აღიკვეთებოდეს, ამ აღკვეთის გზაზე იგი საკმაოდ შესუსტების შემდეგაც. იმ დროს, როცა ვგონია, აჰა საცაა ქრებაო, გზა-

დაგზა საკმაო დიდის ძალით შემობრუნდება, თითქოს რამოდენიმეჯერ „გაბრძოლებს,“ ხელახალი აქტუალიზაციის საკმაოდ დიდ ბიძგს მისცემს, ვიდრე კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის ახალ საპირისპირო განწყობას დაუთმობდეს ადვილს.

განწყობის ასეთი მოქმედება, ჩვენი მასალებითაც, ცდის პირთა დიდ უმრავლესობას არ ახასიათებს. მაგრამ, როგორც აქვე წარმოდგენილი სქემებიდანაც ჩანს, იგი მაინც ცდის პირთა საკმაო რაოდენობისათვისაა დამახასიათებელი და, ჩვენი აზრით, ნორმალური ცდის პირების შემთხვევაში შეიძლება ფიქსირებული განწყობის მოქმედების არსებას გამოხატავდეს.

როგორც ცნობილია, საგანწყობო ცდების საერთოდ დადგენილი ოპტიმუმი ცდის პირთა დიდ მასაში შეიძლება ყველასათვის ერთნაირი არ იყოს, და არ არის გამორიცხული, რომ ცალკეული ცდის პირებისათვის, მათთვის საკმაო და აუცილებელი საგანწყობო ცდების ოპტიმუმის შემთხვევაში, ასეთი შემობრუნების ფაქტები დიდი უმრავლესობისათვისაც იქნეს დამახასიათებელი, თუ იგი, მართლაც, ფიქსირებული განწყობის მოქმედების არსებას გამოხატავს.

ცნობილია, რომ მარქსისტული ანალიზი ზუსტად განასხვავებს ერთმანეთისაგან განვითარების სიღრმისეულ პროცესებს და ზედაპირულ მოვლენებს, სწორედ ამგვარი ანალიზის შედეგად შეიძლება მივიღეთ სწორ დასკვნამდე.

ჩვენი აზრით, ჩაქრობის გზაზე, ფიქსირებული განწყობის ამ გზადაგზა შემობრუნებაში, სანამ იგი ახალ საპირისპირო განწყობას დაუთმობდეს ადვილს. მასში გადავიდოდეს (რაც ზოგი ცდის პირის შემთხვევაშია მხოლოდ დაქერილი). — სწორედ განვითარების სიღრმისეული პროცესი ჩანს. განვითარება, მარქსისტული დიალექტიკის თვალთახედვით, არ მიმდინარეობს სწორხაზობრივად. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ განვითარების პროცესი მოკლენათა ჰარმონიული გაშლის გზით კი არ მიმდინარეობს, არამედ იმ წინააღმდეგობათა გზისნით, რაც ახასიათებს მოკლენებს, ამ წინააღმდეგობათა დაპირისპირებულ ტენდენციათა „ბრძოლის“ გზით.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რაც ისპობა, ქრება. უბრალოდ როდი უთმობს ადგილს ახალს, არამედ გზადაგზა „გაიბრძოლებს“, შემობრუნდება. ასევე იგიც, რაც გზას იკაფავს, აგრეთვე ასეთივე ბრძოლით, გზადაგზა შესუსტებით და გაძლიერებით ვითარდება — მიდის წინ, სანამ გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწევდეს. ასეთივეა ფიქსირებული განწყობის მოქმედებაც, როცა იგი ერთბაშად ქრება ან კიდევ თანდათან დასუსტებით არ უთმობს ადგილს ახალ განწყობას, პირიქით, გზადაგზა „გაიბრძოლებს“, შემობრუნდება და შემდეგ დაუთმობს ადგილს მის საპირისპირო განწყობას.

რა ვუყოთ იმ გარემოებას, რომ ამ მომენტს ჩვენს ექსპერიმენტებში ცდის პირთა დიდ უმრავლესობაში ვერ ვიპოვებთ და, ამრიგად, იგი ერთი შეხედვით „არატიპიურია“?

როგორც ცნობილია, ტიპური სრულიად არ ნიშნავს რაღაც სტატისტიკურ საშუალოს. მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით, ტიპურია არა მარტო ის, რასაც ყველაზე ხშირად ვხვდებით, არამედ ისიც, რაც მოვლენის არსებას, მისი განვითარების სიღრმისეულ პროცესებს გვიჩვენებს.

განწყობის ჩაქრობის პროცესის არასწორხაზობრიობა, გზადაგზა მომეტებულის ძალით მისი შემობრუნება ხშირად ისეთ ცდის პირებშიც ჩანს, რომელთაც ასეთი რამ ერთი შეხედვით თითქოს არ ახასიათებთ. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ცდის პირის შემთხვევაში პირველფაზიან მოქმედებაშიც, როცა თანმიყოლებით მრავალი კონტრასტული ილუზია დასტურდება, თავიდანვე შეიმჩნევა შემდეგი: ერთხანს ეს ცდის პირი დაბეჯითებით ამბობს „დიდია“, სახეზედაც შეემჩნევა ნათქვამში დარწმუნებულობა, შემდეგ იწყება იჭვიანი თქმა „დიდია“. ხანაც კიდევ ცდის პირი უმატებს: „ესლაც ცოტათი დიდია“; რაჟღერნებე ასეთის გამეორების შემდეგ ხელახლა ისევ დაბეჯითებით გამოთქვამს — „დიდია“, „აშკარად დიდია“, „უდავოდ დიდია“ და ა. შ.

სიდიდის ეს „ცოტაობა“ და შემდეგ „აშკარად დიდია“-ს „შესამჩნევად დიდია“-ს შემობრუნება თანმიყოლებით თვით

კონტრასტულ ილუზიებშიც ჩანს (I ფაზაში). ასეთი არა მარტო I ფაზაში შეიმჩნევა. არამედ შემდეგშიც, კონტრასტული ილუზიების შემობრუნების შემდეგ, თუ იგი თანმიყოლებით საკმაოდ დიდი სიხშირით დასტურდება.

ამრიგად, ჩაქრობის გზაზე განწყობის შემობრუნების ფაქტები შეიძლება თანმიყოლებით თვით ერთფეროვანი ილუზიების მოქმედების პროცესშიც ვივულისხმოთ, ამ ილუზიის ძალის შესუსტებისა და შემდეგ მისი ინტენსივობის გაძლიერების სახით. გამომდინარე აქედან. ის პირები, რომელნიც ტლანქი დინამიკური განწყობის სახით არიან წარმოდგენილი, — I ფაზიდან ერთბაშად IV ფაზაში გადასვლისას, — განწყობის თავისებურ შემობრუნებას შეიძლება I ფაზიანი მოქმედების შიგნითაც განიცდიდნენ. ასეთი ფაქტები შემჩნეულია და ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა, რომ, სადაც ასეთს ვერვამჩნევთ თანმიყოლებით მრავალ კონტრასტულ ილუზიების რიგში, იქ თითქოს განწყობაც მუდამ ერთნაირი თანდათან დასუსტების გზით მიდიოდეს ყოველგვარი შემობრუნების გარეშე.

შინაგანად. თვით ილუზიის მიმდინარეობის პროცესში, ფიქსირებულად განწყობის ასეთი გზადაგზა შემობრუნების ფაქტი. ქ. მდივნის მიერ უწყვეტად გახანგრძლივებული ექსპონირებით ჩატარებულ კრიტიკულ ცდებშიც ჩანს.

აქვე ვიმოწმებთ ამონაწერს ქ. მდივნის შრომაში დასახელებული ერთი ცდის პირის სიტყვიერი ანგარიშიდან.

„ოქმი № 38. ფ. ვ. (მეცნიერ მუშაკი).

განმაწყობელი მასალის 15-ჯერ მიწოდების შემდეგ ილუზია 5' (წუთი) განმავლობაში არ აღკვეთილა.

ცდის პირი ამბობს „მარჯვენა დიდია, დიდია... მარჯვენა მოდის აქეთ მარცხნისაკენ და გამოიბერება, თითქოს გადადის მარცხნისაკენ, ახლა მარცხენა დიდია... ახლა მარჯვენა გაიბერა, მარჯვენა დიდია, წვერი გამობურცული აქვს მარცხნისაკენ. რაღაც რყევის პერიოდია ჩემთვის, თითქოს სულიერი არსებანი არიან ეს ორი წრე; როგორც კი მარცხენა დიდდება, აი ახლა მაშინვე მარჯვენას გული მოუვა და გადიდდება. ერთხელ მარცხენა ძალიან გა-

დიდდა... ახლა თიანჭოს არცერთს არ მოდის გული, მაგრამ მაინც ტოლი არ არის, მარჯვენა დიდია მაინც, ისეთი განცდაა, რომ მარჯვენა თითქოს მეუბნება ჩვენ ნაცნობები ვართ მე ხომ დიდი ვიყავი-ო“.¹

ცდის პირის ეს სიტყვიერი ანგარიში უკომენტაროდ ცხადყოფს, თუ რაოდენ რთულ პროცესთან გვაქვს საქმე უტოლობის ფიქსირებული განწყობის შემდგომ ტოლობის მიმართების კრიტიკულ სიტუაციაში, სანამ ცდის პირი ამ სიტუაციის ადექვატურ აღქმაზე გადავიდოდეს. ილუზიურია აღქმა უბრალოდ მარჯვნივ ან მარცხნივ სიდიდის დადასტურებით კი არ განისაზღვრება, არამედ იგი ტალღისებურად მიმდინარეობს, ცალკე შემთხვევაში შესუსტება-გაძლიერების გზით, ხელახლა ხშირი შემობრუნებით, ხელახალი აქტუალიზაციის საკმაო სიძლიერის ბიძგის მიცემით. ცდის პირთა ასეთი სიტყვიერი ჩვენების შეკრების შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წყვეტილ ცდებშიც — თანმიყოლებით ხშირი ილუზიების რიგშიც — დავადასტურებდით ასეთი შემობრუნებისა და განწყობის ტალღისებური მიმდინარეობის ფაქტებს ცდის პირთა საკმაო რაოდენობის მიმართ, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, იგი ჩვენს ცდებში ცდის პირთა სპონტანურ გამოთქმებში და ინტონაციაშიც იგრძნობოდა, თუ ამას საგანგებო ყურადღებას მივაქცევდით.

გვხვდება განწყობის სხვაგვარი—სუსტი, მაგრამ ხანგრძლივი შემობრუნების ფაქტებიც: სახელდობრ, ისეთი შემთხვევები, როცა ცდის პირი თანმიყოლებით 5 და მეტ ადექვატურ აღქმას ადასტურებს და შემდეგ, თანმიყოლებით ხშირი კონტრასტული ილუზიების ნაცვლად, ხანგრძლივად მცირერიცხოვან კონტრასტულ, ასიმულატური ილუზიებისა და ადექვატური აღქმის მონაცვლეობაში იჩენს თავს (+ — =). არის შემთხვევები, როცა ასეთი სახის შემობრუნება რამდენჯერმე მეორდება.

განწყობის ჩაქრობის გზაზე ხელახალი ძლიერი აქტუალი-

¹ ქ. მღვივანი. ილუზიის ჩაქრობის პროცესი ხანგრძლივი ექსპონიციის პირობებში, თ. ს. უ. შრომები, ტ. XVII. 1940, გვ. 212.

ზაციის ფაქტი. გზადგზა შემობრუნება — „გაბრძოლება“ ყველა ცდის პირის პირველი და შემდგომი რიგის კრიტიკული ექსპოზიციების ერთობლივი სუმარული მაჩვენებლების გრაფიკულ გამოსახულებაშიც ჩანს. თანდართულ გრაფიკებიდან (იხ. გრაფიკი №3 და 4), რომლებიც სუქცესიურ და სიმულტანურ პირობებში ცალკეული არეების (ობტყური, პაპტური, კუნთური) 1-დან ასამდე ექსპოზიციის ცალკეული რიგის სუ-მარული ზონაცემების მიხედვითაა აგებული,¹ აშკარად ჩანს, რომ ყველა არეში და ცალკეულ პირობებში განწყობის ალკვე-თის პროცესი არა თანდათან, სწორსაზობრივი (თუნდაც დაა-ხლოებით სწორსაზობრივი) გზით მიემართება, არამედ გზადა-გზა ისეთ შემობრუნებას იძლევა, რომ თითქმის პირველ სიძ-ლიერეს უბრუნდება. ეშვება რა დაბლა, გაქრობის გზისაკენ, განწყობა თანდათან დაშვების გზაზე ხშირად შემობრუნდება, თითქოს „გაიბრძოლებს“ და ისევ ინტენსიურად მიექანება ძირს, ისევ „გაიბრძოლებს“ და ისევ მეტად ეშვება. კიდევ „გაიბრძოლებს“, თუმცა არა ისე ძლიერად და ბოლოს აღი-კვეთება.

აქვე უერთავთ გრაფიკების საფუძველზე შედგენილ ცხრილს (იხ. ცხრ. № 36), სადაც მოცემულია შემობრუნებისა და შეჩერების მაჩვენებლები: პირველ სვეტში — ძლიერის, რაც ნიშნავს 10%-ით და მეტით შემობრუნებას, მეორე სვეტ-ში — 5% და მეტით 10%-მდე. მესამეში:—5%-ზე ნაკლე-ბით. მეოთხე სვეტში კი ყველა სახის შემობრუნება სუმარუ-ლად.

შეჩერების მაჩვენებლებიდან პირველ სვეტში მოცემულია ძლიერი შეჩერება. რაც ნიშნავს თანმიყოლებით 4 და მეტ კრი-ტიკულ ექსპოზიციასზე შეჩერებას. მეორე სვეტში 2—3 ექს-პოზიციასზე შეჩერება, მესამე სვეტში ერთ ექსპოზიციასზე შეჩერება, მეოთხე სვეტში კი ყველა სახის შეჩერებათა რა-ოდენობის დაჯამებაა მოცემული.

გრაფიკებიდან და მოცემულ ცხრილიდან ნათლად ჩანს,

¹ შეტანილია ილუზიური გამოკლების ყველა შემთხვევა—როგორც კონტრასტული, ისე ასიმეტრიული.

როგორც მოხლოდნელი იყო, ძლიერი აგზნებადობისა და სიმტკიცის სიმულტანურ პირობებში ფიქსირებულ განწყობას აქტიური შემობრუნება მეტად ახასიათებს, ვიდრე სუქცესიურ პირობებში ფიქსირებულ განწყობას. ამ უკანასკნელს ძლიერი შემობრუნება 6-ჯერ რომ ახასიათებს. ისიც მხოლოდ კუნთურ არეში გვხვდება შედარებით ძლიერი აგზნებადობისა და სიმტკიცის პირობებში; სიმულტანურ პირობებში კი იგი ყველა არეში დასტურდება და საერთოდ 10-ს უდრის. რაც შეეხება საშუალო სიძლიერის შემობრუნებას, იგი ორივე შემთხვევაში, ერთი შეიძლება, თანაბარი მაჩვენებლებით ხასიათდება (24), ხოლო სუსტი შემობრუნების ფაქტები და შემობრუნების საერთო მაჩვენებლები სუქცესიურ პირობებში შედარებით მეტია. როგორც ვიცით, სუქცესიურ პირობებში მეტი—200 ცდის პირი გვყავდა. სიმულტანურში კი—105. ცდის პირთა რაოდენობის ასეთ განსხვავებას გრაფიკულ გამოხატულებაზეც შეიძლება მოეხდინა გავლენა და, ამიტომ შემობრუნების ინდექსს თუ გამოვიყვანთ ცდის პირთა რაოდენობის მიმართ, მაშინ აშკარად ჩანს (შეადარეთ იქვე ინდექსის ჰორიზონტალები), რომ სიმულტანურ პირობებს როგორც საერთო მაჩვენებლებით, ისე შემობრუნების ცალკეულ სახეთა მიხედვით, მეტი შემობრუნებადობა ახასიათებს, ვიდრე სუქცესიურს. ანალოგიური შეფარდებაა ცალკე არეებში შემობრუნების ინდექსების შედარების მიხედვითაც.¹

როგორც გრაფიკზე დაკვირვებიდან და ცხრილიდან ჩანს, განწყობას თავის ალკვეთის გზაზე „შეჩერებაც“ ახასიათებს. ეს შეჩერება საკმაოდ სინშირითაა ორივე პირობებში წარმოდგენილი: ძლიერი შეჩერება სუქცესიურ პირობებს სრულებითაა ახასიათებს, საშუალო სიძლიერის შეჩერება კი ვლინდება ძალზე მცირედ და ისიც მხოლოდ ჰაპტურსა და კუნთურ არეებში. რაც შეეხება სიმულტანურ პირობებს, აქ ძლიერი შეჩერების 2 შემთხვევაა და იგი აქ მხოლოდ ძლიერი აგზნებადობისა და სიმტკიცის ჰაპტურ არეში გვხვდება, საშუალო სიძ-

¹ ინდექსი გამოანგარიშებულია შემობრუნებისა და შეჩერების აბსოლუტური რაოდენობის ცდის პირთა რაოდენობაზე გაყოფით. ინდექსის სიდიდე შემობრუნებადობისა და შეჩერებადობის სიდიდეს ნიშნავს.

(№ 3 და № 4 გრაფიკის „განაღები“)

პრობები	არე	ცდ. პ. რაოდენობა	ნეკონსტრუქცია				ნეკერცია				
			ძლი	საწინააღმდეგობისა	სუსტი	სულ	ძლიერი	საწინააღმდეგობისა	სუსტი	სულ	
სუპტესიური	ობტიკური	100	აბს. რაოდ. ინდექსი		20	27	—	—	12	12	
				0,07	0,2	0,27			0,12	0,12	
	პატურა	50	აბს. რაოდ. ინდექსი	—	5	22	27	—	1	13	14
				—	0,1	0,44	0,54	—	0,02	0,26	0,29
სუპტესიური	კენთურა	50	აბს. რაოდ. ინდექსი	5	12	11	29	—	3	11	14
				0,12	0,24	0,22	0,55	—	0,06	0,22	0,28
	სულ:	200	აბს. რაოდ. ინდექსი	6	24	53	63	—	4	36	40
				0,03	0,12	0,26	0,41	—	0,02	0,18	0,2
სიმულტანური	ობტიკური	40	აბს. რაოდ. ინდექსი	5	11	15	21	—	—	14	21
				0,12	0,27	0,5	0,5	—	—	0,35	0,52
	პატურა	25	აბს. რაოდ. ინდექსი	3	—	17	22	—	8	12	22
				0,12	0,08	0,68	0,58	0,08	0,32	0,48	0,88
სიმულტანური	კენთურა	40	აბს. რაოდ. ინდექსი	2	—	6	19	—	10	10	20
				0,05	0,27	0,15	0,47	—	0,25	0,25	0,5
	სულ:	105	აბს. რაოდ. ინდექსი	10	24	28	62	2	25	36	63
				0,09	0,23	0,26	0,6	0,2	0,23	0,34	0,6

ლიერის შეჩერება კი აბსოლუტური რაოდენობითაც შედარებით ჭარბადაა წარმოდგენილი (25 — 4-თან). რაც შეეხება სუსტ შეჩერებას, აბსოლუტური რაოდენობით, იგი თანაბარია ორივე პირობებში (36). მაგრამ ცდის პირთა მიმართ ინდექსის მისედვით იგი შედარებით ჭარბად გვხვდება სიმულტანურ პირობებში (ინდექსი 0,34), ვიდრე სუქცესიურ პირობებში (ინდექსი 0, 18). როგორც აბსოლუტური, ისე საშუალო (ინდექსი) მონაცემებით საერთოდ შეჩერების მაჩვენებლები სიმულტანურ პირობებში მეტია, ვიდრე სუქცესიურ პირობებში.

ცალკეულ ცდის პირებში ფიქსირებული განწყობის ეს „შეჩერება“ შემდეგნაირად წარმოგვიდგება: განწყობა თავის ჩაქრობის გზაზე თითქოს ერთ მდგომარეობაში იყინება, ადგილი აქვს (10—20 და მეტი კრიტიკული ექსპოზიციის გასწვრივ II — III ფაზაში) მცირე რაოდენობით ერთსახელიანი ილუზიებისა და ადექვატური აღქმის ხანგრძლივ მონაცვლეობას.

სხვადასხვა პირობებში ცალკეული არეების ფარგლებში შემობრუნებისა და შეჩერების მაჩვენებლების შედარებიდან ჩანს, რომ სიმულტანურ პირობებში, როგორც მოსალოდნელი იყო, შედარებით მეტი შემობრუნებადობა და შეჩერებადობა ძლიერი აგზნებადობისა და სიმტკიცის ჰაპტურ არეს ახასიათებს, უფრო ნაკლები კი — ოპტიკურსა და კუნთურ არეებს; სუქცესიურ პირობებში კი შედარებით მეტი შემობრუნებადობა და შეჩერებადობა ნეტი აგზნებადობისა და სიმტკიცის კუნთურ არეს ახასიათებს. ჰაპტური არე თითქმის უთანაბრდება ამ მხრივ კუნთურს, ხოლო ოპტიკურ არეს. ამ შემთხვევაში, ნაკლები შემობრუნებადობა და შეჩერებადობა ახასიათებს.

შემობრუნებადობისა და შეჩერებადობის ანალოგიური კანონზომიერებანი და შეფარდება სიმულტანურსა და სუქცესიურ პირობებში ცალკეულ არეების მიხედვით მხოლოდ კონტრასტული ილუზიების ანალოგიური გრაფიკული გამოსახულებითაც აშკარად ჩანს. მაგრამ ჩვენ ასეთის დართვა ზედმეტად დავინახეთ. ვინაიდან იგი ახალს არაფერს იძლევა წარმოდგენილი გრაფიკებთან შედარებით და, მეორეც, როგორც ვიცით, ჩვენ ვთვლით, რომ ილუზიის ყოველგვარი გამოვლენა.

კრიტიკულ ცდებში ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის მოქმედების შედეგია და აზიტომ ილუზიის ცალკე სახეების გამოყოფას ამ შემთხვევაში აზრი არა აქვს.

1. ამრიგად, ჩვენი მასალების მიხედვით საკმაო ფაქტები და საბუთები მოიპოვება იმისა, რომ განწყობის აღკვეთის პროცესში გზადაგზა შემობრუნებადობა—„გაბრძოლება“, სანამ იგი მის საპირისპირო ახალ განწყობას დაუთმობდეს ადგილს, ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების არსებით ნიშანს შეიძლება წარმოადგენდეს. ყოველ შემთხვევაში წარმოდგენილი ფაქტები და გამოთქმული მოსაზრებანი იმის უდავო საბუთს მაინც წარმოადგენს, რომ ეს საკითხი გახდეს მომავალი სპეციალური კვლევის საგანი.

2. ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის „შემობრუნების“ კანონზომიერი ხასიათის საილუსტრაციო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს განწყობის სტაბილობის—დროში გაძღვობის დამადასტურებელი უდავო ფაქტები. ვინაიდან ამ ფაქტების მიხედვით, ერთი შეხედვით, დღეს „საბოლოოდ“ ჩამქრალი განწყობა დღეების, კვირეებისა და თვეების შემდეგაც საკმაო სიძლიერით იჩენს აქტუალიზაციის ძალას,—იგი, ასე ვთქვათ. ოღებლის. ებრეებისა და ოფებების შემდეგაც შემობრუნდება შესაფერ სიტუაციაში, სანამ საბოლოოდ ჩაქრებოდეს.

3. შემობრუნებადობა ძლიერი აგზნებადობისა და სიმტკიცის მქონე სიმულტანურ პირობებში ფიქსირებულ განწყობას შედარებით მეტად ახასიათებს, ვიდრე სუჟექსიურ პირობებში ფიქსირებულ სუსტი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობას, თუმცა იგი ორივე შემთხვევისათვის კანონზომიერი და არსებითი ნიშანია. აქედან გამომდის, რომ შემობრუნებადობის სიძლიერე განწყობის აგზნებადობისა და სიმტკიცის ხარისხზე ყოფილა დამოკიდებული და, რომ ეს ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ცალკეულ პირობებში მეტი შემობრუნებადობა უფრო მეტი აგზნებადობისა და სიმტკიცის არეებს ახასიათებს, სახელდობრ, სიმულტანურ პირობებში—ჰაპტურ არესა და სუჟექსიურ პირობებში — კუნთურ არეს.

წმ. განწყობის აღკვეთის პროცესის გაგების საკითხისათვის

როგორც ღვეინახეთ, ოღენობით მიმართებაზე ფიქსირებული უტოლობის განწყობის მოქმედება, მისი აღკვეთის პროცესში, საკმაოდ რთულსა და წინააღმდეგობით აღსავე გზას გაივლის, სანამ იგი ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის აღქვატური აღქმის განწყობას დაუთმობდეს ადგილს, — მის საპირისპირო სხვაგვარობაში გადავიდოდეს. ამ აღკვეთის გზაზე იგი ფაზურ ხასიათს ატარებს. აქ ფაზების ურთიერთმიმართება და რაგვარობა ცალკეულ ინდივიდებში საკმაოდ განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი და, ამ მხრივ, ცდის პირთა საკმაოდ შორსმწვდომი ტიპოლოგიური დიფერენციაციის შესაძლებლობას იძლევა როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესიურ პირობებში.

საზოგადოთ კი, ოღენობით მიმართებაზე უტოლობის ფიქსირებული განწყობა სამ მკვეთრად განსხვავებულ ფაზას — ეტაპს გაივლის, სანამ მის საპირისპირო ტოლობის კრიტიკული სიტუაციის აღქვატური აღქმის განწყობაში (IV ფაზა) გადავიდოდეს.

გასაგებია, რომ განწყობის მოქმედების ეს „სრულყოფილი გზა“ „იდეალური სახე“ (I, II, III და IV ფაზა) ყველა ცდის პირს არ ახასიათებს; იგი მხოლოდ ზოგიერთისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ცდის პირთა საკმაოდ რაოდენობა გაივლის განწყობის მოქმედების ამ „სრულყოფილ გზას“, როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესიურ პირობებში.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, განწყობის ფაზური — ეტაპობრივი მოქმედების თავისებურება საზოგადოთ შეძლევი სახით უნდა წარმოვიდგინოთ.

1. პირველ ფაზაში, როცა უტოლობის ფიქსირებული განწყობა საკმაოდ მტკიცეა და გამოკვეთილ-დიფერენცირებული, იგი თანმიყოლებით კონტრასტული ილუზიების სახით ვლინდება. ეს იმას ნიშნავს, რომ უტოლობის ფიქსირებული განწყობის მატარებელ სუბიექტზე მსგავსი, მაგრამ განსხვავე-

ბული სიტუაციის სახით ტოლობა (ტოლი ობიექტები) მოქმედებს, გარკვეული უტოლობის მიმართ განწყობილი სუბიექტი ამ სიტუაციის ასიმილაციას ვერ ახდენს თავის განწყობის ზიხედვით (მკვეთრად შეუფერებლობის გამო), ამიტომ მოცემული უტოლობის განწყობა ირღვევა და საწინააღმდეგო უტოლობის განწყობაში გადადის. დარღვევის შედეგად წარმოშობილი საწინააღმდეგო განწყობა ერთბაშად ტოლ კრიტიკული ობიექტების ასიმილაციას ახდენს, ეს კი ის მომენტია, რაც ცალკეულ კონტრასტულ ილუზიის წარმოშობას განაპირობებს.¹ ამრიგად, ილუზია კონტრასტულია წინამორბედი უტოლობის ფიქსირებული განწყობის მიმართ, მაგრამ ასიმილატურია რღვევის შედეგად წარმოშობილი ახალი განწყობის მიმართ. ისმის კითხვა: როგორ უნდა გავიგოთ კონტრასტული ილუზიების შემდეგი გრძელი რიგი პირველ ფაზაში? თუ პირვანდელი უტოლობის განწყობა დაირღვა, რაღა განაპირობებს შემდეგი მიწოდებისას ტოლ კრიტიკულ ობიექტთა ილუზიურად აღქმას? ეს — ახალი რღვევის შედეგად წარმოშობილი ახალი განწყობა ხომ არაა?! ეს უკანასკნელი რომ დაგვეშვა, ილუზიების შემდეგი რიგის შემთხვევაში პირვანდელი განწყობის მიმართ კონტრასტულობაზე ვერ ვილაპარაკებდით; მაშასადამე, პირვანდელი განწყობა სავსებით აღკვეთილად უნდა ჩაგვეთვალა და ამ განწყობის რაგვარობის ძიება შემდგომ ილუზიებში ულოგიკოა იქნებოდა.

დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ „პირველი განწყობის დარღვევის შემდეგ წამოჭრილი საწინააღმდეგო განწყობა დროებით ან ვარდამავალ მდგომარეობათ უნდა ჩაითვალოს. რომელიც მოქმედ გამლიზიანებელს მცირე ხნის განმავლობაში ცვლის თავის მიმართულებით“². ამრიგად, იგი მომენტალურია მდგომარეობაა, რომელიც „მცირე ხნის განმავლობაში“, მხოლოდ ამ ერთ მომენტში, განსაზღვრავს გამლიზიანებლის ილუზიურად აღქმას და ამით თავის მოქმედებას ასრულებს. ეს გასაგებბიცაა, ვინაიდან საწინააღმდეგო მიმართულების გან-

¹ დ. უზნაძე, განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი, „მასალები“, ტ. I, გვ. 50.

² იქვე, გვ. 55.

წყობა არაა ფიქსირებული განწყობა; იგი რღვევის შედეგად წარმოშობილი მომენტალური განწყობაა, რომელიც თავის მოქმედების დასრულებისთანავე—გამღიზიანებელთა ზემოქმედების შეწყვეტისთანავე—ქრება და, ამრიგად, მას ძალა არ შესწევს საბოლოოდ დაარღვიოს ის პირვანდელი უტოლობის ფიქსირებული განწყობა, რომლის „რღვევის“ შედეგად თავად წარმოიშვა, როგორც საწინააღმდეგო მიმართულების უტოლობის განწყობა.

ექსპერიმენტულად ფიქსირებული უტოლობის პირველი „განწყობის საბოლოოდ ჩაქრობას (საზგასმა ჩვენია ა. კ.) და მის ნაცვლად „ინდიფერენტული“ მდგომარეობის დადგინებას ერთი გარემოება უშლის ხელს, სახელდობრ ის, რომ განმეორებითი შედარებისას ორივე საგანს ყოველთვის ხელახლა ვხედავთ და... ვსინჯავთ. ამიტომ ერთი შედარებისას დარღვეული განწყობა ყოველი ახალი შედარების დასაწყისში ხელახლა აღდგინდება და, მაშასადამე, შესადაარებელი საგნის ხელახლა აწვევისას ჰაპტურად და ოპტიკურად კი მოცულობის შედარებისას ხელახლა ირღვევა (საზგასმა ჩვენია ა. კ.); ამის ბუნებრივი შედეგი, როგორც ვიცით, ილუზიაა¹, სახელდობრ, კონტრასტული ილუზია.

ამრიგად, ტოლ კრიტიკულ ობიექტთა ერთხელობრივ მიწოდებისას პირვანდელი უტოლობის ფიქსირებული განწყობა, მომენტალური რღვევის შედეგად, მის საწინააღმდეგო მიმართულების უტოლობის განწყობის წარმოშობას და, ამის საფუძველზე, ერთ კონკრეტულ კონტრასტულ ილუზიას განაპირობებს. მაგრამ პირვანდელი განწყობა საბოლოოდ დარღვეული მაინც არ არის. ის ჯერ კიდევ საკმაო აქტუალიზაციის ძალას ინარჩუნებს, ტოლ კრიტიკულ ობიექტთა ყოველი მიწოდებისას (I ფაზაში) ხელახლა ირღვევა და ამით თანმიყოლებითი კონტრასტული ილუზიების გრძელი რიგის წარმოშობას განაპირობებს, სანამ მას საკმაო სიმტკიცე და გამოკვეთილობა შერჩენია. ამ მრავალგზისი რღვევისა და ხელახალი აქტუალიზაციის შედეგად ხომ ყოველი მოვლენა შე-

¹ დ. უზნაძე, განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი, გვ. 60.

სუსტდება, ამიტომ ჩვენს შემთხვევაში უტოლობის ფიქსირებული განწყობაც ვერ იქნება გამონაკლისი თავისი ბუნებით; მით უმეტეს, რომ მისი საფუძველი—უტოლო ობიექტების მიწოდება შეწყდა და ახლა მასზე გაუთავებლად ტოლი ობიექტები მოქმედებს. ამ მრავალგზის რღვევისა და ხელახლა აქტუალიზაციის შედეგად დგება მომენტი, როცა განწყობა ჯერ ძალაშია, მაგრამ მას არ შეუძლია გაუთავებლად ამგვარი მოქმედება და იგი ხშირად „განზე გადგომას“, „ინდიფერენტულ“ მდგომარეობაში გადასვლას იწყებს; გზადაგზა ადგილს უთმობს ტოლობის ნიმართულების კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ აღქმას, რითაც იწყება განწყობის მოქმედების II ეტაპი.

2. ჩვენი მასალების მიხედვით, როგორც უკვე ვიცით, განწყობის მოქმედების მეორე ფაზისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ ამ ფაზაში, კონტრასტული ილუზიების გვერდით, ასიმეტრიული ილუზიების მაგიერ (როგორც დღემდე ფიქრობდნენ) გზადაგზა ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმაც იწყებს გამოჩენას. მეორე ფაზის საკითხის განხილვისას ჩვენ აღვნიშნეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ საერთოდ განვითარება და კერძოდ განწყობის რეგრესული განვითარება რომ სწორხაზობრივად, ჰარმონიულად მიმდინარეობდეს. მაშინ გასაგები იქნებოდა, რომ განწყობის თანდათან დასუსტებისა და აღკვეთის გზაზე პირველად კონტრასტული ილუზიების გვერდით სწორედ ასიმეტრიული ილუზიები უნდა გამოჩენილიყო, ვინაიდან ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული სუსტი და ნაკლებად გამოკვეთილი განწყობა ასიმეტრიულად მოქმედებს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჰემობარიტად მეცნიერული დიალექტიკურ-მატერიალისტური მოძღვრება აღიარებს განვითარების მიმდინარეობის „არაჰარმონიულობას“—არასწორხაზობრივობას და ფიქსირებული განწყობის მოქმედების რეგრესიული განვითარების—აღკვეთის გზაც ვერ იქნება ამ მხრივ გამონაკლისი. იგი, როგორც ჩვენი მასალებითაც მტკიცდება, განსაკუთრებით II—III ფაზაში, არასწორხაზობრივი—წინააღმდეგობით აღ-

სავსე გზით მოქმედებს, სანამ ახალ განწყობას დაუთმობდეს ადგილს.

ამრიგად, პირველფაზიანი მოქმედებით ხანგრძლივი რღვევისა და აქტუალიზაციის შედეგად შესუსტებული, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაო სიმტკიცის მქონე განწყობა, იმის ნაცვლად, რომ ნაკლებად მტკიცე და გამოკვეთილი სუსტი განწყობის მსგავსად ასიმულატურ მოქმედებას ავითარებდეს, გზადაგზა „განზე გადგომას“ იწყებს, „სავსებით შეწყვეტს“ მოქმედებას, სუსტად გამოვლენაში „უწყალოდ ძალის ხარჯვის“ მაგიერ ღრობით „შეისვენებს“, რათა ამ „შესვენების“ შემდეგ ახალი ძალით „შემოუტეოს“ და კონტრასტული ილუზიების წარმოშობა განაპირობოს.

როგორც ექსპერიმენტული მასალის განხილვისას დავინახეთ, ასეთი „შემოტევა“, განწყობის შემობრუნებადობა მეორე და აგრეთვე მესამე ფაზაშიც კი (თუმცა ნაკლებად) კანონზომიერ ხასიათს ატარებს და განწყობის არსებას გამოხატავს. მაშასადამე, მეორე ფაზაში ჯერ კიდევ საკმაო სიძლიერისა და სიმტკიცის მქონე განწყობა უკიდურეს პოლუსებში ქანაობს — სავსებით განზე გადგომასა, „ინდიფერენტულ“ მდგომარეობაში გადასვლასა (რითაც იგი კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ აღქმას უთმობს ადგილს) და მძლავრ კონტრასტულ მოქმედებას შორის. ვფიქრობთ, ეს სავსებით გასაგები მოვლენაა, ვინაიდან საკმაო ძალის მქონე მტკიცე განწყობა ჯერ კიდევ უხეშია, მოუქნელი იმისათვის, რომ სათანადო ელასტიკურობით მეტნაკლები სიზუსტით დაიწყოს მოქმედება. ვიმეორებთ, როცა იგი მოქმედებს, მთელი ძალით მოქმედებს, ანდა „განზე დგას—ისვენებს“, რათა ხელახლა თავისი ძალით შემოუტეოს. ამ „განზე განდგომა-შემოტევის“ პროცესში, კრიტიკული სიტუაციის ერთგვაროვანი მოქმედების გამო, იგი, რა თქმა უნდა, ბოლოსდაბოლოს მაინც თანდათან სუსტდება და აქედან იწყება ახალი, მესამე, უფრო სუსტი მოქმედების ფაზა.

3. მესამე ფაზაში ფიქსირებული განწყობა საკმაოდ დასუსტებულია და იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „უთავბოლოთ“, აქეთ-იქით „ეხეთქება“, კონტრასტული ილუზიებისა და

კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის გვერდით გზადა-
გზა ასიმილატური ილუზიებსაც ავითარებს (სამწევრიანი მო-
ნაცვლებობა). მაგრამ ასიმილატური ილუზიების სავსებით გაბა-
ტონებული მდგომარეობა არასოდეს არ დადგინდება; ეს გარე-
მოებაც გასაგებია: ვინაიდან განვითარება არც აქ მიმდინარე-
ობს ჰარმონიულად. განწყობა ამ უკანასკნელ ეტაპზეც ხშირად
„შეშოუტევეს“, შემობრუნდება კონტრასტული ილუზიების სა-
ხით. როგორც ჩვენი მასალებიდან ვიცით, განწყობის ეს შემო-
ბრუნებადობა. „რეციდივი“ საკმაო სიხშირის თანმიყოლებითი
კონტრასტული ილუზიების სახით მესამე უკანასკნელ ეტაპზეც
გვხვდება. თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც ეს მეორე
ფაზაში დასტურდება, ესეც გასაგებია: განწყობა უკანასკნელ
ეტაპზეა, მან საცაა უნდა დაუთმოს ადგილი ახალს საპირისპი-
რო განწყობას, მაგრამ გაქრობის საფეხურაზედ მისული გან-
წყობა, თუმცა არა ისეთი სიძლიერით, როგორც მეორე ფაზაში,
მაგრამ მაინც იძლევა საკმაო ბიძგს თავისი არსებობის შესახებ,
„ციდილობს“ „უბრძოლველად“ არ დატოვოს ადგილი. ამასთან-
ნავე ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის ხანგრძლი-
ვი ზემოქმედების გამო, მეორე ფაზიდან მოყოლებული-თანდა-
თან მზარდი თანმიყოლებითი სიხშირით—ამ სიტუაციის ადე-
ქვატური აღქმის განწყობის მოქმედების გამო, ბოლოს და ბო-
ლოს იგი გზას უთმობს ამ კრიტიკული სიტუაციის ადექვატური
აღქმის სავსებით გაბატონებულ განწყობას. როგორც არა ერ-
თხელ ადგვინიშნავს, არა მარტო გზას უთმობს ტოლობის უი-
მართების, კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის გან-
წყობას, არამედ განაპირობებს მის წარმოშობას, როგორც
წინამორბედი უტოლობის განწყობის საპირისპირო სხვაგვარო-
ბას, გადადის მასში და ამით სრულდება და იფარგლება მისი
მოქმედება მოცემულ მომენტისათვის, როგორც უტოლობის
ფიქსირებული განწყობის მოქმედება.

ესაა უტოლობის ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის
მოქმედების „ლიკვიდაციის“ უკანასკნელი IV ფაზა. ეტაპი, რო-
მელიც ამ უტოლობის განწყობის მოქმედების სავსებით ლიკვი-
დაციას კი არ ნიშნავს, არამედ წარმოადგენს განწყობას, რომ-
ლის წარმოშობა წინამორბედი უტოლობის ფიქსირებული

განწყობის მოქმედების შედეგით არის შეპირობებული (იხ. § 1, ფაზების თანმიყოლების საკითხიდან — IV ფაზა).

განწყობის აღკვეთის პროცესი ჭეშმარიტად დიალექტიკურ პროცესს წარმოადგენს: ხელოვნურად ფიქსირებულ მკვეთრად დიფერენცირებული უტოლობის განწყობის მქონე სუბიექტზე ხანგრძლივად მოქმედებს ტოლობის მიმართების ობიექტური კრიტიკული სიტუაცია და სანამ სუბიექტი ამ ობიექტური სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობაზე გადავიდოდეს, სწორედ დაპირისპირებულ განწყობათა საკმაოდ რთული „ბრძოლის“ (კონფლიქტის)¹ პროცესი იმართება სუბიექტში. აქვე ხაზი უნდა გავუსკათ იმ მდგომარეობას, რომ განწყობათა ეს ურთიერთ „ბრძოლის“ (კონფლიქტის) საკმაოდ რთული დიალექტიკური პროცესი ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს სუბიექტში ერთდროულად ორი საპირისპირო განწყობაა მოცემული და მათ შორის იმართება „ბრძოლა“. ამის დაშვება ყოველად შეუძლებელია; არა, სუბიექტს აქვს ერთი, მკვეთრად დიფერენცირებული, გარკვეული უტოლობის ფიქსირებული განწყობა და მასთან წინააღმდეგობაში მოდის ტოლობის მიმართების ობიექტური სიტუაცია, როგორც ამ განწყობის შეუფერებელი საპირისპირო სიტუაცია, რომლის ადექვატურ განცდას სხვაგვარი სათანადო განწყობა სჭირდება და რომლის წარმოშობას წინ ეღობება უკვე ფიქსირებული განწყობა, სანამ მას მოქმედების სათანადო ძალა გააჩნია. ტოლობის მიმართების ობიექტური სიტუაციის ხშირი განმეორებითი ზემოქმედება დენის გზადაგზა პირვანდელ განწყობას, თანდათან მზარდი თანმიყოლებითი სისხირით გზას იკაფავს სუბიექტში და, ბოლოს, სავსებით განდევნის მას და მის საპირისპიროდ ტოლობის მიმართების სიტუაციის ისეთი ადექვატური აღქმის განწყობის სახეს მიიღებს, რომელიც სხვა შემთხვევაში სუბიექტს არ შეიძლებოდა ჰქონოდა, თუ არა უტოლობისა და ტოლობის სიტუაციის ასეთი დაპირისპირებით სუბიექტზე გარკვეული თანმიმდევრობით

¹ განწყობათა კონფლიქტის ცნება პირველად ბ. ხაჰაპურიძემ შემოიტანა. იხ. მისი „განწყობის მოქმედების ფაზური თეორიისათვის“, თ. ს. უ. შრომები, ტომი XVII. 1940, გვ.49

მოქმედების პირობებში. აქ იმ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ, როგორც სათანადო ექსპერიმენტებით დამტკიცებულია, ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაცია ტოლობის ახალი განწყობის ფიქსაციას არ ახლენს, კრიტიკულ სიტუაციაში წარმოშობილი საპირისპირო განწყობა (IV ფაზა) არაა ფიქსირებული განწყობა: იგი ტოლობის კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობაა უბრალოდ, უტოლობის განწყობასთან ბრძოლის შედეგად გზა გაკაფული და მის საპირისპიროდ წარმოშობილი მოცემულ მომენტში, — ობიექტური სიტუაციის ადექვატური ასახვის სახით.

ბ. ხაქაპურიძე, განწყობათა ურთიერთშეცვლის ფაზური თეორიის დამუშავებისას, როცა მან განწყობათა კონფლიქტის ცნება წამოაყენა, გულისხმობდა, რომ კრიტიკულ ცდებში, განწყობათა კონფლიქტის თუ „ბრძოლის“ რთულ პროცესში, თითქოს მონაწილეობენ გადაფასების ბუნებრივი ტენდენციებიც, ე. წ. „ბუნებრივი ასიმეტრიის“ მოვლენებიც. ეს გარემოება ამ შემთხვევაში, მისი მოსაზრებით, ერთ-ერთ გადაამწყვეტ მომენტს წარმოადგენს განწყობის აღკვეთის პროცესის გაგების საქმეში.¹

იმ ექსპერიმენტული მასალებისა და საკმაოდ დამაჯერებელი დასაბუთების შემდეგ, რაც ჩვენ გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის როლის შესახებ წარმოვადგინეთ, ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის მოქმედებაში ეს საკითხი ჩვენთვის მოხსნილად ითვლება. ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის შემდგომ კრიტიკულ ცდებში გამოვლენილი ყოველგვარი ილუზია მოცემულ ცდის მომენტში წინამორბედი უტოლობის ფიქსირებული განწყობის მოქმედებითაა მხოლოდ შეპირობებული და ე. წ. ბუნებრივი ასიმეტრიის მონაწილეობის საკითხი—განწყობის აღკვეთის გზაზე—განწყობათა ურთიერთ შეცვლის პროცესში მოხსნილად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ხაზს ვუსვამთ. რომ ეს დებულება

ბ. ხაქაპურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53.

ჩვენთვის უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს საერთოდ და განსაკუთრებით სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების პროცესის თვალსაზრისით.

§ 6. სუქცესიურ და სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების სპეციფიკის საფუძვლის საკითხი

-

ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემების სხვადასხვა მხრივ დამუშავებისას, როგორც დავინახეთ, ყოველთვის ვლინდებოდა ერთი ძირითადი ნიშანი, რაც სუქცესიურ მიმართებაზე უტოლობის ხელოვნურად ფიქსირებულ განწყობას განასხვავებს სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისგან, სახელდობრ, ის, რომ განწყობის პირველ გამოვლენისა და მისი აღკვეთის ვრცელსა და რთულ გზაზე სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა შესამჩნევად ნაკლები აგზნებადობითა და ნაკლები სიმტკიცით ხასიათდება, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სუქცესიურ მიმართებაზე განწყობის შემუშავების ორჯერ მეტი (25 — 30 ექსპოზიცია) საგანწყობო ექსპოზიციას ვახდენდით, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე (15 ექსპოზიცია).

თუ ამ მომენტსაც გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები გახდება, თუ რაოდენ დაბალი აგზნებადობისა და სიმტკიცის ყოფილა პირველი, მეორესთან შედარებით. ამასთანავე ხაზა უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, — როგორც განწყობის მოქმედების ცალკეული საკითხების განხილვისას დავინახეთ, — ყველა სპეციფიკური თავისებურება, რაც სხვადასხვა პირობებსა და არეებში ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას გააჩნია, ამ მეტნაკლები აგზნებადობისა და სიმტკიცის ნიშნის მიხედვით, სავსებით გასაგები ხდება და გარკვეული კანონზომიერებით გამომდინარეობს ამ აგზნებადობისა და სიმტკიცის სხვადასხვა ხარისხიდან.

დგება საკითხი: რა უდევს საფუძვლად იმ ფაქტს, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა ესოდენ და-

ბალი აგზნებადობითა და სიმტკიცით ხასიათდება; ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა?

1. როგორც ვიცით, გარკვეული განწყობის წარმოშობას ყოველთვის კონკრეტული მოთხოვნილებისა და უკანასკნელის შესატყვისი სიტუაციის (გამლიზიანებლის) მიმართების რაგვარობის მთლიანი სუბიექტური ასახვა განსაზღვრავს. სუქცესიურსა და სიმულტანურ პირობებში განწყობის წარმოშობის პირველი პირობა — მოთხოვნილება — ერთნაირია: ორივე შემთხვევაში სუბიექტს გარკვეული მოთხოვნილება — ამოცანა — ამოქმედებს, სახელდობრ, ორ სიდიდის შედარებისა და მათ შორის მიმართების წვდომის მოთხოვნილება. მაგრამ, — როგორც ამასთანავე ცნობილია, — ყოველი მოთხოვნილება საზოგადოთ გარკვეულ სახეს მაშინ იღებს. როცა იგი ამ მოთხოვნილების კონკრეტულ სიტუაციას უპირისპირდება და, ამრიგად, ეს ერთი ზოგადი „სიდიდეთა შორის მიმართების წვდომის“ მოთხოვნილება; იმის მიხედვით. თუ სიდიდეთა შორის მიმართების რაგვარობიურ სიტუაციასთან ექნება საქმე. გარკვეულ თავისებურ სახეს მიიღებს. მაშასადამე იგიც როგორც განწყობის წარმოშობის ერთ-ერთი პირობა კონკრეტული ობიექტური სიტუაციის ზემოქმედებისას თავისებური ხდება.

განწყობის წარმოშობის მეორე — ობიექტური — პირობა ჩვენი ცდების შემთხვევაში ძირითადად ერთნაირია: როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესურ პირობებში ყოველთვის სუბიექტზე ორი უტოლო სიდიდე მოქმედებს გარკვეული ურთიერთმიმართებით, მაგრამ ამ ერთნაირობაში არის საკმაო სხვაობაც, სახელდობრ, ის, რომ სიმულტანურ პირობებში ეს ორი უტოლო სიდიდე ერთდროულად ეძლევა სუბიექტს ერთი მეორის გვერდით, და, მაშასადამე, მათ შორის უტოლობის მიმართებაც უშუალოდ არის მოცემული. სუქცესიურ პირობებში კი საკმაოდ განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. აქ ჯერ ერთი სიდიდე უნდა განიცადოს სუბიექტმა და შემდეგ მეორე. პირველი, რომ მოქმედებს მასზე. მოქმედებს ცალკე, — მეორე შესაძარბლის გარეშე. და ეს პირველი რომ შეწყვეტს მოქმედე-

ბას, როგორც ობიექტური გამლიზიანებელი, ამის შემდეგ მოქმედებს მეორე, ისევე ცალკე, აგრეთვე პირველის — შესადაარებლის — გარეშე. ეს მომენტი ფსიქოლოგიურად უდავოდ საკმაოდ განსხვავებულ მდგომარეობას ქმნის მოქმედ სიდიდეთა შორის მიმართების წვდომისა და ამ მიმართებაზე განწყობის ფიქსირების თვალსაზრისით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეორე გამლიზიანებლის მოქმედებისას ცდის პირი პირველი გამლიზიანებლის „ხატს“, „სურათს“ აღადგენს წარმოდგენით და მას ადარებს უკანასკნელს — უშუალოდ მოქმედ გამლიზიანებელს, ან კიდევ, ისიც, სავარაუდოა, რომ ცალკე გამლიზიანებლის მოქმედების დასრულებისთანავე სუბიექტი პირველისა და მეორის „წარმოდგენითი“ ხატების“ შედარებას ახდენს და ეს მომენტი საკმაოდ აძნელებს სუქცესიურად მოქმედ „წყვილ“ გამლიზიანებელთა შორის მიმართების დამყარებასა და ამ მიმართებაზე განწყობის ფიქსირებას. ერთი სიტყვით, გამლიზიანებელთა სიმულტანურად ზემოქმედების პროცესში მიმართება უშუალოდაა მოცემული, სუქცესიურად ზემოქმედების დროს ამ მიმართების უშუალოდ მოცემულობა არა გვაქვს. იგი უნდა „მოიძებნოს“ წარმოდგენის მეშვეობით ან სხვა გზით, რაც ვიშეორებთ, აძნელებს განწყობის ფიქსაციას და მისი განმტკიცების შესაძლებლობას სუბიექტში. თუ ამ მხრივ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ გასაგები გახდება ის ფაქტი, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა, წარმოდგენის, სიტყვის მეშვეობით ფიქსირებული განწყობის მაგვარად. შედარებით სუსტი აგზნებადობითა და ნაკლები სიმტკიცით ხასიათდება და ამავე დროს საკმაო სიტლანქითაც.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარმოდგენის მეშვეობა, სიტყვის მეშვეობა¹ (გამლიზიანებელთა სუქცესიურად მიწოდებისას რომ სუბიექტი უტოლობის მიმართებას წვდეს და ამ მიმართებაზე განწყობის ფიქსირება მოხდეს) არის ერთი მიზეზთაგანი, რომელიც ამ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის დაბალ აგზნებადობასა და სიმტკიცეს განსაზღვრავს.

¹ როგორც ვიცით, ჩვენს საგანწყობო ცდებში ყოველ ექსპოზიციისას ვუთვლიდით სიტყვიერად „პირველი-მეორე“, რომ ამით ცდის პირი მიმართებას წვდომოდა პირველ და მეორე გამლიზიანებელს შორის.

2. მეორე გარემოება, რაც სუქცესიურ მიმართებაზე ფიჭ-სირებულ განწყობის დაბალი აგზნებადობისა და სიმტკიცის საფუძვლად შეიძლება ვივარაუდოთ, ჩვენი აზრით, შემდეგია: როგორც აღვნიშნეთ, ცდის პირს გამლიზიანებლები ცალ-ცალკე ეძლევა (ვთქვათ, პირველად—დიდი, მეორედ — პატარა). თვითთულის აღქმა, რა თქმა უნდა, სათანადო განწყობის ნი-დაგზე ხდება. და აი პირველს „დიდს“ რომ განიცდის სუბიექტი და ამ ობიექტური გამლიზიანებლის შესაფერისად განეწყობა იგი, ამის შემდეგ ერთბაშად მეორე, მასთან შედარებით ძალზე პატარა, გამლიზიანებელი ეძლევა მას და ახლა ამის მომართ უნდა განეწყოს იგი ხელახლა. რაც შეიძლება არღვევდეს პირველ, დიდისადმი განწყობას, ნაცვლად იმისა, რომ მათ შორის მიმართებაზე განეწყოს სუბიექტი. ასე გრძელდება 25—30 ექსპოზიციის გასწვრივ. აქედან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თუ პირველი „დიდისადმი“ განწყობა მეორე „პატარისადმი“ განწყობას არღვევს, ხოლო მომდევნო კი „დიდისადმი“ განწყობას, მაშინ საერთოდ ფიქსაცია მათ შორის მიმართებაზე არც უნდა მომხდარიყო. საქმე იმაშია, რომ ჩვენს ცდებში ისე კი არ ხდება, რომ გაუთავებლად-თანმიყო-ლები „დიდი პატარა“ „დიდი პატარა“ და ასე შემდეგ მოქმედებდეს გამლიზიანებლები, არამედ „წყვილადი“ მიწოდებით და ამასთანავე გარკვეული ინტერვალით. ცდის პირი სწრაფი თანმიყოლებით განიცდის პირველსა და შემდეგ მეორეს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეადაროს მან ისინი ერთმანეთს. გააცნობიეროს მათ შორის მიმართება და უპასუხოს, თუ რომელია დიდი. შემდეგ ამას მოჰყვება მომდევნო წყვილის ექსპოზიცია და ეს ქმნის საერთოდ ამა თუ იმ ხარისხით განწყობის ფიქსაციის შესაძლებლობას. თორემ უწყვეტად-მორჩეობით. დიდი-პატარა გამლიზიანებელი რომ მიგვეწოდებია ცდის პირისათვის, რა თქმა უნდა, არავითარი განწყობის ფიქსაცია არ მოხდებოდა. ამრიგად, შუალედები „წყვილთა“ მიწოდებას შორის, გააცნობიერება მათ შორის უტოლობის მიმართებისა და შემდეგ სიტყვიერი პასუხი,—ესაა, რაც, ამ შემთხვევაში, განწყობის ფიქსაციის შესაძლებლობას ქმნის. მაგრამ ამ „წყვილის“ პირველი წევრის — „დიდის“ შემდეგ

უშუალოდ „პატარას“ მიწოდება (ან პირიქით) და თვითეული-სადმი ცალ-ცალკე სუბიექტის მომართვა, ბუნებრივია, აძნელებს (სიდიდეთა მკვეთრად განსხვავებულობის გამო) განწყობის საკმაო ძალით ფიქსირებას. ისიც სავარაუდოა, რომ შეიძლება ეს მომენტი უცილობელს ხდის სიდიდეთა შორის მიმართების წვდომისათვის წარმოდგენის მონაწილეობას და ამ გზით გარკვეული სახის უტოლობის მიმართების გაცნობიერებას ყოველ საგანწყობო ცდაში.

3. როგორც ვიცით, სუქცესიური მიმართებით ტოლ სიდიდეთა განცდისას გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია ნაკლებად დასტურდება (იხ. თავი II, §I), ვიდრე სიმულტანური მიმართებით განცდისას, ე. ი. ბუნებრივად ადამიანს უტოლობის განწყობა ნაკლებად აქვს ფიქსირებული სუქცესიურ მიმართებაზე, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე. ჩანს, რომ გენეტურადაც (შესაძლებელია ზემოაღნიშნული მომენტის საფუძველზე) ადამიანს ნაკლები აგზნებადობისა და სიმტკიცის მქონე უტოლობის ფიქსირებული განწყობა აქვს განვითარებული სუქცესიურ პირობების მიმართ, ვიდრე სიმულტანური პირობებისადმი. აქედან გასაგებია, რომ სიმულტანურ პირობებში შედარებით ადვილი ხდება მეტი აგზნებადობისა და სიმტკიცის მქონე ბუნებრივად ფიქსირებული უტოლობის განწყობის საკმაო სიძლიერით ხელოვნურად დიფერენციაცია. ფიქსაცია (15 საგანწყობო ექსპოზიცია), იმ დროს, როცა სუქცესიურ პირობებში ამ მსრივ შედარებით „ინდიფერენტული“ სუბიექტისათვის საკმაო დიფერენცირებული, „მწვერვალზე აყვანილი“ უტოლობის განწყობის ხელოვნურად ფიქსაცია 25—30 საგანწყობო ექსპოზიციითაც კი ძნელდება. ჩვენი აზრით, ეს მომენტიც ერთ-ერთ პირობას შეიძლება წარმოადგენდეს. რაც სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის ნაკლებ აგზნებადობასა და სიმტკიცეს განსაზღვრავს.

ასეთია ჩვენი ვარაუდით ის ფაქტიური გარემოება, რომელიც სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის ძირითად განმასხვავებელ ნიშანს — დაბალ აგზნებადობასა და სიმტკიცეს — უნდა ედოს საფუძველად. ამ ნიშნის საფუძველზე (როგორც ჩვენი გამოკვლევის მიხედვით ჩანს) გასაგები

ზღვბა სხვა სპეციფიკური თავისებურებანი და კანონზომიერებანი, რაც სუქცესიურ მიმართებებზე ფიქსირებულ განწყობას აწასიათებს.

§ 7. სუქცესიურ და სიმულტანურ მიმართებებზე ფიქსირებულ განწყობათა სპეციფიკური თავისებურებანი

ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, ოდენობით მიმართებებზე ფიქსირებული განწყობა სუქცესიურსა და სიმულტანურ პირობებში ყოველმხრივ ზოგადი კანონზომიერების ერთიან რკალში თავსდება და ქვალიტატურად განსხვავებულ ნიშანთვისებას არ ავლენს. მაგრამ არის ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურება, რომელიც სუქცესიურ მიმართებებზე ფიქსირებულ განწყობას ასე თუ ისე განასხვავებს სიმულტანურ მიმართებებზე ფიქსირებულ განწყობისაგან.

1. როგორც ვიცით, ბუნებრივ პირობებში გენეტურად, ფიქსირებულ უტოლობის განწყობის საფუძველზე, არსებობს საერთოდ ტოლ სიდიდეთა ილუზიურად (უტოლოდ) განცდის შკვეთრად ჩამოყალიბებული გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია და იგი ტოლ სიდიდეთა სუქცესურად შედარების შემთხვევაშიც საკმაოდ ჩამოყალიბებულსა და გავრცელებულს ფაქტს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაფასების ბუნებრივი, ტენდენცია, ე. წ. „ასიმეტრიის“ ფაქტი, როგორც გარკვეული კანონზომიერების მატარებელი მოვლენა, იქაც დასტურდება, სადაც მის მორფოლოგიურ საფუძველზე მსჯელობა არ შეიძლება. ამრიგად, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მორფოლოგიური ასიმეტრიის საფუძველზე აღმოცენებულ „ბუნებრივი ასიმეტრიის“ ფაქტთან. არამედ ბუნებრივი „ფუნქციონალური ასიმეტრიის“ — გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის ფაქტთან.

2. გადაფასების ეს ბუნებრივი ტენდენცია ტოლ სიდიდეთა სუქცესიურად შედარებისას მაინც შედარებით დაბალი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი ყველა არეში ცალ-ცალკე და საერთოდ, ვიდრე სიმულტანური შედარებებისას, თუმცა იგი აქაც (ე. ი. სუქცესიურ პირობებში) საკმაოდ ჩამოყალიბებული

და გარკვეულის კანონზომიერებით გვეძლევა ანალოგიურად სიმულტანური პირობებისა. ორივე შემთხვევაში კუნთური არე მეტი გადაფასების ბუნებრივი ტენდენციით ხასიათდება, ჰაპტური ამ მხრივ საშუალო ადგილზე გამოდის და, ბოლოს, შედარებით ნაკლები გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია ოპტიკურ არეს ახასიათებს.

ტოლ სიდიდეთა ადექვატური აღქმის თვალსაზრისით, სუქცესიურ პირობებში ადექვატური აღქმის შედარებით მეტი ტენდენციაა საერთოდ წარმოდგენილი, ვიდრე სიმულტანურ პირობებში.

3. გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია სუქცესიურ პირობებში პირველის თუ მეორის მიმართულებით გადაფასების ტენდენციის სახით ვლინდება, მაგრამ ოპტიკურსა და კუნთურ არეში უპირატესად მეორის გადაფასების ტენდენციაა დომინანტური, ჰაპტურ არეში კი, გაღონაკლისის სახით, პირველის გადაფასების ტენდენცია დომინანტობს. მაშინ, როდესაც სიმულტანურ პირობებში, გამონაკლისის სახით, კუნთური არეა წარმოდგენილი უპირატესად მარჯვნივ გადაფასების დომინანტური ტენდენციით, ოპტიკური და ჰაპტური არეები კი უპირატესად მარცხნივ გადაფასების დომინანტური ტენდენციით ხასიათდება. გადაფასების ამ დომინანტური ტენდენციის მიმართულება სუქცესიურ პირობებში კორესპონდული ორგანოს ცალკეული წევრის მიხედვით (მარცხენა, მარჯვენა) ყოველთვის ერთი მიმართულებისაა: მარჯვენა თვალში რომ მეორის მიმართულებით გადაფასების ტენდენციაა დომინანტური, ამავე დროს მარცხენა თვალშიც იგივე ტენდენცია დომინანტობს. ასევე კუნთურის გზით მარჯვენა და მარცხენა ხელში. ჰაპტურად კი მარჯვენა ხელში რომ პირველის გადაფასების ტენდენციაა დომინანტური, ამავე დროს მარცხენა ხელშიც ასეთივე ტენდენცია დომინანტობს. ერთი სიტყვით, სუქცესიურ პირობებში კორესპონდულ ორგანოთა ცალკეული წევრის ტენდენციის მიმართულება ერთი და იგივე კანონზომიერებით ხასიათდება, იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში ოპტიკურ არეში (სადაც ასეთის კვლევა შეიძლება), დომინანტური ტენდენციების სხვადასხვა მიმართულებასთან გვაქვს საქმე. როგორც ცნობი-

ლია. მარცხენა თვალი უპირატესად მარჯვენა გადაფასების დომინანტური ტენდენციით ხასიათდება. მარჯვენა თვალი კი მარცხნივ გადაფასების დომინანტური ტენდენციით. ამრიგად, სუქცესიურ პირობებში საერთოდ რომელიმე მხარის წამყვან მნიშვნელობაზე გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის განსაზღვრაში საკითხი არ დაისმის.

4. სუქცესიურ პირობებში ყოველი კორესპონდული ორგანოს მარჯვენა წევრი მეტი გადაფასების ბუნებრივი ტენდენციით ხასიათდება, ვიდრე მარცხენა (ასევეა სიმულტანურ პირობებში — მხოლოდ ოპტიკურ არემო), და პირიქით, ყოველი კორესპონდული ორგანოს მარცხენა წევრი მეტი აღქმადური აღქმის ტენდენციით ხასიათდება, ვიდრე მარჯვენა. ეს ფაქტი, როგორც დავინახეთ, სავსებით გასაგები და ანონზომიური მოვლენა უნდა იყოს. თუ გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის საფუძველად ფიქსირებულ განწყობას ვაღიარებთ (იხ. თავი II, §1-ის ბოლო).

5. სუქცესიურ მიმართებაზე ხელოვნურად ფიქსირებული განწყობისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ იგი თავიდანვე, მთელ მოქმედების გასწვრივ, შედარებით ნაკლებ გამოკვეთილობას და სიმტკიცეს იჩენს. ამ შემთხვევაში თავიდანვე იჩენს თავს განწყობის სისუსტის მაჩვენებელი ნიშანი — ასიმილაციური ილუზიები (ილუზია პირველ ხანებში მცირედ) და შემდეგ განწყობის მთელი მოქმედების გასწვრივ ასიმილაციური ილუზიანარევი მოქმედება სუქცესიურ პირობებისათვის მეტადაა დამახასიათებელი. ვიდრე სიმულტანურისათვის. ეს გარემოება განაპირობებს სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების ზოგ სპეციფიკურ თავისებურებას.

სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობაც საკმაო ხანგრძლივობით ხასიათდება სიმულტანურთან ერთად. მაგრამ იგი საზოგადოთ მაინც ოდნავ ნაკლები ხანგრძლივობისაა. განწყობის ხანგრძლივობის მიხედვით სუქცესიურ პირობებში საკმაოდ მაღალი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობაა დადასტურებული, მაგრამ ამ მხრივ იგი მაინც ნაკლები ინტერინდივიდუალური ვარიაციულობით ხასიათდება, ვიდრე სიმულტანურ პირობებში ფიქსირებული განწყობა. ინტერინდივი-

დუალური ვარიაციულობის ამ ნაკლებობას, ერთი მხრივ, ის ფაქტი განაპირობებს, რომ სუქცესიურ პირობებში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ნულოვანი ხანგრძლივობის (კონტრავერსული განწყობის) ცდის პირები, იმ დროს, როცა სიმულტანურ პირობებში ასეთი თითქმის არ გვხვდება.

7. ამ შედეგებით ნაკლებ (ოდნავ ნაკლებ) ხანგრძლივობაში სუქცესიურ პირობებში ფიქსირებულ განწყობას მეტი შინაფაზური დინამიკურობა ახასიათებს, ვიდრე სიმულტანურ პირობებში ფიქსირებულს. ეს ფაქტი იმითაა შეპირობებული, რომ ასიმილაციური ილუზიის სიჭარბე სუქცესიურ პირობებში, რაც მესამე ფაზაში დასტურდება, საერთოდ ზრდის სუქცესიურ პირობებში მესამე ფაზიანობას (3—წევრიან მონაცვლეობას) და ამით აღიძვრს განწყობათა მონაცვლეობის მაჩვენებლებს. რაც, ჩვენი მასალების მიხედვით, შინაფაზური დინამიკურობის ნიშნად ითვლება. ეს გარემოება-განწყობათა წშირი მონაცვლეობა და, მაშასადამე, შედეგებით მეტი შინაფაზური დინამიკურობა, მით უმეტეს დამახასიათებლად ეხსიან ჩაითვალოს ცდის პირისათვის იმიტომაც, რომ აქ საერთოდ მონაცვლეობის გარეშე ცდის პირებიც (განწყობის ნულოვანი ხანგრძლივობისა) ჰარბადაა მოცემული. ამისდამიუხედავად, ცდის პირებთან განწყობის დადასტურების შემთხვევაში, მათი განწყობის მონაცვლეობის საერთო მაჩვენებლები სჭარბობს სიმულტანური პირობების მონაცვლეობის საერთო მაჩვენებლებს. სადაც მონაცვლეობის გარეშე (ნულოვანი ხანგრძლივობის) ცდის პირები საერთოდ იშვიათად გვხვდება. ამრიგად, უდავო ფაქტია, სუქცესიურ პირობებისათვის მეტი შინაფაზური დინამიკურობა, რაც ამ პირობებში ფიქსირებული განწყობის სისუსტით არის განსაზღვრული.

8. საზოგადოთ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა (სუქცესიურ პირობებშიც) დინამიკურ პროცესს წარმოადგენს. განწყობის სახეობის გავრცელებულობის მიხედვით. ორთავე პირობებში, განწყობის მოქმედების დინამიკურობა არსებით და დამახასიათებელ ნიშნად ითვლება ჩვენი მონაცემების მიხედვითაც. ამასთანავე სუქცესიურ პირობებში

ფიქსირებულ განწყობას ნაკლები დინამიკურობა ახასიათებს, ვიდრე სიმულტანურ პირობებში ფიქსირებულს. მაგრამ სუქცესიურ პირობებში ფიქსირებულ განწყობას მეტო შინაფაზური დინამიკა რომ ახასიათებს. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეს მისი სისუსტით გამოწვეული დინამიკაა, იგი უჯრო ცალკეული ფაზების შიგნით მოძრაობს და არა ფაზათა შორის; იგი ერთ ადგილს „ტკეპნის“ თავისი მონაცვლეობით და ნაკლებად ახერხებს ახალ ფეხებში, სხვა ფაზაში, ადგილის მონაცვლეობას. ამიტომ ნაკლები ავზნებადობისა და სიმტკიცის სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას ნაკლები დინამიკურობა ახასიათებს, ხოლო შინაფაზური დინამიკურობა კი მეტა.

9. ამასთანავე სტატიკურობის მიხედვითაც ბუნებრივია, რომ სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას ოდნავ მეტი სტატიკურობა ახასიათებს. მაგრამ ეს სტატიკურობაც სისუსტის მაჩვენებელია და არა სიძლიერისა. როგორც ჩვენი მონაცემებიდან ჩანს, სუქცესიურ მიმართებაზე მტკიცე—ძლიერი სტატიკური განწყობის სახეობა ნაკლებადაა წარმოდგენილი. აქ სტატიკური განწყობა უპირატესად სუსტი განწყობის სახით დასტურდება. სიმულტანურ მიმართებაზე კი სტატიკური განწყობის სახეობანი ნაკლებადაა წარმოდგენილი. იგი მაინც უპირატესად მტკიცე სტატიკური განწყობის ნაირსახეობათა ვარიაციათა გვხვდება.

10. პლასტიკურობა—სიტლანქის ნიშნის მიხედვით სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისათვის მეტი სიტლანქე და ნაკლები პლასტიკურობაა დამახასიათებელი, ხოლო სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისათვის კი, პირიქით, — მეტი პლასტიკურობა და ნაკლები სიტლანქე.

11. ავზნებადობის ხარისხისა და გამოკვეთილობა-სიმტკიცის მიხედვით სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას შედარებით დაბალი ავზნებადობა, გარკვეულობა და სიმტკიცე ახასიათებს, ვიდრე სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებულს. ეს ის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია სუქცესიურსა და სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული

განწყობისათვის. რომელიც, როგორც ყველა ცალკეულ სა-
კითხვის განხილვისას ჩანდა, მისი მოქმედების ყველა სხვა
მომენტს ედება საფუძვლად და მათ განაპირობებს. ეს ის ძი-
რითადი განმასხვავებელი ნიშანია, რომლის საფუძველზედაც
გასაგები ხდება სუქციესიურსა და სიმულტანურ პირობებში
ფიქსირებული განწყობის სხვა განმასხვავებელი ნიშანთვისე-
ბანი. ვინაიდან, როგორც დავინახეთ, ამ ორ შემთხვევაში
ფიქსირებული განწყობის მოქმედების მიხედვით (მისი აღკვე-
თის პროცესში) არავითარი ქვალიტატური განმასხვავებელი
ნიშანთვისება არ დასტურდება: ყოველა განმასხვავებელი
ნიშანი მხოლოდ ინტენსიობითი-ქვანტიტატური კატეგორიის
მოვლენაა. აქედან გასაგებია ძირითადი ინტენსიობითი კატეგო-
რიის—აგზნებალობისა და სიმტკიცის—ხარისხიდან სხვა ინტენ-
სიობითი კატეგორიის განმასხვავებელი ნიშანთვისებათა გარკ-
ვეული კანონზომიერებით გამომდინარეობის აუცილებლობაც.

12. სუქციესიურ პირობებში დინამიკური განწყობის ნაირ-
სახეობათაგან (რაც საერთოდ მეტად ასასიათებს ოდენობით
მიმართებაზე ფიქსირებულ განწყობას) ერთი რომელიმე
ნაირსახეობის განსაკუთრებული დომინანტური სახით გამო-
კვეთა არ დასტურდება. სუქციესიურ პირობებში არამტკიცე
ტლანქი დინამიკური განწყობის ორი ნაირსახეობაა შედარე-
ბით ჭარბად წარმოდგენილი, აგრეთვე საკმაო ოდენობით
მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ორი ნაირსახე-
ობა (I—III—IV და I—II—IV ფაზიანები), იმ დროს, როცა
სიმულტანურ პირობებში აშკარად დომინანტურია მტკიცე
პლასტიკურ-დინამიკური განწყობის ერთი ნაირსახეობა (I—II
—IV ფაზიანები) და ამასთანავე საკმაო ოდენობითაა წარმო-
დგენილი მტკიცე ტლანქი-დინამიკური განწყობის ნაირსახე-
ობა და, ბოლოს, მტკიცე პლასტიკურ-დინამიკური განწყობის
ერთი ნაირსახეობათაგანი (I—III—IV ფაზიანები).

13. სიმულტანურ პირობებში განწყობის უსუსტესი მოქ-
მედების (თავიდანვე IV ფაზიანები)—იმედიატურ კონტრა-
ვერსული სახე. ჩვენი მასალების მიხედვით. თითქმის არ
დასტურდება; სუქციესიურ პირობებში კი იგი განწყობის მოქ-
მედების საკმაოდ გავრცელებულ სახეს—ტიპს წარმოადგენს

(15%). ეს ფაქტორც გასაგებია. იგი. საზოგადოთ, სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის დაბალი აგზნებადობითა და სიმტკიცით უნდა იყოს შეპირობებული.

ასეთია ზოგადად, ჩვენი მონაცემების მიხედვით, სუქცესიურ და სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების თავისებურებანი, რაც მისი აღკვეთის პროცესში ვლინდება.

ზოგადი დასკვნები

1. ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის თავისებურებანი ჩვენი მასალების მიხედვით

1. ჩვენი მასალების მიხედვით დადგენილია, რომ ტოლ სიდიდეთა უტოლოდ (ილუზიურად) შეფასება, ე. წ. ასიმეტრიის ტენდენცია. არა ჰარტო ირრულტანური წედარებისას, არამედ სუქცესიურ შედარებისათვისაც საკმაოდ დამახასიათებელ და გარკვეულ კანონზომიერების მატარებელ ფაქტს წარმოადგენს. ამრიგად, არსებობს ტოლ სიდიდეთა ილუზიურად შეფასების საკმაოდ ჩამოყალიბებული გადაფასების (ილუზიური აღქმის) ბუნებრივი ტენდენცია და, როგორც ირკვევა, მას ბუნებრივ პირობებში უტოლობის ფიქსირებული განწყობა უდევს საფუძვლად. იშვიათობას წარმოადგენს ისეთი ცდის პირი, რომელიც ტოლ სიდიდეთა სავსებით გაბატონებულ ადექვატური აღქმის ტენდენციას ამჟღავნებდეს (ტოლ სიდიდეთა 20 ექსპოზიციის გასწვრივ).

2. ცალკეულ სუბიექტში გადაფასების ეს ბუნებრივი ტენდენცია რომელიმე მხარეს (მარჯვნივ ან მარცხნივ სიმულტანური შედარებისას) ან მიმართულებით (პირველი ან მეორე გამლიზიანებლის მიმართულებით სუქცესიური შედარებისას) დომინანტური ტენდენციის სახით ვლინდება. მაგრამ იშვიათია ისეთი ცდის პირი, რომელსაც სავსებით გაბატონებული აბსოლუტურად ერთმხრივი გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია ახასიათებდეს. უფრო ტიპური და დამახასიათებელი ისაა, რომ ტოლ სიდიდეთა 20 ექსპოზიციის გასწვრივ გადაფასების ტენდენცია სვადასხვა მხრივ მონაცვლეობს და ამ ტენდენციათა შორის მაინც რომელიმე დომინანტობს სუბიექტში (ამ ჰხრივ

ჩვენ საკმაო რაოდენობით საკუთარი მასალები მხოლოდ სუქცესიურ პირობებიდან მოგვეპოვება).

3. მიუხედავად ამისა, ესოდენ ჩამოყალიბებული გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია არსებით როლს არ თამაშობს ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობის კრიტიკულ ცდებში. იგი განდევნილია მოცემულ მომენტში. კრიტიკულ ცდებში გამოვლენილი ტოლ ობიექტთა ილუზიური თუ ადექვატური აღქმის მოვლენები მხოლოდ წინამორბედი უტოლობის ფიქსირებული განწყობის მოქმედების შედეგს წარმოადგენენ. აქედან სავსებით გასაგებია, რომ საგანწყობო ცდებში შემდეგ კრიტიკულ ცდებში ტოლ ობიექტთა შეფასების რაგვარობის დახასიათება მთლიანად წარმოადგენს უტოლობის წინამორბედი ფიქსირებულ განწყობის მოქმედების რაგვარობის დახასიათებას. ამიტომ კრიტიკულს ცდებში გამოვლენილი განწყობის მიმდინარეობის რაგვარობაში გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის ფაქტორის მონაწილეობის ძიება, ჩვენი აზრით, შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

4. გამლიზიანებელთა ოდენობითი მიმართება სუბიექტზე ორი განსხვავებული სახით შეიძლება მოქმედებდეს: ს-მულტანურად (ერთდროულად—„გვერდში მდებარეობით“) და სუქცესიურად (თანმიყოლებითი ზემოქმედებით „პირველი—მეორე“). როგორც ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებიდან ჩანს, ორივე ამ შემთხვევაში ხერხდება ხელოვნურად საკმაოდ დიფერენცირებული უტოლობის ფიქსირებული განწყობის შემუშავება.

5. ოდენობით მიმართებაზე ხელოვნურად ფიქსირებული განწყობა როგორც სიმულტანურად, ისე სუქცესიურად ძირითადად თავისი მოქმედების ერთნაირი ზოგადი კანონზომიერებით ვლინდება, მისი გამოვლენის ყველა შემთხვევაში — განწყობის პირველი გამოვლენის, ხანგრძლივობის, განწყობათა მონაცვლეობის, ფაზათა თანმიმდევრობის, ცალკეული ფაზების რაგვარობის სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ინტერ-ინდივიდუალური ვარიაციულობის, განწყობის ფაზური მოქმედების სახესხვაობის, დინამიკურობა-სტატიკურობის, პლასტიკურობა-სიტლანქისა და სხვა ნიშნის მიხედვით. ჩვენი მასალების სა-

ფუნქციულზე არ დადასტურდა ისეთი ქვალიტატურად განსხვავებული არც ერთი ნიშანი. რომელიც მხოლოდ სუქციესიურ პირობებისათვის იყოს დამახასიათებელი და სიმულტანურ პირობებისათვის კი არა. ან პირიქით. განწყობის აღკვეთის პროცესში ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედება ორივე შემთხვევაში ერთი ზოგადი კანონზომიერებით ვლინდება: იგი ფაზური ხასიათისაა და ფაზათა თანმიმდევრობა და ცალკეულ ფაზების რაგვარობა ძირითადად ერთსაირაა¹.

ეს გარემოება კიდევ ერთ საბუთს წარმოადგენს ფიქსირებული განწყობის ზოგადობის—მილიანსტრუქტურა მდგომარეობის შესახებ წამოყენებული დებულების სასარგებლოდ. განწყობა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეულ ზოგადი კანონზომიერებით ვლინდება, მიუხედავად იმისა, რომ, ამავე დროს, იგი ბუნებრივად ამ კონკრეტული სპეციფიკური სიტუაციის სუქციესი ნიშანთვისების მატარებელიცაა.

ბ. განწყობის მოქმედება მისი აღკვეთის პროცესში ფაზურ—ეტაპობრივ ხასიათს ატარებს. მაგრამ ფაზათა თანმიმდევრობა, მათი რაგვარობა, ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით (გარდა I ფაზისა), სხვაგვარაა. ვიდრე ეს დღემდე ცნობილი იყო. ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, პირველ-თანმიყოლებითი კონტრასტული ილუზიის ფაზის მოძღვრულ ფაზისათვის დამახასიათებელია კი არ არის, რომ კონტრასტული ილუზიების გვერდით გზადაგზა ასიმილტატორი ილუზიები გამოერიოს და შემდეგ ასეთმა თანდათან იმატოს, არამედ ის, რომ კონტრასტული ილუზიების გვერდით გზადაგზა ადექვატური აღქმები იწყებენ მონაწილეობას და შემდეგ თანდათან მატულობს ადექვატური აღქმების თანმიყოლებითი რივი, მაგრამ სრულ გაბატონებას ამ ფაზაში იგი მანც ვერ აღწევს. ადექვატური აღქმის სავსებით გაბატონებამდე იწყება მესამე ფაზა, რომლის დამახასიათებელი ნიშანთი-

¹ ნალოგიური კანონზომიერებანი დავგესმარება: უოლერისა და ჰ. უოლასის ენობილი თეორიისა და „ფიქსურის შემდგომ ეფექტები“ მათ შიერ მოპოვებული ფაქტების მართებულ გაგებასა და განალიზებაში (W. Köhler and H. Wallach, Figural after-effects on investigation of visual processes, Proc. Amer. Phil. Soc. 68, 1944).

სება ისაა, რომ კონტრასტული ილუზიებისა და ადექვატური აღქმების მონაცვლეობის გვერდით გზადაგზა ასიმილაციური ილუზიებიც ჩაენაცვლებიან. აღსანიშნავი ისაა, რომ, ჩვენი მასალებს მიხედვით, ასიმილაციური ილუზიების გადასვლა გაბატონებულ მდგომარეობაზე არც ამ ფაზაში ხდება. ეს ასიმილაციური ილუზიები უკანასკნელ მესამე ფაზაში. მისი მოქმედების მთელი სანგრძლივობის გასწვრივ გზადაგზა მცირერიცხოვანი თანმიყოლებით. თითოეული სახით მონაწილეობენ კონტრასტული ილუზიებისა და ადექვატური აღქმების გვერდით. ამ ფაზაში კონტრასტული ილუზიების თანმიყოლებითი რიგის გამოვლენაც თანდათან კლებულობს. ხოლო ადექვატური აღქმების თანმიყოლებითი რიგი კი მსტულობს და, ამრიგად, სუბიექტი გადადის კრიტიკული სიტუაციაში ადექვატური აღქმის განწყობაზე — IV ფაზაზე, — ადასტურებს თანმიყოლებით 10-ზე მეტს ადექვატურ აღქმას.

ასეთია საზოგადოო ფაზების თანმიყოლება და მათი ქმედების რაგვარობა ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის აღკვეთის პროცესში.

როგორც დავინახეთ, ეს ფაქტი სავსებით გასაგებ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს (იხ. თავი IV, § 1—ფაზების თანმიყოლების სავითხი).

7. განწყობის ფაზური მოქმედების მიხედვით დადასტურებულია ფაზათა ურთიერთშეცვლის მრავალი ნაირსახეობანი და, აქედან, მაშასადამე განწყობის მოქმედების ნაირსახეობანიც. განწყობის ფაზური მოქმედების მიხედვით ცდის პირთა შორისწვდომი ტიპოლოგიური დიდფრენციაციის შესაძლებლობაა მოცემული როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში. განწყობის მოქმედების ყველა შესაძლო ნაირსახეობათაგან — ტიპათაგან, ჩვენი მასალების მიხედვით, აბსოლუტურად სტატიკური (მტკიცე-ტლანქი) განწყობის (გაუთავებლად პირველ-ფაზიანები) სახეობა არც ერთ ცდის პირს არ აღმოაჩინდა საზოგადოდ არც სუქცესიურსა და არც სიმულტანურ პირობებში.

ცდის პირთა საკმაოდ დიდ რაოდენობაში (200 ცდის პირი

სუქცესიურ პირობებში და 105 სიმულტანურ პირობებში). მტკიცე სტატიკური განწყობის მქონე არც ერთი ცდის პირი რომ არ დასტურდება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯანმრთელ სუბიექტისათვის აბსოლუტურად სტატიკური განწყობა დამახასიათებელი არ უნდა იყოს. ყოველი ნორმალური ადამიანი ასერხებს ძვრას გარკვეულ პირობებში ფიქსირებული განწყობიდან თავის დაღწევასა და მასზე მოქმედი ახალი სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობის გამოვლინებისაკენ.

6. განწყობის აღკვეთის პროცესი არასწორხაზობრივად მიედინება, სანამ უტოლობის ფიქსირებული განწყობა კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის განწყობას დაუთმობდეს ადგილს, მასში გადავიდოდეს ვითარცა საპირისპირო სხვაგვარობაში. უტოლობის ფიქსირებული განწყობა თანდათან შესუსტების ვითარებაში არ ქრება, არამედ იგი გზადაგზა „გაიბრძოლებს“, „შემობრუნდება“ საკმაო სისწირის თანმიყოლებითი კონტრასტული ილუზიების სახით. ეს შემობრუნება მეტია მეორე ფაზაში. მაგრამ იგი მესამე ფაზაშიც გვხვდება. განწყობა ჩაქრობის უკანასკნელ ეტაპზედაც შემობრუნდება, უკანასკნელად გაიბრძოლებს და გვაგრძობინებს თავს, სანამ ადგილს დაუთმობდეს მისი საწინააღმდეგო ახალი სიტუაციის ადექვატურ განწყობას. ამრიგად, ჩვენი მასალების მიხედვით, ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობისათვის შემობრუნებადობა. ე. წ. „რეციდივისტული“ მოქმედება, მისი მოქმედების არსებით ნიშანს უნდა წარმოადგენდეს. ყოველ შემთხვევაში. ჩვენი მასალები და ამ საკითხზე გამოთქმული მოსაზრებანი (იხ. თავი IV, § 4) იმის უტყუარ საბუთს მაინც წარმოადგენენ, რომ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის შემობრუნებადობის, საერთოდ განწყობის მოქმედების არსებად მისი ჩათვლის საკითხი შემდგომი კვლევა-ძიების საგნად იქცეს.

9. როგორც აღინიშნა, იშვიათია ისეთი ცდის პირი, რომელსაც სიდიდეთა შორის ტოლობის მიმართების ილუზიური აღქმა-გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია არ ახასიათებდეს. უტოლობის განწყობის ხელოვნურად ფიქსაციის პროცესში გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია, გარ-

კვეულის მხრივ დიფერენცირებული განწყობის სახით, დიფერენციაციისა და ფიქსირებულობის „მწვერვალზე“ აღის. ამის შედეგი პირველ ხანებში (I, II და III ფაზაში) არის ტოლკრიტიკულ სიდიდეთა გარკვეული კანონზომიერებით ილუზიური აღქმა; ბოლოს, დგება მომენტი, როცა უტოლობის ეს განწყობა ქრება, როგორც უტოლობის განწყობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი მოქმედება საზოგადოთ გაქრა მეოთხე ფაზაში და ცდის პირი ხელოვნურად ფიქსირებული უტოლობის განწყობამდელ მდგომარეობას უბრუნდება. არა, ცდის პირი მეოთხე ფაზაში ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის ისეთ ადექვატურ აღქმის განწყობას ავითარებს უტოლობის განწყობის საპირისპიროდ, რომელიც მას სხვა შემთხვევაში არ ექნებოდა, თუ არა „მწვერვალზე აყვანილი“ უტოლობის განწყობის შემდეგ და მასთან დაპირისპირებაში. ამრიგად, IV ფაზა უბრალოდ ფიქსირებული განწყობის მოქმედების აღკვეთას კი არ წარმოადგენს. არამედ წინამორბედი უტოლობის ფიქსირებული განწყობის მოქმედებით შეპირობებულ ასალ ფაზას, თუმცა საპირისპირო სხვაგვარობას. რომელიც. ერთი მხრივ, უტოლობის ფიქსირებული განწყობის მოქმედების გაგრძელებაა სხვა — საპირისპირო-რავგვარობაში გადასვლით, ხოლო, მეორე მხრივ, ამ დაპირისპირების შედეგად, ობიექტური კრიტიკული სიტუაციის ზემოქმედებითაა შეპირობებული. ამრიგად, მეოთხე ფაზა, ერთი მხრივ, უდავოდ ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის მოქმედების ფაზაა და არა მხოლოდ მისი მოქმედების სავსებით დასრულების ფაზა, რომელსაც მასთან საერთო თითქოს არა აქვს რა.

აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს. რომ თავიდანვე მეოთხე ფაზიანი ცდის პირები ისეთი „ექსტრავერტული“ ცდის პირები კი არ არიან, რომელთაც საზოგადოდ არავითარი განწყობა არ განუვითარდათ. რა თქმა უნდა, ამ ცდის პირებს ისეთი ძლიერი და მტკიცე ფიქსირებული უტოლობის განწყობა არ უვითარდებათ, რომ მან პირველ ხანებში კრიტიკული სიტუაციის ილუზიური აღქმა განაპირობოს. ამ შემთხვევაში უტოლობის საგანწყობო ცდები ისედაც უტოლობისადმი განწყობილ ცდის პირს ამ უტოლობის განწყობას ისე გამოუყვეთავს.

რომ მისი საპირ-სპირო მდგომარეობაში ტოლობას კრიტიკული სიტუაციის შემოქმედების პროცესში—ერთბაშად ამ უტოლობას გახწყობის თვითლიკვიდაცაა ზღვება და სწორედ მისი საპირისპირო-ტოლობის კრიტიკული სიტუაციის აღექვატური განწყობის სწრაფად (შუამავლის გარეშე) წაშლილობას განაპირობებს უშუალოდ საპირისპირო რაგვარობაში გადასვლის აახიო. ხომ ფაქტია ისიც, რომ ეს ცდის პირა ტოლობის კრიტიკული სიტუაციის აღექვატური აღქმის ასეთ განწყობას (10-ზე მეტი აღექვატური აღქმა თანმიყოლებით) სხვა შემთხვევაში ვერ განავითარებდა. რომ მასზე უტოლობის საგანწყობო ცდები არ გვეწარმოებია. განწყობაშია მოყუეღების ასეთ სახესხვაობას ჩვენ ცალკე გამოყოფთ და მას განწყობის უტოტეს მოქმედებად ვთვლით. რომლის არსი მხოლოდ იმასი გამოიხატება, რომ ერთბაშად საპირისპირო განწყობაში გადაავლის სახით გამოვლინდეს. პირობითად ჩვენ ასეთ განწყობას იმედი-ატურ კონტრავერსული განწყობის სახეს ვუწოდებთ და სუბიექტს, რომელსაც ასეთი გასწყობა ახასიათებს, აგრეთვე იმედიატურ კონტრავერსული განწყობის ტიპად ვთვლით. (ნაცვლად „უგანწყობოსი“, „ექსტრავერტულისა“ ან „მყისთანად-სუბიტალური“ ტიპისა).

10. ერთი გარემოებაა, ჩვენი აზრით, განსკუთრებით საყურადღებო. როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესიურ პირობებში მასალის ყოველმხრივი დამუშავებისას, გარდა ზოგადი კანონზომიერებისა, ვლინდებოდა განწყობის სპეციფიკური თავისებურებანი (არა-ქვალიტატური), რომლებიც ამა თუ იმ არის (ობტეკური, პაპტური, კუნთური) ვხით ფიქსირებულ განწყობის მოქმედების განსხვაებულ მიმდინარეობაზე მიუთითებენ¹ (ხანგრძლივობა, განწყობათა მონაცვლეობა, მეტნაკლები სიმტკიცე, დინამიკურობისა და სტატიკურობის მეტნაკლებობა, სიტლანქე-პლასტიკურობის მეტნაკლებობა და სხვა). დასტურდება ისიც, რომ არეების მიხედვით ეს განსხვაებული მიმდინარეობა, გარდა ერთიანობისა, სუქცესიურსა და სიმულ-

¹ სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედებას შეიძლებაში ასეთი ფაქტი ცნობილი იყო (ბ. ხაქაბურიძე).

გრაფიკი №1

ბანწყობის სახეობანი

პარამეტრი ნიშნები:

1 ბიომულტანტური ———

2 ბუტყის ———



ბტაკე სტატიკური

სუსე სტატიკური


ბტაკე დიამიკური

სუსე დიამიკური

„უბანკუ-ბონა“

გრაფიკი №2

განწყობის სახესხვაობანი



ცლანქი	პლასტიკური პ	პლასტიკური მ	პლასტიკური ზ	ცლანქი პ	ცლანქი მ	პლასტიკური პ	პლასტიკური მ	პლასტიკური ზ	ცლანქი	პლასტიკური	ცლანქი პ	ცლანქი მ	"უბანწყობანი"
მ ც კ ი ს ე			ს უ ს ტ ი			მ ც კ ი ც ე			ს უ ს ტ ი				
ს ტ ა ტ ი კ უ რ ი						რ ი ნ ა მ ი კ უ რ ი							

ტანერ პირობებში თავისებური იერისაა და ზოგჯერ არეებს შორის კანონზომიერებათა სხვადასხვანაირი შეფარდებით ვლინდება (არეთა ადგილი ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით). ეს მომენტი ჩვენი აზრით, საყურადღებოა შემდეგით: ფიქსირებული განწყობა ზოგადი მოვლენაა, იგი სუბიექტის მთლიანობითი ცვლილება-მდგომარეობაა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ისეთი ზოგადი დიფუზური მთლიანობა როდია, სადაც „თავი“ და „ბოლო“ არა ჩანს; განწყობა მთლიანობაა, მაგრამ ისეთი მთლიანობა, რომლის რაგვარობა არა მარტო გარკვეული ობიექტური სიტუაციის რაგვარობის დაღს ატარებს ყოველს კონკრეტულ შემთხვევაში (ჩვენი მასალებით სუქცესიურისა და სიმულტანური მიმართებათა სიტუაციაში). არამედ ამ მთლიანობის რაგვარობაში, ერთი მხრივ, იმ გზასაც (რეცეპტორს, ანალიზატორს) ჰქონია გარკვეული მნიშვნელობა. რომლის მეშვეობითაც ეს მთლიან სუბიექტური მდგომარეობა-განწყობა იქმნება. ეს გასაგებიცაა. ვინაიდან სუბიექტი რომ ფსიქოფიზიკური მთლიანობაა,— ეს ნერვული აპარატის დიფერენცირებული მთლიანობა-სისტემის შედეგია. ეს სისტემა მოქმედებს როგორც მთელი. და ცალკეული ნაწილის მოქმედების რაგვარობა ამ მთლიანის—რაგვარობითაა შეპირობებული; მაგრამ ამ მთლიანის მოქმედებაში ყოველ კონკრეტულ ვითარებაში რომელიმე „ნაწილი ფუნქციობს“, ე. ი. ობიექტურ სინამდვილის სუბიექტში „ვადატანის“ როლს ძირითადად იგი ასრულებს და არ შეიძლება რომ ამათ გარკვეული დალი არ დაასვას მთლიანი პროცესის პარამეტრების რაგვარობას,—ვიმეორებთ. გარკვეული დალი იქონი, თორემ, როგორც ჩვენი მასალებითაც ირკვევა. განწყობა, რა გზითა და რა პირობებშიც უნდა შემუშავდეს, იგი, საზოგადოთ, ყოველთვის მოქმედების ზოგადი კანონზომიერების რკალში თავსდება.

11. დასასრულ, იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ როგორც სიმულტანური ისე სუქცესიური პირობებში განწყობის მოქმედების ყოველი ცალკეული ნიშნის მიხედვით და საზოგადოთაც არსებობს ცდის პირთა საკმაოდ შორმწვდომი ინტერინდივიდუალური ვარიაციულობა და, მაშასადამე, ცუხს პირ-

თა ტიპოლოგიური დიფერენციაციის შესაძლებლობა როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მიხედვით.

12. ჩვენი ექსპერიმენტული მასალებიდან შემდეგი მეთოდური დასკვნა გამომდინარეობს:

ა) უტოლობის ხელოვნურად ფიქსირებული განწყობის აღკვეთის (როგორც უტოლობის განწყობის აღკვეთის) დასადგენად არ კმარა ცდის პირის მიერ 3—4 ან 5 ადექვატური აღქმის დადასტურება კრიტიკულ ცდებში, არამედ თანმიყოლებით 10-ზე მეტი ადექვატური აღქმა მაინც უნდა დაადასტუროს სუბიექტმა, რომ მოცემულ მომენტში ფიქსირებული განწყობა აღკვეთილად ჩავთვალოთ. 5-ზე მეტი ადექვატური აღქმის შემდეგ კრიტიკული ცდების გაგრძელების შემთხვევაში არის შესაძლებლობა განწყობის მოქმედების ისეთი ზოგადი კანონზომიერების წვდომისა (ჩვენი მასალების მიხედვით **შ ე მ ო პ რ უ ნ ე ბ ა დ ო ბ ა**, „რეციდივული მოქმედება“), რომელსაც სხვა შემთხვევაში ვერ დავიჭერდით, როგორც განწყობის მოქმედების არსებით მომენტს.

ბ. ზოგიერთ ცდის პირს 50—60 კრიტიკული ექსპოზიციის შემდეგაც განწყობა არ აღეკვეთება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას მოცემულ მომენტში საზოგადოთაც არ აღეკვეთება განწყობა და „დაუსრულებლად“ ილუზიებს იძლევა. იგი ვერ გადადის ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებულ მდგომარეობაზე, იგი სტატიკური განწყობის ტიპია. ცნობილია, რომ ცდის პირთა დიდი მასა განწყობის აღკვეთას 50—60 კრიტიკულ ექსპოზიციამდე ახდენს. ამიტომ, პრაქტიკაში მიღებული ხერხი კრიტიკული ცდების 50—60 ექსპოზიციაზე შეწყვეტისა, მასობრივ ცდებში, შეუჩიველ ცდის პირებზე სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

განწყობის მოქმედების ცალკე საკითხები

§1. სუქცესიურსა და სიმულტანურ პირობებში ფიქსირებული განწყობის ინტრა-ინდივიდუალური კორელაციის საკითხისათვის

ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის აღკვეთის პროცესის კვლევისას დადასტურდა, რომ განწყობათა ურთიერთ შეცვლის პროცესი ფაზურ ხასიათს ატარებს და, როგორც დავინახეთ, იგი ძირითადად 3—4 ფაზას გაივლის. ფაზათა ურთიერთმონაცვლეობა და განწყობის ხანგრძლივობა (ცალკე ფაზების ხანგრძლივობის ჩათვლით) სხვადასხვა ცდის პირებში საკმაოდ განსხვავებულ სახესხვაობებს იძლევა და, ამრიგად, ამ მიმართულებით ცდისპირთა ტიპოლოგიური დაჯგუფების შესაძლებლობას იძლევა როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის აღკვეთის პროცესში.

გამოირკვა, რომ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესურ პირობებში ძირითადად ერთნაირი კანონზომიერებით მოქმედებს, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ სუქცესურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა საერთოდ ნაკლები აგზნებადობისა და სიმტკიცისაა და ამის გამო სხვაგვარი დინამიკურობითა და პლასტიკურობითაც ხასიათდება, ვიდრე სიმულტანურ პირობებში ფიქსირებული განწყობა.

აქედან ბუნებრივად დგება საკითხი, თუ რა მიმართება

არსებობს ცალკეულ ინდივიდებში სუქცესურსა და სიმულტანურ პირობებში ფიქსირებული განწყობის მოქმედებისას, არის თუ არა რაიმე კორელაცია მათ შორის. თუ თვითეულ ინდივიდში ამ სხვადასხვა მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა სხვადასხვანაირად ვლინდება.

კანწყობის ფენომენის ზოგადპიროვნული სასიათი, როგორც ეს დ. უზნაძის მოძღვრებიდან¹ ვიცით. იმაზე მიუთითებს, რომ განწყობის მოქმედების კანონზომიერება ერთ სუბიექტში, რა მიმართებაზეც უნდა მოხდეს მისი ფიქსირება. ზოგადად ერთნაირი კანონზომიერების მატარებელი უნდა იყოს. თუ მართლაც განწყობა სუბიექტის მთლიანპიროვნული მდგომარეობაა. მაგრამ ამავე დროს განწყობის უზნაძისეული ცნებიდან ისიც გამომდინარეობს, რომ განწყობა გარკვეული სიტუაციის ნიადაგზე წარმოიშობა და ამ სიტუაციის სუბიექტში გადატანით მისი მოქმედება ამ სიტუაციის დაღს ატარებს; ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ „ამ სხვადასხვა სიტუაციაში“ სიმულტანურ და სუქცესურ მიმართებებზე ფიქსირებულმა განწყობამ ერთსა და იმავე სუბიექტში ზოგადად ერთგვაროვანი, მაგრამ პირობებს შესატყვისად განწყობის მოქმედების სხვადასხვაგვარი მიმდინარეობაც მოგვეცეს. ამაზე მიუთითებს აგრეთვე ექსპერიმენტული გზით დადგენილი კანონზომიერებანი ცალკე სიმულტანურსა და სუქცესურ მიმართებებზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების შესახებ.

მოკლედ ჩვენ გვაინტერესებს საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართება-კორელაციაშია სიმულტანურსა და სუქცესურს პირობებში ფიქსირებული განწყობის მოქმედება ერთსა და იმავე ინდივიდში და ამ მიმართებათა კორელაციის როგორი ნაირსახეობანი გვხვდება საერთოდ.

ამ საკითხის გარკვევას არა მარტო თეორიული ინტერესი. არამედ შესაძლოა დიფერენციულ-ფსიქოლოგიური. ტიპოლოგიური და აქედან — პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდეს. დასმული საკითხის შესწავლა ჩვენ იმთავითვე ვივარაუ-

1. დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი. 1940, გვ. 63—77

დეთ და ამიტომ ცდის პირთა გარკვეულ რაოდენობაზე (200-დან 105-ზე) ჩაატარეთ ცდები როგორც სუქცესურ, ისე სიმულტანურ მიმართებებზე; სახელდობრ, ცდები ჩატარდა ორივე მიმართებაზე ოპტიკურ არეში—40 ცდისპირზე, პაპტურ არეში—25 ცდისპირზე და კუნთურ არეში—40 ცდისპირზე. ჩატარებული ცდების ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა:

ცნობილია, რომ განწყობის აგზნებადობის ხარისხი, მისი სიმტკიცე-სიძლიერე პირველი ფაზის (კონტრასტული ილუზიების ფაზის) გამოვლენის მეტ-ნაკლებობით განისაზღვრება. ჩვენი გამოკვლევით დადასტურდა, რომ სუქცესურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა ამ მხრივ განსხვავდება იმით, რომ ცდის პირთა დიდი მასა პირველი ფაზის განვლის გარეშე პირდაპირ მეორე ან ზოგჯერ მესამე ფაზით იწყებს და, ბოლოს, მეოთხე კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის ფაზით ამთავრებს. მაგრამ აქაც აღმოჩნდა, რომ ცდის პირთა გარკვეული რაოდენობა ასეთი თუ ისეთი სიძლიერის პირველ ფაზიან მოქმედებას ანვითარებს, რომ სიმულტანურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მსგავსად საკმაო სიძლიერისა და სიმტკიცის განწყობის შემუშავებას ახერხებს.

თუ რა კორელაცია არსებობს პირველ ფაზიანი მოქმედების მიხედვით ერთსა და იმავე ინდივიდში სუქცესურსა და სიმულტანურ მიმართებებზე ფიქსირებულ განწყობის შემთხვევაში, ამის შესახებ სათანადო მაჩვენებლები მოცემულია № 1 ცხრილში. ამ ცხრილში წარმოდგენილია ერთსა და იმავე ინდივიდში გამოვლენილი ორივე განწყობის მოქმედების შეფარდების შედეგები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ოპტიკურ არეში ორთავე შემთხვევაში პირველ ფაზიან მოქმედებას მხოლოდ 20% ახერხებს, პაპტურ არეში—44% და კუნთურში კი —42,5%. ამრიგად, ორივე შემთხვევაში ძლიერი აგზნებადობისა და მტკიცე განწყობის ფიქსირებას უფრო მეტად პაპტური და კუნთური არეები იძლევა. ოპტიკურ არეში კი ასეთს მხოლოდ ცდის პირთა ერთი მეოთხედი ახერხებს.

ამ ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ ამ მხრივ ცდისპირთა ინ-

I ფაზიანების კორელაცია

ც	ორივე შემთხვევაში პირველ ფაზიანები										მეორე შემთხვევაში აქვს I ფაზა, მეორეში--არა				ორივე შემთხვევაში პირველი ფაზის გარეშე		აბს. რ.
	აქედან უფრო ძლიერი					აქედან ორივე ერთნაირი სიძლიერისა					სიმულტანურ კ-ში I ფაზიანი, სიმულტანურში--არა		აბს. რ.		%		
	სიმულტანურ კ-ში		აბს. რ.		აბს. რ.		აბს. რ.		აბს. რ.		აბს. რ.		%				
	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%					
40	2	5	4	10	1	2,5	1	2,5	8	20	26	65	2	5	4	10	7
25	10	40	—	—	—	—	1	4	11	44	13	52	—	—	1	4	5
40	10	25	2	5	3	7,5	2	5	17	42,5	17	42,5	2	5	4	10	7
ოპტიკ.																	
ჰაბიტ.																	
კუნთური																	

ტრანდივიდუალური კორელაცია იმას როდი ნიშნავს, რომ ორივე შემთხვევაში თანაბარი სიმტკიცისა და სიძლიერის პირველფაზიან განწყობასთან გვაქვს საქმე. არა, ასეთი რამ შედარებით ძალზე მცირე პროცენტული მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი.

ერთნაირი სიძლიერის განწყობა ოპტიკურ არეში წარმოდგენილია 2,5%-ით, ხოლო სუსტიც აგრეთვე 2,5%-ით. ჰაბტურ არეში ერთნაირად სუსტი მხოლოდ 1 ცდის პირი—4% და კუნთურ არეში ერთნაირად ძლიერი 3 ცდის პირი—7,5% და ერთნაირად სუსტი 2 ცდის პირი — 5%. ამრიგად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იშვიათობას წარმოადგენენ ისეთი ცდის პირები, რომლებსაც ორივე შემთხვევაში თანაბარი სიძლიერის განწყობა უნვითარდებოდეთ პირველი ფაზის დაახლოვებით ერთი ძალოვნების თვალსაზრისით, თუმცა ასეთებოც გვხვდებიან. ცხრილიდან აშკარად ჩანს შემდეგი: ორივე შემთხვევაში პირველფაზიანი ცდის პირებისათვის უფრო დამახასიათებელი ის არის, რომ სიმულტანურ პირობებში უფრო ძლიერ პირველფაზიან მოქმედებას ცალკე ინდივიდთან სუქცესურ პირობებში უფრო ნაკლები სიძლიერის პირველფაზიანი მოქმედება შეესატყვისება. ასეთი შედარებით მეტადაა წარმოდგენილი ჰაბტურ არეში—44%-დან 40%. ხოლო შემდეგ კი კუნთურ არეში—42,5%-დან—25%; ოპტიკურ არეში კი—20%-დან 5%-მდე. ჰაბტურ არეში სუქცესურ პირობებში პირველ ფაზიანი მოქმედების უფრო მეტი ძალის მქონე ცდის პირები სულ არ გვხვდებიან. კუნთურ არეში კი ასეთი 2 ცდის პირი აღმოჩნდა (5%).

რაც შეეხება ოპტიკურ არეს, აქ, ერთი შეხედვით, გამონაკლისის სახით, სუქცესურ პირობებში უფრო მეტი სიძლიერის პირველფაზიან მოქმედებას (20%-დან 10%) გვაძლევს, პირიქით კი—5%. ამრიგად, შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ არეში უფრო ტიპური ან გავრცელებული ისეთი ინტრანდივიდუალური კორელაცია უნდა იყოს, რომლის დროსაც სუქცესურ პირობებში უფრო მეტი სიძლიერის განწყობას სიმულტანურ პირობებში უფრო ნაკლები სიძლიერის განწყობა შეესატყვისება. მაგრამ, თუ ამავე ცხრილიდან ერთ შემთხვევაში პირველ-

ფაზიანთა, ხოლო მეორე შემთხვევაში ასეთის გარეშე დარჩენილ ცდის პირების რაოდენობის შეფარდებით განაწილებას მივაქცევთ ყურადღებას, ეს მოვლენა გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. ამ არეში ისეთი ცდის პირები, რომელთაც სუქცესურ პირობებში პირველი ფაზა აქვთ და სიმულტანურში კი არა, ძალზე მცირეა (შეადგენს 2 ცდის პირს—5%), ხოლო საწინააღმდეგო შეფარდებით ცდის პირები ძალზე დიდი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი (26 ცდის პირი—65%). ამ მხრივ კანონზომიერება ანალოგიურია ჰაპტურსა და კუნთურ არეებში. ეს იმიტომ, რომ ამ არეებში ორივე შემთხვევაში პირველ ფაზიანი ცდის პირებია საკმაოდ წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში სიმულტანურ პირობებში პირველფაზიანი და სუქცესიურში ასეთის გარეშენი, ოპტიკურ სფეროსთან შედარებით, ნაკლებია (ჰაპტურ სფეროში—52%, კუნთურში—42.5%), საწინააღმდეგო კი ჰაპტურში სულ არაა, კუნთურში კი მხოლოდ 2 ცდის პირი—5%.

დასასრულს, აღმოჩნდნენ ისეთი ცდის პირებიც, რომელთაც ორივე შემთხვევაში პირველი ფაზა არა აქვთ, ე. ი. ორივე შემთხვევაში ნაკლები აგზნებადობისა და არამტკიცე სუსტი განწყობის მატარებელი არიან. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სიმულტანურ პირობებში მოქმედი განწყობა მაინც მეტი სიძლიერის მაჩვენებლებს იძლევა ყოველ ცალკე ინდივიდში, ვიდრე სუქცესიურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა. ასე, მაგალითად, ოპტიკურ არეში ცდის პირს № 6/13 სიმულტანურ პირობებში აქვს მეორე-მესამე ფაზა (+ = ფაზა და + = — ფაზა), ხოლო მეოთხე ფაზას ვერ აღწევს. განწყობის მოქმედების გასწვრივ იგი ავლენს 47 კონტრასტულ და 4 ასიმეტრიურ ილუზიას. ხოლო სუქცესურ პირობებში ნაკლებს —26 კონტრასტულსა და 6 ასიმეტრიურ ილუზიას. ჰაპტურ სფეროში ასეთი ერთადერთი ცდისპირია № II/23, რომელსაც სიმულტანურ პირობებში აქვს მეორე-მეოთხე ფაზა, განწყობის მოქმედების გასწვრივ ავლენს 10 კონტრასტულ ილუზიას, ხოლო სუქცესურ პირობებში აქვს თავიდანვე მესამე ფაზა და შემდეგ მეოთხეც. განწყობის ხანმოკლე მოქმედებაში იგი ავლენს 2 კონტრასტულსა და 1 ასიმეტრიურ ილუზიას.

რაც შეეხება კუნთურ არეს, იქაც ერთი ცდის პირს ანალოგიური მდგომარეობა აქვს (ცდის პირი № 29/35); ერთს ორივე შემთხვევაში თავიდანვე მეოთხე ფაზა აქვს ც. პ. № 10/11, ხოლო ერთიც აღმოჩნდა ისეთი, როცა ორივე შემთხვევაში III—IV ფაზა აქვს, მაგრამ სუქცესურ პირობებში განწყობის მოქმედების გასწვრივ ოდნავ მეტი რაოდენობის კონტრასტულ ილუზიას ავლენს (12), ვიდრე სიმულტანურ პირობებში (9) ც. პ. № 13/16.

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, როცა ცდის პირებს სუქცესურსა და სიმულტანურ პირობებში პირველი ფაზა არ ასახითებს და პირდაპირ II ან III ფაზით იწყებენ განწყობის მოქმედებას, სიმულტანურ პირობებში გამოვლენილი II—III ფაზა მეტი სიძლიერის, მეტი აგზნებადობის ძალისა აქვთ, ვიდრე სუქცესიურ პირობებში.

ზემო აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ: 1. განწყობის აგზნებადობისა და სიძლიერე-სიმტკიცის მიხედვით (პირველ ფაზიანები) სუქცესურსა და სიმულტანურ პირობებში უდავოდ არსებობს ინტრაინდივიდუალური კორელაცია ცდის პირთა საკმაო რაოდენობაში, ე. ი. არსებობენ საკმაო რაოდენობის ისეთი ცდისპირები სამთავე არეში. რომელთაც ორივე შემთხვევაში საკმაო სიმტკიცის განწყობის გამოვლენა ახასიათებთ. ასეთები შედარებით ჭარბადაა წარმოდგენილი ჰაპტურაა (44%) და კუნთურ (42.5%) არეებში, ხოლო შედარებით ნაკლებად—ოპტიკურ არეში—20%.

2. როგორც წესი, პირველფაზიანთა კორელაცია ისეთია, რომ ასეთ ცდისპირთა დიდ უმრავლესობაში სიმულტანურ პირობებში უფრო ძლიერ პირველ ფაზას, ე. ი. მეტი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობას სუქცესიურ პირობებში ერთსადაიმევე ინდივიდში შეესატყვისება შედარებით ნაკლები, თუმცა საკმაო აგზნებადობისა და სიმტკიცის მქონე განწყობა. გამონაკლისის სახით მოიპოვებოან მცირე რაოდენობით ცდისპირები, რომელთაც განწყობის მოქმედების საწიხაალ-მდეგო კორელაცია ახასიათებთ.

3. შედარებით მეტად გავრცელებულია ისეთი ტიპის ცდის

პირები, რომელთაც სიმულტანურ პირობებში აქვთ პირველი ფაზა, ე. ი. ძლიერი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა, ხოლო სუქციუსურ პირობებში სუსტი აგზნებადობისა და ნაკლებად მტკიცე განწყობა (თავიდანვე II ან III ფაზიანი განწყობა). ასეთი კორელაციის ცდის პირები ყველაზე ჭარბად წარმოდგენილია ოპტიკურ არეში (65%), შემდეგ ჰაპტურ არეში—(52%) და შედარებით ნაკლები კუნთურ არეში (42%).

როგორც გამონაკლისი, აქაც აღმოჩნდნენ ისეთი ტიპის ცდისპირები, რომელთაც საწინააღმდეგო კორელაცია ახასიათებთ;—5-5% ოპტიკურსა და კუნთურ არეებში, ხოლო ჰაპტურში კი—არც ერთი.

აღმოჩნდა სამთავე არეში მცირე % ცდის პირებისა, რომელთაც ორივე შემთხვევაში პირველი ფაზა არა აქვთ, ე. ი. თავიდანვე ანვითარებენ დაბალი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობას—10-10% ოპტიკურსა და კუნთურ არეებში და 4% (ერთი ც. პ.) ჰაპტურ არეში.

4. გ. სმალაძემ ყურადღება მიაქცია, ხოლო ბ. ხაჭაპურიძემ პირველმა დაასაბუთა და ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ძლიერი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობა ადვილად იქმნება ჰაპტურისა და კუნთურის გზით და შემდეგ შედარებით ძნელად ოპტიკურის გზით. ვინაიდან პირველ შემთხვევაში განწყობის უიქსაციის დროს პიროვნული ძალების მეტ აქტივობასა და მობილიზაციასთან გვაქვს საქმე, ვიდრე უკანასკნელ შემთხვევაში. როგორც ცხრილიდან ჩანს, ძლიერი აგზნებადობის მტკიცე განწყობას (პირველფაზიანები) ორივე შემთხვევაში ჰაპტური და კუნთური არეები იძლევა—თვითთელი ორჯერ მეტს, ვიდრე ოპტიკური არე (და ეს მომენტი აქაც ძალაშია), მაგრამ ზემოთ მოტანილი დებულებიდან და ჩვენი მასალებიდან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ იმ არეებში, რომელთა მეშვეობითაც მეტი აგზნებადობისა და მტკიცე განწყობის ფიქსირებაა შესაძლებელი, საზოგადოდ სუქციუსურსა და სიმულტანურ პირობებში ფიქსირებული განწყობის აგზნებადობი-

სადა სიმტკიცის მიხედვით მეტი ინტრაინდივიდუალური კორელაციის მქონე ტიპის ცდის პირებია წარმოდგენილი (ჰაპტური და კუნთური არეები), ვიდრე იქ, სადაც განწყობის აგზნებადობის შედარებით დაბალ დონესთან გვაქვს საქმე (ოპტიკური არე).

კორელაცია განწყობის ხანგრძლივობის მიხედვით

ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობა პირველ ფაზაში გამოვლენის შემდეგ (თანმიყოლებით კონტრასტული ილუზიების შემდეგ), როგორც ვიცით, ერთბაშად მეოთხე, კრიტიკული სიტუაციის ადექვატური აღქმის, ფაზაზე არ გადადის. ვიდრე იგი ასეთს მიაღწევდეს, მანამ თანდათანობითი შესუსტებით, გზადაგზა ტოლობისა და ასიმპლატური ილუზიის გამოვლენის შემდეგ, ადექვატური აღქმების მოპარბების გზით აღიკვეთება ცდის პირთა დიდ უმრავლესობაში როგორც სიმულტანური, ისე სუქცესური პირობებში. სუქცესიური პირობებში საკმაოდ არიან ისეთი ცდის პირებიც, რომელნიც პირველ ფაზიან მოქმედებას არ ავლენენ, მაგრამ II და III ფაზის საკმაოდ ხანგრძლივობის განწყობა ახასიათებთ. თუ განწყობა საერთოდ მარტო პირველ ფაზაში მოქმედებით არ ქრება და ამასთანავე იგი მას შემდეგაც ორთავე შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივობის მატარებელია, დგება საკითხი ამ ხანგრძლივობის ინტრაინდივიდუალური კორელაციისა: მოიპოვებიან თუ არა ერთნაირი ხანგრძლივობის მატარებელი ცდისპირები და ისეთიც, რომელთაც ასეთის განსხვავებულობა აქვთ: ამ განსხვავებულობის და მისი გავრცელებულობის რაგვარი კორელაცია გვხვდება სინამდვილეში. ამ საკითხზე მასალები წარმოდგენილია № 2 ცხრილში.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, მიაღწეწით თანაბარი ხანგრძლივობის განწყობის ცდის პირება ორთავე შემთხვევაში შედარებით მცირენი აღმოჩნდნენ. მაგრამ მაინც საკმაოდ რაოდენობით: ოპტიკურ არეში — 17.5%, ჰაპტურში — 16% და კუნთურში — 15%.

კორელაცია განწყობის ხანგრძლივობის მიხედვით

ა რ ე	ც. პ. რაოდ.	თანაბარი ხანგრძლივობისა		მეტი აქეთ ხანგრძლივობა			
				სიმულტანურ პ-ში		სუქცესურ პ-ში	
ობტიკური	40	7	17,5	25	62,5	8	20
ჰაპტური	25	4	16	17	68	4	16
კუნთური	40	6	15	13	32,5	21	52,5

საინტერესო ისაა, რომ სამთავე არეში თითქმის თანაბარი რაოდენობით გვხვდება ასეთი ცდის პირები. უფრო მეტი რაოდენობით ისეთი ტიპის ცდის პირები გვხვდება, რომელთაც სხვადასხვა ხანგრძლივობის განწყობა ახასიათებთ სიმულტანურსა და სუქცესიურ პირობებში. ოპტიკურსა და ჰაპტურ არეებში უპირატესად ისეთი კორელაციის ცდის პირები გვხვდება, რომლებთანაც სიმულტანურ პირობების მეტი ხანგრძლივობის განწყობას სუქცესიურ პირობების ნაკლები ხანგრძლივობის განწყობა შეესატყვისება: ოპტიკურ არეში — 62,5%, ჰაპტურში — 68%¹. ამ არეებში შედარებით მცირე რიცხვით, მაგრამ მაინც გვხვდება საწინააღმდეგო კორელაციის ცდის პირებიც: ოპტიკურ სფეროში — 20% — 62,5%-თან, ჰაპტურში — 16% — 68%¹-თან.

ამრიგად, ხანგრძლივობის კორელაციის მიხედვით ტიპების განაწილება ორთავე სფეროში თითქმის ერთნაირი კანონზომიერებითაა წარმოდგენილი.

კუნთურ არეში, გამონაკლისის სახით, უფრო მეტად ისეთი ცდის პირები გვხვდება, რომელთაც სუქცესიურ პირობებში მეტი ხანგრძლივობის განწყობა აქვთ, ვიდრე სიმულტანურ პირობებში — 52,5, საწინააღმდეგო შეფარდებისას კი ის შედარებით ნაკლებია — 32,5%.

ამ შემთხვევაში კუნთურ არეში გამონაკლისის სახით ისე-

თი ტიპის ცდის პირებია ჭარბად წარმოდგენილი, რომელთაც სუქცესურ პირობებში მეტი ხანგრძლივობის განწყობა აქვთ, ვიდრე სიმულტანურ პირობებში. ეს ფაქტიც გასაგებია, ღინაიდან ამავე ცდის პირების მონაცემების საფუძველზე განწყობის მოქმედების საშუალო ხანგრძლივობის გამოანგარიშების შემთხვევაში სუქცესურ პირობებში კუნთური არის საშუალო ხანგრძლივობა მეტია—40,96 ექსპოზიცია, ვიდრე ამავე არის სიმულტანურ პირობებში—29,30 ექსპოზიცია. ოპტიკურ არეში საწინააღმდეგო შეფარდებასთან გვაქვს საქმე. ჰაპტურში კი საერთო ხანგრძლივობის საშუალო შედარებით ნაკლებია და დიდ სხვაობას არა ჰქმნის.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: სუქცესურსა და სიმულტანურ პირობებში მოქმედი განწყობის საერთო ხანგრძლივობის მიხედვითაც დასტურდება გარკვეული კანონზომიერების ინტრაინდივიდუალური კორელაცია და ამ მხრივ ძირითადადში 3 ტიპი გვხვდება:

1. სამივე არეში მცირე, მაგრამ შესამჩნევი რაოდენობითაა წარმოდგენილი ისეთი ცდის პირები, რომელთაც დაახლოებით თანაბარი ხანგრძლივობის განწყობა ახასიათებს ორთავე შემთხვევაში;

2. სამთავე არეში ჭარბად გვხვდება ისეთი ცდის პირები, რომელთაც სიმულტანურ პირობებში მეტი ხანგრძლივობის განწყობა ახასიათებთ და სუქცესურში კი საკმაოდ ნაკლები ხანგრძლივობისა. კუნთურ არეში ასეთი შესამჩნევად ნაკლებია, ვიდრე ჰაპტურსა და ოპტიკურ არეებში.

3. მოიპოვებიან საწინააღმდეგო ტიპებიც. ე.ი. ისეთნი, რომელთაც სუქცესურ პირობებში უფრო მეტი ხანგრძლივობის განწყობა აქვთ, ვიდრე სიმულტანურ პირობებში. ასეთნი საერთოდ მცირე, მაგრამ საკმაო რაოდენობით არიან წარმოდგენილი ოპტიკურსა და ჰაპტურ არეებში; კუნთურში კი, შეფარდებით სხვა არეებთან, ისინი ჭარბად არიან წარმოდგენილნი.

კორელაცია განწყობის ფაზათა ურთიერთშეცვლის ტიპების მიხედვით

საერთოდ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული უტოლობის განწყობა როგორც სიმულტანურ, ისე სუქცესურ პირობებში (როგორც ჩვენი ცდებით გამოიჩვენა), სანამ ტოლობის მიმართების კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ აღქმაზე გადავიდოდეს, ამ უკანასკნელის ჩათვლით, ოთხ ფაზას გაივლის: თანმიყოლებით კონტრასტული ილუზიების ფაზას, ტოლობანარევი კონტრასტული ილუზიების ფაზას, კონტრასტული და ასიმილატური ილუზიებისა და ტოლობანარევი ფაზას, დაბოლოს, ბუნებრივი პირობებისათვის უჩვეულო თანმიყოლებით საკმაოდ დიდი რაოდენობით (10 და მეტი) ადექვატური აღქმის განწყობის გაბატონებულ მდგომარეობაზე ჩერდება მოცემული მომენტისათვის.

მაგრამ, ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ არც ერთ პირობებში, ყველა ცდის პირისათვის ამ გზის მთლიანად გავლა, როგორც კანონი, არ დასტურდება. უტოლობის ფიქსირებული განწყობის კრიტიკული სიტუაციის ადექვატური განწყობით შეცვლის მიხედვით ორთავე შემთხვევაში ცდისპირთა ნაირსახეობა გვხვდება, თუმცა ტიპების განაწილება საერთოდ სხვადასხვა პროპორციისაა სიმულტანურსა და სუქცესურ პირობებში. მაგრამ ვინაიდან ორივე შემთხვევაში გვხვდება ერთნაირი ტიპის ცდის პირთა გარკვეული რაოდენობა, ამიტომ ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც დგება საკითხი განწყობის შეცვლისა და ფაზათა მონაცვლეობის ინტრანდივიდუალური კორელაციის შესახებ.

განწყობის შეცვლა-აღკვეთის პროცესში ძირითად მასას დინამიკური ტიპები წარმოადგენენ, ე. ი. ისინი, რომელნიც მოცემულ მომენტში უტოლობის ფიქსირებულ განწყობას თავს აღწევენ და კრიტიკულ სიტუაციის ადექვატურ აღქმაზე გადადიან. ამ გადასვლის პროცესში გვხვდება ფაზათა გამოვლენისა და ურთიერთშეცვლის მიხედვით დინამიკურ განწყობათა სახესხვაობანი.

1. დინამიკურ-პლასტიკური და ძლიერნი, რომელთაც აქვთ I, II, III, IV ფაზა ან I, II და IV ფაზა ან. I, III და IV ფაზა;
2. დინამიკურ პლასტიკური, სუსტი, რომელთაც არა აქვთ I ფაზა და აქვთ II, III და IV ფაზები;
3. დინამიკური ტლანქი და ძლიერი, რომელთაც აქვთ I და IV ფაზა;
4. დინამიკური ტლანქი და სუსტი, რომელთაც არა აქვთ I ფაზა და აქვთ: II—IV ან III—IV ფაზები;
5. ე. წ. „უგანწყობონი“, რომელთაც ვათავსებთ დინამიკურ ტლანქსა და სუსტ განწყობის ტიპში (იმედიატურ კონტრავერსული ტიპი).

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან ისეთი ცდის პირები, რომლებიც მოცემულ პირობებში უტოლობის ფიქსირებულ განწყობას თავს ვერ აღწევენ და ილუზიის „მსხვერპლად“ ხდებიან; ასეთებს სტატიკური განწყობის ტიპებს უწოდებენ. ასეთ ტიპთა შემდეგი ნაირსახეობები გვხვდება:

- 1) სტატიკური ძლიერი (ტლანქი) გაუთავებელი პირველი ფაზით;
- 2) სტატიკური სუსტი, რომელსაც თავიდანვე და უსასრულოდ მეორე ან მესამე ფაზა ახასიათებს;
- 3) სტატიკურ-პლასტიკური ძლიერი, რომელიც პირველი ფაზით იწყებს, მაგრამ ან მეორე ფაზაზე ჩერდება, ან მეორე ფაზის განვლით მესამეზე მიდის, ან კიდევ პირველიდან მესამე ფაზაზე გადასვლით ამ უკანასკნელზე. უსასრულოდ ჩერდება.
- 4) სტატიკურ-პლასტიკური და სუსტი. რომელნიც თავიდანვე მეორე ან მესამე ფაზით იწყებენ და ამაზევე უსასრულოდ ჩერდებიან.

ჩვენი ცდების შედეგები ზემოაღნიშნული ტიპების მიხედვით რომ დავამუშავოთ, დადასტურდება დინამიკური და სტატიკური განწყობის შემდეგი ინტრაინდივიდუალური კორელაცია.

როგორც № 2 ცხრილიდან ჩანს, თუ ცდისპირებს საერთოდ დინამიკურობისა და სტატიკურობის ერთნაირობის მიხედვით გავანაწილებთ, მაშინ ძალზე შესამჩნევად დასტურდება

ინტრანდივიდუალური კორელაცია. ცდისპირთა ძლიერ დიდი მასა სამივე არეში განწყობის დინამიკურ ტიპს ანვითარებს ორთავე შემთხვევაში, მაგრამ დინამიკურობის მისხედვით ერთნაირი განწყობის ტიპის ცდის პირები ყველაზე მეტად წარმოდგენილია ჰაპტურ არეში — 96,0%; შემდეგ კუნთურ არეში—90 %; და შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი რაოდენობით, ოპტიკურ არეში — 72,5°/o.

რაც შეეხება საერთოდ ორთავე შემთხვევაში სტატიკური განწყობის ტიპებს, ასეთნი ძალზე მცირეა, მაგრამ მაინც საკმაოდ გვხვდება ოპტიკურ არეში—10 %; ჰაპტურში—4% (1 ცდისპირი). ხოლო კუნთურ არეში ასეთი არ დასტურდება. აღმოჩნდნენ ისეთი ცდის პირებიც, რომელთაც ვრთ შემთხვევაში დინამიკური და მეორე შემთხვევაში სტატიკური განწყობა ახასიათებთ; ასეთნი მცირეა საერთოდ, მაგრამ ოპტიკურ არეში ეს ნაირსახეობა შესამჩნევი რაოდენობითაა წარმოდგენილი—17,5 %: კუნთურში—10,0°/o; ჰაპტურში კი ასეთი არ გვხვდება.

ცხრილი № 3

განწყობის ტიპების კორელაცია სუქცესურსა და სიმულტანურ პირობებში

არე	ცდის პირთა რაოდენობა	ორივე შემთხვევაში					
		დინამიკური		სტატიკური		სხვადასხვა ტიპისა	
		აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
ოპტიკური	40	29	72,5	4	10	7	17,5
ჰაპტური	25	24	96	1	4	—	—
კუნთური	40	36	90	—	—	4	10

ამრიგად, დინამიკურობის მიხედვით ორთავე შემთხვევაში ერთნაირი განწყობის სუბიექტები სამივე არეში ცდის პირთა დიდ უმრავლესობას ახასიათებს, რაც არსებით მო-

მენტად შეიძლება ჩაითვალოს. ორთავე შემთხვევაში სტატიკური, ხოლო ერთ შემთხვევაში სტატიკური და მეორე შემთხვევაში დინამიკური, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება.

როგორც დავინახეთ, შეიძლება დინამიკურობის 5 ნაირსახეობა გავარჩიოთ, თუ უფრო შორს არ წავალთ. კორელაციის თუ რა ტიპები გვხვდება ამ ნიშნის მიხედვით, საამისო მასალა წარმოდგენილია № 4 ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, დინამიკური ტიპების ინტრაინდივიდუალური კორელაცია საკმაოდ ვარიანტებს იძლევა; სულ გვხვდება კორელაციის 11 ვარიანტი.

ამ თერთმეტი ვარიანტიდან შეფარებით საკმაოდ რაოდენობით ცდის პირები წარმოდგენილია 1—5—7—11 ვარიანტებში. სასელდობრ, ძლიერ პლასტიკურ-დინამიკური ტიპები ორივე შემთხვევაში ჰაპტურ არეში (28%) და კუნთურ არეში (22,5%) წარმოდგენილია საკმაოდ შესამჩნევი რაოდენობით; რაც შეეხება ოპტიკურ არეს, აქ ასეთი კორელაციის ტიპები იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება (2,5%). ამრიგად, ძლიერი აგზნებადობის გამომწვევ არეებში საერთოდ ძლიერი პლასტიკურ დინამიკური ტიპების კორელაციაც საკმაოა. ხოლო ნაკლები ალგზნებადობის განწყობის გამომწვევ ოპტიკურ არეში ასეთი რამ იშვიათობას წარმოადგენს. საშუალო პირობებში მანქანებზე საშივე არის ამ ვარიანტის ცდის პირთა რაოდენობა 17,6% უდრის და ამდენად ამ ვარიანტის კორელაციის ცდის პირები, ყველა ვარიანტთან შედარებით, საერთოდ საკმაოდ გავრცელებულია (მე-8 ვარიანტის გამოკლებით).

ორთავე შემთხვევაში ძლიერი ტლანქი დინამიკური ტიპები იშვიათობაა. მაგალითად, ასეთები ჰაპტურ არეში არ გვხვდება, კუნთურში 5%-ია, ხოლო ოპტიკურში კი—2,5%. ეს გასაგებიცაა. ვინაიდან ასეთი ტიპები ცალ-ცალკე სიმულტანურსა და სუქცესიურ პირობებში ნაკლებად გვხვდება.

ანალოგიურად ამ ტიპებისა, ორთავე შემთხვევაში მცირე მანქანებზე წარმოდგენილი სუსტი ან უსუსტესი ტლანქი დინამიკური განწყობის ტიპები. მართალია, ასეთები

ცალკე სუქცესიურ პირობებში თუმცა საკმარის რაოდენობით გვხვდება, მაგრამ სიმულტანურ პირობებში კი ისინი იშვიათობაა და ამიტომ გასაგებია საკორელაციო შესაძლებლობებიც აქ ნაკლებადაა მოცემული. მაშასადამე. ორივე შემთხვევაში ერთნაირი დინამიკური განწყობის სამი ვარიანტიდან შესამჩნევად, საკმარის რაოდენობით, ძლიერი პლასტიკური დინამიკური ტიპებია წარმოდგენილი, დანარჩენი კი იშვიათია, თუმცა ასეთებიც გვხვდება.

დინამიკურ ტიპთაგან სუქცესურ და სიმულტანურ პირობებში სხვადასხვა სახის განწყობის ტიპების კორელაციის ნაირსახეობას საკმარის ვარიანტებიც გვხვდება და აქვთ საკმარის მეტა: ვიდრე ერთნაირად დინამიკური განწყობის ტიპები.

ყველაზე გავრცელებული ამ ტიპთა შორის კორელაციის ტიპებია, რომლებთანაც სიმულტანურ პირობებში ძლიერ პლასტიკურ დინამიკურ განწყობას სუქცესიურ პირობებში სუსტი ან უსუსტესი ტლანქი დინამიკური განწყობა შეესატყუარებ (მეცხეა და მეცხეა). ასეთია, რომელიც ძლიერ კორელაციის ცდის პირები. ესაბადა წარმოდგენილი სამივე არეში, მაგრამ არეთა შორის შედარებით წარბად წარმოდგენილია იგი პაპტურ არეში — 36%, შემდეგ ოპტიკურში 32,5%. დაბოლოს. კუნთურში — 25%. არეთა შორის ამ მხრივ სხვაობა ისეთია. რომ, ჩვენი ასრია მასზე სპეციფიკური შეჩერებაა საპირო. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ტიპი მოცემულია ეწ. „უგანწყობონი“ ანუ არეთი, რომელსაც ჩვენ უსუსტეს ტლანქ დინამიკურ ტიპს ვაწარმოებთ. როგორც №4 ცხრილიდან ჩანს, ასეთება 32,5%-დან 20% შეადგენენ, ხოლო ამ უკანასკნელის გამოკლებით კი სუქცესიურ პირობებში რჩება 12,5% „წმინდა“, სუსტი. ტლანქი დინამიკური განწყობის მქონე პირები, რომელთა კორელაცია შეიძლება სიმულტანური პირობების შედარებით ძლიერ ტლანქ დინამიკური განწყობის ტიპის ცდის პირებთან. ასევე პაპტურ არეში 36%-დან რჩება 8%, მაგ-

რამ ამის გამოკლებითაც, ამ ვარიანტში საკმაო რაოდენობით (28%) გვრჩება „წმინდა“ სუსტი ტლანქი დინამიკური კორელაციის ტიპი, კუნთურ არეში ეს ვარიანტი საერთოდ არ გვხვდება.

შემდეგ ცხრილში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი სიმულტანურ პირობებში — ძლიერი ტლანქი დინამიკური განწყობის ტიპის, ხოლო სუქცესიურ პირობებში — სუსტი ტლანქი დინამიკური ტიპის კორელაციის შემთხვევა. ჰაპტურ-სა და ოპტიკურ არეებში ასეთები ერთნაირად 12—12,5% გვხვდება, კუნთურ არეში კი — 5% (7-ვარიანტი). როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, ამ ვარიანტში მხოლოდ ოპტიკურ

საერთოდ 12%-დან გვხვდება 5% ისეთი ტიპი ცდის პირობისა, რომლებთანაც სიმულტანურ პირობებში ძლიერსა და ტლანქ დინამიკურ განწყობას სუქცესიურ პირობებში „განწყობო“ ანუ უსუსტესი ტლანქი დინამიკური განწყობის კორელაცია ახასიათებთ. ამრიგად, შედარებით ჭარბად ამ ვარიანტის კორელაციის ცდის პირები ჰაპტურ სფეროშია წარმოდგენილი და შედარებით ნაკლებად ოპტიკურსა და კუნთურ არეებში. ცხრილში საკმაოადაა წარმოდგენილი აგრეთვე ისეთი ტიპის ცდის პირებიც, რომელთაც სიმულტანურ პირობებში ძლიერი ტლანქი დინამიკური განწყობის, ხოლო სუქცესიურ პირობებში ძლიერი პლასტიკური დინამიკური განწყობის კორელაცია ახასიათებთ. ასეთნი ჰაპტურსა და კუნთურ არეებში 12,5% გვხვდება, ხოლო ოპტიკურ არეში — 5% (მე-5 ვარიანტი).

როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება კორელაციის ტიპის სხვა ვარიანტებიც, მაგრამ ძალზე მცირე მაჩვენებლებით. ასეთებია: 1. როცა სიმულტანურ პირობებში ძლიერ პლასტიკურ-დინამიკურ ტიპს სუქცესიურ პირობებში ძლიერი, ტლანქი დინამიკური განწყობის ტიპი შეესატყვისება (მე-4 ვარიანტი). 2. ძლიერ ტლანქ დინამიკურ განწყობას — სუსტი პლასტიკური დინამიკური (მე-9 ვარიანტი). 3. სუსტ ტლანქ დინამიკურს — სუსტი პლასტიკური (მე-10 ვარიანტი). 4. სუსტ ტლანქ დინამიკურს — ძლიერი პლასტიკური დინამიკური (მე-11 ვარიანტი).

ამრიგად, სიმულტანურსა და სუქცესიურ პირობებში დინამიკურობის სხვადასხვა ტიპის ინტრაინდივიდუალური კორელაციიდან მრავალი ვარიანტის კორელაცია გვხვდება, მაგრამ შედარებით გავრცელებული და უფრო დამახასიათებელი ცდის პირთა დიდი მასისათვის შემდეგია: 1. ძლიერ პლასტიკურ დინამიკურ განწყობასთან სიმულტანურ პირობებში სუსტი და უსუსტესი ტლანქი დინამიკური განწყობის კორელაცია ყველა ვარიანტში; 2. ძლიერ ტლანქ დინამიკურ განწყობასთან სიმულტანურ პირობებში სუსტი ან უსუსტესი ტლანქი დინამიკური განწყობის კორელაცია (შესამჩნევი რაოდენობით) და 3. ძლიერ ტლანქსა და დინამიკურ განწყობასთან სიმულტანურ პირობებში ძლიერი პლასტიკური დინამიკური განწყობის კორელაცია (ავრეთვე საკმაოდ შესამჩნევი რაოდენობით).

როგორც აღნიშნული იყო, მართალია მცირედ, მაგრამ მაინც გვხვდებიან ისეთი ტიპის ცდის პირებიც, რომელთაც ორივე შემთხვევაში სტატიკური განწყობა ახასიათებთ. № 5 ცხრილიდან ჩანს, რომ ასეთები კუნთურ არეში სულ არ გვხვდება, ხოლო ოპტიკურ არეში სულ 4 ცდისპირია ასეთი—10%. ჰაპტურ არეში კი მხოლოდ 1 ცდის პირი—4%.

ჰაპტურ არიდან ამ ერთ ცდის პირსაც, როგორც ცხრილიდან ჩანს, ორივე შემთხვევაში ძლიერი პლასტიკურ-სტატიკური განწყობა ახასიათებს. რაც შეეხება ოპტიკურ არეს, ამ შემთხვევაში სტატიკურობის მიხედვით კორელაციის სამი ტიპი გვხვდება: 1. ორივე შემთხვევაში ძლიერი პლასტიკურ-სტატიკური—1 ცდის პირი—2,5%; 2. ძლიერ პლასტიკურ-სტატიკურ განწყობასთან სიმულტანურ პირობებში სუსტი პლასტიკური სტატიკური განწყობის კორელაცია სუქცესიურ პირობებში—1 ცდის პირი—5%; 3. როცა ძლიერ პლასტიკურ სტატიკურ განწყობას სიმულტანურ პირობებში სუსტი ტლანქი სტატიკური განწყობა შეესაბამება სუქცესიურ პირობებში—2 ცდის პირი (5%).

დასასრულ, ინტრაინდივიდუალური ნაირსახეობიდან მცირე გამოჩაკლისის სახით, მაგრამ მაინც გვხვდება ისეთი ტიპის ცდის პირები, რომელთაც ერთ შემთხვევაში დინამიკური ტი-

სტატისტიკური სიმულტანური და სუქცესური პირობებში

არე	ცდის პირობა საერთო რაოდენობიდან	ორივე შემთხვევაში ძლიერი პლასტიკური		სიმ.	ძლიერი პლასტიკ.		ძლიერი პლასტიკ.		სულ	
		აბს. რ.	%		სუსტი პლასტიკ.	სუსტი ტლანჭი	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
				სუქც.						
ობტიკური	40	1	2,5	პირობები	1	2,5	2	5	4	10
ჰაპტური	25	1	4		—	—	—	—	1	4
კუნთური	40	—	—		—	—	—	—	—	—

პის რომელიმე სახეობასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში სტატისტიკური ტიპის რომელიმე სახის კორელაცია ახასიათებს.

როგორც № 6 ცხრილიდან ჩანს, საერთოდ, ასეთი კორელაციის ხუთი ვარიანტი გვხვდება; მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ჰაპტურ არეში არც ერთი ვარიანტი არ დასტურდება. ობტიკურ არეში სულ ასეთი 7 ცდის პირია—17,5%-ი, რომელიც შემდეგ სამ ვარიანტშია წარმოდგენილი:

1. ძლიერ პლასტიკურ დინამიკურ ტიპთან სიმულტანურ პირობებში დადასტურებულა ძლიერი პლასტიკურ-სტატისტიკური განწყობის კორელაცია სუქცესიურ პირობებში (2 ცდის პირი—5%);

2. სუსტი პლასტიკურ-სტატისტიკურთან სიმულტანურ პირობებში სუსტი პლასტიკურ-დინამიკური განწყობის კორელაცია სუქცესიურ პირობებში (2 ცდის პირი 5%).

3. ძლიერ პლასტიკურ სტატისტიკურთან სიმულტანურ პირობებში სუსტი ტლანჭი დინამიკური განწყობის კორელაცია სუქცესიურ პირობებში (3 ცდის პირი 7,5%).

კუნთურ არეშიც დასტურდება 4 ცდის პირი—10%, რომელნიც აგრეთვე შემდეგ სამ ვარიანტში არიან წარმოდგენილნი:

ერთ შემთხვევაში სტატიკური, ხოლო მეორე შემთხვევაში დინამიკური

ა რ ე	რაოდენობა	სიმულტანური		ძლიერი პლასტიკური დინამიკური		სუსტი პლასტიკური სტატიკური		ძლიერი პლასტიკური დინამიკური		ძლიერი პლასტიკური დინამიკური		სუსტი პლასტიკური სტატიკური		სუსტი ტლანჭი დინამიკური		ს-სტი ტლანჭი სტატიკური		ს	
		აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
ობტიკური	40	2	5	2	5	—	—	3	7,5	—	—	7	17,5						
პატური	25	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—							
კენტური	35	1	2,5	—	—	1	2,5	—	—	2	5	4	10						

1. ძლიერ პლასტიკურ დინამიკურთან სიმულტანურ პირობებში ძლიერი პლასტიკურ სტატიკური განწყობის კორელაცია სუქცესიურ პირობებში—ორი ცდის პირი -25% (მხოლოდ ერთი შემთხვევაა ოპტიკური არის ვარიანტთა ერთიანობისა, დანარჩენი ორი ვარიანტი სხვადასხვა ტიპისაა).

2. სუსტ პლასტიკურ სტატიკურთან სიმულტანურ პირობებში სუსტი პლასტიკური დინამიკური განწყობის კორელაცია სუქცესიურ პირობებში (ორი ცდის პირი 25%).

3. ძლიერ პლასტიკურ სტატიკურთან სიმულტანურ პირობებში სუსტი ტლანჭი დინამიკური განწყობის კორელაცია სუქცესიურ პირობებში 3 ცდის პირი—7,5%.

გვინდა ერთ გარემოებასაც გავუსვათ ხაზი: როგორც №7

ცხრილიდან ჩანს, აქ ინტრაინდივიდუალური კორელაციის ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე, რომლის საკმაო ვარიანტებიც გვხვდება სამივე არეში: კორელაციის 19 ნაირსახეობიდან ყველაზე მეტი (16 ვარიანტი) წარმოდგენილია ოპტიკურ არეში, ე.ი. იმ არეში, რომლის გზითაც საერთოდ ნაკლები აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობის ფიქსაცია ხერხდება.

ცხრილი № 7

ვარიანტთა სიხშირე და რაოდენობა სხვადასხვა არეში და დინამიკურ ტიპთა გავრცელებული ვარიანტები

	ვარიანტთა საერთო სიხშირე	აქედან — ვარიანტთა რაოდენობა კალკულაციაში	გავრცელებულობა ამ ვარიანტთაგან (დინამიკური ტიპებიდან)		შენიშვნა
			ყველაზე უფრო გავრცელებული	სამაოდ გავრცელებული	
ოპტიკური	19	16	8	—, —, 6	(—) ამას იმ არეში შესატყვისი ვარიანტის შედარებით მცირედ მოცემულობის მასკვებზელია
ჰაბტური	—	7	8	1, 5, 7	
კუნთური	—	13	8	1, 5, —	

შემდეგ, შედარებით მცირე, მაგრამ საკმაო რაოდენობით (13 ვარიანტი) წარმოდგენილია კუნთურ არეში ე. ი. იმ არეში, რომლის გზითაც, ოპტიკურ არესთან შედარებით, მეტი აგზნებადობისა და სიმტკიცის განწყობის ფიქსაცია ხერხდება. დაბოლოს, ძალზე მცირე (7 ვარიანტი) წარმოდგენილია ჰაბტურ არეში, ე. ი. იმ არეში, რომლის გზითაც საერთოდ მეტი აგზნებადობის და სიმტკიცის განწყობის ფიქსაციაა შესაძლებელი. აქედან კანონზომიერება ისეთია, რომ განწყობის ძლიერი აგზნებადობის არეში კორელაციის ნაირსახეობის სიმცირესთან გვაქვს საქმე, ხოლო ნაკლები აგზნებადობის არეში კორელაციის მრავალსახეობასთან. დასკვნა ნათელია: ძლიერი აგზნებადობის არეში ინტრაინდივიდუალური კორელაცია მეტია, რადგანაც ერთ შემთხვევაში განწყობის მოქმედების ტიპი მეტად ემთხვევა მეორე შემთხვევაში განწყობის ტიპს

და ამიტომ კორელაციის ნაკლები ვარიანტები გვხვდება; ხოლო სუსტი აგზნებადობის არეში დამთხვევა ნაკლებია და ამიტომ ცალკე პირობებში განწყობის მოქმედების ნაირსახეობათა რამდენიმე შესაძლებლობიდან მათი ურთიერთ შეხვედრისა და შესატყვისობის მრავალი ვარიანტია წარმოდგენილი.

№ 7 ცხრილში წარმოდგენილია სხვადასხვა არეში დინამიკური ტიპის ვარიანტთა გავრცელებული სახეები. როგორც ჩანს, სამივე არეში ერთნაირად ჭარბად გავრცელებულია მე-8 ვარიანტის კორელაციის ცდის პირები, რომელთაც სიმულტანურ პირობებში ძლიერ პლასტიკურ-დინამიკურ განწყობის ტიპთან სუქცესურ პირობებში სუსტი ან უსუსტესი ტლანქი დინამიკური განწყობის ტიპის კორელაცია ახასიათებთ. მაშასადამე, კორელაციის ტიპთა მრავალსახეობიდან სამივე სფეროში ყველაზე გავრცელებული და ტიპიური სწორედ ასეთი კორელაცია აღმოჩნდა. შემდეგ საკმაოდ გავრცელებულ ვარიანტთაგან პირველი ადგილი 1 ვარიანტს, ე. ი. ისეთს იკუთვნის. როცა ორივე შემთხვევაში (პაპტური და კუნთური არეები) განწყობის ძლიერ პლასტიკურ დინამიკურ ტიპთან გვაქვს საქმე. ოპტიკურ არეში ასეთი იშვიათია. შემდეგ მოდის მე-5 ვარიანტის კორელაცია, ე. ი. ისეთი, რომელსაც ძლიერ ტლანქ დინამიკურ განწყობასთან სიმულტანურ პირობებში შეესატყვისება ძლიერი პლასტიკურ-დინამიკური განწყობა სუქცესურ პირობებში. ოპტიკურ არეში ასეთი შედარებით იაკლებია. დასასრულ, მე-7 ვარიანტის კორელაცია, ე. ი. ისეთი, რომელსაც ძლიერ ტლანქ დინამიკურ განწყობასთან სიმულტანურ პირობებში შეესატყვისება სუსტი ან უსუსტესი ტლანქი დინამიკური განწყობა სუქცესურ პირობებში. აქ კუნთური არე წარმოადგენს გამონაკლისს, რომელშიც ასეთი რამ შედარებით მცირეა.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი ექსპერიმენტული მონაცემების განხილვიდან შემდეგი ზოგადი დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ:

1. განწყობის მოქმედების კანონზომიერება სიმულტანურ და სუქცესურ პირობებში ერთნაირად ზოგად კანონზომიერ-

რების რკალში ექცევა. ორივე შემთხვევაში განწყობის გამო-
ვლენა ფაზური ხასიათისაა და ამ ფაზების ყოველი შესაძლე-
ბელი გამოვლენისა და ურთიერთ მონაცვლეობის ნაირსახეო-
ბა გვხვდება. მაგრამ ფაზათა ურთიერთშეცვლისა და განწყო-
ბის მოქმედების ტიპების გავრცელებულობა სხვადასხვა პრო-
პორციისა და სხვადასხვა პირობებში სხვადასხვანაირია. მიუ-
ხედავად ამისა, სიმულტანურ და სუქცესიურ პირობებში
განწყობის მოქმედების ტიპის ინტრაინდივიდუალური კორე-
ლაცია უდავო ფაქტია. ჩვენს შემთხვევაში სწორედ ამ
კორელაციის ტიპის მრავალსახეობასთან გვაქვს საქმე და,
მაშასადამე, ამ მხრივ მოცემულია ცდის პირთა ტიპოლოგიუ-
რი განსხვავების ძიებისა და დადგენის შესაძლებლობა.

2. ორივე შემთხვევაში დაახლოებით განწყობის ერთნაირი
ტიპის კორელაცია, ნაკლებად არის წარმოდგენილი, მაგრამ
ასეთები მაინც საკმაოდ არიან გავრცელებულნი 1-დან
5-მდე. ასეთია პლასტიკურ-დინამიკური ტიპი განწყობის
ორივე შემთხვევაში.

3. სამივე არეში ტიპიური და ჭარბად გავრცელებულია
ინტრაინდივიდუალური კორელაციის ის ნაირსახეობა, როცა
სიმულტანურ პირობებში ძლიერ პლასტიკურ-დინამიკური
განწყობის ტიპს შეესატყვისება სუსტი ან უსუსტესი ტლანქი
დინამიკური განწყობის ტიპი სუქცესურ პირობებში—დაახ-
ლოებით ცდის პირთა $1/3$.

4. შესამჩნევი რაოდენობით გვხვდება (დაახლოებით $1/10$)
ისეთი კორელაციის ტიპი, როცა ძლიერ ტლანქ დინამიკურ
განწყობას სიმულტანურ პირობებში შეესატყვისება სუსტი
ან უსუსტესი ტლანქი დინამიკური განწყობა სუქცესურ
პირობებში.

5. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან ისეთებიც, რომელ-
თაც ორივე შემთხვევაში სტატიკური და ან ერთ შემთხვევა-
ში სტატიკური და მეორე შემთხვევაში დინამიკური განწყო-
ბის კორელაცია ახასიათებთ.

6. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ტიპიური და მეტად გავ-
რცელებულია ისეთი კორელაცია, როცა სიმულტანურ პირო-
ბებში ძლიერ და მტკიცე განწყობასთან სუქცესურ პირობებ-

ში სუსტი და არამტკიცე განწყობის კორელაცია ხდება. პლასტიკურთან ტლანქი განწყობის ნიშანთა ერთიანობაა და, პირიქით, სუსტთან ძლიერისა და ტლანქთან პლასტიკურის კორელაცია შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული. თუმცა ასეთიც გვხვდება, როგორც კორელაციისათვის არატიპური მოვლენა.

7. ერთსა და იმავე სუბიექტში სხვადასხვა პირობებში ფიქსირებული განწყობის მოქმედების ასეთი შორსმწვდომი ინტრაინდივიდუალური კორელაციის ფაქტი შესაძლოა ერთ-ერთ საფუძვლიან არგუმენტად მივიჩნიოთ განწყობის მთლიან-პიროვნული რაობის დასადასტურებლად.

§2. განწყობის მოქმედების საკითხისათვის კეთებითი აქტიობის პროცესში

საკითხის დაყენება

ცნობილია, რომ დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, განწყობა სუბიექტის მთლიანი ცვლილება, პიროვნების თავისებური მოდიფიკაციაა, გარკვეული მიზართულებით აქტიობისადმი წინასწარი მზაობის სახით¹.

ასევე ცნობილია ისიც, რომ დღემდე ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტული კვლევა კერძო-პერსონალური აქტიობის სფეროში მიმდინარეობდა. მაგრამ რადგან განწყობა სუბიექტის მთლიანობით მუდგომარეობაა, რომელიც გარკვეული მოქმედებისადმი წინასწარი მზაობის სახით გვეძლევა. ბუნებრივია, იგი არა მხოლოდ პერსონალურ, არამედ სოციალურ სახის აქტიობა-მოქმედებაში მონაწილეობს. თუ ეს ასეა, მაშინ დავის საკითხი განწყობის კონკრეტულ მოქმედებაში. — არა მარტო პერსონალურ, არამედ უფრო რთულ, ფსიქომოტორულ აქტიობაში ექსპერიმენტული კვლევის შესაძლებლობისა და გარკვეული გზების გამონახვის შესახებ.

¹ დ. უზნაძე „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“. „ფსიქოლოგია“. ტ. VI, თბილისი, 1949, გვ. 16—20

ჯერ კიდევ 1956 წელს ჩვენ დავადასტურეთ, რომ პერცეპტულ-ჰვრეტიის აქტიობაში ფიქსირებული განწყობა მოქმედებს შეცვლილ კრიტიკულ სიტუაციაში, კერძოდ, კეთებითი აქტიობის სიტუაციაში; სახელდობრ, ტაქსიტოსკოპიურად უტოლო წრეებით ფიქსირებული განწყობა მოქმედებს, ვლინდება ცდის პირის მიერ ტოლი წრეების კეთების სიტუაციაში უპირატესად ასიმეტრიული მოქმედების სახით.¹ ამრიგად, დავადასტურდა ექსპერიმენტული ფაქტი, რომ ჰვრეტიითი აქტიობის პროცესში ფიქსირებული განწყობა ვლინდება კეთებითს ფსიქომოტორული აქტიობის სიტუაციაში, ე. ი. მაშინ, როცა ცდის პირს კრიტიკულ ცდებში არა მზა ტოლი წრეების მომენტალური შედარება ევალება, არამედ ტოლი წრეების გაეთება. აქედან შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თუ ცდის პირს არა ჰვრეტიით აქტიობაში, არამედ პირდაპირ კეთების—ფსიქომოტორულ აქტიობაში გავუფიქსირებთ განწყობას და ისევ კეთებით — ფსიქომოტორულ კრიტიკულ სიტუაციაში ვცდით მის გამოვლენას, გარკვეული კანონზომიერებები, წყობის მოქმედებამ აქაც უნდა იჩინოს თავი.

ვინაიდან ჩვენმა ზემოთ აღნიშნულმა პირველმა გამოკვლევამ ამ მიმართულებით ფსიქოლოგთა წრეში საკმაო დავა გამოიწვია, სანამ უკანასკნელი საკითხის შესწავლას დავიწყებდით, ჩვენ ვცადეთ კვლავ შეგვემოწმებინა ჰვრეტიითი აქტიობის სიტუაციაში ფიქსირებული განწყობის მოქმედება შეცვლილს კეთებითს ფსიქომოტორული აქტიობის კრიტიკულ სიტუაციაში, დაგვეზუსტებინა განწყობის გამოვლენის კანონზომიერება სხვა ახალ მასალაზე აგებულ ექსპერიმენტებით. რომლის შედეგებიც წარმოდგენილია წინამდებარე შრომაში.

ამრიგად, წინამდებარე გამოკვლევაში შემდეგი საკითხები დგას: 1. იმოქმედებს თუ არა და თუ იმოქმედებს რა სახით. პერცეპტული აქტიობის გზით ფიქსირებული განწყობა კეთებითი—ფსიქომოტორული აქტიობის სიტუაციაში და 2. შესაძლებელია თუ არა ექსპერიმენტულად განწყობის ფიქსაცია

¹ ა. კ. ნ. წ. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., „განწყობის მოქმედება შეცვლილ კრიტიკულ სიტუაციაში“, „ფსიქოლოგია“, ტ. XI, 11, 1962, გვ. 150.

კეთებითს ფსიქომოტორულ აქტიობის სიტუაციაში და, თუ ეს მოხერხდება, შესაძლებელია თუ არა განწყობის კანონზომიერების დადგენა ისევ კეთებითს — ფსიქომოტორული აქტიობის კრიტიკულ სიტუაციაში.

მეთოდი

აღნიშნული საკითხების საკვლევად ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდი პრინციპულად ფიქსირებული განწყობის კვლევის უზნაძისეული მეთოდის მხოლოდ ახალ ვარიანტს წარმოადგენს; მაგრამ მეთოდიკური ტექნიკის თვალსაზრისით იგი არსებითად განსხვავდება დღემდე გამოყენებული უზნაძისეული მეთოდის ყველა ვარიანტისაგან. დღემდე გამოყენებული მეთოდის ყველა ვარიანტში ცდის პირებს უტოლობის განწყობას, უფიქსირებენ ჰერეტიკთა აქტიობის სფეროში და კრიტიკულ ცდებს ატარებენ ისევ ამავე ჰერეტიკთა პერსექუტული აქტიობის სფეროში. ტოლობის კრიტიკულ სიტუაციაში. ამ მეთოდის ჩვენს ვარიანტში უტოლობის განწყობა ფიქსირდება ჰერეტიკთა აქტიობის სიტუაციაში და ცდის პირს კრიტიკულ ცდებში მზა ტოლობის სიტუაციის მომენტალური ჰერეტიკა—შეღარება კი არ ევალება, არამედ ამ ტოლობის სიტუაციის კეთება და ჰერეტიკა. აქ ცდის პირი შემოქმედია სიტუაციისა და არა უპირალ განმცდელი. მხოლოდ ესაა უზნაძისეული მეთოდის ჩვენი ვარიანტის სპეციფიკა, რაც არსებითად განასხვავებს მას დღემდე გამოყენებული ამ მეთოდის სხვა ვარიანტებისაგან. მეორე ვარიანტში კი ცდის პირი უტოლობის სავანწყობო სიტუაციასაც თავად ქმნის, ე. ი. აკეთებს და კეთების ამ ფსიქომოტორული აქტიობის პროცესში უფიქსირდება უტოლობის განწყობა. კრიტიკულ სიტუაციაში, ანალოგიურად პირველი ვარიანტისა, თვითონ არის ტოლობის სიტუაციის შემოქმედი და განმცდელი.

ნათელია და სპეციალურ დასაბუთებას არ მოითხოვს ის, თუ რა არსებითი სხვაობაა ფიქსირებულ განწყობის კვლევის ჩვეულებრივ მეთოდიკურ ვარიანტებსა და ჩვენს ვარი-

ანტებს შორის. ეს აშკარად ჩანს მეთოდის კონკრეტულ ვარიანტების აღწერაშიც.

ი ვ ა რ ი ა ნ ტ ი: განწყობის ფიქსაციის ცდის დაწყებამდე ცდის პირზე ტარდება ე. წ. საკონტროლო-წინასწარი ცდები წყვილი ტოლი ხაზების დახაზვაზე, იმის დასადგენად, თუ როგორია მისი ბუნებრივი ტენდენცია ტოლი ხაზების დახაზვაში. ცნობილია, რომ ცდის პირები ტოლობას იშვიათად აფასებენ ადექვატურად, როცა მათ ამ ტოლობის შეფასება ევალებათ. ამიტომ ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ტოლი ხაზების დახაზვის პროცესში ადამიანი იშვიათად თუ მოასერებს ზუსტად ტოლი, თანაბარი სიგრძის ხაზების დახაზვას. ამასთან დაკავშირებით, გამოსარკვევია, თუ რომელ მხარეზე ქარბობს მეტად ხაზვის ტენდენცია საერთოდ და ოვითეული ცდის პირის შემთხვევაში, კერძოდ. ცდის პირს ევალება რვეულის ფურცელზე ხაზის გამოშვებით ვერტიკალურად დასმული წერტილებიდან დახაზოს წყვილი ტოლი ხაზი პორიზონტალურად, დაახლოებით 22 მმ სიგრძისა თვითეული (ეძლევა 22 მმ-ანი ხაზის ეტალონი). წერის წესის მიხედვით მან ჯერ უნდა დახაზოს მარცხენა (I) მხარეზე, ე. ი. დაიწყოს მზა წერტილიდან და დამთავრებისას ფანქრის შებრუნებით დასვას წერტილი. შემდეგ იქვე, დაახლოებით ნახევარი სანტიმეტრის გამოტოვებით, დასვას წერტილი და ამ წერტილიდან თვითონ დახაზოს მარჯვენა (II) ხაზი ტოლი (მარცხენასი) და დაამთავროს წერტილით. ცდის პირს ეძლევა გამსჭვირვალე სახაზავი ხაზების სწორად დახაზვისთვის და საშლელი. რომლის გამოყენება შეუძლია. თუ შემთხვევით ხაზები დასანახად უტოლო გამოუვა. მას წინასწარ ვაფრთხილებთ ხაზვის პროცესში, რომ დამთავრების შემდეგ დააკვირდეს ნახაზს და უტოლობის განცდის შემთხვევაში საშლელის გამოყენებით შეამციროს უფრო ღიდი ან და წაუმატოს პატარას ფანქრით. სულ ცდის პირი ხაზავს 5 წყვილ ხაზს თანმიმდევრულად. მომდევნო წყვილის დახაზვის დროს წინათ დახაზული იფარება. ხაზვის დროს ცდის პირი ფეხზე დგას, რათა მაღლიდან გარკვევით დააკვირდეს ხაზვის მიმდინარეობას სახაზავის ნაპირზე.

ამის შემდეგ ცდის პირს ვუფიქსირებთ უტოლობის განწყობას ტაქისტოსკოპით. პორიზონტალურად ტუშით დახაზული 1 მმ სისქის უტოლო ხაზების (30 მმ × 16 მმ) 15 ექსპოზიციით. ცდის დაწყებამდე ცდის პირს ეძლევა ჩვეულებრივი ინსტრუქცია: „ამ სარკმელში სწრაფად გამოჩნდება ტუშით დახაზული წყვილი ხაზი, ყოველთვის ყურადღებით დააკვირდი და მიპასუხე, თუ როგორ განიცადო ეს ხაზები. თუ ისინი უტოლოდ განიცადე, მითხარი—რომელ მხარეზეა დიდი და რომელ მხარეზეა პატარა. მოგაგონებ შენგან აქეთ მარჯვენაა და იქეთ მარცხენა“. ტაქისტოსკოპით პერცეპტული აქტიობის გზით უტოლობის განწყობის ფიქსაციის შემდეგ ვატარებთ კრიტიკულ ცდებს ისევ ტოლი ხაზების დახაზვის დაუღლებით ზუსტად იმავე წესით, როგორც ზემოთ აღნიშნულ საკონტროლო ცდებში. ე. ი. ვასაზინებთ 5 წყვილ ტოლ ხაზს.

უტოლობის განწყობის საფიქსაციო ცდები ჩატარდა 2 სერიად: 10 ცდის პირზე მარცხნივ „დიდი“, მარჯვნივ „პატარა“ ხაზების ექსპოზიციით „ღ-პ“ და 10 ცდის პირში, პირიქით—მარჯვნივ „დიდი“ მარცხნივ „პატარა“ ხაზების ექსპოზიციით—„პ-ღ“. ზოგიერთ ცდის პირზე ტოლი ხაზების დახაზვის კრიტიკული ცდების დამთავრების შემდეგ ჩატარდა ჩვეულებრივი კრიტიკული ცდები ისევ ტაქისტოსკოპით ტოლი ხაზების (22—22 მმ) ექსპოზიციით, იმის დასადგენად.— შერვათ თუ არა ამ ცდის პირებს უტოლობის განწყობა პერცეპტული აქტიობის სფეროში.

ცდის პირთა მიერ გაცემებული ტოლი ხაზები, როგორც ს. ან. სოლოვიოვის, ისე კრიტიკული ცდებში ცდებში გამოყენებული 0.05 მმ სისქის ტოლი ხაზები, გამოჩნდის შტანგელ-ფარგლის წვეტები ისე თავსდება, რომ ხაზების ბოლოში დასმული წერტილები ამ წვეტებს შიდათ მოხივდრილიყო. ამრიგად, ვცდილობდით გაზომვის შედეგი რაც შეიძლება ზუსტი ყოფილიყო.

ამ ვარიანტის ცდებში ჩვენ მიზანს შეადგენდა იმის დადგენა, მოქმედებს თუ არა და, თუ მოქმედებს, რა სახით, პერცეპტული, კვრეტიითი აქტიობის გზით ფიქსირებული განწყო-

ბა შეცვლილს კრიტიკულ სიტუაციაში, კერძოდ. კეთებითი ფსიქომოტორული აქტიობის სიტუაციაში, ტოლი ხაზების დახაზვის პროცესში.

II ვარიანტი: ა. ცდის პირს ვუფიქსირებთ უტოლობის განწყობას არა პერცეპტულ, არამედ კეთებითს-ფსიქომოტორულ აქტიობის სიტუაციაში და კრიტიკულ ცდებსაც ვატარებთ ამავე სიტუაციაში შემდეგი ხერხით: საგანწყობო ცდებში ცდის პირს ხაზიან ქალაღზე წინასწარ დასმულ წერტილიდან ვავალელებთ დახაზოს მკვეთრად განსხვავებული უტოლო სწორი ხაზები 15-ჯერ თანმიყოლებით, ხაზგამოშვებით, ერთ შემთხვევაში მარცხნივ „დიდი“ და მარჯვნივ „პატარა“ „დ-პ“, ხოლო მეორე შემთხვევაში მარჯვნივ „დიდი“ და მარცხნივ „პატარა“ „პ-დ“; სამუშაოს ცდის პირი ასრულებს აგრეთვე გამკვირვალე სახაზავის გამოყენებით. ინსტრუქციით ვაფრთხილებთ, რომ დიდი ხაზი ორ-სამჯერ მეტი უნდა იყოს პატარა ხაზზე.

ყოველი მონდევნო ნახაზის კეთებისას წინ დახაზული იფარება. კრიტიკულ ცდებში კი აქაც ვავალელებთ დახაზოს 5—10 წყვილი ტოლი ხაზები იმავე წესით, როგორც ეს პირველი ვარიანტის ცდებშია აღწერილი. ასეთი ცდები ერთ სერიაში ჩატარებულა (22 ცდ. პირზე) წინასწარი საკონტროლო ცდების გარეშე. ხოლო მეორე სერიაში წინასწარი საკონტროლო ცდების ჩატარებით—5 წყვილი ტოლი ხაზის დახაზვის დავალებით (20 ცდის პირი).

აქაც, როგორც საკონტროლო, ისე საგანწყობო და კრიტიკულ ცდებში მომდევნო წყვილი ხაზის დახაზვისას წინათ დახაზული წყვილი იფარებოდა. ცდის ყველა ვარიანტში უტოლობის განწყობის საფიქსაციო ცდები ტარდებოდა ცდის პირთა რაოდენობის ერთ ნახევარზე მარცხნივ „დიდის“ და მარჯვნივ „პატარას“ ექსპოზიციით ან დახაზვით „დ-პ“ და მეორე ნახევარზე საწინააღმდეგო განლაგებით მარჯვნივ „პატარა“ და მარცხნივ „დიდი“ „პ-დ“. ამ ვარიანტშიც ცდის პირებს უფლება ჰქონდა შეესწორებიათ ნახაზები როგორც საკონტროლო, ისე კრიტიკულ ცდებში საშლელის გამოყენებით ან ხაზის წამატებით. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ცდის პირები იშვიათად იყენებენ საშლელს ან ახდენენ ხაზის წამატებას.

წინასწარ, ხაზვის დროს მოქმედებენ დაძაბული, განსაკუთრებული დაკვირვებით და ცდილობენ მეორე მარჯვენა ხაზი ზუსტად პირველის—მარცხენას ტოლი გამოუვიდეთ. ტოლი ხაზების გაზომვა სდებოდა იმავე წესით, როგორც ეს პირველ ვარიანტშია აღნიშნული.

ცდის ამ ვარიანტში ჩვენი მიზანი იყო გამოგვეკვლია,—შეისაძლებელია თუ არა ექსპერიმენტულად შემუშავდეს და გამოვლინდეს განწყობა კეთებით-ფსიქომოტორულს აქტიობის სიტუაციაში და, თუ ეს გამოვლინდება, რა კანონზომიერებით ხასიათდება იგი.

წინასწარი — საკონტროლო ცდის შედეგები

როგორც აღინიშნა, უტოლობის განწყობის გაფიქსირებამდე პერცეპტული აქტიობის სფეროში ჩატარდა წინასწარი-საკონტროლო ცდები ცდის პირთა ბუნებრივი ტენდენციის გამოსარკვევად. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ დ. უზნაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გადაფასების ბუნებრივი ტენდენცია (ტოლობის მიმართების უტოლოდ აღქმის ე. წ. „ასიმეტრიის ტენდენცია“) ფიქსირებული განწყობის ცდებში ისეთ როლს არ თამაშობს, რომ მას საგანგებო ანგარიში ვაეწიოს¹. მაშ, ამ შემთხვევაში რატომ ვუწევთ ანგარიშს ბუნებრივი ტენდენციის შესაძლო ფაქტს და რატომ ვატარებთ წინასწარ საკონტროლო ცდებს მისი მოქმედების კანონზომიერების დასადგენად, თუ არა მისი როლის გასათვალისწინებლად შემდგომ კრიტიკულ ცდებში? საქმე იმაშია, რომ დ. უზნაძე სატარებთ არ უარყოფს პერცეპტულ აქტიობის არეში გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის ფაქტს და მისი მოქმედების კანონზომიერებას, იგი უარყოფს პერცეპტული აქტიობის გზით ფიქსირებული განწყობის კრიტიკულ ცდებში ამ ტენდენციის ისეთ როლს, რომ მისთვის სავანებო ანგარიშის გაწევა იყოს საჭირო. რაც შეეხება ჩვენს ცდებს, აქ ჭერ არაფერი ვიცით ბუნებრივი ტენდენციის არსებობასა და მის რაგვარობაზე. აქ ხომ არა მხოლოდ პერცეპ-

¹ დ. უზნაძე. „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, გვ. 78.

ტულ აქტიობასთან, არამედ შედარებით რთულს ვითარებასთან — ფსიქომოტორულ აქტიობასთან გვაქვს საქმე. პერცეპტულ აქტიობაში განწყობის კვლევის პროცესში ბევრი რამ გარკვეულია არა მხოლოდ თეორიულად, არამედ დიდძალი ექსპერიმენტული ფაქტებით. ჩვენს შემთხვევაში კი, ფსიქომოტორული აქტიობის პროცესში ფიქსირებული განწყობის კვლევისას, არაფერი ვიცით არც ბუნებრივი ტენდენციისა და არც განწყობის მოქმედების რაგვარობის შესახებ, რომ ბუნებრივი ტენდენციის მონაწილეობისა თუ მისი როლის მნიშვნელობაზე ვცნობოდა გარკვეული აზრი ჩვენს კრიტიკულ ცდებში¹. ამიტომ ამ მიმართულებით კვლევის დასაწყისს ეტაპზე ჩვენ საჭიროდ ვანიათ ტოლი ხაზების კეთებაში ბუნებრივი ტენდენციის შესაძლებელი გამოვლენის შესწავლა საკონტროლო ცდებში: ეს თანისთავადაც საინტერესო საკითხია. შემდეგ კი კონტროლი ცდის შედეგებისა და წინასწარი საკონტროლო ცდის შედეგების შედარებითი ანალიზით ჩვენ შევეცადეთ განწყობის ეფექტის რაგვარობის დადგენა. ვიმეორებთ, ამ პირველ ეტაპზე ეს უდავოდ აუცილებელი იყო. კვლევის მომდევნო ეტაპზე, როცა დადინდება განწყობის მოქმედების უდავო და დამაჯერებელი ეფექტის გამოვლენა შესაძლებელი გახდება ტენდენციის როლის საკითხიც და აღმოჩნდეს, რომ აქაც წინასწარი საკონტროლო ცდების წარმოებას სათანადო მნიშვნელობა არა აქვს ანალოგიურად პერცეპტული აქტიობის პირობებში ჩატარებულ განწყობის ექსპერიმენტებისა; ან კიდევ, პირიქით, შეიძლება დადინდეს რომ ამ შემთხვევაში საკონტროლო ცდებისა და კრიტიკული ცდების შედეგების შედარებითი ანალიზი უფრო სწრაფად შეეძლებინება ქვემოთაღნიშნული ძიებისათვის. ეს საკითხიც უოველ შემთხვევაში, სათანადო კვლევას მოითხოვს.

წინასწარ შეიძლება ხაზი გაესვას ერთა გარემოებას: ჩვერ ვერ მოხერხდა პერცეპტული აქტიობის არეში (ე. წ. ასიმეტრიის) ბუნებრივი ტენდენციის ეფექტისა და კრიტიკული ცდე-

1 А. Кипурашвили — „Естественная тенденция переопеки и фиксированная установка на сукцессивное отношение“, Тб. 1958, გვ. 202.

ბის ეფექტის შედარებით დამაჯერებელი სიზუსტით გაზომვა. სწორედ ამის გამო, კიდევ რომ გვინდოდეს ანგარიში გავუწიოთ ამ შემთხვევაში ბუნებრივი ტენდენციის როლს და შევეცადოთ კრიტიკულ ცდების შედეგებიდან მისი გამოიკვანა, ამას სათანადო სიზუსტით მაინც ვერ მოვახერხებთ.

რაც შეეხება ჩვენ ახალ ცდებს, აქ კეთებით-ფსიქომოტორულ აქტივობის პროცესში, როგორც წინასწარი საკონტროლო ცდების, ისე კრიტიკული ცდების ეფექტის ზუსტი გაზომვის გაცილებით შორსმწვდომი შესაძლებლობაა მოცემული, ვიდრე ეს არის ქვრეტითი აქტივობის პირობებში მოპოვებულ ეფექტის შემთხვევაში. მაშასადამე „წმინდა“ ეფექტის დასაზუსტებლად, ჩვენს ცდებში გაცილებით ხელსაყრელი შესაძლებლობაა ზუსტი შედარებითი ანალიზისა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ექსპერიმენტულად ფიქსირებული განწყობის ეფექტიდან ბუნებრივი ტენდენციის ეფექტის გამოორიკვებისათვის.

ჩვენ ამ შემთხვევაში, საჭიროდ მივიჩნით საკონტროლო ცდების ჩატარება ხაზების ტოლად დახაზვის განზრახვის შემთხვევაში ბუნებრივი ტენდენციის გამოსარკვევად.

როგორც № 1 ცხრილიდან ჩანს, ხუთივე ცდის სუმატულის მისჯდვით ცდის სარისა დიდ უმრავლესობაში—მეშუ კარბობს ტენდენცია მარცხენა მხარეზე (I ხაზის) უფრო დიდი ხაზის გაკეთებისა, ხოლო მარჯვენა მხარეზე (II ხაზის) უფრო დიდის დახაზვის ტენდენცია შედარებით მცირეა, იგი ცდის პირთა მხოლოდ 20% ახასიათებს. ცალკე პასუხების მონაცემების მიხედვითაც, როგორც ამავე ცხრილიდან ჩანს, 68% შემთხვევაში მარცხენა მხარეზე უფრო დიდი ხაზი კეთდება, ხოლო მარჯვენა მხარეზე—24%. ტოლად ხაზის შემთხვევები ძალზე მცირეა,—იგი მხოლოდ—8%—ითაა წარმოდგენილი. ეს გასაგებიცაა, რადგან აშკარაა. თუ რაოდენ ძნელი უნდა იყოს ცდის პირისათვის თვალდათვალ აბსოლუტურად ტოლი ხაზების გაკეთება ისიც 0,05 მმ სიზუსტით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასი შემთხვევიდან ბუნებრივი ტენდენციის ეფექტის ეს 8 შემთხვევა სიზუსტის სწორედ შემთხვევით დამთხვევად უნდა ჩაითვალოს. ეს 8%—20 ცდის პირიდან 5 კრიტიკული ცდის გასწვრივ მხოლოდ ერთი ცდის პირის 2

შემთხვევის შედეგია, ხოლო დანარჩენი 6 თითო ცდის პირის თითო შემთხვევისა. ამრიგად, ჩვენ არ შეგვხვედრია ისეთი ცდის პირი, რომელიც ხუთივე ცდაში ან 5-დან უმრავლეს 3 ცდაში ტოლ ხაზებს აკეთებდეს.

№ 2 ცხრილში წარმოდგენილია ამა თუ იმ მხარეს დიდად დახაზული ხაზების ნამეტის საშუალო ზომები, რაც გაანგარიშებულია შემდეგი წესით: I ნაწილში—5 ცდის შედეგების ურთიერთი შედარებისა და გამოკლების გზით თითოეული ცდა პირის ნამატის სუმა რული (მმ-ში) გაყოფილია ასე მხა-

ცხრილი № 1

ბუნებრივი ტენდენციის ეფექტი (ტოლი ხაზების ხაზისას)

ცდის პირთა რაოდენობა	თვითეული ცდის პირის 5-ვე ცდის სუმა რულით				პასუხთა რაოდენობა	ხაზავს დიდად (ცალკე პასუხების მისეღვით)					
	სკარბობს ნახაზების სიდიდეს ცდის პირთა რაოდენობის მიხედვით					მარცხნივ (I)		მარჯვნივ (II)		ტოლად (=)	
	მარცხნივ (I)		მარჯვნივ (II)			მარცხნივ (I)		მარჯვნივ (II)		ტოლად (=)	
	აბს. რ.		აბს. რ.	%		აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
27	16	80	4	20	100	63	68	24	24	8	8

ზევლ ცდის პირთა ყველა 5 ნახაზის რაოდენობაზე და ამ წესით გამოანგარიშებულია საშუალო თვითეულ ნახაზის მიმართ. მეორე ნაწილში კი—დიდად დახაზულ ხაზის შემთხვევათა რაოდენობის ნამეტთა სუმა რული გაყოფილია მხოლოდ ასეთ ნახაზთა რაოდენობაზე და ამიტომ გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში საშუალო ზომა აქ შედარებით მაღალი ხარისხითაა წარმოდგენილი, ვიდრე პირველ ნაწილში.

როგორც წარმოდგენილი ცხრილის პირველი ნაწილიდან ჩანს, უფრო დიდად დახაზული ხაზის საშუალო ზომა ასე მხაზველ ცდის პირთა ყველა ხუთივე ცდის მიმართ საზოგადოდ ძალზე მცირეა, მაგრამ მარცხენა მხარის ნახაზთა საშუალო ნამეტის საშუალო ზომა (0,57 მმ) შესამჩნევად მეტია,

დიდად დახაზულ ხაზთა ნამეტის საშუალო ზომები (მმ-ში)

ცდ. პირთა საერთო რაოდ.	დიდად დახაზული ხაზის ნამეტის საშუალო ზომა ცდის პირთა ხუთევი ნახაზით					დიდად დახაზული ხაზის ნამეტის საშუალო ცალკეულ ხაზთა მიმართ								
	მარცხნივ (—I)			მარჯვნივ (II)		მარცხენა (I)			მარჯვენა (II)					
	ცდ. პ. რაოდ.	ხაზის რაოდენობა	ნამეტის სუ-მარული	საშუალო	ცდ. პ. რაოდ.	ნახაზთა რაოდენობა	ნამეტის სუ-მარული	საშუალო	ნახაზთა რაოდ.	სამეტის სუ-მარული	საშუალო	ნახაზთა რაოდენ.	ნამეტის სუ-მარული	საშუალო
20	16	80	45,90	0,57	4	20	6,90	0,34	68	4,45	0,94	24	25,45	1,06

ვიდრე მარჯვენა მხარის ნახაზის საშუალო ზომა—(0,34მმ). ამ მონაცემებიდან გამოდის შემდეგი: საზოგადოდ (ყველა ცდის პირის ყველა ცდის მიმართ) კანონზომიერება ისეთია, რომ ცდის პირებში არა მხოლოდ მარცხენა (I) ნახაზის შედარებით დიდად დახაზვის ტენდენციაა წარმოდგენილი, არამედ მარცხენა მხარეს ეს შედარებით დიდად დახაზვის ტენდენციის ხარისხი მეტი ინტენსივობისაა, ვინემ მარჯვენა მხარეს (II) დიდად დახაზვის ტენდენცია (0,57 მმ—0,34 მმ). ცხრილის მეორე ნაწილში წარმოდგენილია დიდად დახაზვის საშუალო ზომები არა საზოგადოდ, არამედ მხოლოდ დიდად ნახაზ შემთხვევათა მიმართ. ამ შემთხვევაში მარცხენა მხარეზე დიდად ნახაზთა საშუალო ზომა—(0,94 მმ) და მარჯვენა მხარეს დიდად ნახაზის საშუალო ზომას შორის —(1,06მმ) ასეთი ანგარიშგასაწევი დიდი სხვაობა არ დასტურდება. მაგრამ თუ ამ სხვაობას მაინც ყურადღებას მივაქცევთ, აქ მარჯვენა ნახაზის დიდად ხაზის ხარისხი უფრო ინტენსიურია, ვინემ მარცხენა ნახაზისა.

ვინაიდან წრეხაზების დახაზვაზე ჩვენს მიერ ჩატარებული ანალოგიური ცდების შედეგებით ორივე შემთხვევაში ისეთი კანონზომიერება დასტურდება, რომ მარცხენა მხარის დიდად ნახაზის. ნამეტის ინტენსივობა უფრო მეტი ხარისხისაა,—ამი-

ტომ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ შემდგომში, ამ საკითხის ექსტენსიური კვლევისას, აღნიშნული ფაქტის უდავო კანონზომიერება შესაძლოა დადასტურდეს.

მასალის სისრულით წარმოდგენისათვის წინამდებარე შრომას თან ერთვის ცალკეულ ცდის პირთა საკონტროლო ცდის მონაცემები (დანართი №1).

ამრიგად, ჩვენი ცდების შედეგით წრეხაზებისა და სწორი ხაზების ტოლად დახაზვის განზრახვის შემთხვევაში დასტურდება აშკარად გამოკვეთილი კანონზომიერება, რამლის მიხედვით ცდის პირები გაბატონებულ-ბუნებრივი ტენდენციის კვალობაზე უფრო დიდ ნახაზს აკეთებენ მარცხენა მხარეზე (I), უფრო პატარას კი მარჯვენა მხარეზე, ხოლო განიცდიან კი ტოლად. მარცხნივ დიდად ხაზვის ეს ბუნებრივი ტენდენცია საშუალოდ ძალზე დაბალი ხარისხით ვლინდება (1,00 მმ-ზე ნაკლები).

როგორ გავიგოთ დადასტურებული ფაქტი? ცნობილია, რომ ტოლი ობიექტების სიმულტანურად შედარებისას (წრეების ტაქსიტოსკოპურად მომენტალური შედარება, ბურთებისა ჰაპტურად და სიმძიმეების, მომინტალური შედარებისას) ცდის პირები უპირატესად მარცხენა მხარეზე მდებარე ობიექტებს აფასებენ უფრო დიდად¹. ხოლო ასეთივე ტოლი ობიექტების სუქცესური შედარებისას წყვილის მეორე წევრი განიცდება უპირატესად უფრო დიდად². სიმულტანური შედარების ცდის შედეგების მიხედვით ჩვენს ცდებში უნდა გამოვლენილიყო უპირატესად მარჯვნივ (მეორე ნახაზის) დიდად ხაზვის ტენდენცია. სიმულტანურად შედარებისას ტოლის მარცხენა მხარე დიდდება განცდაში, ხოლო მარჯვენა კი პატარავდება, გამოდის, რომ ისეთ ცდის პირს, რომელსაც მარცხნივ გადაფასების (დიდად შეფასების) ტენდენცია აქვს, მარჯვნივ ოდნავ დიდი და მარცხნივ ოდნავ პატარა ობიექტი

¹ ბ. ხ ა კ ა პ უ რ ი ძ ე, „სიმეტრია სიდიდეთა სიმულტანური შედარების ცდებში“, ფსიქოლოგია, ტ. I, 1942, გვ. 119.

² ა. ტ. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი — „გადაფასების ბუნებრივი ტენდენციის საფუძვლის საკითხი“, გორის სახ. პედინსტიტუტის შრომათა კრებ., ტ. III, 1956.

ტაქსიტოსკოპური შედარებისას ტოლად მოეჩვენება. ამ ტენდენციის მიხედვით გასაგებია, რომ მარცხენა პატარა უნდა იყოს და მარჯვენა დიდი უნდა დაპატარავდეს განცდაში. ამ მხრივ რომ ჩვენი ცდები განვიხილოთ. დავინახავთ, რომ ცდის პირები სიმულტანურად ტაქსიტოსკოპური ცდების საწინააღმდეგო კანონზომიერებას ავლენენ.

ჩვენი ცდების მონაცემები კი ემთხვევიან სუქცესურა შედარების ცდების მონაცემებს. როგორც აღვნიშნეთ. აქ ცდის პირები ტოლი ობიექტების (წრეების, ბურთების და სიმქიმეების) მომენტალური შედარებისას მეორე ობიექტს უფრო დიდად აფასებენ. აქაც გამოდის, რომ პირველი ოდნავ „დიდი“ და მეორე ოდნავ „პატარა“ ობიექტი რომ მივაწოდოთ ასეთი ტენდენციის მქონე ცდის პირს შესაფასებლად, იგი მას ტოლად მოეჩვენება, ანალოგიურად ჩვენი ცდების შედეგებისა: ხაზავს პირველს (მარცხენას) დიდს და მეორეს (მარჯვენას) პატარას, ხოლო განიცდის კი ტოლად.

ერთი შეხედვით, ჩვენი ცდები სიმულტანური შედარების ცდების ანალოგს წარმოადგენენ: მარცხენა-მარჯვენა მხარეზე ურთიერთის გვერდით მდებარე ნახაზის გაკეთება და მათი შედარება. მაგრამ თუ გულდასმით ჩავუყვირდებით და გავაანალიზებთ ჩვენი ცდების მიმდინარეობის პროცესს, დავრწმუნდებით, რომ იგი სუქცესური შედარების ცდების ანალოგს უფრო წარმოადგენს. ვიდრე სიმულტანური შედარების ცდებისას. საქმე იმაშია, რომ, თუმცა ჩვენს ცდებში ცდის პირის ურთიერთის გვერდით ჰორიზონტალურად მდებარე ტოლი ხაზების გაკეთება ევალება. მაგრამ კეთებისა და შედარების ეს პროცესი უდავოდ სუქცესიურიც არის. ცდის პირი წერის წესის მიხედვით ჯერ მარცხენა—პირველ ხაზს აკეთებს, ასახავს მის სიდიდეს და შემდეგ იწყებს მარჯვენას, ე. ი. მეორის ხაზვას. ეს მომენტი უფრო სუქცესიურობის ხასიათს აძლევს ასახვის, განცდის პროცესს, ვიდრე სიმულტანურობისა. აქედან გასაგებია, რომ ჩვენი ცდების შედეგები სუქცესიური შედარების ცდების ანალოგიური კანონზომიერებით ხასიათდება და არა სიმულტანური შედარების ცდებისა.

სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში სხვა მომენტსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა. ტაქისტოსკოპური შედარების ცდები მომენტალურია. აქ ცდის პირი, ასე ვთქვათ, თვალის დახამხამებაში, მომენტალურად განიცდის ობიექტებს. ჩვენს ცდებში კი ცდის პირი (ხაზების კეთების პროცესში) გაცილებით ხანგრძლივ დროში აკვირდება ობიექტებს, ახდენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ობიექტივაციას და შემდეგ ახდენს თავის განცდის კონსტატაციას. არ არის გამორიცხული ასეთი გარემოება: ჩვენი ცდების მიმდინარეობის დრო რომ გავზომოთ და, პირიქით, მზა ტოლი ობიექტების სიმულტანური შედარების ცდები ასეთივე ხანგრძლივობით ჩავატაროთ, მაშინ შესაძლოა იქაც ანალოგიური კანონზომიერება დადასტურდეს; ან კიდევ მივაწოდოთ ცდის პირებს ამავე ხანგრძლივობით ჩვენი შედეგების ანალოგიური განსხვავებული მზა ნახაზები შესადარებლად, შესაძლოა ასევე ანალოგიური კანონზომიერება დადასტურდეს. ჩვენი შედეგები ასეთის მოსალოდნელობაზე მიგვიითითებენ და გვიკარნახებენ ამ საკითხის ექსპერიმენტული კვლევის აუცილებლობას.

კრიტიკული ცდის შედეგები

რა მდგომარეობა იქმნება აღნიშნულ ცდის პირებზე პერცეპტული აქტივობის გზით უტოლობის განწყობის ფიქსაციის (ტაქისტოსკოპურად უტოლო ხაზების 15 ექსპოზიცია) შემდგომ კრიტიკულ ცდებში, როცა ცდის პირს ევალება ტოლი ხაზების ხაზვა ანალოგიურად საკონტროლო ცდებისა.

№ 3 ცხრილში წარმოდგენილია ორივე სერიის ცდის შედეგები ცალ-ცალკე, რომლის მიხედვითაც დასტურდება შემდეგი: I სერიაში, როცა საგანწყობო ცდების განლაგება ბუნებრივ ტენდენციას (პირველის—მარცხენას დიდად ხაზვა) ემთხვევა. ცდის პირთა 50% კრიტიკულ ცდებში ხაზავს დიდად უპირატესად მარცხენა ხაზს, განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით, ხოლო 50% კი მარჯვენა ხაზს; განწყობის მიმართულების საწინააღმდეგოდ. მაგრამ თუ ვიმსჯელებთ ცალკე პასუხების მონაცემების მიხედვით, განწყობის საწინააღმდეგო მი-

უტოლობის განწყობის ეფექტი ცალკე სერიებში
(ცდის პირთა რაოდენობისა და ცალკე-ცალკე პასუხების მიხედვით)

სერიები, განწყობის განლაგება	ცდ. პირთა რაოდენობა	თვითნული ცდის პირის ხუთივე ცდის სუმატულით			ხაზავს დიდად (ცალკე პასუხების მიხედვით)							
		სკარაბოს ნახაზების სიდიდე ცდ. პ. რაოდენობის მიხედვით			პასუხთა რაოდენობა	მარცხნივ (I)		მარჯვნივ (II)			ტოლად (II)	
		მარცხენა (I)	მარჯვენა (II)	მარცხნივ (I)		მარჯვნივ (II)	ტოლად (II)					
I სერია												
დიდი-პატარა	10		50	5	50	50	17	34	24	46	9	18
II სერია												
პატარა-დიდი	10	9	90	1	10	50	37	74	8	16	5	10

მართულებით მეტად ხაზვის ტენდენცია ამ სერიების ცდების შედეგებითაც იგრძნობა. ასე, მაგალითად, მარცხნივ „დიდად“ ხაზვის შემთხვევები წარმოდგენილია 34%-ით, განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით მარჯვნივ „დიდად“ ხაზვის შემთხვევები კი 48%-ით, ტოლად ხაზვის შემთხვევები კი ძალზე მცირე—18%-ით.

მეორე სერიის ცდების შედეგებით, როცა ცდის პირებს უტოლობის განწყობა ბუნებრივი ტენდენციის საწინააღმდეგო მიმართულებით უფიქსირდებათ (მარცხნივ-პატარა, მარჯვნივ-დიდი), ირკვევა, რომ განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე უფრო დიდად ხაზვის ტენდენცია შედარებით აშკარადაა გამოკვეთილი. ხუთივე ცდის ერთობლივი შედეგების მიხედვით, ცდის პირთა 90% უფრო დიდად ხაზავს ობიექტს მარცხენა მხარეზე განწყობის მიმართულების საწინააღმდეგოდ და ბუნებრივ ტენდენციაზე დამთხვევით, 10% კი—განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით და ბუნებრივი ტენდენციის საწინააღმდეგოდ. ცალკე პასუხების მიხედვითაც იგივე კანონზონიერება დადგინდა: 74% უფრო დიდად ხაზვის შემთხვევებთანაა მოდის მარცხენა მხარეზე, 16%—მარჯვენა მხარეზე და

მხოლოდ 10% -ია ტოლად ხაზვის შემთხვევები. ამრიგად, ორივე სერიის ცდების შედეგების მიხედვით ირკვევა განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე მეტად ხაზვის ტენდენცია. მაგრამ აქ ბუნებრივი ტენდენციის ფაქტორის გავლენაც აშკარად ჩანს. პირველი სერიის ცდებში, სადაც ბუნებრივი ტენდენცია დასაძლევია, საწინააღმდეგო მხარეზე დიდად ხაზვა შედარებით დაბალი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი; ხოლო მეორე სერიის ცდების შედეგებში, სადაც ბუნებრივი ტენდენცია და განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით დიდად ხაზვის ტენდენცია ურთიერთს ემთხვევა, შედარებით მაღალ მაჩვენებლებთან გვაქვს საქმე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ისევ ბუნებრივი ტენდენციის გამოვლენა და უტოლობის განწყობა თითქოს არაფერ შუაშია. მაგრამ რომ შევადაროთ № 3 ცხრილის მონაცემები № 1 ცხრილის მონაცემებს. სადაც ბუნებრივი ტენდენციის საკონტროლო ცდების ერთობლივი მონაცემებია წარმოდგენილი, დავრწმუნდებით, რომ აქ ცალკე სერიების საგანწყობო ცდების მონაცემების კანონზომიერებანი არ ემთხვევა ზუსტად ბუნებრივი ტენდენციის ერთობლივ მონაცემებს, და ცდის პირთა არც ცალკე სერიის საკონტროლო ცდების მონაცემებისა და კრიტიკული ცდების მონაცემების ასე თუ ისე ზუსტ დამთხვევასთან გვაქვს საქმე.

ც ს რ ი ლ ი № 4

უტოლობის განწყობის ეფექტის ერთობლივი მონაცემები

ცდის პირთა რაოდენობა	თითოეული ცდის პირის ხუთივე ცდის ერთობლივი მონაცემები				ს.ზ.ეს დიდად (ცალკე პასუხების მიხედვით)							
	სტატობის ჩახაზის სიღრმე ტ. პ. რაოდენობის მიხედვით				პასუხთა რაოდენობა	ასიმილაცია		კონტრასტუა		ბილად (II)		
	ასიმილაცურად		კონტრასტურად			ჩად		ლად		ბილად (II)		
	აბს. რ.	%	აბს. რ.	%		აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	
20	6	30	14	70	100	25	25	61	61	14	14	

№ 4 ცხრილში წარმოდგენილია ორივე სერიის ცდების ერთობლივი მონაცემები. რომლის მიხედვით ცდის პირთა 70% უფრო დიდად ხაზავს ობიექტს განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე (კონტრასტულად), ხოლო განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით (ასამილატურად) ცდის პირთა ---30%.

ანალოგიური კანონზომიერება დასტურდება ცალკე პასუხთა მონაცემების მიხედვით: განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე ხაზვა აქ წარმოდგენილია 61%-ით, ამ მიმართულებაზე დამთხვევით კი 25%-ით, ხოლო ტოლად ხაზვის შემთხვევა—14%-ით.

ამ მონაცემების მიხედვით აშკარავდება შემდეგი: როცა ცდის პირებს პერცეპტული აქტივობის გზით უტოლობის განწყობას ვუქმნით, ეს განწყობა კეთებითი-ფსიქომოტორული აქტივობის პროცესში ტოლი ხაზების დახაზვისას უპირატესად განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე უფრო „დიდი“ ხაზის დახაზვის სახით ვლინდება.

№: 5 ცხრილში წარმოდგენილია ამა თუ იმ მხარეზე დიდად დახაზულ ნახაზთა ნამეტის საშუალო ზომები. ცხრილის პირველი ნაწილი, სადაც წარმოდგენილია დიდად დახაზული ხაზის ნამეტის საშუალო ზომა 5 ნახაზის მიმართ, გაანგარიშებულია შემდეგნაირად: თითოეული ცდის პირის ხუთ წყვილ ნახაზში ამა თუ იმ მხრივ დიდად დახაზულ ნამეტის უდიდესი ზომის ჯამს აკლდება ნაკლების ჯამი და ამით დგინდება ცდის პირის დიდად ხაზვის მხარე. უპირატესად ერთ მხარეზე მეტად მხაზველი ცდის პირთა ნამეტი შეერთებულია და დაწერილია სვეტში „ნამეტის სუმარული“. ეს „ნამეტის სუმარული“ იყოფა ასეთ ცდის პირთა რაოდენობის ხუთზე გამრავლებულ ციფრზე (რადგან თითო ცდის პირს 5 ნახაზი აქვს).

ცხრილის მეორე ნაწილში წარმოდგენილი საშუალოები კი გაანგარიშებულია დიდად დახაზულ ნახაზთა ნამეტის სუმარულის გაყოფით ასე დახაზულ ნახაზთა რაოდენობაზე. ამრიგად, პირველი ნაწილი იძლევა „ზოგად“ საშუალო ზომას, ხოლო მეორე ნაწილი „კონკრეტულ“ საშუალო ზომას, სწორედ იმ

ლიდალ დაბაზულ ნახაზთა ნაშუალის საშუალო ზომები მმ-ში განწყობის მიმართულებაზე დამოკიდებით—,ასიმეტრიულად“
 და ამ მიმართულების საწინააღმდეგოდ—,კონტრასტულად“

ცხრილი № 5

ლიდალ დაბაზული ხაზის ნაშუალის საშუალო ზომა ცდის პირობა ტუთივე ნახაზის მიმართ		„ასიმეტრიულად“			„კონტრასტულად“			ლიდალ დაბაზულ ხაზის ნაშუალის საშუალო ცალკეულ დიდ ნახაზთა მიხედვით			„კონტრასტულად“			ინდეგ მ.ა.ს.ა.ფ	
მ.ა.ა.ფ	წმ	მ.ა.ა.ფ	წმ	მ.ა.ა.ფ	წმ	მ.ა.ა.ფ	წმ	მ.ა.ა.ფ	წმ	მ.ა.ა.ფ	წმ	მ.ა.ა.ფ	წმ		
10	5	25	14,00	0,56	5	25	20,10	0,80	17	17,05	1,03	24	23,05	0,99	9
10	1	5	0,40	0,08	9	45	39,78	0,88	8	5,30	0,66	37	44,60	1,20	5
საგანწყობო ცდები:		საგანწყობო ცდები:			მარცხნივ დიდი,			მარჯვნივ პატარა,			(I სერია)				
საგანწყობო ცდები:		საგანწყობო ცდები:			მარცხნივ პატარა			მარჯვნივ დიდი			(II სერია)				

ე რ თ ბ ლ ი ე ი

20	6	30	14,40	0,46	14	70	59,60	0,85	25	22,55	0,89	61	67,75	1,11	14
----	---	----	-------	------	----	----	-------	------	----	-------	------	----	-------	------	----

ნახაზთა მიმართ, რომლებიც დახაზულია დიდად და არა საზოგადოდ.

როგორც ცხრილის ორივე სერიის ერთობლივი მონაცემებიდან ჩანს, ცდის პირები არა მარტო უფრო დიდს ხაზავენ განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე „კონტრასტულად“, არამედ კანონზომიერება ისეთია, რომ ამ საწინააღმდეგო მხარეზე დიდად ნახაზთა საშუალო ინტენსივობა (სიდიდის ხარისხი) შედარებით მეტია, ვინემ განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით—„ასიმეტურად“ დიდად ნახაზთა საშუალო ინტენსივობა—ზომა.

ასე, მაგალითად, ცხრილის პირველი ნაწილის მიხედვით განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე დიდად ნახაზთა საშუალო ზომა 0,85 მმ-ია, ხოლო განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით კი—0,48 მმ. ცხრილის მეორე ნაწილის მიხედვითაც ანალოგიური შეფარდებაა 1.11 მმ.—0,89 მმ-თან. ცალ-ცალკე სერიების მონაცემების მიხედვითაც ცხრილის პირველ ნაწილში ანალოგიური კანონზომიერებაა წარმოდგენილი, ხოლო ცხრილის მეორე ნაწილში პირველი სერიის მონაცემები წარმოადგენს გამონაკლისს. სადაც განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით „ასიმეტურად“ დიდად დახაზულ ნახაზთა საშუალო ზომა ოდნავ მეტია (1.03 მმ.), ვიდრე განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე დიდად დახაზულ ნახაზთა საშუალო ზომა—0,99 მმ.

ვინაიდან ერთობლივი მონაცემებით ორივე შემთხვევაში და ცალკე სერიების მიხედვითაც უმრავლეს შემთხვევაში ერთნაირ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე, ამიტომ ჩვენ ვეარაუდობთ, რომ ჩვენი მასალების მიხედვით მართებული იქნება დავასკვნათ შემდეგი: ცდის პირები არა მარტო უპირატესად უფრო დიდს ხაზავენ განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით, არამედ ამ საწინააღმდეგო მხარეზე დიდად დახაზულ ობიექტების ნამეტის საშუალო ზომა უფრო დიდია (მეტი ინტენსივობისა), ვიდრე განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით დიდად ნახაზთა ნამეტის საშუალო ზომა. ამ დასკვნის მართებულებაზე მიგვითითებს აგრეთვე ჩვენი მონაცემები წრეხაზებზე ჩატარებული ანალოგიური ცდებისა.

სადაც ასეთივე კანონზომიერება დასტურდება როგორც ერთობლივი, ისე ცალკე სერიის მონაცემების მიხედვით.¹

ამ დანართიდან ერთი ვარემოებაც ჩანს: ჩვენი შედეგების, მიხედვით უტოლობის განწყობის ეფექტის ზომაზე რომ ვიმსჯელოთ. გამოდის, რომ ფსიქომოტორული აქტივობის კრიტიკულ ცდებში უტოლობის განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედი ფიქსირებული განწყობის ძალა დაახლოებით მილიმეტრს უდრის, ხოლო განწყობის მიმართულებაზე დამთხვევის შემთხვევაში კი მისი ძალა 1 მმ-ზე ნაკლებია და 0.5 მმ უახლოვდება. ცალკეული ცდის პირთა მონაცემები წარმოდგენილია № 2 დანართში, საიდანაც ჩანს, რომ დიდად დახაზული ობიექტის ნამეტის მაქსიმალური საშუალო სიდიდე არ აღემატება 1,45 მმ-სა და 1,84 მმ., ხოლო მინიმალური კი დადის 0,15 და 0,08 მმ-ზე.

წარმოდგენილ დანართიდან ისიც თვალსაჩინოდ ჩანს, თუ რა ხერხითაა დამუშავებული ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა.

ფიქსირებული განწყობის მოქმედების „წმინდა“ ეფექტის შესახებ

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს კრიტიკულ ცდებში სავარაუდოა ბუნებრივი ტენდენციის მონაწილეობა და წარმოდგენილი მასალების შედარებითი ანალიზის შედეგად შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ აქ ძირითადად ბუნებრივი ტენდენციის ეფექტთან გვაქვს საქმე და პერცეპტიული აქტიობის გზით ფიქსირებული უტოლობის განწყობა თითქოს არაფერ შუაში იყოს. საბედნიეროდ, ჩვენს მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული გაზომვის ხერხი იძლევა საშუალებას თვითეული ცდის პირის კრიტიკული ცდის შედეგებიდან ამავე ცდის პირის ბუნებრივი ტენდენციის შედეგების გამიჯვნითა და გამორიცხვით გავიანგარიშოთ უტოლობის განწყობის „წმინდა“ ეფექტი. ეს გამიჯვნა და გამორიცხვა შემდეგი ხერხით მიმდინარეობს: თუ

¹ ა. კ. ნ. უ. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. „განწყობის მოქმედება შეცვლილ კრიტიკულ სიტუაციაში, ფსიქოლოგია, ტ. XIII, 1962, გვ. 137.

კრიტიკულ ცდებში დიდად დასაზულ ობიექტის მხარე ემთხვევა ბუნებრივი ტენდენციის მიმართულებას, მაშინ პირველის ზომას აკლდება ბუნებრივი ტენდენციის ზომა. ხოლო ნაშთი ითვლება განწყობის „წმინდა“ ეფექტად. თუ კრიტიკული ცდის შედეგებში დიდად დასაზვის მიმართულება ბუნებრივი ტენდენციის საწინააღმდეგო მხარესაა, მაშინ ბუნებრივი ტენდენციის ეფექტის ზომას ემატება კრიტიკული ცდების ეფექტის ზომა, ვინაიდან აქ ცდის პირმა უტოლობის განწყობის მეშვეობით დასძლია საწინააღმდეგო მხარის ბუნებრივი ტენდენციაც და ამასთანავე მოპირდაპირე მხარეზე დასაზა შედარებით „დიდი“ გარკვეული ხარისხით. გასაგებია, რომ განწყობის „წმინდა“ ეფექტის გაანგარიშება შეიძლება ორივე ამ მომენტის გათვალისწინებით.

№ 6 ცხრილში, ორივე სერიის ერთობლივი მონაცემების მიხედვით, წარმოდგენილია ასეთი გამიჯვნით გაანგარიშებული შედეგები. ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ ცდის პირთა დიდი უმრავლესობა—75% უპირატესად უტოლობის ფიქსირებული განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე — „კონტრასტულად“ ხაზავს უფრო დიდს, განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით „ასიმბლატურად“ კი—25%. ცალკე სერიებშიც კანონზომიერება ანალოგიურია: პირველ სერიაში 80%—20%-თან და მეორე სერიაში 70%-30%-თან. საინტერესოა დიდად დასაზულ ნახაზთა ნამეტის საშუალო ზომა. როგორც ცალკე სერიების, ისე ერთობლივი მონაცემების მიხედვით, განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე დიდად დასაზულ ნახაზთა ნამეტის საშუალოები აშკარად გამოკვეთილად მეტი ზომისაა. ვიდრე განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით „ასიმბლატურად“ დიდად დასაზთა საშუალოების ზომა. ასე, მაგალითად: პირველი სერიის მონაცემებით საწინააღმდეგო მხარეზე დიდად დასაზულთა საშუალო ზომაა 0,89 მმ, იმავე მიმართულების მხარეზე დიდად დასაზულთა საშუალო ზომა კი—0,47 მმ. მეორე სერიის მიხედვითაც საწინააღმდეგო მხარეზე—0,83 მმ, იმავე მიმართულების მხარეზე—0,30 მმ, ორივე სერიის ერთობლივი მონაცემებითაც შეფარდება ასეთივეა — 0,87 მმ — 0,37 მმ-თან.

აქვე თანდართულ მასალებითაც (იხ. დანართი № 3) ცალკეულ ცდის პირთა განწყობის „წმინდა“ ეფექტის შესახებ, აშკარად ჩანს, რომ ცდის პირთა დიდი უმრავლესობის განწყობის „წმინდა“ მოქმედების საშუალო ზომა უფრო მაღალია მაშინ, როცა ცდის პირი განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე ხაზავს უფრო დიდს (საშუალოები გაანგარიშებულია თითოეულ ცდის პირის „წმინდა“ ნამეტის სუმარულის 5-ზე გაყოფით).

ცხრილი № 6
განწყობის მოქმედების „წმინდა“ ეფექტი

სერიები (საგანწყობო განლაგება)	თითოეული ცდის პირის ხუთივე ცდის სუმარულის გაძიჯ- ვებით					განწყობის „წმინდა“ ეფექტის საშუალო ზომა იმ-ში.					
						უფრო დიდად ხა- ზავს			„ასიმილატურად“		
	„ასიმილა- ტურად“		„კონტრას- ტულად“		სულ 5 ცდის მიხედვით	იყოფა ცდა- თა რაოდ.	საშუალო	სულ 5 ცდის მიხედვით	იყოფა ცდა- თა რაოდენ.	საშუალო	
	აბს. რ.	%	აბს. რ.	%							
I სერია დიდი-პატარა	10	2	20	8	80	4,75	10	0,47	35,80	40	0,89
II სერია პატარა- დიდი	10	3	30	7	70	4,50	15	0,30	29,25	35	0,83
ერთობლივი	20	5	25	15	75	9,25	25	0,37	65,05	75	0,87

ამრიგად, განწყობის მოქმედების „წმინდა“ ეფექტის გაანგარიშებითაც (ხოლო ამ უკანასკნელს გადამწყვეტი და უდავო მნიშვნელობა აქვს) დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: პერცეპტული აქტიობის გზით უტოლობის ფიქსირებული განწყობა უდავოდ მოქმედებს კეთებითი-ფსიქომოტორული აქტიობის კრიტიკულ სიტუაციაში ტოლი ხაზების დახაზვისას. ეს მოქმედება გამოიხატება უპირატესად განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე უფრო დიდი

ობიექტის ხაზვასა და ტოლად განცდაში. განწყობის მიმართულებას საწინააღმდეგო მხარეზე დიდად დახაზულ ობიექტთა სიდიდის ინტენსივობა (საშუალო ზომა) შესამჩნევად მაღალია, ვიდრე განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით დიდად დახაზულ ობიექტთა ინტენსივობა.

ცდის მეორე ვარიანტის შედეგები

როგორც მეთოდის აღწერისას აღვნიშნეთ, ცდის მეორე ვარიანტში უტოლობის განწყობა ფიქსირდება არა პერცეპტულის, არამედ კეთებითი—ფსიქომოტორული აქტიობის გზით. ცდის პირი თანმიყოლებით ხაზავდა უტოლო ხაზებს 15-ჯერ პორიზონტალურად ერთ სერიაში. მარცხნივ დიდი და მარჯვნივ პატარა. მეორე სერიაში კი მარცხნივ პატარა და მარჯვნივ დიდი.

ინსტრუქციით ცდის პირს ევალებოდა დიდის დახაზვა დაახლოვებით თვალდათვალ 2—3-ჯერ მეტი პატარაზე. პირველი წყვილების გამოყვანისას საჭირო შემთხვევაში ჩვენ ვხემა-რებოდით და ვეუბნებოდით: აი, დაახლოვებით ასეთი შეფარდებით დახაზეთ. წინასწარი საკონტროლო ცდების გარეშე ჩატარდა I სერიის ცდა 12 ცდის პირზე და II სერიისა 10 ცდის პირზე. განწყობის საფიქსაციო უტოლო ნახაზების გაზომვისა და საშუალოს გაანგარიშებით დადგინდა, რომ 5 სერიის ცდებში ცდის პირების უტოლო ნახაზების შეფარდება არის 3:1-თან. დიდი ნახაზის საშუალო ზომაა 46,11 მმ, პატარა კი—15,36 მმ. მეორე სერიის ცდებშიც დაახლოვებით ასეთი შეფარდებაა 3:1-თან (2,9:1-ზე). აქ დიდ ნახაზთა საშუალო ზომაა 55,38 მმ., პატარასი—19,11 მმ.

№ 7 ცხრილიდან ჩანს, რომ უპირატესად განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე დიდის ხაზვა კრიტიკულ ცდებში ამ შემთხვევაშიც კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს ორივე სერიის ცდების მონაცემებით. პირველი სერიის მონაცემების მიხედვით ცდის პირი 58,3(7) განწყობის საწინააღმდეგო მიმართულების მხარეზე (მარჯვნივ) ხაზავს უფრო დიდს, ხოლო განწყობის მიმართულებაზე დამთხვე-

უტოლობის განწყობის ეფექტი ცალკეული სერიებით

სერიები საგანწყობოს განლაგება	თითოეული ცდის პირის ხუთივე ცდის სუმარულით					საზნაო რაოდენობა	ხაზავს დიდად (ცალკე პასუხების მიხედვით)					
	სწარბობს ნახაზის სილიღე ცდის პირ- თა რაოდენობის მიხედვით						მარცხ. (I)		მარჯვ. (II)		ტოლად (=)	
	მარცხნივ (I)		მარჯვნივ (II)				აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
	აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.							
I სერია დიდი-პატარა	12	5	41,7	7	58,3	60	23	38,3	33	55,0	4	6,7
II სერია პატარა-დიდი	10	7	70	3	30	51	31	62,0	15	39,0	4	8,0

ვით შედარებაზე ნაკლებია—41,7% (5 ცდის პირი). ანავე სერიის ცალკე პასუხების მიხედვითაც ასეთივე შეფარდებაა: საწინააღმდეგო მხარეზე დიდად ნახაზი 55,0%-ია, იმავე მიმართულებაზე დამთხვევით კი—38,3%, ტოლად ხაზვის შემთხვევები კი მხოლოდ—6,7%.

მეორე სერიის ცდებში ეს კანონზომიერება შედარებით გამოკვეთილია. განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე დიდად ხაზვა აქ წარმოდგენილია ცდის პირთა 70,0%-ით. განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით კი—30,0%-ით. ცალკე პასუხების მიხედვითაც ამ შემთხვევაში მეტად გამოკვეთილია უპირატესად განწყობის საწინააღმდეგო მხარეზე დიდად ხაზვა 62,0%—30,0%-თან, ვიდრე პირველი სერიის ცდების ასეთსავე მონაცემებში. ეს გასაგებიცაა, ამ სერიაში განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე არის იგივე—მარცხენა, რომელ მხარეზედაც დიდად ხაზვის ბუნებრივი ტენდენცია ისედაც შეიძლება ჰქონდეს ცდის პირებს

(იხ. ცხრილი № 1), ხოლო პირველი სერიის ცდებში განწყობის საწინააღმდეგო მხარეს (მარჯვნივ) მარჯვნივ დიდად ხაზვა დაძლევისაც ნიშნავს. ამიტომ გასაგებია, რომ აქ ეს შეფარდება ნაკლებად გამოკვეთილია, ვიდრე მეორე სერიის მონაცემებში.

ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ერთი რამ: პირველი სერიის მონაცემებში მაინც უპირატესად განწყობის საწინააღმდეგო მხარეს დიდად ხაზვა უფრო აშკარად ჩანს, ვიდრე პერცეპტული აქტიობის კრიტიკულ ცდებში (იხ. ცხრილი № 3).

ენაილან ორივე სერიის ცდებში სხვადასხვა შეფარდებას გამოკვეთილობით კანონზომიერების ერთნაირ მიმართულებასთან გვაქვს საქმე, ამიტომ საინტერესოა

ერთობლივი მონაცემების მიხედვით ორივე სერიის ცდებში გამოკვეთილობის სიმართლედების საწინააღმდეგო მხარეს

როგორც ჩანს, ამ მიმართებაზე დამთხვევითი უკვე აღსანიშნავია პერცეპტული საწინააღმდეგო მხარეს უკვე დიდად ხაზვა წარმოდგენილია 58,2%-ით, მიმართულებებზე დამთხვევით- 34,6%. ტოლად ხაზვა კი მხოლოდ 7,2% იყო. ეს მონაცემები რომ შევადაროთ პერცეპტული აქტიობის გზით ფიქსირებული განწყობის ანალოგიური კრიტიკული ცდების მონაცემებს, დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს კანონზომიერებათა ერთიანობასთან. მაგრამ უპირატესად განწყობის საწინააღმდეგო მხარეს დიდად ხაზვის პროცენტი ამ შემთხვევაში ოდნავ ნაკლებია, ვიდრე პირველ შემთხვევაში (შეადარეთ ცხრილები № 8 და № 4).

განწყობის მიმართულებებზე დამთხვევით პირველი კრიტიკული ცდის შედეგთა პროცენტული მაჩვენებელი ცოტათი ნაკლებია, ვიდრე ამ უკანასკნელისა. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ საგანწყობო ცდებში ხაზვის გზით უტოლობის განწყობის ფიქსაციის შემთხვევაში შეიძლება ასეთი თუ ისეთი ძალის მოტორული ჩვევის ფიქსაცია მოხდეს ერთ მხარეზე დიდად ხაზვის ჩვევის სახით, და ამან შეიძლება განაპირობოს, ერთი მხრით, უტოლობის განწყობის მი-

განწყობის ეფექტი ორივე სერიის ერთობლივი მონაცემებით

ცხ. პირთა რაოდენობა	თითოეული ცდის პირის სულოვე ცდის სუმარულით				ხაზავს დიდად (ცალკე პასუხების მიხედვით)						
	სუარბობის ნახაზოა სიცილე ცდ. პ. რაოდენობას მიხედვით				ნახაზოა რაოდენ.	„ასიმი- ლათუ- რად“		„კონტრას- ტულად“		ტოლად (=)	
	ასიმილა- ტურად		კონტრას- ტულად			აბს. რ.	%	აბს. რ.	%	აბს. რ.	%
	აბს. რ.	%	აბს. რ.	%							
22	8	36,4	14	63,6	110	38	34,6	64	58,2	8	7,2

მართულებაზე დამთხვევის დაბალი ტენდენციის ოდნავი მომატება და ამით ხელი შეუშალოს უპირატესდ განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს დიდად ხაზვის ისეთი მაღალი დოზის მიღწევას, როგორც ეს პერსექტული აქტივობის ანალოგიურ კრიტიკულ ცდებშია წარმოდგენილი.

№ 9 ცხრილიდან ჩანს, რომ ორივე სერიის ცდების ერთობლივი მონაცემებით განწყობის საწინააღმდეგო მიმართულების მხარეზე დიდად დახაზული ობიექტის ნამეტის საშუალო ზომა ხუთივე კრიტიკული ნახაზის მიმართ შედარებით მაღალია 0.97 მმ, ვიდრე განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით დიდად ნახაზთა საშუალო ზომა. ასეთივე შეფარდება დიდად დახაზულ ხაზთა ნამეტის საშუალო ზომებში, თუმცა ნაკლებ გამოკვეთილი 1,29 მმ—1,13 მმ-თან.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცალკე სერიების მიხედვითაც ასეთივე კანონზომიერებაა წარმოდგენილი. ამრიგად, ცდების ამ ვარიანტის მიხედვით დადგინდა, რომ ცდის პირები არა მარტო ხაზავენ უპირატესად უფრო დიდს ობიექტს განწყობის საწინააღმდეგო მიმართულების მხარეზე, არამედ ამ მხარეზე დიდად დახაზული ობიექტების სიდიდის ხარისხი—საშუალო ზომა უფრო მაღალია, ვიდრე განწყობის მიმართულების მხარეზე დიდად დახაზულ ობიექტების საშუალო ზომა. № 4

დიდად დასაზულ ნახათა ნამეტის საშუალო ზონა მმ.ში განწყობის მიმართულებაზე
დამთხვევით „ასიმილატურად“ და მიმართულებებს საწინააღმდეგოდ „კონტრასტურად“

ივსაცხედაცა დასაზუ დასაზუ	დიდად დასაზულ ნახათა ნამეტის საშუალო ზონა ცლის პიოთა ხუთივე ხასაზის მიმართ				დიდად დასაზულ ნახათა ნამეტის საშუალო ცხრილ დიდ ხასაზთა მიმართ				(II) ივსაცხედაცა						
	„ასიმილატურად“		„კონტრასტურად“		„ასიმილატურად“		„კონტრასტურად“		„ასიმილატურად“		„კონტრასტურად“				
	-და დასაზუ დასაზუ	დასაზუ დასაზუ	-და დასაზუ დასაზუ	დასაზუ დასაზუ	-და დასაზუ დასაზუ	დასაზუ დასაზუ	-და დასაზუ დასაზუ	დასაზუ დასაზუ	-და დასაზუ დასაზუ	დასაზუ დასაზუ	-და დასაზუ დასაზუ	დასაზუ დასაზუ			
12	5	25	20,00	0,80	7	35	42,40	1,21	23	27,85	1,21	33	50,25	1,52	4
10	3	15	7,55	0,50	7	35	25,40	0,72	15	15,85	1,06	31	33,70	1,07	4
22	8	40	27,55	0,66	14	70	67,80	0,97	38	43,10	1,13	64	83,91	1,29	8

სავსაწყობო: მარცხნივ დიდი — მარჯვნივ პატარა (I სერია)

სავსაწყობო: მარცხნივ პატარა — მარჯვნივ დიდი (II სერია)

ე რ თ ღ ბ ლ ი ე ი

დანართში წარმოდგენილი თვითეული ცდის პირის მონაცემებიც გარკვევით მეტყველებს ამ მომენტზე. ამავე დანართიდან ისიც ჩანს, რომ დიდად ხაზის მაქსიმალური საშუალო ზომა უდრის 2.12 მმ-ს, ხოლო მინიმალური—0.03 მმ-ს.

როგორც აღინიშნა, ამ ვარიანტის ცდები მეორე სახითაც იყო ჩატარებული. ჯერ ტარდებოდა საკონტროლო ცდები 5 ტოლი ხაზის ხაზვაზე (22 მმ დიამეტრის ეტალონით), ამის შემდეგ კი უტოლობის განწყობას ვუფიქსირებდით 15 უტოლო ხაზის დახაზვით, შემდეგ კი კრიტიკული ცდები ტარდებოდა ტოლი ხაზებს დახაზვაზე. ეს ცდები ჩატარდა 2 სერიად: საგანწყობოს „ღ-პ“ განლაგებით—10 ცდ. პირი და შებრუნებით „პ-ღ“ განლაგებით—10 ცდის პირი. ექსპერიმენტის ამ ეტაპზე უნდა აღინიშნოს, რომ დასტურდება განწყობის მოქმედება ისე, რომ მოტორული აქტიობის პროცესში, მაგ., კანონზომიერების მიხედვით სერიაში ეტალონობა არა ჩანს.

შესაძლებელია აქ ცდის პირთა რაოდენობის სიმცირეც. ამ კიდევ. ამა თუ იმ სერიაში შემთხვევითი ცდის პირები და მოყრამ, შეუსაღეს ხელი ერთიანი კანონზომიერების გამოვლენას. ამიტომ ამ შემთხვევაში ცდები უნდა გაგრძელდეს, განიზარდოს საფუძვლიანად ცდის პირთა რაოდენობა და საბოლოო ანგარიშში დიდი რიცხვის კანონის მიხედვით ვინაჩველოთ კანონზომიერებაზე. შეურჩეველ ცდის პირთა მასის მონაცემებში წარმოდგენილი მასალების მიხედვით კი შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. პერცეპტული აქტიობის გზით ფიქსირებული უტოლობის განწყობა უდავოდ მოქმედებს თსიქომოტორული აქტიობის კრიტიკულ სიტუაციაში—ტოლი ხაზების დასაფხვის პროცესში. ეს მოქმედება გამოიხატება უპირატესად ტოლობის ფიქსირებული განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე მდებარე ხაზის უფრო დიდად დახაზვაში და მათ ტოლად განცდაში. შედარებით მცირე პროცენტით, მაგრამ გვხვდება ცდის პირები, რომელნიც განწყობის მიმართულების მხარეზე უფრო დიდს ხაზავენ.

2. იმ შემთხვევაში, როცა უტოლობის განწყობა ფიქსირდება არა მხოლოდ პერცეპტულის, არამედ თსიქომოტორული

აქტიობის გზითაც, საქმე გვაქვს ანალოგიურ კანონზომიერებასთან (თუმცა ოდნავ ნაკლებ გამოკვეთილის). ამ შემთხვევაშიც ცდის პირები განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე საზავენ უპირატესად უფრო დიდს ობიექტს, ხოლო განიცდიან კი ტოლად.


3. ცდის ორივე ვარიანტის მიხედვით, ცდის პირები არა უბრალოდ საზავენ უპირატესად დიდს განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე, არამედ ამ მხარეზე დიდად დახაზული ობიექტთა საშუალო ზომა უფრო დიდია, ვიდრე განწყობის მიმართულების მხარეზე დიდად დახაზულ ობიექტთა საშუალო ზომა.

4. დიდად დახაზულ ობიექტთა ნამეტის საშუალო ზომა განწყობის საწინააღმდეგო მხარეზე 1.00 მმ-თან ოდნავი პლუსით თუ მინუსით მერყეობს, ხოლო განწყობის მიმართულების მხარეზე დიდად დახაზულ ობიექტთა ნამეტის ზომა საშუალოდ 0,5 მმ-სკენ იხრება.

• • •

დგება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს უტოლობის ფიქსირებული განწყობის ჩვენს ცდებში დადასტურებული კანონზომიერება, ე. ი. კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც პერსპექტული აქტიობის გზით ფიქსირებული უტოლობის განწყობა ტოლი ხაზების დახაზვის პროცესში უპირატესად ვლინდება განწყობის საწინააღმდეგო მხარეზე უფრო დიდი ობიექტის კეთებასა და ამ უტოლოდ გაკეთებული ობიექტების ტოლად განცდაში? ერთი შეხედვით, ეს ფაქტი განწყობის კონტრასტულ მოქმედებად შეიძლება და ჩაგვეთვალა, თუ მას მხოლოდ კინესთეტიკური აქტიობის თვალსაზრისით განვიხილავდით. მაგრამ ყოველად შეუძლებელია ჩვენი ცდების მიმდინარეობის მხოლოდ კინესთეტიკური აქტიობის თვალსაზრისით განხილვა. მართლაც და, ჩვენს ცდებში საქმე გვაქვს არა მარტო კინესთეტიკურ აქტიობასთან, არამედ რთულ ფსიქომოტორულ აქტიობასთანაც, ამ ცდებში წამყვან როლს ასრულებს არა მხოლოდ უბრალოდ მხედველობა, არამედ ისიც, რომ ცდის პირი კრიტი-

კულ ცდებში ინტელექტუალურადაც აქტიურადაა ჩართული. ის პირველს—მარცხენას ხაზავს გარკვეული სიდიდისა და შემდეგ მთელი თავისი შესაძლებლობით ცდილობს გამოიყვანოს მისი ტოლი, მეორე (მარჯვენა) ნახაზი. ამისათვის მას საშუალება გამოყენების უფლებაც აქვს, თუ დასჭირდა. ამრიგად, ჩვენი კრიტიკული ცდების მიხედვით, უტოლოდ გაკეთებული ობიექტების ტოლად განცდის ფაქტები სავსებით შესაძლებელია განვიხილოთ ჩვეულებრივი კრიტიკული ცდის შედეგების ანალოგიურად. თუ ჩვენი ცდების შედეგებს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში განწყობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეზე დიდად ხაზვისა და ტოლად განცდის ფაქტი უდავოდ ფიქსირებული განწყობის არა კონტრასტულის, არამედ ასიმეტრიული მოქმედების ფაქტად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებისა გამო: ვთქვათ. ცდის პირს გავუფიქსირეთ უტოლობის განწყობა მარცხნივ დიდი და მარჯვნივ პატარა (30 X 16 მმ) ხაზებით. კრიტიკულ ცდებში კი იგი ხაზავს მარცხნივ პატარას (20 მმ) და მარჯვნივ დიდს (22 მმ) უტოლობის განწყობის მიმართულების საწინააღმდეგოდ. ხოლო განიცდის კი ტოლად (როგორც ეს სქემაზეა წარმოდგენილი).



განიცდება ტოლად.

ამ შემთხვევაში უტოლობის ფიქსირებული განწყობის მოქმედების მხოლოდ სამი შესაძლებლობაა მოცემული. 1. ან მარჯვენა (22 მმ) დიდი ნახაზი პატარავდება განცდაში 2 მმ-ით და უტოლდება მარცხენა 20 მმ-ანს, ეს კი უდავოდ წინა უტოლობის განწყობის მიმართ ასიმეტრიის ფაქტი იქნება (მარჯვენა პატარაა საგანწყობოში, მარჯვენავე პატარავდება კრიტიკულში) 2. ან მარცხენა პატარა (20 მმ) დიდდება 2 მმ-ით და ასე უტოლდება მარჯვენა 22 მმ-იანს, ესეც წინა უტოლობის განწყობის მიმართ ასიმეტრიის ფაქტი იქნება (აქაც მარ-

ცხენა დიდია საგანწყობოში და მარცხენა დიდდება კრიტიკულში) 3. ან კიდევ იცვლება ორივე ერთად: მარცხენა პატარა (20 მმ) დიდდება 1 მმ-ით (საგანწყობოში ხომ მარცხენა დიდია) და მარჯვენა დიდი (22 მმ) პატარავდება 1 მმ-ით (საგანწყობოში მარჯვენა პატარაა) და ასე უტოლდებიან ისინი ერთმანეთს განცდაში. ორი მხრიდან მიახლოების გზით. ეს უკანასკნელი შესაძლებლობაც ხომ უდავოდ განწყობის ასიმილაციის ფაქტია. ჩვენი აზრით, რომ მოხერხდეს ექსპერიმენტულად ვიკვლიოთ,--თუ რომელი შესაძლებლობა მოქმედებს საზოგადოთ განწყობის კრიტიკულ ცდებში. კონტრასტული თუ ასიმილატური. უფრო სავარაუდოა დადასტურდეს, რომ საქმე გვაქვს ასეთ ორმხრივ გადიდება-დაპატარავებასთან.

ამრიგად, ყველა ზემოაღნიშნულ შესაძლებლობათა დამუშავების შემთხვევაშიც, როცა ცდის პირები განწყობის საწინააღმდეგო მიმართულებით ხაზავენ უფრო დიდ ობიექტს და განიცდიან კი ტოლად, ჩვენ უეჭველად საქმე გვაქვს უტოლობის განწყობის ასიმილატურ მოქმედებასთან. ხოლო, როცა ცდის პირები უტოლობის განწყობის მიმართულებაზე დამთხვევით (ამავე მხარეზე) ხაზავენ უფრო დიდს და განიცდიან კი ტოლად, მაშინ საქმე გვექნება აღნიშნულ შესაძლებლობათა (შებრუნებითი) დაშვებით განწყობის კონტრასტულ მოქმედებასთან.

როგორც ვიცით, ჩვენი ცდის შედეგების მიხედვით კონტრასტული მოქმედების ფაქტებიც გვხვდება, მაგრამ შედარებით მცირე პროცენტით; უპირატესად კი გაბატონებული მდგომარეობის მიხედვით განწყობის ასიმილატურ მოქმედებასთან გვაქვს საქმე.

როგორ გავიგოთ ამ შემთხვევაში განწყობის მოქმედების უპირატესად ასიმილატური ხასიათი? დ. უზნაძის მოსაზრებით და დიდძალი ექსპერიმენტული ფაქტებით დამტკიცებულია, რომ ოდენობით მიმართებაზე ფიქსირებული უტოლობის მტკიცე და ძლიერი განწყობა პერსპექტული აქტივობის პროცესში უპირატესად კონტრასტული მიმართულებით მოქმედებს. ხოლო არა მტკიცე, სუსტი განწყობა კი ასიმილატურ-

რის მიმართულებით. იგულისხმება, რომ მტკიცე და ძლიერ-გამოკვეთილი უტოლობის განწყობა, როცა იგი აშკარად განსხვავებული (ტოლობის) სიტუაციას დაუპირისპირდება, ამ სიტუაციის ასიმილაციას ვერ ახერხებს, ირღვევა და საწინა-აღმდეგო მიმართულების განწყობის სახით გამოვლინდება. ჩვენი სავანწყობო ცდები ისეთია, რომ ყოველთვის მტკიცე უტოლობის განწყობა უნდა გაფიქსირდეს; მაგრამ კრიტიკული ცდები მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივი ტაქსტოსკოპური ცდებისაგან. ამ განსხვავების ორ მომენტს უნდა გაესვას ხაზი: 1. ჩვეულებრივ ტაქსტოსკოპურ კრიტიკულ ცდებში გარკვეული მიმართულების უტოლობის განწყობის ფიქსაციის შემდეგ ცდის პირს შესაძარებლად ეძლევა მზატოლი ობიექტები, რომელთა დაპირისპირებაში განწყობა შეიძლება დაირღვეს და საპირისპიროში გადავიდეს. ჩვენს ცდებში კი მოცემული უტოლობის განწყობას ტოლი ობიექტის მზა სიტუაცია კი არ უპირისპირდება, არამედ წარმოსახვაში შესაძლებლად მოცემული და გასაკეთებელი სიტუაცია. აქ ცდის პირი თვითონ ქმნის — აკეთებს ამ ტოლობის სიტუაციას — ხაზავს „ტოლ“ ხაზებს. 2. პირველ შემთხვევაში ეს მზა, ტოლი ობიექტები ძალზე მცირე დროში მომენტალურად. ასე ვთქვათ. თვალის დახამხამებაში ეძლევა ცდის პირს განსაცდელად, ჩვენი კრიტიკული ცდები კი ამ მხრივ მკვეთრად განსხვავდება; იგი ცდის პირისათვის ნებისმიერ დროში, გაცილებით ხანგრძლივ დროში მიმდინარეობს. ცდის პირი მთელი თავისი ძალების აქტივაციით ასრულებს დაფალებას. მონდომებით ცდილობს გააკეთოს ტოლი ხაზები ჯერ მარცხენა მხარეს და შემდეგ, მასზე დაკვირვებით, მოხაზოს, მისივე ტოლი ხაზები მარჯვენა მხარეს. აქ ცდის პირს საშუალება აქვს მოახდინოს ობიექტური სიტუაციისა და ამ სიტუაციის განცდის ობიექტივაცია. პირველ შემთხვევაში კი ამის შესაძლებლობა გამორიცხულია.

ჰერმოდნიშნულის გამო ვვარაუდობთ, რომ ჩვენს სავანწყობო ცდებში ფიქსირებული მტკიცე და გამოკვეთილი უტოლობის განწყობა, ამ საკმაოდ ხანგრძლივ დროში გაშლილი ტოლობის კეთების (და არა მზა ტოლობის) სიტუაცი-

ანა. შესაძლოა ისე სუსტდებოდეს. რომ მას უპირატესად ასიმილაციური მოქმედების ძალა შერჩეს. ქ. მდივნის ცდები და მისი შედეგები, სადაც კრიტიკულ სიტუაციაში კრიტიკული ობიექტების გასანგრძლივებელი ექსპოზიცია ხდება, ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა¹.

ამ შემთხვევაში მეორე მომენტიც არის ხაზგასასმელი. ვიწოდებ ჩვენს ცდებში გარკვეული მიმართულების მტკიცე უტოლობის განწყობის მქონე ცდის პირი ერთბაშად არ უპირისპირდება მისთვის შეუფერებელ ტოლობის სიტუაციას, შესაძლოა აქ განწყობის რღვევის საჭიროება და შესაძლებლობა არც იყოს მოცემული. ამ შემთხვევაში ცდის პირის განწყობა რღვევის გარეშე უშუალოდ, პირდაპირი გზით მოქმედებს დროში გაშლილი ტოლობის კრიტიკული სიტუაციის კეთებითი აქტიობის პროცესში და უპირატესად ამ სიტუაციის თავისუფალ ასიმილაციას ახერხებს. ამგვარი მოსაზრების დაშვების შესაძლებლობა შემდეგი გარემოების გამოა სავარაუდო: როგორც ცნობილია. უტოლობის განწყობა ჩვეულებრივი კრიტიკული ცდების მრავალჯერ განმეორების შემდეგ კონტრასტულ მოქმედებას წყვეტს (გადადის რა გზადაგზა ასიმილაციურ მოქმედებაში), დაბოლოს. ტოლობის კრიტიკული სიტუაციის ადექვატურ აღქმაში გადადის. — განწყობა აღიკვეთება. როგორც აღნიშნული იყო. ჩვენი კრიტიკული ცდის დამთავრების შემდეგ ვამოწმებდით ზოგიერთ ცდის პირს ჩვეულებრივი ტაქსტოსკოპური კრიტიკული ცდებით, ე. ი. ვახდენდით რამდენიმეჯერ ტოლი ხაზების მომენტალურ ექსპოზიციას. გამოირკვა. რომ ყველა ცდის პირს ამ ვითარებაში შენარჩუნებული ჰქონდა ამა თუ იმ ძალის კონტრასტულად მოქმედი უტოლობის განწყობა. ვაპოვებ, რომ ერთი და იგივე ცდის პირს ერთი უტოლობის განწყობა ტოლობის კეთებითი აქტიობის დროში გაშლილ სიტუაციაში უპირატესად ასიმილაციურად მოქმედებს, ხო-

¹ ქ. მდივანი, ილუზიის ჩაქრობის პროცესი ხანგრძლივი ექსპოზიციის პირობებში—თ. ს. უ. შრომები, ტ. XVII., 1940, გვ. 207

ლო მზა ტოლობის მომენტალური ჩვენების კრიტიკულ სიტუაციაში კი—კონტრასტულად.

ამრიგად, ჩვენს ცდებში დადასტურებული უტოლობის განწყობის უპირატესად ასიმილატური მოქმედების ფაქტები კეთებითი-ფსიქომოტორული აქტიობის პროცესში არაფერს გაუგებარს არ წარმოადგენს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მისი ახსნა არა მარტო თეორიული ვარაუდით, არამედ ექსპერიმენტული ფაქტების ნიადაგზედაც არის შესაძლებელი. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ექსპერიმენტული ფაქტები ერთ-ერთი უდავო ექსპერიმენტული ხასიათის ახალი საბუთია „განწყობის ცვლის ძირითადი კანონის“ დასადასტურებლად, რომელიც დ. უზნაძემ ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩამოაყალიბა.

ამასთანავე, ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემები წარმოადგენენ ერთ-ერთ დამატებით საბუთს განწყობის, როგორც სუბიექტის მთლიანპიროვნული მდგომარეობის. დასახასიათებლად, როგორც დაეინახეთ. პერცეპტული აქტივობის გზით ფიქსირებული განწყობა გავლენას ახდენს არა მარტო სუბიექტის პერცეპტულ აქტივობაზე, არამედ იგი სუბიექტში იწვევს მთლიანობითი ხასიათის ისეთ ცვლილებას, რომელიც კეთებითი-ფსიქომოტორული აქტიობის მიმართულებითაც ვლინდება სწორედ შესატყვისი განწყობის მიმართულებით, უპირატესად ასიმილატური სახით.

№№ რიგზე	ცდის პირი	მეტია I მარ- ცხენა			მეტია II მარ- ჯენა			ხაზებს ტოლად	სკარობის ზომა 5 ცდაში სულ	
		რაოდ.	ზომით სულ	საშუალო	რაოდ.	ზომით სულ	საშუალო		I მტ.	II სჯ.
1	"ბ. ც."	3	3, 15	1, 05	2	1, 25	0, 62	—	1, 9	—
2	"ქ. ე."	4	3, 0	0, 75		0, 90	0, 90	—	2, 10	—
3	"ი. ზ."	4	5, 20	1, 30	1	0, 20	0, 20	—	5, 0	—
4	"წ. წ."	4	5, 15	1, 29	1	0, 55	9, 55	—	4, 60	—
5	"ბ. ნ."	5	1, 70	0, 34	—	—	—	—	1, 70	—
6	"ვ. რ."	5	3, 15	0, 63	—	—	—	—	3, 15	—
7	"ც. ე."	3	3, 50	1, 17	2	2, 75	1, 37	—	0, 75	—
8	"ც. ნ."	4	5, 65	1, 41	1	0, 35	0, 35	—	5, 30	—
9	"პ. ლ."	1	1, 15	1, 15	3	3, 80	1, 27	1	—	2, 65
10	"პ. ბ."	3	2, 90	0, 97	1	0, 30	0, 30	1	2, 60	—
11	"წ. მ."	2	1, 75	0, 87	3	2, 85	0, 95	—	—	1, 10
12	"მ. ე."	2	1, 30	0, 65	3	4, 25	1, 42	—	—	2, 95
13	"ბ. რ."	2	0, 85	0, 42	1	1, 05	1, 05	2	—	0, 20
14	"ლ. პ."	4	1, 95	0, 49	—	—	—	1	1, 05	—
15	"ჯ. ზ."	4	5, 65	1, 13	1	2, 00	2, 00	—	3, 65	—
16	"ე. ნ."	4	3, 10	0, 77	—	—	—	1	4, 10	—
17	"ბ. ე."	3	4, 40	1, 47	2	3, 80	1, 90	—	0, 60	—
18	"ლ. პ."	5	7, 25	1, 47	—	—	—	—	7, 25	—
19	"ჯ. ბ."	3	1, 60	0, 53	1	0, 90	0, 90	1	0, 70	—
20	"ქ. რ."	3	2, 05	0, 68	1	0, 50	0, 50	1	1, 55	—
		68	64, 45	0, 94	24	25, 45	1, 06	8	45, 90: 80=0,57	6, 90: 20=0,35

უტოლობის განწყობის ეფექტი თითოეულ ცდის პირის შემთხვევაში
საშუალო ზომა მმ-ში

პირების კოდეზი	ცდის პირი	მეტა I მარცხენა			მეტა II მარჯვენა			ტოლი (=)	სქარბოხს ზომა სულ ხუთ ცდაში			
		რაოდ.	ზომა სულ	საშუალო	რაოდ.	ზომა სულ	საშუალო		I მარცხნივ		II მარჯვნივ	
									სულ	საშუალო	სულ	საშუალო

I სერია — საგანწყობო მარცხნივ დიდი, მარჯვნივ პატარა

1	„ბ. ც.“	—	—	—	5	4,55	0,91	—	—	—	4,55	0,91
2	„მ. ვ.“	1	0,25	0,25	4	3,35	0,83	—	—	—	3,10	0,62
3	„ი. ნ.“	5	7,10	1,42	—	—	—	—	7,10	1,42	—	—
4	„წ. ნ.“	1	0,65	0,65	3	2,10	0,70	1	+	—	1,45	0,29
5	„ბ. ნ.“	2	1,35	0,67	1	0,20	0,20	2	1,15	0,23	—	—
6	„კ. რ.“	3	2,40	0,80	1	0,15	0,15	1	2,25	0,45	—	—
7	„ც. ე.“	3	4,25	1,42	1	0,85	0,85	1	3,40	0,68	—	—
8	„ც. ნ.“	1	0,25	0,25	3	4,30	1,43	1	—	—	4,05	0,81
9	„პ. ზ.“	—	—	—	5	6,95	1,39	—	—	—	6,95	1,39
10	„ბ. ბ.“	1	0,80	0,80	1	0,70	0,70	3	0,10	0,05	—	—
სულ:		17	17,05	1,03	24	23,05	0,96	9	225 = 20,10: 14,00 = 0,56:25 = 0,88			

II სერია — საგანწყობო მარცხნივ პატარა, მარჯვნივ დიდი

1	„წ. მ.“	4	10,40	2,10	1	1,20	1,20	—	9,20	1,84	—	—
2	„მ. ე.“	3	3,15	1,03	1	0,85	0,85	1	2,30	0,46	—	—
3	„ბ. რ.“	3	2,20	0,79	1	0,30	0,30	1	1,90	0,38	—	—
4	„წ. პ.“	5	1,45	0,29	—	—	—	—	1,45	0,29	—	—
5	„ჯ. ზ.“	5	6,30	1,26	—	—	—	—	6,30	1,26	—	—
6	„ე. გ.“	5	7,55	1,47	—	—	—	—	7,55	1,57	—	—
7	„ბ. ვ.“	3	1,55	0,52	2	1,95	0,97	—	—	—	0,40	0,08
8	„დ. ა.“	3	4,70	1,49	1	0,45	0,45	1	4,25	0,85	—	—
9	„ჯ. გ.“	2	1,65	0,82	1	0,40	0,40	2	1,25	1,25	—	—
10	„ბ. რ.“	4	5,65	1,41	1	0,15	0,15	—	5,50	1,10	—	—
სულ		37	44,60	1,20	8	5,30	0,66	5	39,70	45 = 0,88	0,40: 5 =	0,08

განყოფის „წმინდა“ ეფექტი ცალკეულ ცდის პირებში
და მისი საშუალო ზომა მშ-ში

№№ რიგზე	I სერია - საგანწებობ - დიდი - პატარა				№№ რიგზე	II სერია - საგანწებობ - პატარა - დიდი					
	ცდის პირი	„წმინდა“ ეფექტი 5 კრ. ცდაში და თითოეული საშუალო				ცდის პირი	„წმინდა“ ეფექტი 5 კრ. ცდაში და თითოეული საშუალო				
		„ასიმილაცია“ + I		„ასიმილაცია“ + II			„ასიმილაცია“ + II		„კონტრასტი“ + I		
		სუბ-არ.	საშ.	სემარ.			ს.შ.	სუბ-არული	საშ. ალო	სუბ-არული	საშუალო
1	„ბ. ც.“	—	—	0,95	1,25	1	„წ. ბ.“	—	—	10,80	2,56
2	„ბ. ე.“	—	—	5,80	—	2	„წ. ე.“	—	—	5,25	1,05
3	„ბ. ნ.“	2,10	0,42	—	—	3	„ბ. რ.“	—	—	2,10	0,42
4	„წ. ნ.“	—	—	6,15	—	4	„წ. ბ.“	0,10	0,10	—	—
5	„ბ. ნ.“	—	—	0,55	0,11	5	„წ. ე.“	—	—	2,65	0,53
6	„ბ. რ.“	—	—	0,90	0,18	6	„ე. ნ.“	—	—	4,15	0,87
7	„ც. ვ.“	2,65	0,53	—	—	7	„ბ. ე.“	1,00	0,20	—	—
8	„ც. ნ.“	—	—	9,35	1,57	8	„წ. ბ.“	3,00	0,60	—	—
9	„ა. ბ.“	—	—	4,30	0,66	9	„წ. ე.“	—	—	0,55	0,11
10	„ა. ბ.“	—	—	2,50	0,50	10	„ბ. რ.“	—	—	3,95	0,79
ერთობ-ლივი		4,75	0,47	35,80	0,89	ერთობ-ლივი		4,50	0,30	29,25	0,87

ბაზების დახაზვით უტოლობის განწყობის ეფექტი თვითეულ ცდის პირში, საშუალო ზომა მმ-ში

№ № რიგზე	ცდის პირი	მეტია I მარცხენა			მეტია II მარჯვენა			ტოლი (=)	სკარბობს ზომა სულ სუთ ცდაში			
		რაოდენობა	ზომა სულ	საშუალო	რაოდენობა	ზომა სულ	საშუალო		I მარცხენი		II მარჯვნივ	
									სულ	საშუალო	სულ	საშუალო

I სერია მარცხნივ დიდი — მარჯვნივ პატარა

1	ა. ნ.	—	—	—	5	5,20	1,04	—	—	—	5,20	1,04
2	ბ. ვ.	3	1,90	0,63	1	0,45	0,45	1	1,45	0,29	—	—
3	ვ. ე.	—	—	—	3	3,50	1,17	2	—	—	3,50	0,70
4	დ. კ.	1	0,95	0,95	4	5,50	1,37	—	—	—	4,55	0,91
5	შ. თ.	—	—	—	5	10,20	2,04	—	—	—	10,20	2,04
6	ა. გ.	5	7,55	1,51	—	—	—	—	7,55	1,51	—	—
7	ა. მ.	—	0,70	0,70	4	5,25	1,31	—	—	—	4,65	0,93
8	შ. კ.	4	5,45	1,36	1	0,65	0,65	—	4,80	0,96	—	—
9	ზ. ი.	2	2,00	1,00	3	3,55	1,18	—	—	—	1,55	0,31
10	ი. მ.	4	6,55	1,64	1	1,20	1,20	—	5,35	1,07	—	—
11	კ. რ.	—	—	—	4	12,75	3,19	1	—	—	12,75	2,55
12	ბ. ა.	3	2,75	0,92	2	1,90	0,95	—	0,85	0,17	—	—
სულ		23	27,85	1,21	33	50,25	1,52	4	20,0	0,80	42,40	1,21

II სერია მარცხნივ პატარა — მარჯვნივ დიდი

1	ა. ა	3	3,25	1,09	2	1,50	0,75	—	1,75	0,35	—	—
2	ბ. ვ.	4	4,90	1,22	1	1,15	1,15	—	3,75	0,75	—	—
3	ხ. ნ.	—	—	—	3	4,25	1,41	2	—	—	4,25	0,85
4	კ. გ.	2	1,10	0,55	2	4,25	2,12	1	—	—	3,15	0,63
5	შ. თ.	4	4,35	1,09	1	0,45	0,45	—	3,90	0,78	—	—
6	შ. კ.	4	3,70	0,92	1	0,30	0,30	—	3,40	0,68	—	—
7	შ. ვ.	4	5,70	1,42	1	0,45	0,45	—	5,25	1,05	—	—
8	კ. რ.	4	3,50	0,90	1	1,20	1,20	—	2,30	—	—	—
9	მ. ნ.	4	5,30	1,32	1	0,25	0,25	—	5,05	1,01	—	—
10	გ. ნ.	2	1,90	0,95	2	2,05	1,02	1	—	—	0,15	0,03
სულ		31	33,70	1,07	15	15,85	1,06	4	25,40	0,72	7,55	0,50

УСТАНОВКА И ПРОЦЕСС ЕЕ УГАСАНИЯ

(Резюме)

На основе применения некоторой вариации¹ метода «иллюзии установки» Д. Н. Узадзе², при экспериментальном исследовании фиксированной установки на количественное отношение, автором данной работы было изучено действие фиксированной установки в процессе ее угасания в опытах как сукцессивного, так и спмультанного отношения во всех трех сферах ее проявления (оптической, тактической и мышечной).

В результате надлежащего анализа данных эксперимента автор приходит к следующим выводам:

1. Установлено, что оценка равных величин неравными (иллюзорно), т. е. тенденция асимметрии, является достаточно характерным и имеющим определенную закономерность фактом не только при спмультанном, но и при сукцессивном сравнениях.

Таким образом, имеется в наличии иллюзорная оценка равных величин и в достаточной мере проявляющаяся естественная тенденция переоценки (иллюзорного восприятия), в основе которой, как выясняется, лежит установка на неравенство, фиксированная в естествен-

¹ А. Т. Кинцурашвили. Естественная тенденция переоценки в действии установки, фиксированной на сукцессивное отношение (Экспериментальные исследования по психологии установки, Тбилиси, 1958, стр. 209—225).

² Д. Н. Узадзе. Экспериментальные основы психологии установки, Тбилиси, 1961.

ных условиях. Весьма редки случаи, когда испытуемый полностью проявляет доминирующую тенденцию адекватного восприятия в течении 20 экспозиций равных величин.

2. Эта естественная тенденция переоценки у отдельных субъектов проявляется в виде доминантной тенденции в какую-либо сторону (направо или налево при симультанном сравнении) или в направлении (в отношении первого или второго раздражителя при сукцессивном сравнении). Однако редко встречаются испытуемые, для которых была бы характерна абсолютно односторонняя естественная тенденция переоценки. Более типичным и характерным является тот факт, что в течении 20 экспозиций равных величин тенденция колеблется вокруг нуля, причем одна из тенденций все-таки преобладает (в этом отношении автор располагает данными только в отношении симультанного сравнения).

3. Несмотря на это, столь широко проявляемая естественная тенденция переоценки существенной роли не играет в критических опытах искусственно фиксированной установки на равенство. Она устранена в данный момент, а потому факты иллюзорного или адекватного восприятия равных величин, проявлявшиеся в критических опытах, являются результатом действия только предшествующей фиксированной установки на равенство. Поэтому поиски, направленные на установление участия фактора тенденции естественной переоценки в своеобразии течения, проявившейся в критических опытах установки на наш взгляд, следует считать в основном неоправданными.

4. Количественное отношение раздражителей может воздействовать на субъект двумя различными способами: симультанно (одновременно—«рядоположением») и сукцессивно (последовательным воздействием—«пер-

во-второе»). Как известно из наших экспериментальных данных, в обоих случаях имеется возможность выработки искусственным путем в достаточной степени дифференцированной фиксированной установки на неравенство.

5. Искусственным путем фиксированная установка на количественное отношение проявляется как симультанно, так и сукцессивно, в основном, с одинаковой общей закономерностью своего действия во всех случаях ее проявления по различным признакам, как например, первого проявления установки, продолжительности, смены установок, последовательности фаз, своеобразия отдельных фаз, по интериндивидуальной вариативности, по разновидностям фазового действия установки, по признакам динамичности и статичности, властичности и грубости, по внутрифазовой динамике и др. На основе добытого нами материала не подтверждается наличие ни одного в качественном отношении отличного признака, который был бы характерен только лишь для сукцессивных условий и не проявлялся бы в симультанных условиях, и наоборот. Наблюдаемое между ними различие по всем признакам носит лишь количественный характер. В процессе угасания установки действие фиксированной установки на количественное отношение в обоих случаях проявляется с одной общей закономерностью; оно носит фазовый характер и последовательность фаз, а также своеобразия отдельных фаз в основном однородны¹. Это обстоятельство представляет собою еще один из веских доводов в обосновании

¹ Указанные и приведенные в работе аналогичные закономерности могут оказать помощь в правильном истолковании и анализе известной теории В. Кёллера и Г. Валлаха, а также добытых ими фактов в отношении «последующего эффекта фигуры» (W. Köhler and H. Wallach, Figural after-effects an investigation of visual processes, Proc. Amer. Phil. Sos., 88, 1944)

положения об общности фиксированной установки, о ее целостном—субъективном состоянии. Установка в каждой конкретной ситуации проявляется с определенной общей закономерностью, несмотря на то, что в то же самое время она, естественно, включает в себе соответствующие признаки этой конкретной ситуации.

6. Действие установки в процессе ее угасания имеет фазный-поэтапный характер. Однако последовательность фаз, их своеобразие, по нашим экспериментальным данным, имеет иной характер (кроме 1 фазы), чем это предполагалось по сей день. По этим данным, для следующей вслед за первой—последовательной фазы контрастных иллюзий характерно не то, что наряду с контрастными иллюзиями, будто бы попутно, возникают ассимилятивные иллюзии, а затем они постепенно возрастают, а то обстоятельство, что совместно с проявлением контрастных иллюзий попутно принимают участие также и адекватные восприятия, и затем постепенно возрастает последовательный ряд адекватных восприятий, но полного господства в этой фазе они все-таки не достигают. Еще до полного господства адекватного восприятия начинается третья фаза, характерным признаком которой является то, что наряду с чередованием контрастных иллюзий и адекватных восприятий, попутно возникают также и ассимилятивные иллюзии. Следует отметить, что, по нашим данным, и в этой фазе не наблюдается переход ассимилятивных иллюзий в господствующее положение. В этой третьей фазе в течение всего периода действия установки названные ассимилятивные иллюзии в меньшем количестве проявляются рядочком рядом с контрастными иллюзиями и адекватными восприятиями. В этой фазе постепенно убывает проявление последовательного ряда контрастных иллюзий, зато увеличивается последовательный ряд адекватных восприятий и, таким образом, субъект переходит в четвер-

тую фазу—на установку адекватного восприятия критической ситуации, подтверждает последовательно 10 и более адекватных восприятий.

Таковы вообще последовательность фаз и своеобразие их действия в процессе угасания фиксированной установки на количественное отношение. Впрочем, этот факт следует признать вполне попятным (см. гл. III, § 1, вопрос о последовательности фаз).

7. По характеристике фазового действия установки подтверждено наличие разновидностей взаимной смены фаз и отсюда, следовательно, наличие разновидностей действия установки. На основе фазового действия установки имеется возможность далеко идущей типологической дифференциации испытуемых в условиях фиксированной установки как на симультанное, так и на сукцессивное отношения. Из всех возможных разновидностей — типов действия установки, по нашим данным, ни у одного испытуемого вообще не обнаружился вид абсолютно статической установки (бескопечно застрявшие в первой фазе) как в сукцессивном, так и в симультанном условиях.

То обстоятельство, что в достаточном количестве испытуемых (200 испытуемых в сукцессивных условиях и 105 в симультантных) не могло быть установлено наличие хоть у одного из них прочной статической установки, дает нам возможность заключить, что, видимо, для здоровой личности не должна быть характерной абсолютно статическая установка. Любому нормальному человеку удастся проявить активность в определенных условиях для вызволения от фиксированной установки с целью проявления установки адекватного восприятия воздействующей на него новой ситуации.

8. Процесс угасания установки не протекает прямолинейно, пока фиксированная установка неравенства не уступит место адекватному восприятию критической си-

туации, пока она не перейдет в него, как в нечто свое противоположное. Фиксированная установка на неравенство не угасает в результате постепенного ослабления, а наоборот, она попутно проявляет себя, «противоборствует», вновь возобновляется с достаточной частотой в виде последовательных контрастных иллюзий. Это возобновление гораздо больше проявляется во второй фазе, но оно наблюдается и в третьей фазе. Установка возобновляется и на последнем этапе ее угасания, она «противоборствует» и дает о себе знать, пока не уступит место адекватному восприятию противоположной ей новой ситуации.

Таким образом, по нашим данным, существенным признаком фиксированной установки на количественное отношение следует признать **в о з б о в л я е м о с т ь**, ее действие «рецидивистского» порядка. Во всяком случае, добытый нами экспериментальный материал (глава IV, § 4) является непреложным доводом того, что вопрос о возобновляемости фиксированной установки на количественное отношение, о признании этого явления существенным признаком действия установки может стать предметом дальнейшего исследования.

9. Как было отмечено, редко встречается непытуемый, для которого не была бы характерной естественная тенденция переоценки—иллюзорное восприятие отношения равенства между величинами. В процессе фиксации искусственным путем установки на неравенство естественная тенденция переоценки, в виде дифференцированной установки, в определенном направлении достигает «вершины» дифференциации и фиксации. Результатом этого в первый период (в I, II и III фазах) является иллюзорное восприятие равных критических величин с определенной закономерностью. Наконец, наступает момент, когда эта установка на равенство угасает, как установка нера-

венства. Однако это не означает того, что ее действие вообще исчезло в четвертой фазе и испытуемый возвращается к состоянию, предшествующему искусственным путем фиксированной установке на равенство.

Нет! Испытуемый в четвертой фазе проявляет установку только адекватного восприятия критической ситуации отношения равенства, в противовес установке на равенство, которая у него не возникла бы в иных случаях. Если бы не влед за «возведенной до вершины» установки равенства и в противопоставлении с ней. Следовательно, IV фаза не является просто угасанием действия фиксированной установки, а новой фазой, обусловленной действием предшествующей фиксированной установки на равенство, хотя противоположной и иной, причем она является, с одной стороны, продолжением действия фиксированной установки на равенство путем перехода в другое, в противоположное иное, с другой же стороны, в результате этого противопоставления, обусловленного воздействием объективной критической ситуации.

Таким образом, четвертая фаза, с одной стороны, бесспорно является фазой действия искусственным путем фиксированной установки, а не фазой только полного завершения ее действия, которая, якобы, ничего общего с ней не имеет.

Отсюда вытекает вывод о том, что испытуемые, с самого начала проявившие четвертую фазу, не являются «экстравертными» лицами, у которых, якобы, вообще не возникают какие-либо установки. Конечно, у этих испытуемых не вырабатывается сильная и прочная фиксированная установка на равенство, которая смогла бы обусловить в первый период возникновение иллюзорного восприятия критической ситуации. В этом случае установочные опыты равенства в такой мере могут отчеканить установку на равенство у испытуе-

мого, самого собою предрасположенного к неравенству, что в противоположном состоянии в процессе воздействия критической ситуации равенства внезапно происходит самоликвидация этой установки на равенство — что обуславливает быстрое возникновение (без посредника) непосредственно в нем именно противоположного состояния — установки адекватного восприятия критической ситуации равенства.

Ведь фактом является то обстоятельство, что ни один испытуемый не смог бы проявить в иных случаях подобную установку адекватного восприятия критической ситуации (последовательно более 10 адекватных восприятий), если бы над ними не были проведены установочные опыты на неравенство. Эту разновидность действия установки мы выделяем особо и считаем ее наиболее слабым проявлением установки, сущность которой заключается только в том, что она проявляется во внезапном переходе в противоположную установку. Условно эта установка нами названа *имедпативно-контраверсной установкой*, а субъект для которого характерна подобная установка, мы относим к типу *имедпативно-контраверсной установки*, взамен т. н. «лишенной установки», «экстравертивного» или же «мгновенно субитального» типа.

10. На наш взгляд, заслуживает особого внимания следующее обстоятельство. При всесторонней разработке материала, полученного в результате проведенных опытов как в симуляционных, так и в успешных условиях, помимо общих закономерностей, проявились также специфические особенности (неквалитативного порядка), которые указывают на своеобразное течение действия фиксированной в той или иной сфере (оптической, галитической, мышечной) установки¹ в отношении про-

¹ В связи с действием фиксированной установки на симуляционное отношение этот факт был известен (Б. Хачапуридзе).

должителности, чередования установки, в большей или меньшей степени прочности, динамичности и статичности, грубости и пластичности, по внутрифазовой динамике и т. д. Подтверждается и то, что по отдельным сферам это своеобразное течение, помимо единства, носит специфический оттенок в сукцессивных и симультанных условиях и порою проявляется различными соотношениями характерных для установки закономерностей (занимаемое этими сферами место по тем или иным признакам). Этот момент, по нашему мнению, заслуживает внимания по нижеследующим соображениям: ведь фиксированная установка—общее явление, она есть целостное изменение—состояние субъекта. Но, как видно, она не есть общее диффузное целое, где не видны ни «начало», ни «конец». Установка является целостностью, но такой целостностью, своеобразии которой носит отпечаток не только специфики определенной объективной ситуации в каждом отдельном случае (по нашим материалам в ситуации сукцессивного и симультанного отношений), но в своеобразии этой целостности определенное значение имеет и тот путь (рецептор, анализатор), через посредство которого создается, формируется это целостно-субъективное состояние—установка. Это и понятно: ведь субъект представляет собой психофизическую целостность, а это есть результат дифференцированной целостности—системности первого аппарата. Эта система действует как целое, и специфика действия отдельной части обусловлена своеобразием этой целостности. Однако в действии этого целого в каждом отдельном случае «функционирует какая-либо часть», т. е. именно она, в основном, выполняет роль «переносчика» объективной действительности в субъект,

а это обстоятельство не может не наложить определенного отпечатка на своеобразие течения целостного процесса, повторяем, определенного отпечатка, оттенка. Ведь сама по себе, как видно также из нашего материала, установка, каким путем и при каких условиях она не будет формироваться, вообще всегда укладывается в русло действия общей закономерности.

11. В заключение следует подчеркнуть то обстоятельство, что как в симультанном, так и в сукцессивном условиях по отдельным признакам действия установки и вообще имеется в наличии в достаточной мере далеко идущая интердивидуальная вариабельность испытуемых и, следовательно, возможность типологической дифференциации испытуемых на основе фиксированной установки как в симультанном, так и сукцессивном отношениях.

12. Из нашего экспериментального материала вытекает следующий вывод методического порядка:

а) для установления наличия угасания искусственным путем фиксированной установки на неравенство недостаточно подтверждение испытуемым адекватного восприятия в 3—4 или в 5 раз в критических опытах, а необходимо повторение субъектом, по крайней мере, адекватного восприятия последовательно, более чем в 10 раз, с тем, чтобы в данный момент признать установку угасшей. В случае продолжения критических опытов после пятикратного и более адекватного восприятия отмечается возможность постижения общей закономерности действия установки такого порядка (по нашим материалам «возможность», действие «рецидивистского порядка»), которая в иных случаях не была бы нами отмечена в качестве существенного признака действия установки.

б) у некоторых испытуемых установка не угасает и после 50—60 критических экспозиций. Однако это не

означает того, что в данный момент у них вообще не угасает установка, и будто бы они «бесконечно» проявляют инерцию. В этом случае образовывалась установка не в состоянии перейти и уступить место установке адекватного восприятия, а потому ее следует отнести к типу статической установки.

Но у основной массы испытуемых, по нашим данным, угасание установки происходит еще до 50--60 критических экспозиций. Поэтому общепринятый способ прекращения критических опытов после 50--60 экспозиций в массовых опытах над неотборными испытуемыми следует считать оправданным.

В последней V главе работы («Отдельные вопросы действия установки») рассмотрена проблема об интраиндивидуальной корреляции действия фиксированной установки на сукцессивное и симультанное отношения.

В этом разделе труда даны следующие выводы:

а) типичной и наиболее распространенной во всех трех сферах является та разновидность интраиндивидуальной корреляции, когда в симультаных условиях типу сильной пластико-динамической установки соответствует тип слабой или наиболее слабой грубо-динамической установки в сукцессивных условиях, приблизительно, $1/3$ испытуемых.

б) в достаточном количестве (приблизительно $1/10$) встречается тип такой корреляции, когда сильной грубо-динамической установке в симультаных условиях соответствует слабая или наиболее слабая грубо-динамическая установка в сукцессивных условиях.

в) редко, но все же встречаются и такие, для которых в обоих случаях характерна корреляция статической или же в одном случае статической, а во втором—динамической установки.

г) в общем следует отметить, что типичной и весьма распространенной корреляцией является наличие сильной и прочной установки в симультанных условиях, с одной стороны, слабой и непрочной установки в сукцессивных условиях, с другой: у пластической отмечается единство признаков грубой установки и наоборот: сравнительно меньше распространена корреляция слабой с сильной, а также грубой и пластической, хотя встречается и этого вида корреляция в качестве атипичного для нее явления.

д) факт подобной, далеко идущей интраиндивидуальной корреляции действия фиксированной установки в различных условиях у одного и того же субъекта может быть признан одним из веских аргументов для подтверждения тезиса о целостно-личностной сущности установки.

Во втором параграфе последней главы работы рассмотрена проблема проявления фиксированной установки на равенство, выработанной путем перцентивной активности в критической ситуации психомоторной активности (в условиях черчения самим испытуемым равных кругов или равных линий).

В результате анализа соответствующих экспериментальных данных автор приходит к следующим выводам:

Установка на равенство, фиксированная в сфере созерцательно-перцентивной активности, проявляется и в измененной критической ситуации, т. е. переходит в сферу психомоторной активности субъекта, когда испытуемому поручается самому сделать равные объекты (нарисовать равные круги или же равные линии) взамен моментального созерцания и сравнения равных объектов.

В данном случае установка проявляется преимущественно ассимплативным образом, но встречаются, хотя и редко, факты ее контрастного проявления.

Результаты наших экспериментальных данных в целом являются еще одним достоверным аргументом в доказательстве того положения, что установку действительно следует рассматривать как явление целостного состояния субъекта, так как установка, фиксированная путем перцептивной активности, вызывает в субъекте такое целостное изменение, которое модифицирует направленность субъекта вообще и, в данном случае, направленность его психомоторной активности.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მ ა ვ ი პ ი რ ვ ა ლ ი

შესავალი, პრობლემა და მეთოდი

83

შესავალი

§ 1. განწყობის ცნება

3

§ 2. განწყობის ექსპერიმენტული კვლევა

14

§ 3. ფიქსირებული განწყობის ცნება

39

პრობლემა და მეთოდი

§ 4. საკითხის დაყენება

38

§ 5. ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტული კვლევის მეთოდი საერთოდ და ჩვენი ექსპერიმენტული მეთოდი-
კა თავისებურად

42

მ ა ვ ი მ ე ო რ ა

ვადაფასების ბუნებრივი ტენდენცია და მისი ადგილის საკითხი სუბცესურ მიმართებაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედებაში

§ 1. ვადაფასების ბუნებრივი ტენდენცია და მისი საფუძველი

63

§ 2. ვადაფასების ბუნებრივი ტენდენციის ადგილის საკითხი სუბცესურ მიმართებაზე ხელშეწყობად ფიქსირებული განწყობის მოქმედებაში

85

მ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ხელშეწყობად ფიქსირებული განწყობის მოქმედების ზოგიერთი საკითხი

§ 1. განწყობის პირველი გამოვლენა

111

§ 2. განწყობის ილუზიების ხანგრძლივობის საკითხი

119

§ 3. განწყობათა მონაცვლეობა ადექვატური აღქმის განწყობათაზე გადასვლაზე

129

თავი მერამე

ფქსირებული განწყობის აღვეთის პროცესი

- | | |
|--|-----|
| § 1. ფაზელის თანმყოფობის საკითხი უტოლობის განწყობა-დან ტოლობის განწყობაზე გადასვლისას | 142 |
| § 2. ცალკეული ფაზების რავეარობა | 165 |
| § 3. ფქსირებული განწყობის მოქმედების სახესხვაოანი და მისი გარტელებულობა სექცესურსა და სომელტანურ პირობებში | 199 |
| § 4. განწყობის შემოარუნეადობის ე. „რეციდივის“ საკითხი | 227 |
| § 5. განწყობის აღვეთ პროცესის გაგების საკითხისათვის | 242 |
| § 6. სექცესურ და სომელტანურ მიმართებაზე ფქსირებული განწყობის მოქმედების სვეციფიკის საფექვლის საკითხი | 250 |
| § 7. სექცესურ და სომელტანურ მიმართებებზე ფქსირებულ განწყობათა სვეციფიკური თავისებურებანი | 255 |

ზოგადი დასკვნები

ოდენობით მიმართებაზე ფქსირებული განწყობის თავისებურებანი ჩვენი მასალების მიხედვით 262

თავი მესამე (დამატება)

განწყობის მოქმედების ცალკეული საკითხები

- | | |
|--|-----|
| § 1. სექცესურსა და სომელტანურ პირობებში ფქსირებული განწყობის ინტრაინდივიდუალური კორელაციის საკითხისათვის | 273 |
| § 2. განწყობის მოქმედების საკითხისათვის ვთვებით აქტივობის პროცესში | 297 |
| რეზუმე რუსულ ენაზე | 335 |
-

О Г Л А В Л Е Н И Е

ГЛАВА ПЕРВАЯ

Введение, проблема и метод

Введение

§ 1 Понятие установки	3
§ 2 Экспериментальное исследование установки	14
§ 3 Понятие фиксированной установки	33

Проблема и метод

§ 4 Постановка вопроса	38
§ 5 Метод экспериментального исследования фиксированной установки вообще и своеобразия нашей экспериментальной методики	42

ГЛАВА ВТОРАЯ

Естественная тенденция переоценки и вопрос о её роли в действии фиксированной установки на успешное отношение

§ 1 Естественная тенденция переоценки и её основа	68
§ 2 Вопрос о роли естественной тенденции переоценки в действии искусственным путём фиксированной установки на успешное отношение	85

ГЛАВА ТРЕТЬЯ

Некоторые вопросы действия искусственным путём фиксированной установки

§ 1 Первое проявление установки	111
§ 2 Вопрос о длительности иллюзии установки	119
§ 3 Смена установок до перехода к установке адекватного восприятия	129

ГЛАВА ЧЕТВЕРТАЯ

Процесс угасания фиксированной установки

- | | | |
|-----|---|-----|
| § 1 | Вопрос о последовательности фаз при переходе от установки на неравенство к установке равенства | 142 |
| § 2 | Своеобразие отдельных фаз | 165 |
| § 3 | Разновидность действия фиксированной установки и её распространённость в сукцессивных и симультанных условиях | 199 |
| § 4 | Вопрос о возобновляемости установки, т. е. её «рецидива» | 227 |
| § 5 | К вопросу о толковании процесса угасания установки | 242 |
| § 6 | Вопрос об основе специфики действия фиксированной установки на сукцессивное и симультанное отношения | 250 |
| § 7 | Специфические особенности фиксированной установки на сукцессивное и симультанное отношения | 255 |

Общие выводы

Особенности действия фиксированной установки на количественное отношение по нашим материалам 262

ГЛАВА ПЯТАЯ (дополнение)

Отдельные вопросы действия установки

- | | | |
|-----|--|-----|
| § 1 | К вопросу об интраиндивидуальной корреляции фиксированной установки в сукцессивном и симультанном условиях | 273 |
| § 2 | К вопросу о действии установки в процессе психомоторной активности | 297 |

Резюме на русском языке 335

